ვ. ჩაკოვი

ჭესაჭე
ოაიჭის

ალსანრიული

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1975

9 (с) 27
355.48(47) „1941 : 1945"
ბ 871

1959 წელს პირველად გამოიცა საბჭოთა კავშირის მარშლის ვ. ი. ჩუიკოვის წიგნი „გზის დასაწყისი". ეს იყო მოგონებები სტალინგრადის ბრძოლებზე, ვ. ი. ჩუიკოვის სარდლობით 62-ე არმიის მეომრების მიერ ქალაქის გმირულ დაცვაზე.

სტალინგრადის ბრძოლების შემდეგ არმია შეუერთდა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს და გაყვანილ იქნა კუპრიანსკისა და სვეტოვის რაიონში. მან გაათავისუფლა დონბასი, გადალახა ჩრდილო დონეცი, მონაწილეობდა უკრაინის განთავისუფლებაში.

ორმოცდასამი წლის გაზაფხულზე 62-ე არმიას მიეკუთვნა გვარდიულის მაღალი წოდება. იგი გარდაიქმნა მე-8 გვარდიულ არმიად.

1972 წელს გამოიცა ვ. ი. ჩუიკოვის მეორე წიგნი „სტალინგრადის გვარდიელები დასავლეთისაკენ მიდიან", რომელიც ამ ბრძოლებზე მოგვითხრობდა. სტალინგრადის გვარდიელებმა თაეიანთი გმირული გზა დაიწყეს ვოლგაზე და დაამთავრეს ბერლინში. მე-8 გვარდიულ არმიას წილად ხვდა პატიები ებრძოლა ჯარების იმ ჯგუფის შემადგენლობაში, რომელსაც დაეკალა ბტრის დედაქალაქის შტურმი, ჰიტლერული სახელმწიფოსათვის საბოლოო გამანადგურებელი დარტყმის მიყენება.

ვ. ი. ჩუიკოვის მესამე წიგნი „მესამე რაიხის აღსასრული" მოგვითხრობს ჩვენი საბოლოო შეტევის მთავარ მიმართულებაზე, გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლებზე, პოლონეთის განთავისუფლებაზე, გერმანიის ტერიტორიაზე ბრძოლებსა და ბერლინის შტურმზე.

მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ე ბ ი:
ბ. ეაჰაპარიანი, მ. ბორძახია, ო. ახმეტელი.

Ч $\frac{11202-139}{М\ 601\ (08)-75}$ 103—75

© Издательство «Советская Россия», 1973.
© Грузинский перевод, Издательство «Сабчота Сакартвело», 1975

მთავარ მიმართულებაზე

1

1944 წლის 5 ივნისს მე-8 გვარდიული არმიის ჯარები დნესტრის პლაცდარმიდან უკრაინის მე-3 ფრონტის რეზერვში გადაიყვანეს.

არმიის წინაშე საერთო ამოცანა არ მდგარა, იგი სასწრაფოდ ივსებოდა ახალი ძალებით, ხელახლა იარაღდებოდა და დისლოკაციის შესაცვლელად ემზადებოდა. ზოგ რამეს კი ვხვდებოდი, მაგრამ მიხვედრილობაზე მთლიანად დაყრდნობას ვერ ვბედავდი. ჯერ ხმა დაირხა, რომ ჩრდილოეთისაკენ გვაგზავნიან, მერე ოფიციალურადაც შემატყობინეს, რომ მე-8 გვარდიული გადაჰყავდათ ბელორუსიის პირველი ფრონტის შემადგენლობაში და გაყვანილი იქნება ჩვენი ჯარების დარტყმის მთავარ მიმართულებაზე.

ეს დიდი პატივი იყო, მაგრამ არმიაში ამის შესახებ ბევრმა არაფერი იცოდა, ჩვენ კი ამ გადაწყვეტილებაზე ლაპარაკის უფლება არ გვქონდა. ეს მეტად სერიოზული სამხედრო საიდუმლოება იყო. მთელი არმიის დისლოკაციის შეცვლა უნდა ჩატარებულიყო მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნევლად და მოულოდნელად.

არმიის შტაბს ეკისრებოდა უდიდესი ამოცანა — მოემზადებინა და ჩაეტარებინა დისლოკაციის ეს შეცვლა, განესაზღვრა თავშოყრის გზები, მარშრუტები და რაიონები, გაენაწილებინა ტრანსპორტი, მოეხაზა ახალ ობიექტზე ნაწილების, საჭურველისა და სურსათის საწყობთა განლაგების ადგილები.

ჩვენთან, შტაბში ამ დროისათვის ცვლილებები მოხდა. გენერალ ვ. ი. ვლადიმიროვის ნაცვლად დაინიშნა ვიტალი ანდრიას ძე ბელიავსკი, რომელიც მანამდე არმიის შტაბში ოპე-

რატიული განყოფილების უფროსად მუშაობდა, იგი ჩვენს არმიაში ყველაზე ახალგაზრდა გენერალი იყო. ჯერ ორმოცი წელიც არ შესრულებოდა. მას ხუმრობით „ჭაბუკ გენერალს“ უწოდებდნენ. დიდი ენერგიის პატრონი იყო, მუშაობაში საკმაოდ მონდომებული და პუნქტუალური. ყველაფერს სწრაფად, ზუსტად და აკურატულად აკეთებდა.

10 ივნისს ბელიავსკი არმიის მდგომარეობის შესახებ სრული მონაცემებით მოსკოვში გამოიძახეს. ბელიავსკის გამგზავრების დღესვე მივიღეთ ბრძანება სამხრეთი ფლანგიდან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ცენტრში რკინიგზით არმიის გადაჯგუფების თაობაზე. ამოქმედდა ჯარების გადასროლის გეგმები.

ჯარების ჩასხდომა დანიშნული იყო 12 ივნისს, დილის 6 საათისათვის. გადაჯგუფების განსახორციელებლად შექმნილი იყო სპეციალური ოპერატიული ჯგუფი ჩემი მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ მ. პ. დუხანოვის მეთაურობით.

როდესაც დავრწმუნდით, ეშელონების ჩატვირთვა და გამგზავრება გეგმის მიხედვით მიდიოდა, გადავწყვიტეთ, სამხედრო საბჭოს წევრთან გენერალ-მაიორ ალექსეი მიხეილის ძე პრონინთან და არტილერიის სარდალ გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლოზ მიტროფანეს ძე პოჟარსკისთან ერთად მანქანებით გავმგზავრებულიყავით ბელორუსიის პირველი ფრონტის შტაბში.

ჩვენი გამგზავრება დანიშნული იყო 14 ივნისს. გამოვიძახე მძღოლი ქაიუმ ქალიმულინი და ვუბრძანე მოემზადებინა მანქანა შორეული რეისისათვის, მოემარაგებინა ათას კილომეტრზე სამყოფი ბენზინი.

— ათასზე? — ჩამეკითხა ქალიმულინი.

ხმაში დაეჭვება შევნიშნე.

— ათასზე! — დავუმოწმე.

ქალიმულინმა თავი გაიქნია.

— მე, რასაკვირველია, ბრძანებას შევასრულებ... ოღონდ ეს ზედმეტია, ამხანაგო სარდალო! ბენზინის ჩასხმა გზაშიც შეგვიძლია... ბერდიჩევში, ვინიცაში, თუნდაც ჟიტომირში.

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი გაოცება, და არა მარტო გაოცება! ნამდვილად შევშფოთდი. აი, ასე უბრალოდ გათ-

ქვამს ჩემი შოფერი საიდუმლოებათა საიდუმლოებას, წმა-
დათაწმიდას. მან მოხაზა მთელი ის გზა, რომლითაც არმია
უნდა გადაჯგუფებულიყო.

გადავწყვიტე გამომეცადა, რამდენად იყო დარწმუნებული
თავისი ინფორმაციის სისწორეში.

— საკუთარ მარშრუტებს ნუ იგონებ! — ვუთხარი, — ბრძა-
ნება შეასრულე...

ქაიუმმა თანაგრძნობით გამიღიმა.

— საითაც მიბრძანებთ, იქით გავემგზავრებით, ამხანაგო
სარდალო... მაგრამ ჩვენ ვიცით, საით წავიდეთ!

„ჯარისკაცთა მაცნეს“ ადრეც შეეხვედრიეარ და მის ყოვ-
ლისმცოდნეობას მარტო მე როდი გავუკვირვებივარ. მაგრამ
ინფორმაციაც არის და ინფორმაციაც. სერიოზულად ავღელდი.
ინფორმაცია რკინიგზით ჩვენი გადაჯგუფების თაობაზე მტერს
რომ ჩავარდნოდა ხელში, ჩვენს არმიას დიდი უსიამოვნება შე-
ემთხვეოდა, დიდი და ყოვლად გაუმართლებელი დანაკარგი შე-
ეძლო განეცადა. სად მთავრდება „ჯარისკაცთა მაცნეს“ ინ-
ფორმაციის გავრცელების არე, შეძლებს იგი ამჯერად საზღვრის
ფარგლებში მოაქციოს საიდუმლოება? აი, რა გვაღელვებდა
მე და არმიის განსაკუთრებული ნაწილის უფროსს. მაგრამ ჩვენ
ამაოდ ვღელავდით. „ჯარისკაცთა მაცნეს“ ინფორმაცია მტერს
ხელთ არ ჩავარდნია. სადღაც, უხილავ ზღვართან ჯარისკაცი
დუმდებოდა, დუმდებოდა, თუ მოსაუბრეს არ ენდობოდა. მე-8
გვარდიული არმიის დისლოკაციის შეცვლის შესახებ მოწინა-
აღმდეგემ არაფერი იცოდა.

მაშ ასე, ჩვენ ვტოვებთ დნესტრს...

მე-8 გვარდიული არმიის ცხოვრების ერთმა ეტაპმაც გან-
ვლო. უკრაინაში საბრძოლო მოქმედების ერთმა წელიწადმა
თითქოს მთელი ცხოვრება დაიტია.

მახსენდებოდა გააფთრებული სისხლისმღვრელი ბრძოლე-
ბი, რომლებითაც დაიწყო ჩვენი გზა უკრაინის მიწაზე, ბრძო-
ლა მანამდე უცნობ დაბა გოლაია დოლინასათვის. ეს დაბა სა-
მუდამოდ შევიდა არმიის ისტორიაში.

იქ მხოლოდ ვიწყებდით, ვიწყებდით შეტევითი ბრძოლის
შესწავლას, თავდაცვის გამოცდილებას ვამდიდრებდით იერი-

ში, ნახტომის, სწრაფი მანეერირებისა და დაწოლის გამოცდილებით.

მეხსიერებამ ნათლად წარმომიდგინა ზაპოროჟიეს ღამის იერიში. გაბედული ოპერაცია იყო, მაგრამ სწორედ ამ გაბედულებამ განაპირობა მისი წარმატებით და ამასთან მცირე დანაკარგებით დაგვირგვინება. მოხუცებულობის ჟამს ამ ოპერაციის მონაწილენი გაიხსენებენ არტილერიის და ბათქის ღამეულ აბრიალებას, ხანძრებს, რომლებიც ცეცხლის მოლიცლიცე წითელი ენებით გზას უნათებდნენ მოიერიშე ჯგუფებს, ასეულებს და მთელ დივიზიებს. პირქუშ, ნისლიან განთიადს ქალაქში... ირგვლივ ყველაფერი იწვოდა, ბოლავდა, ინგრეოდა. ქუჩებში ბრძოლები ისეთ სწრაფ ტემპში წარიმართა, რომ ფაშისტებმა ქალაქისა და დნეპრის კაშხალის აფეთქება ვერ მოასწრეს. მებრძოლი ხელყუმბარას რომ სტყორცნიდა; შენანგრევის ყოველ კუთხე-კუნჭულს ავტომატის ჯერით დაცხრილავდა, მერე კვლავ ხელყუმბარას მიაყოლებდა და შეიჭრებოდა ციხესიმაგრედ ქცეულ ძელმიწურში, სანგარში ან სახლში... ნისლსა და ბოლში იგი თითქმის უვნებელი ხდებოდა. წინ და გვერდებიდან კი უკვე დასახმარებლად მოეშურებოდნენ ჩვენი ტანკები, ხელით მოაგორებდნენ ქვემეხებსა და ნაღმსატყორცნებს. სრული და ზუსტი ურთიერთმოქმედება საკვირველ შედეგს იძლეოდა. შემდეგ კი... შემდეგ ძნელი დრო დადგა... დაიწყო ორმოცდასამი-ორმოცდაოთხი წლის ზამთარი. ჩვენ ვიცოდით, რომ ამ ზამთარში ძალებს ვიკრებდით მტერთან საბოლოო შერკინებისათვის, რომ ჩვენმა მრეწველობამ ფრონტს ათასობით ტანკი და თვითმფრინავი მისცა, რომ წინ ვწევდით პლაცდარმებს ამ შეტევისათვის, ვამზადებდით დიდ ნიადაგს ჰიტლერული კოალიციის დასაშლელად, მისი სატელიტების ომიდან გამოსვლისათვის... ჩვენ ხშირად ვიბრძოდით იმ საშუალებით, რაც გაგვაჩნდა, ზოგჯერ ეს საშუალებანი ცოტა იყო, ზოგჯერ მეტი; მაგრამ ყოველთვის იმაზე ნაკლები, რაც უნდა გვქონოდა... დონბასის კარიბჭესთან შეუპოვარი ბრძოლებით დავიწყეთ, მაგრამ ჩვენი გზის დასასრულისათვის უკვე ისახებოდა სახელმწიფო საზღვარზე გასვლის ამოცანა. ის, რასაც ასე მოუთმენლად მოველოდით, რაზე ოცნებასაც კი ძლივს

ვბედავდით, ის, რის გულისთვისაც მილიონობით ჩვენმა ამხანაგმა გასწირა თავი, მილიონებმა კი ტანჯვა-წამების გზა გაიარეს — აღსრულდა. ჩვენი მიწა თავისუფლდებოდა დამპყრობთაგან, იწმინდებოდა საშინელი სიბილწისაგან...

როგორ ვითარდებოდა მდგომარეობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იმ დროისათვის, როცა მე-8 გვარდიულმა ბელორუსიის პირველი ფრონტის შემადგენლობაში გადაჯგუფების ბრძანება მიიღო?

შემცირდა ფრონტის ხაზის საერთო განფენილობა. ჩვენს ჯარებს ახლა საშუალება ჰქონდათ შეტევის დროს მიეღწიათ ძალების მეტი კონცენტრაციისათვის, მაგრამ მტერიც აღრმავებდა თავდაცვას, აძლიერებდა მას დიდძალი საცეცხლე საშუალებებით, ადამიანთა რეზერვებით. შეტევა სულ უფრო კონცენტრირებული ხდებოდა, თავდაცვა — მკვიდროვდებოდა. ამასთან დაკავშირებით, შეტევაზე მყოფს ეზრდებოდა ტექნიკური აღჭურვილობის გადიდების მოთხოვნილება, თავდაცველი კი მკვიდრო დაცვით ღებულობდა ზოგიერთ ტაქტიკურ უპირატესობას.

ამ ვითარებაში ყოველი ახალი შეტევა ჩვენგან მოითხოვდა მანევრირების ამაღლებას, რომელიმე ერთ უბანზე მნიშვნელოვნად ჭარბი ძალების იმდენად სწრაფ და შეუმჩნეველ თავმოყრას, რომ მოწინააღმდეგეს საპასუხო მანევრის განხორციელება ვერ მოესწრო. მაშასადამე, მნიშვნელოვნად იზრდებოდა საფრონტო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის როლიც.

სამშობლომ, რაც შეეძლო, ყველაფერი მისცა ფრონტს. ეს ეხებოდა ადამიანთა რეზერვებსაც და ტექნიკურ აღჭურვილობასაც. მრეწველობა მუშაობდა მთელი სიმძლავრით, მწყობრში დგებოდა სამრეწველო საწარმოები განთავისუფლებულ მიწაზე. შარშანდელი ბრძოლები შეღეგს იძლეოდა. მრეწველობამ მიიღო დონეცკის ქვანახშირი, კრივოი როგის მადანი, ნიკოპოლის მარგანეცი და ბევრი სხვაც.

ორმოცდაათხი წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიის წინ ფრონტის ხაზი 4450 კილომეტრზე იყო გადაჭიმული ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე. ფრონტის ამ ხაზზე ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ისეთი ტექნიკით აღჭურვილი მრავალმი-

ლიონიანი არმიები, რისი მსგავსიც არც ერთ გარდასულ ბრძოლას არ უნახავს.

მოქმედი წითელი არმია თავის რიგებში ექვს-ნახევარ მილიონამდე კაცს ითვლიდა. მისმა საცეცხლე სიმძლავრემ საშინელ ძალას მიაღწია. 83200 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი მზად იყო ცეცხლი გაეხსნა შეტევისათვის გზის გასაწმენდად.

მახსენდება ომამდელი სამხედრო სწავლება კიევისა და ბელორუსიის საბჭოდრო ოლქებში. მაშინ, და მე ამას თამამად ვამბობ, არავის არ შეეძლო ევარაუდა, რომ ომში შეიძლება ამოქმედებულიყო არტილერიის ასეთი ძალები.

წითელ არმიას ჰქონდა დაახლოებით 8000 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, ავიაციის ძალამ 11800 თვითმფრინავს გადააჭარბა.

მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტმა დამპყრობლებმა შეძლეს დროებით წაეგლიჯათ დიდი ტერიტორია, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერისათვის ფაქტიურად მუშაობდა ევროპის მთელი მრეწველობა, მიუხედავად ჩვენი ყველა დანაკარგისა, სამხედრო პირობებში სამრეწველო ბაზის გადანაცვლებისა, ჩვენმა მუშათა კლასმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შეძლო გამოეჭედა გამარჯვების იარაღი და შეექმნა ჩვენი არმიის აღჭურვილობის უპირატესობა გერმანელ ფაშისტთა ბლოკის არმიაზე. ეს იყო საბჭოთა ხალხის უმნიშვნელოვანესი გამარჯვება. მტრის სიმაგრეთა, უძლავრეს სიმაგრეთა იერიშისათვის ჩვენ შიშველი ხელით არ მივდიოდით.

დღეს ბევრი დასავლეთელი სამხედრო ისტორიკოსი, აგრეთვე დამარცხებული გერმანელი გენერლები ყველა ხმაზე გაპყვირიან, რომ 1944 წელს საბჭოთა ჯარების შეტევა მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის ტექნიკური და ცოცხალი ძალების რეზერვთა უდიდესი უპირატესობით...

უდიდესი უპირატესობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ზოგიერთი უპირატესობა ნამდვილად გვქონდა, წითელი არმია მტერს რიცხობრივად კი არ ჯაბნიდა, არამედ საზრიანობით. მსურს ზოგი რამ მოვაგონო ჩემ ყოფილ მოწინააღმდეგეებს, ახლა კი მოწინააღმდეგეებს მსოფლიო ომის ისტორიის ზოგიერთი ფაქტის გაშუქებაში.

განა ორმოცდაერთი წლის შემოტევა, მოულოდნელი და მუხანათური, საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმა რომ გადათელა, შემოჭრილი არმიის მრავალგზისი უპირატესობით არ მიმდინარეობდა?

ჰიტლერმა 1941 წელს თავისი მთავარი დარტყმების მიმართულებებზე შექმნა არტილერიის, ტანკებისა და თვითმფრინავების მრავალგზისი უპირატესობა. მის არმიას ჰქონდა მანევრული ბრძოლის ორი წლის პრაქტიკა.

აქ ჩვენ უკვე აღარ გვესმის დასავლეთელ სამხედრო ისტორიკოსთა და გერმანელ გენერალთა ჩივილი იმაზე, რომ ისინი ასეთი უპირატესობით ომობდნენ. ისინი ამ გარემოებას მიაწერდნენ თავიანთ სამხედრო ხელოვნებას, ჯარებით მანევრირების, ძალებისა და შემტევი საშუალებების კონცენტრირების უნარს.

ჰებელსმა ბევრჯერ განაცხადა, რომ წითელ არმიას ბოლო მოეღო. გერმანულ პრესაში ჩამოთვლილი იყო განადგურებული საბჭოთა შენაერთები, მზადდებოდა გერმანელთა ჯარების აღლუმი წითელ მოედანზე, გადაბუგული სტალინგრადი გერმანიის ისტორიაში ახალი ერის განთიადად იყო გამოცხადებული. ყველაფერი ჩაიფუშა! სადღა პოულობენ ახლა სიტყვებს ჩვენს უპირატესობაზე? ეს უპირატესობა შეიქმნა წარმოუდგენლად ძნელ პირობებში, მთელი საბჭოთა ხალხისა და მისი კომუნისტური პარტიის ჯერარნახული გმირობის შედეგად. ორმოცდაერთსა და ორმოცდაორ წლებში ვინ არ იწინასწარმეტყველა საბჭოთა წყობილების კრახი, მაგრამ ჩვენმა ქვეყანამ გაუძლო, მოღონიერდა და არ დაიშალა ისე, როგორც დაიშალნენ დასავლეთის სახელმწიფოები. ამაშია საბჭოთა წყობილების სიმტკიცე, საბჭოთა სტრატეგიის, საბჭოთა პოლიტიკის გენიალობა.

1944 წელს ჩვენი ექვსნახევარი მილიონი მებრძოლის წინააღმდეგ გერმანელთა კოალიციამ შეძლო გამოეყვანა მხოლოდ ოთხმილიონიანი არმია. დანარჩენი ძალები განადგურდნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ბრძოლებში. ევროპაში ყველაფერი იქნა მობილიზებული, მაგრამ მთელმა მობილიზაციამ, ყველა სამრეწველო საშუალების გამოყენებამ ჰიტლერ-

ელთა სარდლობას საშუალება მისცა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე თავი მოეყარა მხოლოდ 49 ათასი ქვემეხისა და ნაღმსატყორცნისათვის, 5200 მეტი ტანკისა და მოიერიშე ქვემეხისათვის, დაახლოებით 2800 საბრძოლო თვითმფრინავისათვის.

ცხადია, ასეთი ძალებით ჰიტლერელთა არმიას უკვე აღარ შეეძლო განეხორციელებინა სერიოზული შეტევა. ისტორიამ შეუბრალებლად გადაიყვანა იგი თავდამცველი არმიის მდგომარეობაში. მაგრამ ასეთი ძალებით ჯერ კიდევ შეიძლებოდა სერიოზული თავდაცვა.

წმინდა პროფესიული თვალსაზრისით შინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა გერმანელ ჯარისკაცსა და ოფიცერთა უმცროს შემადგენლობაზე. შეტევაში მე ისინი მოკლე დროის განმავლობაში ვნახე, მხოლოდ სტალინგრადში, სტალინგრადში კი ბრძოლები სპეციფიკურ ხასიათს ატარებდა. თავდაცვაში საშუალება მქონდა შემეფასებინა მათი ღირსება. ეს იყო ძლიერი მიწინააღმდეგე, გაწვაფული და შეუპოვარი. გერმანულ არმიაში ჰიტლერისა და ფაშისტური პარტიის ავტორიტეტი ძლიერ დაეცა. მაგრამ რჩებოდა ფიცისადმი ერთგულება და იმის შეგნება, რომ ახლა უკვე მათ ქვეყანას ემუქრებოდა საშინელი საფრთხე, არა მგონია, რომ 1944 წელს გერმანელთა არმიაში ვინმეს სერიოზულად სჯეროდა ჰიტლერის გენიისა და მის მიერ აღთქმული სასწაულისა. მაგრამ არც ჰებელსის პროპაგანდისტული ილეთები იყო საჭირო გერმანელი ჯარისკაცის „გასამხნევებლად". გერმანელი ჯარისკაცი ჩვენს მიწაზე ჩადენილი დანაშაულისათვის განკითხვის შიშით მთელი ენერგიით იბრძოდა, ავლენდა ყველაფერს, რისი უნარიც შესწევდა. თავდაცვას თავისი დამახასიათებელი თვისებები აქვს. თავდაცვაში, თუ უნარი შეგწევს, შეიძლება ნაკლები ძალებით იბრძოლო. ასე რომ, მოპოვებული უპირატესობის რეალიზაციისათვის ჩვენ საომარი ძალების უდიდესი დაძაბვა გველოდა.

ახლა ჩვენთვის ცნობილია მთავარბანაკის გეგმები 1944 წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიისათვის. მაშინ კი ჩვენ ამ გეგმების შესახებ ბევრი იმ ნიშნით ვხვდებოდით, რომლებსაც სამხედრო კაცს შეუძლია ბევრი რამ დაანახოს. პირველ ყოვ-

ლისა, ფრონტის ხაზის შესახებ. სწორედ ფრონტის ხაზის მოხაზულობიდან გამომდინარე სახავდა სამომავლო გეგმებს მთავარბანაკი, რომლის მიზანი ორმოცდაოთხის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩვენი მიწა-წყლის დამპყრობთაგან მთლიანად განთავისუფლება და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გასვლა იყო.

ფრონტის ხაზმა იმ დროს მდინარე პრიპიატის ჩრდილოეთით, ჩვენს მხარეზე შვერილი წარმოქმნა. მდინარე პრიპიატის სამხრეთით ღრმად შეეიპერით მტრის განლაგებაში. ჩრდილოეთის შვერილს გერმანელებმა „ბელორუსიის აივანი" უწოდეს. იგი იცავდა ვარშავისაკენ, პირდაპირი მიმართულებით კი — ბერლინისაკენ მიმავალ გზას.

ამ „აივანზე" გერმანელთა სარდლობას შეეძლო თავი მოეყარა ძალებისათვის აღმოსავლეთ პრუსიაზე გამიზნული ჩვენი ჯარებისათვის დარტყმების მისაყენებლად. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ლვოვისა და უნგრეთის მიმართულებით განვავითარებდით შეტევას, ჩვენს ჯარებს მოელოდა დარტყმები ფლანგსა და ზურგში სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. აქ განლაგებული იყო აეროდრომები, საიდანაც ჰიტლერელთა ავიაციას შეეძლო განეხორციელებინა თავდასხმები მოსკოვზე. ეს იყო უკანასკნელი საამისოდ გამოსადეგი აეროდრომები.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის დირექტივებით 17 აპრილს შეწყვიტეს შეტევითი მოქმედება და თავდაცვაზე გადავიდნენ: ბელორუსიის პირველი და უკრაინის პირველი ფრონტები; 18 აპრილს — ბალტიისპირეთის მე-3, ბელორუსიის მე-2 და მე-3; 6 მაისს კი თავდაცვაზე გადავიდნენ უკრაინის მე-2 და მე-3 ფრონტები. დნესტრის დასავლეთ ნაპირზე პუგაჩენ-შერპენის პლაცდარმისათვის ბრძოლა, რომელსაც მე-8 გვარდიული არმია აწარმოებდა, ასე ვთქვათ, ბარენცის ზღვიდან შავი ზღვის ნაპირამდე ოთხიათას კილომეტრზე მეტ მანძილზე გადაჭიმულ საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელ ფრონტზე ჩამოვარდნილი სიჩუმის წინ უკანასკნელი ბრძოლა იყო.

ამჯერად ფაშისტთა სარდლობას არა ჰქონდა სტრატეგიული ინიციატივისათვის ბრძოლის შესაძლებლობა, როგორც ერთი წლის წინათ, კურსკის მისადგომებთან გააჩნდა. სტალინ-

გრადთან გამარჯვების შედეგად წითელმა არმიამ კურსკთან მკვეთრად შეცვალა ომის მსვლელობა. ჩვენმა შეტევებმა ორმოცდასამი წლის შემოდგომასა და ზამთარში და ორმოცდაოთხის ზამთარსა და გაზაფხულზე დღის წესრიგში დააყენა მტრის მთლიანად განადგურების ამოცანა. ომი თავის ლოგიკურ დასასრულს უახლოვდებოდა.

ორმოცდაერთ წელს ფაშისტთა ჯარები ფრონტის მთელ განფენილობაზე აწარმოებდნენ შეტევას. ორმოცდაოთხის ზაფხულში შეტევითი ოპერაციების ზოლი მნიშვნელოვნად შეიწროვდა. ჰიტლერელთა სარდლობამ შეტევის გაშლა შეძლო მხოლოდ ქვეყნის სამხრეთისაკენ, სტალინგრადისა და კავკასიის მიმართულებით. ორმოცდასამ წელს დარტყმის ზოლი კიდევ უფრო შეიწროვდა. ეს შემოტევა მოგერიებული იქნა კურსკთან. ორმოცდაოთხი წლის ზაფხულის კამპანიისათვის ფაშისტთა ჯარების შემოტევა მოსალოდნელი არ იყო. აგრესორის არმია, თავდამსხმელთა არმია, რომელიც ნაწილობრივ დაკავებულ ტერიტორიაზე დამპყრობლური გეგმებით მოქმედებდა, თავდაცვაზე გადადიოდა. ომების ისტორიაში ვერ შეხვდებით ისეთ მაგალითს, რომ თავდაცვას ნაწილობრივ დაპყრობილ ტერიტორიაზე დამპყრობთა არმიისათვის გამარჯვება მოეტანოს. ახლა ბევრი დოკუმენტიდან ცნობილია, რომ ჰიტლერელთა სამხედრო სარდლობას ორმოცდაოთხში დამარცხების თავიდან აცილების იმედი არ ჰქონდა. ჰიტლერი და მისი დამქაშები მთელ იმედს ომის გაჭიანურების შესაძლებლობაზე ამყარებდნენ და კატასტროფიდან გამოსავალს პოლიტიკურ ასპექტში ეძებდნენ. საინტერესოა გენერალ-ფელდმარშალ ვ. კაიტელის ზოგიერთი პასუხი დაკითხვაზე, რომელიც საბჭოთა ოფიცრების ჯგუფმა ჩაატარა 1945 წლის 17 ივნისს ქალაქ ნიურნბერგში.

გენერალ-ფელდმარშალ ვ. კაიტელს ერთ-ერთი უმაღლესი პოსტი ეკავა ვერმახტში. იგი უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსი იყო.

კ ი თ ხ ვ ა. ბქვენთვის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსისათვის, როდის გახდა ნათელი, რომ გერმანიისათვის ომი წაგებულია?

პ ა ს უ ხ ი. მდგომარეობა რომ უხეშად შევაფასოთ, შეიძ-ლია ვთქვა, ეს ფაქტი ჩემთვის ნათელი გახდა 1944 წლის ზაფხულისათვის.

ვ. კაიტელმა დაუმატა: „1944 წლის ზაფხულიდან მივხვდი, რომ სამხედროებმა უკვე თქვეს თავიანთი სიტყვა და არ შეუძლიათ გადამწყვეტი ზემოქმედების მოხდენა — აქ სიტყვა პოლიტიკას ეკუთვნოდა...“

უბრალოდ რომ ვთქვათ, ჰიტლერელთა სარდლობა იმედს ამყარებდა ანტიფაშისტური კოალიციის შიგნით შესაძლებელ შეჯახებაზე, რომელიმე, შეიძლება სრულიად მოულოდნელი, გარემოების ზემოქმედებით მის შესაძლებელ დაშლაზე.

ცნობილია, რომ გერმანელთა ჯგუფმა, იმისათვის, რომ ჩვენი მოკავშირეების მთავრობათა გარკვეული წრეებისათვის შეემსუბუქებინა მოლაპარაკების დაწყება სეპარატული ზავის შესახებ, ჰიტლერის მოშორებაც კი სცადა. შეთქმულების დეტალები ომის შემდეგ გახდა ცნობილი, მაგრამ ჰიტლერზე თავდასხმის ფაქტი ჩვენ გავიგეთ უშუალოდ მას შემდეგ, როცა მის ბუნკერში ბომბი აფეთქდა. მაშინ არც ერთი ჩვენგანი არ თელიდა, რომ ჰიტლერის მოშორება შვებას მოგვიტანდა. მხოლოდ საკუთარი ძალების იმედი უნდა გვქონოდა. სწორედ ამ ძალების გათვალისწინებით იგეგმებოდა ორმოცდაოთხი წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანია. ამოცანა ნათელი იყო. რაც შეიძლება მალე გაგვეთავისუფლებინა საბჭოთა მიწა-წყალი დამპყრობლებისაგან, გაგვეთავისუფლებინა ფაშისტთა უღლისაგან მილიონობით საბჭოთა ადამიანი, მთლიანად გაგვენადგურებინა აგრესორი. მაშინ კარგად გვესმოდა, რომ ყოველგვარი დაყოვნება ჰიტლერისა და მისი დამქაშებისათვის ხელის შეწყობა იქნებოდა.

უმაღლესი მთავარსარდლის საპირველმაისო ბრძანებაში საკმაოდ სრულად იყო ჩამოყალიბებული ორმოცდაოთხი წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიის საერთო მიზნები. ბრძანებაში ნათქვამი იყო: „გავწმინდოთ ფაშისტი დამპყრობლებისაგან მთელი ჩვენი მიწა და აღვადგინოთ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვრები მთელ ხაზზე, შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე... გერმანელთა მონობიდან ვიხსნათ ჩვენი ძმები პო-

ლონელები, ჩეხოსლოვაკები და ჰიტლერული გერმანიის უღელქვეშ მყოფი დასავლეთ ევროპის სხვა ჩვენი მოკავშირე ხალხები“.

ამ ამოცანებს რომ აკონკრეტებდა და სამხედრო სიბრტყეში გადაჰქონდა, უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა შეიმუშავა შეტევითი ოპერაციების გეგმები.

ჯერ კიდევ გაზაფხულზე ფრონტის ხაზის ჩვენთვის არახელსაყრელი მოხაზულობა წარმოიქმნა სმოლენსკ-მინსკის მიმართულებით. ჩვენს მხარეზე, მდინარე პრიპიატის ჩრდილოეთით შემოჭრილი იყო შვერილი. მტერი სწორედ აქ იყო ყველაზე ახლოს მოსკოვთან. წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიაში პირველ ადგილზე წამოიწია „ბელორუსიის აივანზე“ ფაშისტთა ჯარების უმსხვილესი დაჯგუფებების, „ცენტრისა“ და „ჩრდილოეთ უკრაინის“ არმიების ჯგუფთა განადგურების ამოცანამ.

ჩემი მიზანი არ არის ბელორუსიისათვის ბრძოლის ყველა ეტაპის აღწერა, მსურს აღვნიშნო მხოლოდ ჩვენი ახალი ფართო შეტევის ერთი დამახასიათებელი თავისებურება. დარტყმები წარმოებდა რამდენიმე ფრონტზე ერთდროულად. ამით ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლობა ჰიტლერელებს უსპობდა თავდაცვაში განლაგებული რეზერვებითა და ჯარების მანევრირების საშუალებას. სხვადასხვა ფრონტზე ტალღებივით მოზღვავებულმა დარტყმების სერიამ გამოიწვია ის, რომ ჰიტლერელთა სარდლობამ უცებ ვერ განსაზღვრა, თუ სად მიაყენებდა წითელი არმია მის ძალებს ძირითად დარტყმას.

აპრილის ბოლოსა და მაისის დასაწყისის პაუზა ჩვენმა სარდლობამ აქტიურად გამოიყენა შეტევის მოსამზადებლად.

1944 წლის გრანდიოზული ბრძოლები 10 ივნისს ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი შეტევით დაიწყო. 21 ივნისს შეტევაზე გადავიდა კარელიის ფრონტი, 23 ივნისს კი დაიწყო ბრძოლები ბელორუსიისათვის. ბრძოლაში ყოველ საათს ებმებოდნენ უფრო და უფრო მსხვილი ძალები. მიუხედავად მტრის ცდისა, შეემუღროვებინა თავდაცვა, ჩვენი ჯარები მას ყველა მიმართულებით არღვევდნენ.

შეტევა დაიწყო ბალტიისპირეთის პირველმა ფრონტმა გე-

ნერალ ი. ს. ბაგრამიანის სარდლობით. მას მიჰყვნენ გენერალ ი. დ. ჩერნიახოვსკის ბელორუსიის მე-3 ფრონტისა და გენერალ გ. ფ. ზახაროვის ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარები. სამი ფრონტის სახმელეთო ჯარების მოქმედებას მხარს უბამდა გენერლების — ნ. ფ. პაპავინის, ტ. ტ. ხრიუკინისა და კ. ა. ვერშინინის სამი საჰაერო არმია. გააფთრებულ და მასობრივ საჰაერო ბრძოლებში ჩვენმა მფრინავებმა ჰაერში სრული ბატონობა მოიპოვეს.

24 ივნისს შეტევაზე გადავიდა ბელორუსიის პირველი ფრონტი გენერალ კ. კ. როკოსოვსკის სარდლობით. 29 ივნისს კ. კ. როკოსოვსკის მიენიჭა საბჭოთა კავშირის მარშლის წოდება.

გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა ვიტებსკთან, ორშასა და ბობრუისკთან, ბერეზინზე გადასასვლელებთან. უტევდნენ ოთხი ფრონტის ჯარები. მათ შეტევაში ეხმარებოდა რამდენიმე საჰაერო არმია. მარტო ბობრუისკთან, ბერეზინზე გადასვლისას მე-16 საჰაერო არმიის სარდალმა გენერალმა ს. ი. რუდენკომ ბრძოლაში ჩაბა 400 ბომბდამშენი, რომლებსაც იცავდა 126 გამანადგურებელი. დგებოდა ჰიტლერულ გერმანიაზე სრული და დამაჯერებელი გამარჯვების განთიადი...

როგორ შეიცვალა ყველაფერი!.. ორმოცდაერთი წლის ამავე თვეებში, მუხანათური თავდასხმის, ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დროებითს უპირატესობას რომ იყენებდნენ, ჰიტლერელები ამავე მიწებზე გავლით მოიწევდნენ წინ. ახლა ჩვენ ვუტევდით მძლავრ მოწინააღმდეგეს და ვანადგურებდით მას, ვერეკებოდით, ვსპობდით...

4 ივლისს ბელორუსიაში დამთავრდა გრანდიოზული ბრძოლების პირველი ეტაპი. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ცენტრი ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს 400 კილომეტრის განფენილობით. შესაძლებლობა მოგვეცა სწრაფად წავსულიყავით წინ ჩვენი სამშობლოს საზღვრებისაკენ.

ასეთი იყო ზოგადად ვითარება იმ დღეებში, როცა მე-8 გვარდიული არმია ბელორუსიის პირველი ფრონტის შემადგენლობას შეუერთდა, რომ გაეძლიერებინა დარტყმა, რომელიც ივნისის 20-იან რიცხვებში დაიწყო.

800 კილომეტრი მანძილის გავლას მანქანით ორ დღეზე ნაკლები მოვანდომეთ. 15 ივნისს მე, არმიის სამხედრო საბჭოს წევრი ა. ა. პრონინი და არტილერიის სარდალი ნ. მ. პოჟარსკი ქალაქ კოროსტენის დასავლეთით მდებარე ტყეში განლაგებულ ფრონტის შტაბში გამოვცსადდით.

იმ დროს ფრონტის სარდალი, როგორც ვთქვი კ. კ. როკოსოვსკი იყო, ფრონტის შტაბის უფროსი კი — გენერალი მ. ს. მალინინი. როკოსოვსკი იმ დღეს ფრონტის შტაბში ვერ ვნახეთ, იგი მდინარე პრიპიატის ჩრდილოეთით განლაგებულ ფრონტის მარჯვენა ფლანგის ჯარებში იყო წასული. გენერალმა მ. ს. მალინინმა მიგვიღო, დაბალი ტანის, მრგვალსახიანმა, დარბაისელმა კაცმა. უახლოეს ამოცანაში გაგვარკვია და გვირჩია სარდლის მოსვლამდე გავმგზავრებულიყავით არმიის თავმოყრის რაიონში.

მისი ფანქარი რუკაზე ამოძრავდა და ჩვენი მარშრუტი მოხაზა; იგი წუთით ჩაფიქრდა.

— რასაკვირველია, ბანდეროველები არმიისათვის საშიშროებას არ წარმოადგენდნენ... მაგრამ ამ ტყეებში უფროს მეთაურთა მოძრაობისას ისინი საშიშნი არიან! სიფრთხილეა საჭირო! უდაბური ტყეებია, არის ადგილები — ბანდიტთა თავშესაფარი! — გაგვაფრთხილა.

მალინინი რუკაზე გვიჩვენებდა სწორედ იმ ტყეებს, სადაც არმიის ჯარებს უნდა მოეყარათ თავი.

ჩვენ კოროსტენ-სარნის რკინიგზის გასწვრივ გავუყევით გზას. უდაბური, თითქმის გაუვალი ტყეები. მკვეთრი სხვაობა უკრაინის უკიდეგანო ველებთან შედარებით. ამ ადგილებს ჯერ კიდევ ომამდე ვიცნობდი. აქ ვმსახურობდი. გერმანელებს ყოველი სადგური გამაგრებულ ცენტრად ჰქონდათ ქცეული. სადგურის ირგვლივ ტყე გაეჩეხათ, გაეკაფათ ზოლები, აეგოთ ხე-მიწისა და ბეტონის საცეცხლე წერტილები. აქ დიდხანს დასარჩენად ემზადებოდნენ, მაგრამ თავს მაინც მოუსვენრად გრძნობდნენ. აგვიხსნეს, რომ ეს სიმაგრენი სადგურის ირგვლივ პარტიზანთა წინააღმდეგ შენდებოდა. შესაძლებელია... მაგრამ ეს

გამაგრებული რაიონები ჩვენი შეტევის შემთხვევაში თავდაცვის თვალსაზრისითაც იყო განლაგებული. დასაყრდენი პუნქტების მიხედვით ასეთი სახის თავდაცვით სისტემას უკრაინაშიც შევხვდით.

სადგურ რაფალუვკამდე, რომლის მახლობლადაც არმიის შტაბი უნდა დაბანაკებულიყო, მშვიდობით ვიმგზავრეთ, თუმცა ფხვიერ ქვიშაში გამავალ გზაზე საკმაოდ ვულაპეთ მტვერი. მალე არმიის შტაბის პირველ ეშელონს შევხვდით. ჩამოტვირთვის შემდეგ შტაბი სწრაფად გაიშალა ტყეში და მუშაობას შეუდგა.

სწრაფადვე ჩავატარეთ არმიის თავმოყრის რაიონის საავიაციო დაზვერვა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩამოტვირთვის სადგურიდან ჯარების სწრაფ დაშორებასა და მათს საიმედოდ შენიღბვას.

ეშელონები იცლებოდა რაფალუვკის, გალის, ანტონუეკის, ტუტოვიჩისა და სარნის სადგურებში. შენაერთებისა და ნაწილების უფროსებმა მიიღეს მითითება, ჯარები და ტექნიკა გადაეყვანათ და გადაეადგილებინათ მხოლოდ ღამით, მკაცრად დაეცვათ შემნიღბავი ღონისძიებანი. შტაბსა და ზურგის უფროსს უნდა უზრუნველეყოთ რეგულირების სამსახურის ზუსტი მუშაობა. გზაჯვარედინებზე ეწყობოდა საკონტროლო საგუშაგოები, რომელთაც სათავეში ედგნენ არმიის შტაბის ოფიცრები. მათი ამოცანა იყო ადგილზე ედევნებინათ თვალყური ღამის მარშის დისციპლინისათვის. ჯარები ტყეში ბანაკდებოდნენ და საგულისგულოდ ინიღბებოდნენ. ავკრძალეთ მდინარეებსა და ტბებში ღია ადგილებზე ბანაობა და სარეცხის რეცხვა. მთელი მარშრუტის სიგრძესა და თავმოყრის რაიონში მუხლუხების კვალს საგულისგულოდ ვფარავდით. განსაკუთრებული განკარგულების მიღებამდე ავკრძალეთ ყოველგვარი რადიოკავშირი. რადიოსადგურები დავლუქეთ. სამავთულო საშუალებებით საუბარი სწარმოებდა შიფრისა და კოდის მეშვეობით.

ჩვენ კარგად გვახსოვდა ა. ს. მალინინის გაფრთხილება ბანდეროველთა შესახებ. ამიტომ, პირველ რიგში, საგულისგულოდ გადავჩხრიკეთ ტყეები, შევამოწმეთ სოფლების მოსახლეობა.

ომაში დაგეხმარნენ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები. ჩვენ თავი უნდა უნებელგვეყო როგორც მსტოვრების, ასევე დივერსანტებისაგან, რადგან უამისოდ არმიის შენიღბვის ყველა ღონისძიება უაზრობა იქნებოდა. მშვიდი ცხოვრების იმედი არავის ჰქონდა. იმ დღეებში ზიმდინარეობდა ბელორუსიისათვის ბრძოლის უკანასკნელი სამზადისი, ჩვენს არმიას კი უნდა მიეღო შევსებაც და ესწავლა კიდეც, ესწავლა ქვეყნის სამხრეთის პირობებისაგან მკვეთრად განსხვავებულ ახალ პირობებში ახალი შეტევის წინ.

არმიის სამხედრო საბჭომ ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები პოლიტმუშაკებთან. მათ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ ახალი ამოცანების გადასაჭრელად არმიის პირადი შემადგენლობის ყოველმხრივ მომზადებაში.

პოლიტმუშაკი მოვალე იყო პირველ რიგში ეფიქრა ადამიანზე, ჯარისკაცზე, ახალი ბრძოლებისათვის მის მორალურ და პოლიტიკურ მომზადებაზე.

მეთაურები და პოლიტმუშაკები მებრძოლებს უხსნიდნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შექმნილ ვითარებას, ორგანიზაციას უკეთებდნენ საბრძოლო გამოცდილების გაზიარებას, ატარებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

მთავარი დარტყმის მიმართულებით ჩვენი არმიის გადაჯგუფება ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას დაემთხვა. 6 ივნისს მოკავშირეთა ჯარები გადასხდნენ ნორმანდიაში. უნდა აღვნიშნო, რომ ამ მოვლენას ფრონტელებზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ყველაზე ძნელი ეტაპი უკვე განვლილი იყო. ეს ესმოდა ყველას. მახსოვს, როგორ ელოდნენ მებრძოლები მეორე ფრონტის გახსნას ორმოცდაორი წლის შემოდგომაზე, როცა ფაშისტური არმიები კავკასიისაკენ მიიწევდნენ, როცა სტალინგრადის ჩრდილოეთით ჩვენი მებრძოლები უშუალოდ ორმოცდაათ კილომეტრიანი მარშის შემდეგ უტევდნენ ჰიტლერელთა სიმაგრეებს. მეორე ფრონტის გახსნას ელოდნენ ორმოცდასამი წლის ზაფხულში, როცა ჩაღდებოდა ბრძოლები კურსკის მისადგომებთან და ჰიტლერს ბრძოლაში სულ ახალ-ახალი დივიზიები შემოჰყავდა. იმ ზაფხულს ჩვენმა მე-8 გვარ-

დიულმა არმიამ ჰიტლერელებს შეუტია ჩრდილო დონეცის მიმართულებით და დონბასის კარიბჭეს მიუკაკუნა. ვხედავდით, როგორ შემოჰყავდა ჰიტლერელთა სარდლობას ბრძოლაში ახალი რეზერვები და ველოდით... ველოდით, რომ აი, ახლა, ახლა ალაპარაკდებიან ქვემეხები დასავლეთ ევროპის სანაპიროზე...

ამბობენ, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. უეჭველია, საფრანგეთში ინგლის-ამერიკის დესანტების გადასხმის პირველივე დღეებიდან ჰიტლერული გერმანიის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გართულდა. მაგრამ უნდა გვსომებოდა, რომ მოკავშირეთა რიგებში ჩვენდამი მტრულად განწყობილი ძალებიც მოქმედებდნენ. დასავლეთის სახელმწიფოთა მმართველი წრეების ზოგიერთ წარმომადგენელსა და ჰიტლერელთა შორის მსხვილანგარიშიანი საიდუმლო დიპლომატიური თამაში გაჩაღდა. ჩვენ ზურგს უკან მოღალატური შეთქმულება იყო მოსალოდნელი.

ყველას კარგად ესმოდა, რომ ახლა ჩვენი ტერიტორიიდან მტრის განდევნა და ომის გამარჯვებით დამთავრება მეორე ფრონტის გარეშეც შეგვეძლო, მაგრამ მოვლენებს ერთმანეთში როდი ვურეედით. ერთი საქმეა — სხვადასხვა ქვეყნის მმართველი წრეები, ხოლო მეორე — ჯარისკაცი. ...ფრონტელები ინტერესითა და თანავრძნობით ადევნებდნენ თვალყურს ნორმანდიის სანაპიროზე გაჩაღებულ ბრძოლებს. ყველას შეგნებული ჰქონდა, რომ რაც უფრო ეფექტური იქნებოდა ჩვენი შეტევა, მით უფრო შეუმსუბუქდებოდათ მდგომარეობა ჩვენს მოკავშირეებს.

განსაკუთრებით დიდი სამუშაოს ჩატარება უხდებოდათ პოლიტმუშაკებს არმიაში ახალი შევსების მიღებისას. ისინი აწყობდნენ ახალგაზრდობის შეხვედრებს სახელგანთქმულ მეომრებთან, სახელმოხვეჭილ სნაიპერებთან, არტილერისტებთან, მეტყვიამფრქვევეებთან, ტანკისტებთან. ახალგაზრდობა დიდი ინტერესით ისმენდა ვეტერანთა ნაამბობს ბრძოლებსა და გმირობაზე, სტალინგრადისათვის ბრძოლაზე, უკრაინაში ბრძოლებზე, მტრის ჩეევებსა და ხრიკებზე, მის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, სწავლობდა ბრძოლებში გამომუშავებულ და ნაცად ხერხებს.

მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში მონაწილეობდა ყველა ოფიცერი, ყველა ნაცადი მეომარი — ჯარისკაციდან გენერალამდე.

ჯარების სწავლების დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ტყიან ადგილებში ბრძოლის ცოდნას, ამგვარ პირობებში დაზვერვის ჩატარების, ნაზღვავის, მგლის ორმოებისა და ნაღმებისაგან გზებისა და ბილიკების გაწმენდის უნარს. ამ დროისათვის გერმანელთა სარდლობამ ფართოდ დაიწყო ნაღმების გამოყენება.

ნაღმი თავისთავად, რასაკვირველია, თავდაცვითი იარაღია. ნაღმებს გერმანელები ადრეც იყენებდნენ. მაგრამ ახლა, როცა დაინახეს, რომ დამარცხება გარდუვალად ახლოვდება, გერმანელი მესანგრენი ნაღმებს აყენებდნენ არა მარტო იქ, სადაც მათ შეეძლოთ შეტევისათვის შეეშალათ ხელი. აყენებდნენ ნაღმ-ხაფანგებს ცოცხალი ძალის გასანადგურებლად და უფრო შორეული მიზნითაც... ომის შემდგომ პერიოდში მშვიდობიანი მოსახლეობის დაზიანების მიზნით...

უკრაინაში ბევრი სიძნელის გადატანა მოგვიხდა. მე-8 გვარდიული არმიის ვეტერანებს განსაკუთრებით დაამახსოვრდათ უგზოობა ორმოცდასამი-ორმოცდაოთხი წლის თოვლ-ყუაპიან ზამთარში, შავი ზღვისპირეთის ლიმანები, რომელთა ფორსირებაც გაზაფხულის წყალდიდობისას მოგვიხდა. მაგრამ ვრცელი ჭაობები, განსაკუთრებით ტორფიანი ჭაობები, იქ არ შეგვხვედრია. დაჭაობებულ ტყეებში, რომელნიც ამასთან ერთად დაჭაობებულ ნაპირიანი ურიცხვი პატარ-პატარა მდინარეებით არის დასერილი, სამხედრო მოქმედება განსაკუთრებულ ჩვევებს მოითხოვს. საჭირო იყო გვესწავლა ჭანჭრობზე ფიჩხყრილების გადება, ხეებზე მეთვალყურე-მზვერავთათვის მოწყობილი ბუდეების საგულდაგულოდ შენიღბვა. აქ ნაწილობრივ გამომადგა თეთრფინელებთან ომში მიღებული გამოცდილება.

ამავე დროს არმიის დაზვერვასაც მთელი დატვირთვით, ახალ პირობებში ყოველგვარი შეღავათის გარეშე უნდა ემუშავა. მოწინააღმდეგის შესახებ რაც შეიძლება ბევრი რამ უნდა გვცოდნოდა.

ასე გახდა ცნობილი ფრონტის სარდლობისათვის, რომ ივ-

ლისის შუა რიცხვებში ჰიტლერელებმა ბელორუსიაში გადაისროლეს ფრონტის სხვა უბნებიდან მოხსნილი ოცზე მეტი დივიზია. მიუხედავად ამისა, ჩვენმა ჯარებმა, მოწინააღმდეგის მინსკის დაჯგუფების მოსპობა რომ დაამთავრეს, წარმატებით განავითარეს შეტევა და გავიდნენ ვილნიუს-გროდნო-ვოლკოვისკის ზღუდეზე. მართალია, ასეთმა სწრაფმა და ღრმა წინსვლამ დიდ მანძილზე გაჭიმა კომუნიკაციები, გაართულა მომარაგება, გადაღალა ჯარები. საჭირო იყო შესვენება. მაგრამ მარჯვენა ფლანგზე რომ აყოვნებდა შეტევას, ფრონტის სარდლობა შეტევას ამზადებდა მარცხენა ფლანგზე. ამ მიზნით პოლესიეს სამხრეთით, ლიუბლინის მიმართულებით რამდენიმე საერთო საჯარისო არმიისა და მსხვილი მოძრავი შენაერთებისაგან შეიქმნა ჯარების დამრტყმელი დაჯგუფება. დამრტყმელ დაჯგუფებაში შევიდნენ: 47-ე, მე-8 გვარდიული და 69-ე არმიები. მეორე ეშელონში იდგა პოლონეთის პირველი არმია. კოველის რაიონში თავმოყრილი იყო აგრეთვე მე-2 სატანკო არმია, მე-11 სატანკო, კავალერიის მე-2 და მე-7 გვარდიული კორპუსები. დამრტყმელი დაჯგუფების მოქმედებას ჰაერიდან უზრუნველყოფდა მე-6 საჰაერო არმია.

47-ე არმიას გენერალ-ლეიტენანტი ნ. ი. გუსევის სარდლობით, მე-8 გვარდიულსა და 69-ს გენერალ-ლეიტენანტ ვ. ი. კოლპაჩის სარდლობით დაეევალა გაერღვია მტრის თავდაცვა კოველის დასავლეთით. გარღვევას რომ განახორციელებდნენ, საერთო საჯარისო არმიებს უნდა უზრუნველეყოთ ბრძოლაში გენერალ ს. ი. ბოგდანოვის მე-2 სატანკო არმიისა და კავალერიის მე-2 და მე-7 გვარდიული კორპუსების ჩაბმა, რომელთაც შესაბამისად მეთაურობდნენ გენერლები: ვ. ვ. კრიუკოვი და მ. პ. კონსტანტინოვი, და მათთან ურთიერთმოქმედებით ეანეევითარებინათ შეტევა სედლცესა და ლიუბლინზე, ვისლაზე შემდგომი გასვლით.

დამრტყმელი დაჯგუფების პირისპირ იდგა „ჩრდილოეთ უკრაინის“ არმიის ჯგუფის მე-4 სატანკო არმია. იგი შედგებოდა მე-8 და 42-ე არმიული და 56-ე სატანკო კორპუსებისაგან. ივლისის დასაწყისში ფაშისტებმა ჩვენი მხრიდან ყოველგვარი დაწოლის გარეშე დატოვეს კოველის შეერილი, რომელიც ჩვე-

ნი თავდაცვის სიღრმეში იყო შემოჭრილი. ამით მათ თავიანთი ფრონტი შეამჭიდროვეს.

მტერმა მოასწრო შეექმნა თავდაცვის სამი ზოლი. პირველი, ექვს კილომეტრამდე სიღრმისა, მოწყობილი იყო ერთმანეთთან დაკავშირებული სრული პროფილის სანგრებით. წინა ხაზი მოწინააღმდეგეს დაცული ჰქონდა დანაღმული მინდვრებითა და ორ-სამ სოლიანი მავთულხლართების წინაღობით. მის განკარგულებაში იყო სიმაღლეები, რომელთაგან ზოგს გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა და საშუალებას იძლეოდა საკმაო სიღრმეზე დაეზვერათ ჩვენი პოზიციები. სიმაღლეები მომზადებული იყო წრიული თავდაცვისათვის და ერთმანეთთან საცეცხლე სისტემებით დაკავშირებულ დასაყრდენ პუნქტებს წარმოადგენდა. მტერმა ჩვენს მიერ დაგეგმილი გარღვევის უბნის ფლანგებზე მდებარე დასახლებული პუნქტები — მაცეიუვი და ტორგოვიშე მძლავრ დასაყრდენ პუნქტებად აქცია. აქედან დაშენილი გვერდითი ცეცხლი მტრის წინა ხაზის მისადგომებს იცავდა.

თავდაცვის მეორე ზოლი ჰიტლერელებმა მდინარე პლისკას დასავლეთ ნაპირზე შექმნეს — პირველი ზოლის წინა ხაზიდან 12 კილომეტრის დაშორებით. აქ გათხარეს, ერთი, ზოგან კი ორ-ორი სანგარი, მაგრამ ჩვენთვის მთავარი დაბრკოლება მაინც ეს პატარა, მაგრამ მეტად დაჭაობებულ ჭალიანი მდინარე იყო.

მესამე, არმიის თავდაცვთი ზოლი გასდევდა მდინარე დასავლეთ ბუგის დასავლეთ ნაპირს, მეორე ზოლიდან 35 კილომეტრის დაშორებით. იგი შედგებოდა წინააღმდეგობის კვანძებისა და საყრდენი პუნქტებისაგან, რომელთა შიგნითაც სანგრები იყო. ძელმიწურებს შორის საცეცხლე კავშირი იყო დამყარებული. ფრონტიდან და ფლანგებიდან ბევრ საყრდენ პუნქტს ღობურები იცავდა.

ამგვარად, მოწინააღმდეგის მიერ საინჟინრო თვალსაზრისით მომზადებული თავდაცვის საერთო სიღრმე 50-60 კილომეტრამდე აღწევდა. გარდა ამისა, მტერი სასწრაფოდ აშენებდა კიდევ ერთ ზღუდეს — მდინარე ვისლაზე. მაგრამ ფაშისტებს უკვე აღარ შეეძლოთ ყველა ამ ზღუდეზე ჰყოლოდათ ჯარები,

მით უმეტეს ვისლას ზღუდეზე, რომელიც წინა ხაზიდან 200-ზე მეტი კილომეტრით იყო დაშორებული. მტრის ჯარებს ეკავათ მხოლოდ მთავარი და ნაწილობრივ მეორე ზოლი. საარმიო ზოლი ცარიელი იყო. ვარაუდობდნენ, რომ ამ ზოლს დაიკავებდნენ უკან დახეული ჯარები ან დასახმარებლად მოსული რეზერვები.

გერმანელ-ფაშისტთა სარდლობის მიზნები გასაგები იყო: მას სურდა წელში გაეტეხა და დაეუძლურებინა შეტევაზე გადასული საბჭოთა ჯარები, შეეჩერებინა მათი წინსვლა თავდაცვის მესამე ზოლში, უკიდურეს შემთხვევაში, ვისლას ზღუდეზე. მეტის იმედი ჰიტლერელებს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ: ჯარების მოხერხებული გადაჯგუფებით შექმნილ ძალთა თანაფარდობაში ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო. დამრტყმელი დაჯგუფება მის პირისპირ მდგარ გერმანელთა ჯარებს სჭარბობდა ადამიანების მხრივ — სამჯერ, არტილერიითა და ტანკებით — ხუთჯერ. მე-6 საჰაერო არმიას ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ ფ. პ. პოლინინის სარდლობით 1465 თვითმფრინავი ჰქონდა. ძალის ასეთი უპირატესობის მიღწევა ადვილი როდი იყო. ათასზე მეტი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი საბრძოლო მასალასთან ერთად აქ სწრაფად და მალულად გადმოისროლეს ასეული კილომეტრით ფრონტს დაშორებული სხვა უბნებიდან. საბჭოთა სარდლობა ისწრაფოდა მაქსიმალურად გამოეყენებინა არტილერიის მობილურობა და მანევრულობა, მისი დარტყმის სიმძლავრე და ამით მრავალი ათასი ჯარისკაცის სიცოცხლე გადაერჩინა.

ჩვენ საგულისგულოდ ვსწავლობდით მე-8 გვარდიული არმიის საბრძოლო მოქმედების რაიონსაც. რთული და ძნელი იყო იგი შეტევისათვის. დაჭაობებული ტყეებით დაფარული დაბლობი, რომელსაც ურიცხვი პატარა-პატარა მდინარე და ჭაობ-საშრობი არხი სერავდა, მანევრს ზღუდავდა. ჩვენ უნდა გადაგველახა დასავლეთი ბუგი, რომლის დაკლაკნილი კალაპოტის სიგანე 80 მეტრი იყო, სიღრმე კი — 2—4 მეტრი. ფეხის ყოველ ნაბიჯზე სიძნელეს ვაწყდებოდით. ისეთ პატარა მდინარესაც კი, როგორიც პლისკაა, თავისი დაჭაობებული ნაპირებით ჩვენთვის დიდი უსიამოვნების მოყენება შეეძლო. გზები

ცოტა იყო, ისიც ძირითადად ყამირგზები, დანგრეული ხიდებით, მოშლილი ფიჩხყრილებითა და მიწაყრილებით.

შეტევის დაწყების ბრძანების მოლოდინში არმიის ჯარები წინა ხაზიდან 120 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ. აქ ატარებდნენ ისინი საბრძოლო სწავლებას, ივსებოდნენ ახალი ძალებით.

ბოლოს მოვიდა ფრონტის სარდლის ოპერატიული დირექტივა. ამ დირექტივის შესაბამისად მე-8 გვარდიულ არმიას მტრის თავდაცვა უნდა გაერღვია პარიდუბ-ტორგოვიშჩეს უბანზე, გაენადგურებინა მტრის ნაწილები და ოპერაციის პირველი დღის ბოლოსათვის ხელთ ეგდო ზღუდე — პოჩაპი-ხვოროსტოვი-სამხრეთ ხვოროსტოვი. მეორე დღეს ჩვენ უნდა გავსულიყავით კუსნიშჩე-ლიუბომლ-პოდსტავის ზღუდეზე. მესამე დღეს დაგვეკავებინა დასახლებული პუნქტები გოროხოვისტკი, ოპალინი, გოლენდრი, ბეოთხე დღეს გადაგველახა დასავლეთ ბუგი, იმ ანგარიშით, რომ შემდგომში შეტევა გაგვეგრძელებინა პარჩევისა და ლუკოვის მიმართულებით.

გროდნო-მაშევის ზღუდემდე მიღწევის შემდეგ (საორიენტაციოდ ოპერაციის მეორე დღეს) დაგეგმილი იყო სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკის ს. ი. ბოგდანოვის მე-2 სატანკო არმიის ჩაბმა ბრძოლაში.

შეტევას უზრუნველყოფდა მე-6 საჰაერო არმიის ავიაცია. ჩვენგან მარჯვნივ უტევდა 47-ე არმია, რომელსაც მტრის თავდაცვა 5 კილომეტრიან უბანზე უნდა გაერღვია. მარცხენა 4 კილომეტრიან უბანზე გარღვევა უნდა განეხორციელებინათ 69-ე არმიის ჯარებს.

მე-8 გვარდიული იმოქმედებდა ბელორუსიის პირველი ფრონტის მარცხენა ფლანგის ჯარების ოპერატიული განლაგების ცენტრში და უზრუნველყოფდა გარღვევის უბანში საფრონტო მოძრავი ჯგუფის — მე-2 სატანკო არმიის შეყვანას.

შეტევის მოსამზადებლად რვა დღე გვეძლეოდა.

ჯარების სახეობათა უფროსებთან, კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებთან ჩავატარეთ გარღვევის უბნის რეკოგნოსცირება. გადაწყვეტილების მიღებამდე ბევრი რამ უნდა გაგვეთვალისწინებინა, აგვეწონ-დაგვეწონა, შეგვემოწმებინა. ეს

გადაწყვეტილება დიდი და მეგობრული კოლექტივის ძალებით იბადებოდა.

რა სიახლეს უნდა შევხვედროდით მოწინააღმდეგის ტაქტიკაში? იმ დროისათვის ჰებელსის პროპაგანდა საქვეყნოდ ქებათა-ქებას ასხამდა ეგრეთ წოდებულ „ელასტურ თავდაცვას". ამ თავდაცვაში ჰიტლერელთა სარდლობამ გამოიყენა თავისი ჯარების მაღალი სისწრაფე და მანევრულობა.

მისი პრინციპი აგებული იყო მოულოდნელობაზე მოქმედების შეცვლისას. ჯერ გეგმიური უკანდახევა, შემდეგ მოულოდნელი კონტრდარტყმა, ფრონტის სხვა უბნიდან სასწრაფოდ გადმოსროლილი მოძრავი რეზერვებით ან ნაწილებით გაძლიერებული: ჩვენ ეს უკვე გამოვცადეთ დნესტრის პლაცდარმზე. დნესტრზე არც არმიის შტაბში, არც ფრონტის შტაბში არ მოელოდნენ, რომ ჰიტლერელთა სასტიკად შეფერთხილ და გადაგურებულ ჯარებს დიდი ძალის კონტრდარტყმის მიყენების უნარი შესწევდათ. დნესტრის პლაცდარმის — პუგაჩენ-შერპენისათვის ბრძოლამ ბევრი რამ გვასწავლა.

მეორედ „ელასტურ თავდაცვას" მე უკვე აქ, კოველთან, მეზობელი 47-ე არმიის უბანზე შევხვდი.

6 ივლისს მტერმა დატოვა კოველის შვერილი და 20 კილომეტრით დაიხია. 47-ე არმიის შტაბში ჩათვალეს, რომ ჰიტლერელებმა საერთო უკანდახევა დაიწყეს და დამატებითი დაზვერვით არ შეამოწმეს.

მოწინააღმდეგის მოქმედების ამგვარ შეფასებას თავისი საფუძველი ჰქონდა. პოლესიეს ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარებმა იმ დროისათვის დიდი გამარჯვება მოიპოვეს. 3 ივლისს გათავისუფლებულ იქნა მინსკი. მინსკთან დამარცხების გამო გერმანელთა სარდლობას საკუთარი შეეძლო თავდაცვის შემჭიდროების მიზნით კორსუნის მიმართულებაზეც მიეღო უკანდახევის გადაწყვეტილება. რა ზომების მიღება შეეძლო ასეთ შემთხვევაში ჩვენს სარდლობას? ჰიტლერელებისათვის დაცილების საშუალება არ უნდა მიგვეცა, ფეხდაფეხ უნდა მივყოლოდით უკანდახეულ მოწინააღმდეგეს, შევჭრილიყავით მის საბრძოლო რიგებში, ერთმანეთს მოგვეკვეთა უკანდახეული მისი ნაწილები და, თუ შესაძლებლობა მოგვეცემოდა, მისი ძა-

ლების ერთი ნაწილის ალყაში მოქცევაც გვეცადა. მოწინააღ-
მდეგის მიერ გამაგრებული პოზიციების დატოვება თითქოს
შესაძლებლობას გვაძლევდა ბრძოლაში ჩაგვება მოძრავი შენა-
ერთები ოპერატიულ სივრცეზე გასვლის ამოცანით. უკანდა-
ხეულ მოწინააღმდეგეს კვალში ჩაუდგა მე-11 სატანკო კორ-
პუსი. რასაკვირველია, საჭირო იყო საგულდაგულოდ დაზვერ-
ვის ჩატარება, მოწინააღმდეგის მოძრაობისათვის ჰაერიდან
თვალყურის დევნება, მაგრამ ამას დრო სჭირდებოდა. დრო კი
ასეთ შემთხვევაში ძვირფასია, უკანდახეულ მოწინააღმდეგეს
შეეძლო მოესწრო თავდაცვის მომდევნო ზოლის დაკავება. სა-
ტანკო დარტყმის იდეა კი ის იყო, რომ გადაეთელა მოწინააღ-
მდეგის უკანდახეული ნაწილები და ამ გამაგრებულ პოზიცი-
ებზე მტერზე ადრე გასულიყო. განგაშის ხმაზე კორპუსი ამ-
ხედრდა და წინ დაიძრა.

კორპუსის მეწინავე ნაწილები მთელი სისწრაფით მიდიოდ-
ნენ. მათ გაუსწრეს უკან დახეულ გერმანელთა ფეხოსან ჯა-
რებს და სწორედ ასეთი შემთხვევისათვის მომზადებულ თავ-
დაცვით პოზიციებს წააწყდნენ. სანამ ნაწილებს უკან დახევდა,
გერმანელთა სარდლობამ მეორე პოზიციებზე გადაისროლა
ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის შენაერთები და ფლანკირე-
ბული და ჯვარედინი ცეცხლისათვის განალაგა. ჩვენი ტანკები
წინასწარ გამიზნულ პოზიციებზე გამანადგურებელი ცეცხლის
ქვეშ მოხვდნენ. მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვა, ტანკისტე-
ბი ჩასაფრებულ მტერს გადააწყდნენ — დაგეგმილ, გააზრებულ
მტრის საფარს.

...ცხადია, რომ მტერი ახალ პირობებში ტერიტორიას არ
ებღაუჭებოდა, ჰიტლერელები ჩვენი შეტევის საფრთხეს თუ
იგრძნობდნენ, შესაძლოა კვლავ უკან დაეხიათ — მომდევნო
ზღუდეზე, ოღონდ საკუთარი ძალები შეენარჩუნებინათ. ტყე-
ები და ჭაობები საშუალებას მისცემდა შეუმჩნევლად განეხორ-
ციელებინათ მანევრი, მოეწყოთ თავდაცვა და მოულოდნელი
დარტყმა მიეყენებინათ შეტევაზე გადასული ჩვენი ჯარები-
სათვის.

არა, არ შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ მოწინააღმდეგეს
ეშმაკური უკან დახევითა და მუხანათური კონტრდარტყმით

მოვეტყუებინეთ. საჭირო იყო „ელასტური თავდაცვის“ გარღვევა უმცირესი დანაკარგებით, მაგრამ როგორ გაგვეკეთებინა ეს?

მოწინააღმდეგეს ხომ ახლაც შეეძლო დამშვიდებით დალოდებოდა ჩვენი ჯარების თავმოყრას, არტმომზადების წინ კი შეუმჩნევლად უკან დაეხია. ასეთ შემთხვევაში ჩვენ დაცარიელებული სანგრების გადასახნავად დავხარჯავდით საბრძოლო მარაგის ეშელონებს და ქვეითი ჯარი, ოდნავაც რომ დაძრულიყო წინ, მტერი ახალი ზღუდიდან წინასწარ მომზადებულ ცეცხლს დაუშენდა. ამის გამო ყველაფრის თავიდან დაწყება მოგვიწევდა; ახალი არტმომზადებისათვის უნდა დაგვეხარჯა დრო და ასობით ჭურვი, გადაგვეჯგუფებინა ჯარები ერთი მწყობრიდან მეორეში და ა. შ.

მაგრამ სად იყო ამოცანის ამოსახსნელი გასაღები?

უნდა გვეპოვნა ისეთი ოპერატიულ-ტაქტიკური ხერხი, რომლის მეშვეობითაც მტერს მივაყენებდით მოულოდნელ და მძლავრ დარტყმას, ისეთ თავგზაამბნევ და შემმუსვრელ დარტყმას, რომ მოწინააღმდეგე უცებ განადგურებულიყო და ახალ ზღუდეზე თავისი ძალების გადაყვანა ვერ მოესწრო.

მოწინააღმდეგის დაჯგუფებისა და ძალის დასაზუსტებლად დაზვერვითი ბრძოლა ხორციელდებოდა. მაგრამ დაზვერვითი ბრძოლა ზოგჯერ ზიანს გვაყენებდა, მტერი ხედებოდა, რომ დაზვერვით ბრძოლას ერთი, დიდი-დიდი ორი დღის შემდეგ გადამწყვეტი შეტევა მოჰყვებოდა. ამ დროის განმავლობაში იგი ასწრებდა თავისი საბრძოლო წყობის შეცვლას, სახიფათო მიმართულებაზე რეზერვების მოზიდვას ან პირველი სანგრებიდან უკან იხევდა და დარტყმას თავიდან იცილებდა.

დაძაბული ფიქრის, მოწინააღმდეგეზე შეკრებილი ცნობების ანალიზის შემდეგ გადაწყვეტილება მომწიფდა. იგი შეძენილ გამოცდილებას ეფუძნებოდა. სამხრეთში, უკრაინაში ბრძოლის დროს ჩვენ ვიყენებდით დაზვერვას, რომელიც შეტევაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ამ ხერხის დედაარსი შემდეგი იყო: ჰიტლერელებს საბრძოლო წყობის შეცვლა რომ ვერ მოესწროთ, დაზვერვით ბრძოლას შეტევამდე ერთი-ორი დღით ადრე კი არ ვიწყებდით, არამედ ორი-სამი საათით ადრე.

ასეთი დაზვერვა — მოკლე, მაგრამ მძლავრი არტმომზადებით — ერთ უბანზე კი არ წარმოებდა, არამედ მომავალი შეტევის მთელ ფრონტზე. მსროლელთა ქვედანაყოფების მწკრივები — ყოველი პოლკიდან ორი-სამი ასეული ტანკის, არტილერიისა და ნაღმსატყორცნების დახმარებით — მოწინააღმდეგის დაცვის წინა ხაზს უტევდნენ. თუ მტერი ძირითად პოზიციას დაიკავებდა, მაშინ სადაზვერვო ეშელონი უკიდურეს შემთხვევაში მოწინააღმდეგის დაცვის ხაზზე შეჩერდებოდა. სამაგიეროდ ჩვენი არტილერისტები მტრის საცეცხლე სისტემას დაასუსტებდნენ და ერთი-ორი საათის შემდეგ ზუსტ საარტილერიო მომზადებას განახორციელებდნენ, გამოვლენილი საცეცხლე წერტების განადგურებას შესძლებდნენ.

თუ მოწინააღმდეგე ჩვენს მოსატყუებლად პირველ პოზიციაზე დატოვებდა მხოლოდ დამცველ ქვედანაყოფებს, ძირითად ძალებს კი თავისი თავდაცვის სიღრმეში გადაიყვანდა, ჩვენი სადაზვერვო ეშელონი დაიკავებდა პირველ სანგრებს და დაიწყებდა მტრის ძირითადი პოზიციებისაკენ წინსვლას.

ორივე ვარიანტში ჩვენი საბრძოლო მასალა დაიხარჯებოდა ნამდვილი სამიზნების გასანადგურებლად, მსროლელთა ნაწილები და ტანკები კი წინსვლისას მტრის მხრიდან მოულოდნელობას არ წააწყდებოდნენ.

სადაზვერვო ეშელონის მიყოლებით წინ წაიწევდა ყველა სადაზვერვო და სათვალთვალო საშუალება, რომლებიც დააზუსტებდნენ ქვეითი ჯარის, საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარეების განლაგებას, რეზერვის თავმოყრის ადგილებს. სადაზვერვო ეშელონს უკან მიჰყვებოდნენ კავშირის საშუალებებით აღჭურვილი ყველა ხარისხის მეთაურები, რომლებიც მზად იყვნენ საჭიროების შემთხვევაში მოკლე დროის განმავლობაში უზრუნველეყოთ საარტილერიო მომზადება და მტრის ძირითად პოზიციებზე შეტევა, შემტევი ჯარების მთავარი ძალები მზად იყვნენ მეთაურთა ნიშანზე დაძრულიყვნენ წინ, თავიანთ მიმართულებებზე გაეშალათ საბრძოლო წყობა და შეეტიათ მტრისათვის. ხატოვნად რომ ვთქვათ, არმიის ძირითადი ძალები შემართული მუშტივით მისდევდნენ ქვედანაყოფებს,

რომლებიც დაზვერვით ბრძოლას აწარმოებდნენ და შეეძლოთ ყოველ წუთში დაერტყათ მოწინააღმდეგისათვის.

ასეთი ტაქტიკა მოითხოვს სიღრმიდან ახალი ძალების მიზიდვით დარტყმის სიმძლავრის განუწყვეტელ ზრდასა და შეტევის ზოლის შეუწყვეტელ გაფართოებას. ამას გვიკარნახებს განსაკუთრებული წყობა საბრძოლო რიგებისა, რომლებიც სრული საბრძოლო მზადყოფნითა და გარკვეული მანძილით მიჰყვება სადაზვერვო ეშელონს.

არმიის სარდლობის ხელმძღვანელობით კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებმა რელიეფურ გეგმებსა და ველზე პრაქტიკული სწავლების დროს დაამუშავეს ჯარების წყობა და საბრძოლო განლაგება, რაც ყველა სახეობათა ჯარების ურთიერთმოქმედებას დაუკავშირეს.

8

გულახდილად გაგიზიარებთ ჩემ ფიქრებსა და მღელვარეშას არმიის ბედზეც და ახალი ფრონტის შემადგენლობაში სტალინგრადის გვარდიელთა პირველი შეტევის ბედზეც. არმია სტალინგრადისათვის ბრძოლებში უჭკნობი დიდებით შეიმოსა, ღირსეულად ატარა გვარდიული დროშა უკრაინის მიწაზე. სახელი შეჰმატა დონბასის განთავისუფლებისათვის ბრძოლებმა, ზაპოროჟიეს ღამის იერიშმა, ბრძოლებმა ნიკოპოლის მარგანეცისა და კრივოი როგის მადნისათვის. არმია მონაწილეობდა ოდესის განთავისუფლებაში, იბრძოდა დნესტრზე. აქ, ბელორუსიის პირველი ფრონტის შემადგენლობაში, ადრინდელი დამსახურების მიუხედავად, უნდა დაეკავებინა მისთვის შესაფერი ადგილი. ჩვენ სტალინგრადელთა სახელის შებღალვის უფლება არ გვქონდა.

ყოველ ადამიანს ახალ ვითარებაში ახალი ამოცანის გადაწყვეტისას უმახვილდება არა მარტო პასუხისმგებლობის, არამედ საკუთარი ღირსების გრძნობაც. მე არა მჯერა ადამიანებისა, რომლებიც მოჩვენებით თავმდაბლობას თამაშობენ და ამბობენ, რომ ასეთ მომენტში საკუთარ თავზე, საკუთარ თავმოყვარეობაზე არ ვფიქრობთო. ღირსებისა და სიამაყის გრძნობის

გარეშე საბრძოლო საქმეში კაცი გულგრილი და ინერტული ხდება. განა შემეძლო ახალ ვითარებაში გულგრილი ვყოფილიყავი ჩემი პოლკების საბრძოლო დიდების მიმართ? რასაკვირველია, არა. ასე რომ ყოფილიყო, არმია სხვისთვის უნდა ჩამებარებინა და თადარიგში გავსულიყავი. მჯეროდა, ვიცოდი: თავს გავართმევდით ამოცანას, შევძლებდით ისე დაგვეყენებინა საქმე, რომ მე-8 გვარდიულის პოლკებსა და დივიზიებს აქაც ემრავლებინათ საკუთარი დროშის დიდება და სხვა შენაერთებისათვის მაგალითის მიეცემი ყოფილიყვნენ. თუმცა ბელორუსიის პირველ ფრონტზე, რომლის ჯარებმაც თავდაცვითი და შეტევითი ბრძოლების დიდი გამოცდილება დააგროვეს, ამის გაკეთება არც ისე ადვილი იყო. ფრონტის შტაბს — ყოფილ დონისას — მსხვილი ოპერაციების ხელმძღვანელობის შესანიშნავი პრაქტიკა ჰქონდა. თავის დროზე ალყაშემორტყმული პაულიუსის დაჯგუფების განადგურებას ედგა სათავეში, ღირსეულად ჩაატარა კურსკის ბრძოლა, დიდება მოიხვეჭა ბევრ უმნიშვნელოვანეს ოპერაციაში.

მთავრდებოდა შეტევისათვის მზადება, იწურებოდა უკანასკნელი დღეები, უკანასკნელი საათები. უკვე გადხვიდნენ ფართო და მძლავრ შეტევაზე მეზობელი უკრაინის პირველი ფრონტის ჯარები რავა-რუსკოეს მიმართულებით. მისმა მეწინავე რაზმებმა უკვე მიაღწიეს დასავლეთ ბუგს. ძალაში შედიოდა ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ დასახული ფრონტების ურთიერთმოქმედების გეგმა. ჩვენი რიგიც ახლოვდებოდა...

კორპუსებსა და დივიზიებში ჩატარდა რეკოგნოსცირება, დაზუსტდა მოწინააღმდეგეზე შეგროვილი ბოლო მონაცემები, გაირკვა ვითარება. დადგა დრო, რომ არმიის სამხედრო საბჭოს და მე, როგორც მეთაურს, ვრცელი გადაწყვეტილება მიგვეღო.

გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო შემდეგი მოსაზრება:

მოწინააღმდეგემ ჩვენი დაწოლის გარეშე ერთხელ უკვე დახია უკან ჯარები 20 კილომეტრით. შესაძლებელი იყო, რომ თუ ეს მოსალოდნელ დარტყმას იგრძნობდა, ძალების შენარჩუნების მიზნით ადვილად მიიღებდა გადაწყვეტილებას კიდევ და კიდევ დაეხია მომდევნო თავდაცვითს ზღუდეებზე. ტყე-

ჭაობიანი ადგილმდებარეობა სავსებით უწყობდა ხელს თავდაცვის ტაქტიკას.

ჩვენთვის, შემტევთათვის, მოწინააღმდეგის ასეთ ტაქტიკას შეეძლო გამოეწვია უცნობ პოზიციებზე მანევრებისა და ბრძოლების გაჭიანურება, ძალებისა და, განსაკუთრებით, არტილერიის ხშირი და ფუჭი გაშლა.

ჩვენთვის, შემტევთათვის, მნიშვნელობა ჰქონდა მოწინააღმდეგის ძალები „ხელში მოგვეგდო" ისეთ პოზიციებსა და იმ დროს, როდესაც იგი თავიდან ვერ აიცილებდა ჩვენს ჭარბ ძალებთან ბრძოლას.

ჩვენი მოქმედებით, განსაკუთრებით კი დაზვერვითი ბრძოლით, არ უნდა გვეიძულებინა მოწინააღმდეგე დაეტოვებინა დაკავებული პოზიციები. ამასთან, ჩვენი დარტყმა უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი, რისთვისაც საჭირო იყო სიღრმიდან მზარდი ძალების დაუყოვნებელი და უწყვეტი შემოყვანა, გარღვევის შემდეგ არმიის შეტევით გაფართოებული საზღვრების გამოყენება. ეს კი მოითხოვდა არმიის შესაბამის ოპერატიულ წყობას.

მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევა გადაწყვეტილი იყო პარიდუბტორგოვიშჩეს უბანზე 47-ე და 69-ე არმიების ნაწილებთან ურთიერთმოქმედებით. მათს პირისპირ მდგარი ნაწილების განადგურების შემდეგ უნდა აგვეღო ვოლიანშჩინა-ოკუნინ-ნოვოსელსკის ზღუდე, სადაც გარღვევაში ჩავრთავდით მე-11 სატანკო კორპუსსა და მეორე ეშელონის მსროლელთა დივიზიებს. შეტევის შეუწყვეტლად ღამე უნდა მოგვესპო მოწინააღმდეგის რეზერვი, აგვეღო ლიუბომლის რაიონი და უზრუნველგვეყო გარღვევაში მე-2 სატანკო არმიის შეყვანა.

შემოდგომაზე ნავარაუდევი იყო დასავლეთ ბუგზე გადასასვლელების ხელში ჩაგდება, მდინარის ფორსირება და შეტევის განვითარება ფარჩევისა და ლუკუვის საერთო მიმართულებით.

არმიის ოპერატიული წყობა ერთეშელონიანი იყო, მსროლელთა სამივე კორპუსის ერთ ხაზზე განლაგებით. არმიის რეზერვში რჩებოდა სამი დივიზია, ყოველი კორპუსიდან ერთი დივიზია. კორპუსთა საბრძოლო მწყობრი აგებული იყო ორ

ეშელონად — პირველში ერთი დივიზია, მეორეში — მეორე დივიზია.

მდინარე დასავლეთ ბუგზე თავდაცვის მომზადებული ზღუდე გვიკარნახებდა ამ ზღუდეზე უსწრაფესი გასვლისა და მისი აღების აუცილებლობას. ამიტომ გეგმით შეტევის პირველ დღეს ბრძოლაში უნდა ჩაგვერთო მე-11 სატანკო კორპუსი და გაგვეძლიერებინა საერთო საჯარისო შენაერთების დარტყმა იმ ანგარიშით, რომ გადაგვეთელა მოწინააღმდეგე, გაგვესწრო მისთვის, ჯადაგველახა მდინარე დასავლეთ ბუგი და გაგვერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვის საარმიო ზღუდე.

გარღვევისა და შეტევის მაღალი ტემპის უზრუნველსაყოფად კორპუსთა მეორე ეშელონის დივიზიები ბრძოლაში უნდა ჩაბმულიყვნენ მეორე დღის დილიდანვე, ესე იგი ბრძოლაში მე-11 სატანკო კორპუსის შემოყვანისთანავე.

ვინაიდან ფრონტის სარდლობას მე-2 სატანკო არმიის გარღვევაში შეყვანა მე-8 გვარდიული არმიის გარღვევის უბანზე ჰქონდა დაგეგმილი, გადაწყვიტეთ, რომ გარღვევაში მისი შეყვანის უზრუნველყოფისათვის საუკეთესო საშუალება იქნებოდა საერთო საჯარისო არმიის სწრაფი და შეუჩერებელი შეტევა. ეს უზრუნველყოფილი იქნებოდა არმიის შენაერთთა რიგების ღრმა წყობით.

ძიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავდა ოპერაციის გეგმა ჯარების მოქმედების დეტალური აღწერით და ჩატარდა ყველა საჭირო გაანგარიშება.

გარღვევის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაში გათვალისწინებული იყო მდინარე დასავლეთ ბუგზე მოწინააღმდეგის უკანდახევის შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა, საერთო შეტევის დაწყებამდე, ესე იგი, ძირითადი ძალებით შეტევამდე, ჩატარებულიყო დაზვერვითი ბრძოლა. ამ მიზნისათვის მარჯვენა ფლანგისა და ცენტრალური უბნის დივიზიებიდან გამოიყო ორ-ორი მსროლელი ბატალიონი, მარცხენა ფლანგის დივიზიიდან კი — ერთი მსროლელი ბატალიონი. დაზვერვა ტარდებოდა არმიის შეტევის მთელ ფრონტზე.

გამოყოფილ ნაწილებს დაესახათ ამოცანა — ხელთ ეგდოთ პირველი პოზიციის წინა ხაზის სიმაღლეები, განევითარებინათ

შეტევა, აეღოთ სიმაღლეები ტრუბლი-ეიდიუტის ზღუდეზე, ესე იგი, შეჭრილიყვნენ თავდაცვის სიღრმეში 3 კილომეტრზე. სადაზვერვო ბატალიონებს მიჰყვებოდნენ აგრეთვე ნაპ ტანკები და ტანკები-ტრალერები. ამ მძლავრი სადაზვერვო ეშელონის მოქმედების უზრუნველსაყოფად დაიგეგმა 30 წუთიანი საარტილერიო მომზადება.

გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იყო, რომ იმ შემთხვევაში, თუ სადაზვერვო ეშელონის მოქმედება წარმატებით დამთავრდებოდა, საარტილერიო მომზადების გარეშე გადავსულიყავით შეტევაზე ძირითადი ძალებით და გაგვერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა მთელი ზოლის სიღრმეზე და თუ ეს სადაზვერვო ეშელონი დასახულ ამოცანას ვერ შეასრულებდა, ესე იგი, მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზთან შეჩერდებოდა, ასეთ შემთხვევაში უნდა ჩაგვეტარებინა საარტილერიო მომზადება 1 საათისა და 50 წუთის ხანგრძლივობით, შემდეგ კი შეგვეტია არმიის მთელი პირველი ეშელონის ძირითადი ძალებით.

ეს გადაწყვეტილება ითვალისწინებდა ძლიერი დაზვერვით არა მარტო მოწინააღმდეგის წინა ხაზისა და ძალების გამოვლინებას, არამედ საარტილერიო მომზადების გარეშე სადაზვერვო ეშელონისა და მთავარი ძალების მოქმედების საერთო შეტევაში გადაზრდასაც.

ოპერაციის პირველ დღეს პირველი ეშელონის სამ დივიზიას უნდა შეეტია მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზისათვის, გაერღვია იგი, საარტილერიო ტალღის მიყოლებით აეღო ვისოკოე-ოკუნინ-ნოვოსელკის ზღუდე და უზრუნველეყო ბრძოლაში მე-11 სატანკო კორპუსის შეყვანა. შეტევის შემდგომ განვითარებასთან ერთად გათვალისწინებული იყო მდინარე პლისკაზე მდებარე მოწინააღმდეგის თავდაცვითი ზღუდის აღება და დღის ბოლოსათვის კუსნიშჩე-ლიუბომლ-რაძეხოვის ზღუდეზე გადასვლა.

კორპუსთა მეორე ეშელონების დივიზიები ამ ზღუდეზე უნდა გასულიყვნენ მეორე დღის დილისათვის და შეტევა განვითარებინათ პირველი ეშელონის დივიზიებთან და მე-11 სატანკო კორპუსთან ერთად.

საარმიო დივიზიათა რეზერვები უკან უნდა მოჰყოლოდნენ მეორე ეშელონისა და კორპუსების დივიზიებს და დღის ბოლოსათვის გასულიყვნენ მდინარე პლისკაზე.

ოპერაციის მეორე დღეს პირველი ეშელონის დივიზიები, შეტევას რომ განავითარებდნენ, დღის ბოლოსათვის უნდა გასულიყვნენ გოროხოვისკო-ოპალინ-სვეჟეს ზღუდეზე, ხელთ ეგდოთ გადასასვლელები ზაბუჟიეს, ოპალინისა და სვეჟეს რაიონებში და მდინარე დასავლეთ ბუგის დასავლეთ ნაპირზე მდებარე პლაცდარმი.

მე-2 სატანკო არმიის გარღვევაში ჩაბმისთანავე პირველი ეშელონის მსროლელთა კორპუსების დივიზიები მას ფეხდაფეხ უნდა მიჰყოლოდნენ. საარმიო რეზერვის დივიზიები კი ოპერაციის მეორე დღის ბოლოსათვის გასულიყვნენ პერეკორკა-როვნოს ზღუდეზე.

ოპერაციის მესამე დღეს პირველი ეშელონის დივიზიები უზრუნველყოფდნენ მდინარე დასავლეთ ბუგზე მე-2 სატანკო არმიის მთავარი ძალების გადაყვანას და განაგრძობდნენ შეტევას მის შენაერთებთან ერთად.

არმიის დანარჩენი შენაერთები გადალახავდნენ მდინარე დასავლეთ ბუგს და განაგრძობდნენ შეტევას იმ ამოცანათა მიხედვით, რომლებიც დაწესტდებოდა მდინარე დასავლეთ ბუგზე არმიის ჯარების გასვლის დროისათვის.

ასე იგეგმებოდა ჯარების მოქმედება ამ შეტევით ოპერაციაში.

აუცილებლად უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ რა ძალები იყო იმ დროს არმიის განკარგულებაში. როგორც უკვე აღინიშნა, ივნისის თვეში შეივსო მისი პირადი შემადგენლობა. დივიზიის პირადი შემადგენლობა 6700 კაცამდე გაიზარდა. ოპერაციის დასაწყისისათვის არმიას ყავდა 9 მსროლელი დივიზია. გარდა ამისა, არმია გაძლიერდა რიგი სატანკო ნაწილებით. ჩვენ შემოგვემატა მე-11 გვარდიული სატანკო ბრიგადა (53 ტ-34), 34-ე და 36-ე გვარდიული მძიმე სატანკო პოლკები (42 ის-122), 166-ე საინჟინრო სატანკო პოლკი (21 ტანკ-ტრალერი), 1061, 1087, 1200-ე თვითმავალი საარტილერიო პოლკები (63 სუ-76), სულ 179 საჯავშნო ერთეული.

არმიის არტილერიის სარდლის ნ. მ. პოჟარსკის განკარგულებაში იყო 2231 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, გვარდიულ ნაღმსატყორცნთა ნაწილების 501 დანადგარი.

გააზრებული იყო საინჟინრო უზრუნველყოფაც. ჩვენ გადმოგვეცა 41-ე მოტოსაინჟინრო ბრიგადა რვკ (5 ბატალიონი), 64-ე საინჟინრო მესანგრეთა ბრიგადა (4 ბატალიონი), 85-ე ცალკე მოტოსანავტიკე ბატალიონი.

იმისათვის, რომ დაგვემუშავებინა არმიის შენაერთებისა და ნაწილების ურთიერთმოქმედება, შეტევამდე ერთი დღით ადრე გავითამაშეთ მომავალი ოპერაცია. მომზადდა ადგილმდებარეობის ზუსტი მაკეტი, რომელზეც მოვნიშნეთ მოწინააღმდეგის მთელი თავდაცვა, მისი რეზერვების, არტილერიის, ტანკების გაშლაგების ადგილები. გათამაშებაში მონაწილეობდნენ კორპუსებისა და დივიზიების მეთაურები, სახეობათა ჯარებისა და სამსახურების უფროსები. მეცადინეობას ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის მარშლები გ. კ. ჟუკოვი და კ. კ. როკოსოვსკი, ავიაციის მთავარი მარშალი ა. ა. ნოვიკოვი, მეკავშირეთა ჯარების მარშალი ი. ტ. პერესიპკინი, მე-2 სატანკო არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ს. ი. ბოგდანოვი.

მეთაურებმა კარგად გაიგეს ოპერაციის ჩანაფიქრი და გეგმა. აქ თავისი გაელენა მოახდინა აზრთა ერთობლიობამ, რომელიც ჯერ კიდევ ვოლგაზე, შემდეგ კი უკრაინაში გაჩაღებულ ბრძოლებში ჩამოყალიბდა. ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ადამიანები საქმეში ჩააქსოვდნენ მთელ თავიანთ სულს, გამოაელენენ ინიციატივას, შეუპოვრობასა და სიმტკიცეს.

მაგრამ ჯერ ჩვენს მიერ დასახული გეგმისათვის მოგვიწია ბრძოლა. ფრონტის შტაბის ზოგიერთი მუშაკი საგონებელში ჩავარდა, ვერ გაიგეს, რატომ დავსახეთ ჩვენ შეტევის უფრო მაღალი ტემპი, ვიდრე ამას ფრონტის სარდლობა ითვალისწინებდა. ფრონტის არტილერისტები კი აღაშფოთა იმან, რომ დაზვერვით ბრძოლაში დაგეგმილი იყო ჭურვების, ამასთან მსხვილი ყალიბის ჭურვების დიდი რაოდენობით ხარჯვა. ყველამ ვერ შეძლო იმის გაგება, რომ ჩვენ ამ გზით ვაპირებდით შეგვეხამებინა დაზვერვითი ბრძოლა მოწინააღმდეგის მთელი თავდაცვის გარღვევასთან. ჩვენ ვცდილობდით ცხოვრებაში

გაგვეტარებინა სიახლე, მივდიოდით ზოგიერთი დამკვიდრებული ტრადიციისა და შაბლონის წინააღმდეგ. ცხადია, ეს ყველამ უცებ ვერ გაიგო და ვერ მიიღო.

ვცდილობ დავამტკიცო ჩვენს მიერ შეთავაზებული საშუალების უპირატესობა. საუბარი თანდათან კამათის სახეს იღებს. სამხედროებმა იციან, რომ უფროსებთან კამათი სასიამოვნო საქმე არ არის. მაგრამ მე დამეხმარა ფრონტის სარდალი კ. კ. როკოსოვსკი. მან ყველას გასაგონად განაცხადა:

— თქვენ არმიის სარდალი ხართ, გადაწყვეტილებას თქვენ იღებთ და თქვენვე აგებთ პასუხს კარგზეც და ცუდზეც...

ეს მე საესებით მაწყობდა.

მფრინავები გაოგნებულნი იყვნენ იმით, რომ მე მათ მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზის ნაცვლად მტრის თავდაცვის სიღრმეში განლაგებულ საარტილერიო პოზიციებს ვუსახავდი მიზნად.

იძულებული ვიყავი განმემარტა, რომ ჩვენი არტილერისტები კარგად იცნობენ მოწინააღმდეგის წინა ხაზს, რომ ჩვენი მძლავრი საარტილერიო ცეცხლის წყალობით იქ ყველაფერი დაინგრევა და განადგურდება. მტრის თავდაცვის სიღრმეში კი არტილერია ვერ მიაღწევს ისეთ ეფექტიანობას, როგორც ავიაცია. მფრინავებმა გაიგეს, რასაც მათგან მოითხოვდნენ.

სამხედრო საბჭო, მეთაურები და პოლიტმუშაკები არმიას ამზადებდნენ მომავალი მოქმედებისათვის. ჩატარდა გამოცდილ მეომართა თათბირები. არმიის ვეტერანები თავს იყრიდნენ ღია ცის ქვეშ, ტყეში, ვრცელი სიტყვების გარეშე, მოკლედ და საქმიანად განიხილავდნენ ჯარისკაცებისა და სერჟანტების ამოცანებს იმ ანგარიშით, რომ შემდეგ მათ ამ საკითხზე ესაუბრათ ყოველ მებრძოლთან...

ახალი ამოცანა

I

1944 წლის 14 ივლისის ღამით არმიის პირველი ეშელონის დივიზიები გარღვევის უბნის საწყის პოზიციებზე გავიდნენ. ჩვენი დივიზიების წინ პოზიცია ეკავა 47-ე არმიის მე-60 მსრბოლელ დივიზიას, რომელიც ადრე ამ უბანზე იცავდა თავს. ჩვენი არტილერისტები უაღრესად ფრთხილად აწარმოებდნენ მტრის გამოვლენილ საცეცხლე წერტილების გამიზნვას. ჩანდა, რომ ჩვენ შევძლებდით შეუმჩნევლად დავახლოებოდით მოწინააღმდეგეს. საბოლოო დამუშავება მიმდინარეობდა. სადაც იყო ბრძოლა გაჩაღდებოდა...

ვინც მახვილს აღმართავს, მახვილითვე დაიღუპება! ეს გამანადგურებელი ომი ჩვენ არ დაგვიწყია. სადღაც აქ, ამ ადგილებში, მოზეიმე, აღფრთოვანებული დამპყრობლები არღვევდნენ ჩვენს შეთხელებულ საბრძოლო რიგებს და თვლიდნენ, რომ ძლევამოსილი ომი დაიწყეს. დღეს კი... ჩვენ უცდილობდით არ დაკვეფრთხო მოწინააღმდეგე, რომ მტერს თავისი პოზიციები უბრძოლველად არ დაეტოვებინა.

შეტევამდე რამდენიმე დღით ადრე შემატყობინეს, რომ გარღვევაში მე-2 სატანკო არმიის შემოყვანის შემდეგ, ჩვენს კვალდაკვალ დაიძრებოდა პოლონეთის პირველი არმია. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 17 ივლისს მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის ორგანიზაციის სანახავად მე-8 გვარდიული არმიის საკომანდო პუნქტზე ჩამოვა პოლონეთის სარდლობა. ჩვენ ველოდით სტუმრებს, ვიმედოვნებდით, რომ ისინი აქ ბევრ რამეს ნახავდნენ და ისწავლიდნენ.

ბრძოლის ველზე ჩვენი ფრონტის შემადგენლობაში პოლონეთის არმიის გამოსვლას ჩვენ ვაფასებდით როგორც სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობის დიდ მოვლენას.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში, ევროპაში უკანასკნელ მშვიდობიან დღეებში ევროპის ხალხებს ჯერ კიდევ შეეძლოთ საერთო ძალებით შეეჩერებინათ ჰიტლერის საშინელი სრბოლა. დღის წესრიგში იდგა ჩეხოსლოვაკიის საკითხი, ფაშისტური აგრესიისაგან მისი დაცვის საკითხი. პოლონეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ უარი თქვა გაეტარებინა წითელი არმია პოლონეთის მიწაზე... ამ თანხმობის გარეშე როგორ უნდა შეესრულებინა საბჭოთა კავშირს თავისი მოვალეობა მოკავშირე ჩეხი და სლოვაკი ხალხების წინაშე? თავის დასავლეთელ მეზობელს რომ უღალატა, პოლონეთის მთავრობამ ამით უღალატა თავის ხალხს და დასაგლეჯად მიუგდო იგი ჰიტლერელებს.

პილსუდსკი, რიდზ-სმიგლი, სიკორსკი... ყოველი მათგანი ცდილობდა ეთამაშა რაღაც დამოუკიდებელი პოლიტიკური როლი, მაგრამ ყველანი მხოლოდ იმპერიალიზმის მარionეტები იყვნენ. პოლონელი ხალხის ინტერესები მათთვის უცხოც იყო და გაუგებარიც. განა პოლონეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ არ იცოდა, რა საფრთხეს უქმნიდა პოლონეთის სახელმწიფოს, პოლონელ ხალხს ჰიტლერელთა ურდოების შემოსევა? ისინი ბრმები არ იყვნენ! მაგრამ ფაშიზმი მათ უფრო ნაკლებად აშინებდათ, ვიდრე პოლონეთის რევოლუციური მუშათა კლასი, ვიდრე გაჭირვებისაგან წელში გაწყვეტილი პოლონელი გლეხობა.

1939 წლის სექტემბერში პოლონეთში ფაშისტური ჯარები რომ შეიჭრნენ, ჩვენ ეს ისე განვიცადეთ, როგორც საკუთარი უბედურება, პოლონელ ხალხს ფიზიკური განადგურება მოელოდა... მხოლოდ პოლონეთის კომუნისტურმა პარტიამ არ დაყარა იმ დღეებში იარაღი, პარტიამ, რომელიც პოლონელი ბნელეთის მოციქულების მიერ ღრმა იატაკქვეშეთში იყო შემწყვდეული. ძალები არათანაბრად იყო. ჩვენმა ხალხმა იმ დროს შესაძლებლობებისა და ევროპაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესაბამისად გაუწოდა დახმარების ხელი პოლონელ ხალხს.

საბჭოთა კავშირში ემიგრაციაში მყოფი პოლონელი კომუნისტების ინიციატივით 1943 წლის გაზაფხულზე შეიქმნა პოლონელ პატრიოტთა კავშირი. 1943 წლის აპრილში ამ კავშირ-

მა მიმართა საბჭოთა მთავრობას თხოვნით, ნება დაერთო საბჭოთა ტერიტორიაზე ჩამოეყალიბებინა პოლონეთის ჯარის შენაერთი, რომელიც ჰიტლერელებთან ბრძოლაში მიიღებდა მონაწილეობას. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. პოლონელმა პატრიოტებმა თავდაპირველად ჩამოაყალიბეს კოსტიუშკოს სახელობის დივიზია. შემდეგ ეს ნაწილი გარდაიქმნა არმიად, რომელმაც მიიღო შესანიშნავი აღჭურვილობა, თანამედროვე იარაღი, გაიწვრთნა. და აი, ბრძოლაში მისი ჩაბმის დროც დადგა.

არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ზიგმუნდ ბერლინგი და არმიის სამხედრო საბჭოს წევრი ალექსანდრე ზაევსკი შტაბის ოფიცერთა თანხლებით მოვიდნენ ჩვენს საკომანდო პუნქტზე 18 ივლისს ღამით, შეტევის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე. მათ იმგზავრეს სოფლის შარაგზით, რომელიც მეთოდურად იცხრილებოდა გერმანელთა არტილერიის მიერ. ჩვენ ძალიან ვღელავდით ჩვენი პოლონელი მეგობრების გამო... საბედნიეროდ, ყველაფერი კეთილად დამთავრდა.

ადვილი წარმოსადგენია ჩვენი სიხარული. ძვირფასი სტუმრები ძმებივით მივიღეთ საზეიმო ვითარებაში, თანაც დროს იმ მონაკვეთში, რომელიც საერთოდ საზეიმოა ყოველი ფრონტელის ცხოვრებაში—უშუალოდ შეტევის დაწყების წინ.

საოცრად წყნარი და უკუნი ღამე იდგა. ჭაობებზე ხშირი ნისლი იყო ჩამოწოლილი. იგი ყველა ხმას ახშობდა. ზოგჯერ სადღაც შორს, უკუნეთში ჩაძირულ მწვანე მასივებს მიღმა, ცა აელვარდებოდა ხოლმე და აფეთქებათა გუგუნი მოისმოდა — ჩვენი თვითმფრინავები მტრის ღრმა ზურგს ბომბავდნენ.

პოლონელმა ამხანაგებმა კითხვები დაგვაყარეს. იგრძნობოდა, რომ ისინი მოუთმენლად ელოდნენ ბრძოლაში ჩაბმას. ეს გასაგებიც იყო. წინ, არცთუ ისე შორს, პოლონეთის საზღვარი გადიოდა. სულ ახლოს იყო ლუბლინი, ლუბლინის მაღლობი, საიდანაც, ხატოვნად რომ ვთქვათ, თავისუფალი პოლონეთის მომავლის დანახვა შეიძლებოდა. ლუბლინს იქით მშობლიური პოლონური სოფლები, ქალაქები. შემდეგ კი აღარც დედაქალაქი—ვარშავა იყო შორს. განაწამები პოლონელი ხალხი გამათავისუფლებლებს ელოდა.

ახლოვდებოდა პოლონეთის ხალხის ისტორიაში შემობრუ-

ნების მომენტი, ახლოვდებოდა ახალ ერაში მისი შესვლის დრო. პოლონეთში სოციალიზმის განთიადი დგებოდა. ეს ჩვენც გვეს-მოდა და ჩვენს პოლონელ მეგობრებსაც.

ამასობაში ღამის საფარქვეშ მიმდინარეობდა დაძაბული მუ-შაობა. პირველი ეშელონის დივიზიათა ნაწილები ცვლიდნენ მე-60 მსროლელი დივიზიის უკანასკნელ ნაწილებს.

მოაღწია ივლისის ადრეულმა განთიადმა. ტყეში იგი თავის უფლებებში ნელა შევიდა, თითქოს უხალისოდაც. თავდაპირველ-ად სიბნელეს გამოეყო ცათაზიდულ ფიჭვთა კენწეროები, შემდეგ შემოიხაზა დაკბილული ნაძვნარის კონტურები, წყვდი-ადმა დატოვა ტყის ტევრი, აელვარდა დაცვარული მდელოები, შეთხელდა მოლურჯო ნისლი...

საკომანდო პუნქტი 202 სიმაღლეზე იყო განლაგებული. კორპუსებისა და დივიზიების მოწინაე სამეთვალყურეო პუნ-ქტებიდან საკომანდო პუნქტისაკენ მავთულები იყო გაჭიმული. სამავთულე კავშირი ნერვივით ჰკვეთდა დარტყმის ღერძსა და მიმართულებებს. რაციები სდუმდნენ. ჯერ მათი დრო არ დამ-დგარიყო.

მე და პოჟარსკიმ საათები ჯერ კიდევ გუშინ საღამოს შევა-მოწმეთ. ჯერ წუთების აღმნუსხველ ისარს დავხედე, შემდეგ წამებისას. ხუთი საათი და ოცდაათი წუთი იყო...

ერთბაშად ამეტყველდა ყველა კალიბრის ქვემეხი. გარღვე-ვის ყოველ კილომეტრზე ალაგ-ალაგ ორასზე მეტი ქვემეხი იყო თავმოყრილი. გვეჩვენებოდა, რომ ფეხქვეშ მიწა ირყეოდა.

ჯერ აფეთქების გუგუნი ისმოდა. ეს გუგუნი მსხვილყალი-ბიანი ქვემეხების ამოქმედებასთან ერთად ძლიერდებოდა. წინ, მოწინაალმდეგის პოზიციებზე, ყველაფერი აირ-დაირია. მტვერ-მა, ცეცხლმა, ბოლმა, მიწისა და ჭაობის ლაფის შადრევნებმა მზე დაჰფარეს. გაფერმკრთალდა დილის შუქი. მძვინვარებდა შურისძიების საარტილერიო ქარიშხალი...

შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ოცდაათწუთიანი საარტილე-რიო თავდასხმის განმავლობაში არმიის არტილერიამ 77300 ჭურვი დახარჯა.

— სული მღერის! — გაიძახოდა პოჟარსკი, — მადლობა, უღრმესი მადლობა ჩვენს მუშებს... ეს ჭეშმარიტი ცეცხლია!

საარტილერიო ტალღის შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ სადაზვერვო რაზმები. ექვს საათს რამდენიმე წუთი რომ გადასცილდა, სამავთულე კავშირის მეშვეობით უკვე ვიღებდით ცნობებს იმის შესახებ, რომ მოწინავე რაზმები ნაპ ტანკებისა და ტანკ-ტრალერების კვალდაკვალ შეიჭრნენ პირველ სანგრებში, ხელთ იგდეს მტრის თავდაცვის წინა ხაზი და გაბატონებული სიმაღლეები. გავეცი ბრძანება მთავარი ძალებით შეტევაზე გადასვლის შესახებ.

ჩემს მოწინავე სამეთვალყურო პუნქტზე მოვიდნენ ფრონტის სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი და საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი. მათთან ერთად მოვიდა ფრონტის არტილერიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ი. კაზაკოვი. მოვიდნენ აგრეთვე პოლონეთის პირველი არმიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ბერლინგი. არმიის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი ალექსანდრე ზავადსკი და სხვა ოფიცრები.

არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკმა ვ. ი. კაზაკოვმა ჰკითხა პოჟარსკის:

— ეს რა ჭექა-ქუხილი აგიტეხიათ? აი, თურმე, როგორ აწარმოებთ დაზვერვით ბრძოლას!

ნიკოლოზ მიტროფანეს ძემ ნახა, რომ ჩვენი გეგმა გამართლდა. მან მშვიდად უპასუხა კაზაკოვს:

— მიმართეთ არმიის სარდალს! ის აგიხსნით, რით არის გამოწვეული ასეთი ცეცხლი...

კამათი, რომელიც უნდა გაჩაღებულიყო, როკოსოვსკიმ შეწყვიტა.

— ჩვენ მათ ოპერაცია ვანდეთ... პასუხი შედეგებზე მოვთხოვოთ და არა იმაზე, თუ როგორ ისვრიან!

შედეგებზე ლაპარაკი კი ჯერ ადრე იყო. მოდიოდა ცნობები მოწინაალმდეგის თავდაცვის საყრდენ პუნქტებზე გამართული გააფთრებული ხელჩართული ბრძოლების შესახებ. მაგრამ მთავარი, მთავარი უკვე მიღწეული იყო. მოწინაალმდეგე ადგილზე იქნა „მიჯაჭვული“, მან ღამის განმავლობაში პოზიციებიდან უკან ვერ დაიხია, ეს კი ნიშნავდა იმას, რომ სადაცაა მივიღებდით ცნობას პირველი პოზიციის გარღვევის შესახებ.

შვიდ საათსა და რამდენიმე წუთზე საშუალება მომეცა მომეხსენებინა ფრონტის სარდლისა და მთავარბანკის წარმომადგენლებისათვის, რომ მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარი ზოლის პირველი პოზიცია ყველგან გარღვეულია. არმიის ძირითადი ძალები ბრძოლაში ებმებოდნენ საფუძვლიანი საარტილერიო მომზადების გარეშე, ცეცხლის ტალღის გარეშე. მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის ამ მეთოდმა სახელმწიფოს დაუზოგა მრავალი ასეული ათასი ჭურვი, ასობით ტონა ავიაყუმბარა და საწვავი.

მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ჩაებნენ პირველი ეშელონის დივიზიათა ძირითადი ძალები. მოწინააღმდეგე შეეცადა საარტილერიო ცეცხლით შეეჩერებინა მათი წინსვლა. მაგრამ მათ ბატარეებს მაშინვე დაუშინა ცეცხლი ჩვენმა არტილერიამ, შემდეგ კი ყუმბარები დააყარა ავიაციამ. გერმანელთა არტილერია რამდენიმე წუთში ჩაჩუმდა. ის, რისი გაკეთებაც არტილერისტებმა ვერ შეძლეს, მფრინავებმა დაამთავრეს.

ჩვენი ჯარები პირველივე ნახტომით რამდენიმე კილომეტრით შეიჭრნენ მოწინააღმდეგის განლაგების სიღრმეში. 17 საათისათვის ჩვენი ნაწილები მდინარე პლისკას მიადგნენ. ეს უკვე მოწინააღმდეგის თავდაცვის მეორე ზოლი იყო. აქ გერმანელთა სარდლობა კიდევ ერთხელ შეეცადა შეეჩერებინა ჩვენი წინსვლა. მაგრამ გვარდიელები არ შეფერხებულან. 47-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ პოლკოვნიკ ვ. მ. შუგაევის მეთაურობით შეუჩერებლად გადალახა ჭაობიანი მდინარე და გაღმა ნაპირზე გააჩაღა ბრძოლა. 47-ე გვარდიულის შემდეგ გადასასვლელებზე ბრძოლაში ჩაება 88-ე გვარდიული მსროლელთა დივიზია გენერალ ბ. ნ. პანკოვის მეთაურობით. მან ერთი პოლკით გადალახა მდინარე ხვოროსტოვის რაიონში. მდინარეს მიადგა გენერალ ვ. ს. გლებოვის 27-ე გვარდიულ მსროლელთა დივიზიაც.

დღის ბოლოსათვის ჩვენი ჯარები მტრის თავდაცვის მეორე ზოლში შეიჭრნენ.

მე-11 სატანკო კორპუსმა ამ დროისათვის საწყისი მდგომარეობა დაიკავა ოკუნინისა და ნოვოსელსკის რაიონში და თავისი დაზვერვა პლისკას დასავლეთ ნაპირზე გაგზავნა.

მე-6 საჰაერო არმიის ავიაშენაერთები განაგრძობდნენ მტრის საბრძოლო რიგებისა და სამართავი პუნქტების დაბომბვას მისი თავდაცვის სიღრმეში. მფრინავებმა სულ 855 გაფრენა განახორციელეს.

პოლონელი ამხანაგები ნახულით აღფრთოვანდნენ. ყველაფერს როგორც სამართლიან შურისძიებას აღიქვამდნენ. ძლივს დავიყოლიეთ, უარი ეთქვათ გარღვევის ყელისაკენ საბრძოლო რიგებში წასვლაზე.

ბრძოლა არც ღამე შეწყვეტილა. მზვერავები და არტილერისტები ავლენდნენ მოწინააღმდეგის საცეცხლე საშუალებებს. საინჟინრო ნაწილები აგებდნენ ხიდებსა და გადასასვლელებს არტილერიისა და ტანკებისათვის. სიბნელეში 88-ე მსროლელთა დივიზია მთლიანად გადავიდა პლისკას დასავლეთ ნაპირზე.

დილით, 19 ივლისს კვლავ ამეტყველდა არმიის არტილერია. მოწინააღმდეგის პოზიციებს ამჯერად ოცწუთიანი ჯოჯოხეთი დაატყდა თავს. ჯარები კვლავ გადავიდნენ შეტევაზე. 11 საათისა და 30 წუთისათვის ისინი გოროდნო-მაშევის ზღუდეზე გავიდნენ.

დღის მეორე ნახევარში დაიძრნენ ტანკები. მე-11 სატანკო კორპუსმა პლისკა გადალახა და სკიბი-მაშევის ზღუდიდან გარღვევაზე გავიდა. გაჰკვეთა მოწინააღმდეგის უკანდახეული ნაწილები, ჩრდილოეთიდან შემოუარა ქალაქ ლიუბომლს და მტრის ზურგში განაგრძო რეიდი. კორპუსი, რომელსაც ორეშელონიანი საბრძოლო წყობა ჰქონდა, გაძლიერების ნაწილებთან ერთად ორი მარშრუტით მოძრაობდა.

კუსნიშჩე-ლუბომლის ზღუდეზე მოწინააღმდეგემ 36-ე და 65-ე სატანკო ბრიგადები შეაჩერა. მაშინ დაუყოვნებლივ ჩაება ბრძოლაში მე-20 სატანკო ბრიგადა, რომელიც მანამ მეორე ეშელონში იყო. მან ლიუბომლს ჩრდილოეთიდან შემოუარა და დასავლეთისაკენ გაემართა. ამან გადაწყვიტა ლიუბომლის ბედი. მალე 47-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ 65-ე სატანკო და მე-12 მოტომსროლელ ბრიგადებთან ურთიერთმოქმედებით ხელთ იგდო ქალაქი.

ბრძოლის მსვლელობის მიხედვით ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ძირითად ზღუდეებზე მტრის წინააღმდეგობა დაძლეულ

იქნა. დარტყმის მოულოდნელობამ და ძალის უპირატესობამ თავისი როლი შეასრულა გარღვევის მთელ ფრონტზე. სრულ წარმატებას მივაღწიეთ აგრეთვე 47-ე და 69-ე არმიების შეტევის უბნებზეც.

ერთი სამეთვალყურეო პუნქტიდან მეორემდე ტყის გავლით მივდიოდით. ტყეში გამავალ გზაზე შევხვდი იმ დღეებისათვის ჩვეულებრივ „პროცესიას“. რამდენიმე ჩვენს მეავტომატეს ზურგში მიჰყავდა გერმანელი ტყვეები. ერთი შეხედვით მათ ნაღვლიანი სახეები უნდა ჰქონოდათ, მართალია, სამხედრო ტყვეთა სახეებზე არც სიხარული იყო აღბეჭდილი, მაგრამ თვალნათლივ ჩანდა, რომ შვება ეგრძნოთ... დამთავრდა... დამთავრდა სამი წლის წინათ ამ ადგილებში დაწყებული სამარცხვინო ლაშქრობა. თავი ვერ შევიკავე და კოლონასთან გავჩერდი. ისე მოხდა, რომ ჩემ გვერდით ტყვე თარჯიმანი აღმოჩნდა. მართალია ენას ამტვრევდა, ძლიერი აქცენტით ლაპარაკობდა, მაგრამ რუსული კარგად ესმოდა.

სამხედრო ტყვეები აიკვალთნენ, რამდენადაც შეეძლოთ მოწესრიგდნენ. არა მგონია, რომ ჩვენი სამხედრო ტყვეები ასე იქიმებოდნენ გერმანელი გენერლის წინაშე. მთარგმნელს ჰიკუბრუნდი:

— ჰკითხეთ თქვენიანებს, შეუძლია ვინმეს იმის ახსნა, რაც ახლა ხდება? — შევეკითხე მას.

კითხვა ზუსტად გადათარგმნა. ისინი, ვინც უფრო ხნიერნი იყვნენ, აყვირდნენ:

— ჰიტლერ კაპუტ! კაპუტ!

ახალგაზრდა ჯარისკაცები და ოფიცრები დუმდნენ. ისინი ჩემი კითხვის არსს უფრო ღრმად ჩასწვდნენ.

— რა ხდება? — შევეკითხე განმეორებით.

მათ ერთმანეთში მოითათბირეს. თარჯიმანმა პასუხი მითარგმნა:

— ჩვენ უკან ვიხევთ, ბატონო გენერალო! ჩვენმა ოფიცრებმა არ იცოდნენ, რომ ასეთი ძალა დაგვატყდებოდა თავს...

— უკან რომ იხევთ, ვიცით... ვხედავთ! მაგრამ ამით ჯერ კიდევ ყველაფრის ახსნა როდი შეიძლება...

ხანში შესულმა ჯარისკაცებმა ახლოს მოიწიეს... მე გადმო-

მითარგმნეს, რომ მათ დიდი ხანია აწვალებს ფიქრი იმაზე, თუ საიდან აქვთ რუსებს ასე უხვად ტექნიკა, ასეთი მძლავრი არტილერია... ისინი თვლიდნენ, რომ ჩვენი მრეწველობა განადგურებულია. ჯარისკაცებს შორის იყვნენ მელითონე მუშები. საბჭოთა მრეწველობა მნიშვნელოვნად უფრო მძლავრი აღმოჩნდა, ვიდრე მათ ეუბნებოდნენ ომის დასაწყისში... „ომი წაგებულია". სწორედ ამ სიტყვებს ველოდი მათგან.

— თქვენ მოდიოდით, — ვეუბნებოდი მათ, — რომ ჩვენი ქვეყანა დაგეპყროთ... ეს იყო ომის მიზანი... კიდევ რამდენიმე კილომეტრი და ჩვენი მიწა მთლიანად განთავისუფლდება. ომი თქვენ ნამდვილად წააგეთ... რა უნდა მოჰყვეს ამას ცივილიზებულ საზოგადოებაში?

— საზავო მოლაპარაკება, — მიპასუხა რომელიღაც ტყვემ.

— ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა ომის შედეგი გაურკვეველია. დღეს ეს გარკვეულია!

— ჰიტლერი ამბობს, რომ მას საიდუმლო იარაღი აქვს!

— ჩვენც გვაქვს ასეთი იარაღი! შემდეგ?

პასუხად — დუმილი.

პირტიტველა ობერ-ლეიტენანტი სიძულვილით საეს თვალებით მიყურებდა. შეხვეული ხელი მკერდზე ჰქონდა ჩამოკიდებული, დაკაწრული, ჭუჭყიანი და მთლიანად მაზუთში ამოსვრილი იყო. მას ტანკისტის ფორმა ეცვა.

— გერმანია კაპიტულაციას არ მოახდენს! — განაცხადა მან, — გერმანელ ჯარისკაცს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე შეუძლია ბრძოლა...

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა გერმანიაში განლაგებულ საბჭოთა ჯარებს ვსარდლობდი, ამ ობერ-ლეიტენანტს შევხვდი. იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარების შესანიშნავი ოფიცერი იყო.

რა შემძინა სამხედრო ტყვეებთან ამ საუბარმა?

ჯერ ერთი, მან დაადასტურა, რომ გერმანელთა სარდლობისათვის ჩვენი დარტყმის ძალა მოულოდნელი იყო. მეორეც, დავრწმუნდი, რომ მტერი ფსიქოლოგიურად გატეხილია, რომ ამით შეიქმნა ძირითადი წინაპირობა მზარდ ტემპში შეტევის განვითარებისათვის. ყოველ ბრძოლაში ჯარების მორალურ

მდგომარეობას გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებდი. ჩვენი მეომრები საბრძოლველად აღფრთოვანებულნი მიდიოდნენ, მოწინააღმდეგე საბრძოლველად მიდიოდა და დამარცხებას ელოდა.

ავიადაზვერვის მონაცემებით მტრის დარბეული ნაწილები დასავლეთ ბუგის იქით იხევდნენ და ცდილობდნენ თავდაცვის ახალ ხაზზე მოეკიდებინათ ფეხი.

ჩვენს წინაშე ისახებოდა ამოცანა-დავდევნებოდით მოწინააღმდეგეს, შეუჩერებლივ გადაგველახა წყლის ეს ზღუდეც და გვეიძულებინა მტერი მდინარის დასავლეთ ნაპირზეც დაეტოვებინა პოზიციები.

კუსნიშჩე-ლიუბომლ-ვიშნევის ზღუდეზე ბრძოლაში ჩაებნენ მსროლელთა კორპუსების მეორე ეშელონები. მათი ამოცანა იყო, რაც შეიძლება სწრაფად გასულიყვნენ დასავლეთ ბუგისაკენ ფართო ფრონტით და შეუჩერებლივ გადაელახათ მდინარე. ჩვენი მსროლელთა კორპუსები საბრძოლო წყობის ორეშელონიანი განლაგებით უტევდნენ.

კმაყოფილნი ვადევნებდით თვალყურს მეზობლების მოქმედებას. ისინიც წარმატებით უტევდნენ და ჩვენს გასწვრივ მოძრაობდნენ.

ბრძოლა ღამითაც არ შეწყვეტილა. დილით, 20 ივლისს 65-ე სატანკო ბრიგადა და 57-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის ნაწილები სწრაფი ნახტომით გავიდნენ დასავლეთ ბუგზე გუშჩის რაიონში. გამოიყენეს ფონი და მდინარე გადალახეს. დილის 10 საათიდან დასავლეთ ნაპირზე გადავიდა აგრეთვე 47-ე გვარდიული მსროლელთა დივიზია. მდინარე ბუგის ზღუდეზე ერთდროულად მოიყარეს თავი 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის 39-ე და 88-ე დივიზიებმა. მათ მდინარე გადალახეს გნიშჩუე-სვერჟეს რაიონში და თანდათან აფართოებდნენ დაპყრობილ პლაცდარმებს.

ამრიგად, 20 ივნისს შუადღისათვის არმიამ ორი კორპუსით 15 კილომეტრამდე განფენილობის ფრონტით გადალახა დასავლეთი ბუგი. ჯარები დასავლეთისაკენ ავითარებდნენ შეტევას და ამავე დროს მდინარეზე აწყობდნენ საბორნე გადასასვლელებს.

მე-2 სატანკო არმია — ჩვენი დაჯგუფების ძირითადი დამ-

რტყმელი და მობილური ძალა ბრძოლაში არ ჩაბმულა, თუმცა მისი მონაწილეობა ოპერაციის მეორე დღისათვის იყო დაგეგმილი. იგი ვერ ასწრებდა საერთო-საჯარისო არმიების შემდეგ გაშლას და მდინარე ბუგამდე გასვლას. ჩვენ ჯერჯერობით მე-11 სატანკო კორპუსის ძალებით ვკმაყოფილდებოდით.

20 ივნისის დილით შტაბის უფროს ვ. ა. ბელიავსკისთან ერთად გავემგზავრეთ გენერალ-ლეიტენანტ ვ. ა. გლაზუნოვის მე-4 გვარდიულ მსროლელთა კორპუსში, რომლის შტაბიც ოპალინის მახლობლად იყო განლაგებული. იქ გლაზუნოვმა მე-11 სატანკო კორპუსთან ურთიერთმოქმედებით დაიწყო დასავლეთ ბუგზე გადასვლა. ჩვენთან ერთად მე-2 სატანკო არმიის სარდალი, სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი ს. ი. ბოგდანოვიც წამოვიდა. შეტევის პირველივე დღიდან მედგა იგი მხარში. მისი მოუთმენლობა გასაგები იყო, მაგრამ გასაგები იყო თავდაჭერილობაც. სატანკო არმია გრდემლზე დასარტყმელად გამზადებულ ურჩოსავით შემოგვრჩა. ახლა საჭირო იყო ისე მოგვეწყო საქმე, რომ ამ მძლავრი შენაერთის დარტყმა მტრის გაშიშვლებულ საბრძოლო რიგებს მოხვედროდა.

ბუგის აღმოსავლეთ ნაპირიდან მტრის საცეცხლე წერტებსა და საარტილერიო პოზიციებს ურტყამდა ჩვენი არტილერია. პოჟარსკიმ აქ მსხვილკალიბრიანი ქვემეხების მოზიდვაც მოასწრო. გლაზუნოვის გვარდიელებმა და ტანკისტებმა არტილერიის საფარ ქვეშ, ავიაციის მხარდაჭერით მოაწყვეს გადასასვლელი და გააფართოვეს პლაცდარმი დასავლეთ ნაპირზე.

საზეიმო წუთი ჩვეულებრივ, საბრძოლო ვითარებაში დადგა. გადავლახეთ სახელმწიფო საზღვარი, განვდევნეთ მტერი, რომელმაც იგი მუხანათურად დაარღვია სამი წლის წინათ. იგრძნობოდა, რომ ჩვენ აქ ოპერატიული პაუზისათვისაც კი არ გავჩერდებოდით და მოწინააღმდეგის დევნას დასავლეთისაკენ განვაგრძობდით. ახლა დურბინდით კი არა, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა პოლონეთის ტერიტორია. შესანიშნავად მესმოდა ჩვენი პოლონელი ამხანაგების მღელვარება!

ამასობაში მოვლენები ვითარდებოდა. ჩვენ გვაფიქრებდა მარჯვენა ფლანგი. მარჯვენა ფლანგზე გენერალ ი. ს. ფოკანო-

ვის 29-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსი მოქმედებდა. ფოკანოვთან ერთად ჩვენ დიდი საბრძოლო გზა განვვლეთ. მისი კორპუსი მე-8 გვარდიული არმიის შემადგენლობაში სამხრეთ უკრაინაში გამართულ უმძიმეს ბრძოლებში მონაწილეობდა. გენერალი გამოცდილი, ნებისყოფიანი მხედართმთავარი იყო. მაგრამ ყოველ შეტევას თავისი სიძნელეები ახლავს. ღამით მივიღეთ ცნობა, რომ მისი კორპუსი ჩამორჩება საერთო შეტევას. გლაზუნოვის კორპუსში და ტანკისტებთან მოწყობილი გადასასვლელის ნახვის შემდეგ სავსებით დარწმუნებული ვიყავით, რომ 29-ე გვარდიული კორპუსიც დასავლეთ ბუგის ნაპირზე იყო გასული. მარჯვენა ფლანგისაკენ გავემართეთ მდინარის ნაპირით. უნდა ვაღიარო, რომ ეს დიდი გაუფრთხილებლობა იყო. ჩვენთან ერთად მოდიოდა გენერალი ბოგდანოვი.

გზა ხან ტყეში გადიოდა, ხან მდინარის ღია ნაპირს მიუყვებოდა. აი, უკვე გავიარეთ რვა კილომეტრამდე გზა. არსად, არც ერთ ადგილზე არც ერთ ჩვენ მებრძოლს არ შევხვედრივართ. დაბა ზაბლეჟიესთან უცებ თვალი მოვკარით გერმანელ ჯარისკაცებს, რომლებიც ჯგუ-ჯგუფად მიემართებოდნენ მდინარის ნაპირისაკენ. არმიის სარდლები გერმანელ ჯარისკაცებთან ხომ არ გავაჩაღებდით სროლას. მკვეთრად გადავუხვიეთ აღმოსავლეთისაკენ. იგივე მეორდება. ჩვენები არსად ჩანდნენ. ეს საწყენიც იყო და გაუგებარიც. ღამით ფოკანოვმა მოგვახსენა, რომ მძიმე ბრძოლებს აწარმოებს. ვისთან შეეძლო მას მძიმე ბრძოლების წარმოება, რა უშლიდა ახლა ხელს ბუგისაკენ გასულიყო?

ტყეში გამავალ გზაზე კინაღამ გენერალ ვ. ს. გლებოვის 27-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მზვერავთა ცეცხლის ქვეშ მოვხვდით. გვიხსნა მხოლოდ იმან, რომ მებრძოლები მიცნობდნენ. მზვერავებს ვუბრძანე ბუგის ნაპირისაკენ წასულიყვნენ, ჩვენ კი გავემართეთ სოფელ გოროზოვიშჩესაკენ, სადაც, როგორც მზვერავებმა მიგვანიშნეს, კორპუსის შტაბი იყო განლაგებული.

აქ, პირდაპირ უნდა გითხრათ, გულის ამაჩუყებელ სურათს წავაწყდით.

გლეხური ქოხის კარისწინაზე მშვიდად საუბრობდნენ გენე-

რალი ფოკანოვი, კორპუსის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი კოზ-ლოვსკი და ფრონტის სარდლობის ორი წარმომადგენელი.

ჩვენ მათ აღმოსავლეთიდან კი არ მივადექით, როგორც ეს მათთვის იყო მოსალოდნელი, არამედ დასავლეთიდან...

ფოკანოვისათვის „შინაური" ხალხი ვიყავით. ურთიერთობის გამორკვევა შეგვეძლო გადაგვეედო, მაგრამ ფრონტის წარმომადგენლები კი გავაფრთხილე. მე და ბოგდანოვმა „დასვენებული" მეთაურები ზაბლუქიეში წავიყვანეთ, რომ საშუალება ჰქონოდათ დასავლეთ ბუგის ნაპირიდან ეხელმძღვანელათ ჯარებისათვის.

გერმანელთა სარდლობა ყველა ღონეს ხმარობდა საამისოდ, რომ ჩვენი წინსვლა შეეჩერებინა. დასავლეთ ბუგის ნაპირზე მდებარეობდა თავდაცვითი პოზიციები. იქ თავს იყრიდნენ გერმანელთა უკანდახეული ნაწილები. გერმანელთა სარდლობამ დაუყოვნებლივ იზრუნა მათს გაძლიერებაზე, რისთვისაც ფრონტის სხვა უბნებიდან აქ გადმოისროლა 213-ე ქვეითი დივიზიის ნაწილები, 489-ე დამცველი ათასეული და 609-ე მოტობატალიონი. მოწინააღმდეგეს კონტრშეტევები მოჰქონდა დასავლეთ ნაპირზე მდებარე ჩვენს პლაცდარმებზე. განსაკუთრებით გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა დასახლებული პუნქტების, დობრილევისა და რუდკის მახლობლად. მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარი და ტანკები რამდენჯერმე გადმოვიდნენ კონტრშეტევაზე.

მაგრამ ჩვენ შეტევითი ბრძოლებისა და თავდაცვის შეხვედრების საკმაოდ მდიდარი გამოცდილება გექონდა დაგროვილი. იქ, სადაც გვარდიელი ფეხის მოკიდებას მოასწრებდა, კონტრშეტევით მისი ადგილიდან დაძვრა შეუძლებელი იყო. ამჯერად კი ჩვენ დახმარებას გვიწევდა მძლავრი სატანკო შენაერთი. გერმანელთა სატანკო კონტრშეტევების მოგერიების დროს განსაკუთრებით ეფექტურად მოქმედებდნენ 122 მილიმეტრიანი ქვემეხებით აღჭურვილი მძიმე ტანკები. ამ ქვემეხს დიდ მანძილზე შეეძლო პირდაპირი სროლის წარმოება. მისი მძლავრი ყუმბარა, დიდი საწყისი სიჩქარით, გამჭოლად ხვრეტდა გერმანელთა ტანკების ჯავშანს, „სამეფო ვეფხვის" ჯავშანსაც კი.

პირველ ხანებში გერმანელი ტანკისტები „სამეფო ვეფხვე-

ბის“ ჯავშნის იმედით გულდაგულ მიდიოდნენ ტანკებთან და გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ კი ხვდებოდნენ. ახლა ფრთხილობდნენ. ჩვენი ტანკისტები გაბედულად უტევდნენ მოწინააღმდეგეს, გზას უკაფავდნენ მსროლელთა ნაწილებს.

დასავლეთ ნაპირზე, უკვე პოლონეთის მიწაზე, იმ დღეს თავი ისახელეს არტილერისტებმაც. მომახსენეს იმ საქვემეხო ჯგუფეულის, გათვლის გმირობაზე, რომელსაც მეთაურობდა გვარდიის სერჟანტი პეტრე შვირიაევი 88-ე გვარდიული მსროლელი დივიზიიდან.

ჰიტლერელები ტყის პირას გამაგრდნენ. ბუჩქნარში შენიღბეს სამი ტანკი და რამდენიმე ტყვიამფრქვევი, რომლებიც მიმდებარე ადგილებს გამოთოფავდნენ. მტრის აქედან ამორეკვა პეტრე შვირიაევის საქვემეხო გათვლას დაევალა. მტვრის კორიანტელში პირდაპირ მტრის პოზიციებისაკენ გაიჭრა „დოჯი“, რომელზეც 76 მილიმეტრიანი ქვემეხი იყო გამობმული.

ფაშისტები არ ისროდნენ. მათ, ალბათ, ეგონათ, რომ მანქანა ტყეში შეიჭრებოდა და დაუზიანებლად ჩაიგდებდნენ ხელში, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ.

მანქანის მძღოლი უფროსი სერჟანტი იგორ ბაკერკინი მთელი სისწრაფით გაიჭრა გერმანელთა პოზიციის ფლანგზე და მკვეთრად შემოაბრუნა მანქანა, არტილერისტებმა ქვემეხი მოხსნეს. გავიდა რამდენიმე წამი და მემიზნე მარჩენკომ ცეცხლი გახსნა. ჰიტლერელებამდე სულ 300-400 მეტრი იყო. პირველივე ყუმბარებმა ცეცხლი წაუკიდეს ჯერ ერთს, შემდეგ მეორე ტანკს. ერთი წუთიც არ გასულა, რომ დადუმდა მტრის ტყვიამფრქვევი, მხოლოდ ერთმა ტანკმა მოასწრო ტყისათვის შეეფარებინა თავი.

ბრძოლის ველზე გვარდიელთა მრისხანე „ვაშამ“ იქუხა ჩვენი მსროლელები სწრაფად გადავიდნენ იერიშზე და მტრის სანგრებში შეიჭრნენ.

ბევრ უსიამოვნებას გვაყენებდნენ „გუგულები“ — ხეებზე შენიღბული სნაიპერები. გერმანელები მუხანათურ ხერხს მიმართავდნენ: შესვამდნენ სნაიპერს ხეზე და ისიც შერჩევით ესროდა ჩვენს გვარდიელებს. დამამახსოვრდა ცნობილი სტალინგრა-

დელი სნაიპერის საბჭოთა კავშირის გმირის ვიქტორ მედვედევის ნაამბობი „გუგულებთან“ დუელის შესახებ.

— ჩვენი ასეული ტყის მდელოზე გავიდა. უკან მოტოვებული სივრცე ტყვიამფრქვევების რამდენიმე ჯერმა დაცხრილა. კარგად მოვჩხრიკეთ ტყე, თითქოს არავინ არ უნდა დარჩენილიყო. მაშ საიდან ისროდნენ? მაშინვე მიეხვდი, რომ ხეზე ჩასაფრებული გერმანელი ისროდა, მაგრამ, რატომ აქვს მას ტყვიამფრქვევი? ადრე მე შეეხვედრიეარ ავტომატით ან სნაიპერული შაშხანით შეიარაღებულ „გუგულებს“.

ბუჩქნარში მოხერხებული სათვალთვალო ადგილი შეეარჩიე. ტყვიამფრქვევის ჯერმა კვლავ ააბუქა მიწა ჩვენი რიგების შუაგულში. მოვასწარი სროლის მიმართულების განსაზღვრა. მდელოს ბოლოში ფართოდ დატოტვილი დიდი მუხა იდგა. ჩავაცქერდი. ტოტებში რაღაც შავად მოჩანს. ისე მიეხოხდი მუხასთან, რომ ბუჩქნარიდან არ გამოვსულვარ. ვესროლე, მიწაზე რაღაც მძიმე საგანი ჩამოვარდა, ტოტებზე კი ჰიტლერელი გადმოეკიდა, ხელში რაღაც უჭირავს. კიდევ ერთხელ ვესროლე. სიფრთხილე ზედმეტი არ იყო: ტყვია ხელში მოხვდა და ჰიტლერელს პისტოლეტი დაუვარდა.

ხესთან მივირბინე. მუხის ძირას ტყვიამფრქვევი ეგდო. მაგრამ ეს ჩვეულებრივი ტყვიამფრქვევი როდი იყო, მას ოპტიკური სამიზნე ჰქონდა.

ყურადღებით დავათვალიერე ხე. ვხედავ მის ტანზე წვრილი, აბრეშუმის ძაფით შემოწნული მავთულია გაჭიმული. აღმოჩნდა, რომ „გუგული“ მაკორექტირებლის როლსაც ასრულებდა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენი ასეული ამ ადგილზე რამდენჯერმე მოხვდა ნაღმსატყორცნთა ცეცხლქვეშ.

ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ გერმანელთა „გუგულები“ ჩვეულებრივად შეწყვილებული მოქმედებდნენ. მართალია, მეორე ჰიტლერელს ჩემთვის ჯერ არ უსვრია, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ ის სადღაც ახლოს იყო მიმალული. და მართლაც, ერთ-ერთი ხის ფოთლებში შავ ლაქს მოეკარი თვალი. გულმოდგინედ დავუმიზნე, ვესროლე. ჰიტლერელი მიწაზე დაგნარცხა. მის ახლოსაც ოპტიკურ სამიზნიანი ტყვიამფრქვევი ვნახეთ. „გუგული“ ამჯერად არ იყო გამობმული ტოტზე, ამი-

ტომაც მაშინვე ჩამოვარდა. დავათვალიერე ხე და კვლავ აღმოვაჩინე ტელეფონის შავი მავთული. მისი ერთი წვერი ხეზე ადიოდა, მეორე სადღაც ტყის სიღრმეში იკარგებოდა.

იმ დღეს მტრის ხუთი „გუგულის“ ჩამოგდება შევძელი. მათი ყველა ბუდე ტელეფონის აპარატებით იყო აღჭურვილი. რამდენჯერმე შევამჩნიე ბალახში წვრილი, აბრეშუმის ძაფით შემოწნული მავთული. იგი მეტად მსუბუქი იყო, ამიტომ გერმანელ სნაიპერებს ხაზის გაჭიმვა დიდ მანძილზე შეეძლოთ. ასეულს მოწყვეტა და მტრის მიერ გაჭიმული მავთულების მიმართულებით წასვლა არ შეეძლო, ამიტომ მათი გაწყვეტით ვკმაყოფილდებოდი.

ფაშისტებმა ეშმაკობას მიმართეს: თავიანთ „გუგულებს“ ამარაგებდნენ განსაკუთრებული ფარებით, რომლებსაც ადგილმდებარეობის სათვალთვალოდ და სასროლად სამზერი ჭრილი ჰქონდა გაკეთებული. ჯავშანი მტრის სნაიპერს ტყვიისაგან იცავდა. მაგრამ ხის ტოტებში ვეებერთელა ფარების შენიღბვა ძნელია, და ჩვენც მალე ვისწავლეთ მათი აღმოჩენა. ასეთი ფარით შეიარაღებულ „გუგულს“ რომ შეამჩნევ, შემოუარე გვერდიდან და ესროლე. პირდაპირ სროლა არ შეიძლება: შენი ტყვია შეიძლება ფარმა აისხლიტოს. ვერც მტერს მოკლავ და თავსაც გამოაცლენ. მოხერხებულობითა და სიფრთხილით კი ყოველ „გუგულს“ ჩამოაგდებ...

იმ დღეებში შევხვდი შეტევის ერთ-ერთ გმირს — მსროლელთა ბატალიონის კომკავშირელთა თავკაცს მაქსიმ ცირკინს. ერთი წლის წინათ ახალგაზრდა ჯარისკაცმა პირველად მიიღო მონაწილეობა ბრძოლაში. მებადურის ნავით ამხანაგებთან ერთად გადალახა დნეპრი, ავტომატით ხელში შეიჭრა გერმანელთა სანგარში და რამდენიმე ჯერით ათამდე ფაშისტი მოსპო. ასეთი იყო კომკავშირელ ცირკინის საბრძოლო გზის დასაწყისი. ბატალიონში იგი შეუყვარდათ ბრძოლაში გამოჩენილი სამამაცისა და შემართებისათვის, ცოცხალი და გულღია ხასიათისათვის. ცირკინი ყოველთვის პირველი გამოთქვამდა სურვილს შეესრულებინა ყველაზე ძნელი საქმე. ერთხელ მან რამდენიმე გულად მებრძოლთან ერთად სარკინიგზო გადასასვლელზე გაანადგურა მტრის გარნიზონი. მეორედ, გაცხარებულ ბრძოლა-

ში ცირკინი სახლის სხვენში აძვრა და მოსპო მტრის მეტყველი-ფრქვევენი, რომელნიც თავიანთი ცეცხლით გზას უღობავდნენ ჩვენს ქვეით ჯარს.

მამაცი კომკავშირელი მებრძოლი ბატალიონის კომორგად აირჩიეს. და აქ მთელი ძალით გამოვლინდა მისი ორგანიზატორული უნარი, ახალგაზრდობის აღმზრდელის ნიჭი. ცირკინის წყალობით, რომელიც იმ დროისათვის უკვე უმცროსი ლეიტენანტი გახდა, ასობით ახალგაზრდა ჯარისკაცი შესანიშნავ მებრძოლად იქცა. მას ძველებურად ყოველთვის იქ ხედავდნენ, სადაც ყველაზე მეტი სიძნელე და საშიშროება იყო.

ასე მოხდა ამჯერადაც. ინათა თუ არა, გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი ცირკინი მეავტომატეთა ასეულში იყო. მან მებრძოლებს წაუკითხა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობა, უამბო ბელორუსიასა და ლიტვაში ჩვენი ჯარების შეტევაზე, გაახსენა მებრძოლებს, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ბრძოლაში.

შეტევის ნიშანი რომ მისცეს, მთელი ასეული ერთსულოვნად გაემართა სიმაღლისაკენ. ცირკინი მოწინავეთა შორის იყო, გვარდიელებს მიუძღოდა წინ. ამ დროს მძიმედ დაიჭრა ასეულის მეთაური. იგი ცირკინმა შეცვალა (ასეთი იყო არმიის საჭ. ხედრო საბჭოს ბრძანება: მეთაურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში პოლიტმუშაკს უნდა შეეცვალა იგი და საბრძოლო ამოცანა ბოლომდე შეესრულებინა).

შეუჩერებლად გაიჭრა წინ მეავტომატეთა ასეული. აი, იგი უკვე მოწინააღმდეგის სანგრებშია, სწრაფად გაწმინდა იგი მტრისაგან და მტკიცედ მოიკიდა ფეხი ზღუდეზე.

ცირკინს რომ შევხედი, გულითადი მადლობა ვუთხარი შეუპოვრობისა და სიმამაცისათვის. ჩვენ ვსაუბრობდით ბრძოლისაგან ჯერ კიდევ აღგზნებულ და შეხურებულ მებრძოლთა წრეში. ჯარისკაცებს ამ დღეებში დაგროვილი ჩემი ფიქრები გავუზიარე:

— შეტევა ადვილი საქმე არ არის. მოწინააღმდეგე გულხელდაკრეფილი არ მოგვიცდის. ყველა საშუალებით შეეცდება შეაჩეროს შენი წინსვლა. მაგრამ რაც არ უნდა გაგიძნელდეს, ნუ შეასუსტებ და, იყავი მხნე, გაბედული და მამაცი. შეუპოვ-

რად განაგრძე დასახული ამოცანის შესრულება. იცოდე, თუ შენ გიჭირს, მოწინააღმდეგეს შენზე უფრო ბევრად უჭირს. შენ უტევ—ინიციატივა შენს ხელთაა. ვისაც ინიციატივა აქვს, იმარჯვებს კიდეც.

მოწინააღმდეგე კონტრშეტევაზე გადმოვიდა — ნუ შედრკები. შენ გაქვს შაშხანა, ხელყუმბარა, ავტომატი ან ტყვიამფრქვევი. ამ მძლავრი იარაღის მთელი საცეცხლე ძალით შეუტიე მტერს,—თავდაცვაზე არ იფიქრო, გაბედულად წადი წინ, ჰიტლერელი კი დაიღუპება ან ტყვედ ჩაგბარდება.

მოწინააღმდეგე კონტრშეტევაზე გადმოვიდა ტანკებით — უფრო გაბედულად გეჭიროს თავი, იბრძოლე უფრო გააფთრებით და შეუპოვრად. ცეცხლი დაუშინე მტრის ქვეით ჯარს, ჩამოაშორე იგი ტანკებს და მიწას გააკარ. იცოდე: კონტრშეტევას მარტო შენ არ იგერიებ. შენს მხარდამხარ მოქმედებენ ტანკისტები, არტილერისტები და მეჯავშანგამტანენი. ტანკებს ისინი გაუმკლავდებიან, შენ კი მტრის ქვეითი ჯარი უნდა მოსპო.

ზოგჯერ ასეც ხდება: მტრის ტანკები ქვეითთა პოზიციებთან მიახლოებას ახერხებენ. შენ გაქვს ხელყუმბარები, ფეთქებადი სითხით სავსე ბოთლები, ან ნაალაფარი ფაუსტპატრონები. შეუტიე შეჯავშნულ მტერს, გაბედულად ჩაები ორთაბრძოლაში და შენ გაიმარჯვებ. ტანკმა სანგარზე გადაიარა, მიწას გაეკარ. როგორც კი სანგარს გასცდება, ყუმბარები ესროლე.

მოწინააღმდეგემ კონტრიერიში მიიტანა მეზობელ შენაერთზე — დაეხმარე მეზობელს ცეცხლით. გაბედული წინსვლა და შენი იარაღის ცეცხლი მეზობლისათვის საუკეთესო დახმარებაა.

კონტრშეტევაზე გადმოსულ მტერს რომ დააუძლურებ და სისხლიდან დაცლი, კვლავ სწრაფად წადი წინ. გაბედული და გადამწყვეტი შეტევით უფრო მალე უკუაგდებ და მოსპობ მტერს...

ვლაპარაკობ, თან თვალყურს ვადევნებ ჩემ მსმენელებს, რომლებიც ყოველ სიტყვას იჭერენ. თვალები უბრწყინავთ, დაღლილობა დაავიწყდათ...

მოწინააღმდეგის კონტრშეტევას რომ იგერიებდნენ და მიწინააღმდეგობას რომ ძლევდნენ, არმიის ჯარები მდინარის გა-

დალახვას განაგრძობდნენ. 21 ივლისის დილისათვის დასავლეთი ბუგი 29-ე გვარდიული კორპუსის ნაწილებმაც გადალახეს. ამრიგად მდინარე ფორსირებული იქნა შეტევის მთელ ზოლზე და არმიის ყველა ძალების მიერ. მეზობლებიც არ ჩამოგვრჩებოდნენ: ისინიც მდინარის დასავლეთ ნაპირზე იბრძოდნენ.

მოწინააღმდეგის მესამე, ყველაზე მომზადებული თავდაცვითი ზოლი ფაქტიურად მთელ სიღრმეზე აღმოჩნდა გარღვეული.

ჩვენი შეტევა დღენახევრით უსწრებდა ფრონტით შეტევის დაგეგმილ ტემპს.

ფრონტის სარდლობამ შექმნილი მდგომარეობა გაითვალისწინა და შეცვალა ჩვენი შეტევის მიმართულება. ახლა ჩვენ პარჩევისა და ლუკუვის ნაცვლად ლიუბლინის, დემბლინისა და გარვოლინსკისაკენ მივემართებოდით. ჩვენი არმიისა და ჩვენს მარჯვენა მეზობლებს შორის პირა-პირში პარჩევისაკენ დაიძრნენ მე-11 სატანკო კორპუსი და მე-2 გვარდიული ცხენოსანთა კორპუსი გენერალ-ლეიტენანტ ვ. ვ. კრიუკოვის მეთაურობით.

3

პოლონეთთან სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის გადალახვა განხორციელდა ბელორუსიის ფრონტის მარცხენა ფლანგის დამრტყმელი ჯგუფის მთელ ზოლზე.

ეს აღინიშნა რიგი მნიშვნელოვანი ისტორიული გადაწყვეტილებებით.

21 ივლისს კრაიოვა რადა ნაროდოვამ, სახალხო პოლონეთის ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ, გამოსცა დეკრეტი, რომელიც 23 ივლისს გამოქვეყნდა ჰელმში, პოლონეთის მიწაზე ლეგალურად გამოსულ გაზეთ „რეჩ პოსპოლიტას“ პირველ ნომერში. დეკრეტი აცხადებდა პოლონეთის ეროვნული გათავისუფლების კომიტეტის შექმნას. კომიტეტის წევრებად მტკიცდებოდნენ: ედვარდ ბოლესლავ ოსუბკა-მორავსკი (თავმჯდომარე), ანჯეი ვიტოსი (თავმჯდომარის მოადგილე და მიწათმოქმედებისა და აგრარული რეფორმის განყოფილების ხელმძღვა-

ნელი), ვანდა ვასილევსკაია (თავმჯდომარის მოადგილე). ეროვნული თავდაცვის განყოფილების ხელმძღვანელად მტკიცდებოდა გენერალ-პოლკოვნიკი მიხეილ როლია-ჟიმერსკი, მის მოადგილედ კი — ზიგმუნდ ბერლინგი.

კომიტეტმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიც მოცემული იყო პოლიტიკური მომენტისა და იმ მოვლენების დახასიათება, რომელთა მოწმეც პოლონელი ხალხი იყო. ახსნილი იყო კრაიოვა რადა ნაროდოვას გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა. მანიფესტი განმარტავდა, რომ კრაიოვა რადა ნაროდოვა წარმოადგენს ორგანოს, რომლის შემადგენლობაშიც შეიდნენ პოლონელი ხალხის ყველაზე ფართო ფენების წარმომადგენლები, გლეხთა პარტიის, სხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლები და რომლებმაც სცნეს პოლონელთა საზღვარგარეთული ორგანიზაციები—პოლონელ პატრიოტთა კავშირი და საბჭოთა კავშირში ფორმირებული პოლონეთის არმია. მანიფესტი ამხელდა ლონდონში მყოფ ემიგრანტულ მთავრობას, ზუსტ შეფასებას აძლევდა მის პოლიტიკურ საქმიანობას, რომელიც პოლონელი ხალხის გათიშვისაკენ იყო მიმართული. სპეციალური დეკრეტით იქმნებოდა პოლონეთის ჯარი, რომელშიც შეიდნენ ბელორუსიის პირველი ფრონტის არმია და არმია ლიუდოვა, რომელიც აერთიანებდა პოლონეთის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა პარტიზანულ ძალას...

მთავარბანაკი მოითხოვდა შეტევის სწრაფ განვითარებას. ეს ნაკარნახევი იყო პოლიტიკური ვითარებით და პოლონელი ხალხის ინტერესებით.

21 ივლისს დილით ჩვენთან, სამეთაურო პუნქტზე მოვიდა ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი. სანამ ჩვენს საკომანდო პუნქტზე მოხვდებოდა, მას ბევრმა ხეტიალმა მოუწია, რადგან არმიის საკომანდო პუნქტმა ამ ხნის განმავლობაში მეტად შორს წაიწია წინ.

შეტევის მსვლელობას რომ გაეცნო, მარშალმა გვარდიელთა მოქმედებას მაღალი შეფასება მისცა და აქვე მიიღო გადაწყვეტილება. დაუყოვნებლივ ჩაერთო შეტევაში მე-2 სატანკო არმია. მისი ამოცანა იყო ემოძრავა ლიუბლინის, დემბლინისა.

და პრაღის (ვარშავის გარეუბანი) მიმართულებით, შემოეკლო მტრისათვის და მოეჭრა მისთვის გზა დასავლეთისაკენ.

მდინარეზე ტანკების გადასაყვანად მოეწყო სამი 60-ტონიანი ხიდი (მანამდე ჩვენ უკვე გვქონდა ორი 30-ტონიანი და ორი 16-ტონიანი ხიდები). ხიდების სწრაფი გადება უზრუნველყოფილი იქნა იმით, რომ მიუხედავად გზების გადატვირთვისა, სანავტიკე პარკი ჯარების საბრძოლო რიგების ფეხდაფეხ მოძრაობდა.

სანამ ჩვენი მსროლელთა ნაწილები ბრძოლით მიიწევდნენ წინ, დასავლეთისაკენ, ტანკისტებმა გადალახეს დასავლეთი ბუგი და დილით, 22 ივნისს უკვე გაუსწრეს ქვეითებს და ლიუბლინისაკენ გაემართნენ. მაგრამ ჩამოვართვი ხელი სახეგაბრწყინებულ ს. ი. ბოგდანოვს, წარმატება ვუსურვე და დავარწმუნე, რომ მე-8 არმიის ქვეითები ტანკისტებს არ ჩამორჩებოდნენ. მეორე დღეს მე-2 სატანკო არმიამ 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსთან ერთად ალყა შემოარტყა ქალაქს და დაიწყო ბრძოლა მისი გარნიზონის წინააღმდეგ.

23 ივლისს, გარშემორტყმულ ქალაქთან რომ მივედი, 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაურისაგან გენერალ ი. ი. რიეოვისაგან გავიგე, რომ ბოგდანოვი დაჭრილია. ჯავშანტრანსპორტერით მიჰყვებოდა იგი თავის ტანკებს ქალაქის ჩრდილო განაპირა უბანში და გერმანელი სნაიპერის ტყვია მოხვდა. ბოგდანოვს ბეჭის ძვალი ჰქონდა დამსხვრეული.

ბოგდანოვი რომ გახურებულ ბრძოლაში აღმოჩნდა, ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. ეს მის ხასიათში იყო: ბოგდანოვს ჩვეულად ჰქონდა, ყველაფერი თავისი თვალით ენახა, ჯარებისათვის ეხელმძღვანელა უშუალოდ ბრძოლის ველზე და არა ღრმა ზურგიდან.

ბოგდანოვს არ ვამტყუნებდი. მეთაური მხოლოდ მაშინ აფასებს სწორად ვითარებას, განსაკუთრებით თანამედროვე მაღალ მანევრულ ბრძოლაში, როცა ბრძოლის მაჯისცემას იგრძნობს. რას ვიზამთ, ზოგჯერ იძულებული ვართ რისკი გავწიოთ, მაგრამ ეს ნაზღაურდება ბევრი, ძალიან ბევრი ჯარისკაცის სიცოცხლის შენარჩუნებით და წარმატებასაც ნაკლები სისხლის ფასად ვაღწევთ. უნდა გავითვალისწინოთ ბრძოლაში მეთაურის ქცევის

უდიდესი მორალური მნიშვნელობაც. როცა მებრძოლები თავიანთ მეთაურს ყველაზე დაძაბულ მომენტში თავიანთ გვერდით ხედავენ, გამარჯვების დიდი რწმენით განიმსჭვალებიან. ჯარისკაცებს ასეთი მეთაური უყვართ, მზად არიან მკერდით დაიცვან იგი და ყველაზე გააფთრებულ ბრძოლაში მიჰყვებიან, რადგან ხედავენ, რომ ის მათთან ერთად ინაწილებს ყველა სიძნელეს.

სიმონ ილიას ძე ლიუბლინის ჩრდილოეთით მდებარე არმიულ ჰოსპიტალში ვიპოვე. მას ევაკუირებას უპირებდნენ. მე ეკითხე:

— სიმონ, როგორ ხასიათზე ხარ?

მძიმე ტკივილს მოერია და მხიარულად მიპასუხა:

— არა უშავს, ვასია, მალე დავბრუნდები და ბერლინზე აუცილებლად ერთად წავალთ.

ორი თვის შემდეგ იგი მართლაც დაბრუნდა და ჩვენ კვლავ ერთად წავედით წინ ოდერისაკენ, შემდეგ კი ბერლინისაკენ.

ახლა საშინელ მოვლენებზე უნდა გიამბოთ. ასე მეგონა, რომ ფაშიზმის მნახველს არაფერი გამაკვირვებდა. მე ყველაფერი ვნახე! ბრძოლები სტალინგრადში, გადამწვარი და დანგრეული სოფლები და ქალაქები უკრაინაში, რომლებიც სულ ახლახან გათავისუფლდნენ გერმანელ დამპყრობთა უღლისაგან. ვნახე გერმანელ ჯარისკაცთა გვამები, ჯარისკაცებისა, რომლებსაც საკუთარმა გენერლებმა უღალატეს და სასაკლაოზე გაგზავნეს. ჩვენ ვანადგურებდით არმიას, რომელიც მოსასპობად იყო განწირული მისი სარდლობისა და ქვეყნის ფაშისტ მმართველთა მიერ. ჯარისკაცი, რომელიც სხვისი მიწის ყოველ მეტრს ებღაუჭებოდა, საბოლოო ანგარიშში ბრძანებას ასრულებდა. იგი გარკვეულ დრომდე ფიცითა და მოვალეობის გრძნობით იყო შებოჭილი, მაშინაც კი, როცა შემდგომი წინააღმდეგობის უაზრობას ხედავდა.

რა შეიძლება იყოს საკუთარი ხალხის, საკუთარი არმიის წინაშე ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე საშინელი? თურმე ეს კიდევ არ არის ყველაზე დიდი საშინელება. მე მიამბეს, და თავდაპირველად არც კი დავიჯერე...

ლიუბლინის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას ჩვენმა ნაწი-

ლებმა ხელთ იგდეს ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკი მაიდანეკი.

ახლა სიტყვა „მაიდანეკი" ცნობილია ყოველი ადამიანისათვის, ვისაც რამდენადმე მაინც აინტერესებს მეორე მსოფლიო ომის ისტორია. მაშინ ეს ერთ-ერთი ჩვეულებრივი სახელწოდება იყო. მაიდანეკს ჯერ კიდევ არ გაეთქვა მსოფლიოში სახელი, მის შესახებ ჯერ ნიურბერგის პროცესზე უნდა ალაპარაკებულიყვნენ. სიკვდილის ბანაკი... ბანაკი კი არა, სიკვდილის ფაბრიკა! ორგანიზებული და აგებული საინჟინრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, რომლის მეშვეობითაც ფაშისტები ადამიანთა მოსპობაში იწაფებოდნენ. მე არ შევჩერდები ყველაფერ იმაზე, რაც დაწვრილებითა და ვრცლად არის აღწერილი ბევრ დოკუმენტურ გამოცემაში. მაგრამ გულახდილად ვიტყვი, როდესაც მიამბეს, როდესაც ჩვენი ოფიცრების მიერ გადაღებული ფოტოსურათები ვნახე, იქ არ წავედი... გულმა რეჩხი მიყო. ღუმელებში დამწვარი მილიონობით ადამიანი. მილიონობით! კაცები, ქალები, ბავშვები, მოხუცები... არავის არ ინდობდნენ! ცოცხლებს ჰკიდებდნენ რკინის კაკვებზე, ხოცავდნენ კეტებით, წამლავდნენ აირებით...

რას შეეძლო ახლა ეხსნა გერმანელი ერი განრისხებულ გამარჯვებულთა მიერ მოსპობისაგან? რომელ ძალას შეეძლო ახლა შეეკავებინა საბჭოთა მებრძოლის ხელი, როცა ის გერმანულ მიწაზე შედგამდა ფეხს? სამხედრო საბჭოს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის 1944 წლის 19 ივლისის ბრძანების საფუძველზე ახლებურად, ახალი ვითარების შესაბამისად უნდა გარდაექმნათ თავიანთი მუშაობა. ხალხს არ შეეძლო პასუხი ეგო თავისი მმართველების ბოროტმოქმედებაზე. ეს იყო ხალხი და ერი, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს კაცობრიობის ცივილიზაციაში.

მინდა რამდენიმე სიტყვა მოვიტანო ინგლისელ ჟურნალისტ ალექსანდრე ვერტის წიგნიდან, რომელიც მაიდანეკში იყო 1944 წლის აგვისტოში. არა, მე არ მოვიშველიებ ამ თვითმხილველის ნაამბობს იმის თაობაზე, თუ როგორ იყო მოწყობილი ეს ბანაკი. მსურველს შეუძლია ყოველივე ეს დეტალურად ნა-

ხოს ბევრ დოკუმენტურ ფილმში. ვერტს აქვს რამდენიმე სტრიქონი... აი ეს სტრიქონები: „რამდენიმე დღის წინათ ბანაკში გაატარეს უამრავი გერმანელი ტყვე. გარშემო თავი მოეყარათ პოლონელ ქალებსა და ბავშვებს, რომლებიც გერმანელთა მისამართით ილანძღებოდნენ; ხალხში იყო ნახევრადშეშლილი მოხუცი ებრაელი, რომელიც ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდა: „ბავშვის მკვლელები, ბავშვის მკვლელები!“ გერმანელები თავდაპირველად ჩვეულებრივად მიაბიჯებდნენ, შემდეგ ფეხს თანდათან აუჩქარეს, ბოლოს კი შიშისაგან თავზარდაცემულნი გაიქცნენ, გონებაარეულ, უაზრო ბრბოდ აირივნენ. შეძრწუნებულებს მიწისფერი ედოთ, ხელები უკანკალებდათ, კბილს კბილზე აცემინებდნენ...“

არმიის მეთაურთა შემადგენლობისათვის, განსაკუთრებით კი პოლიტმუშაკებისათვის ურთულესი ამოცანა ისახებოდა. აი, სად იყო საჭირო პოლიტმუშაობა. საჭირო იყო ჩაგონება, ახსნა... მაგრამ როგორ? როგორ გინდა ახსნა, თუ ბევრზე ბევრი ჩვენი მებრძოლის ოჯახი დაიღუპა, ზოგი კი, შეიძლება ამ ღუმელებში დაიწვა? ჩვენ ვშიშობდით, რომ ამიერიდან არავინ არ წამოიყვანს ტყვედ გერმანელ ჯარისკაცს...

მაგრამ ჭეშმარიტ გოლიათებს შეუძლიათ თავიანთი რისხვის შეკავება, სულით ძლიერი შურისმაძიებელი არ არის, იგი სამართლიანია!

მაიდანეკის გათავისუფლების მეორე დღესვე ტყვე გერმანელი ოფიცერი მომიყვანეს. იგი ტყვედ ჩაიგდო 88-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის მეტყვიამფრქვევთა ჯგუფეულის უფროსმა სერჟანტმა იუხიმ რემენიუკმა.

ამ მებრძოლს საკვირველი ბედი ჰქონდა.

1941 წელს, ომი დაიწყო თუ არა, იუხიმი ფრონტზე წავიდა. გულდაწყვეტილი ტოვებდა მშობლიურ ადგილებს. იბრძოდა ვოლგაზე, მონაწილეობდა ბევრ ბრძოლაში, რიგითი მებრძოლიდან გაიზარდა უფროს სერჟანტამდე, სიმამაცისა და გმირობისათვის მიიღო მთავრობის ოთხი მაღალი ჯილდო—წითელი ვარსკვლავისა და დიდების ორდენები, მედლები „სიმამაცისათვის“ და „სტალინგრადის დაცვისათვის“.

შესვენების დროს იგი ზოგჯერ ეუბნებოდა მეგობრებს:

— აი, მივალთ ჩვენს ადგილებში და სტუმრად დაგპატიჟებთ. იქ ცოლი მყავს, იარინკა, ქალიშვილი ოქსანა, მოხუცები — მამა, დედა. კარგია ჩვენთან — საფუტკრე, ტყე, ირგვლივ გაშლილი სივრცეა.

მართლაც, ნაწილი, სადაც იუხიმი მსახურობდა, მის მშობლიურ ადგილებში მოხვდა და ასეული სოფლისათვის ბრძოლაში ჩაება. იუხიმი პირველი შეიჭრა სოფელში და საკუთარ ეზოსკენ გაეშურა. ეზო კი არ იყო, აღარც ქოხი, ნანგრევები დახვდა მხოლოდ. ბაღი გადამწვარი. მარტო ბებერი ვაშლის ხე იდგა, ხეზე — მამამისი ჩამომხრჩვალი, ხის ძირას — მოკლული დედა. იარინკა და ოქსანა ფაშისტებმა წაასხესო, — უამბო მეზობელმა ქალმა, რომელსაც სარდაფში მოეხერხებინა დამალვა და გადარჩენილიყო.

ჯარისკაცებმა გაიგეს იუხიმის უბედურების ამბავი და ფიცი დადეს შური ეძიათ მისი ოჯახისათვის. იუხიმი იმ დღიდან სრულიად გარდაიქმნა, მკაცრი გახდა და სიტყვა „ფაშისტის" გაგონება არ შეეძლო...

და, აი, ტყვე მოიყვანა. ცოცხალი. თითიც არ დააკარა.

ბუგის ფორსირებითა და ლიუბლინის გათავისუფლებით დამთავრდა ოპერაციის პირველი ეტაპი.

იგი 18 ივლისს დაიწყო. ექვს დღეში მე-8 გვარდიულმა არმიამ ბრძოლით გაიარა დაახლოებით 180 კილომეტრი, გადალახა დასავლეთი ბუგი, მდინარე ვეპში და 24 ივლისს, დილით გავიდა პარჩევ-ფირლეი-კმენკა-პეტროვცე-სტასინ-გლუსკ-პიასკის ზღუდეზე.

მე-4 გვარდიულმა მსროლელთა კორპუსმა თავდაცვითი პოზიცია დაიკავა ლიუბლინის ირგვლივ.

ჩვენი მეზობლებიც წარმატებით მიიწევდნენ წინ: 47-ე არმია გავიდა ლომაზი-კომარუვკა-ვოხინის ზღუდეზე, 69-ე არმიამ კი გაათავისუფლა ქალაქი ჰელმი.

დაკავებულ ზღუდეზე მე-8 გვარდიული არმია ფრონტის ბრძანებით ერთი დღით შეჩერდა. მისი ამოცანა იყო არტილერიის მოზიდვა, საწვავისა და საბრძოლო მასალის მომარაგება.

ვისლაზე მე-2 სატანკო და მე-8 გვარდიული არმიების გასვლით დაირღვა კავშირი და ურთიერთმოქმედება გერმანელთა

არმიის „ცენტრისა“ და „ჩრდილოეთ უკრაინის“ დაჯგუფებებს შორის.

ჩვენი მეზობლების მოქმედებამ ჩრდილოეთით, მე-11 სატანკო და მე-2 გვარდიული ცხენოსანთა კორპუსების მიერ პარჩევისა და რაძინის აღებამ მნიშვნელოვნად გააუარესა მოწინააღმდეგის ბრესტის დაჯგუფების ოპერატიული მდგომარეობა.

ჩვენ წინ ისახებოდა ახალი ამოცანა — ვისლას ფორსირება!

ვ ი ს ლ ა

1

სანამ ვისლას ფორსირებაზე, პოლონეთის მიწაზე ყველაზე მნიშვნელოვანი წყლის ამ ზღუდის გადალახვაზე მოგითხრობდეთ, მოვალე ვარ რამდენიმე სიტყვა ვთქვა ბელორუსიის პირველი ფრონტის მარჯვენა ფლანგზე შექმნილ მდგომარეობაზე. სხვანაირად გაუგებარი ან მკითხველის მიერ სწორად არ იქნება ახსნილი ის მოვლენები, რომლებიც ვისლაზე ფრონტის მარცხენა ფლანგის გასვლის შემდეგ განვითარდნენ.

იმავე ვადებში, როცა მარცხენა ფლანგის ჯარები ვისლისაკენ გადიოდნენ, კრიზისი მწიფდებოდა ბრესტის მიმართულებითაც. მთავრდებოდა მტრის ბრესტის დაჯგუფების გარემოცვა. 65-ე და 28-ე არმიები დასავლეთ ბუგს უახლოვდებოდნენ ბრესტის ჩრდილოეთით.

ბრესტის დაკარგვის შესაძლებლობამ ძლიერ შეაშფოთა გერმანელთა სარდლობა. ბრესტის დაკარგვა ნიშნავდა ვარშავის მიმართულებით ჩვენი ჯარების გასვლას და სამხრეთიდან აღმოსავლეთ პრუსიის შემოვლას. გერმანელთა სარდლობა შეეცადა შეეჩერებინა ჩვენი წინსვლა ბრესტის მისადგომებთან. მან აქეთ გადმოისროლა მე-2 და მე-9 საველე არმიათა შემორჩენილი ნაწილები. ერთი სიტყვით, ფრონტის სარდლობა ბრესტთან უსაფუძვლოდ როდი მოელოდა მეტ უსიამოვნებას, ვიდრე მოწინააღმდეგე ამას სინამდვილეში მოამზადებდა.

გერმანელებმა ნაწილები გადმოისროლეს ვარშავის გარეუბნის, პრაღის დაცვის გასაძლიერებლადაც, საითაც ბრძოლით მიიწევდა მე-2 სატანკო არმია.

არმიის დაპრილი სარდლის ბოგდანოვის ნაცვლად მე-2 სატანკო არმიას დროებით სათავეში ჩაუდგა სატანკო ჯარების გენერალ-მაიორი ა. ი. რაძიევსკი.

ასე რომ, ერთის მხრივ მიმდინარეობდა მე-2 სატანკო არმიის მეტად საპასუხისმგებლო შეტევა, ბრძოლაში ჩაება პოლონეთის პირველი არმია, მეორეს მხრივ კი, გერმანელები კონტრშეტევაზე გადმოდიოდნენ ბრესტის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით და იზრდებოდა იმის საშიშროება, რომ გერმანელთა სარდლობა შეეცდებოდა შეეერთებინა „ცენტრისა" და „ჩრდილოეთ უკრაინის" არმიათა ერთმანეთისაგან მოკვეთილი ჯგუფები.

ფრონტის სარდლობამ ამ ვითარებაში უკიდურესი სიფრთხილე გამოიჩინა. მე-8 გვარდიულმა სამი დღის განმავლობაში, 24 ივლისიდან დაწყებული, ოთხი ბრძანება მიიღო. არც ერთი მათგანი არ სახავდა ვისლას ფორსირების ამოცანას.

24 ივლისს ფრონტის ბრძანებით ჩვენს არმიას ამოცანა დასახა.

25 ივლისს ჩვენ მივიღეთ ფრონტის ახალი ბრძანება. იგი გვაუწყებდა: „მე-8 გვარდიული არმიის საერთო ამოცანაა მდინარე ვისლაზე გასვლა გარვოლინისა და დემბლინის უბანზე. არმიის გადაადგილება აწარმოეთ კომპაქტურად, სერიოზული ბრძოლისათვის სრული მზადყოფნით. მოძრავი და მეწინავე რაზმები შეგიძლიათ წასწიოთ წინ არმიისაგან საკმაო დაშორებით".

ფრონტის სარდლობა, როგორც ჩანს, სწორედ ამ დღეს მოელოდა მოწინააღმდეგის რაღაც გადამწყვეტ მოქმედებას.

26 ივლისს კვლავ მივიღეთ ფრონტის ბრძანება: „მე-8 გვარდიულმა არმიამ (28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის გარეშე) განაგრძოს შეტევა ამოცანით 27. 7. 44 წ. ხელთ იგდოს ვესოლუკა-ოკშეია-სადგურ რიკის ზღუდე. შემდგომში მხედველობაში იქონიეთ შეტევა ჟელეხუვისა და ლასკაშევის საერთო მიმართულებით". ამას მოჰყვა მომდევნო ბრძანება: „მე-8 გვ. არმია არ გაიფანტოს, ზუსტად შეასრულეთ ჩემი ბრძანებები დღეებისა და ზღუდეების მიხედვით. არმიის ძირითადი დაჯგუფება განალაგეთ თქვენს მარჯვენა ფლანგზე. ამასთან გაითვალისწინეთ, რომ მოწინააღმდეგის მოქმედების აქტივიზება ყველაზე მეტად საკარაუდოა სედლეცისა და ლუკოვის მიმართულებით. არმიის მარჯვენა ფლანგისაკენ ძალების გადაჯგუ-

ფება განახორციელეთ შეტევის მსვლელობის დროს. ლიუბლინის რაიონში პოლონეთის პირველი არმიისა და 69-ე არმიის მოსვლის შემდეგ 28-ე გვ. მსროლელი კორპუსი გადაიყვანეთ რეზერვში და განალაგეთ მარჯვენა ფლანგს მიღმა".

ისლა დამრჩენოდა, რომ აღფრთოვანებული ვყოფილიყავი კ. კ. როკოსოვსკის თავშეკავებულებითა და სიფრთხილით. ჩვენ სულ ვისლას აღმოსავლეთ ნაპირს მივუყვებოდით. არმიის ძალები კომპაქტურად, ერთ მუშტად იყო შეკრული, არტილერია მზად იყო ბრძოლისათვის. დიდი თავშეკავება იყო საჭირო, რომ დასავლეთ ნაპირზე მსვერავების გაშვებისა და ვისლას ფორსირების დაწყების ცდუნებას არ ავყოლოდით.

არმია ისე მიგვყავდა, თითქოს აღვირი აქვსო ამოდებული. ჩრდილოეთიდან მტრის დარტყმების საშიშროების გამო, მის წინსვლას ვაყოვნებდით. მაგრამ ჩემთვის ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან ვისლას ფორსირება მოგვიწევდა. და, რასაკვირველია, რაც ადრე მოხდებოდა ეს, მით უფრო უკეთესი იყო.

მაშინ არ ვიცოდი, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის მთავარბანაკმა 27 ივლისს ბელორუსიის პირველი ფრონტის მარცხენა ფლანგის ჯარებს მისცა დირექტივა გადაელახათ ვისლა დემბლინის, ზეოლენისა და სოლეცის რაიონში.

ხელში ჩაგდებული პლაცდარმების გამოყენება გათვალისწინებული იყო ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით დარტყმისათვის იმ ანგარიშით, რომ შეგვეკიწროვებინა მტრის თავდაცვა მდინარე ნარევსა და მდინარე ვისლაზე. ამით ბელორუსიის მე-2 ფრონტის მარცხენა ფლანგს უადვილდებოდა მდინარე ნარევის ფორსირება, ბელორუსიის პირველი ფრონტის ცენტრალურ არმიებს კი — მდინარე ვისლისა.

29 ივლისს მთავარბანაკმა ბელორუსიის პირველი და უკრაინის პირველი ფრონტების სარდლობებს მისცა მითითება, სადაც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ „მთავარბანაკის ბრძანება მდინარე ვისლას ფორსირებისა და არმიებისადმი გაცემულ ბრძანებაში დასახელებული პლაცდარმების ხელში ჩაგდების თაობაზე არ შეიძლება გაგებული იყოს ისე, თითქოს სხვა არმიებმა გულხელი დაიკრიფონ და ვისლას ფორსირებას არ შეეცადონ".

რუკაზე ადგილმდებარეობის შესწავლის შემდეგ დავასკვენი, რომ მდინარის ფორსირება საჭიროა ტატარჩისკოს, სკურჩას, დამირუვის, დომაშევის დასახლებული პუნქტების რაიონში. აქ არმიის ფლანგები ჩრდილოეთიდან დაცული იყო მდინარე პილიცათი, სამხრეთიდან კი მდინარე რადომკათი. ამ მდინარეებით ფლანგებს თუ დავიცავდით, შეიძლებოდა მოწინააღმდეგისათვის მთავარი დარტყმა მიგვეყენებინა მაგნუშევის მხრიდან და გაგვეხორციელებინა უახლოესი ამოცანა—დასავლეთ ნაპირზე ხელთ გვეგდო პლაცდარმი ვარკა-რადომის სარკინიგზო ხაზის სიღრმემდე.

29 ივლისს დილით ტელეფონით დავუკავშირდი კ. კ. როკოსოვსკის. მან მშვიდად მოისმინა ჩემი წინადადებანი და ნება დამრთო ვისლას რეკოგნოცირებაზე წავსულიყავი. მე აქვე ვუბრძანე მე-4 გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაურს ვ. ა. გლაზუნოვს 30 ივლისს, განთიადზე გაეყვანა დამცველი ნაწილები მდინარის ნაპირზე რეკოგნოსცირების უზრუნველსაყოფად. არმიის შტაბმა მიიღო დავალება დაემუშავებინა რეკოგნოსცირების გეგმა კორპუსების, დივიზიების მეთაურების, აგრეთვე შენაერთებისა და გამაძლიერებელ ნაწილთა მეთაურების მონაწილეობით.

განთიადზე მე-4 გვარდიული კორპუსის ნაწილები მდინარის ნაპირზე გავიდნენ ტატარჩისკო-ვილგა-მაჟევიცეს უბანზე, მარშის დროს და ადგილზეც საგულისგულოდ ინიღბებოდნენ.

აღარ მახსოვს, იმ დღეს დღესასწაული იყო თუ პოლონელი გლეხები აღნიშნავდნენ გერმანელი დამპყრობლებისაგან გათავისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ მტერი მდინარესთან იყო განლაგებული, სოფლებში დიდი სეირნობა იყო.

ჩვენ სოფელ სკურჩას მივუახლოვდით. მანქანები ტყეში დავტოვეთ და სამ ჯგუფად გავიყავით. ჯგუფებს სათავეში ედგნენ კორპუსთა მეთაურები: მე-4 გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ვ. ა. გლაზუნოვი, 29-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ი. ს. ფოკანოვი, 28-ე გვარდიული კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. რიჟოვი.

დღესასწაულზე მოსეირნე მშვიდობიანი მოსახლეობის ტან-

საცმელებით გამოვეწყვეთ და მდინარის კალაპოტისა და ნაპირების შესასწავლად წავედით.

დასავლეთი ნაპირი უკაცრიელი ჩანდა. აქა-იქ შეიძლებოდა თვალი მოგეკრათ ნიჩბის მოქნევისათვის — მიწას ყრიდნენ. იქ, როგორც ჩანდა, სანგრებს თხრიდნენ. მაგრამ ვინ თხრიდა, გერმანელები თუ გერმანელთა ავტომატებქვეშ მომუშავე აღგილობრივი მცხოვრებნი, ამისი თქმა ძნელი იყო.

მოელოდა თუ არა მოწინააღმდეგე, რომ ჩვენ მივიღებდით ვისლას ფორსირების გადაწყვეტილებას? ამისი თქმა ძნელი იყო, თავდაცვისათვის განსაკუთრებულად აქტიური მზადება ჩვენ არ შეგვიმჩნეია. მიწის ჯებირი, რომელიც ვისლას დასავლეთ ნაპირს მისდევდა, დასავლეთი ნაპირის სიღრმის დათვალიერების საშუალებას არ გვაძლევდა. არც მძლავრი სიმაგრეები ჩანდა. ივნისისა და ივლისის შეტევა ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ გერმანელთა სარდლობამ აშკარად ვერ მოასწრო მომზადებულიყო ვისლაზე ჩვენი ჯარების შესახვედრად. ჰიტლერელებს რომ ევარაუდათ, ასე მალე მოვიდოდით ლიუბლინში, აუცილებლად მოსპობდნენ თავიანთ მბეცურ დანაშაულობათა კვალს მაიდანეკში. ყველაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ ჩვენს დარტყმას მოულოდნელობის აუცილებელი ელემენტი ექნებოდა.

შუადღისას შევიკრიბეთ ტყეში სოფელ სკურჩას ჩრდილოეთით და დაკვირვების შედეგები გავაცანით ერთმანეთს. გადავწყვიტე ვისლა გადამელახა მდინარეების პილიცასა და რადომკას შესართავთა შორის მდებარე უბანზე და ხელთ მეგდო პლაცდარმი სოფლების მნიშუვის, ზაგრობის, ბოგუშკოვის, ვილჩა-ვოლიას, დემბოვლისა და რიჩივულის რაიონში.

აქვე დავყავით უბნები და დავადგინეთ საზღვრები კორპუსებისათვის, გავანაწილეთ გამაძლიერებელი საშუალებანი. კორპუსთა მეთაურებს ებრძანათ თვალ-ყური ედევნებინათ დასავლეთი ნაპირისათვის, გამოევლინებინათ მოწინააღმდეგის ძალები და თავდაცვითი ნაგებობანი. გადავწყვიტეთ დასავლეთ ნაპირზე ჩვენი ხალხი არ გაგვეგზავნა, ყველა გადაადგილება გვეწარმოებინა ფარულად, არ გამოგვევლინებინა ჩვენი ჯარების ყოფნა ამ უბანზე. საინჟინრო ჯარების უფროსმა, გენერალმა ვ. მ. ტკაჩენკომ მიიღო დავალება დაეზვერა მდინარის მი-

სადგომები აღმოსავლეთიდან და შეერჩია ყველაზე ხელსაყრელი მისასვლელები.

შტაბში რომ დავბრუნდი, რომელიც იმ დროს ქელეხუვში იყო განლაგებული, ფრონტის სარდალს ტელეფონით მოვახსენე რეკოგნოსცირების შედეგები და ჩემი წინადადებები ვისლას ფორსირების თაობაზე. კ. კ. როკოსოვსკიმ მოიწონა ეს წინადადებანი, მაგრამ ფორსირების ნებართვა არ მომცა, დამპირდა, რომ მოიფიქრებდა და პასუხს მეორე დღეს შემატყობინებდა.

ვინაიდან ფრონტის შტაბი არმიას ჩრდილოეთისაკენ წარმართავდა და ჯარები გამუდმებით ლუკოვ-გარვოლინის ზღუდეზე იყრიდნენ თავს, მეორე დღის საღამოსათვის ცხრიდან ხუთი დივიზია მდინარე ვილგას ჩრდილოეთით აღმოჩნდა. ფრონტის სარდალმა ბოლოს მდინარის ფორსირებაზე თანხმობა მოგვცა, ოღონდ გაგვაფრთხილა, რომ სედლეც-სტოჩეკის ზღუდეებზე დარჩენილიყო, ესე იგი ძველებურად ყოფილიყო მიმართული ჩრდილოეთისაკენ და არა ვისლისაკენ. ამასთან დაკავშირებით მე შემეძლო პირველი ეშელონისათვის გამომეყო მხოლოდ ოთხი დივიზია. 31 ივლისს რეკოგნოსცირება გავიმეორეთ: საჭირო იყო დაგვესახა ფორსირების მართვის ორგანიზაციული ღონისძიებანი. ჩემთან ერთად გამოემგზავრა შტაბის ოპერატიული ჯგუფი ვ. ა. ბელიავსკის მეთაურობით. ნაპირზე იმყოფებოდნენ კორპუსებისა და დივიზიათა მეთაურებიც. არტილერისტებთან და ინჟინრებთან ერთად ისინი ადგილმდებარეობის მიხედვით აზუსტებდნენ ჯარების ამოცანებს, გადასასვლელ პუნქტებს, მათთან მისასვლელებსა და ჩატვირთვის ადგილებს.

მომავალი გადასასვლელების უბნებს ვათვალიერებდი, როდესაც სასწრაფოდ გამომიძახეს არმიის შტაბში ფრონტის სარდალთან მოსალაპარაკებლად. უმაღლესი სიხშირის ხაზით—ვჩითი ჩვენს შორის ასეთი საუბარი გაიმართა (გადმოვცემ ისე, როგორც მეხსიერებაში შემომრჩა).

რ ო კ ო ს ო ვ ს კ ი. თქვენ აუცილებლად უნდა მოემზადოთ იმისათვის, რომ სამი დღის შემდეგ დაიწყოთ ვისლას ფორსირება მაცეევიცე-სტენჟიშჩას უბანზე პლაცდარმის ხელში ჩაგდების მიზნით: ფორსირების მოკლე გეგმა თქვენგან სასურველია მივიღოთ შიფრით პირველ აგვისტოს 14 საათისათვის.

— ამოცანა ჩემთვის ნათელია, ოღონდ გთხოვთ, ნება დამრთოთ ფორსირება განვახორციელოთ მდინარე ვილგა-პოდვებიქეს შესართავის უბანზე, ისე, რომ პლაცდარმის ფლანგზე იყოს მდინარე პალიცა და მდინარე როდომკა. ფორსირების დაწყება შემიძლია არა სამი დღის შემდეგ, არამედ ხვალ დილიდანვე, რადგან ჩვენთან ყველა მოსამზადებელი სამუშაო უკვე ჩატარებულია. რაც უფრო მალე დავიწყებთ, წარმატების მით უფრო მეტი გარანტია გვექნება.

რ ო კ ო ს ო ვ ს კ ი. თქვენ საკმაო რაოდენობით არა გაქვთ არტილერია და გადასასვლელი საშუალებანი. ფრონტს შეუძლია ზოგი რამ მოგაწოდოთ, ოღონდ სამი დღის შემდეგ. უმაღლესი სარდლობის მთავარბანაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვისლას ფორსირებას და მოითხოვს ჩვენგან მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ამ რთული ამოცანის შესრულება.

— ჩემთვის ყველაფერი გასაგებია. მაგრამ მე პირველ რიგში მაინც მოულოდნელობაზე ვამყარებ იმედს. რაც შეეხება გამაძლიერებელ საშუალებებს, მოულოდნელობის შემთხვევაში, ვფიქრობ, ისიც მეყოფა, რაც მაქვს. გთხოვთ ნება დამრთოთ ხვალ დილიდანვე დავიწყო.

რ ო კ ო ს ო ვ ს კ ი. კარგით, თანახმა ვარ. მაგრამ მოიფიქრეთ, კიდევ ერთხელ აწონ-დაწონეთ ყველაფერი და საბოლოოდ მომახსენეთ თქვენი მოკლე გეგმა. აცნობეთ ყველა ხარისხის მეთაურს, რომ მებრძოლები და მეთაურები, რომლებიც თავს გამოიჩენენ ვისლას ფორსირებაში, წარდგენილი იქნებიან ჯილდოზე საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებამდეც კი.

— შევასრულებთ! ვიწყებ ხვალ დილით. მოკლე გეგმა დაუყოვნებლივ მოგვახსენეთ.

ჩვენი საუბარი ამით დამთავრდა. აქვე გადავეცი ფრონტის შტაბში მოქმედების გეგმა. „გამიზვნა 5.00-დან 8.00 საათამდე. ერთდროულად წარმოებს დაზვერვა ბრძოლით, რომელშიც ყოველი დივიზიიდან მონაწილეობს ერთი ბატალიონი. წარმატებითი მოქმედების შემთხვევაში დაზვერვა გადაიზრდება შეტევაში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა კოველის დასავლეთით მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის დროს. თუ დაზვერვა

წარმატებას ვერ მიაღწევს (მოწინააღმდეგე გადასვლის საშუალებას არ მოგვცემს, ან დესანტი ვერ შეძლებს წარმატება განავითაროს დასავლეთ ნაპირზე), ტარდება ერთსაათიანი პაუზა სამიზნეთა დასაზუსტებლად და ურთიერთმოქმედების შესახამებლად. შემტევი ავიაცია ამუშავებს მოწინააღმდეგის წინა ხაზს. საარტილერიო მომზადებისა და მდინარეზე ყველა ძალით გადასვლის დასაწყისი — 9.00".

დაზვერვითი ბრძოლის მთავარი ძალებით შეტევაში გადაზრდის ხერხის განმეორებაში ხომ არ იყო ჩვენთვის საშიში შაბლონი? შეეძლო თუ არა მტერს ამჯერად ამოეცნო ჩვენი მოქმედება? ვფიქრობდი, რომ გერმანელთა სარდლობას ეს ხერხი ჯერ კიდევ არ ჰქონდა ამოცნობილი, რომ დაზვერვითი ბრძოლის შეტევაში გადაზრდა მისთვის კვლავ მოულოდნელი იქნებოდა.

ეს ხერხი ჩვენ მხოლოდ ერთხელ გამოვიყენეთ უკრაინაში, კოველთან კი მოწინააღმდეგის ნაწილები ისე შევმუსრეთ, რომ ვისლამდე არა მგონია რომელიმე ოფიცერს მოეღწია. მაგრამ ყოველივე ამაზე იმედის დამყარება, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა. დაზვერვითი ბრძოლის შეტევაში გადაზრდის ძალა სულ სხვა რამეში მდგომარეობდა. მე საკმაოდ სერიოზულ დამოკიდებულებას ვიჩენდი გერმანელთა სარდლობის მიმართ და მესმოდა, რომ მას შეეძლო ამოეცნო ეს ხერხი. მერე რა? თუ ეს ხერხი ამოცნობილიც იყო, მის წინააღმდეგ რაიმე ზომის მიღება არც ისე ადვილია. არის ისეთი სახის ტაქტიკური ხერხები, რომელნიც უტყუარად მოქმედებენ. დავუშვათ, მოწინააღმდეგემ ამოიცნო, რომ ჩვენი დაზვერვითი ბრძოლა საერთო შეტევაში უნდა გადაიზარდოს. რისი გაკეთება შეუძლია მას? ჩვენ უპირატესობა გვაქვს ყველა სახის შეიარაღებაში... სადაზვერვო რაზმები შეტევაზე გადავიდნენ. რა ზომებს მიიღებს იგი? დატოვებს პირველ სანგრებს და უკან დაიხევს. შესანიშნავია. საარტილერიო ჭურვების მცირე დანახარჯებით დავიკავებთ მის პირველ სანგრებს და აქვე გავაძლიერებთ სადაზვერვო რაზმებს. არმიის მთავარი ძალებით. მცირე დანაკარგებით გავარღვევთ მისი თავდაცვის პირველ პოზიციას. მოწინააღმდეგე ჩაება ჩვენს სადაზვერვო რაზმებთან ბრძოლაში. ჩვენც

ეს გვინდა. იგი პირველი პოზიციის სანგრებშია. ჩვენ მას საარ-ტილერიო დამუშავებაში მოვაქცევთ, ადგილზე „მივაჯაჭვავთ“ და მთელი ძალებით დავარტყამთ. მისი პოზიციები კელაკ შეიმუსრება...

არა, ამ ხერხზე უარის თქმას ამჯერადაც არ ჰქონდა აზრი. ჩვენმა მებრძოლებმა ამ ხერხს სწორედ აქ, ვისლას ნაპირებზე უწოდეს „სადაზვერვო ეშელონი“.

საღამო და ღამე გადასასვლელ საშუალებათა გადაჯგუფებისა და მოზიდვისათვის გამოვიყენეთ. მიუხედავად მომზადებისათვის დადგენილი შემჭიდროებული ვადებისა, დილის 4 საათისათვის ნაწილებმა საწყისი პოზიციები დაიკავეს.

არტილერია აქ ორჯერ უფრო ნაკლები გვქონდა, ვიდრე კოველის დასავლეთით შეტევის დროს, რადგან არმიის შემადგენლობას ჩამოსცილდნენ გარღვევის მე-4 საარტილერიო კორპუსი. მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ქვემეხების პირდაპირი დამიზნებითი სროლის გამოყენებაში ვხედავდით. დივიზიის არტილერიის დიდი ნაწილი, მთელი საპოლკო არტილერია, 152-მილიმეტრიან ქვემეხთა ნაწილი — 43-გვარდიული საქვემეხო საარტილერიო ბრიგადის ჰაუბიცები და თვითმავალი არტილერიის სამივე პოლკი პირდაპირი დამიზნებით სროლისათვის განლაგდა აღმოსავლეთ ნაპირზე.

ჩვენს ხელთ არსებული გადასასვლელი საშუალებანი —-83 ავტომობილ-ამფიბიასა და დაახლოებით 300 სხვადასხვა ნავსა და კატარღას საერთო ჯამში 3700-მდე მებრძოლის გადაყვანა შეეძლო. სანავტიკე პარკზე აღარაფერს ვამბობ: ნავტიკები ისე ცოტა გვქონდა, რომ ვისლაზე ერთი ხიდის გასადებადაც არ კმაროდა. მაგრამ ეს არ გვაფიქრებდა. მთელ იმედს დარტყმის სისწრაფესა და მოულოდნელობაზე ვამყარებდით.

2

ღამე ბრძოლის წინ... ვინ მოთვლის მერამდენე ღამე იყო ეს მე-8 გვარდიული არმიის მებრძოლებისა და ოფიცრებისათვის. ივლისის თბილი და დახუთული ღამე... ჩვენს ნაპირზე სრული მყუდროება სუფევს, მაცდური მყუდროება.

მიმდინარეობს უხილავი, მაგრამ დაძაბული მუშაობა. მარტო ჯარების საბოლოო გადაადგილება როდი სწარმოებს. ყოველ ჩვენგანში, ვინც ხვალ ბრძოლაში უნდა ჩავბმულიყავით, დიდი შინაგანი სულიერი მუშაობა მიმდინარეობდა... ნახტომისათვის ვამზადებდით საკუთარ თავს. უკვე მერამდენედ იყო ეს და ყოველთვის ისეთი გრძნობა გვეუფლებოდა, თითქოს ამას პირველად ვაკეთებდით.

შტაბის მუშაკები სათვალთვალო პუნქტებზე წავიდნენ. პოლიტმუშაკები სალამოდან მოყოლებული ჯარებში იყვნენ. ტარდებოდა სახელდახელო პარტიული და კომკავშირული კრებები. ამ კრებებზე ოქმი არ ფორმდებოდა. გულითადი საუბარი წარმოებდა. ხვალინდელი ბრძოლის, ვისლაზე გადასვლის მნიშვნელობა ყველას კარგად ჰქონდა შეგნებული. არმიის პოლიტგანყოფილებამ უკვე მოასწრო დიდი განმარტებითი მუშაობის ჩატარება.

აი, ბრძოლის წინ რაღაც საკითხები წამოიჭრა. ეს საკითხები ზოგჯერ კერძო ხასიათისა არის. პოლიტმუშაკი ადგილზეა. იწერება განცხადებები პარტიაში მიღებაზე. პარტიაში მიღების გაფორმება ბრძოლის დაწყებამდე უნდა მოასწრო...

ახლოვდება 1 აგვისტოს დილა.

ვისლა ნელა მოაგორებს თავის ტალღებს. წყლის ზედაპირზე, მდინარის უბეებზე რძისფერი ნისლია გაწოლილი. გარინდულან მედიდურად აღმართული დიდებული ფიჭვები. საათს ისარი ნელა უახლოვდება სანუკვარ ციფრს. დუმან ტელეფონები. დუმს რადიოკავშირი. ბრძოლის დაწყებამდე ყველგან სიჩუმეა გამეფებული...

ბატალიონებს წინ წარუძღვებიან გამოცდილ მზვერავთა პატარა ჯგუფები. მდინარეზე ყველაზე პირველნი უნდა გადავიდნენ 79-ე გვარდიული დივიზიის მზვერავები კაპიტან ვასილი გრაფჩიკოვის მეთაურობით. თავის სახიფათო და ძნელ პროფესიაზე შეყვარებულ ამ ოფიცერს დიდი გამოცდილება ჰქონდა. მეგობრებთან ერთად იგი ბევრჯერ ყოფილა ღამის დაზვერვაში, ხელთ უგდია „მოენეები", მოუპოვებია ძვირფასი ცნობები მოწინააღმდეგის შესახებ.

მაგრამ ამჯერად დაზვერვა უჩვეულოა, წინ მდინარეა გადა-

ჭიმული, შორს კი მარცხენა ნაპირის რუხი წვრილი ზოლი მოჩანს. რა არის იქ, მდინარის იმ ნაპირზე, როგორი ძალები ყავს მოწინააღმდეგეს, რას გვიმზადებს?

... მებადურის ნავები განთიადისწინა ბურუსში გაუჩინარდნენ. გრაფჩიკოვი პირველ ნავზეა. გრაფჩიკოვთან ერთად არიან მისი ერთგული და ბრძოლაში ნაცადი ამხანაგები. მზვერავებმა ნაპირს მიაღწიეს და მოკლე გადარბენებით დაიძრნენ მტრის სანგრებისაკენ. ჰიტლერელებმა ტყვიამფრქვევიდან გახსნეს ცეცხლი, მაგრამ საბჭოთა მეომრების შეჩერება ვერ შეძლეს. გრაფჩიკოვმა ძელმიწურამდე მიირბინა, ერთი მეორის ჭიყოლებით სტყორცნა რამდენიმე ხელყუმბარა. სხვა მებრძოლებიც შეუერთდნენ. ავტომატის ცეცხლითა და ხელყუმბარებით მოსპეს ორი ტყვიამფრქვევი და მათი მომსახურე პერსონალი. მზვერავებმა სწრაფად გაწმინდეს სანგარი მტრისაგან.

— სანგარი აღებულია! — გვაუწყეს რადიოთი მზვერავებმა.

მეორე უბანზე დასავლეთ ნაპირზე პირველნი გადასხდნენ მზვერავები კაპიტან ივანე იაკობის ძე დუნაევის მეთაურობით. მდინარის სანაპიროზე განლაგებულ სანგრებში ჩასაფრებული გერმანელები გააფთრებით იცავდნენ თავს.

მაგრამ მზვერავებმა ოსტატური მანევრით დანაკარგების გარეშე გაარღვიეს მტრის თავდაცვა. კომუნისტ-ოფიცერს ერთი წუთითაც არ გაუშვია ხელიდან ბრძოლის ხელმძღვანელობის სადავე და თავისი სიმამაცით ამხნევებდა გვარდიელებს.

მზვერავთა კვალდაკვალ, ზოგან კი მათთან ერთად დასავლეთ ნაპირზე გადადიოდნენ მსროლელთა ქვედანაყოფები. ქვემეხების გრიალში დასავლეთ ნაპირისაკენ მიისწრაფოდა ადამიანებით სავსე ასობით ნავი. გერმანელთა მეთვალყურეებმა კაპიტან ე. გ. ციტოვსკის ბატალიონის გვარდიელები მაშინ შეამჩნიეს, როდესაც ისინი ფონზე გადიოდნენ. აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები. ჩვენი მებრძოლების წინ ყუმბარებმა იწყეს სკდომა, გზაზე წყლისა და შლამის სვეტები გადაეღობათ. ბატალიონი გადარბენებით უახლოვდებოდა მტრის პოზიციებს. იმ დროს ციტოვსკიმ შეამჩნია ტყვიამფრქვევი, რომელიც ძეწვნარით დაფარული პატარა ბორცვიდან ისროდა. კაპიტანმა ტყვიამფრქვევისაკენ გაიყოლია გვარდიელები. რამდენიმე მებრძოლი

ბორცეს ფლანგიდან მიუახლოვდა და ტყვიამფრქვევი მოსპო. გვარდიელები სანგრებში შეიჭრნენ, მტერი ამორეკეს და შეუჩერებლივ განაგრძეს წინსვლა.

ცხარე ბრძოლა გაჩაღდა სოფელ მალი მაგნუშისათვის. ბატალიონი სოფლის გარეუბანში რომ შეიჭრა, ჰიტლერელები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. გვარდიელები ჩასაფრდნენ და მტრის მოსაგერიებლად მოეშზადნენ. კომკავშირელმა გორიუნოვმა თავისი ტყვიამფრქვევი წინ წასწია. გერმანელები რომ მიუახლოვდნენ, გორიუნოვმა ფლანგიდან გრძელი ჯერი დააყარა. შემდეგ მთელი ბატალიონი წამოიჭრა და ერთობლივი დარტყმით უკუაგდო მტერი.

მეორე კონტრშეტევისას ჰიტლერელებმა ტანკები გამოიყენეს. მაგრამ ციტოვსკიმ დროულად განალაგა მეჯავშანგამტანენი. მტრის ტანკები ჩვენს პოზიციებს მიუახლოვდნენ თუ არა, მაშინვე ალაპარაკდნენ ტანკსაწინააღმდეგო თოფები. მეჯავშანგამტანეებმა ზუსტი ცეცხლით მოსპეს ორი ტანკი. დანარჩენები უკან გაბრუნდნენ.

ამ ბრძოლაში თავი ისახელა თვრამეტმა მებრძოლმა და ოფიცერმა, რომლებიც დაჯილდოვდნენ წითელი დროშის ორდენით, კაპიტან ექვთიმე გრიგოლის ძე ციტოვსკის კი არმიის სარდლობის წარდგინებით საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

მე მიამბეს 217-ე პოლკის ბატალიონის კომორგის, გვარდიის უმცროს ლეიტენანტის ანატოლი ბაიანდინის შესახებ. მდინარეზე იგი ერთ-ერთი პირველთაგანი გადავიდა. მტრის ნაპირზე კომორგმა შეტევაზე წაიყვანა მებრძოლთა ჯგუფი. ბრძოლა ცხარე იყო. კომკავშირელმა მეტყვიამფრქვევე გორიუნოვმა ამ ბრძოლაში 16 ჰიტლერელი მოსპო. ბაიანდინმა მებრძოლთა წყების მეშვეობით დაუყოვნებლივ გადმოსცა ცნობა მეტყვიამფრქვევის გმირობაზე. კომორგმა იცოდა თავისი ადგილი ბრძოლაში — იგი ყოველთვის იქ იყო, სადაც ყველაზე რთული ვითარება იქმნებოდა. ჰიტლერელები კონტრშეტევაზე რომ გადმოვიდნენ, ბაიანდინი მეტყვიამფრქვევეებთან აღმოჩნდა. კომორგი თავისი თვალით ხედავდა, რომელი ჯარისკაცი იბრძოდა ყველაზე უკეთ და მოუწოდებდა ახალგაზრდებს მამაცები-

სათვის ესწორებინათ მხარი. ამ ბრძოლის შემდეგ ოცი ახალგაზრდა გვარდიელი შევიდა კომკავშირის რიგებში. ბატალიონის ბევრმა კომკავშირელმა მთავრობის ჯილდო მიიღო.

ანატოლი ბაიანდინის აღმზრდელის ჭეშმარიტი ნიჭი ჰქონდა. იგი მოთმინებით, მთელი გატაცებით მუშაობდა აღამიანებთან. ყოველთვის მოვლენათა შუაგულში ყოფნა მის სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა. ასეთი დარჩა იგი ომის შემდეგაც. ამასთან მას არაჩვეულებრივი ლიტერატურული ნიჭიც აღმოაჩნდა. ბაიანდინი ცხოვლად, წარმტაცად წერდა განცდილზე, თავის მებრძოლ მეგობრებზე. მისი ყველაზე დიდი ნაწარმოები — მოთხრობა „ასი დღე, ასი ღამე", რომელიც პერმის გამომცემლობამ დასტამბა, ვოლგის ციხესიმაგრის გმირებზე მოგვითხრობს. სამწუხაროდ მე ვერ შევხვდი ამ წიგნის ავტორს — იგი ტრაგიკულად დაიღუპა. მისი წიგნი კი განსვენებულის მეგობრებმა გამომიგზავნეს.

ვისლის პლაცდარმზე გვარდიელებმა კვლავ დევგმირული სიმამაცე და ძალა გვიჩვენეს. სერჟანტი ვაჰან ბაგიროვი წითელარმიელ ტიმოთე ლიაშჩენკოსთან ერთად გადასასვლელზე შრომობდა. მეგობრებმა უკვე მოასწრეს სამი რეისის გაკეთება. მეოთხე რეისს რომ აკეთებდნენ, მტრის ერთ-ერთმა თვითმფრინავმა, განუწყვეტლივ რომ ტრიალებდა მდინარის თავზე, ნავს სროლა აუტეხა. ბაგიროვი მარჯვენა ხელში დაიჭრა, ლიაშჩენკო — ზურგში. ტყვიამფრქვევის ჯერმა ბორტი დაცხრილა, ნავში წყალი შეიჭრა და ჩაძირვით ემუქრებოდა. გვარდიელებს ჭრილობები დაავიწყდათ. წინასწარ მომზადებული პატარა პალოებითა და ძენძით ამოტენეს ნასვრეტები და ნავმა გზა განაგრძო. ბაგიროვს მხოლოდ მარცხენა ხელით შეეძლო ნიჩბის მოსმა, მაგრამ სანამ მებრძოლთა მომდევნო ჯგუფი არ გადაიყვანა დასავლეთ ნაპირზე, ნიჩაბი ხელიდან არ გაუგდია.

დღის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგე, მოულოდნელი დარტყმისაგან გონს რომ მოეგო, კონტრშეტევაზე გადმოვიდა, ჩვენს წინააღმდეგ გამოიყვანა ავიაცია, მაგრამ ამ დროისათვის პირველი ეშელონის დივიზიები უკვე მეორე ნაპირზე იყვნენ.

პლაცდარმისათვის ულმობელი ბრძოლები გაჩაღდა.

ყველა სახეობის ჯარების მებრძოლნი დიდ ოსტატობასა და სიმამაცეს ავლენდნენ. მე მომახსენეს ერთ-ერთი ბატარეის სამართავი ოცეულის მეთაურზე ლეიტენანტ მარკოვზე. ის და არტილერისტი მზვერავები სერჟანტი გლუხოვი, წითელარმიელები მიხაილოვი, კოვალიოვი და ლექსკინი მდინარის მეორე ნაპირზე გადავიდნენ ქვეითებთან ერთად. მარკოვი მტრის ცეცხლის ქვეშ ზუსტ კორექტირებას უკეთებდა თავისი ქვემეხების სროლას. ზუსტი მოხვედრის შედეგად აფეთქდა გერმანელთა საწვავისა და საბრძოლო მასალის საწყობი.

35-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის შტაბის მუშაკი მაიორი ალექსეი ერასკინი აღტაცებული ყვებოდა მესანგრეებზე. ისინი ცეცხლის ქვეშ გავიდნენ მდინარისაკენ. წინ, როგორც ყოველთვის, უმცროსი სერჟანტი მიხეილ ბელენკოვი მიდიოდა. ჩვენს არმიაში იგი ომის დაწყების პირველივე დღიდან იბრძოდა, დაჯილდოებული იყო მედლით „სიმამაცისათვის". ფრონტზე შევიდა პარტიაში, ახლა კი ასეულის პარტორგანიზაციას ედგა სათავეში.

ასეულს მდინარის ორივე ნაპირზე უნდა აეგო მისადგომები და გაედო ხიდი მდინარე სტარიცაზე. მტერი მიწის ყოველ გოჯს უშენდა ნაღმებსა და ყუმბარებს, ხელს უშლიდა მუშაობას. ბელენკოვი ამხნევებდა ამხანაგებს და ყველაზე მძიმე საქმეს თვითონ აკეთებდა. მან პირველმა იკისრა ხიმინჯების დაყენება. სწრაფად გაიხადა ტანისამოსი და წყალში ჩაყურყუმალავდა. მალე ერთი ხიმინჯი ჩაარჭვეს, მას მოჰყვა მეორე, მესამე. წინათ ერთ ხიმინჯს მთელი ძალების დაძაბვის ფასად ნახევარ საათში ასობდნენ. ახლა კი ოც წუთს ანდომებდნენ. აი, უკვე დაიწყეს ფიცრების დაგება. მებრძოლები ჩქარობდნენ: მისადგომები ჯარების გადასაყვანად იყო საჭირო.

საღამოს, როცა გადასასვლელი მზად იყო, ასეულის მეთაურმა შეაჯამა შედეგები, აღნიშნა ისინი, ვინც თავი გამოიჩინა. მათს შორის იყვნენ პარტორგი და სხვა კომუნისტები. ბელენკოვი კი ამ დროს უკვე უშვებდა „საბრძოლო ფურცელს", რომელიც ეძღვნებოდა იმათ, ვინც ყველაზე თავდადებულად შრომობდა.

1 აგვისტოს ბრძოლების შედეგად ხელთ ვიგდეთ ფრონტის

ათი კილომეტრი განფენილობისა და ხუთი კილომეტრი სიღრმის პლაცდარმი.

2 და 3 აგვისტოს განვაგრძობდით პლაცდარმის გაფართოებას, ამ უბანზე ჯარებისა და გამაძლიერებელ საშუალებათა გადაყვანას. ეს მეტად ძნელი საქმე იყო, რადგან ხიდების საკითხი ვერ მოვაგვარეთ: მტრის თვითმფრინავები აგებისთანავე ანგრევდნენ მათ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, პლაცდარმი არსებობდა, იზრდებოდა. კორპუსთა მეთაურებს ებრძანათ მოემზადებინათ სამეთაურო პუნქტები ვისლას დასავლეთ ნაპირზე.

არმიის რეზერვის სამი დივიზია აღმოსავლეთ ნაპირზე რჩებოდა. მტრის ავიაცია თავს გვაბეზრებდა. მოწინააღმდეგის თვითმფრინავები განუწყვეტლივ უტევდნენ მდინარეზე გადამავალ ჩვენს ჯარებს. ვინაიდან მტერს ამ უბანზე ქვეითთა მცირე რაოდენობა ყავდა, იგი მთელ იმედებს ავიაციაზე ამყარებდა. ამავე დროს დაკავებულ პლაცდარმთან რეზერვებს უყრიდა თავს. ფაშისტთა თვითმფრინავები რგოლებითა და ცალ-ცალკე მცელავი ფრენით გამოიჭრებოდნენ ხოლმე ტყის მხარიდან გადასასვლელისაკენ და მცირე ყუმბარებიან კასეტებს ყრიდნენ. ზიანდებოდა ათობით ნაღი და კატარღა. მაგრამ ჩვენს მებრძოლებს სწრაფად შეყავდათ ისინი მწყობრში.

გმირულად მოქმედებდნენ მეზენიტეები. მაგრამ არმიის ერთ საზენიტო პოლკს, რომელიც 25 კილომეტრის განფენილობით იცავდა ჩვენს ჯარებს, ასეთი რთული ამოცანის გადაჭრა არ შეეძლო. შემდეგ ჩვენ შემოგვიერთდა პოლონელთა საზენიტო დივიზია. საქმეს ვერც ამან უშველა: ფრონტი ფართოვდებოდა, ჰაერიდან მისი დაცვა სულ უფრო რთულდებოდა. გამანადგურებელ ავიაციას ჩვენი დახმარება არ შეეძლო: იგი მთელი შემადგენლობით მოქმედებდა ვარშავის მისადგომებთან, სადაც ყველაზე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. ამასთან თვითმფრინავებს ბენზინი არ ყოფნიდათ. ომში ყველაფერი როდია საკმაო რაოდენობით, განსაკუთრებით ოპერაციის ბოლო ეტაპზე, როცა ჯარებმა გააფთრებული და განუწყვეტელი ბრძოლებით განვლეს 500-600 კილომეტრი. მაგრამ სიძნელეებს ჩვენ შეჩვეული ვიყავით. უფრო რთული იყო სხვა საკითხების გადაწყვეტა.

მე უკვე აღვნიშნე, რომ არმია ყოველთვის ჩრდილოეთისაკენ იყო გამიზნული, რადგან აქედან მოწინააღმდეგის აქტიურ მოქმედებას მოველოდით. ამიტომ არმიის სამი დივიზია მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე, ძველ პოზიციაზე იყო განლაგებული. პლაცდარმზე გაჩაღებულ ცხარე ბრძოლაში, 3 აგვისტოს არმიამ მიიღო ფრონტის სარდლის ბრძანება:

„ვენგროვ-სტანისლავ-ვოლოშინის ფრონტზე მოქმედებს სამი სატანკო დივიზია, პრაღის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში კი — დივიზია „ჰერმან გერინგი".

მოსალოდნელია, რომ მოწინააღმდეგის სატანკო დივიზიები შეეცდებიან გაარღვიონ ფრონტი სამხრეთის მიმართულებით. გარღვევის ყველაზე სავარაუდო უბნად უნდა მივიჩნიოთ კალუშინი, მინსკი-მაზოვეცკი.

47-ე არმია ტშიებუკის, ვისნევის, უიაზცუვის, ზალესიეს ზღუდიდან მთელი ძალებით უტევს ჩრდილოეთის მიმართულებით.

მე-2 სატანკო არმია ორი სატანკო კორპუსით აწარმოებს ბრძოლას ოკუნევ-მენძილესიეს ზღუდეზე და ერთი სატანკო კორპუსით იკავებს რაძცმინ-მარკი-ოსეუვი-ვოლოშინის რაიონს.

47-ე არმიის საბრძოლო წყობის სიღრმის გაზრდის მიზნით ვბრძანებ:

მე-8 გვარდიული არმიის სარდალმა წინ წასწიოს მე-6 საარტილერიო დივიზიის არანაკლებ სამი ბრიგადით გაძლიერებული ერთი მსროლელი კორპუსი (სამი მსროლელი დივიზია) ამოცანით: 4. 8. 44 წ. დილისათვის ორი დივიზიით დაიკავოს თავდაცვითი ზღუდე: ტურკი, ოსეცკი და ერთი დივიზია იყოლიოს კორპუსის მეორე ეშელონში პილიავას რაიონში".

ეს ბრძანება რომ მივიღე, მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ერთის მხრივ, საჭირო იყო შეტევა გამევითარებინა ვისლას დასავლეთ ნაპირზე და გამეფართოებინა პლაცდარმი, სადაც ბრძოლაში უკვე ჩაბმული იყო ექვსი მსროლელი დივიზია, მეორე მხრივ კი ორი დივიზია ფრონტით უნდა შემებრუ-

ნებინა ჩრდილოეთისაკენ და მეწარმოებინა თავდაცვა გადასავლელიდან 30-40 კილომეტრის დაშორებით. ეს ბრძანება არმიას დაპყრობილ პლაცდარმზე უძლურებასა და პასიურობას უქადდა.

უნდა ვაღიარო, რომ საგონებელში ვიყავი ჩავარდნილი: რით აიხსნებოდა მოწინააღმდეგის ასეთი აქტივობა, საიდან ყავდა მას ასეთი ძალები ვისლას აღმოსავლეთით და რა მიზანს ისახავდა ამ რაიონში ასეთი მძლავრი სატანკო დაჯგუფების შექმნით. მოკლე დროში ბელორუსიისა და აღმოსავლეთ პოლონეთის უზარმაზარი ტერიტორიის დაკარგვისა და სასტიკი დამარცხების შემდეგ მტერს, ჩემი ვარაუდით, სამხრეთში კონტრშეტევაზე ან კონტრდარტყმაზე ფიქრიც კი არ შეეძლო. მაგრამ ფრონტის შტაბს, როგორც ჩანდა, შეშფოთების საფუძველი ჰქონდა და ჩვენც შეეეცადეთ შეგვესრულებინა მითითებანი. ამასთან, ჩვენ შევძელით დაგვეყოლიებინა ფრონტის შტაბი იმაზე, რომ დასავლეთ ნაპირზე გადაგვეყვანა კიდევ ერთი 47-ე გვარდიული დივიზია. ორმა სხვა დივიზიამ თავდაცვითი პოზიცია დაიკავა გარვოლინის ჩრდილოეთით.

მოწინააღმდეგის სატანკო ნაწილები, რომელთა შესახებაც გვაფრთხილებდნენ, მართლა გამოჩნდნენ მე-8 გვარდიული არმიის ფრონტზე. 5 და 6 აგვისტოს ჩვენს პლაცდარმს შემოუტია ორმა სატანკო დივიზიამ — მე-19 და „ჰერმან გერინგმა". მათ ჩვენს ჯარებს ვისლას აღმოსავლეთ ნაპირზე კი არ დაარტყეს, არამედ დასავლეთ ნაპირზე. დადგა მძიმე ბრძოლის დღეები. გარდა ორი სატანკო დივიზიისა, ჰიტლერელთა სარდლობამ ჩვენი პლაცდარმის წინააღმდეგ გამოიყვანა მე-17 და 45-ე ქვეითთა დივიზიები. ჩვენ კი ამ დღეებში დასავლეთ ნაპირზე შევძელით გადაგვეყვანა მხოლოდ მე-11 გვარდიული სატანკო ბრიგადა და თვითმავალი არტილერიის არასრული შემადგენლობის სამი პოლკი. ორი გვარდიული დივიზია ფრონტის ბრძანებით თავდაცვისათვის ემზადებოდა ჩრდილოეთი ფრონტით, პრაღის მიმართულებით.

მე-8 გვარდიული არმიის მიერ ვისლას ფორსირება და მაგნუშევის რაიონში პლაცდარმის ხელში ჩაგდება მოწინააღმდეგის ვარშავის მთელს დაჯგუფებას სამხრეთიდან დარტყმის სა-

შიშროებას უქმნიდა. ამ გარემოებამ აიძულა გერმანელთა სარდლობა დაეტოვებინა ვისლას მარჯვენა ნაპირი და გადაესროლა მთავარი ძალები მაგნუშევის პლაცდარმის წინააღმდეგ.

ახლა ძალებში, განსაკუთრებით ტანკებში უპირატესობა მოწინააღმდეგის მხარეზე იყო. იგი მთელ ძალებს ძაბავდა, რომ მდინარეში გადავეყარეთ. პლაცდარმზე ვითარება რთულდებოდა იმითაც, რომ ჩვენ ხიდით გადასასვლელი არ გვქონდა. სოფელ სკურჩას რაიონში მოწინააღმდეგის ავიაცია, რომელსაც როგორც ჩანდა, დავალებული ჰქონდა არ დაეშვა ხიდის აგება, განუწყვეტლივ ტრიალებდა მენავტიკეთა თავზე. 5 აგვისტოს საღამოს ჩვენ შევძელით ერთი ხიდის აწყობა და მისი მეშვეობით არტილერიისა და საომარი მასალის გადაზიდვა. მაგრამ ხიდმა მხოლოდ ორი საათი იარსება: მოწინააღმდეგის ავიაციამ იგი დაანგრია. პოლონელთა საზენიტო არტილერიის დივიზიამ, რომელიც მედგრად და თავგანწირვით იცავდა გადასასვლელს, მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა.

ჰიტლერელთა კონტრშეტევები ძლიერდებოდა. მდინარე პილიცას გასწვრივ დარტყმას გვაყენებდა მე-19 სატანკო დივიზია, მდინარე რადომკას გასწვრივ კი — „ჰერმან გერინგი". მათს შორის მოქმედებდნენ მე-17 და 45-ე ფეხოსანთა დივიზიები. საკმარისი იყო ერთი მოგვეგერიებინა, რომ მეორე გადმოდიოდა შეტევაზე. გვეჩვენებოდა, თითქოს ამ შეტევებს ბოლო არ უჩანდა. მძიმე ვითარება შეიქმნა მე-4 გვარდიული მსროლელთა კორპუსის ფრანტზე. მისი ნაწილები, სატანკო დივიზია „ჰერმან გერინგისა" და 45-ე ქვეითთა დივიზიის დარტყმების გამო იძულებული იყვნენ რამდენადმე დაეხიათ უკან. დასახლებული პუნქტები ხოდკუვი და სტუძიანკი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში.

5 აგვისტოს საღამოს შევძელით პლაცდარმზე გადაგვეყვანა 47-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის სამი პოლკი. სატანკო ბრიგადასთან ერთად მათ გზა გადაუღობეს მოწინააღმდეგის ტანკებს.

ღამით დასავლეთ ნაპირზე, მაგნუშევის სამხრეთ-დასავლეთით განლაგდა არმიის სამეთაურო პუნქტიც. შტაბისა და პოლიტიკური განყოფილების მუშაკები წავიდნენ ასეულებსა და

ბატალიონებში, სადაც მათ მებრძოლები უნდა დაერაზმათ კონტრშეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის ძირითადი ძალის-ტანკების მოსასპობად. ყველა მებრძოლს განემარტა, რომ გისლასთან უკანდახევა კატასტროფას უდრის. საჭიროა პირველ რიგში დივიზია „ჰერმან გერინგის" დამარცხება. ჩვენს მებრძოლებს სძულდათ ეს სახელი. სანგრებში გაჩნდა ჯარისკაცული ხელით დაწერილი პლაკატები: „დასცხე ღიპიანი ჰერმან გერინგის ტანკებს".

დილით ბრძოლა გაჩაღდა.

47-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის პოლკებმა ძლივს მოასწრეს თავიანთი პოზიციის დაკავება, რომ მტრის ტანკებმა შემოუტიეს. ქვეითთა პოზიციებს ფლანგიდან 19 ტანკი უტევდა. აქ იდგა უფროსი სერჟანტის დიმიტრი ზაბაროვის კარგად შენიღბული ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. 300 მეტრზე რომ მოუახლოვდნენ, ჯგუფეულმა ცეცხლი გახსნა და პირველივე გასროლით მოსპო ერთი ტანკი. ფაშისტები შეტრიალდნენ, რომ ახლა სხვა მხრიდან შემოევლოთ ჩვენი პოზიციისათვის. მემიზნე ცარენ კასპარიანმა ისარგებლა ამით. ორი გასროლა და ადგილზე გაქვავდა კიდევ ერთი მძიმე ტანკი, რამდენიმე წუთის შემდეგ კი ცეცხლი წაეკიდა მესამე ტანკს. ჰიტლერელები შეეცადნენ ფრონტალური დარტყმით გაერღვიათ თავდაცვა, მაგრამ არტილერისტები არ შედრკნენ. მათ კიდევ ერთი ტანკი მოსპეს.

ბრძოლის დროს მემიზნე კასპარიანი, გამტენი კუცენკო და მესაკეტე მეშჩენკინი დაიჭრნენ, მაგრამ ქვემეხი არ მიუტოვებიათ.

მამაცურად ებრძოდნენ ტანკებს ქვეითი მეომრებიც. მტრის მანქანები სანგრებისაკენ რომ გაიჭრნენ, მეჯავშანგამტანე ალექსანდრე ზუევმა ამხანაგებს უთხრა:

— არა უშავს! მტერი ძლიერია, მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერნი ვართ!

მათს წინააღმდეგ რვა ტანკი მობობღავდა. ტანკებს კვალდაკვალ მოსდევდნენ მეავტომატეები. გვარდიელები ცეცხლის გახსნას არ ჩქარობდნენ: სურდათ აუცდენლად ესროლათ. რიდესაც ტანკებამდე ასი მეტრიღა დარჩა, მათ ცეცხლის ზვავი

დაატყდა თავს, ურტყამდნენ მეჯავშანგამტანენი, მეტყვიამფრქვეველნი, მეავტომატენი, მსროლელები.

ალექსანდრე ზუევმა საგულისგულოდ დაუმიზნა და ესროლა. ტყვიამ ტანკის გოდოლი ჩასოლა. ახლა ტანკს წრიული სროლის საშუალება არ ჰქონდა. მეორე ტყვია ზუევმა ბენზინის ავზს მოახვედრა. მტრის მანქანას ცეცხლი წაეკიდა. ჰიტლერელები საძვრომებიდან გადმოხტნენ, მაგრამ მათ მეტყვიამფრქვეველთა აუცდენელი ტყვიები დაეწია.

ზუევმა ასევე ოსტატურად მოუღო ბოლო მეორე ტანკს. მეჯავშანგამტანემ მანქანას ჯერ პირდაპირი დამიზნებით ესროლა. ტანკი მაინც განაგრძობდა სვლას. პირდაპირ მამაც მეჯავშანგამტანესაკენ მიდიოდა. ზუევმა ჩამოხსნა თოფი ბრუსტვერიდან და სანგრის ფსკერზე გაწვა. გადაუარა თუ არა ტანკმა სანგარს, ჯარისკაცი წამოიმართა, ესროლა და სათადარიგო პოზიციაზე გადაირბინა. ტანკი შემობრუნდა და კვლავ სანგრისაკენ დაიძრა. ამ მომენტში უშიშარმა გვარდიელმა სათადარიგო პოზიციიდან ესროლა და ცეცხლი წაუკიდა. აუცილებლად ესროდნენ ზუევის მეზობლებიც. მტერი გაიქცა. ცეცხლწაკიდებულ ტანკებთან ათობით მოკლული გერმანელი ეგდო.

ცხარე ბრძოლა გაჩაღდა 220-ე გვარდიული მსროლელი პოლკისა და 79-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის თავდაცვის უბანზე. მსროლელთა ასეული, რომელსაც ლეიტენანტი ვლადიმერ ტრიფონის ძე ბურბა მეთაურობდა, ჭვავის ყანაში იყო გამაგრებული. ბრძოლაში გაირკვა, რომ ეს დივიზიის თავდაცვითი ხაზის ყველაზე საპასუხისმგებლო უბანი იყო—მტერმა ძირითადი დარტყმა აქეთ გადმოიტანა.

კომუნისტმა ბურბამ ოსტატურად მოაწყო თავდაცვა. მებრძოლებმა მტრის ტანკებს ხელყუმბარები და ჯავშანგამტანი ქვემეხების ცეცხლი დაუშინეს. მებრძოლები სათვალთვალო ჭვრიტეებს ესროდნენ შაშხანებიდან, ტყვიამფრქვეველებიდან და მტრის მანქანათა მძღოლებს მხედველობის საშუალებას უსპობდნენ.

ჰიტლერელები ერთი მეორის მიყოლებით ექვსჯერ გადმოვიდნენ შეტევაზე, მაგრამ გვარდიელთა მიერ დაკავებული ზღუდე ვერ გადალახეს.

დაიწყო მეშვიდე შემოტევა. ტანკები ჩვენი ქვეითი ჯარის პოზიციებს მიუახლოვდნენ. ლეიტენანტი მეწინავე ტანკისაკენ დაიძრა და ხელყუმბარების შეკვრით მოსპო იგი, მაგრამ აქ მეორე ტანკი მიუახლოვდა. ბურბამ ტანკის შეჩერების სხვა საშუალება რომ ვერ გამოძებნა, ხელყუმბარების მეორე შეკვრით შეუვარდა მას და ააფეთქა.

კომუნისტი ოფიცერი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ფიცს ერთგული დარჩა. მან თავის სიცოცხლის ფასად შეაჩერა მტერი. მეთაურის უკვდავი გმირობით აღფრთოვანებული გვარდიელები სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ. სიცოცხლეს არავინ ზოგავდა, ყველას ერთი აზრი ჰქონდა: ვაეძლო მოწინააღმდეგის შეტევისათვის და გაემარჯვა, შური ეძია მტერზე საყვარელი მეთაურის სიკვდილისათვის. ასე მოიქცა რიგითი პეტრე ხლიუსტინი — კაფანდარა, თავმდაბალი და წყნარი, თვრამეტი წლის სმოლენსკელი ჭაბუკი. მტრის ტანკი რომ მიუახლოვდა, ხლიუსტინი ცეცხლწაკიდებული ჭვავის ყანიდან გამოხტა ხელყუმბარების ორი შეკვრით და შეჯავშნული ურჩხულის გზის მოსაჭრელად გაეშერა. ხელყუმბარების პირველი შეკვრა ტანკის ბორტს მოხვდა. და აი, აქ ტყვიამფრქვევის ჯერმა დაუცხრილა გულმკერდი გმირს. ძირს რომ ეცემოდა, ხელყუმბარების მეორე შეკვრა მუხლუხებქვეშ შეაგდო. ტანკი აფეთქდა.

ვლადიმერ ბურბასა და პეტრე ხლიუტინის გმირობა იმავე დღეს გახდა ცნობილი მთელი არმიისათვის, შემდეგ კი მათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს. ეს ამბავი გაიგეს უკრაინის ვრცელ ტრამალებში ჩაკარგულ სოფელ პაპირნიაშიც. იქ დაიბადა და გაიზარდა ვლადიმერ ბურბა, იქ ცხოვრობდა მისი დედა კოლმეურნე მატრონა გრიგოლის ასული ბურბა. გმირის თანაპოლკელებმა მისი წერილი მიიღეს. აი, რას იწერებოდა იგი:

„ჩემო კარგებო!

დიდ მადლობას გიხდით იმისათვის, რომ ჩემთვის მძიმე წუთებში არ დამივიწყეთ. თქვენი წერილიდან გავიგე, რა მამაცურად ებრძოდა მტერს ჩემი საყვარელი შვილი ვალოდია და რომ ის გმირის სიკვდილით დაეცა. დედის გულისათვის ძნელია ამ

მწუხარების გადატანა. თვალში ცრემლი არ მიშრება. მაგრამ ვამაყობ, რომ ასეთი გმირი მებრძოლი აღვზარდე.

ჩემი სხვა სამი ვაჟიც ფრონტზე იბრძვის. მე მათ მივწერ, რომ ისე ებრძოლონ მტერს, როგორც მათი ძმა ვლადიმერი ებრძოდა, რომ ისინიც ისეთივე მედგარნი და უშიშარნი იყვნენ, როგორიც ვლადიმერი იყო. მე მათ მივწერ, რომ შური იძიონ ფაშისტებზე ვალოდიასათვის!

თქვენც იძიეთ შური ვალოდიასათვის, ძვირფასო მებრძოლებო — ჩემო შვილებო! ნება მომეცით ასე გიწოდოთ. თქვენ ხომ ჩემ ვალოდიასთან ერთად იზიარებდით გამარჯვების სიხარულსა და ფრონტული ცხოვრების ყველა სიმძიმეს, მასთან ერთად უკან არ დაგიხევიათ და გაიმარჯვეთ შეუპოვარ და მძიმე ბრძოლაში, რომელიც ვალოდიასათვის უკანასკნელი იყო.

ძვირფასო შვილებო! მე 65 წლისა ვარ, მაგრამ კოლმეურნეობაში ვმუშაობ. წელს ჩვენ მტრისაგან განთავისუფლებულ მიწაზე უხვი მოსავალი მოვიწიეთ. ჩვენ, კოლმეურნეები, ძალას არ ვიშურებთ იმისათვის, რომ ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ მალე დაამარცხოს მტერი.

წერილები გამომიგზავნეთ მისამართით: ჟიტომირის ოლქი, რადმიშლსკის რაიონი, სოფელი პაპირნია.

მაგრად გკოცნით ყველას.

მატრონა გრიგოლის ასული ბურბა“.

6 აგვისტოს საშინლად დაძაბული დღე იყო. ვასილ ათანასეს ძე გლაზუნოვს გაჭირვებაში არასოდეს არ დაუჩივლია, ახლა კი დამირეკა!

— ამხანაგო სარდალო! ტანკები ვერაფრით შევაჩერე. გთხოვთ, დამეხმაროთ...

დახმარება აღმოვუჩინეთ. შუა დღისათვის შევძელით პლაცდარმზე გადაგვეყვანა მძიმე ტანკთა პოლკი და პოლონელთა სატანკო ბრიგადა. ისინი მაშინვე ჩაებნენ ბრძოლაში.

პატივისცემითა და მადლობის გრძნობით ვიგონებ ჩვენს პოლონელ მეგობრებს, რომლებიც შემართებით იბრძოდნენ საბჭოთა მეომრების მხარდამხარ. მათ ჯერ კიდევ ვისლას ფორსირებამდე გაგვიწიეს დიდი დახმარება, შეცვალეს ლიუბლინის

დამცველთა მსროლელი კორპუსი. მე უკვე მოვიხსენიე პოლონელი მეზენიტეები, რომლებიც ვისლაზე ჩვენთვის მეტად მძიმე დღეებში მოვიდნენ. პოლონელთა საზენიტო დივიზიას პოლკოვნიკი პროკოპოვიჩი მეთაურობდა, შტაბის უფროსი კი მაიორი სოკოლოვსკი იყო. ეს დივიზია თავგანწირვით იცავდა ჩვენი ნაწილების გადასასვლელს ვისლაზე. პოლონელი მეზენიტეები ტყვიამფრქვევითა და არტილერიის ცეცხლქვეშ მძიმე ბრძოლას აწარმოებდნენ მტრის ავიაციასთან.

ვისლას ფორსირებისა და მაგნუშევის პლაცდარმის გაფართოებისათვის ბრძოლაში შესანიშნავად მოქმედებდა პოლონეთის მესანგრეთა პირველი ბრიგადა, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი ლიუბანსკი, პოლიტნაწილში მისი მოადგილე იყო პოდპოლკოვნიკი ზელგინსკი. ამ ბრიგადამ მოწინააღმდეგის არტილერიისა და ავიაციის ცეცხლის ქვეშ ორი დღის განმავლობაში ააგო ვისლაზე 900 მეტრის სიგრძის ხიდი. მართალია, ამ ხიდმა სულ ორი საათი იარსება, მაგრამ მისი მეშვეობით ჩვენ ბევრი მნიშვნელოვანი ტვირთი გადავზიდეთ მეორე ნაპირზე.

პოლონელთა სატანკო ბრიგადა გენერალ მეჟიცანის მეთაურობით მდინარესთან მაშინ მოვიდა, როცა პლაცდარმზე გაფთრებული ბრძოლები წარმოებდა. ბრიგადის ტანკები რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტელი ბომბარდირების ქვეშ გადაჰყავდათ ბორნით მდინარის დასავლეთ ნაპირზე. პოლონელი ტანკისტები განსაკუთრებულ გმირობას იჩენდნენ. როგორი მძვინვარე დაბომბვაც არ უნდა ყოფილიყო, ისინი ბორანზე რჩებოდნენ. მაგრამ აი, ბორანი განადგურდა. ტანკისტები გადასასვლელ საშუალებათა საძებრად წავიდნენ. მალე მათ მომახსენეს, რომ დემბლინთან იპოვეს კარჭაპი, რომელზეც 8-10 ტანკის მოთავსება შეიძლებოდა. ღამით კარჭაპი ფშევუზ-ტარნოვსკის რაიონში მოიყვანეს და ტანკების გადაყვანა გაგრძელდა.

მდინარეზე გადაყვანილმა ტანკებმა მაგნუშევთან მოიყარეს თავი. ბრიგადის მეთაურმა აქ მაშინვე მოაწყო საიმედო თავდაცვა. ფაშისტური ჯარების პირველივე ცდამ ვისლისაკენ გაჭრილიყვნენ ამ მიმართულებით, მარცხი განიცადა. მტრის ტან-

კები მიწინააღმდეგისათვის დიდი დანაკარგებით უკუაგდეს.

პოლონელმა ტანკისტებმა განსაკუთრებული გმირობა გამოავლინეს ლენკავიცისა და ტშებენის უბანზე. გაცხარებულ ბრძოლაში გენერალმა მეჟიცანმა თავისი ადგილი დაიკავა ტანკისტთა მწყობრში...

ბრძოლა მთელი დღე არ შეწყვეტილა. ბრძოლის ველი ერთიანად გერმანელთა ცეცხლწაკიდებული ტანკებით იყო მოფენილი. მტერს ძვირად დაუჯდა ჩვენს თავდაცვითს ხაზში შემოჭრა. ამის მეტი მან ვერაფერი შეძლო. პოლონელ ტანკისტთა დასახმარებლად მოვიდნენ პოლკოვნიკ კობრინის მძიმე სატანკო პოლკის ტანკისტები და პოლკოვნიკ კობრინის არტილერისტები. მებრძოლმა მეგობრებმა ღამით ერთობლივი ძალებით გადარეკეს მტერი. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ჯარისკაცთა ბევრი გვამი, 40-დე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა.

ამ ბრძოლისათვის პოლონეთის სატანკო ბრიგადის ასზე მეტ ტანკისტს აქვე, ბრძოლის ველზე გადაეცა საბჭოთა ორდენები და მედლები. დაჯილდოებულთა შორის დამამახსოვრდა № 212 ტანკის ეკიპაჟი: მეთაური ხორუნჟი პავლიცკი, მძღოლი იაკოვლენკო, კაპრალი ლევიკი, რიგითები ზაბნიცკი და სვიანტეკი. გაბედული ხუთეული თავისი საბრძოლო მანქანით რამდენჯერმე იყო დაზვერვაში, მუხლუხებით გასრისა ორი ბატარეა, მოსპო გერმანელთა სამი ტანკი.

ბრიგადის მეთაური გენერალი მეჟიცანი, შტაბის უფროსი პოლკოვნიკი პოლიშჩუნკი და სხვა ოფიცრები არმიის სამხედრო საბჭოს შუამდგომლობით წარდგენილი იქნენ მთავრობის ჯილდოებზე.

არანაკლებ გაბედულად იბრძოდნენ მაგნუშევის პლაცდარმისათვის მის მარჯვენა ფლანგზე მოქმედი პოლონეთის ჯარების მე-3 ქვეითი დივიზიის მებრძოლები. დივიზიას მეთაურობდა პოლკოვნიკი სტანისლავ გალიცკი. მას რამდენჯერმე შევხვდი პლაცდარმზე. მამაცი და დაკვირვებული მეთაური იყო. ამ დივიზიას რთული ამოცანა ხვდა წილად. დივიზია იცავდა ზალესკისა და ზაგშევის უბანს, რომელიც რატომღაც თვალში მოუვიდა ფაშისტთა ავიაციას. „იუნკერსები" განუწყვეტლივ უტევდნენ პოლკების საბრძოლო რიგებს. მარტო ერთი დილის

ვანმაელობაში აქ აღნუსხული იქნა 400-ზე მეტი თვითმფრინავგადფრენა. ავიაციის მასირებული დარტყმის შემდეგ შეტევაზე გადმოვიდნენ გერმანელთა ტანკები და ქვეითები. ამ ბრძოლაში ბევრი პოლონელი ამხანაგი დაიღუპა. მაგრამ დივიზია არ შედრკა და მტრის ყველა შემოტევა მოიგერია.

როცა ვისლისათვის ბრძოლის მდგომარეობა ცოტა გაეჯობესდა, პოლონეთის ჯარების მე-3 ქვეითი დივიზია და პირველი სატანკო ბრიგადა პლაცდარმიდან ვარშავის მისადგომებთან შეტევისათვის გაიწვიეს. ჩვენ ისინი დიდი პატივით გავაცილეთ. ჩვენი მეგობრობა სისხლით განმტკიცდა ერთ ბრძოლის ველზე. ასეთი მეგობრობა საუკუნეებს უძლებს!

პლაცდარმისათვის ბრძოლის მსვლელობაზე მე ყოველ ორსამ საათში ვახსენებდი ფრონტის შტაბს. სარდლობა ყურადღებით ადევნებდა თვალს დასავლეთ ნაპირზე გაჩაღებულ ბრძოლებს.

გენერალ-ლეიტენანტ ვ. ი. კოლპაკჩის 69-ე არმია ისევე, როგორც ჩვენი, შეუჩერებლივ გადავიდა ვისლაზე და ხელთ იგდო პლაცდარმი დემბლინისა და პულავის დასავლეთით.

ჩვენს განკარგულებაში გადმოვიდა სამი საზენიტო-საარტილერიო დივიზია, რომლებიც გადასასვლელთა ღასაცავად დავაყენეთ. დაბოლოს არმიას დაუბრუნდა ის ორი დივიზიაც, რომლებიც ვისლას აღმოსავლეთ ნაპირზე თავდაცვაში იყო განლაგებული: ჩვენ ნება დაგვრთეს მოგვეხსნა ისინი და პლაცდარმზე გადმოგვეყვანა.

შემოერთებულმა საზენიტო დივიზიებმა როგორც კი დაიკავეს საცეცხლე პოზიციები, მტრის ავიაციამ გადასასვლელებზე თავდასხმა შეწყვიტა. არმიის სამეთაურო პუნქტიდან ჩანდა, თუ როგორ ცდილობდნენ მტრის ავიაგამანადგურებლები დაწყვილებულად, ხოლო ბომბდამშენები ცხრა-ცხრა თვითმფრინავისაგან შემდგარ ჯგუფებად გადაელახათ გადამღობი ცეცხლი. მაგრამ გზაზე ყუმბარების ხშირ აფეთქებებს რომ აწყობდნენ, უკან ბრუნდებოდნენ. ეს იყო 7 აგვისტოს საღამოს. მეორე დღით კი ჩვენმა საინჟინრო ნაწილებმა დაამთავრეს ვისლაზე ორი ხიდის გადება და პლაცდარმისაკენ მთლიან ნაკადად დაიძრნენ ახალი ძალები — არტილერია, ტანკები, მსროლელი

ნაწილები. პლაცდარმზე შეყვანილი იქნა მე-2 სატანკო არმიის ერთი სატანკო კორპუსი.

დასავლეთ ნაპირიდან ჩვენი უკუგდება ახლა შეუძლებელი იყო.

ჯარები გულდაჯერებულად იგერიებდნენ მოწინააღმდეგის კონტრშეტევებს. 10 აგვისტოს მტერმა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყვანა 25-ე სატანკო დივიზია. ბრძოლის პირველივე საათში მან დიდი დანაკლისი განიცადა და შეტევა შეწყვიტა.

დღის მეორე ნახევარში კ. კ. როკოსოვსკიმ დამირეკა:

— როგორ არის საქმე?

მე მოვახსენე, რომ მტრის ცდას, ძალებით შემოეტია ჩვენი ნაწილებისათვის, წარმატება არ მოჰყოლია. პლაცდარმისათვის ბრძოლის ყველა უბანზე მტერი შეჩერებულია.

ტელეფონის ყურმილში შვებით ამოსუნთქვა გაისმა. კ. კ. როკოსოვსკი როგორც ჩანდა, მოუთმენლად ელოდა იმ საათს, როცა მტერს არაქათი გამოეცლებოდა. და აი, ეს საათიც დადგა. ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ სარდალი ჩემი მოხსენებით კმაყოფილი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ შემეკითხა:

— როგორ გიპოვნო?

მივხვდი, რომ ის პლაცდარმზე მოსვლას აპირებდა. ძალიან მინდოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ განა შემეძლო საფრთხეში ჩამეგდო ფრონტის სარდლის სიცოცხლე? ჩემი სამეთაურო პუნქტი წინა ხაზის ახლოს იყო განლაგებული. მოწინააღმდეგეს შეეძლო მანქანების მოძრაობის შემჩნევა და საარტილერიო დარტყმას მოგვაყენებდა. მე ტყუილს ვერ ვიტან, ამჯერად კი იძულებული ვიყავი მეცრუა. ადამიანებისადმი კ. კ. როკოსოვსკის ყურადღებიანი დამოკიდებულების ამბავი რომ ვიცოდი, ვუთხარი:

— ამხანაგო სარდალო, აბანო მაქვს შეკვეთილი, მინდა გაკსუფთავდე. ასე, ორი საათის შემდეგ მეორე ნაპირზე ვიქნები.

— უბრალოდ რომ ვთქვათ, შენ არ გინდა პლაცდარმზე მოვიდე? — მიმიხვდა.

— არა, სერიოზულად, ბანაობა მინდა, აბანო უკვე შეკვეთილია! — გავუმეორე მე.

— კარგი, რას ვიზამ! — დამეთანხმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.

საღამოს მას ვისლას აღმოსავლეთ ნაპირზე, არმიის შტაბის მეორე ეშელონის განლაგებაში შევხვდი. გულთბილად, ძმებივით შევხვდით ერთმანეთს. ერთად წავედით აბანოში, კარგად ვივახშმეთ. ჩვენი გულახდილი საუბარი დილამდე გაგრძელდა. ვისლას ფორსირებასა და პლაცდარმისათვის ბრძოლებზე რომ ვუამბე, მერე ვოლგაზე შეხვედრა, სტალინგრადის ბრძოლა გავიხსენეთ. ვისაუბრეთ მიმდინარე საკითხებსა და მომავლის გეგმებზეც. ჩვენი აზრი შეტევითი ოპერაციების შემდგომ განვითარებაზე ერთმანეთს ემთხვეოდა.

კონსტანტინე კონსტანტინეს ძე შესანიშნავი მოსაუბრე იყო. იმ ღამეს ჩვენ უფრო ღრმად და სრულად გავიცანით ერთმანეთი და მას შემდეგ სამუდამოდ კარგ მეგობრებად დავრჩით. ამ შეხვედრამ ჩემს მახსოვრებაში კარგი კვალი დატოვა და დამეხმარა ნათლად გამეგო ამ გულისხმიერი ადამიანისა და შესანიშნავი მხედართმთავრის ხასიათი, შეხედულებები და აზრები. რომ მიემგზავრებოდა, კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ ნება არ დამრთო გამეცილებინა. არ უყვარდა თავისი მაღალი წოდების წარმოჩენა. ყველასთან ისე ეჭირა თავი, როგორც თანატოლს თანატოლთან. ეს კარგი, შესანიშნავი თვისება მის სულიერ სიმდიდრესა და აზროვნების სიღრმეზე მეტყველებდა.

ფრონტის სარდალს რომ ვემშვიდობებოდი, რწმენა გამოვთქვი, რომ მოწინააღმდეგე პლაცდარმის რაიონში ერთი ნაბიჯით ვერ წაიწევდა წინ ვისლასაკენ, ასეც მოხდა. გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ჰიტლერელებმა, საკადრისი პასუხი რომ მიიღეს, საბოლოოდ თქვეს უარი ვისლაში ჩვენი გადაყრის ცდაზე.

18 ივლისიდან 10 აგვისტომდე მე-8 გვარდიული არმიის ჯარებმა ბრძოლებით გაიარეს დაახლოებით 250 კილომეტრი, გადალახეს ვისლა და ხელთ იგდეს მაგნუშევის პლაცდარმი, რომელიც ფრონტით 50 კილომეტრზე იყო განფენილი, სიღრმით კი — 20 კილომეტრამდე.

ეს იყო მე-8 გვარდიულის პირველი მთავარი, ნაბიჯი ბერლინის მიმართულებაზე, ნაბიჯი, რომელიც გვაახლოვებდა დასკვნითს ბრძოლასთან, მესამე რაიხს რომ მოუღო ბოლო.

4

ფრონტის სარდალმა დაკავებული პლაცდარმის მნიშვნელობის შეფასების შემდეგ ჩვენს არმიას უბრძანა, მტკიცე თავდაცვაზე გადასულიყო. პოზიციის გასაძლიერებლად ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადმოგვეცა მე-2 სატანკო არმიის შემადგენლობიდან გამოყვანილი მე-16 სატანკო კორპუსი.

6 სექტემბრისათვის არმიის ნაწილებმა დაამთავრეს თავდაცვითი ზოლის პირველი პოზიციის საინჟინრო მოწყობის სამუშაოები. ერთმანეთისაგან ორასი-სამასი მეტრით დაშორებული და ერთმანეთთან სანგარ-სავალებით შეერთებული სრული პროფილის გაერთიანებული ტრანშეების ორი რიგის წინ მომზადებულ იქნა ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო მთლიანი დანაღმული ველები, ეკლიანი მავთულობურები, ტყვიამფრქვევებისა და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებისათვის მოედნების მოწყობის დამთავრების შემდეგ ჯარის ნაწილები შეუდგნენ ბლინდაჟებისა და თავდაცვის მეორე პოზიციის მშენებლობას (მას მეორე ეშელონის დივიზიები აგებდნენ).

მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის მოსალოდნელი თავმოყრის რაიონებში დავგეგმეთ ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი. არტილერისტები სწავლობდნენ პირველი ნიშნისთანავე ზუსტი, კონცენტრირებული ცეცხლის გახსნას. ცეცხლის სისტემის ორგანიზაციის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ უზრუნველყოფილიყო რეზერვის მოძრავი ნაწილების მანევრი. იმ მიმართულებებზე, საიდანაც ყველაზე მეტი სიფრთხილე იყო მოსალოდნელი, ერთ კილომეტრზე 30 ქვემეხამდე იყო განლაგებული. ყველა დიდ დასახლებულ პუნქტში ირგვლივი თავდაცვა იქმნებოდა.

ჩემმა მოადგილემ გენერალ-ლეიტენანტმა მ. პ. დუხანოვმა

და საინჟინრო ჯარების უფროსმა გენერალ-მაიორმა ვ. მ. ტკაჩენკომ მიიღეს ბრძანება, მოეხდინათ რეკოგნოსცირება არმიის სათადარიგო თავდაცვითი ზოლისა, რომლის წინა კიდე ვისლის აღმოსავლეთ ნაპირს ეკვროდა. ჩვენი მდგომარეობა უფრო მტკიცდებოდა. მოდიოდა შევსება. ახალმოსულთ ვიღებდით არმიის ზურგში, ვაცმევდით სამხედრო ტანსაცმელს და ვაგზავნიდით დივიზიებში, რომლებიც რიგრიგობით ემზადებოდნენ რეზერვში გასასვლელად.

ახლა, როდესაც მტკიცედ მოვიკიდეთ ფეხი პლაცდარმზე და ნათელი გახდა, რომ მოწინააღმდეგეს უკვე ძალა აღარ შესწევდა გადავეყარეთ ვისლაში, შეიძლებოდა საფუძვლიანად გაგვეზიარებინა, როგორ მიმდინარეობდა ოპერაცია, როგორ მოქმედებდნენ არმიაში შემავალი ნაწილები და შენაერთები, როგორ გაართვეს თავი ამოცანებს მათმა მეთაურებმა.

ვინ იყვნენ ისინი, ეს შესანიშნავი ადამიანები?

გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ პავლეს ძე დუხანოვი. მის შესახებ ბევრი რამის თქმა შეიძლება. მისი, როგორც მხედარმთავრის ნიჭიერება, ბევრ ოპერაციაში მთელი ბრწყინვალებით გამოვლინდა. მას ყოველთვის შეეძლო შეერჩია ადგილი, რომელიც ყველაზე ძნელი იყო. ამ მშვიდსა და წინდახედულ ადამიანს რწმენა და სიმტკიცე შეჰქონდა ჯარების მოქმედებაში, ყველაზე საჭირო კაცი იყო მეთაურისთვისაც და მებრძოლისთვისაც.

ანდა მე-4 გვარდიული კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ვასილ ათანასეს ძე გლაზუნოვი. იგი წარსულში საჰაერო მედესანტე იყო და არაერთგზის, ჯერ კიდევ 1941 წელს, ჯართან ერთად ყოფილა მტრის ზურგში. მას შემდეგ, რაც საჰაერო-სადესანტო კორპუსები გვარდიულ მსროლელ დივიზიებად გარდაიქმნა, იგი დაინიშნა კორპუსის მეთაურის მოადგილედ. მეთაურის მოადგილეობა. ის თანამდებობაა, რომელიც ყოველთვის არ იხსენიება რელაციებსა და ბრძანებებში. ოპერაციების წარმატებას სახელი და დიდება მოაქვს, უწინარეს ყოვლისა, მეთაურებისათვის. მაგრამ გლაზუნოვი ყველგან ჩანდა. ეს ენერგიული და გაბედული ადამიანი ყოველთვის მოვლენების ცენტრში ტრიალებდა. მას ხედავდნენ მებრძოლებთან

სანგრებში და შეტევის დროს, იგი შეუცვლელი იყო წინა ხაზის სამეთაურო პუნქტშიც.

ვ. ა. გლაზუნოვი მალე დაინიშნა კორპუსის მეთაურად. მისი ნიჭიერება მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდა ვისლაზე გამართულ ბრძოლებში, სადაც საჭირო იყო განსაკუთრებით დიდი ორგანიზატორული უნარი, სწრაფი მოქმედება და მეთაურის მტკიცე ნებისყოფა. გლაზუნოვმა მართებულად გაიგო, რომ მთავარია მანევრის სწრაფად მომზადება და მოულოდნელი მოქმედება. მისი ნაწილები ყველაზე სწრაფად და ყველაზე უკეთ შეუდგნენ ამოცანის შესრულებას, სწრაფად და გაბედულად გადალახეს მდინარე და შესანიშნავად იბრძოდნენ მოპირდაპირე ნაპირზე.

ვისლის გადალახვისას კორპუსში წამყვანი როლი შეასრულა 57-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ, რომელსაც გენერალი ათანასე დიმიტრის ძე შემენკოვი მეთაურობდა. მან შეძლო ფარულად და დროულად მოეგროვებინა თავისი პოლკები მძლავრი დარტყმის განსახორციელებლად, რომელმაც არსებითად უზრუნველყო მთელი კორპუსის წარმატება.

მარჯვნივ, არმიის ოპერატიული განლაგების ცენტრში, ვისლის გადალახვა განახორციელა 28-ე გვარდიულმა კორპუსმა გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე ივანეს ძე რიჟოვის ხელმძღვანელობით. მისი ამოცანა იყო მტრისთვის მიეყენებინა ღრმა დარტყმა და ორად გაეთიშა იგი. ალექსანდრე ივანეს ძემ წარმატებით გაართვა თავი ამ რთულ ამოცანას და გამოიჩინა უდიდესი ნებისყოფა და მამაცობა. ამ კორპუსის პირველი ეშელონის 79-ე გვარდიულმა დივიზიამ გენერალ-მაიორ ლეონიდ ივანეს ძე ვაგინის მეთაურობით მდინარის გადალახვა გლაზუნოვის კორპუსის დივიზიებთან ერთად დაიწყო. დივიზიის პოლკებმა ერთსულოვნად გადალახეს მდინარე, ელვისებურად გადაეელენ დამბას, მტერი დასავლეთით უკუაგდეს და მდინარისა და მასთან მისასვლელების თვალთვალის შესაძლებლობა მოუსპეს.

არმიის მარჯვენა ფლანგზე ვისლის ფორსირება მოახდინა 27-ე გვარდიულმა მსროლელმა დივიზიამ გენერალ-მაიორ ვ. ს. გლებოვის მეთაურობით. ამ დივიზიის პოლკებმა ცოტა დაგ-

ვიანეს მდინარესთან მისვლა, მაგრამ შემდეგ გამოასწორეს მდგომარეობა და დროულად გადავიდნენ პლაცდარმზე.

ამ მეთაურების უნარმა — აღეფრთოვანებინათ და გმირობისათვის დაერაზმათ ადამიანები, მათმა ინიციატივამ და პირადმა გაბედულებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ოპერაციის წარმატებას. შემთხვევით არ მიიღეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება ვ. ა. გლაზუნოვმა, ლ. ი. ეაგინმა, ვ. ს. გლებოვმა, ა. ი. რიჟოვმა და ე. გ. ციტოვსკიმ.

ისეთი ფართო და ღრმა მდინარის ფორსირებამ, როგორიც ვისლაა, ინჟინრებისა და მესანგრეების დიდი შრომა მოითხოვა. მათი თავდადებისა და ოსტატობის წყალობით შესაძლებელი გახდა მდინარის მეორე ნაპირზე გადაგვეყვანა არა მარტო ადამიანები, არამედ გადაგვესროლა ტანკები, არტილერია, საბრძოლო მასალები, სურსათი და სხვა ქონება. ამ ძნელ და სახიფათო მუშაობას წარმართავდა არმიის საინჟინრო განყოფილება. მისმა ერთსულოვანმა კოლექტივმა შეძლო უმოკლეს ვადაში ფარულად მოეგროვებინა ყველაფერი, რაც საჭირო იყო მდინარის ფორსირებისათვის. ისინი ძირითადად ღამით მუშაობდნენ, რათა მტერს არ შეემჩნია ჩვენი მზადება. ტყვიების, ყუმბარებისა და საავიაციო ბომბების წვიმაში მოაწყვეს გადასასვლელი. ძნელია იმის გადმოცემა, ფიზიკური და მორალური ძალების რა დაძაბვით მუშაობდნენ საინჟინრო და მესანგრეთა ნაწილები, სანამ ჯარებისა და ტანკების ძირითადი მასა არ იქნა გადაყვანილი მდინარის დასავლეთ ნაპირზე.

მთელ ამ ტიტანურ მუშაობას ხელმძღვანელობდა არმიის საინჟინრო ნაწილების უფროსი გენერალი ვლადიმერ მათეს ძე ტკაჩენკო — მშვიდი, მსჯელობასა და მოქმედებაში აუჩქარებელი ადამიანი, რომელსაც ამავე დროს შეეძლო საქმე ისე დაეყენებინა, რომ ყველა ამოცანა დროულად შესრულებულიყო.

გენერალ ტკაჩენკოს კარგი მეურნის ეშმაკობა მოსდგამდა. მას ყოველთვის შემონახული ჰქონდა რეზერვები, რომელთა შესახებ მხოლოდ მან იცოდა. ამიტომ არავითარი მოულოდნელობა არ აშინებდა.

არ შეიძლება კეთილი სიტყვით არ მოვიხსენიოთ არმიის

არტილერისტები, რომლებსაც სათავეში ედგნენ არტილერიის სარდალი ნიკოლოზ მიტროფანეს ძე პოჟარსკი, შტაბის უფროსი ვლადიმერ თომას ძე ხიჟნიაკოვი და სხვა ოფიცრები, რომელთა დიდი ნაწილი ვოლგაზე გამართული დიადი ბრძოლის მონაწილე გახლდათ. არტილერისტები მარჯვედ აწარმოებდნენ ცეცხლით მანევრირებას, ადგილიდან ადგილზე გადადიოდნენ და მტერს მძლეარ და ზუსტ დარტყმებს აყენებდნენ.

პირველ ხანებში პლაცდარმზე ცოტა გვქონდა მძიმე ტანკები, რომლებსაც შეეძლებოდათ ტოლი დაედოთ ჰიტლერული „ვეფხვებისა" და „ფერდინანდებისათვის". მათთან ბრძოლას აწარმოებდა არტილერია, უმთავრესად მსხვილი კალიბრის ქვემეხები, რომლებსაც ღია პოზიციებზე გამოაგორებდნენ ხოლმე და პირდაპირი დამიზნებით ისროდნენ. ჩვენი პლაცდარმის ლიკვიდაციისათვის ვარშავიდან გადმოსროლილი დივიზია „გერმან გერინგი" და სხვა სატანკო ნაწილები შეჩერებულ და განადგურებულ იქნა მსხვილი კალიბრის არტილერიისა და ქვეითთა — ტანკების გამანადგურებელთა მიერ. პირდაპირი დამიზნება, ხელყუმბარების შეკვრები, ბრძოლაში მტრისათვის წართმეული ფაუსტპატრონები და, რაც მთავარია, საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმი და გმირობა იყო ის ძალა, რომელმაც გზა გადაუღობა ფაშისტთა რჩეულ ჯარებს.

ჩვენი ქვეითები და ტანკისტები ბრძოლის ველზე მჭიდროდ ურთიერთმოქმედებდნენ, ერთმანეთს ეხმარებოდნენ, წინ მიიწევდნენ, მტრისაგან წმენდნენ და სამუდამოდ ეუფლებოდნენ განთავისუფლებულ მიწა-წყალს. ისინი კარგად იყენებდნენ არტილერიისა და ავიაციის დარტყმების შედეგებს და შეუჩერებლივ ავითარებდნენ მოპოვებულ წარმატებებს.

მაგნუშევის პლაცდარმი, ისე როგორც ვისლაზე დაკავებული სხვა პლაცდარმები, ის ჭიშკარი გახდა, რომლითაც დაიძრნენ ჩვენი ჯარები პოლონეთის გასათავისუფლებლად.

პლაცდარმის თავდაცვის სრულყოფის დღეებში ვიყავი ბევრ ნაწილში, შეეხვდი ვისლისათვის გამართული ბრძოლების გმირებს და დამსახურებული ჯილდოები გადავეცი. პირველი ხარისხის დიდების ორდენი მკერდზე მივაბნიე ყოფილ დონბასელ მეშახტეს, ქვემეხის მეთაურს, გვარდიის უფროს სერ-

ქანტს ნესტერ გრიგოლის ძე მოსინს. ეს უკვე მისი მეხუთე ჯილდო იყო. დიდების ოქროს ორდენი მან შესანიშნავი საქმეებით დაიმსახურა, თავის ძმასთან, ეფრეიტორ ლეონიდ მოსინთან და გამტენთან წითელარმიელ კულინოვთან ერთად ნესტერ გრიგოლის ძემ წარსულ წელს გაანადგურა გერმანელთა 4 ტანკი, 3 თვითმავალი ქვემეხი, 2 ჯავშანტრანსპორტიორი, 12 ქვემეხი, 15-მდე ტყვიამფრქვევი და 300-ზე მეტი ჰიტლერელი მოსპო.

სერჟანტის გიმნასტურაზე სამხედრო ჯილდოების გვერდით ბრწყინავდა მედალი „შრომითი მამაცობისათვის" — ეს იყო საბუთი მისი თავდადებული შრომისა დონბასის ერთ-ერთ შახტში, სადაც იგი მშვიდობიან დროს მუშაობდა. მოსინი მთელი გულით ეკიდებოდა საქმეს, ყველაფერს საფუძვლიანად და ზუსტად ასრულებდა. მას შეეძლო გამოენახა გამოსავალი ყველაზე მძიმე მდგომარეობიდან.

ერთხელ სერჟანტ მოსინის გათვლა ქვეითთა ჯგუფთან ერთად ღრმად შეიჭრა მოწინააღმდეგის განლაგებაში. მტერმა ალყაში მოიმწყვდია მამაცთა ეს მცირე ჯგუფი. უშიშრად მოქმედებდნენ არტილერისტები. მათ პირდაპირი დამიზნებით გაანადგურეს სამი ქვემეხი და ორი ჯავშანტრანსპორტიორი, ხოლო როდესაც ჰიტლერელები სამას მეტრზე მიუახლოვდნენ, არტილერისტებმა ცეცხლი გახსნეს. მათ ორასამდე ფაშისტი მოსპეს. ქვეითმა ჯარისკაცებმა და არტილერისტებმა საერთო ძალ-ღონით გაარღვიეს მტრის გარემოცვა და თავისიანებს შეუერთდნენ.

ლიუბლინის მისადგომებთან მოსინის ქვემეხის გათვლამ პირდაპირი დამიზნებით დაანგრია სამი ძელმიწური, მოსპო მოწინააღმდეგის რამდენიმე ტყვიამრფქვევის ბუდე. ქვემეხი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ შეტევაზე გადასულ ქვეით ჯართან ერთად.

ვისლის ფორსირების დროს მოსინის არტილერისტებმა ქვემეხი ნავზე დატვირთეს და ერთ-ერთი პირველნი გადავიდნენ პლაცდარმზე. გვარდიელებმა ფეხი მოიკიდეს ერთ გაჯიმწაზე და თავიანთი ცეცხლით დაეხმარნენ ქვეით ჯარს შეტევაში.

ბევრ ბრძოლაში მონაწილეობდა დიდების სამი ორდენის კავალერი, კომუნისტი ნესტერ მოსინი. იგი იბრძოდა ისე, როგორც არიკებდა თავის ვაჟიშვილებს ძველი მეშახტე გრიგოლ ეგორის ძე მოსინი, დაუნდობლად, როგორც მეშახტეებს სჩვევიათ, ურტყამდა მტერს.

ამავე ბატარეაში პირველი ხარისხის სამამულო ომის ორდენი გადაეცი წითელარმიელ ვიქტორ შერსტიუკოვს. იგი ჯერ კიდევ ჩრდილოეთ დონეცთან გამართული ბრძოლების დროს დაინიშნა მესაზიდრედ.

— მაინც რატომ არ მოვეწონე მეთაურს? — საგონებელს მიეცა მებრძოლი.

ეს კითხვა შერსტიკოვს განუწყვეტლივ აწუხებდა, მაგრამ დიდი მონდომებით მუშაობდა, თავს ეევლებოდა და ესათუთებოდა თავის საყვარელ, საჯაგავ ღონიერ ცხენებს პუშკარსა და პუდიკს. იგი მუყაითი და აკურატული იყო. ყოფილ კოლმეურნეს მოსწონდა ცხენებთან მუშაობა, მაგრამ მაინც ოცნებობდა მოხვედრილიყო ქვემეხის გათვლაში, გაენადგურებინა მტრის ტანკები და თვითმავალი ქვემეხები, ყოფილიყო ნამდვილი მებრძოლი.

ერთხელ ქვეგანაყოფში ცხენების დათვალიერება მოეწყო. ნაპატიუები და მოვლილი პუშკარი და პუდიკი საუკეთესოებად აღიარეს ნაწილში. შერსტიუკოვს მწკრივის წინ მადლობა გამოუცხადეს. მეთაური თავისი ბლინდაჟისაკენ რომ გაემართა, შერსტიუკოვი წამოეწია.

— თუ შეიძლება, მითხარით, მართალია, რომ მესაზიდრედ მხოლოდ ცუდ მებრძოლებს ნიშნავენ?

მეთაურმა ყურადღებით შეათვალიერა იგი:

— არა, შენ დაგნიშნეს როგორც საუკეთესო მებრძოლი. თვითონაც ხომ იცი, რას ნიშნავს ბრძოლაში კარგი, მოსაზრებული მესაზიდრე.

ვისლის იქითა ნაპირზე დაკავებულ პლაცდარმზე არტილერისტებმა მძიმე გამოცდა გადაიტანეს. ბრძოლა ღამითაც კი არ წყდებოდა. მოხდა ისე, რომ მტრის ტანკები ფლანგიდან გამოჩნდნენ. საჭირო იყო საცეცხლე პოზიციების გადატანა, რათა მტრისთვის პირდაპირი დამიზნებით დაერტყათ. არტილერის-

ტები შეეცადნენ ქვემეხები ხელით გამოიგორებინათ, მაგრამ ვერ შეძლეს, ქვემეხების თოლები სილაში ეფლობოდა. სწორედ ამ დროს შერსტიუკოვმა ყუმბარები მოიტანა. როდესაც შეიტყო ამხანაგების გასაჭირი, თავისი ცხენებით მიიჭრა ქვემეხთან, მარჯვედ გამოიბა იგი და წინ გაიჭრა. არტილერისტებმა ახალი პოზიციიდან მაშინვე გახსნეს ცეცხლი. შერსტიუკოვი კი უკვე მიქროდა შემდეგი ქვემეხისაკენ. ასე გამოაგორა სამივე ქვემეხი. მათმა ზუსტმა ცეცხლმა გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

სწორედ ამ გმირობისათვის მიიღო შერსტიუკოვმა ორდენი.

შესანიშნავი ადამიანები გვყვანან. ყოველ უბანზე გმირულ საქმეს სჩადიან. სიამოვნებით გადავეცი ლენინის ორდენი სანინსტრუქტორს მიხეილ ლობენკოს. თავმდაბალი, ჩუმი კაცია, მაგრამ რა სიამაყით მიყვებოდნენ ამხანაგები მის შესახებ! ყველას დაამახსოვრდა ასეთი შემთხვევა. კონტრშეტევის შემდეგ მებრძოლები თავიანთ ტრანშეებში დაბრუნდნენ და მაშინღა შეამჩნიეს; უმცროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ სტრელნიკოვი არსად ჩანდა, მალე დაინახეს: მძიმედ დაჭრილი ოფიცერი ჩვენსა და მოწინააღმდეგის პოზიციებს შორის, საარავისო მიწაზე იწვა. მტრის ტყვიამფრქვევების ცეცხლი მიწის კორიანტელს აყენებდა დაჭრილის გარშემო. გვარდიელებმა ჰიტლერელთა წინააღმდეგ ძლიერი ცეცხლი მიმართეს, ხელს უშლიდნენ, დამიზნებით ესროლათ დაჭრილისათვის. მაგრამ რა უნდა მოემოქმედებინათ შემდეგ? და, აი, სანგრიდან ამოხტა ტანდაბალი, ჯმუხი მებრძოლი. მან რამდენიმე მეტრი გაირბინა, შემდეგ დაეცა და ოფიცრისაკენ გახოხდა. ეს ლობენკო გახლდათ. გაბედულმა სანინსტრუქტორმა ზურგზე წამოიკიდა დაჭრილი და ჩვენა ტრანშეებისაკენ გამოცოცდა. მეთაური გადარჩა.

ბევრი დაჭრილი გამოიყვანა ბრძოლის ველიდან გვარდიის ზემდეგმა ლობენკომ. მის მიერ გადარჩენილი ოფიცერი სტრელნიკოვი, წითელარმიელი კოვალიოვი და ბევრი სხვა ახლაც უგზავნიან მას მადლიერებით აღსავსე წერილებს, თავად ლობენკო ოთხჯერ დაიჭრა ბრძოლაში. განკურნების შემდეგ ისევ მშობლიურ ნაწილს უბრუნდებოდა და კვლავინდებურად მტრის ცეცხლქვეშ სამედიცინო დახმარებას უწევდა და ბრძო-

ლის ველიდან გამოჰყავდა დაჭრილი მებრძოლები და მეთაურები.

ჩვენს არმიაში იყო კიდევ ერთი სანინსტრუქტორი — ლენინის ორდენის კავალერი... ეს გახლდათ თევდორე ივანეს ძე სიდორენკო, სტალინგრადის ბრძოლის მონაწილე. ჯერ კიდევ მაშინ, ქარხანა „კრასნი ოქტიაბრის" ტერიტორიაზე გამართული ბრძოლის დღეებში 80 დაჭრილი მებრძოლი და მეთაური გამოიყვანა მან ბრძოლის ველიდან. მას მთელი არმია იცნობდა როგორც მამაც მეომარს. პოლკის მეთაური ვ. ა. ტურჩინსკი იტყოდა ხოლმე:

— იქ, სადაც თევდორე სიდორენკოა, არც ერთი დაჭრილი არ დარჩება ბრძოლის ველზე.

მაგნუშევის პლაცდარმზე მან ნეიტრალური ზონიდან ერთბაშად ორი ადამიანი გამოიყვანა. საარტილერიო დივიზიონის მეთაური და რადისტი ორივე ერთმანეთის გვერდით დააწვინა ლაბადაზე და ხოხვით მიიყვანა უშიშარ ადგილას.

სიდორენკო თავის პოსტზე დაიღუპა: იგი გასრისა მტრის ტანკმა დაჭრილ მებრძოლთან ერთად, რომელიც ბრძოლის ველიდან გამოჰყავდა.

მაინც რა ადამიანები აღზარდა ჩვენმა პარტიამ! უშიშარნი, მოუღლელნი, რომლებიც მზად იყვნენ თავი გაეწირათ მშობლიური ხალხისათვის... და ასეთი იყო არა ათი ან ოცი, არამედ ათასობით ადამიანი! უყურებ მათ და გული სიამაყით გევსება: მადლობა შენ, დედა-სამშობლოვ, იმისათვის, რომ შენს მიწა-წყალზე ცხოვრობენ ასეთი მამაცი მეომრები!

5

დადგა ჟამი მყუდრო, თავდაცვითი ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სასანგრო ცხოვრებისა. ასეთ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სიფხიზლე.

ხანგრძლივი თავდაცვის დროს ადამიანები ეგუებიან ფრონტის ხაზის უძრაობას, „ეჩვევიან" მოწინააღმდეგეს და ზოგჯერ ყოველგვარი შეთანხმების გარეშე ხელს არ უშლიან ერთმანეთს „ადამიანურად" იცხოვრონ. მაგალითად, არ ესვრიან ველ-

ზე მოძრავ სამზარეულოს, საშუალებას აძლევენ წყალი მოიტანონ და ა. შ.

ეს, როგორც ჩანს, იმითაც აიხსნება, რომ თავდაცვაში მყოფ ნაწილებს ნაკლებ ყუმბარებს, ნაღმებსა და ვაზნებს აძლევენ, ვიდრე შეტევაზე გადასულთ, რადგან ამ დროს ხდება ძალებისა და საშუალებების დაგროვება გადამწყვეტი ბრძოლებისათვის. მებრძოლი ასე ფიქრობს: „მე თუ ვესვრი საველე სამზარეულოსაკენ მიმავალ გერმანელს, ვაზნები შემომეხარჯება, მოწინააღმდეგე კი გაავდება და ამასვე გააკეთებს, შეიძლება უარესიც ჩაიდინოს, მაშინ საძულველი სასანგრო ცხოვრება ათჯერ უფრო აუტანელი გახდება".

თუ რა არის სასანგრო ცხოვრება, ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ. მისთვის, ვისაც ეს არ გამოუცდია, საკმარისი იქნება ჩაიდეს ნესტიან, ვიწროსარკმლიან სარდაფში და წარმოიდგინოს, როგორ ისხდნენ ასეთ პირობებში ადამიანები კვირაობით, ზოგჯერ თვეობითაც კი და იმის მოლოდინში იყვნენ, რომ სარდაფი შეიძლება ყოველ წუთს ჩამონგრეულიყო ყუმბარის ან ნაღმის მოხვედრით და ჭუჭყითა და ობით დაფარულ ძელებს ქვეშ მოეყოლია იქ მყოფნი.

გარდა ამისა, საჭიროა საათობით დგომა პოსტზე მეთვალთვალედ ანდა საყუჩში ყოფნა, ხან თავსხმა წვიმაში, ხან მცხუნვარე მზის ქვეშ, ხან ყინვა-ქარბუქში.

ბევრი ყოფილა ბომბსაფარში და იცის, როგორ თრგუნავს ადამიანს მისი ნოტიო და ცივი მდუმარება. მაგრამ ბომბსაფარში ადამიანი გაცილებით უკეთ გრძნობს თავს, ვიდრე თავდაცვის პირველი პოზიციის სანგარსა ან ბლინდაჟში. ჯარისკაცი შეწუხებულია არა მარტო იმით, რომ მას ბევრი რამ აკლია, არამედ გულისგამაწვრილებელი ერთფეროვანი ცხოვრებით. ამიტომაც უხარია ყოველი ახალი მოვლენა, თუნდაც სულ უმნიშვნელო. თუ სანგრებს შორის კურდღელი გაირბენს, ეს საყოველთაო სიხარულს იწვევს. მუსიკის ან სიმღერის ხმას რომ გაიგებენ, ყველაფერი ავიწყდებათ და დადუმებულნი სმენად იქცევიან.

გულგრილობა საშინელი ავადმყოფობაა. საჭირო იყო ყველაფერი გვეღონა, რომ იგი არ განვითარებულიყო. არ უნდა

დაგვეშვა, რომ ადამიანებს სიფხიზლე მოსდუნებოდათ. ეს შეგნებული ჰქონდათ ჩვენს პოლიტიკურ და პარტიულ მუშაკებს. ისინი ცდილობდნენ, რომ არც ერთ ადამიანს არ მოკლებოდა ყურადღება და თანაგრძნობა. ქვეგანაყოფებში ყოფნისას მაინტერესებდა პარტორგების მუშაობა. განსაკუთრებით მომეწონა თავისი მიზანსწრაფულობითა და მოუღლელობით 220-ე გვარდიული მსროლელი პოლკის ასეულის პარტორგი უმცროსი ლეიტენანტი ვასილ პეტრეს ძე ვიბორნოვი.

მას ახარებდა ის, რომ ღამეები გადიდდა: მაშასადამე, შეიძლება მეტის გაკეთება, რადგან წინა ხაზზე მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ ღამის სიბნელეში. იგი შეღამებისას მიდიოდა სანგრებში. ჯარისკაცები მას ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ და კითხვებს აყრიდნენ. პარტორგი საუბრებს ატარებდა ჯგუფებთანაც და ცალკეულ მებრძოლებთანაც. მათ ყველაფერი აინტერესებდათ, მაგრამ, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ახალი ცნობები. სწორედ ამით იწყებოდა საუბარი. შემდეგ კი ლაპარაკი შეუმჩნევლად გადადიოდა იმაზე, თუ რა მოხდა ამ დღეს ქვეგანაყოფში, ვინ გამოიჩინა თავი, რა გააკეთა ამა თუ იმ მებრძოლმა დღის განმავლობაში. ძალიან ბევრს ნიშნავს მებრძოლებთან გულახდილი, შინაურული საუბარი: ადამიანი ხალისიანად გრძნობს თავს, მუშაობაც უხარია, მტერსაც თვალგამჭრიახად უთვალთვალებს.

პარტორგი კი მარტო საუბრით არ კმაყოფილდება, მებრძოლს იარაღსაც გაუსინჯავს. ერთხელ ასე გასინჯა მან რიგითი სკვორცოვის ტყვიამფრქვევი და შენიშნა, რომ საკეტის ჩარჩო სილითაა სავსე.

— ასე ხომ შეიძლება გიმტყუნოს შენმა ტყვიამფრქვევმა ბრძოლაში. საკუთარ თავსაც და ამხანაგებსაც უღალატებ.

ვიბორნოვმა გააფრთხილა იგი, რომ ტყვიამფრქვევის გაუმართაობის შესახებ ჯერჯერობით არავის ეტყოდა, მაგრამ ერთი საათის შემდეგ იარაღი იდეალურ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო. ასეთი ამხანაგური გაფრთხილება დასჯაზე ძლიერ მოქმედებს. მერე მითხრეს, რომ სკვორცოვი ამის შემდეგ ტყვიამფრქვევს თვალისჩინივით უფრთხილდებოდა.

ფრონტელებს ცოცხალი სიტყვა უყვართ. პარტორგი არა

მარტო თვითონ ესაუბრებოდა მებრძოლებს, არამედ კომუნისტებისგანაც მოითხოვდა, ყოველთვის ადამიანებთან ყოფილიყვნენ და სწრაფად გამოხმაურებოდნენ მათ მოთხოვნებს.

წინა ხაზის მებრძოლებს არ ახსოვთ ისეთი ღამე, მათთან პარტორგი რომ არ მოსულიყო. ისინი ყოველთვის გრძნობდნენ მის მზრუნველობას. იგი ყველაფერს სწვდებოდა. მიწურებში არ იყო ნავთის ლამფები — ვიბორნოვმა შესთავაზა დაემზადებინათ თვითნაკეთი სანათები და მიაღწია იმას, რომ ისინი ყველა ბლინდაჟში ჰქონოდათ.

— ჩვენსა და მოწინააღმდეგეს შორის, — ამბობდნენ მებრძოლები, — სულ რაღაც ოთხასი მეტრია, მაგრამ პარტორგმა თქვა, რომ აქაც არის კარგად დასვენების საშუალება. ხომ ხედავთ, როგორ თბილა ჩვენს მიწურებში. აქ გაზეთებსაც, ბროშურებსაც, ჟურნალებსაც და წიგნებსაც ნახავთ. ამაზე ჩვენმა პარტორგმა იზრუნა.

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ „სანგრის გუნება-განწყობილება" ყოველთვის და ყველგან არ იქმნება. ეს განწყობილება შეიძლება საერთოდ თავიდან ავიცილოთ, როგორც ეს მოხდა ჩვენთან, მაგნუშევის პლაცდარმზე, თუკი ასეულებსა და ოცეულებში ჯეროვან სიმაღლეზე იქნება დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ამ მუშაობის მთავარი მიზანია, რომ თავდაცვაში მყოფ ნაწილებს შევუნარჩუნოთ მაღალი სიფხიზლე, რომ ადამიანებს არ ავიწყდებოდეთ მტერი, რომელსაც შეუძლია ყოველთვის გადმოვიდეს შეტევაზე და ჩვენი უზრუნველობისა და დაუდევრობის წყალობით მცირე ძალებით მოულოდნელად და სწრაფად მოიპოვოს დიდი წარმატება. მეომრებს განუწყვეტლივ მოვაგონებდით, რომ, ალბათ, შეტევაზე გადმოვლენ ან დარტყმას მოგვაყენებენ მოწინააღმდეგის არა ის ნაწილები, რომლებიც დიდი ხანია თავდაცვაში დგანან, არამედ ახალი, რეზერვიდან გადმოსროლილი ძალები. თავდაცვაში მყოფი ჯარები ხშირად ასრულებენ ფარის როლს ახალი ძალების თავმოყრისათვის, რომლებიც მომზადებული არიან უეცარი დარტყმის მისაყენებლად.

ნუ იფიქრებთ, თითქოს თავდაცვითი სიწყნარის დღეებში მაგნუშევის პლაცდარმზე მე-8 გვარდიული არმია უსაქმურო-

ბ.ში ატარებდა შემოდგომის გრძელ ღამეებს. როდესაც ქვემეხები დუმან, მოქმედებენ მზვერავები, მესანგრეები ოფლში იღვრებიან, ხოლო შტაბებს აღარ ახსოვთ დასვენება.

დაზვერვა შეუჩერებლივ მოქმედებდა და დროულად გვაწვდიდა ცნობებს მტრის ჯარების შესახებ. საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია იმის ცოდნა, მოწინააღმდეგის რა ძალები იმყოფებიან პირველ ტრანშეებში და რა განზრახვა აქვთ მათ, მაგრამ ყოველივე ეს ოდნავაც არ არის საკმარისი. საჭიროა ღრმა დაზვერვა. რათა კარგად წარმოიდგინო, რა ხდება მტრის ზურგში ათ, ოცდაათ, ორმოცდაათ კილომეტრზე მისი პოზიციების წინა ხაზიდან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეულის ან ბატალიონის მეთაურმა უნდა აწარმოოს დაზვერვა ასეთ სიღრმეში. საამისოდ მას არც ძალები ეყოფა და არც საშუალებები. მაგრამ მას შეუძლია და უნდა ესწრაფოდეს კიდეც, რაც შეიძლება ღრმად ხედავდეს მტრის პოზიციებს და მის წინ მდებარე ადგილებს. მხოლოდ მაშინ არ იქნება მოულოდნელი მისთვის მტრის იერიში. ღრმა დაზვერვის დივიზიების, კორპუსებისა და არმიის მეთაურები აწარმოებდნენ. მათ ამისათვის მეტი საშუალებანი გააჩნდათ.

ჯარი სიმაგრეებს აგებდა. პლაცდარმზე ისე უნდა გავმაგრებულიყავით, რომ მტერს ერთი მეტრითაც ვერ შეეევიწროებინეთ. ჩვენ შევქმენით ორი პოზიცია, თითოეული მათგანი შედგებოდა ორი-სამი ტრანშეისაგან ბომბსაფარებითა და ბლინდაჟებით. ვისლაზე ავაგეთ 60 ტონა ტვირთამწეობის 8 ხიდი. თითოეული მათგანის წინ ავაგეთ ხიდისწინა სიმაგრენი. ყოველივე ამან პოზიციებსა და რეზერვში მყოფი ყველა ნაწილის დაძაბული შრომა მოითხოვა.

ჩვენ ვხედებოდით, რომ როცა დადგება დრო, ფრონტის ძალები მაგნუშევის პლაცდარმიდან განახორციელებენ მთავარ დარტყმას. ამიტომ თავდაცვით სამუშაოებს იმ ანგარიშით ვაწარმოებდით, რომ დიდ ძალებს შეძლებოდათ შეტევაზე გადასვლა.

პლაცდარმზე მრავლად იყო დაჭაობებული ადგილები. არმიის მესანგრეებმა გენერალ ტკაჩენკოს მეთაურობით საფუძვლიანად იშრომეს. მათ გაიყვანეს დაახლოებით 200 კილომეტრი

გზები, აქედან 130 კილომეტრი ნაკვალი და 30 კილომეტრი ძალური გზები ჭაობებსა და სილაში.

იმისათვის, რომ დაგვეზოგა ძალები და მაღალ დონეზე შეგვენარჩუნებინა ჯარის საბრძოლო მზადყოფნა, პერიოდულად ვცვლიდით ნაწილებს წინა ხაზზე. პირველი ასეთი შეცვლა მოვახდინეთ 9 სექტემბრის ღამეს. პირველ ეშელონში დარჩა 4 დივიზია 9-დან, დანარჩენები გადავიყვანეთ მეორე ეშელონში, სადაც ხდებოდა მათი სრული დაკომპლექტება. მეცადინეობდნენ საბრძოლო მომზადებაში და ისვენებდნენ.

ახლა შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მე-8 გვარდიულმა არმიამ, რომელიც პირველი ბელორუსიის ფრონტის შემადგენლობაში ახალ პირობებში აღმოჩნდა, წარმატებით გაართვა თავი მორიგ საბრძოლო გამოცდას და მოიპოვა მორალური უფლება მოეთხოვა დაევალებინათ მისთვის კიდევ უფრო რთული და საპასუხისმგებლო ამოცანები. მაგნუშევის პლაცდარმი მძლავრი ნახტომის ტრამპლინი გახდა.

1944 წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიის შედეგად ცენტრალურ სტრატეგიულ მიმართულებაზე საბჭოთა ჯარები გავიდნენ მდინარეების — ნარევისა და ვისლის ზღუდეებთან, დაეუფლნენ პლაცდარმებს შემდგომი შეტევისათვის. მეორე ბელორუსიის ფრონტი — მდინარე ნარევზე პულტუსის, სერდოცკის რაიონში; პირველი ბელორუსიის ფრონტი — მაგნუშევის და დემბლინ-პულავის რაიონში; პირველი უკრაინის ფრონტი— სანდომირის რაიონში.

საბჭოთა ჯარებმა სხვა ფრონტებზეც მოიპოვეს მთელი რიგი წარმატებანი. 1944 წლის შემოდგომა აღინიშნა იმით, რომ საბჭოთა ტერიტორია თითქმის მთლიანად გათავისუფლდა მტრის ოკუპაციისაგან.

შეკუმშული ზამბარა იშლება

1

მოსკოვის კრემლის კურანტებმა გვამცნეს 1945 წლის დადგომა.

ახალ წელს ვხვდებოდით, როგორც მოახლოებული გამარჯვების წელს. არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ სწორედ ამ წელს დამთავრდებოდა ომი ჰიტლერული არმიის სრული განადგურებით, ევროპის დამონებული ხალხების სრული გათავისუფლებით. ახლოვდებოდა საათი, რომელსაც, აი, უკვე რამდენიმე წელია მოუთმენლად ელოდა ყველა საბჭოთა ადამიანი, დამპყრობთა ტერიტორიაზე ჩვენი ჯარების შესვლის საათი.

ჩვენი ქვეყანა უკვე მთლიანად გათავისუფლებული იყო, გამონაკლისს შეადგენდა ჩრდილო-დასავლეთ ლატვიის მცირე ნაწილი, კურლანდია. გათავისუფლდა თითქმის მთელი აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა. რუმინეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, ალბანეთში, პოლონეთსა და უნგრეთის გათავისუფლებულ მიწა-წყალზე იწყებოდა რევოლუციური სახალხო-დემოკრატიული გარდაქმნები, რომლებსაც უნდა განესაზღვრათ ამ ქვეყნების ხალხების ბედ-იღბალი. ისახებოდა მოვლენები, რომლებმაც გამოიწვიეს იმპერიალისტური ფრონტის ახალი გარღვევა და სოციალიზმის გამარჯვება ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. პოლიტიკურ ასპარეზზე ყველაფერი ბობოქრობდა და დუღდა. ჰიტლერული რეჟიმი ურისა და გრდემლს შორის აღმოჩნდა. და ურო აღმართული იყო მორიგი, შეიძლება, უკანასკნელი, და, შეიძლება, უკანასკნელისწინა დარტყმისათვის.

ახლა უკვე ყოფილი ჰიტლერელი სატელიტები ებმებოდნენ ომში ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ანტიფაშისტური კოალიციის მხარეზე.

უკან დარჩა თეირანი, დუმბარტონ ოქსის კონფერენციაც... მართალია, ჯერ კიდევ არ იყო ჩატარებული იალტის კონფერენცია, სადაც მოკავშირეებმა მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილებანი ფაშიზმისა და მთელ მსოფლიოში მისი შედეგების ლიკვიდაციისათვის.

მე კვლავ ვუბრუნდები იმ მოტივებს, რომლებიც იპყრობდნენ ჩვენს ყურადღებას 1944 წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიის დაწყების წინ.

რისი იმედი უნდა ჰქონოდათ ჰიტლერსა და მის გენერლებს 1945 წელს?

ჰიტლერის პოლიტიკური სცენიდან მოშორებით ცოტად თუ ბევრად აქტიური ცდები გერმანიაში კრახით დამთავრდა. 1944 წლის 20 ივლისის შეთქმულების ჩაშლის შემდეგ არსებობა შეწყვიტა ყოველგვარმა ოპოზიციამ სამხედრო სარდლობისა და მთავრობის სფეროებში. ჰიტლერმა სასტიკად ჩააშალა ყველა მოწინააღმდეგე და კვლავ უსიტყვო მორჩილებაში ჰყავდა თავისი გენერლები.

გერმანელმა ხალხმა თვალნათლივ დაინახა ფაშისტური დიქტატურის სასტიკი, სისხლიანი, გამცემლური არსი. ფაშისტი მმართველები ხელისუფლების შესანარჩუნებლად ხალხის მოსპობასაც არ ერიდებოდნენ, ოღონდ როგორმე გაეხანგრძლივებინათ თავიანთი არსებობა...

წითელმა არმიამ 1944 წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიის მსვლელობაში მოსპო ან დაატყვევა გერმანელთა 96 დივიზია და 24 ბრიგადა. განადგურდა და დიდი დანაკარგები განიცადეს 219 დივიზიამ და 22 ბრიგადამ. მათ თავიანთი შემადგენლობის 50-75 პროცენტი დაკარგეს. ჰიტლერული გერმანიის საერთო დანაკარგებმა ერთ კამპანიაში კატასტროფული ციფრები შეადგინეს: 1600 ათასი კაცი, 6700 ტანკი, 12 ათასზე მეტი თვითმფრინავი. 1944 წელს, განსაკუთრებით წლის დასაწყისში, ჰიტლერელთა კონტროლქვეშ მყოფი ევროპის მრეწველობა ჯერ კიდევ თავს ართმევდა სამხედრო დაკვეთებს და უფრო დიდი მასშტაბით უშვებდა ყველა სახეობის იარაღსა და სამხედრო ტექნიკას, ვიდრე ომის დასაწყისში. მაგრამ ჩვენს მიწა-წყალზე და შემდეგ დასავლეთისაკენ წითელი არმიის წინ-

სვლის კვალობაზე გერმანია ზედიზედ კარგავდა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ნედლეულის წყაროებს და გერმანიის ქარხნები წლის დამლევისათვის იძულებულნი გახდნენ, შეეკვეცათ სამხედრო წარმოება.

ამავე დროს საბჭოთა მრეწველობა ზრდიდა წარმოების ტემპს, წითელ არმიას უმძლავრეს ტექნიკურ აღჭურვილობას აწვდიდა.

ამჟამად ჩვენს ხელთაა ბევრი გერმანელი გენერლის ცნობა იმის შესახებ, რომ ჰიტლერს შეეძლო სამხედრო ტექნიკის ანგარიში, რომ იგი სწვდებოდა სამხედრო წარმოების საკითხებს და ყოველთვის ჰქონდა ცნობები თავისი არმიის ტექნიკური აღჭურვილობის, თავისი დივიზიების ცოცხალი ძალით უზრუნველყოფის შესახებ. ჰიტლერს არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ სამხედრო თვალსაზრისით მას არაფრის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მთელი მისი ვარაუდები გადატანილ იქნა პოლიტიკურ სფეროში.

გერმანელი ფაშისტები ელოდნენ, რომ მოკავშირეთა რიგებში განხეთქილება მოხდებოდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დაწყებული რევოლუციური ცვლილებანი გათიშავდა საბჭოთა კავშირსა და ინგლის-ამერიკის მმართველ წრეებს. ახლა ჩვენ ვიცით, რომ ამ ვარაუდს გარკვეული საფუძველი ჰქონდა იმ შემთხვევაში, როცა მხოლოდ მმართველ წრეებს ეხებოდა. მაგრამ ჰიტლერელები, როგორც ყოველთვის, ზედაპირულად მსჯელობდნენ, მხედველობაში არ იღებდნენ ხალხებს, კვლავინდებურად სასურველ სინამდვილედ მიაჩნდათ.

შექმნილ ვითარებაში ომის გაგრძელება ფაშისტური გერმანიისათვის წმინდა წყლის ავანტიურიზმი იყო. მაგრამ ომი გრძელდებოდა. მიუხედავად უდიდესი დანაკარგებისა, ჰიტლერს ჯერ კიდევ შეეძლო ყოვლისშთანმთქმელ, გააფთრებულ ბრძოლაში ჩაება მნიშვნელოვანი ძალები და არცერთი ჩვენგანი არ მიიჩნევდა ბერლინის დალაშქვრას სასიამოვნო გასეირნებად. ჩვენ უნდა დაგველეწა მოწინააღმდეგის უძლიერესი თავდაცვითი ზღუდეები. მნიშვნელოვნად შემცირდა ფრონტის ხაზიც. ეს საშუალებას აძლევდა ჰიტლერულ სარდლობას შე-

ემჭიდროვებინა საბრძოლო წყობანი, უხვად უზრუნველეყო სიმაგრენი ჯარებით, რომლებსაც შეეძლოთ გააფთრებული წინააღმდეგობა გაეწიათ. მიუხედავად უდიდესი დამარცხებებისა, გერმანელ ჯარისკაცს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაკარგული წინააღმდეგობის გაწევის უნარი. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჩვენს ჯარებს უპირისპირდებოდა 3 100 ათასი კაცი. ჰიტლერის არმიებმა ჩვენს წინააღმდეგ გამოიყვანეს 28500 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 3950 ტანკი და საიერიშო ქვემეხი, 1960 საბრძოლო თვითმფრინავი. ამ ჯარების ზურგში იქმნებოდა მძლავრი სარეზერვო ფორმირებანი. ისინი ითვლიდნენ ორ მილიონზე მეტ კაცს, 2700 ქვემეხს, 1090 ტანკს, 930 საბრძოლო თვითმფრინავს. ამ სარეზერვო ფორმირებათა უმეტესი ნაწილი, როგორც ეს მოვლენებმა ცხადყვეს, აღმოსავლეთის ფრონტზე იქნა გამოყენებული.

ჩვენს მოქმედ არმიაში ახალი წლის დამდეგისათვის დაახლოებით 6 მილიონი კაცი ითვლებოდა. საბჭოთა მრეწველობამ, საბჭოთა მუშათა კლასმა ამ დროისათვის შექმნეს მძლავრი არტილერია. ჩვენ გვქონდა 91400 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 2993 რეაქტიული დანადგარი. ბრძოლისათვის მზად იყო 11 ათასი ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, 14500 საბრძოლო თვითმფრინავი.

ქვეყანამ, რომელმაც 1941 წელს გაუძლო საშინელი ძალის დარტყმას, რომლის უზარმაზარი ტერიტორია, სადაც განლაგებული იყო მისი უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ცენტრები და ნედლეულის ბაზები, გაჩანაგდა, ომის დამლევისათვის შეძლო შეექმნა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი შეიარაღებული ძალები. ჩვენმა ხალხმა მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადყო სოციალისტური წყობილების ძალა და სიმძლავრე.

მსოფლიოში შექმნილი ვითარება განსაღვრავდა ახლადდამდგარი 45 წლის სამხედრო ამოცანებს. ჩვენ უნდა გაგვენადგურებინა მტრის მძლავრი დაჯგუფებანი აღმოსავლეთ პრუსიაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ავსტრიაში და აგვეღო ბერლინი. საერთო პოლიტიკური ვითარება, ჰიტლერელთა ცდები—მოლაპარაკება გაემართათ ინგლის-ამერიკის მმართველი წრეების ზოგიერთ წარმომადგენელთან სეპარატული

ზავის დადების თაობაზე, ჩვენსა და მოკავშირეებს შორის წამოჭრილი ზოგიერთი უთანხმოება აღმოსავლეთ ევროპის პრობლემებზე, ჩვენგან მოითხოვდა შეგვემოკლებინა საბრძოლო მოქმედების ვადები.

სამხედრო თვალსაზრისით დარტყმის მთავარ მიმართულებად რჩებოდა მიმართულება, სადაც მოქმედებდნენ პირველი და მეორე ბელორუსიის და პირველი უკრაინის ფრონტების ჯარები, — პოზნანი-ბრესლაუ-პომერანია-ვარშავა-ბერლინი. აქ უნდა მომხდარიყო გადამწყვეტი ბრძოლები.

ომების ისტორია იცნობს ბევრ მაგალითს, როდესაც ომი სახელმწიფოს დედაქალაქის დაცემის შემდეგაც გრძელდებოდა. მაგრამ ჩვენ არ გვქონდა საფუძველი გვეფიქრა, რომ ამ შემთხვევაში ომი ბერლინის დაცემის შემდეგაც გაგრძელდებოდა. ამიტომ ოპერაციათა დაგეგმვას დასმული ჰქონდა აზრობრივი წერტილი — ბერლინის იერიში.

დასავლეთიდან ბერლინისაკენ — გერმანიის გულისაკენ — მოიწევდნენ ჩვენი მოკავშირეების ჯარები. თუმცა, მათი შეტევა გაცილებით ნელა ვითარდებოდა, ვიდრე ჩვენ მოველოდით... იანვარში კი მათ შეხვდათ დიდი უსიამოვნებანი, მიუხედავად იმისა, რომ ჰიტლერული სარდლობა დასავლეთის ფრონტს არ განიხილავდა როგორც მთავარ ფრონტს დესანტის გადმოსხმის პირველ დღეებშიც კი. ფაშისტური გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი“ 1944 წლის 8 ივლისს წერდა:

„ნუთუ სიმძიმის ცენტრმა მართლა გადაინაცვლა აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ? ნუთუ ჩვენ შეგვიძლია ქარაფშუტულად მოვეკიდოთ აღმოსავლეთის ფრონტზე საბჭოთა ჯარების შეტევასთან დაკავშირებულ ამბებს, იმას, რომ აღმოსავლეთი, ასე ვთქვათ, ომის მეორეხარისხოვან თეატრად იქცა? არასოდეს!.. ევროპისათვის მთავარი საფრთხე, ისევე, როგორც ადრე, ახლაც აღმოსავლეთშია“.

13 ივლისის „ბერლინერ ცაიტუნგი“ ვერმახტის ახალი დამარცხებების განჭვრეტისას ამშვიდებდა თავის მკითხველებს: „თუ საბჭოთა ჯარების შემოტევის წინააღმდეგ უკანისკნელ თვეებში და მთელი გასული წლის მანძილზე ჩვენს ხელში იყო ჩვენს მიერ დაკავებული ტერიტორია, რომელიც შეგვეძლო

დაგვეტოვებინა წონასწორობის მიღწევისათვის, დღეს გერმანიის სარდლობის ტაქტიკა, ალბათ, სხვა არის, მაგრამ ჩვენს სარდლობას განზრახულიც რომ ჰქონდეს მოწინააღმდეგის შეჩერება და განადგურება, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ტერიტორიის რაღაც ნაწილის დატოვება განვიხილოთ როგორც კრიტიკული ფაქტი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დასავლეთსა და აღმოსავლეთში გაშლილი დიდი ბრძოლის საერთო წლისათვის".

მაგრამ ცხოვრებას ულმობლად შეჰქონდა თავისი შესწორებანი ჰიტლერელთა გეგმებში. სამხედრო-ისტორიულ ლიტერატურაში მცირე ადგილი როდი უკავია დასავლეთელ ავტორთა მსჯელობებს, რატომ წამოიწყო ჰიტლერმა ფართო კონტრშეტევა ათას ცხრაასორმოცდაოთხი წლის დეკემბერში ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ. დასავლეთელ ავტორებს თავიანთ განმარტებებში მოაქვთ ჰიტლერის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა გენერლებთან გამართულ ერთ-ერთ თათბირზე და რომლებიც რამდენადმე შუქს ფენენ არდენში კონტრშეტევის ისტორიას. ჰიტლერმა განაცხადა: „ყველას, ვინც ყურადღებით ადევნებს თვალყურს მოვლენათა განვითარებას, არ შეუძლია არ დაინახოს, რომ წინააღმდეგობა ჩვენს მტრებს შორის ყოველსაათობით იზრდება. თუ ჩვენ ახლა შეკ-ძლებთ კიდევ რამდენიმე ძლიერი დარტყმა მივაყენოთ მათ, მაშინ ყოველ მომენტში მოსალოდნელია, რომ ეს რეკლამირებული „ერთიანი ფრონტი" გამაყრუებელი ჭექა-ქუხილით დაიშლება..." ინგლისელი ისტორიკოსი ერმანი აქედან გამომდინარე ასკვნის, რომ ჰიტლერს მიაჩნდა, „თუკი გერმანია შეძლებს საკმაოდ ძლიერი დარტყმა მიაყენოს მტერს ერთ-ერთ ძირითად ფრონტზე, ამით იგი მოიპოვებს ასე თუ ისე მისაღებ პირობებს ზავის დასადებად ამ მოწინააღმდეგესთან, იმისდა მიუხედავად თუ რა მდგომარეობა იქნება მეორე ფრონტზე... ჰიტლერი იმედოვნებდა, რომ მოლაპარაკება დასავლეთის სახელმწიფოებთან უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე რუსებთან".

უეჭველია, ასეთ განმარტებას აქვს რაღაც საფუძველი, მაგრამ იგი მთლიანად ვერ გვიხსნის იმ მოტივებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ჰიტლერი. თვით ჰიტლერსაც და მის გენერ-

ლებსაც, მიუხედავად მათი ერთობლივი თვითდაჯერებულობისა, არ შეეძლოთ არ დაენახათ, რომ მათ უკვე აღარ შესწევდათ ძალა, მოეწყოთ მეორე დიუნკერკი... მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირე არმიები მოუმზადებელნი იყვნენ რთული სამანევრო ოპერაციებისათვის, როგორც ამას მოითხოვდა მაშინდელი სამხედრო ხელოვნება, გერმანელებს არ უნდა ჰქონოდათ სერიოზული წარმატების იმედი. ჰიტლერს სჭირდებოდა რაღაც, თუნდაც შედარებით მცირე წარმატება სამხედრო ოპერაციებში, რათა აღედგინა საკუთარი შერყეული პრესტიჟი არმიასა და ხალხში.

ჰიტლერს რომ ნამდვილად სდომოდა სამხედრო წარმატებათა მოპოვება დასავლეთში, გაცილებით მეტ ღონისძიებებს განახორციელებდა, ხელი რომ შეეშალა დესანტის გადმოსხვისათვის ნორმანდიაში, მაშინ, როცა მოკავშირეთა ძალების რაოდენობა კონტინენტზე ჯერ კიდევ საკმაო არ იყო. ჰიტლერს ამის გაკეთება შეეძლო თუნდაც აღმოსავლეთში ფრონტის შეკვეცის გამო. ჩვენ კი იმ დროს საპირისპირო სურათს ვხედავდით. ჰიტლერი ასუსტებდა დასავლეთის ფრონტს, რათა შეეკავებინა ორმოცდაოთხი წლის ზაფხულ-შემოდგომის ჩვენი შეტევა.

ახლა ბევრი გერმანელი გენერალი წუწუნებს, ჰიტლერი ყურად არ იღებდა ჩვენს რჩევასო, და ამით სურთ ახსნან ჰიტლერული არმიის წარუმატებლობანი. მათი სურვილი, თავი გაიმართლონ ისტორიის წინაშე, ადვილად ასახსნელია. მაგრამ ისინი თვალს ხუჭავენ მთავარზე. არ შეიძლებოდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონოდა აღმოსავლეთის ან დასავლეთის ფრონტებზე საბრძოლო მოქმედების მსვლელობაში დაშვებული ამა თუ იმ შეცდომას, რადგან მთავარი და გადამწყვეტი შეცდომა მდგომარეობდა ჰიტლერის მიერ გაჩაღებულ მეორე მსოფლიო ომის საერთო კონცეფციაში.

ისტორიამ უკვე საკმაოდ სრულად გააშუქა დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ჰიტლერის გალაშქრების პოლიტიკური ასპექტები.

ისტორიამ უნდა აღიაროს, რომ ისეთი გამარჯვება, რაც პოლონეთში მოიპოვეს, გერმანიის შეიარაღებულ ძალებს არასო-

დეს ჰქონიათ. ერთი წლის შემდეგ განხორციელდა დარტყმების სერია დასავლეთში, დაეცა საფრანგეთი. ჰიტლერი აღრმავებდა კონფლიქტს დასავლეთის სახელმწიფოებთან, ევროპის ხალხებთან, იმხედრებდა საზოგადოებრივ აზრს ოკეანის გაღმითაც. ჰიტლერი, როგორც პოლიტიკოსი და როგორც სამხედრო მოღვაწე, იხლართებოდა გამოუვალ კონფლიქტში მთელ კაპიტალისტურ სამყაროსთან. მაგრამ ფაშისტური რეჟიმი ამ ელვისებური გამარჯვებებით ამაღლებდა ჯარების განწყობილებას. გერმანელი ჯარისკაცი გაბრუებული იყო იოლი, მაგრამ ეფექტური გამარჯვებებით. ამავე დროს, გერმანიის გენერალიტეტი აზუსტებდა ყველა სახეობის ჯარების ურთიერთმოქმედებას დასავლეთ ევროპის ველებზე გაშლილ მანევრულ ბრძოლებში, ამასთან არ ჰქონდა შიში დამარცხებისა.

ჯარებს, რომლებმაც გამარჯვებანი მოიპოვეს და ამოძრავებულია, ყოველთვის აქვთ უპირატესობა იმ ქვეყნის წინაშე, რომელიც ომში ჯერ არ ჩაბმულა. ნაწილობრივ ამითაც შეიძლება აიხსნას ჰიტლერის პირველი წარმატებანი აღმოსავლეთის ფრონტზე რუსეთში.

მაგრამ, აი, დაიწყო პირველი სიძნელენი. ამ სიძნელეებმა თავი იჩინეს უბადაღებულ „ბარბაროსის“ გეგმის ვადების ჩაშლით.

ჩვენი ქვეყნის სიღრმეში წინ წაწევისას, ხან ერთ და ხან მეორე ეტაპზე ჰიტლერი აწყდებოდა წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას.

მოსკოვის მისადგომებს ჰიტლერულმა ჯარებმა მიაღწიეს ვადებში, რომლებიც შეუთავსებელი იყო სამხედრო მოქმედების გაგრძელებისათვის, ამასთან განიცადეს ტექნიკის უდიდესი დანაკარგი. ყოველი გათვითცნობიერებული მხედართმთავარი ღრმად ჩაუფიქრდებოდა იმას, რომ საჭიროა თუ არა ჯიქურ შეუტიოს დედაქალაქს მოახლოებულ ზამთარში, როდესაც ასე იზრდება მის დამცველთა წინააღმდეგობა და როდესაც შენი ჯარები საზამთროდ არ არიან ჩაცმულნი? სამხედრო მეცნიერება სხვა გადაწყვეტილებას უკარნახებდა, პოლიტიკოსიც, ალბათ, მოძებნიდა ახალ კომბინაციებს, მაგრამ ჰიტლერი თვითონ ჩაება მოსკოვის ბრძოლებში, რომელმაც მას აგემა პირველი

მნიშვნელოვანი დამარცხება აღმოსავლეთის ფრონტზე და მეორე მსოფლიო ომის მთელ მსვლელობაში. თურმე მესამე რაიხის „უძლეველი არმია“ შეიძლება დაამარცხო და სასტიკადაც დაამარცხო.

ჰიტლერელ-პოლიტიკოსს ჰქონდა კიდევ ერთი შესაძლებლობა აეწონ-დაეწონა შექმნილი სიტუაცია.

მართალია, მისი აგენტურა საიდუმლო არხებით უკვე აწარმოებდა მოლაპარაკებას დასავლეთის ზოგიერთ მოღვაწესთან სეპარატული შეთანხმების შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ ევროპაში მეორე ფრონტის საფრთხე ჯერ კიდევ შორს იყო...

ჰიტლერმა ომის პირველ წელს შეძლო წამოეწყო შეტევა რამდენიმე ათასი კილომეტრი სიგრძის ფრონტზე. მის მიერ ოკუპირებულ იქნა უზარმაზარი ტერიტორია. გერმანიას იარაღის ძალით აქამდე არასოდეს არ ჩაუგდია ხელში ამდენი მიწები. მაგრამ ფაშისტური რეჟიმის არსი ის იყო, რომ იგი სულ ახალ და ახალ თვითდამკვიდრებას მოითხოვდა. ყოველგვარი უკანდახევა გამოცხადებული დამპყრობლური პროგრამებისა და გეგმებიდან ამ რეჟიმს კრახით ემუქრებოდა. და ჰიტლერმაც ორმოცდაორში წამოიწყო ახალი შეტევა. მას უკვე აღარ ჰქონდა არც ძალა, არც შესაძლებლობა ფრონტის მთელ სიგრძეზე განევითარებინა შეტევა და ამიტომ მთელ თავის ძალებს შედარებით ვიწრო უბანზე უყრიდა თავს, მოიწევდა სტალინგრადისა და კავკასიისაკენ.

შემტეეი მხარე, მხარე, რომელსაც სურს თავი გამოიჩინოს მთელი მსოფლიოს და, განსაკუთრებით, საკუთარი ხალხის, თავისი გამარჯვებული არმიის წინაშე, რომელმაც დროებითი წარმატებანი მოიპოვა და ხელთ იგდო უზარმაზარი ტერიტორია, ეს მხარე აგრძელებს ომს და ზღუდავს ოპერაციების გაქანებას. განა თვით ეს ფაქტი თავისთავად არ არის ნიშანი მისი სისუსტისა, განა ეს არ არის ნიშანი მოწინააღმდეგის ძალების ზრდისა, ჩვენი ძალების ზრდისა?

ჰიტლერული არმიები აღწევენ სტალინგრადის კედლებს. ჰიტლერი საქვეყნოდ აცხადებს სტალინგრადის დაცემას... სტალინგრადი არ დაცემულა, პაულიუსის არმია ებმება მომქან-

ცველ და უპერსპექტივო ქუჩის ბრძოლებში. ჩვენ გვრჩება ბოლგის ნაპირის ვიწრო ზოლი...

ზაფხულია. მომხდურთა არმიას ჯერ კიდევ აქვს ფართო მანევრირების შესაძლებლობა. მაგრამ არა! ჰიტლერი მანიაკის სიჯიუტით განაგრძობს სტალინგრადზე შეტევას. სამხედრო თვალსაზრისით, რომელიღაც ეტაპზე ეს შტურმი უაზრობად იქცევა. წარუმატებლობა სტალინგრადში ჰიტლერულ რეჟიმს ურიცხვი პოლიტიკური შედეგებით ემუქრება. მოწინააღმდეგის არმიის კომუნიკაციები წარმოუდგენლად გაიჭიმა, ახლოვდება შემოდგომისა და ზამთრის უგზოობის დრო. ახლოვდება ჩვენი კონტრდარტყმების, შემდეგ კი კონტრშეტევის საფრთხე. ჰიტლერი თავისას არ იშლის. იგი სტალინგრადის აღებას მოითხოვს. თუ რით დამთავრდა ყოველივე ეს — ყველასათვის ცნობილია...

მიმდინარეობს ომის მესამე წელი. ჰიტლერი თავს უყრის ყველაფერს, რაც კი შეუძლია, და გეგმავს შეტევას ამჯერად უკვე ფრონტის ვიწრო მონაკვეთზე, რომლის სიგრძეა არა ათასობით და არა ასობით, არამედ მხოლოდ ათობით კილომეტრი. იგი ერთიან ჯავშნიან მუშტად კრავს ძალებს, რომლებიც რაოდენობით იმაზე ნაკლები არ არის, რითაც მან ომი დაიწყო. იწყება კურსკის ბრძოლა, იწყება გრანდიოზული სატანკო ბრძოლები. ყველაფერი მტრის არმიის კატასტროფით მთავრდება... გერმანელთა არმია უკან დაექანა!

ომი უკვე გერმანიის ფარგლებს უახლოვდება. ახლოვდება შურისძიების ჟამი... უკან დარჩა „გენერალთა ამბოხი“.

იწყება გაშმაგებული შეტევა არდენში.

ჯეროვნად უნდა მიეზღვეს გერმანელთა სარდლობას. ეს შეტევა, სამხედრო თვალსაზრისით, უნაკლოდ იყო ორგანიზებული. იგი ღრმა საიდუმლოების ვითარებაში მზადდებოდა და მოულოდნელობის ეფექტი მიღწეულ იქნა. საჭიროა ითქვას, რომ დასავლეთის ფრონტის საზიანოდ აღმოსავლეთის ფრონტის გაძლიერების ტაქტიკამ, რომელიც ყოველივე ამას წინ უსწრებდა, რამდენადმე მოადუნა ინგლის-ამერიკის სარდლობის სიფხიზლე. როგორც ჩანს, ინგლის-ამერიკის სარდლობა მოწინააღმდეგის მხრივ აღარ მოელოდა გადამწყვეტ მოქმედებას.

ჰიტლერელი გენერლები გეგმავდნენ, დარტყმა განეხორციელებინათ 29-32 დივიზიით ´არდენის რაიონში და ანტვერპენის მიმართულებით გაპრილიყვნენ. ისინი ვარაუდობდნენ მოესპოთ ამერიკელთა და ინგლისელთა 25-30 დივიზია ანტვერპენ-ბრიუსელ-ბასტონის ხაზის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით.

დარტყმის დრო კარგად იყო შერჩეული. ამ ადგილებში ფრენისათვის არახელსაყრელი ამინდი იდგა. ჰიტლერელები ითვალისწინებდნენ, რომ მოკავშირეები ვერ შეძლებდნენ გამოეყენებინათ თავიანთი უდიდესი უპირატესობა ჰაერში.

მაგრამ ჰიტლერულ სარდლობას უკვე აღარ შეეძლო შეეკრიბა ძალები, რომლებიც საჭირო იყო ამ ოპერაციის წარმატებით დასამთავრებლად. დანაკარგებმა აღმოსავლეთის ფრონტზე სისხლისაგან დასცალეს გერმანელთა დივიზიები, ვისლაზე წითელი არმიის შეტევის მოსალოდნელი საფრთხე ზღუდავდა რეზერვებით მანევრირების შესაძლებლობას.

16 დეკემბერს, გათენებისას, გერმანელთა სამმა დივიზიამ— ესესელთა მე-6, მე-5 სატანკო და მე-7 ქვეითმა დივიზიებმა განახორციელეს დარტყმა არდენში. ინგლის-ამერიკის ჯარების ზურგში გადასხმულ იქნენ მცირე საჰაერო დესანტები. ინგლის-ამერიკის სარდლობამ დაწყებული ბრძოლების პირველ დღეს ამ დარტყმას სათანადო მნიშვნელობა არ მიანიჭა. 17 დეკემბერს გერმანელთა ქვეითმა ჯარმა, რომელმაც გადალახა ამერიკელთა მე-8 კორპუსის თავდაცვის ხაზი სენ-ვიტის ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, გზა გაუწმინდა სატანკო დივიზიებს და ისინი მოკავშირეთა თავდაცვის სიღრმეში შეიჭრნენ. 19 დეკემბერს მეწინავე სატანკო ნაწილებმა უკვე ლიეჟს მიაღწიეს, ხოლო მე-5 სატანკო არმიის მთავარი ძალები მაასისაკენ მიიწევდნენ და გზაზე სერიოზულ წინააღმდეგობას არ ხვდებოდნენ.

მომდევნო დღეებში ვითარება კიდევ უფრო გართულდა. უამინდობით პარალიზებული მოკავშირეთა ავიაცია ფაქტიურად უმოქმედოდ იყო. მაგრამ მოსალოდნელი კატასტროფა ჯერ კიდევ არ იყო და არც შეიძლება მომხდარიყო...

21 დეკემბერს ეიზენჰაუერმა წერილით მიმართა შტაბების უფროსთა გაერთიანებულ კომიტეტს, რომელშიც ნათქვამი

იყო: „თუ... რუსები ფიქრობენ განახორციელონ გადამწყვეტი შეტევა ამ ან მომდევნო თვეში, ამ ფაქტს ჩემთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, მთელ ჩემს გეგმებს ამის მიხედვით გადავაკეთებდი. ხომ არ შეიძლება რაიმე გაკეთდეს ასეთი კოორდინაციის მიღწევისათვის?“ ეიზენჰაუერი წინადადებას იძლეოდა მოსკოვში გაეგზავნათ მისი შტაბის უმაღლესი ოფიცერი.

24 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რუზველტმა სტალინს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა: „იმისათვის, რომ ყველა ჩვენგანს შეეძლოს მიიღოს ჩვენი ღონისძიებების კოორდინაციისათვის ღიდმნიშვნელოვანი ინფორმაცია, მინდა მითითება მივცე გენერალ ეიზენჰაუერს, მოსკოვში გამოგზავნოს მისი შტაბის სავსებით კომპეტენტური ოფიცრები, რათა თქვენთან ერთად განხილულ იქნეს, თუ როგორ აქვს საქმე ეიზენჰაუერს დასავლეთის ფრონტზე და აღმოსავლეთის ფრონტთან ურთიერთმოქმედების საკითხი“.

ეს ოფიცერი მოსკოვმა მაშინვე მიიღო.

დეკემბრის დამლევს გერმანელთა დამკერელი დაჯგუფების მთელი ძალები ბრძოლაში ჩაება. მაგრამ ამას გადამწყვეტი გარდატეხა არ მოჰყოლია.

კვლავ თავი იჩინა სამხედრო თვალსაზრისით გერმანელთა შეტევის აშკარა ავანტიურიზმმა. საქმე ის იყო, რომ სწორედ იმ დღეებში მოხდა გააფთრებული ბრძოლები აღმოსავლეთის ფრონტზე იპელ-გრონის შუამდინარეთის (უნგრეთი) რაიონში მეორე და მესამე უკრაინის ფრონტების უბნებზე. ჩვენმა ჯარებმა წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის კონტრდარტყმები და გარს შემოერტყნენ მის დიდ დაჯგუფებას.

ჰიტლერს აღმოსავლეთის ფრონტიდან დივიზიები უნდა მოეხსნა, რათა განეკითარებინა გარღვევა არდენში, მაგრამ იგი იძულებული გახდა თავისი შეთხელებული რეზერვები უნგრეთსა და აღმოსავლეთ პრუსიაში გადმოესროლა.

1 იანვარს ფაშისტურმა რეჟიმმა მიმართა უკანასკნელ ცდას, როგორმე შეენარჩუნებინა საკუთარი სახე და დაიწყო შეტევა ელზასში.

აქაც, გამოიყენეს რა ხელსაყრელი ვითარება, რომელიც

ზღუდავდა ინგლის-ამერიკის ავიაციის მოქმედების შესაძლებლობას, ჰიტლერულმა ჯარებმა გაარღვიეს ფრონტი ვოგეზში. ამერიკელთა ჯარმა აქაც უკანდახევა დაიწყო. ინგლისს გაძლიერებულად უშენდნენ ფაუ-1 და ფაუ-2 ყუმბარებს.

5 იანვარს ფაშისტურმა ჯარებმა გადალახეს რაინი სტრასბურგის ჩრდილოეთით. ელზასში შეტევის გასავითარებლად ჰიტლერმა გადაწყვიტა არდენის შვერილიდან იქ გადაესროლა ესესელთა მე-6 სატანკო არმია.

მაგრამ ჰიტლერის ყველა ვარაუდი ამჯერადაც არ ეყრდნობოდა ძალთა რეალურ შეფარდებას.

6 იანვარს ჩერჩილმა სტალინს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო: „დასავლეთში მეტად მძიმე ბრძოლები მიმდინარეობს და უმაღლეს სარდლობას შეიძლება ყოველ წუთს მოუხდეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. თქვენ თვითონ საკუთარი გამოცდილებით იცით, რაოდენ საგანგაშოა მდგომარეობა, როდესაც გიხდება, დაიცვა ძალიან ფართო ფრონტი ინიციატივის დროებით დაკარგვის შემდეგ... დიდად მადლიერი ვიქნები, თუ შემატყობინებთ, შეიძლება თუ არა გვქონდეს იმის იმედი, რომ რუსები დაიწყებენ დიდ შეტევას ვისლის ფრონტზე ან სადმე სხვაგან იანვარში ან რომელიმე სხვა დროს, რომლის აღნიშვნასაც თქვენ ინებებთ“.

10 იანვარს მე-6 სატანკო არმიამ მიიღო ბრძანება დაძრულიყო ელზასისაკენ... მაგრამ იგი ელზასში არ მისულა...

საბჭოთა უმაღლესმა სარდლობამ არ მიატოვა მოკავშირენი განსაცდელის ჟამს.

წითელმა არმიამ მიიღო ბრძანება, დათქმულ ვადაზე ადრე დაეწყო ფართო შეტევა მთელ ფრონტზე—ბალტიის ზღვიდან კარპატებამდე. ფრონტი კვლავ ყველგან ამოძრავდა, რამაც აიძულა ჰიტლერი 16 იანვარს მთელ დასავლეთ ფრონტზე თავდაცვაზე გადასულიყო.

2

ვიდრე მოგითხრობდეთ ჩვენი ახალი შეტევის მსვლელობას, საჭიროდ მიმაჩნია ცოტა უკან დავიხიო და მოგიყვეთ მისი მომზადების ზოგიერთი მომენტის შესახებ.

უწინარეს ყოვლისა, შევეხები ცვლილებებს ფრონტის სარდლობაში.

12 ნოემბერს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა ხელი მოაწერა ბრძანებას პირველი ბელორუსიის ფრონტის სარდლად საბჭოთა კავშირის მარშლის გ. კ. ჟუკოვის დანიშვნის შესახებ. იმავე ბრძანებით საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი მეორე ბელორუსიის ფრონტის სარდლად დაინიშნა.

19 ნოემბერს კ. კ. როკოსოვსკი გამოემშვიდობა ფრონტის შტაბისა და სამმართველოთა ხელმძღვანელ შემადგენლობას. ფრონტი გ. კ. ჟუკოვმა ჩაიბარა.

გ. კ. ჟუკოვი პირველივე დღეებიდან აქტიურად ჩაება ახალი შეტევის მომზადებაში. უპირველეს ყოვლისა, მან დაათვალიერა მაგნუშევისა და პულავის პლაცდარმები და ადგილზე გაეცნო ფრონტის მთავარი ძალების შეტევაზე გადასვლის პირობებსა და შესაძლებლობებს.

ამ დროისათვის მაგნუშევის პლაცდარმაზე განუწყვეტლივ იგზავნებოდა ჯარები, ტექნიკა, იარაღი, საბრძოლო მასალები. საბრძოლო ზამბარა იკუმშებოდა და დასარტყმელად ემზადებოდა. პლაცდარმაზე ეწყობოდა მოძრავი ჰოსპიტლები, ვისლაზე ამზადებდნენ და აფართოებდნენ გადასასვლელებს. მაგნუშევის პლაცდარმაზე შეტევის წინ თავმოყრილ იქნა 23 დივიზია და 5348 ქვემეხი. გარღვევის უბანზე არტილერიის სიმჭიდროე ფრონტის ერთ კილომეტრზე 282 საარტილერიო ლულას აღწევდა, მე-8 გვარდიული არმიის გარღვევის ზოლი ფრონტით 7 კილომეტრი იყო.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ფრონტისა და არმიის ზურგის დაწესებულებათა უდიდეს მეცადინეობას მოითხოვდა. დათქმული დროისათვის მათ პლაცდარმაზე უნდა გადაესროლათ ათობით ათასი სხვადასხვა ტვირთი.

დეკემბერში ვისლაზე ყინულთსვლა დაიწყო. არმიის ნაწილებს, განსაკუთრებით საინჟინრო ნაწილებს, დიდი სიძნელენი შეხვდათ. ხიდებს ემუქრებოდათ არა მარტო წყლის ზედაპირზე მოცურავე ყინულის ლოდები. ვისლა ვერაგია: ამ მდინარეში ყინული წყლისქვეშაც მოძრაობს, თითქმის ფსკერს ეხება. ყინულის ლოდები ეჯახებოდა ხიდების ხიმინჯების საყრდენებს

და ქმნიდა უჩინარ საგუბრებს, რის გამოც ნაკადის სისწრაფე და დაწოლა კიდევ უფრო ძლიერდებოდა. წყალი შლიდა მდინარის ნაპირებს და ძირს უთხრიდა ხიმინჯებს. ხიდების დასაცავად საჭირო გახდა დაგვერაზმა ყველა საინჟინრო და საგზაო ნაწილი. თითოეულ ხიდზე გაპიროვნებულ იქნა ამფეთქებელთა სამი ასეული და თითო საგზაო ბატალიონი, შეიქმნა საარმიო რაზმები. გადასასვლელთა კომენდანტების განკარგულებაში იყო ავტომანქანები და ტრაქტორები, აგრეთვე 120-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნების თითო ბატარეა ყინულის დიდი ლოდების დასამსხვრევად.

ადამიანები ხიდზე დღე და ღამ მუშაობდნენ და შეძლეს კიდეც სტიქიის დამარცხება, შეინარჩუნეს გადასასვლელები, რომლებზეც მანქანების უწყვეტი ნაკადი მიემართებოდა.

ესოდენ მასირებულ დარტყმას, რომელიც მაგნუშევის პლაცდარმიდან მზადდებოდა, დამახასიათებელი თავისებურებანი ჰქონდა. დიდი რაოდენობის ჯარების, რამდენიმე საერთო საჯარისო და სატანკო არმიის მომარაგება დამოკიდებული იყო გადასასვლელებზე, გადასატვირთავ სადგურებზე, რკინიგზებზე, ვისლაზე ხიდების მშენებლობაზე, რკინიგზის ხაზების აღდგენაზე. ყოველივე ეს ფრონტისა და არმიის სამსახურების წინაშე აყენებდა უამრავ ურთულეს პრობლემას, პოლიტიკური ხასიათისასაც კი, რადგან წითელი არმია მეგობარი პოლონეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა.

ფრონტის ზურგის სამსახურებს თავიანთი გაჭირვება ჰქონდათ, რკინიგზელებს — თავიანთი, შეტევის ორგანიზაცია და საბრძოლო მოქმედების ლოგიკა კი ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილებების მიღებას მოითხოვდა.

არმია ამ დროს მარტო მომავალი შეტევის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით როდი იყო დაკავებული, ჩვენს წინაშე იდგა ასეთი ამოცანაც — სხვა არმიებისა და ფრონტის ინტერესებისათვის მოგვეხდინა მოწინააღმდეგის იმ ძალთა სიღრმისეული, გულდასმითი დაზვერვა, რომლებსაც სულ მალე უნდა შევებმოდით. ჩვენ კარგად ვიცოდით, რა ნაწილები იმყოფებოდა მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზზე. მაგრამ ეს არ კმაროდა. საჭირო იყო გაგვეგო, რა ნაწილებია განლაგებული

მეორე ეშელონებში, მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში. ჩვენს მზვერავებს უნდა შეეღწიათ მოწინააღმდეგის ზურგში, ხელთ ეგდოთ ტყვეები, დაეკითხათ ისინი და მათი მეშვეობით დაეზუსტებინათ საკუთარი თვალთვალით მიღებული მონაცემები.

არმიის დაზვერვის უფროსმა პოლკოვნიკმა გლადკიმ დაამუშავა ღრმა დაზვერვის მოწყობის გეგმა. მოწინააღმდეგის განლაგებაში უნდა გადაგვესროლა მზვერავთა რამდენიმე ჯგუფი, რომლებსაც წინა ხაზიდან 25-40 კილომეტრის სიღრმეში თვალყური უნდა ედევნებინათ მტრის ჯარების გადაადგილებისა და ზურგის ნაწილების მუშაობისათვის. მზვერავები მოწინააღმდეგის ზურგში უმთავრესად ფეხით, საბრძოლო პოზიციების გავლით გადადიოდნენ. მათთან კავშირი გექონდა რადიოთი და ღამით თვითმფრინაველების პო-2-ის საშუალებით.

ორთაგან პირველი ჯგუფი სერჟანტ პეტრე ბაჩეკისა და რიგითი ვასილ ბიჩკოვის შემადგენლობით, რომლებთანაც რამდენჯერმე მქონდა საუბარი, მოწინააღმდეგის ზურგში ოქტომბრის დამდეგს წავიდა. მათ წინაშე დასახული იყო ამოცანა: გადასულიყვნენ ფრონტის ხაზს ცეცილიუვკის ჩრდილოეთით, მიეღწიათ დასახლებულ პუნქტ ვარკას სამხრეთ-დასავლეთით 12 კილომეტრზე მდებარე ტყემდე და გამოერკვიათ მოწინააღმდეგის რომელი ნაწილებია იქ განლაგებული. მზვერავებს უნდა დაემახსოვრებინათ ყველა ის თავდაცვის ობიექტი, რომლებიც გზაზე შეხვდებოდათ. ყველაფერი ეს მათ სამ ღამესა და ორ დღეში უნდა მოესწროთ.

მზვერავებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ ამოცანას. გვაცნობეს, რომ ტყეში არ არის მოწინააღმდეგის არც ერთი ნაწილი. მაშინ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ამ რაიონში მოგვეწყო მზვერავთა მუდმივად მოქმედი ჯგუფი. საყრდენი პუნქტი შუაგულ ტყეში მოვაწყვეთ. ტყის პირას გავმართეთ პოზიციები, რათა თვალყური გვედევნებინა მტრის ჯარების მოძრაობისათვის გზებზე, ტყეს რომ ეკვროდა.

მზვერავთა ახალი ჯგუფი შვიდი კაცისაგან შედგებოდა. მას მეთაურობდა გამოცდილი მზვერავი ლეიტენანტი ივანე ვასილის ძე კისტაევი, რომელიც ადრე ლენინის ორდენით იყო და-

ჯილდოებული. მისმა ჯგუფმა შეუმჩნეველად შეაღწია ტყეში, შეინიღბა და წარმატებით მუშაობდა ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში. ჯგუფი არმიის შტაბს აწვდიდა პირადი თვალთვალითა და ტყვეთა დაკითხვით მიღებულ მეტად ძვირფას ცნობებს მტრის შესახებ. გამორკვეულ იქნა მტრის არტილერიის, ექვსლულიანი ნაღმსატყორცნებისა და სატანკო ნაწილების პოზიციები. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მტრის ჯარების ყოველდღიურ ცხოვრებას, მათ დღის განაწესს. ჩვენთვის ცნობილი გახდა როდის მიემართებიან ფაშისტი ჯარისკაცები სამზარეულოსაკენ, როგორ ისვენებენ, როდის ხდება საყუჩებისა და დაცვის შეცვლა. საჭირო იყო ყოველივე ეს გაგვეთვალისწინებინა უეცარი დარტყმის განხორციელების დროს.

მიწაზე მოქმედი დაზვერვისაგან მიღებული ცნობების შემოწმებისა და კონტროლისათვის ფართოდ ვიყენებდით საავიაციო დაზვერვას. ასეთი დუბლირების მეოხებით ჩვენ ხელო გვქონდა სარწმუნო მონაცემები მტრის სიმაგრეთა შესახებ, თავდაცვის სიღრმეში მყოფი მისი რეზერვების, ქვეითი და სატანკო დივიზიების განლაგებისა და შემადგენლობის შესახებ. კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ჩვენმა საარმიო დაზვერვამ კარგად შეასრულა თავისი ამოცანა. მის მიერ მოპოვებულმა ცნობებმა ფრონტის შტაბისა და მეზობელი არმიების შტაბების მაღალი შეფასება დაიმსახურეს. როგორც არმიის გენერალი ს. მ. შტემენკო თავის ნაშრომში „გენერალური შტაბი ომის წლებში" წერს, „საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე შეიარაღებული ბრძოლის დამამთავრებელი ეტაპის დაგეგმვა ჯერ კიდევ 1944 წლის ზაფხულ-შემოდგომის კამპანიის მსვლელობაში დაიწყო".

ამავე მონაცემებით და თანდართული სქემის მიხედვით გენერალური შტაბი ჯერ კიდევ 1944 წლის შემოდგომაზე გეგმავდა ბერლინის აღების ოპერაციას.

„ნავარაუდევი იყო, რომ ამის მიღწევა შეიძლებოდა 600-700 კილომეტრ სიღრმეზე გაშლილი შეტევითი მოქმედების 45 დღის განმავლობაში, ორი თანმიმდევრული დარტყმით (ეტაპებით), ოპერატიული პაუზის გარეშე". პირველ ეტაპს, როგორც ეს სქემაზეა ნაჩვენები, ეთმობოდა 15 დღე — ჯარები გამოდი-

ან მარიენბურგ-ბრომბერგ-პოზნან-ბრესლაუს მიჯნაზე; მეორე ეტაპი უნდა განხორციელებულიყო 30 დღეში — ჯარები უნდა გასულიყვნენ მდინარე ელბაზე და დაუფლებოდნენ ბერლინს.

ომის დამამთავრებელი ეტაპის ეს გეგმა საბოლოოდ დაზუსტდა და დამტკიცდა 1944 წლის დეკემბრის დამლევს. ამ გეგმის შესრულება ეყრდნობოდა ფრონტების მჭიდრო ურთიერთმოქმედებას უმაღლესი მთავარსარდლის ბანაკის ხელმძღვანელობით.

მთავარი დარტყმა უნდა განეხორციელებინათ პირველი და მეორე ბელორუსიის და პირველი უკრაინის ფრონტის ჯარებს იმ ანგარიშით, რომ ამ ფრონტების თანმიმდევრული დარტყმებით რამდენიმე უბანზე გაგვერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა, გარღვევის ადგილებში შეგვეყვანა სატანკო შენაერთები და გაერთიანებები, არ დაგვეშვა, რომ მოწინააღმდეგის ძალებს გეგმაზომიერად დაეხიათ სიღრმეში თავდაცვის მომდევნო ზღუდეებზე და ცალ-ცალკე გაგვენადგურებინა ისინი. ჩვენ მბედველობაში გვქონდა, რომ ვისლასა და ოდერს შორის იყო შვიდი თავდაცვითი ზღუდე მძლავრი საფორტიფიკაციო ნაგებობებით, ამიტომ ოპერაციის გეგმა ითვალისწინებდა ჩვენი სატანკო და მექანიზებული ნაწილების გასვლას ამ ზღუდეებზე, სანამ მათ მოწინააღმდეგის ჯარები დაიკავებდნენ.

ბერლინის სტრატეგიული მიმართულებით მოქმედი ფრონტების ოპერაციათა წარმატება უზრუნველყოფილი იყო იმით, რომ მოწინააღმდეგესთან შედარებით ძალებისა და საბრძოლო ტექნიკის დიდი უპირატესობა გვქონდა.

მარტო ორი ფრონტის — პირველი ბელორუსიისა და პირველი უკრაინის ფრონტების შემადგენლობაში იყო ორ მილიონზე მეტი კაცი, დაახლოებით 35 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, დაახლოებით 6,5 ათასი ტანკი და თვითმავალი საartილერიო დანადგარი და დაახლოებით 4,8 ათასი საბრძოლო თვითმფრინავი.

მტერს მეორე და პირველი ბელორუსიის და პირველი უკრაინის ფრონტების წინააღმდეგ მდინარე ნარევსა და მდინარე ვისლაზე პირველ ეშელონში ჰყავდა ოთხი არმია (2, 9, 17 საველე და მე-4 სატანკო არმიები).

ჰიტლერი უკვე 1945 წელს ელოდებოდა ჩვენს მთავარ დარტყმას ვისლა-ვარშავა-პოზნან-ბერლინის მიმართულებით.

მაგრამ დავუბრუნდეთ მაგნუშევის პლაცდარმს.

შეტევის ვადების მოახლოებასთან ერთად პლაცდარმზე სულ უფრო მეტი სიმჭიდროვე იქმნებოდა. აქ თავმოყრილი იყო სამი საერთო-საჯარისო არმია: მე-8 გვარდიული, მე-5 დამკვრელი, 61-ე არმიები, ორი სატანკო—პირველი და მე-2 გვარდიული არმიები. ამას ფრონტის მეორე ეშელონის ერთი საერთო-საჯარისო არმია ემატებოდა. ამ მძლავრ ტარანს სამხრეთიდან ვარშავის შემოვლით უნდა დაერტყა რავა-მაზოვეცკასა, სკერნევიცესა და ლოვიჩისათვის. ამ დარტყმით მთელი ვარშავის დაჯგუფება მოწყვეტილი აღმოჩნდებოდა ღრმა ზურგს, ხოლო მის კომუნიკაციებზე გავიდოდნენ სატანკო არმიები.

ფრონტს მეორე დარტყმა უნდა განეხორციელებინა პულავის რაიონის პლაცდარმიდან რადომისა და ტომუშავ-მაზოვეცკის მიმართულებით. იქ მოქმედებდნენ ორი სატანკო და ერთი საკავალერიო კორპუსით გაძლიერებული 69-ე და 33-ე არმიები. მაგნუშევის პლაცდარმის ჩრდილოეთით მდინარე ვისლაზე ფრონტი ეჭირათ პოლონეთის პირველ არმიას და 47-ე არმიას.

ამ ოპერაციით გათვალისწინებული იყო მოწინააღმდეგის ძალების სრული განადგურება, მაგრამ ეს ისე უნდა გაკეთებულიყო, რომ დანგრეისაგან გადაგვერჩინა ვარშავა და პოლონეთის სხვა ქალაქები.

საბჭოთა კავშირის მარშალმა გ. კ. ჟუკოვმა ოპერაციის დეტალური დამუშავებისათვის სედლეცში მოიწვია თათბირი, რომელზედაც გამოიძახეს არმიების ყველა სარდალი, სამხედრო საბჭოების წევრები და შტაბების უფროსები, აგრეთვე ცალკეული კორპუსების მეთაურები. ფრონტის შტაბის უფროსმა გენერალმა მ. ს. მალინინმა მოკლედ მოახსენა თათბირის მონაწილეებს მომავალი ოპერაციის, უფრო ზუსტად, მისი პირველი ეტაპის მიზანი. შეტევის ტემპი ასე იყო დაგეგმილი: შეტევის დაწყებიდან 10-12 დღის შემდეგ ჩვენი ჯარები უნდა გასულიყვნენ პეტრკუვეკ-ჟიხლინ-ლოძის მიჯნაზე, შემდეგ კი განევითარებინათ შეტევა პოზნანის მიმართულებით.

ეს გეგმა ითვალისწინებდა შეტევის მხოლოდ 10-12 დღის ამოცანებს. დათქმული მიჯნების მიღწევისათვის ჩვენს ჯარებს უნდა გაევლოთ 150-180 კილომეტრი, ე. ი. წინსვლის ტემპი უნდა ყოფილიყო 15-18 კილომეტრი დღე-ღამეში.

პირველი და მეორე ბელორუსიისა და პირველი უკრაინის ფრონტების მოქმედებას, რომლებიც ახორციელებდნენ ღრმა, პირდაპირ და გამკვეთ დარტყმებს, ავსებდა სხვა, არანაკლებ საინტერესო ოპერაციები. მაგალითად, მარჯვნივ ი. დ. ჩერნიახოვსკის სარდლობით მოქმედი მესამე ბელორუსიის ფრონტის ჯარები აღმოსავლეთიდან უტევდნენ „ცენტრის“ არმიათა ჯგუფს აღმოსავლეთ პრუსიაში. მარცხნივ მეოთხე უკრაინის ფრონტი შეტევას ავითარებდა კოშიცეს მიმართულებით. გეოგრაფიული მდგომარეობის, ოპერატიული ვითარებისა და მოწინააღმდეგეთა ამოცანების მიხედვით ოპერაცია აღმოსავლეთ პრუსიაში ბევრ რამეში ჰგავს 1914 წლის ოპერაციას. მაშინ რენენკამპფის სარდლობით მოქმედ რუსეთის პირველ არმიასა და სამსონოვის მეორე არმიას ალყაში უნდა მოექციათ და გაენადგურებინათ გერმანელთა ჯარები (მე-8 არმია), რომლებსაც ჰინდერბურგი და მისი შტაბის უფროსი ლუდენდორფი მეთაურობდნენ. რუსეთის არმიების შემოტევის გამო გერმანელები იძულებული გახდნენ საფრანგეთიდან გადმოესროლათ რამდენიმე კორპუსი იმ მომენტში, როდესაც მდინარე მარნაზე გაჩაღდა საფრანგეთისათვის ყველაზე კრიზისული ბრძოლა. ფრანგებმა ამით ისარგებლეს, შეაჩერეს გერმანელთა შემოტევა და ამნაირად იხსნეს თავიანთი სახელმწიფო. სამსონოვისა და რენენკამპფის არმიებს მჭიდრო ურთიერთმოქმედება რომ განეხორციელებინათ, მაშინ გერმანელები განადგურებას ვერ გადაურჩებოდნენ აღმოსავლეთ პრუსიაშიც. მაგრამ ეს არ მოხდა. მეფის გენერლების არაორგანიზებულობისა და უნიჭობის გამო განადგურებული აღმოჩნდნენ არა გერმანელები, არამედ რუსეთის მეორე არმია, ამან კი ისეთი სახელი მოუპოვა ჰინდერბურგსა და ლუდენდორფს, რომ ისინი გერმანიის შეიარაღებული ძალების სათავეში დააყენეს.

ჩვენ კი მტკიცედ ვიყავით დარწმუნებული, რომ პირველი ბელორუსიის ფრონტის მარჯვენა ფლანგი კარგად იქნებოდა

უზრუნველყოფილი საბჭოთა ჯარების წარმატებითი მოქმედებით აღმოსავლეთ პრუსიაში.

ასევე გულდაჯერებული ვიყავით მარცხენა ფლანგიხ მდგომარეობით. იქ, პირველი უკრაინის ფრონტის მარჯვნივ, მოქმედებდნენ მეოთხე უკრაინის ფრონტის ჯარები ნიჟიერი მხედართმთავრის ი. ე. პეტროვის მეთაურობით, რომლებიც მტრისაგან წმენდნენ კარპატებს.

ფრონტის შტაბის უფროსის მოკლე ინფორმაციის შემდეგ მარშალმა ჟუკოვმა დაწვრილებით გამოგვკითხა, თუ რა ვითარება იყო და რას ვფიქრობდით მომავალი ოპერაციის შესახებ. პირველად იმ გენერლებს შეეკითხა, რომელთა ჯარებმაც ხელთ იგდეს პლაცდარმები და იქ დამკვიდრდნენ. პირველი მე მომიწია გამოსელა.

ჩემი მოხსენება ოცდაათ წუთს გაგრძელდა. მე მოვახსენე მოწინააღმდეგის, მისი ჯარებისა და თავდაცვითი ნაგებობების, რეზერვების რაოდენობისა და მათი განლაგების შესახებ. გამოვთქვი აზრი, რომ მოწინააღმდეგის რეზერვების განლაგების გათვალისწინებით, მოსალოდნელია მათი სატანკო და ქვეითი დივიზიების ძლიერი კონტრშეტევა და კოხტრდარტყმა თავდაცვის სიღრმიდან. მათ მოსაგერიებლად ჩვენ უნდა გვქონდეს ტანკსაწინააღმდეგო და საერთო-საჯარისო რეზერვები, საჭირო იქნება აგრეთვე ავიაციამ ჩაშალოს მოწინააღმდეგის მოძრავი ოპერატიული რეზერვების მანევრები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ჯარები ხანგრძლივი დროის მანძილზე დგანან მოწინააღმდეგის თავდაცვის პირისპირ, ჩვენ ზუსტად არ ვიცით მტერი რომელ პოზიციაზე გამართავს გადამწყვეტ ბრძოლას. გამოვთქვი ვარაუდი, რომ მტერი გააფთრებით არ იბრძოლებს თავისი პირველი პოზიციისათვის, რომელიც ჩვენ კარგად შევისწავლეთ. მტერი იცნობს ჩვენი არტილერიის ძალას. იგი პირველ პოზიციას გამოიყენებს როგორც მთავარი თავდაცვითი ზღუდის საფარს.

აქედან გამომდინარე, მე შევთავაზე შეტევის იგივე ვარიანტი, რომელმაც კარგად გაამართლა კოველის ოპერაციაში. დავიწყოთ სადაზვერვო ბრძოლით, მაგრამ ახლა დაზვერვის ეშელონის თითოეული მსროლელი ბატალიონი აღიჭურვოს გაძ-

ლიერების საშუალებებით — ტანკების ასეულით ანდა თვითმავალი ქვემეხების ბატალიონით.

დარწმუნებული ვიყავი, რომ დაზვერვის ეშელონი დაიკავებდა პირველ პოზიციას, რადგან მას მოწინააღმდეგის სუსტი ძალები იცავდნენ, მეორე პოზიციაზე კი შევხვდებოდით ძირითად წინააღმდეგობას და ამიტომ უნდა შეგვეტია მთავარი ძალების პირველი ეშელონით.

ჩვენ შევისწავლეთ მოწინააღმდეგის პირველი პოზიციის რეჟიმი. ღამ-ღამობით ჰიტლერელები პირველ ტრანშეაში მეტ ძალებსა და საცეცხლე საშუალებებს უყრიდნენ თავს, ვიდრე სხვა დროს, დილაობით კი, მოსკოვის დროით 10 საათისათვის, ზედმეტი ადამიანები გაჰყავდათ უკანა ხაზზე და პირველ ტრანშეაში სტოვებდნენ მხოლოდ მეთვალთვალეებსა და მორიგე ქვეგანაყოფებს. ამიტომ წინადადება წამოვაყენე ჩვენი ოცდახუთწუთიანი საარტილერიო მომზადება დაგვეწყო არა უგვიანეს 9 საათისა, რათა პირველივე საცეცხლე დარტყმით მივწვდომოდით მტრის ჯარისკაცებს და არ მიგვეცა მათთვის ზურგში წასვლის საშუალება. სიბნელეში შეტევისა ჩვენ არ გვეშინოდა. მტრის პირველი პოზიცია კარგად ჰქონდათ შესწავლილი ქვეით ჯარსა და არტილერისტებს, მზვერავთა ბატალიონებს კი არ უნდა დაეკარგათ ორიენტირება და შეტევის მიმართულება. მეორე პოზიციისათვის უნდა შეგვეტია ერთნახევარიორი საათის შემდეგ, როცა მთლად გათენდებოდა, რათა არტილერიასა და ავიაციას არ დაეშვათ შეცდომები მიზნის შერჩევაში, ხოლო შეტევაზე გადასულ ნაწილებს არ შეშლოდათ თავიანთი მიმართულებები და ერთმანეთში არ არეულიყვნენ.

ჩვენი მზადებისათვის მოწინააღმდეგის ყურადღება რომ არ მიგვეპყრო, წინადადება წამოვაყენე შეგვედგინა საწყის პოზიციებზე ძალებისა და საშუალებების თანდათანობით თავმოყრის გეგმა. ადამიანთა და ტექნიკის გადაადგილება საჭიროა განხორციელდეს მხოლოდ ღამით და ისეთი პროპორციით, რომ დილისათვის ყველაფერი დაფარული და შენიღბული იყოს. ტრანშეებში მყოფმა ჯარის ნაწილებმა მტრის დასანახად დღისით გაძლიერებით უნდა აწარმოონ მიწის სამუშაოები: მტერი

ოფიქრებს, რომ შეტევისათვის კი არ ვემზადებით, არამედ მტკიცე თავდაცვისათვის, რადგან ადამიანთა და ტექნიკის ჩვენი რესურსები უკვე გამოფიტულია. შევეცდებით ფართოდ გამოვიყენოთ ფართო მაუწყებლობის ხმამაღლა მოლაპარაკე რადიოდანადგარები: დაე, პოზიციებზე ქუხდეს მუსიკა, ამხიარულებდეს ჩვენს მებრძოლებს და ადუნებდეს მოწინააღმდეგის სიფხიზლეს.

ყველა ეს წინადადება მოწონებულ იქნა. ფრონტის შტაბმა არმიებს წერილობითი ბრძანება არ მისცა, ყველა განკარგულება უაღრესად გასაიდუმლოებული იყო. ფრონტის სარდალმა ბრძანების გაცემის ნაცვლად ჩაატარა სამხედრო თამაშობა რუკებზე, რომლის დროსაც დასაბუთებულ და შესწავლილ იქნა ფრონტისა და არმიების ამოცანები, აგრეთვე ზოგადად დამუშავდა საერთო-საჯარისო და სატანკო არმიების, ავიაციის, არტილერიის ურთიერთმოქმედების საკითხები.

ფრონტის ჯარების მოქმედების გათამაშებისას ერთ-ერთი მთავარი საკითხი სამხედრო ნაწილების საბრძოლო მასალებით, საწვავითა და სურსათით მომარაგება იყო. ფრონტის ზურგის უფროსმა გენერალ-ლეიტენანტმა ნ. ა. ანტიპენკომ წინადადება წამოაყენა, რომ ოპერაციისათვის დაგეგმილი მთელი მარაგი, მათ შორის 30 დღისათვის განკუთვნილი სურსათი, არმიებს მიეღოთ ფრონტის ბაზებიდან და დაეგროვებინათ პლაცდარმებზე შეტევის თავიანთ ზოლებში, ამასთან წინა ხაზთან რაც შეიძლება ახლოს.

შეტევის ოპერაციის გეგმით ფრონტი მთავარ დარტყმას წარმართავდა ფრონტის მარცხენა ფრთით მაგნუშევისა და პულავის პლაცდარმებიდან, საიდანაც შეტეევას აწარმოებდა ხუთი საერთო-საჯარისო არმია, ორი სატანკო და ორი საკავალერიო კორპუსი და ფრონტის გამაძლიერებელი ყველა საშუალება. ამ მძლავრ ტარანს სამხრეთიდან უნდა შემოეღლოთ მოწინააღმდეგის ვარშავის დაჯგუფებისათვის და დაერტყა ლოძისა და პოზნანისათვის. ჩრდილოეთით, ფრონტის მარჯვენა ფრთაზე მოწინააღმდეგის ვარშავის დაჯგუფების პირისპირ რჩებოდნენ 47-ე საერთო-საჯარისო და პოლონეთის პირველი არმიები, რომლებიც შეტევაზე გადაიდოდნენ რამდენიმე დღის შემდეგ, იმიჯ-

და მიხედვით, თუ რა წარმატებას მოიპოვებდა ფრონტის მარცხენა ფრთა.

ფრონტის ძალების ასეთი დაჯგუფება მარცხენა (სამხრეთ) ფრთაზე და დასახული ამოცანები მოითხოვდნენ რკინიგზის ხაზის მშენებლობას და კომუნიკაციების აღდგენას, უწინარეს ყოვლისა, სამხრეთ გასასვლელზე—დემბლინის, რადომის, ლოძის და პოზნანის მიმართულებით. მაგრამ საამშენებლო სარკინიგზო ნაწილების მთავარი ძალები მოქმედებდნენ ჩრდილოეთ გზაზე, ვარშავის მიმართულებით, სადაც შეტევა სუსტი ძალებით წარმოებდა.

8

სტალინისადმი გაგზავნილ მიმართვაში ჩერჩილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აქ ჩამოყალიბებული მოსაზრებანი მოკავშირეებისადმი დახმარების მიზნით საბჭოთა ჯარების შეტევაზე გადასვლის შესახებ მას „გადაუდებელ საქმედ“ მიაჩნია.

7 იანვარს სტალინმა უპასუხა ჩერჩილს, რომ წითელი არმია მზად არის დაეხმაროს მოკავშირეებს და იანვრის მეორე ნახევარში განახორციელებს ფართო შეტევას ცენტრალურ ფრონტზე ვისლიდან.

მაგნუშევის პლაცდარმიდან შეტევა 14 იანვარს უნდა დაწყებულიყო.

12 იანვარს შეტევა დაიწყო პირველი უკრაინის ფრონტის დამკვრელმა დაჯგუფებამ.

13 იანვარს მე და სხვა არმიების სარდლებმა ფრონტის შტაბს მოვახსენეთ, რომ არმიები მზად არიან ამოცანის შესასრულებლად, რომ ჩვენმა შენაერთებმა საწყისი პოზიციები დაიკავეს.

ფრონტის გეგმით მე-8 გვარდიული არმიის წინაშე დასახული იყო ამოცანა — გაერღვია მოწინააღმდეგის თავდაცვა მატილძინის და შმაელნიკის უბანზე, განეკითარებინა დარტყმა ლიპისა და ვეჭხოვინის მიმართულებით და დაუფლებოდა კალინუკ-ფრანციშკუკ-ბურტოსი-გორინის ზღუდეს. შემდგომში არმიის მთავარ ძალებს უნდა შეეტიათ საერთო მიმართულე-

ბით — ნოვე-მიასტოს, რავა-მაზოვეცკას, ეჟუვის, სტრიკუვის, ოზორკუვის მიმართულებით. შეტევის მეთორმეტე დღეს უნდა გავსულიყავით ასტახოვიცე-ძერზონენა-ზგეჟის ზღუდეზე.

ფრონტის მიერ დასახული ამოცანის მიხედვით შტაბმა სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელობით შეიმუშავა ოპერაციის საარმიო გეგმა, რომელიც დავამტკიცე 8 იანვარს. ეს გეგმა შედგენილი იყო ყველა ჩვენი შესაძლებლობის ზუსტი გათვალისწინებით და ზედმიწევნით განსაზღვრავდა მოწინააღმდეგის ძალებს.

ჩვენ უნდა გაგვეღვია საველე ტიპის ძლიერ გამაგრებული პოზიციები. ჰიტლერელთა თავდაცვის მთავარი ზოლის წინა ხაზი გადიოდა დასახლებულ პუნქტებზე — გელენუვეკზე, გელენუვზე, გენრიკუვზე, ბრონისლავუვზე, ლეჟენიცეზე, მოსტკიზე, კოზენიცეს ტყის ჩრდილოეთ მხარეზე, სვეჟე გურნეზე.

მოწინააღმდეგემ თავისი თავდაცვის სიღრმეში შექმნა შუალედური ზღუდე — მატილძინ-მუშარი-მაისკადომბროვა-პოდმისიცე-ბჟუზა. თავდაცვის მეორე პოზიცია გადიოდა კსავერნეკ ნოვ-სტანისლავიცეს ხაზზე.

მტრის რეზერვები განლაგებული იყო დობეშინის, ფრანციშკუვის, ბჟუზის რაიონებში და კოზენიცეს ჩრდილოეთით ტყეში.

ჩვენ მხედველობაში უნდა გექონოდა აგრეთვე თავდაცვის სიღრმეში განლაგებული მტრის ოპერატიული რეზერვები, რომლებიც სამ დივიზიამდე იყო, აქედან ორი სატანკო.

შეტევითი ოპერაციის საარმიო გეგმის დამუშავების დროს განსაკუთრებით ზუსტად მუშაობდა შეხმატკბილებული კოლექტივი გენერალ-მაიორ ვიტალი ანდრიას ძე ბელიავსკის ხელმძღვანელობით. სულ ცოტა ხნის წინათ, როდესაც მას გენერლის წოდება მიანიჭეს, იგი ყველაზე ახალგაზრდა გენერალი იყო არმიაში. მაგრამ დიდი გულმოდგინებით გამოირჩეოდა და დღითი დღე სრულყოფდა თავის ცოდნას. და თუ კოველვისლის ოპერაციაში იგი ფრთხილად მოქმედებდა, უკვე ვისლის გადალახვის დროს სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისას გამოავლინა საჭირო გაბედულება და სიმტკიცე. ბრწყინვალე ოპერატიული ნიჭი და შტაბის მუშაკთა და-



არმიის სარდალი ვ. ი. ჩუიკოვი ვითარებას უხსნის ოფიცრებსა და ჯარის-კაცებს მდ. ვისლის გადალახვის წინ.



აი რა დარჩა მშობლიური კერისაგან. მაგნუშევი, 1944 წლის აგვისტო.

ისინი აღმოსავლეთისაკენ მიდიოდნენ სასიცოცხლო სივრცის მოსაპოვებლად... და მიიღეს ორ-ორი მეტრი საუკუნო განსვენებისათვის.

ქ. პოზნანის მოსახლეობა ეგებება საბჭოთა ჯარებს. 1945 წ.

საზენიტო ბატარეები.
მდ. ვისლის რაიონში.

მტვრიანი გზა განვლეს,
ვისლაზე.

ვისლაზე.

13. АВГУСТА 1944 ГОДА
В ОЖЕСТОЧЕННЫХ БОЯХ НА ВИСЛЕНСКОМ
ПЛАЦДАРМЕ ГВАРДИИ КРАСНОАРМЕЕЦ
КОМСОМОЛЕЦ ПЕТР ХЛЮСТИН,
СПАСАЯ КРИТИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ, СО
СВЯЗКОЙ ПРОТИВОТАНКОВЫХ ГРАНАТ
БРОСИЛСЯ ПОД НЕМЕЦКУЮ „ПАНТЕРУ"
АТАКА НЕМЦЕВ БЫЛА ОТБИТА НА МЕСТЕ
ГИБЕЛИ ГЕРОЯ БЫЛО УСТАНОВЛЕНО
БОЕВОЕ КРАСНОЕ ЗНАМЯ И ОБОРУДОВАН
КОМАНДНЫЙ ПУНКТ ПОЛКА

გვარდიული დროშის გადაცემა.



სიტყვას ამბობს ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-ა ვ. ფ. ტოლბუხინი.

მერვე გვარდიული არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ვ. ი. ჩუიკოვი.

. ოსტროვსკის მუზეუმის
ექტორი არმიის მეომრებ-
თან.

მეომრებს კომკავშირში
იღებენ.

პოლონელები „პატივს სცე-
მენ“ ჰიტლერის პორტრეტს.
პოზნანი. 1945 წელი.

პოლონელი გენერალი როლია ჟიმერსკი.



ქ. პოზნანი.
1945 წელი.

პოლონეთის ჯარები შედიან ქ. გნეზნოში.

სასწრაფო პატაკს იღებს არმიის სარდალი ვ. ი. ჩუიკოვი.

გზებზე ჩვენი ძვირფასი ტვირთი კარია.

არტილერისტები საფილობენ.

საბჭოთა ტანკების კოლონა ქ. პოზნანში.

მეომარი-ტანკისტი.

ოდერის პლაცდარმზე.

ვ. ი. ჩუიკოვი არმიის საკომანდო პუნქტზე.

ჩვენ ერთი გზა გვაქვს — ბერლინისაკენ!

მარშალი გ. კ. ჟუკოვი მე-8 გვარდიული არმიის საკომანდო პუნქტზე.



მყვინთავი ამოწმებს
მდ. ოდერის ნაპირებს
გადასასვლელის ასაშენებლად

მესანგრეები მუშაობენ.

ბრძოლები ქ. შვერინში.

ბერლინის გარეუბანი. ქვეითი ჯარი იბრძვის ტანკების დახმარებით.



ციტადელი. სამხრეთის შესასვლელთან.

ჯავშანმატარებელი, რომელიც ჩვენმა არტილერიამ დააზიანა ქ. ზეელოვის სამხრეთით.

ხანგრძლივი საცეცხლე წერტი 720.



ფაშისტთა ოკუპაცია.
ტანკსაწინააღმდეგო თხრილი
მეზერიტცის გამაგრებული
რაიონის წინ.

ტანკსაწინააღმდეგო თხრილი
და „ურჩხულის კბილები"
ხანგრძლივი საცეცხლე
წერტების წინ.
მეზერიტცის გამაგრებული
რაიონი.

ბერლინისაკენ!

ფაშისტები ასე სტოვებდნენ ბერლინს.



მძიმე არტილერია ცეცხლს უშენს მტრის ხანგრძლივ საცეცხლე წერტებს.

დატყვევებული ჯარისკაცები.



დაზიანებული ქვემეხი.

გამარჯვების დღეს.

ბერლინის ქუჩებში.

მოსახლეობა კითხულობს ბერლინის კომენდანტის ბრძანებას.

ქალაქის მოსახლეობა ქუჩების გასაწმენდად გამოვიდა.

გამარჯვების დღეს დამხობილ რაიხსტაგთან (გ. სამსონოვის ფოტო).

დატყვევებული ფაშისტები მიჩანჩალებენ ბრანდენბურგის პიშკრის გავ-
ლით (ვ. ტემინის ფოტო).



დაჭრილ გერმანელებს სამედიცინო დახმარებას უწევენ.



ბერლინის კომენდანტი გენერალი ვაიდლინგი თავის შტაბთან ერთად კაპიტულაციის მომენტში.

გენერალი კრებსი მე-8 გვარდიული არმიის საკომანდო პუნქტთან.

მოდი, გავაბოლოთ!

ბერლინის ქუჩებში.



კაპიტულაციაზე ხელს აწერენ (ვ. ტემინის ფოტო).



არმიის სარდალი ვ. ი. ჩუიკოვი ესწრება იენაში უნივერსიტეტის გახსნას.

უნივერსიტეტის
ვახსნაზე. იენა.

ყვავილები გოეთესა და
შილერის საფლავზე.

არმიის სარდალი ვ. ი. ჩუიკოვი ოპერატიულ რუკასთან.

რაზმეის უნარი ხელს უწყობდა მის პოპულარობას არმიაში.

მან სწორი ურთიერთდამოკიდებულება დაამყარა ჯარების სახეობათა და არმიის სამსახურების სარდლებთან და უფროსებთან — არმიის ფრონტის შტაბთან, არმიის ზურგის შტაბთან.

14 იანვარს, ღამით პირველი ბელორუსიის ფრონტის ყველა შენაერთი სრულ მზადყოფნაში იყო. მაგნუშევისა და პულავის პლაცდარმიდან 10 ათასზე მეტ ქვემეხს მიზანში ჰქონდა ამოღებული მტრის სიმაგრეები. ფრონტის ერთ კილომეტრზე საშუალოდ მოდიოდა 200-250 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი და ეს უზრუნველყოფდა გარღვევის წარმატებას. პოზიციებზე თავმოყრილი იყო ათასობით ტანკი და თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, რომლებიც ყოველ წუთს მზად იყვნენ მოტორები აემუშავებინათ და ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ. აეროდრომებზე იდგა ყუმბარებით დატვირთული და ასაფრენად გამზადებული ათასობით თვითმფრინავი. ფართო მაუწყებლობის ხმამაღლა მოლაპარაკე დანადგარები კვლავინდებურად გადასცემდნენ მუსიკასა და სიმღერებს. მოწინააღმდეგისათვის შეუმჩნეველი დარჩა ჩვენი ჯარების განლაგებაში მომხდარი ცელილებები.

ჩვენ ველოდებოდით კარგ ამინდს, რათა რაც შეიძლება უკეთ გამოგვეყენებინა დაგროვილი ძალები. მესანგრეები მზვერავებთან ერთად უშუალოდ მოწინააღმდეგის სანგრების წინ აწარმოებდნენ დანაღმული ველების განაღმვას და წინასწარ ამზადებდნენ გასასვლელებს თავიანთი ტრანშეების მისასვლელებთან.

14 იანვრის ღამის მეორე ნახევრიდან მოწმენდილი ცა თანდათანობით მოიქუფრა, ჩამოწვა ნისლი. ჯანღი სულ უფრო ძლიერდებოდა და გათენებისას მთელი არემარე დაფარა. მოსკოვის დროით დილის 7 საათზე პოზიციებზე მოიტანეს სამზარეულოები და თერმოსები და ჯარისკაცებს საუზმე დაურიგეს. ადამიანებს შესანიშნავი განწყობილება ჰქონდათ, მაგრამ ნისლი იმდენად გახშირდა, რომ ათ მეტრზე თითქმის შეუძლებელი იყო რაიმეს დანახვა.

დილის 8 საათზე, მას შემდეგ, რაც მოველაპარაკე მეზობე-

ლი არმიების სარდლებს (69-ე, მე-5 დამკვრელი და 61-ე არმიები) და შეეთანხმდით, ნისლის მიუხედავად ზუსტად გეგმის მისედვით დაგვეწყო მოქმედება, მოვახსენე ფრონტის სარდალს, რომ შეტევისათვის მზად ვართ. ფრონტის სარდალმა გ. კ. ჟუკოვმა თანხმობა მოგვცა. 8 საათსა და 25 წუთზე არტილერისტებმა მიიღეს ბრძანება: „გატენეთ!", ხოლო 8 საათსა და 29 წუთზე — „დაქიმეთ ზონრები!" 8 საათსა და 30 წუთზე არმიის არტილერიის სარდალმა გენერალმა ნ. მ. პოჟარსკიმ გასცა ბრძანება: „ცეცხლი!"

ამ მომენტიდან ჯარების ცხოვრება სულ სხვა კალაპოტით წარიმართა. თუ აქამდე თითოეული ჩვენგანი ბრძოლისათვის მომზადებაზე ფიქრობდა, ამოწმებდა, ხომ არაფერი დაავიწყდა, ისე როგორც ამას აკეთებს შორეულ გზაზე დამდგარი ადამიანი, რომელსაც შეუძლია უკან დაბრუნდეს, ერთხელ კიდევ გაიაზროს ყველაფერი და მარაგი შეივსოს, ახლა, ცეცხლის გაასნის შემდეგ, როდესაც ათასობით ქვემეხის გრიალმა დედამიწა შეაზანზარა, აღარ შეიძლებოდა დაბრუნება, უკან მოხედვაც კი. ყველა ჩვენგანს მხოლოდ შეტევაზე გადასვლის სურვილი ღაუფლებოდა.

განსაკუთრებით მძიმე და სისხლისმღვრელია შეტევის პირველი ნაბიჯები. საჭიროა ძალების დიდი დაძაბვა, რომ მოწინააღმდეგის პირველ ტრანშეებს მიაღწიო და შემდეგ მისი თავდაცვის პოზიციები გაანადგურო. ამაზეა დამოკიდებული ოპერატიულ სივრცეზე გასვლა. წინსვლის მაღალი ტემპის აღება, დარტყმის ძალის განუწყვეტლივ გაძლიერება — აი, ის მთავარი, რაც აღელვებს გენერალს შეტევის დროს.

ისტორიას ახსოვს ბევრი შემთხვევა, როდესაც შეტევისათვის მზადება კვირაობით და თვეობითაც კი გრძელდებოდა, მაგრამ პირველსავე დღეს იგი სხვადასხვა მიზეზით იფუშებოდა და ჯარები ისევ ძველ ადგილას რჩებოდნენ.

1945 წლის 14 იანვრის შეტევის დროს ჩვენ ძალებისა და ტექნიკის დიდი უპირატესობა გვქონდა. ჩვენ ზუსტად ვურტყამდით, მაგრამ მაინც ყველა ჩვენგანს ესმოდა, რომ გამარჯვებას მარტოოდენ ძალების უპირატესობით ვერ მოიპოვებ. საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ფლობდე ამ უპირატესობის გა-

მოყენების უნარს. ჩვენს მებრძოლებსა და მეთაურებს ჰქონდათ ასეთი უნარი და გამოცდილება. მაგრამ მოწინააღმდეგეც ფხიზლობდა: იგი ჩვენს ხერხებს სწავლობდა, ამუშაევება კონტრღონისძიებებს, აწყობდა სხვადასხვა ხაფანგებს, ჩვენი ნაწილები იქ რომ შეეტყუებინა, სერიოზულად დაეზარალებინა და ამოცანის შესრულება ჩაეშალა.

ჩვენ რისკზე მივდიოდით. ნაცვლად იმისა, რომ საარტილერიო მომზადება 2 საათსა და 35 წუთს გაგრძელებულიყო, ისე, როგორც დაგეგმილი იყო, ჩვენი განსაკუთრებული მზვერავი ეშელონი იერიშზე გადადიოდა ოცდახუთწუთიანი საარტილერიო დარტყმის შემდეგ. ჩვენ ვვარაუდობდით, რომ მოულოდნელი დარტყმით თავზარს დავცემდით მოწინააღმდეგეს. მაგრამ ისიც შეიძლება მომხდარიყო, რომ მტერი, მიუხედავად ჩვენი სიფრთხილისა, მიმსვდარიყო ჩვენს ჩანაფიქრს, მოეხდინა ცვლილებები თავის საბრძოლო განლაგებაში და შეგვხვედროდა იქ, სადაც არ ველოდით.

დილისათვის მდინარე ვისლის მთელი ფართო ხეობა ნისლის სქელი ფენით დაიფარა. ნისლმა ჩვენი სახმელეთო და საჰაერო მეთვალთვალეები „დააბრმავა", არტილერიას შესაძლებლობა მოუსპო დამიზნებული ცეცხლი ეწარმოებინა და მთელი ძალით გამოეყენებინა თავისი უპირატესობა.

8 საათსა და 55 წუთზე არმიის მზვერავი ეშელონი ერთსულოვნად გადავიდა შეტევაზე. ქვეითი ჯარი და ტანკები წინ მიიწევდნენ და შეუჩერებლივ უშენდნენ მტერს ცეცხლს. რამდენიმე წუთში ხელთ ვიგდეთ პირველი, შემდეგ კი მეორე ტრანშეა. გათენებისას მოწინააღმდეგის მთელი პირველი პოზიცია ჩვენს ხელთ იყო. მოწინააღმდეგის სათვალთვალო და სამეთაურო პუნქტებმა არტილერიის დარტყმის შედეგად დაკარგეს მართვის უნარი. მათ ნისლის გამო არ შეეძლოთ რაიმე ეღონათ ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ როგორც კი ინათა, ჰიტლერელთა წინააღმდეგობა თანდათან გაიზარდა და ჩვენმა ნაწილებმა ეს უმალ იგრძნეს.

დაახლოებით 11 საათისათვის არტილერიის სათვალთვალო პუნქტები მეწინავე ნაწილების სიახლოვეს გადავიტანეთ და მძლავრი საცეცხლე დარტყმის შემდეგ კვლავ შევუტიეთ მეო-

რე შუალედურ პოზიციაზე გამაგრებულ მოწინააღმდეგეს. მტერმა ბრძოლაში ჩააბა თავისი რეზერვები და გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა. მტრის მე-6, 45-ე, 251-ე დივიზიების ნაწილები და მე-19 სატანკო დივიზიის ახლადგადმოსროლილი პოლკები განუწყვეტლივ გადმოდიოდნენ კონტრშეტევაზე ჩვენი მე-4 გვარდიული კორპუსის მარცხენა ფლანგის წინააღმდეგ და ცდილობდნენ არ დაეშვათ მე-8 გვარდიული და 69-ე არმიების ფლანგების შეერთება, რითაც მოწინააღმდეგის მთელი დივიზია გარშემორტყმული აღმოჩნდებოდა.

რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგის მიერ თავდაცვის სიღრმიდან გადმოყვანილ რეზერვებს ადვილად და ყველაზე უკეთ გაუსწორდებოდა ჩვენი ავიაცია, მაგრამ ამინდი ამის საშუალებას არ იძლეოდა. 14 იანვარს ჩვენს ავიაციას არც ერთი საბრძოლო გაფრენა არ მოუხდენია. ამიტომ მტრის რეზერვებთან, განსაკუთრებით სატანკო ნაწილებთან ბრძოლა არტილერიამ იტვირთა. მაგრამ არტილერიის მეტ ნაწილს არ შეეძლო ბრძოლაში ჩაბმულიყო, რადგან იგი ხშირ ნისლში ახალ პოზიციებზე გადადიოდა. ამ მანევრმა ჩვენ დღის მანძილზე რამდენიმე ძვირფასი საათი დაგვაკარგვინა. მოსაღამოვდა და მარცხენა ფლანგზე მყოფი მე-4 კორპუსის უბანზე გამართული ბრძოლა ფაქტიურად მტრის მეორე და მესამე პოზიციებს შორის შეწყდა.

მარჯვენა ფლანგზე 28-ე გვარდიული კორპუსის ნაწილებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვითი პოზიციები და ხელთ იგდეს სტრომეც-პოდლესი. ღამისათვის დასახულ იქნა ამოცანა — წინ წაგვეწია მეორე ეშელონები, არტილერია, მოგვეტანა საომარი მასალები, ადამიანებისათვის მიგვეცა ცხელი კერძი და დაგვესვენებინა. გათენებისას კი, მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ, კვლავ შეტევაზე გადავსულიყავით, რათა დღის მიწურულს გაგვერღვია მტრის თავდაცვა მთელ სიღრმეზე და გზა გაგვეხსნა პირველი გვარდიული სატანკო არმიისათვის, რომელიც ვარკა-რადომის რკინიგზის ხაზის მხრიდან მოქმედებდა.

ჩვენ დიდძალი საომარი მასალა დავზოგეთ იმის გამო, რომ შევამცირეთ საარტილერიო მომზადების დრო. ეს საშუალებას გვაძლევდა ოპერაციის მეორე დღეს მძლავრი საცეცხლე დარ-

ტყმები მიგვეყენებინა მოწინააღმდეგის დაზვერილი ჯგუფებისათვის და ამით უზრუნველგვეყო ჩვენი ნაწილების შეტევა.

ცალკე ბრძანებებით დასახული იქნა დაზუსტებული ამოცანები: 28-ე გვარდიული მსროლელი კორპუსი უნდა დაუფლებოდა ბელობჟეგი-სეკლიუკის ზღუდეს, 29-ე კორპუსი — სეკლიუკ-ედლიანკას ზღუდეს, მე-4 კორპუსი—ელდიანკა მ. ედლინსკის ზღუდეს; არმიის სატანკო ჯგუფს უნდა ემოქმედა მე-4 გვარდიულ მსროლელ კორპუსთან ერთად და რადომთან შეერთებოდა 69-ე არმიის ნაწილებს.

გვახარებდა, რომ ჩვენმა მეზობლებმა — მე-5 დამკერკლმა და 69-ე არმიებმაც შეასრულეს იმ დღისათვის დასახული თავიანთი ამოცანები და ჩვენთან ერთად წინ მიიწევდნენ.

თუმცა იანვრის დღე მოკლეა, მაგრამ ჯარები მაინც ძალიან დაიღალნენ, უმთავრესად მორალური დაძაბულობისაგან, რომელიც ყოველთვის თან ახლავს ბრძოლის პირველ დღეს...

15 იანვარს, გამთენიისას დაიწყო ძლიერი ორმოცწუთიანი საარტილერიო მომზადება, ხოლო 9 საათზე ჩვენმა ჯარებმა კვლავ წინსვლა განაგრძეს. მოწინააღმდეგემ ღამით ისარგებლა, რეზერვები გადმოისროლა და შეავსო თავისი საბრძოლო რიგები მესამე პოზიციაზე. პილიცისა და რადომკის შუამდინარეთში ბრძოლაში ჩაება მე-19 და 25-ე სატანკო დივიზიები. მაგრამ ჩვენმა საარტილერიო დარტყამმ და ქვეითი ჯარისა და ტანკების შეთანხმებულმა მოქმედებამ გატეხეს მტრის წინააღმდეგობა. მან მესამე პოზიციიდან დაიწყო უკანდახევა ვარკარადომის რკინიგზის ხაზისაკენ. მტრის დევნას, აგრეთვე არტილერიის გადაადგილებას დაახლოებით სამი საათი მოვანდომეთ.

ნაშუადღევს ჩვენმა ჯარებმა შეუტიეს მტრის მიერ დაკავებული რკინიგზის ხაზის ყრილს. რა დიდ დახმარებას გაგვიწევდა ამ მომენტში საავიაციო დარტყმები, მაგრამ ნისლის გამო ჩვენს თვითმფრინავებს კვლავინდებურად არ შეეძლოთ აეროდრომებიდან აფრენა.

15 იანვარს დილით ტელეფონით ველაპარაკე მე-5 დამკერელი და 69-ე არმიების სარდლებს (მათი შეტევაც ასევე წარმატებით ვითარდებოდა), შექმნილი ვითარებისა და საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ მოვახსენე ფრონტის სარ-

დალს და სამხედრო საბჭოს წევრთან გენერალ ა. მ. პრონინთან ერთად ოფიცერთა თანხლებით გავემგზავრე წინა ხაზზე, მე-4 გვარდიული მსროლელი კორპუსის დივიზიების განლაგებაში.

ჩვენ მივდიოდით ნისლში, მანქანებით ჩახერგილი გზებით. ძლივს მივიკვლევდით გზას სოფელ იგნაცუვკასაკენ, სადაც გენერალ-ლეიტენანტ გლაზუნოვის სამეთაურო პუნქტი იმყოფებოდა. მან მოგვახსენა, რომ ყველაზე მეტ წარმატებას 47-ე დივიზიამ მიაღწია. ამ დივიზიას მეთაურობდა ვასილ მინას ძე შუგაევი. ეს იყო მტკიცე ნებისყოფის, ინიციატივიანი გენერალი, რომელსაც თავისი სიმამაცით ყველა აღტაცებაში მოჰყავდა. მან ბრძოლით გამოიარა მთელი უკრაინა. იგი არა ერთხელ მონაწილეობდა შეტევაში მებრძოლებთან ერთად. შუგაევი იმყოფებოდა საბრძოლო მოქმედების ცენტრში, თავის სათვალთვალო პუნქტში რკინიგზის ხაზის მახლობლად.

გადაეწყვიტე მომენახულებინა იგი. გზაში გენერალმა გლაზუნოვმა მიჩვენა 12 სრულ წესრიგში მყოფი გერმანული ექვსლულიანი ნაღმსატყორცნი, რომლებიც ხელთ ეგდოთ ამ სოფელში. ისინი იდგნენ საბრძოლო პოზიციებზე და ლულები აღმოსავლეთისაკენ მიემართათ. იქვე გვერდით ყუმბარების გროვა იდგა. მოწინააღმდეგეს ერთხელაც კი არ გაუსვრია ამ ნაღმსატყორცნებიდან. ვერ მოასწრო. ჩვენმა უეცარმა იერიშმა ისე აუბნია თავგზა ფაშისტებს, რომ მათ ყველაფერი მიატოვეს, ნაღმსატყორცნების აფეთქებაც კი ვერ მოასწრეს.

შუგაევის სამეთაურო პუნქტიდან თვალს ვადევნებდით დივიზიის იერიშს, რომლის საბრძოლო წყობანი სოფელ ულშოვის ჩრდილოეთით მდებარე სიმაღლეზე ადიოდნენ. დავრწმუნდით, რომ შეტევა წარმატებით ვითარდებოდა და სოფელ ლუკავას გავლით გავსწიეთ ჩრდილოეთით ჩარნი ლუგისკენ. აქ შევხვდით არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სარდალს გენერალ მ. გ. ვაინრუბს. იგი სათავეში ედგა სატანკო ჯგუფს და 29-ე კორპუსის მსროლელი ნაწილების მეთაურებთან ერთად ხელმძღვანელობდა რკინიგზის ხაზისათვის გაშლილ ბრძოლას, აწესრიგებდა ტანკებისა და ქვეითი ჯარების ურთიერთმოქმედებას.

სადგურის შენობასა და მიმდებარე ტყის მასივში თავშეფა-

რებული მოწინააღმდეგე გააფთრებულ წინააღმდეგობას გვ-
წევდა. მისი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებისა და ტყეიამფრქვე-
ვების ცეცხლი გზას უღობავდა ჩვენს ნაწილებს. მსროლელი
პოლკების გაშლილი საბრძოლო წყობისა და გენერალ ვაინრუ-
ბის ტანკების უკან იდგნენ პირველი გვარდიული სატანკო არ-
მიის კოლონები. ეს იყო გენერალ მ. ე. კატუკოვის არმიის სა-
ტანკო ნაწილების ავანგარდი. ისინი ელოდნენ, როდის გაიწმინ-
დებოდა გარღვევის ადგილი. საჭირო იყო მოწინააღმდეგის
განდევნა რკინიგზის ხაზიდან და მაშინ ოპერატიულ სივრცეზე
გაჭრილი სატანკო არმია გაარღვევდა მის ფრონტს. ერთი ძლი-
ერი საცეცხლე დარტყმა, შემდეგ ქვეითი ჯარისა და ტანკების
წინ გაჭრა და ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდებოდა.
მზე უკვე ჩადიოდა. დაბინდებამდე დაახლოებით ერთი საათი
რჩებოდა. ამ ერთი საათის განმავლობაში ყველა ღონე უნდა
გვეხმარა და გაგვენადგურებინა მტრის საყრდენი პუნქტი. ჩვენ-
და საბედნიეროდ, სოფელი ჩარნი ლუგის სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთით ტყის პირას მანქანების კოლონა გამოჩნდა. როცა ყუ-
რადღებით დავაკვირდით, „კატიუშები" შევიცანით.

ეს იყო ახალი რეაქტიული ნაღმსატყორცნების მთელი ბრი-
გადა — 36 გატენილი და სროლისათვის გამზადებული გასაშ-
ვები დანადგარი. ბრიგადის მეთაურს იქვე მივეცი დავალება და
20 წუთის შემდეგ ისეთი სიძლიერის ბათქი იქნა მიცემული,
რომ ცოცხლად გადარჩენილი ჰიტლერელები კარგა ხანს გონს
ვერ მოვიდნენ. ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს. კიდევ ოცი წუ-
თი და დაძლიეს მტრის შესუსტებული წინააღმდეგობა და რკი-
ნიგზის ხაზის იქით გადავიდნენ. მათ მიჰყვნენ პირველი გვარ-
დიული სატანკო არმიის მეწინავე კოლონები.

ამით დამთავრდა ტაქტიკური თავდაცვის გარღვევა მთელ
სიღრმეზე. არმიამ დათქმულ ვადაში შეასრულა პირველი საბ-
რძოლო დავალება. პირველ გვარდიულ სატანკო არმიასთან ერ-
თად იგი ოპერატიულ სივრცეზე გავიდა.

ასეთ წუთებში გავიწყდება დაღლილობა, გავიწყდება, რომ
იყო უწესრიგობა, შეგხვდა წყენაც, რასაც სულ ახლახან წო-
ნასწორობიდან გამოჰყავდი. ასეთ წუთებში ადამიანს გამარ-
ჯვების სიხარული გეუფლება.

მინდა სწრაფად დავბრუნდე უკან, სამეთაურო პუნქტში, შევხვდე თანამებრძოლ მეგობრებს, რომლებთანაც ერთად დღე და ღამე ვამზადებდით ოპერაციას. გზაში მეწინავე ხაზზე მიმავალი რეზერვის ნაწილების კოლონები მხვდებიან. მთვარის შუქზე ვხედავ მხიარულ, სახეგაღიმებულ ადამიანებს. „ჯარისკაცის მაცნემ“ უკვე გადასცა, რომ გარღვევა განხორციელდა, რომ გადაიდგა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გამარჯვების მოსაპოვებლად.

სამეთაურო პუნქტიდან დავუკავშირდი ფრონტის შტაბს. ყველაფერი წვრილად მოვახსენე და ბრძოლის შედეგებზე ვუთხარი. ყურმილში მესმის მხიარული ხმები. მეკავშირეებს თვალები გაბრწყინებიათ და გაფაციცებით იჭერენ ყოველ სიტყვას.

მოხსენება დავამთავრე. შეკითხვები არ არის. ყველაფერი სათელია.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისმის ზარის ხმა. ტელეფონთან მეხოვს მე-2 გვარდიული სატანკო არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ს. ი. ბოგდანოვი. ჩვენ ერთმანეთს დავშორდით ლიუბლინში, სადაც სიმონ ილიას ძე მძიმედ დაიჭრა. ეგი მწყობრში დაბრუნებულა.

ბოგდანოვმა წარმატება მომილოცა, მეც გამოჯანმრთელება მოეულოცე. მან მისურვა ერთმანეთს შევხვედროდით ახალ ზღუდეებზე, მითხრა, რომ ახლა ტოვებს სამეთაურო პუნქტს და ტანკებით ოპერატიულ სივრცეზე გადის. მას ბევრი საზრუნავი აქვს, მაგრამ არ დაავიწყდა დაერეკა ჩემთვის, გამომშვიდობებოდა და წარმატება ესურვებინა. გულის სიღრმემდე მწვდება მებრძოლი მეგობრის ასეთი ყურადღება.

პირველი გვარდიული სატანკო არმიის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი მიხეილ ეფრემის ძე კატუკოვი ამ დროს ჩემი სამეთაურო პუნქტის მეზობლად ბლინდაჟში იმყოფებოდა. მას მაშინ შევხვდი, როდესაც წასასვლელად ემზადებოდა. მიხეილ ეფრემის ძეს ახალი კიტელი ეცვა, გაეკეთებინა ყველა მედალი და ორდენი, თითქოს ბრძოლაში კი არა, პარადზე მიდიოდა. ხელს ვართმევ, წარმატებას ვუსურვებ!

ჩვენმა ჯარებმა შესაძლებლობა მიიღეს სწრაფად წასულიყვნენ წინ და არაფრის შიში არ ჰქონოდათ. დიდი მნიშვნელობა

ენიჭებოდა იმას, რომ სწორად მოგვეწყო საწვავის, საბრძოლო მასალებისა და სურსათის მიწოდება. სამხედრო საბჭოზე გამოვიძახეთ არმიის ზურგის უფროსი გენერალ-მაიორი პოკაზნიკოვი, ზურგის შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ბროდსკი, საარტილერიო მომარაგების უფროსი პოლკოვნიკი ბუკარევი, საწვავ-საცხები მასალების განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი აკიმოვი, სასურსათო მომარაგების უფროსი პოლკოვნიკი სპასოვი, სამედიცინო სამსახურის უფროსი პოლკოვნიკი ბოიკო. მაო გავაცანით შექმნილი მდგომარეობა და შემდგომი მოქმედების სავარაუდო ხასიათი, წინადადება მივეცით შეემუშავებინათ ყველა საჭირო საგნით, პირველ რიგში საწვავით, საბრძოლო მასალებითა და მედიკამენტებით ჯარების მომარაგების გეგმაგრაფიკი.

შენაერთებს დაეგზავნათ კონკრეტული საბრძოლო ბრძანებანი, რომელთა მიხედვით ჩვენ ყოველდღიურად უნდა გაგვევლო 25-30 კილომეტრი. როგორც ვფიქრობდი, შეტევის ტემპი საგრძნობლად უსწრებდა წინ დადგენილ ვადებს.

ბრძოლა მიმდინარეობდა სამი დღე-ღამის განმავლობაში, ისე რომ, ერთი საათიც კი არ დაგვისვენია. 16 ივნისის ღამით ყველაფერი მიწყნარდა.

ადრიან დილით არმიის მართვის პირველმა ეშელონმა წინ წაიწია, დაიკავა ახალი სამეთაურო პუნქტი, რათა ჯარებს არ მოწყვეტოდა. ვარტა-რადომის რკინიგზის ხაზთან მე და გენერლებმა პრონინმა და ბელიაესკიმ წინ გავუშვით შტაბის კოლონა და შევუხვიეთ ედლინსკში, სადაც მე-4 გვარდიული კორპუსის შტაბი იმყოფებოდა.

მოწინააღმდეგის 45-ე ქვეითი დივიზია, რომელიც 69-ე და მე-8 გვარდიულ არმიებს შორის მოქმედებდა, ამ დროისათვის ალყაში მოექცა. ჩვენი ქვეგანაყოფების მიერ ფლანგებიდან და ზურგიდან მიყენებული დარტყმების შედეგად მისმა ნაწილებმა ტყვედ დანებება დაიწყეს.

ჩემთან მოიყვანეს ორი ტყვე გერმანელი პოდპოლკოვნიკი. ერთი მათგანი გენერალური შტაბის ოფიცერი იყო.

— როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას? — შევეკითხე მე.

— თქვენი ახლანდელი შეტევა გერმანიას საბოლოო კატას-

ტროფამდე მიიყვანს, — მიპასუხა გენერალური შტაბის ოფიცერმა.

— კატასტროფა ემუქრება არა გერმანიას, არამედ ფაშიზმსა და ჰიტლერს! — დააზუსტა ა. მ. პრონინმა.

— ეს ერთი და იგივეა! — თითქმის ერთხმად თქვეს გერმანელებმა.

როცა ჩაის ვსვამდით და თან ბუტერბროდს შევექცეოდით, გერმანელები თავისუფლად გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს, რადგან აღარ ეშინოდათ, რომ მათ ლაპარაკს გესტაპოელები მოისმენდნენ. გენერალური შტაბის ოფიცერმა განაცხადა, რომ ვოლგაზე, შემდეგ კი კურსკთან დამარცხების შემდეგ ბევრ გენერალსა და ოფიცერს უკვე აღარ სწამს, რომ ომი მათი გამარჯვებით დამთავრდება. დამნაშავენი ჰიტლერი და ჰებელსი არიან: ისინი არ ცდილობდნენ კავშირი დაემყარებინათ საბჭოთა მთავრობასთან და დაედოთ მასთან ზავი ყოველგვარი პირობებით.

— რატომ ფიქრობთ, რომ საბჭოთა ხალხი, რომელმაც ბევრი უბედურება გადაიტანა ჰიტლერელთა მხეცობისაგან, ასე იოლად დათანხმდება საზავო მოლაპარაკებაზე? — ვკითხე მე.

— ზავი სჭირდება არა მარტო გერმანელებს, არამედ რუსებსაც. თქვენი მოკავშირენი სანდონი არ არიან. ჩვენ, გერმანელებს, შეგვიძლია შეთანხმება დავდოთ თქვენთან და საიმედო მეზობელი ვიყოთ, შეიძლება პირიც შევკრათ თქვენი ახლანდელი მოკავშირეების წინააღმდეგ.

— რატომ მოხდა, რომ ორმოცდაერთში გერმანელებმა დაარღვიეს ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ და თავს დაესხნენ ჩვენს მშვიდობიან ქვეყანას, რომელიც არავის ემუქრებოდა?

— საბჭოთა ქვეყნის მძლავრი ზრდა შიშს გვგვრიდა, ჩვენ გვეშინოდა, რომ პირველნი თქვენ დაგვესხმოდით თავს. ჰიტლერმა გადაწყვიტა დაესწრო თქვენთვის, რითაც დიდი შეცდომა დაუშვა. ჩვენ არ ველოდით, რომ საბჭოთა ქვეყანა ასე ძლიერია. ჩვენი გენერალური შტაბი და ჰიტლერი შეცდნენ.

საუბრიდან შეიძლებოდა გამოგვეტანა დასკვნა, რომ ჰიტლერელი ოფიცრები საღად აფასებენ ვითარებას: ისინი ჭვრე-

ტენ გარდუვალ კატასტროფას და ხსნას მხოლოდ ზავის დადებაში ხედავენ.

ედლინსკიდან სწრაფად გავწიე ბიალობჟეგში, ჩვენს მარჯვენა ფლანგზე, რათა 28-ე გვარდიული მსროლელი კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. რიჟოვი მენახა. შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა მაშჩინმა მოგვახსენა შექმნილი ვითარების შესახებ. კორპუსი წარმატებით უტევდა თავის ზოლში, 79-ე და 88-ე გვარდიული მსროლელი დივიზიების ნაწილები გავიდნენ პშიბიშევ-რედლინ-კოჟუხოვის მიჯნაზე. გვითხრეს, კორპუსის მეთაური 88-ე დივიზიაში წავიდაო. გადავწყვიტეთ დავწეოდით მას. სოფელ ბორკაში წისქვილთან პოლონელი გლეხები შეყრილიყვნენ. ისმოდა ყვირილი და ქალების მოთქმა. მანქანიდან გადმოვედით. გლეხებმა გზა დაგვითმეს. მიწაზე ესვენა ორი გვამი — ერთი ასე ორმოცდახუთი წლის მამაკაცისა და მეორე — თექვსმეტი წლის მოზარდისა. ჩვენ ქუდი მოვიხადეთ. გლეხებმაც მოგვბაძეს.

ხანშიშესული მამაკაცის მკერდი ტყვიებით იყო დაცხრილული. ჭაბუკის სახეს სამი ნატყვიარი აჩნდა.

— ვინ მოიმოქმედა ეს?

ხალხის ჯგუფი აყაყანდა. ერთ-ერთ პოლონელს ვეთხოვე, დამშვიდებით მოეთხრო, რა მოხდა. მან რუსულად მიპასუხა. ორი-სამი საათის წინ უკანდახეული ფაშისტები შეევარდნენ წისქვილში და ეცნენ ფქვილის ტომრებს. მათ სურდათ ტომრების წაღება და საზიდრების დატვირთვა. მამა-შვილი ტომრებს ჩაებღაუჭნენ და გერმანელებს არ ანებებდნენ. მაშინ ერთ-ერთმა ჰიტლერელმა ავტომატი შემართა და ტყვიების ჯერით დაცხრილა ისინი. ამ დროს ტყის პირას საბჭოთა მებრძოლები გამოჩნდნენ. ჰიტლერელები გლეხურ მარხილზე ახტნენ და თვალს მიეფარნენ.

ერთბაშად დასავლეთით კოლონა გამოჩნდა. კარგად გარჩევაც ვერ მოვასწარი, რომ პოლონელთა ჯგუფი ერთი ლანძღვა-გინებითა და წყევლა-კრულვით გაიქცა იქით. მაშინვე მივხვდით — ტყვეები იყვნენ. ჩვენს სამ მებრძოლს სერჟანტის მეთაურობით მოჰყავდა არანაკლებ ოთხმოცი გერმანელისა. საცოდავი შესახედაობისანი იყვნენ. სიცივისაგან გათოშილნი, მა-

უდის შემცველი ქსოვილისაგან შეკერილ თხელ მაზარებში, ძლივს მოათრევდნენ ფეხებს. წინ მოუძღოდათ ორი ოფიცერი, რომლებსაც თავი კარგად ეჭირათ.

ველოდით, რომ პოლონელები დაერევიან ტყვეებს და მზად ვიყავით მაშინვე ჩავრეულიყავით, რათა თვითგასამართლება არ დაგვეშვა. მაგრამ ჩვენი შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა. მამაკაცები, ქალები და მოზარდები მხოლოდ მუშტს უღერებდნენ ფაშისტებს და ლანძღავდნენ მათ.

— პსია კრევ! პსია კრევ! — ისმოდა ხალხში.

დავიძარით. თვალწინ დიდხანს გვედგა ორი დახერეტილი პოლონელი, ჭაბუკის გასისხლიანებული სახე. მე ვფიქრობდი ასობით ათას და მილიონობით რუსს, პოლონელ და ფრანგ ადამიანზე, ახალგაზრდასა და მოხუცზე, კაცსა და ქალზე, რომლებიც ჰიტლერელთა მსხვერპლნი გახდნენ.

ნაშუადღევს ჩვენ უკვე ბიალობჟეგიდან სამი კილომეტრით დაცილებულ სოფელ სუხა-შლიახეცკაში მოწყობილ არმიის სამეთაურო პუნქტში ვიყავით. ჩვენს თავზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ და უკან დაფრინავდნენ თვითმფრინავთა ჯგუფები. როგორც იქნა, დადგა საფრენი ამინდი და ჩვენი შევარდნებიც აიჭრნენ ცაში.

ნასადილევს გავშალეთ რუკები, ფანქარი და სახაზავი მოვიმარჯვეთ და გაანგარიშებას შევუდექით. შეტევა სულ უფრო სწრაფად ვითარდებოდა. ამას ხელს უწყობდნენ სატანკო არმიები, რომლებიც ოპერატიულ სივრცეზე გაიჭრნენ და სოლისებურად გაკვეთეს მტრის ჯარების ჯგუფები. დღეს ჩვენ გავიარეთ დაახლოებით 30 კილომეტრს, ხვალისთვის კი, 17 იანვრისათვის, დავგეგმავთ ორმოცკილომეტრიან ნახტომს. ჩვენ აუცილებლად გვჭირდება ასეთი ნახტომის გაკეთება. ცნობილი გახდა, რომ მოწინააღმდეგე, ალყას რომ თავი დააღწიოს, ვარშავის რაიონიდან რავა-მაზოვეცკასკენ იხევს. გზატკეცილების მსხვილი კვანძის — რავა-მაზოვეცკას ხელში ჩაგდება ფუშავდა მტრის გეგმაზომიერ უკანდახევას და შესაძლებლობას გვაძლევდა ნაწილ-ნაწილ გაგვენადგურებინა იგი.

ნათელი გახდა, რომ ახლა მთავარია სწრაფი წინსვლა. შეტევამ უკვე კოლონებით დევნის ფორმა მიიღო. ეს ჩვენგან გაძ-

ლიერებულ სიფხიზლეს მოითხოვდა. ძალებისა და საშუალებების მეტი ნაწილი მეორე ეშელონში უნდა დაგვეტოვებინა, რათა მოწინააღმდეგის რეზერვებთან შეხვედრისას შეგვძლებოლა გაგვეძლიერებინა დარტყმა სიღრმიდან. პირველი ეშელონის დივიზიებს ვუბრძანე გამოეყოთ ძლიერი მეწინავე რაზმები, რომლებსაც 20-30 კილომეტრის დაშორებით უნდა ევლოთ, ხოლო მთავარი ძალების კოლონებს 10-15 კილომეტრით წინ გაუძღვებოდნენ ავანგარდები. ჯარები ზედმეტად არ უნდა დაგვემძიმებინა დამატებული არტილერიით, მას მეორე ეშელონის კოლონებში უნდა ემოძრაცა და ყოველთვის მზად ყოფილიყო, იქ გაჩენილიყო, სადაც საჭირო გახდებოდა მძლავრი საცეცხლე დარტყმა.

საღამოთი ჩემთან მოვიდნენ ზურგის მუშაკები გენერალ-მაიორი პროკაზნიკოვის მეთაურობით. მათ წინადადება წამოაყენეს შეგვექმნა საწვავითა და საომარი მასალებით დატვირთული ას-ასი მანქანისაგან შემდგარი ორი კოლონა. ისინი იმოძრავებდნენ მთავარი მიმართულებებით და მატერიალურ რეზერვებს დახარჯავდნენ მხოლოდ არმიის სარდლის პირადი მითითებით.

სამხედრო საბჭოს წევრი გენერალი დ. პ. სემიონოვი წავიდა ფრონტის ზურგში, რათა კვლავ გადაეხედათ ამ საკითხისათვის და ისე გადაეწყვიტათ, რომ საომარი მასალების გადასროლა მაგნუშევის პლაცდარმიდან ეწარმოებინა ფრონტის ზურგს: მას ამისათვის მეტი შესაძლებლობა ჰქონდა.

17 იანვრის დილით სამხედრო საბჭოს წევრ ა. მ. პრონინთან, არტილერიის სარდალ გენერალ ნ. მ. პოჟარსკისთან და შტაბის ოფიცრებთან ერთად გავემგზავრეთ პირველი ეშელონის დივიზიებში. მდინარე პილიცას გადასასვლელთან დავეწიეთ 39-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის ნაწილებს, რომლებიც 28-ე მსროლელი კორპუსის მეორე ეშელონში იმყოფებოდნენ. ამ დივიზიის 120-ე პოლკი მისთვის დამატებული საარტილერიო დივიზიონით უკვე მდინარეზე გადადიოდა. ამ დროს სოფელ გემიონციდან ტანკების კოლონა გამოჩნდა. ოცამდე ტანკი იყო, გადასასვლელისაკენ მიემართებოდნენ. ანაზდად შევნიშნეთ, რომ ტანკების ჯავშანზე ფაშისტური

ჯვრები იყო გამოსახული. ჩვენი არტილერისტები სწრაფად გაიშალნენ საბრძოლო წყობად. ოთხასიოდე მეტრზე მოუშვეს ტანკები და ცეცხლი გახსნეს. პირველივე გასროლით ტანკების თითქმის ნახევარი დავამსხვრიეთ და დავწვით, დანარჩენებმა კი პირი იბრუნეს და სროლით დაიხიეს სოფლისაკენ. მაგრამ სოფელში უკვე შევიდა იმავე 39-ე დივიზიის 117-ე პოლკი. როგორც კი მოწინააღმდეგის ტანკები შეამჩნიეს, არტილერისტებმა მაშინვე გამართეს ქვემეხები და შემხვედრი ცეცხლი გახსნეს. საბოლოოდ მტრის სატანკო კოლონიდან სულ ორი ტანკი ღა გადარჩა. ტყვე ტანკისტებმა დაკითხვისას თქვეს, რომ ისინი 25-ე სატანკო დივიზიიდან არიან, რომელმაც სამდღიანი ბრძოლის შემდეგ კავშირი დაკარგა უმაღლეს შტაბთან და გადაწყვიტა გზა გაეკაფა პილიცის ჩრდილოეთ ნაპირისაკენ. რადგან ნოვე-მიასტოს გადასასვლელი საბჭოთა ნაწილების ხელში იყო, ფაშისტებმა გადაწყვიტეს სხვა გზით გაპრილიყვნენ, მაგრამ ცეცხლის ტომარაში მოექცნენ.

პილიცაზე გადასვლის შემდეგ დამბას ავუყევით. სამიოდე კილომეტრის შემდეგ სოფელ ვივიდნოში შევხვდით 79-ე გვარდიული დივიზიის 220-ე პოლკის მეთაურს პოლკოვნიკ მ. ს. შეიკინს, რომელსაც დივიზიის მეორე ეშელონში მყოფი თავისი პოლკი სადკოვიცისკენ მიჰყავდა. პოლკოვნიკმა მოგვახსენა, რომ 79-ე გვარდიული დივიზიის შტაბი დაწინაურდა და ახლა მოგელნიცა-ნოვე-მიასტოს გზატკეცილზე იმყოფება. ჩვენ გავუსწარით გზატკეცილზე გაჭიმულ კოლონას და მივადექ თ ღვინის ქარხანას სოფელ სტრიკუვში. თვალში გვეცა, რომ ქარხნის მუშები და სოფლის მცხოვრებნი როგორღაც უცნაურად იქცევიან: კედლებს იქით მიმალულან და შიშით იცქირებიან ერთი და იმავე მხრისაკენ. როცა დავაკვირდით, დავინახეთ გერმანელთა კოლონა. ჩვენგან ასე ნახევარი კილომეტრის დაშორებით ისინი საბრძოლო წყობად იშლებოდნენ. მაინც საიდან გაჩნდნენ ჩვენს ზურგში ჰიტლერელები? მაგრამ ფიქრისა და მკითხაობის დრო აღარ იყო. უკვე აკაკანდნენ მტრის ტყვიამფრქვევები. ცეცხლქვეშ გავაღწიეთ თავი შეიკინის პოლკისაკენ. მებრძოლები მწკრივად გაიშალნენ და ფაშისტებს ტყვიაწფრქვევების ჯერი დაახალეს. შემდეგ კი პოლკი სწრაფად გა-

იჭრა წინ და გერმანელებს სამხრეთ-დასავლეთისაკენ უკანდახევის გზა გადაუჭრა. ამ დროს იქვე ტყეში საწვავს იმარაგებდნენ პირველი გვარდიული სატანკო არმიის ტანკები. ტანკისტებმა მაშინვე მიმართეს ქვემეხები ჰიტლერელთა წინააღმდეგ და თავიანთი ცეცხლით აიძულეს იარაღი დაეყარათ და დანებებულიყვნენ. ხელთ ვიგდეთ ათას ხუთასამდე ტყვე. ისინი სხვადასხვა ნაწილებიდან იყვნენ, კავშირი ჰქონდათ დაკარგული სარდლობასთან და დასავლეთისაკენ მიემართებოდნენ. ისინი მიდიოდნენ ბრმად, ალალბედზე, ორიენტირებისა და ბრძანების გარეშე.

ნოვე-მიასტოსკენ მიმავალ გზაზე შევხვდით პირველი გვარდიული სატანკო არმიის მე-11 გვარდიული სატანკო კორპუსის მეთაურს პოლკოვნიკ ა. ხ. ბაბაჯანიანს (ამჟამად ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი). მისი ტანკისტები ღამით გადავიდნენ მდინარე პილიცაზე, ხოლო დღისით მონაწილეობა მიიღეს ვარშავისაკენ უკანდახეული მოწინააღმდეგის ნაწილების განადგურებაში. ახლა სატანკო კორპუსი 79-ე გვარდიულ მსროლელ დივიზიასთან ერთად უტევდა სადკოვიცეს. მალე შევხვდით ამ დივიზიის მეთაურს გენერალ ლეონიდ ივანეს ძე ვაგინს. მან მოგვახსენა, რომ მისი ნაწილები წარმატებით მიიწევენ წინ, ხოლო მზვერავმა რაზმებმა უკვე მიაღწიეს სადკოვიცე-ტრემბაჩევლიუბანიას მიჯნას.

გზადაგზა ვხედავდით ჩვენს, უმთავრესად ზურგის ნაწილების მებრძოლებსა და ოფიცრებს როგორ გამოჰყავდათ სოფლებიდან და ხუტორებიდან ტყვე ჰიტლერელები. როცა ვისლის ნაპირებიდან დაიხიეს, გერმანელ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს იმედი ჰქონდათ, რომ სულს მოითქვამდნენ თავიანთი დივიზიების ზურგში, მაგრამ იქ უკვე საბჭოთა ნაწილების ზურგი — ალალები, საველე სამზარეულოები, საინდენდანტო შტაბები დახვდათ. თავგზააბნეული ჰიტლერელები მცირე ჯგუფებად დაიშალნენ — ზოგი უიარაღოდ და ზოგიც იარაღიანად. ისინი თავს აფარებდნენ საქონლის ბაკებს, თივის ზვინებს, ბუჩქნარს. როდესაც მიხვდნენ, რომ მათი მდგომარეობა უიმედო იყო, ტყვედ დანებება დაიწყეს.

ნოვე-მიასტოს აღმოსავლეთ განაპირა უბანში მდგომ პატა-

რა სახლში შევხვდით პირველი გვარდიული სატანკო არმიის სარდალს გენერალ-პოლკოვნიკ კატუკოვს, რომელიც თავისი ჯარების მონაცემებს აგროვებდა. ვითარების ურთიერთგაცნობის შემდეგ გადავწყვიტეთ ერთად წავსულიყავით რავა-მაზოვეცკას გზატკეცილით 29-ე გვარდიული მსროლელი კორპუსის ნაწილებში, რომლებიც კატუკოვის ტანკისტებთან ერთად მოქმედებდნენ. გზიდან ოდნავ მოშორებით ხუტორში შტაბის მანქანები შევნიშნეთ. შევუხვიეთ. ორსართულიანი სახლის წინ მრავალი რუსული და პოლონური ოთხთვალა, ეტლი, ფურგონი და მანქანა იდგა. შევედით სახლში. სასადილო ოთახში მაგიდას მისხდომოდა პოლონელთა დიდი კამპანია, მათ შორის ჩვენი რვა მებრძოლიც და სადილობდა. სუფრაზე ელაგა ჯარისკაცული კონსერვები, პური, ღორის ქონი, პოლონური ბიგუსი, კიტრის მწნილი და სხვა გლეხური პროდუქტები, ორი ჯარისკაცის მათარა და ორი ბოთლი „ვიბორნული".

— გამარჯობათ! — მივესალმეთ ყველას.

ჩვენი მებრძოლნი ფეხზე წამოხტნენ და მხედრულად გაიჭიმნენ. მკაცრი სახე მივიღე და ვიკითხე:

— თქვენ, რა, ჩვენს მებრძოლებს ათრობთ?

სიჩუმე ჩამოვარდა. პოლონელები მთლად დაიბნენ. მხოლოდ ერთმა ახალგაზრდა ქალმა, რომელმაც, ეტყობა, შეამჩნია ჩვენი ცუდად შენიღბული ღიმილი, გვიპასუხა:

— არა, პან გენერალო, ჩვენ თქვენი ჯარისკაცები შემოვიპატიჟეთ სადილად, თქვენმა ჯარისკაცებმა კი თან იმდენი სანოვაგე მოიტანეს, რომ ახლა ჩვენ კი არ ვმასპინძლობთ მათ, არამედ ისინი ჩვენ.

— ნუთუ ეს ერთი ოჯახია?

— არა, — მიპასუხა ქალმა, — ჩვენ მეზობელი ხუტორებიდან მოვედით, თქვენი ჯარისკაცები რომ გვენახა.

ჩვენ ხელი არ შეგვიშლია: ასეთ გარემოებაში ჩვენი ჯარისკაცი გენერლის დაუხმარებლადაც მონახავს საუბრის თემას. პოლონელებმა მიგვიპატიჟეს სუფრასთან, გვთხოვეს გაგვესინჯა გლეხური შჩი, ბიგუსი, შინაური არაყი, მაგრამ ჩვენ ძალზე გვეჩქარებოდა.

29-ე გვარდიული მსროლელი კორპუსისა და პირველი სა-

ტანკო არმიის მექანიზებული კორპუსის შტაბებს ჩვენ სოფელ პუკინინში დავეწიეთ. სამხრეთით, რავა-მაზოვეცკაში ბრძოლა მიმდინარეობდა. იქ ჩვენი ჯარები თანდათან ძლევდნენ მოწინააღმდეგის ცალკეული ჯგუფების წინააღმდეგობას. ბრძოლა ნელდებოდა: მტერი მთელი ფრონტით უკან იხევდა.

29-ე გვარდიული მსროლელი კორპუსის მეთაურს გენერალ-მაიორ ა. დ. შემენკოვს წინასწარი მითითება მივეცი ბქეზინზე შეტევის შესახებ და შევუხვიე ნოვე-მიასტოში, სადაც ჩვენი სამეთაურო პუნქტი გადაადგილდა. აქ უკვე დაემყარებინათ კავშირი ჯარებთან, მაგრამ სამავთულო კავშირი ფრონტის შტაბთან ჯერ კიდევ არ იყო. დავურეკე ჩემს მარჯვენა მეზობელს — მე-5 დამკვრელი არმიის სარდალს. მისი ჯარები კარგად მიიწევდნენ წინ. ხელთ იგდეს ბიალა რავსკა და მზად იყვნენ შეტევის გაგრძელებისათვის. მარცხენა მეზობელი კი — 69-ე არმია — ჩამოგვრჩა, და ახლა მისი მეწინავე ნაწილები ჩვენზე ძალზე უკან იყვნენ. მაგრამ ეს გარემოება არ გვაწუხებდა.

საერთო ვითარება ჩვენთვის ხელსაყრელი იყო. 17 იანვარს, დღის მიწურულს ფრონტის ცენტრალური დამკვრელი ჯგუფება (მე-5 დამკვრელი, მე-8 გვარდიული, პირველი და მე-2 გვარდიული სატანკო არმიები) შეტევის წარმატებით განვითარების შედეგად უკვე მიუახლოდა ვარშავა-ბერლინის მთავარ კომუნიკაციებსა და მაგისტრალურ გზატკეცილებს. ჩვენი ჯარები მაინცდამაინც დიდ წინააღმდეგობას არ შეხვედრიან.

ამ მიმართულებით მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები ვანადგურებული იყო, აქ მას დიდი რეზერვები არ ჰყავდა. ფრონტის მარჯვენა ფლანგის ჯგუფება (პოლონეთის პირველი და 47-ე არმიები) ვარშავის აღების შემდეგ წარმატებით სდევნიდა მოწინააღმდეგის დამარცხებულ ნაწილებს, ფრონტის მარცხენა ფლანგის ჯგუფება (69-ე და 33-ე არმიები) რამდენადმე ჩამორჩებოდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, უკან მიჰყვებოდა ფრონტის ცენტრალურ ჯგუფს, მაგრამ ამ ჩამორჩენას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა: მოწინააღმდეგეს არ ჰყავდა რეზერვები და არ შეეძლო რაიმე საფრთხე შეექმნა ჩვენი მარცხენა ფლანგისათვის.

ასევე წარმატებით ვითარდებოდა პირველი უკრაინის ფრონტისა და მეორე ბელორუსიის ფრონტის შეტევა, რომლებსაც შესაბამისად საბჭოთა კავშირის მარშლები ი. ს. კონევი და კ. კ. როკოსოვსკი სარდლობდნენ. მარშალ კონევის ჯარებმა 16 იანვარს, დღის ბოლოსათვის დაიკავეს ქალაქები რადომსკო, ჩენსტოხოვი, ზავერცე და სილეზიის სამრეწველო რაიონს ჩრდილოეთიდან უვლიდნენ. მარშალ როკოსოვსკის ჯარებმა 19 იანვარს ხელთ იგდეს ქალაქები პშასნიში, მლავა, პლონსკი, მოდლინი და შეტევას განაგრძობდნენ ვისლის ნაპირის გაყოლებით. ისინი მოქმედებდნენ ტორუნის, დანციგის საერთო მიმართულებით და გზას უჭრიდნენ ბალტიისპირეთსა და აღმოსავლეთ პრუსიაში მყოფ ჰიტლერული ჯარების დაჯგუფებას.

ჩვენ შეგვეძლო შეტევა გაგრძელებინა და ფლანგების შიში მაინცდამაინც არ გვქონდა. როდესაც ფრონტის შტაბთან სატელეფონო კავშირი დამყარდა, მივიღეთ დავალება: 18 იანვარს გადაგვეჭრა ვარშავიდან ჩენსტოხოვში მიმავალი რკინიგზის ხაზი და მეწინავე რაზმებით დაგვეკავებინა გლუვნო, ბეეზინი. არმიის გასაძლიერებლად რავა-მაზოვეცკაში მოეშურებოდა მე-11 გვარდიული სატანკო ბრიგადა.

იმისათვის, რომ არმიის ძალები არ დაქუცმაცებულიყო და მანევრისათვის ერთ ძლიერ მუშტად ყოფილიყო შეკრული, გადავწყვიტე მე-4 გვარდიული კორპუსი მეორე ეშელონში გადამეყვანა და არმიის მარცხენა ფლანგზე დამეყენებინა.

შეტევა დაიწყო 18 იანვრის ადრიან დილით. ჩვენ ვცდილობდით რაც შეიძლება უკეთ გამოგვეყენებინა დღის სინათლე. არმიის სამეთაურო პუნქტი, უფრო სწორად, შტაბის მთელი პირველი ეშელონი ჯარების მართვის მოძრავ პუნქტად გადაიქცა. იგი ნოვე-მიასტო-რავა-მაზოვეცკა-ბეეზინის მთავარი მაგისტრალით მოძრაობდა.

პირველი და მე-2 გვარდიული სატანკო არმიების ტანკისტებმა შეტევის ტემპი დააჩქარეს და უკვე გავიდნენ ბერლინისაკენ მიმავალ ავტოსტრადებზე. არმიის შტაბის მეორე ეშელონი ნოვე-მიასტოში რჩებოდა. მისი ამოცანა იყო კავშირი ჰქონოდა ფრონტის შტაბსა და ჩვენს სამეთაურო პუნქტთან. არმიის შტაბის ოფიცრებისა და გენერლების უმეტესობა მეწი-

ნავე კოლონებში იმყოფებოდა. ისინი ადგილზევე ეხმარებოდნენ მეთაურებს და პირადად მატყობინებდნენ მიღწეული შედეგების შესახებ. ამიტომ მე ყოველთვის ვიყავი ამბების კურსში.

მებრძოლებსა და მეთაურებს განწყობილება კარგი ჰქონდათ, არავინ არ წუწუნებდა სწრაფ გადასვლებზე, პირიქით, ყველა ეშურებოდა იმას, რომ რაც შეიძლება სწრაფად მიეველწია გერმანიამდე. 13 საათისათვის 28-ე და 29-ე გვარდიული კორპუსების ნაწილების კოლონებმა მიაღწიეს ვარშავა-პიოტრკუვის რკინიგზის ხაზს, ხოლო მზვერაველები უკვე მიადგნენ დმოსინ-ბეეზინ-გალკუვის მიჯნას.

ჰორიზონტზე დიდი ქალაქი გამოჩნდა. ბინოკლით ჩანდა ქარხნის მილები. ეს იყო ლოძი, პოლონეთის დიდი სამრეწველო ცენტრი, მოსახლეობის რიცხვის მიხედვით მეორე ქალაქი ვარშავის შემდეგ. პირველი გვარდიული სატანკო არმია ლოძს ჩრდილოეთიდან უვლიდა. მარჯვნივ მოქმედმა მეზობელმა — მე-5 დამკერელმა არმიამ ქალაქი ლოვიჩი დაიკავა. ამ დროისათვის ჩვენ კავშირი არ გვქონდა ფრონტის შტაბთან. თვითონვე უნდა მიგვეღო გადაწყვეტილება. წავსულიყავით წინ და ზურგში დაგვეტოვებინა ქალაქი, რომელშიც მტრის დიდი გარნიზონი იდგა, თუ გავჩერებულიყავით მის კედლებთან და მითითებებისათვის გვეცადა? ჩვენ ხელს არ გვაძლევდა არც ერთი და არც მეორე არჩევანი. მივიღე გადაწყვეტილება: უნდა შევუტიოთ ქალაქს. მაშინვე დავამუშავეთ იერიშის გეგმა.

ჯარები უნდა გავაჩეროთ დმოსინ-ბეეზინ-გალკუვის ზღუდეზე, დავაპუროთ და დავასვენოთ ადამიანები 24 საათამდე. დივიზიის მზვერავი რაზმები ღამის 2 საათისათვის დაზვერავენ მოწინააღმდეგის ძალებს ქალაქსა და მის მიდამოებში. ამის შემდეგ 28-ე და 29-ე გვარდიული მსროლელი კორპუსების პირველი ეშელონის დივიზიები (ოთხივე დივიზია) მიუახლოვდებიან ქალაქს. რათა გათენებისას საწყისი პოზიციები დაიკავონ შეტევისათვის. იერიშში მონაწილეობას მიიღებენ 28-ე და 29-ე კორპუსების ძირითადი ძალები, რომლებიც ერთდროულ დარტყმებს განახორციელებენ აღმოსავლეთიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ზგეჟისა და კონსტანტინუვის

შიმართულებით. 88-ე გვარდიული მსროლელი დივიზია, რომელიც ფართო ფრონტით შეუტევს, გავა პიონტეკ-ოზორკუვის ზღუდეზე. სატანკო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევა მე-11 სატანკო ბრიგადა და სამი ცალკეული სატანკო პოლკი და რომელსაც საერთო მეთაურობას გაუწევს გენერალი ვაინრუბი, სწრაფი მანევრით გავა ქალაქის დასავლეთ გარეუბნებში და უკან დასახევ გზას გადაუჭრის მოწინააღმდეგეს. მე-4 გვარდიული მსროლელი კორპუსი რეზერვში გადაინაცვლებს არმიის მარჯვენა ფლანგზე. არმიის შტაბის ოფიცრებს მიეცით წინასწარი, მაზრიენსტირებელი მითითებანი და ისინი ავტომანქანებით გაემგზავრნენ კორპუსებისა და დივიზიების შტაბებში. ჩვენ არ გვინდოდა ბრძოლა გაგვემართა ქალაქში, რომელიც, ეჭვს გარეშეა, დაზიანდებოდა, და ამიტომ შეტევა ისე იყო გააზრებული, რომ ქალაქისათვის უნდა შემოგვევლო ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან, ესე იგი ზურგიდან. ამასობაში შტაბი სასწრაფოდ ადგენდა საბრძოლო დოკუმენტებს.

და, აი, ერთბაშად ფრონტის შტაბიდან მოგვივიდა ბრძანება, რომელმაც ჩიხში მოგვაქცია. წინადადებას გვაძლევდნენ 19 იანვარს გავსულიყავით იმ ზღუდეზე, რომელიც უკვე წინა დღეს გვქონდა დაკავებული.

ვერაფრით გავარკვიეთ რა მოხდა — ფრონტის შტაბმა აურია თუ ბრძანების შინაარსი კავშირგაბმულობის რამდენიმე კვანძის გავლის შემდეგ დამახინჯდა. ნათელი იყო მხოლოდ ერთი რამ: ყველაფერი ჩვენ თავზე უნდა აგვეღო. ჯარებს დაეგზავნათ არმიის სამხედრო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბრძანება ქალაქ ლოძის შტურმის შესახებ. ნაშუადამევს კორპუსები და დივიზიები მის განხორციელებას შეუდგნენ.

დილით არმიის შტაბის პირველი ეშელონი დაწინაურდა და თავისი მთავარი ძალების მახლობლად განლაგდა დაბა ბეჟიცაში. არმიის სამხედრო საბჭო შტაბის ოფიცრებისა და გენერლების ჯგუფთან ერთად გაემგზავრა ქალაქის აღმოსავლეთ გარეუბანში, რომელიც ის-ის იყო დავიკავეთ.

ნათელი, მზიანი დილა იდგა. ჩვენ ვიდექით რკინიგზის გადასასვლელთან. ჩრდილოეთით თოფისა და ტყვიამფრქვევის, შიგადაშიგ საარტილერიო სროლაც ისმოდა. ჩვენს დაზვერვას

არ გააჩნდა სრული მონაცემები მოწინააღმდეგის ლოძის გარნიზონის ძალების შესახებ, მაგრამ სროლის ხასიათით ჩანდა, რომ მტერი არ აპირებდა გააფთრებით დაეცვა ქალაქი. მართალია, ჩვენი არტილერია უკვე საბრძოლოდ განემზადა, მაგრამ განკარგულება გავეცი ცეცხლი არ გაეხსნათ განსაკუთრებულ მითითებამდე.

ამ დროს აღმოსავლეთით გამოჩნდა ჩვენი ცხრა ილი გამანადგურებელთა თანხლებით. თვითმფრინავები როგორც კი ქალაქს მოუახლოვდნენ, ჩვენი მეორე ეშელონების თავზე საბრძოლო წყობად გაიშალნენ და დაბომბვისა და იერიშისათვის მოემზადნენ. რატომ გამოგზავნეს? როგორ მიიტანენ ისინი იერიშს ქალაქზე, როდესაც არ იციან თავიანთი ძალებისა და მოწინააღმდეგის ძალების განლაგება? ჩვენ ავიაციასთან არ გექონდა რადიოკავშირი. სასწრაფოდ გავფინეთ მიწაზე კარავები, ზეწრები და ამით ნიშანი მივეცით თვითმფრინავებს. ზეცაში აიჭრა მწვანე რაკეტები — „თქვენიანები ვართ, გაფრთხილდით!" გვეშველა. მოიერიშე თვითმფრინავებმა განზე გაუხვიეს. ცხადი გახდა, რომ შეტევის ტემპი მოულოდნელი იყო ჩვენი ავიაციის შტაბებისათვის.

მზვერავი ქვეგანაყოფების დაცვის ქვეშ რამდენადმე წინ წავიწიეი და პარკში, სამლოცველოს მახლობლად მაღალ ბორცვზე შევჩერდით. აქედან თითქმის მთელი ქალაქი მოჩანდა. ჩვენ ვხედავდით, როგორ ეხმარებოდნენ პოლონელი მცხოვრებნი ჩვენს მზვერავებს ჰიტლერელთა შეპყრობასა და განიარაღებაში.

ნაშუადღევს სროლამ ქალაქის ცენტრიდან სამხრეთით გადაინაცვლა. ჩვენ მივხვდით, რომ 28-ე გვარდიული მსროლელი კორპუსის ნაწილებმა და ვაინრუბის სატანკო ჯგუფმა შეტევა დაიწყეს და მტერს სამხრეთ-დასავლეთისაკენ დევნიან. ერთბაშად გერმანელთა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ჩვენს სათვალთვალო პუნქტს. ოცდაათიოდე ყუმბარა აფეთქდა საარტილერიო მზვერავების მახლობლად. ორი ოფიცერი მოკლეს, სამიც დაიჭრა. შემთხვევითი დანაკარგის თავიდან ასაცილებლად ბრძანება გავეცი ამ რაიონიდან წავსულიყავით.

რკინიგზის გადასასვლელის მახლობლად ჩვენმა მეკავშირე-

ებმა კავშირი აღადგინეს არმიის შტაბის პირველ ეშელონთან.

ტელეფონთან გამოვიძახე არმიის შტაბის უფროსი გენერალი ბელიავსკი. მან მომახსენა, რომ გენერალ ვაინრუბის სატანკო ჯგუფმა ლოძის დასავლეთ გარეუბანს მიაღწია, 26-ე კორპუსის ნაწილებმა დაიკავეს ოზორკუვი, ალექსანდრუვი, რადოგოში; ჩვენი მზვერავი ქვეგანაყოფები გავიდნენ ლოძი-კონსტანტინუვის გზატკეცილზე. მოწინააღმდეგე სასწრაფოდ იხევს სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დიდძალი ნადავლი. ბელიავსკიმ იყუჩა და სევდიანად დაუმატა:

— მათე გრიგოლის ძე ვაინრუბი დაჭრილია, ტყვიამ მკერდში გაატანა. მალე უნდა მოიყვანონ.

ვაინრუბის დაჭრის ამბავმა ძალიან დაგვაღონა. ჩვენ ყველანი დიდად ვაფასებდით მათე გრიგოლის ძეს მისი სიმამაცის, პატიოსნებისა და კაცური კაცობისათვის. იგი ამ ომში უკვე მესამედ დაიჭრა. ორი უკანასკნელი ჭრილობა განსაკუთრებით საშიში და მძიმე იყო. იგი დაჭრეს თავსა და მკერდში. როდესაც მებრძოლ ამხანაგს დაჭრიან, ყოველთვის ნაღველი გეუფლება. განსაკუთრებით მძიმედ განიცდი იმ ადამიანის დაჭრას, რომელმაც საბრძოლო გზა გაიარა ბელორუსიის დასავლეთი ოლქებიდან ვოლგამდე, გადაიტანა სტალინგრადის განსაცდელი, შემდეგ კი შენს გვერდით იარა ომის გზებით ვოლგიდან მთელ უკრაინასა და პოლონეთში. საბედნიეროდ, მალე გვაცნობეს, რომ მათე გრიგოლის ძე იცოცხლებს...

ლოძი მე-8 გვარდიულმა არმიამ და მე-16 და მე-18 საჰაერო არმიების შენაერთებმა გაათავისუფლეს. ჩვენ ქუჩებს გავყევით. ფაშისტებს უნდოდათ ამ ქალაქში ყველაფერი თავიანთ ყაიდაზე გადაეკეთებინათ. მთავარ მოედანს, რომელსაც ადრე თავისუფლების მოედანი ერქვა, სახელი შეუცვალეს და გერმანიის მოედანი უწოდეს. ჰიტლერელებს ამით იმის თქმა სურდათ, რომ პოლონეთს არ უწერია ოდესმე თავისუფალი იყოს, რომ ამიერიდან აქ ბატონობს გერმანია, ხოლო პოლონელები უუფლებო მონები არიან. კუთხის სახლებს მიკრული ჰქონდათ ფირფიტები ქუჩების ახალი, გერმანული სახელწოდებებით. მაღაზიების ყველა ფირნიში გერმანულ ენაზე იყო. კაფეების და რესტორნების კარებზე გაკრული იყო წარწერები: „მხო-

ლოდ გერმანელთათვის. პოლონელებს შესვლა ეკრძალებათ". ბოლო ხანებში პოლონელებს პურს აღარ აძლევდნენ — ისინი შიმშილით უნდა დახოცილიყვნენ და კოლონიზატორებისათვის ადგილი დაეთმოთ. კალიასავით მოედვნენ ქალაქს სხვის ქონებას დახარბებული დამპყრობლები. მათ ქალაქში დაიკავეს ყველა საუკეთესო ბინა, ხოლო მათი პატრონები საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს. ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე გადებული იყო ხიდი — მხოლოდ ამ ერთადერთი გზით შეეძლო ებრაელებს გეტოს ერთი ნაწილიდან მეორეში გადასვლა. მათ ქუჩაში გამოჩენის უფლება არ ჰქონდათ. ხუთ წელიწადზე მეტ ხანს გმინავდა ლოძი ჰიტლერელი ჯალათების უღელქვეშ. მაგრამ ქალაქი არ დანებდა, მას კარგად ახსოვდა 1905 წლის გაფიცვები და თავისუფლების ამაყი სული არ დაუკარგავს. გერმანელი პატრულები ხშირად ნახულობდნენ ქუჩებში დამპყრობელთა გვამებს — ეს იყო პოლონელი პატრიოტების მიერ გამოტანილი სასტიკი, მაგრამ სამართლიანი მსჯავრი ფაშისტების მიმართ.

ოკუპანტების მხეცობას საზღვარი არ ჰქონდა. ადგილობრივი მცხოვრებლები მოგვიყვნენ, რომ ერთხელ ერთმა ყმაწვილმა მიხეილ ვოლონსკიმ მოკლული გერმანელი ჟანდარმის გვამი დაინახა და გაიღიმა. ეს შეამჩნია გვერდით მიმავალმა ფაშისტმა ოფიცერმა და ახალგაზრდა პოლონელი იქვე, ადგილზეე დახვრიტა. იუზეფ პანცევსკი მხოლოდ იმიტომ დახვრიტეს, რომ გერმანელს არასწორად მიასწავლა გზა. სტეფან პრიბიცკი გესტაპოში მხოლოდ იმიტომ აწამეს, რომ მან ქუჩაში წარმოთქვა აკრძალული სიტყვა „რუსეთი".

— პოლონელებმა იცოდნენ, — მითხრა ლოძის დეპოს ერთმა მუშამ, — რომ მხოლოდ რუსეთს შეუძლია ჩვენი გათავისუფლება, ფაშისტურ ჯურღმულებში სიკვდილისაგან ხსნა. მთელი ქალაქისათვის იყო ცნობილი, რომ ლოძის მიდამოებში არსებობდა საშინელი ბანაკი. იგი კვარტალებად იყო დაყოფილი და ეკლიანი მავთულხლართი ჰქონდა გარს შემოვლებული. ამ ბანაკში მოკლეს სტანისლავ პოტოცკი ოთხი თვის საშინელი წამების შემდეგ. აქ ამოხადეს სული იუზეფ ვიჩინსკის იმის გამო, რომ იგი საღამოთი ქუჩაში გამოვიდა. ქალაქში სიარული

ოფიციალურად ნებადართული იყო 9 საათამდე, მაგრამ ჰიტ-ლერელები უკვე 8 საათიდან იჭერდნენ და ხოცავდნენ ყველა იმათ, ვინც კი ხელში მოხვდებოდათ.

მუშის ცოლმა დაუმატა.

— და ასე გრძელდებოდა მთელი ხუთი წლის განმავლობა-ში. გვეგონა, რომ აღარ გაგვითენდებოდა...

— მაგრამ, აი, მოვიდა წითელი არმია, — განაგრძო მუ-შამ, — და ფაშისტმა ჯალათებმა ისე მოუსვეს, რომ ყველაფე-რი მიატოვეს — მიტაცებული ქონებით სავსე ბინებიც, ნაძარ-ცვი საქონლით გატენილი ჩემოდნებიც...

როდესაც ქალაქში ჩვენი ქვეგანაყოფები შევიდნენ, შენო-ბების სახურავებზე, აივნებსა და ფანჯრებზე საბჭოთა და პო-ლონეთის დროშები აფრიალდა. პოლონელი ქალები თავს საფ-რთხეში იგდებდნენ და გრძელ ზამთრის ღამეებში კერავდნენ ამ დროშებს. და ახლა, განთავისუფლებით გახარებულნი, ამ დრო-შებით ამკობდნენ თავიანთ განმათავისუფლებელთა გამარჯ-ვების გზას.

ჩვენი ჯარების სწრაფმა შეტევამ ოკუპანტებს ხელი შეუშა-ლა, დაენგრიათ ქალაქი. არ იყო აფეთქებული არც ერთი შე-ნობა, მუშაობას განაგრძობდა ელექტროსადგურიც და წყალ-სადენიც.

მცხოვრებთა ჯგუფები მხურვალედ ესალმებოდნენ ქუჩა-ში მიმავალ ტანკებს, ქვემეხებს, ჯარისკაცებით სავსე ავტომან-ქანებს. ეს იყო საყოველთაო-სახალხო ზეიმი. წარსულს ჩაბარ-და ხუთწლიანი მიხაკისფერი ბნელეთი. ლოძის თავზე თავის-უფლების მზე აკაშკაშდა...

მანქანების უსასრულო კოლონაში მიემართება ერთი სა-ტვირთო ავტომანქანა მებრძოლთა ჯგუფით. აგერ ღიმილით სახე გაბადრიათ სერჟანტ უსენკოსა და უმცროს სერჟანტ ვერტილეცკის. როგორც ყველანი, ისინიც მტვერში ამოს-ვრილნი და დაღლილნი არიან, მაგრამ ბედნიერად გრძნობენ თავს. და არავის აზრად არ მოსდის, რომ ისინი გმირები არიან. მე მომიყვნენ, თუ როგორ იბრძოდნენ ისინი...

მსროლელთა წინსვლას აფერხებდნენ მომიჯნავე შენობის ფანჯრებში დადგმული მტრის ტყვიამფრქვევები. „მაქსიმეს"

მეთაურმა, გვარდიის სერჟანტმა ივანე უსენკომ მყისვე შეაფასა შექმნილი ვითარება. მან თავის თანაშემწე უმცროს სერჟანტ ვერტილეცკისთან ერთად ჩვენი შემტევი მწკრივიდან ასიოდე მეტრით წასწია თავისი ტყვიამფრქვევი და ბორცვზე დადგა. მან პირველსავე გრძელი ჯერით ჩააჩუმა მტრის მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევი, შემდეგი ორი ჯერით კი მოსპო შენობის სარდაფში ჩასაფრებული მეავტომატენი. მამაცმა მეტყვიამფრქვეველებმა ჩააწყეს მტრის კიდევ ორი საცეცხლე წერტილი. ამით გამხნევებული მსროლელები იერიშზე გადავიდნენ. ისინი ერთმანეთის მიყოლებით წმენდნენ სახლებს ჰიტლერელებისაგან.

მაგრამ მტერმა ახალი ძალები ჩააბა ბრძოლაში. სერჟანტ უსენკოს მეთაურობით მოქმედ მამაცთა ჯგუფის წინააღმდეგ გერმანელთა მთელი ბატალიონი დაიძრა. უსენკომ ჰიტლერელები ორას მეტრზე მიუშვა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა. ფაშისტები დაწვნენ. ისინი ვერ ბედავდნენ წამოდგომას, ხოხვით უახლოვდებოდნენ ჩვენს ჯარისკაცებს და მათ გარშემორტყმას ლამობდნენ. უსენკომ და მისმა ამხანაგებმა ხელყუმბარები მოიშველიეს. ამასობაში ჩვენმა ტანკებმაც მოუსწრეს. ბრძოლა გერმანელთა ბატალიონის სრული განადგურებით დამთავრდა. მეტყვიამფრქვეველ ივანე უსენკომ შტაბში მიიყვანა 34 ტყვე ჰიტლერელი, მათ შორის ობერ-ლეიტენანტი.

და ვინ მოთვლის რამდენი ასეთი გმირია ჩვენი ჯარების კოლონებში!

მებრძოლები ღიმილით პასუხობენ მცხოვრებთა მისალმებებს. ტანკები, ქვემეხები და ავტომანქანები სიჩქარის შეუნელებლად მიემართებიან ქალაქის ქუჩებში. ისინი დასავლეთისაკენ მიიჩქარიან. მათ ელოდებათ ახალი ქალაქები, რომლებიც უნდა გაათავისუფლონ.

საღამოთი შევიტყვეთ, რომ მოსკოვში ლოძის გამათავისუფლებელი ჯარების პატივსაცემად მიცემულ იქნა სალუტი.

გ ა ნ წ ი რ უ ლ ნ ი

1

პირველი ბელორუსიისა და პირველი უკრაინის ფრონტების ვისლაზე დაწყებული იანვრის შეტევა ისტორიაში შეეიდა როგორც ვისლა-ოდერის ოპერაცია. ჩვენმა ჯარებმა ვისლიდან ოდერამდე ერთი ამოსუნთქვით გაიარეს ხუთას კილომეტრზე მეტი. ასეთი გაქანების ოპერაციას, უეჭველია, უნდა ჰქონოდა საერთო მოძრაობის რაღაც მიჯნები, უნდა დაყოფილიყო რაღაც ეტაპებად. მე რომ დამკისრებოდა მე-8 გვარდიული არმიის მოძრაობის მიხედვით ვისლა-ოდერის ოპერაციის რაღაც ეტაპებად დაყოფის ამოცანა, ალბათ ძნელ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. ჩვენი წინსვლა, დაწყებული ვისლის მაგნუშევის პლაცდარმიდან, ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა.

ჩვენ მოწინააღმდეგის თავდაცვითი ზღუდეები ისე გადავლახეთ, რომ ოპერატიული პაუზა არ გვქონია და არც დიდი ძალ-ღონე დაგვიხარჯავს მდინარე ვარტამდე (პოზნანი). ამასთან ერთად ამ შეტევის დროს შეგვხვდა ზოგიერთი მოულოდნელობანი, მოწინააღმდეგე იყენებდა თავდაცვას, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა იმ თავდაცვითი ნაგებობებისაგან, მანამდე რომ გადავლახეთ. მე ასე ვიტყოდი: პოზნანამდე რაგინდ ძლიერიც უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგის სიმაგრენი, მათ ციხე-სიმაგრეებს ვერ უწოდებდი. პოზნანში ჩვენი არმია პირველად შეხვდა გამაგრებულ ფორტებს, სიმაგრეებს, რომლებიც შეიძლება მიგვეკუთვნებინა იმ წლების უდიდესი საფორტიფიკაციო ნაგებობებისათვის. პოზნანი რკინიგზისა და გრუნტიანი გზატკეცილების კვანძი იყო.

გავიხსენოთ ის გეგმები, რომლის მიხედვითაც ვმოქმედებდით ვისლა-ოდერის ოპერაციის დროს. უმაღლესი მთავარ-

სარდლობის ბანაკმა დაამტკიცა ოპერაციის გეგმა, რომელიც 10—12 დღე-ღამისათვის იყო გათვალისწინებული. ამ გეგმის მიხედვით ლოძთან უნდა მივსულიყავით ოპერაციის მე-10—12 დღეს. მე-8 გვარდიული და მე-5 დამკვრელი არმიები ამ ზღუდეებზე ოპერაციის დაწყებიდან მე-6 დღეზე გავიდნენ. დაგეგმილი იყო, დღე-ღამეში 10—12 კილომეტრით უნდა წაგვეწია წინ. ჩვენ კი იმავე დროში 25—30 და მეტ კილომეტრ მანძილს ვფარავდით.

წინსვლის ასეთ ტემპს არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ჯარების მომარაგებაზე. ზურგის სამსახურების მუშაობის დაგეგმვაში დაშვებული მცირედი შეცდომაც კი ახლა უდიდეს უბედურებას გვიქადდა. ვერ ასწრებდნენ წინმიმავალი ჯარების მომარაგებას საჭირო რაოდენობის საომარი მასალებით, საწვავითა და სურსათით, ამასთან ზურგის შესაძლებლობანიც შეზღუდული იყო. ამავე დროს ფრონტის სარდლობა ლოძის განთავისუფლების შემდეგ წინსვლის უფრო დიდ ამოცანებს გეისახავდა, ვიდრე ოპერაციის დასაწყისში, როდესაც მომარაგების ყველა ბაზა ახლოს გვქონდა.

23 იანვარს არმიის ნაწილებმა პოვიზდ-სლუპცა-ცენჟენის ზღუდეს მიაღწიეს. მეწინავე რაზმები გნეზნოსა და ეჟესნიასთან გავიდნენ. დაზვერვამ არმიის სარდლობას აცნობა, რომ პირველი გვარდიული სატანკო არმიის ნაწილებს აქვთ ყველა შესაძლებლობა მდინარე ვარტაზე მოწინააღმდეგის პოზიციებზე შეიჭრან მანამდე, სანამ ამ პოზიციებს არმიის ძალები დაიკავებენ. ჩვენ უნდა გაგვეზარდა შეტევის ტემპი, რათა ტანკისტებს არ ჩამოვრჩენოდით. ამასობაში კი ტელეფონით გადმოგვცეს ჩვენთვის მოულოდნელი ფრონტის ბრძანება.

იმის გამო, რომ 69-ე არმია ჩამორჩა და მოსალოდნელი იყო, რომ ქალაქ პოზნანისათვის გაშლილი ბრძოლა გაჭიანურდებოდა, ფრონტის ჯარების სარდალმა მიბრძანა გამეერთიანებინა პირველი გვარდიული არმიისა და 69-ე არმიის ახლადმოსული ნაწილების მოქმედება და საერთო ძალებით 25 იანვრისათვის აუცილებლად დავუფლებოდით ქალაქ პოზნანს.

აქამდე პოზნანი მე-8 გვარდიული არმიის მოქმედების ფარგლებში არ შედიოდა. პოზნანისათვის 69-ე არმიას უნდა შე-

ეტია. არ გვეგონა, რომ იგი ასე ჩამორჩებოდა და საჭირო გახდებოდა ჩვენი ფლანგი დაგვეფარა მტრის დარტყმის საფრთხისაგან პოზნანის მხრიდან, სადაც მოწინააღმდეგის ძლიერი გარნიზონი იდგა.

საჭირო გახდა სასწრაფოდ შემოგვებრუნებინა არმია, რაც არც ისე იოლი იყო, თუ გავითვალისწინებთ დასავლეთისაკენ წინასწარ დასახული მიმართულებებით მისი მოძრაობის ინერციას. არმიის ოდნავი შემობრუნებაც კი ურთულესი პრობლემაა. მაშ როგორღა მოგვეხერხებინა ეს სწრაფად, როდესაც არმია იბრძოდა და წინ მიიწევდა, როდესაც იგი, მარაოსავით გაშლილი, ანადგურებდა მოწინააღმდეგის საყრდენ პუნქტებს? ამას დრო უნდოდა.

საჭირო გახდა ზურგის ყველა სამსახურის, მთელი მომარაგების ხელახალი ორიენტაცია, ტვირთების გადასაზიდად ახალი გზების მოძებნა, ახალი ხიდებისა და ბოგირების აშენება, ჩახერგილი გზების გაწმენდა...

დაუყოვნებლივ დავუკავშირდი პირველი გვარდიული სატანკო არმიის შტაბს. თურმე, ტანკისტები უკვე მისდგომიან ვარტის ნაპირებს და პლაცდარმიც კი დაუკავებიათ მის დასავლეთ ნაპირზე. მაშასადამე, ისინი უკვე ურტყამდნენ ვარტის თავდაცვით ზღუდეს. პოზნანში შეჭრასაც კი შეეცადნენ, მაგრამ შეჩერებულ იქნენ ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში.

ტანკისტების დაზვერვა ამტკიცებდა, რომ პოზნანს იოლად ვერ ავიღებთ. ამით ხომ არ იყო ნაკარნახევი ფრონტის დირექტივაც? პოზნანის გათავისუფლება დიდ სამხედრო ამოცანად იქცა.

დაზვერვამ და ტყვეთა დაკითხვამ ცხადყო, რომ პოზნანში თავდაცვისათვის მომზადებულია ყველა მისი ფორტი და ციხესიმაგრის მთელი დაცვის ცენტრი ციტადელია.

პოზნანი სამხედრო მეცნიერებაში ითვლებოდა კლასიკურ ციხესიმაგრედ, რომელიც აგებული იყო იმავე სქემით, რითაც აგებდა თავის ციხესიმაგრეებს სახელგანთქმული ფორტიფიკატორი ვობანი. ფორტები ცენტრშია, თავდაცვის მთავარ კვანძში ციტადელია. ფორტებიცა და ციტადელიც მთლიანად მიწისქვეშა ნაგებობებია. მიწისქვეშ მოწყობილია უზარმაზარი თავ-

საფარები, რომლებშიც ძალიან დიდ გარნიზონს შეუძლია განლაგდეს...

ჩვენ მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, როგორ გამოიყენეს ფაშისტებმა ძველი ნაგებობანი, არც ის ვიცოდით, რა საშუალებებითა და ნაგებობებით გააძლიერეს ეს ციხესიმაგრე. მაგრამ ერთი რამ აშკარა იყო — ასეთი ციხესიმაგრის ერთ დღეღამეში აღება შეუძლებელია.

ჩვენი მზვერავი რაზმები ასევე გავიდნენ ვარტასთან ობორნიკისა და პოზნანის უბანზე. არმიის შტაბმა ამ რაზმებსაც მაშინვე დაუსახა სასწრაფო ამოცანა — დაედგინათ მოწინააღმდეგის რა ძალები იცავენ ციხესიმაგრეს და მდინარე ვარტის დასავლეთ ნაპირს. მზვერავებმა დაუყოვნებლივ გვაცნობეს, რომ მდინარის ნაპირის გასწვრივ მომზადებული თავდაცვითი ნაგებობები მოწინააღმდეგეს დაკავებული აქვს მხოლოდ რამდენიმე უბანზე და ისიც მცირე ძალებით. მაგრამ ქალაქი და ციხესიმაგრის ნაგებობანი აღჭურვილია მძლავრი საცეცხლე საშუალებებით და იქ დიდი გარნიზონები დგანან. ქალაქში შეჭრის ყველა ჩვენს ცდას წარმატება არ მოყოლია.

ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ პოზნანთან შეიძლება დავყოვნებულიყავით და ამით მოწინააღმდეგისათვის დროის მოგების საშუალება მიგვეცა. იგი დამარცხებულ ნაწილებს გადაიყვანდა გერმანია-პოლონეთის საზღვარზე მომზადებულ გამაგრებულ რაიონებში და ჩვენ თავიდან მოგვიხდებოდა მისი თავდაცვითი ზღუდეების გარღვევა.

მარჯვენა მეზობელმა, მე-5 დამკვრელი არმიის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა ნ. ე. ბერზარინმა მაცნობა, რომ მისი დაზვერვის მონაცემებით, მოწინააღმდეგე ქალაქ შნაიდემიულის (პილა) მტკიცე ირგვლივ დაცვას ამზადებს. სამხრეთით ასევე ირგვლივი დაცვისათვის ემზადებოდა ქალაქი ვროცლავი (ბრესლავლი).

ბერზარინთან საუბრის შემდეგ მტკიცედ გამიჯდა ის აზრი, რომ მოწინააღმდეგემ გადაწყვიტა შეინარჩუნოს რკინიგზისა და გზატკეცილების კვანძები, ტოვებს იქ ძლიერ გარნიზონებს, მზად არის გაწიროს ისინი გარშემორტყმისა და განადგურებისათვისაც კი, ოღონდ როგორმე შეაკავოს ჩვენი მთავარი ძა-

ლები და დრო მოიგოს თავისი შელახული ნაწილების წესრიგში მოყვანისა და ხელსაყრელი თავდაცვითი ზღუდეების დაკავებისათვის.

გააფთრებული ბრძოლები ჩრდილოეთ დონეცზე, სიმაგრეთა იერიში ზაპოროჟიეში, რომელიც გერმანელთა სარდლობამ თავდაცვის უძლიერეს საყრდენ პლაცდარმად აქცია დნეპრზე, ბრძოლა ნიკოპოლის რაიონის თავდაცვითი ნაგებობების სისტემაში, პირველი ბრძოლები პოლონეთის მიწა-წყალზე — ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ შეედრებოდა იმ ამოცანას, რაც პოზნანში უნდა გადაგვეწყვიტა. ერთის მხრივ, მძლავრი თავდაცვითი ნაგებობანი, მეორეს მხრივ — სასიკვდილოდ განწირულთა შეუპოვრობა... ისინი უნდა დაღუპულიყენენ, რა შედეგიც არ უნდა მოჰყოლოდა ბრძოლას... ციხესიმაგრის თითოეულმა დამცველმა იცოდა, რომ თუ ტყვედ დანებდება, ჰიტლერელები ღრმა ზურგში მის ოჯახს ამოწყვეტენ.

ამიტომ გადავწყვიტე არმიის მთავარი ძალები, აგრეთვე პირველი გვარდიული სატანკო არმია არ ჩამება პოზნანისათვის ბრძოლაში. დავსახეთ გეგმა, რომლის მიხედვითაც სამივე კორპუსს უნდა გადაელახა მდინარე ვარტა და ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან პოზნანის შემოვლით შეტევა განევითარებინა დასავლეთით, ოდერისაკენ. თუ პოზნანის გამაგრებულ ნაგებობათა გარნიზონები ადგილზევე დარჩებოდნენ, უკან არ დაიწევდნენ ანდა არ შეეცდებოდნენ გამოჭრას, ჩვენ მოვახდენდით მათ ბლოკირებას, შემდეგ კი ვიმოქმედებდით ვითარების შესაბამისად.

მე გავემართე პირველი გვარდიული სატანკო არმიის შტაბში, სადაც შევხვდი არმიის შტაბის უფროსს გენერალ მ. ა. შალინს, შემდეგ კი მ. ე. კატუკოვსაც. ერთად შევაფასეთ შექმნილი ვითარება. მივიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება, რომ პოზნანისათვის ბრძოლაში არ ჩაგვება მე-8 გვარდიული და პირველი გვარდიული სატანკო არმიების მთავარი ძალები, გვერდი აგვეცალა ამ ქალაქისათვის და მთავარი ძალებით შეტევა გაგვეგრძელებინა ოდერისაკენ. ამის შესახებ ტელეფონით მოვახსენე ფრონტის სარდალს.

25 იანვარს არმიის შტაბის პირველი ეშელონი ქალაქის აღ-

მოსავლეთით 12 კილომეტრზე მდებარე დაბა სვაჟენაში განლაგდა. 12 საათისათვის ცნობილი გახდა, რომ ჩვენს ნაწილებს პოზნანის სამხრეთით და ჩრდილოეთით ბევრ ადგილას გადაელახათ ვარტა, დაეკავათ პლაცდარმები, გაეფართოებინათ ისინი და დასავლეთისაკენ მიიწევდნენ. პოზნანის აღმოსავლეთი ფორტების ზღუდეების დაუფლების ახალ ცდებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია: მათ, როგორც ამას მზვერავები გვატყობინებდნენ, ძლიერი გარნიზონები იცავდნენ.

პოზნანის ციხესიმაგრის ძლიერი ბლოკირების გარეშე ლატოვება არ შეიძლებოდა: მტერს შეეძლო გამოეჩრილიყო და ჩვენი შემტევი ნაწილებისათვის ზურგში დაერტყა. მაგრამ ასეთი ბლოკირება ბევრ ძალას წაგვართმევდა. ყველაზე კარგი იქნებოდა მოწინააღმდეგის გარნიზონის განადგურება. ამიტომ იმავე დღეს გადაწყდა: 39-ე გვარდიულ მსროლელ დივიზიას, რომელმაც ხელთ იგდო პლაცდარმი ქალაქის ჩრდილოეთით, თავისი ძალებით უნდა დაერტყა და დაუფლებოდა ჩრდილოეთ ფორტებს. 29-ე გვარდიული მსროლელი კორპუსის მეთაური, რომელიც ინარჩუნებდა პლაცდარმს პოზნანის სამხრეთით, ორი დივიზიით შეუტევს სიმაგრის ფორტებს სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან. არმიის სატანკო ჯგუფი პოზნანის სამხრეთით გადალახავს ვარტას, მიაღწევს იუნიკოვის რაიონს და მზად იქნება მოწინააღმდეგის განადგურებისათვის, თუ კი იგი ქალაქიდან დასავლეთისაკენ უკანდახევას დაიწყებს. მე-4 და 28-ე გვარდიული მსროლელი კორპუსების მთავარი ძალები განაგრძობდნენ შეტევას ვარტის სამხრეთი ნაპირის გაყოლებით და მათი უახლოესი ამოცანა იყო ერთი დაკვრით ხელთ ეგდოთ მეზერიტიცკის გამაგრებული რაიონი და ოდერზე გასულიყვნენ. პირველ გვარდიულ სატანკო არმიას უნდა დაემთავრებინა თავისი მთავარი ძალების ვარტაზე გადაყვანა პოზნანის სამხრეთით, სწრაფი ტემპით შეეტია და მოწინააღმდეგისათვის არ მიეცა მომზადებულ ზღუდეზე გამაგრების საშუალება.

პოზნანის ფორტებისა და სიმაგრეების წინ აღმოსავლეთით ფართო ფრონტით გაიშალა 82-ე გვარდიული მსროლელი დივიზია. 69-ე არმიის ნაწილები ქალაქთან ჯერ კიდევ არ ჩანდნენ.

ახორციელებდნენ რა ამ გადაწყვეტილებას, მე-4 გვარდიული მსროლელი კორპუსის მეწინავე ნაწილები 25 იანვარს, დღის მიწურულს, ობორნიკს მიადგნენ, 28-ე გვარდიულმა მსროლელმა კორპუსმა ხრომოვო-ზოლოტკოვოს ზღუდეს მიაღწია, ხოლო 29-ე გვარდიული მსროლელი დივიზია, ფრონტით სამოხოვიცე-პენტკოვოს ხაზზე გაიშალა და უშუალოდ მიადგა ციხესიმაგრის ფორტებს. 29-ე გვარდიული მსროლელი კორპუსის დივიზიები ფრონტით ვინიარი-იანიკოვო-ანტონინ-ფრანოვო-ლიუბონ-იუნიკოვოს ხაზზე გაიშალნენ და უზრუნველყოფდნენ სატანკო არმიის მიერ მდინარის ფორსირებას და მისი შეტევის განვითარებას დასავლეთისაკენ.

მთავარსარდლობის რეზერვის არტილერია, რომელიც კოლონებად მიჰყვებოდა ჯარებს, ორ მძლავრ ჯგუფად — ჩრდილოეთ და სამხრეთ ჯგუფებად გაიყო. ციხესიმაგრისაკენ იყო მიმართული ასობით ქვემეხი. საერთო შეტევა 26 იანვრის დილით უნდა დაწყებულიყო.

იმ დროს, როდესაც იერიშისათვის ვემზადებოდით, ჩვენი მეზობლის — 69-ე არმიის ჯარები ჩვენგან ორი დღე-ღამის სავალზე იყვნენ ჩამორჩენილნი. ამისათვის მათ საყვედური არ ეთქმით: ყველაფერი ხდება, როდესაც მოწინააღმდეგე გააფთრებულ წინააღმდეგობას გიწევს. ჩვენ მეტისმეტად გვჭირდებოდნენ ისინი, ჩვენ მათ ველოდით, მაგრამ რადიოთიც კი ვერ შევძელ თ მათთან კავშირის დამყარება. შეეკითხეთ ფრონტის შტ..ბს. ჩვენმა შეკითხვამ გაკვირვება გამოიწვია. დაგვიწყეს დარწმუნება, 69-ე არმიის ნაწილები ქალაქის ცენტრში იბრძვიანო... ჩვენ დრო არ გვქონდა ყოველივე ამაში გავრკვეულიყავით...

ჩვენი სატანკო და მსროლელი შენაერთები რთულ მანევრს ახოცრიელებდნენ. ჯარების ერთი ნაწილი ციხესიმაგრის იერიშისათვის ემზადებოდა, მეორე ნაწილი კი — ოდერზე სწრაფად გაჭრისათვის. ყოველი ღონე უნდა გვეხმარა, რათა დაგვესწრო მოწინააღმდეგისათვის. ყველას ესმოდა, თუ რაოდენ ძვირფასია შეტევის სწრაფი ტემპით მოგებული ყოველი საათი ოპერაციის დასაწყისში.

26 იანვარს, როდესაც ჩვენმა მოიერიშე რაზმებმა ქალაქში

ბრძოლა გააჩაღეს, მე-4 და 28-ე გვარდიულმა კორპუსებმა პოზნანს ჩრდილოეთიდან შემოუარეს, სწრაფად წაიწიეს წინ და ორიოდე დღეში 60 კილომეტრზე მეტი გაიარეს. 28 იანვარს, საღამოსათვის ისინი სერაკუე (ტირნბაუმი)-ლევიცის ზღუდეზე გავიდნენ. პირველი გვარდიული სატანკო არმიის ნაწილები, რომლებიც გადავიდნენ ვარტაზე პოზნანის სამხრეთით (მდინარეზე გადასვლას ხელმძღვანელობდა არმიის სარდლის მოადგილე გენერალი ა. ლ. გეტმანი), წარმატებით ავითარებდნენ შეტევას ბუკსა და მედეინეცზე.

იმავე დღეს ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მოწინააღმდეგეს დასავლეთის ფრონტიდან და გერმანიის შიდა რაიონებიდან სასწრაფოდ გადმოჰყავს თავისი ნაწილები მეზერიტცკის გამაგრებულ რაიონში. აქვე, ოდერთან თავს უყრიან ჩვენი შემტევი არმიების დარტყმების შედეგად უკანდახეულ ჯარებს. 27 იანვარს ფრონტის სარდალმა ამის შესახებ ბრძანებით გვაგვაფრთხილა და მოგვთხოვა, რომ რაც შეიძლება სწრაფად წავეწია წინ ოდერისაკენ და ხელთ გვეგდო მისი დასავლეთი ნაპირი.

სწორედ აქ, ამ დღეებში პირველად გაჩნდა ოპერატიულ დოკუმენტებში სიტყვა „ბერლინი", როგორც რეალური ამოცანის შემადგენელი ნაწილი. ფრონტის სარდლის 1945 წლის 27 იანვრის ბრძანებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული: „თუ ჩვენ მდინარე ოდერის დასავლეთ ნაპირს დავიკავებთ, მაშინ ბერლინის აღების ოპერაცია საკმაოდ გარანტირებული იქნება".

გიორგი კონსტანტინეს ძე ჟუკოვს არმიაში იცნობდნენ როგორც უაღრესად რეალისტურ ადამიანს, რომელიც არ ეპიდებოდა უსაფუძვლო ოცნებებს. მის ბრძანებაში სიტყვა „ბერლინი" ,ისე ჟღერდა, როგორც მორიგი ამოცანა. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორ ავღელდით, როცა იმ დღეებში ეს ბრძანება წავიკითხეთ. ჩვენ გადავლახეთ ათასობით კილომეტრი, დავძლიეთ ცეცხლი, ყინვა, წყლის დაბრკოლებანი, ციხესიმაგრენი და ომის საბოლოო მიზნისაკენ მიმავალ პირდაპირ გზას დავადექით...

ნაბრძანები გვქონდა ყოველი არმიიდან გამოგვეყო ერთი გაძლიერებული მსროლელი კორპუსი, დამატებით მიგვეცა მის-

თვის ტანკები, თვითმავალი არტილერია, ნაღმსატყორცნთა ნაწილები და დაუყოვნებლივ გადაგვესროლა წინ იმ სატანკო ჯარებისათვის დასახმარებლად, რომლებიც ოდერს უახლოვდებოდნენ.

შეგნებული გვქონდა, რომ, თუ მოწინააღმდეგე ოდერის მისადგომებთან თავდაცვას მანამდე მოაწყობდა, სანამ ჩვენი ჯარები მეზერიტცკის გამაგრებულ რაიონს აიღებდნენ, იქ დიდი ძალ-ღონის დახარჯვა მოგვიხდებოდა. ყველაფერი დროზე იყო ღამოკიდებული!

ჩვენი მარჯვენა მეზობელი — მე-5 დამცავრელი არმია სწრაფად მიიწევდა წინ.

როგორც იქნა გამოჩნდნენ 69-ე არმიის ნაწილები. მისი ერთ-ერთი 91-ე კორპუსი გენერალ-ლეიტენანტ თ. ა. ვოლკოვის მეთაურობით 27 იანვარს საღამოთი მოვიდა პოზნანთან და გადმოვიდა ჩემს დაქვემდებარებაში ციხესიმაგრის ნაგებობათა იერიშში მონაწილეობისათვის.

ამ დროისათვის ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ქალაქის გარნიზონი ფოლკშტურმის ბატალიონებთან ერთად 60 ათასამდე კაცს ითვლიდა. შემდგომში პოზნანის კომენდანტმა გენერალმა მატერნმა დაკითხვისას თქვა, რომ ქალაქის გარნიზონს შეადგენდა ორი იუნკერთა სკოლა, საიერიშო ქვემესთა სათადარიგო სასწავლო დივიზიონი, შინაგანი დაცვის თერთმეტი ბატალიონი, აეროდრომის მომსახურების ნაწილები, სასწავლო ავიაპოლკი, ოფიცერთა ორი სკოლა, მესანგრეთა ორი ბატალიონი, ადგილობრივი ესესელებით დაკომპლექტებული საბრძოლო ჯგუფი „ლენცერი", შვებულებაში მყოფი ჯარისკაცებისა და წინა ბრძოლებში განადგურებული მე-10 მოტორიზებული, 251-ე, მე-6 და 45-ე ქვეითი დივიზიების ჯარისკაცებისაგან შედგენილი ჩვიდმეტი ასეული. მთელ ამ დაჯგუფებას პოლკოვნიკი კონელი მეთაურობდა. მან გარნიზონი ჩაიბარა პოლიციის გენერალ-მაიორ მატერნისაგან, რომელიც ამ თანამდებობიდან გადააყენეს საბრძოლო გამოცდილების უქონლობის გამო. მატერნი პოზნანში დარჩა და ციხესიმაგრის ახალ კომენდანტს ეხმარებოდა. პოზნანის სიმაგრეებთან ჩვენი გამოჩენის წინ კონელმა გენერლის ჩინი მიიღო.

ქალაქის ირგვლივი თავდაცვა ოთხ უბნად იყოფოდა — „აღმოსავლეთი“, „სამხრეთი“, „დასავლეთი“ და „ჩრდილოეთი“. აღმოსავლეთ უბანს თვითონ კონელი მეთაურობდა, სამხრეთისას — მაიორი ჰოლდფელდი, დასავლეთისას — მე-5 ოფიცერთა სკოლის უფროსის ყოფილი მოადგილე მაიორი ეევერესტი, ჩრდილოეთისას — მაიორი შრეზი.

ხელში ჩაგდებული გერმანელთა ოპერატიული რუკისა და ტყვეთა ჩვენებით დავადგინეთ, რომ ყოველი უბანი იყოფოდა 4—5 ქვეუბნად, რომელთა თავდაცვის ცენტრში ციხესიმაგრის ერთი-ორი ფორტი იყო.

ასრულებდა რა ჰიტლერის ნებას, გარნიზონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ქალაქი შეენარჩუნებინა უკანასკნელ ჯარისკაცამდე. ფორტების ხანგრძლივი საცეცხლე წერტებისა და ძელმიწურების გარდა ქუჩის ბრძოლებისათვის ამზადებდნენ საცხოვრებელ სახლებსა და სხვა ნაგებობებს.

ქალაქში მრავლად იყო იარაღის, სხვადასხვა საომარი მასალებისა და სურსათის საწყობები, რაც საშუალებას აძლევდა გარნიზონს ხანგრძლივი ბრძოლა ეწარმოებინა მთლიანი ალყის პირობებში.

ჰიტლერის ბანაკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოზნანის, შნაიდემიულისა და ბრესლაუს შენარჩუნებას, რადგან ისინი, როგორც სტრატეგიული პუნქტები, იცავდნენ გერმანიის სილრმისაკენ მიმავალ ოპერატიულ მიმართულებებს.

გერმანელმა სამხედრო სპეციალისტებმა ციხესიმაგრე თანამედროვე ომის ტაქტიკას შეუხამეს და ქალაქის გარშემო იმ ადგილებში, საიდანაც ტანკების შემოჭრის საფრთხე იყო მოსალოდნელი, ამოთხარეს ტანკსაწინააღმდეგო თხრილები, შექმნეს საველე საცეცხლე პოზიციები, რომელთა ცეცხლის არეში მოქცეული იყო გზები და ტანკსაწინააღმდეგო თხრილების მისადგომები. მოწინააღმდეგემ გზების გასწვრივ მოაწყო ჭადრაკისებურად განლაგებული საცეცხლე წერტილები, სადაც დადგეს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები და დაზგის ტყვიამფრქვევები. მაგალითად, კურნიკ-პოზნანის გზატკეცილის ოთხკილომეტრიან უბანზე აღმოვაჩინეთ ტყვიამფრქვევის 40-მდე ბუდე. ამ ბუდეების უკან მოწყობილ საცეცხლე პოზიციებზე განლაგე-

ბული ჰქონდათ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, რომლებსაც ირგვლივ სროლა შეეძლოთ.

ყველა საველე ნაგებობა ცეცხლის საერთო სისტემით დაკავშირებული იყო ქალაქის გარშემო განლაგებულ ციხესიმაგრის ფორტებთან. ფორტი წარმოადგენდა მიწისქვეშა ნაგებობას, რომელიც ზედაპირზე თითქმის არ ჩანდა. თითოეულ ფორტს გარშემოვლებული ჰქონდა 10 მეტრი სიგანისა და 3 მეტრამდე სიღრმის თხრილი, აგურით ნაშენი კედლებით, რომლებშიც სათოფურები იყო დატანებული ფრონტალური და ფლანგური სროლისათვის.

ფორტებს ჰქონდათ აგურის 0,8—1 მეტრი სიგანის კამაროვანი გადახურვა, რომელიც 4 მეტრამდე სისქის მიწაყრილით იყო დაფარული. კედლებში დატანებული იყო ამბრაზურები და სათოფურები, მიწაყრილზე მოეწყოთ რკინა-ბეტონის ხანგრძლივი საცეცხლე წერტები და ჯავშანხუფები. ფორტებს შიგნით მოწყობილი საერთო საცხოვრებლები იტევდნენ ერთი ასეულიდან ერთ ბატალიონამდე გარნიზონებს, კამაროვანი სათავსების რიგი განკუთვნილი იყო საომარი მასალების, სურსათისა და სხვა ქონების შესანახად. ყველა ფორტს ჰქონდა არტეზიული ჭები და გათბობისა და განათების მოწყობილობა.

თუ ვიმსჯელებთ ჩვენი ჯარების მიერ პოზნანის სამხრეთ და დასავლეთ გარეუბნებში დაკავებული ფორტების კონსტრუქციის მიხედვით, მოწინააღმდეგეს შეეძლო ჩვენს წინააღმდეგ გამოეყენებინა ყველა საცეცხლე საშუალება როგორც ნაგებობანი მისადგომებთან, ისე მათ შიგნით. პოზნანის ფორტებიდან ყველაზე დიდი იყო ციტადელი, რომელსაც არასწორი ფორმის ხუთკუთხა სახე ჰქონდა და ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. მას შეეძლო ერთ დივიზიამდე გარნიზონი დაეტია.

ციტადელის კედლებისა და გადახურვის სისქე 1,8—2 მეტრამდე აღწევდა. ციტადელს პერიმეტრით გარშემოვლებული ჰქონდა თხრილი და პატნეზი. ყოველ კუთხეში იყო ციხესიმაგრის ნაგებობანი — რედუტები და რაველინები. ციხესიმაგრის შიგნით იყო მთელი რიგი მიწისქვეშა სადგომები და გალერე-

ები, ერთსართულიანი და ორსართულიანი შენობები საწყობებისა და თავშესაფრებისათვის.

თხრილის განივი კვეთი ცალკეულ უბნებზე სხვადასხვა იყო. მისი სიგანე 8—20 მეტრს შეადგენდა, სიღრმე კი 7 მეტრამდე აღწევდა. თხრილის კიდეები გამაგრებული იყო ნახევარი მეტრი სისქის აგურის კედლებით.

შენობების, გოდოლების, რედუტებისა და რაველინების კედლებში დატანებული სათოფურებისა და ამბრაზურების თვალთახედვის არეში მოქცეული იყო თხრილის მთელი წინა მხარე, მისი მისადგომები და აქედან შეიძლებოდა როგორც ფრონტალური, ისე ფლანგური ცეცხლის გახსნა.

ამ ფორტის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობდა თაეისუფალი ეზო (5—6 მეტრ სიღრმეზე) შინაგანი მიმოსვლისათვის, რომელიც გარედან არ ჩანდა. ამ ფორტის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენდა ის, რომ იქ, ფორტის ზევით შეიძლებოდა ქვემეხების დადგმა, ამასთან მათ მისატანად სპეციალური ესტაკადები იყო მოწყობილი. ელექტროენერგიას აწვდიდნენ სპეციალური ძრავები. გარნიზონებს თავიანთ განკარგულებაში ჰქონდათ მძლავრი რადიოსადგურები.

შემტევი ჯარების ფორტთან 700—800 მეტრ დისტანციაზე მიახლოებისას ქვემეხების საცეცხლე პოზიციებს შორის არსებული თავისუფალი ადგილები შეეძლოთ დაეკავებინათ მეტყვიამფრქვეველთა ქვეგანაყოფებს. ფორტის მახლობლად მოწყობილი იყო ჯავშანხუფებით დაფარული მრავალი საცეცხლე წერტი. ომის დროს გერმანელებმა იქ ააგეს 160 მეტრი სიგრძის აგურის კედლით ერთმანეთთან შეერთებული ორი ხანგრძლივი საცეცხლე წერტის სისტემა. კედელში დატანებული იყო 24 ამბრაზურა ტყვიამფრქვეველების, ავტომატებისა და შაშხანებისათვის.

ქალაქის საჰაერო თავდაცვისათვის მომზადებული იყო საზენიტო ქვემეხების, მომსახურე პერსონალისა და საომარი მასალებისათვის განკუთვნილი საიმედო თავშესაფრებით აღჭურვილი რკინა-ბეტონის 18 მოედანი.

მოწინააღმდეგემ თავდაცვისათვის მოამზადა აგრეთვე ქალაქის ზოგიერთი აგურის შენობა, საიდანაც ირგვლივ ყველა-

ფერი ჩანდა. ნახევრადსარდაფებისა და პირველი სართულის ფანჯრები ამოქოლილი იყო სილიანი ტომრებით, დატოვებული იყო მხოლოდ სათოფურები სროლისა და თვალთვალისათვის. ზემო სართულებზე განლაგდნენ მეტყვიამფრქვეველები, მეავტომატენი და ფაუსტპატრონების მსროლელნი.

ჰიტლერელებმა ქალაქის თითქმის ყველა მოედანი და პარკი საარტილერიო პოზიციების მოსაწყობად გამოიყენეს.

მკითხველის ყურადღება ამ დაწვრილებით ამბებზე იმიტომ შევაჩერე, რომ მისთვის ნათელი გამეხადა, თუ რა დაბრკოლებანი უნდა გადაელახათ ჯარებს, რომლებიც ქალაქს უტევდნენ.

2

ამგვარად, 26 იანვარს დაიწყო გააფთრებული, სისხლისმღვრელი ბრძოლა ამ ციხესიმაგრისათვის, მის მისადგომებთან განლაგებული თითოეული საცეცხლე წერტილისათვის.

ჩვენი დაზვერვა თავს არ იზოგავდა, მოწინააღმდეგის შესახებ ყველაფერი რომ გაეგო — როგორ იყო მოწყობილი საფორტიფიკაციო ნაგებობანი, საცეცხლე საშუალებათა განლაგება და მათი ცეცხლის მიმართულება, წინააღმდეგობის კვანძების ფარული მისასვლელები, საინჟინრო დაბრკოლებათა ხასიათი, მდინარე ვარტაზე არსებულ გადასასვლელთა მდგომარეობა, ალყაშემორტყმული გარნიზონის განწყობილება.

იერიშში მონაწილე დივიზიებსა და პოლკებში მოვაწყეთ ოფიცერთა სათვალთვალო პოსტები. ცალკეული სპეციალური ამოცანების შესასრულებლად ვაგზავნიდით მზვერავთა და მესანგრეთა ჯგუფებს.

მესანგრეებმა უმცროს სერჟანტ ერემენკოს მეთაურობით დაზვერეს ციხესიმაგრის წრიული თხრილი და სანგრები, განსაზღვრეს მათი ზომები და კონფიგურაცია, აგურის კედლების სისქე. გამოარკვიეს, რომ მოწინააღმდეგეს აეფეთქებინა ციტადელის მთავარ შესასვლელთან თხრილზე გადებული რკინაბეტონის ხიდის ერთი მალი (ჩვენ ვაპირებდით ამ ხიდის გამოყენებას).

მოპოვებული სადაზვერვო მონაცემების საფუძველზე შემუშავებულ იქნა იერიშის გეგმა. საერთო იერიში დაიწყო 26 იანვრის დილით. მთავარ დარტყმას ახორციელებდნენ 27-ე და 74-ე გვარდიული მსროლელი დივიზიები სამხრეთიდან. როგორც ტყვეებმა დაკითხვისას განაცხადეს, ეს დარტყმა მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელი იყო. ამის შედეგად ორი სამხრეთი ფორტი ვარტის დასავლეთ ნაპირზე ჩვენს ხელში აღმოჩნდა, რამაც საშუალება მოგვცა ფორტების რკალში შეგვეყვანა ჯარები ტანკებითურთ და მოწინააღმდეგეზე იერიში მიგვეტანა ზურგიდან, უფრო სწორად, მისი ფორტების შიდა მხრიდან. სამხრეთ სექტორში მოპოვებული წარმატება უზრუნველყოფდა ვარტაზე სატანკო არმიის გადაყვანის უსაფრთხოებას და იცავდა 29-ე გვარდიული მსროლელი კორპუსის კომუნიკაციებს.

39-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის ნაწილების მიერ ჩრდილოეთიდან მიტანილ იერიშს რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არ მოჰყოლია.

ჩვენ ქალაქზე დასავლეთიდან არ მიგვქონდა იერიში. შეგნებულად დავტოვეთ გასასვლელი იმ იმედით, რომ მოწინააღმდეგე ამით ისარგებლებდა და ციხესიმაგრიდან გამოსელას დაიწყებდა. მაგრამ ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა: მტერი არ აპირებდა ქალაქის დატოვებას. ჩვენ მივხვდით, რომ პოზნანისათვის ბრძოლა დიდხანს გაგრძელდებოდა. საჭირო გახდა შეგვეცვალა წყობა, აღგვედგინა სტალინგრადული მოიერიშე ჯგუფები და რაზმები.

მოიერიშე ჯგუფებში შესულ მსროლელებს, მესანგრეებს, ცეცხლმტყორცნელებს, მზვერავებს, ტანკისტებსა და არტილერისტებს დაკისრებული ჰქონდათ სპეციფიკური ამოცანები და მჭიდრო ურთიერთმოქმედებით სპობდნენ მტრის წინააღმდეგობის ამა თუ იმ კერას.

28 იანვარს იერიში განვაახლეთ. გარდა მე-8 გვარდიული არმიის ოთხი დივიზიისა და დამატებითი საშუალებებისა, იერიშში მონაწილეობდა ორი დივიზია, რომლებიც ჩემს დაქვემდებარებაში გადმოვიდნენ 69-ე არმიიდან.

იმისათვის, რომ თავიდან აგვეცილებინა ზედმეტი დანაკარ-

გები, ჰიტლერელებს წავუყენეთ შემდეგი შინაარსის ულტიმატუმი:

„ქალაქ პოზნანის ალყაშემორტყმული გარნიზონის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს. ქალაქი პოზნანი ალყაშემორტყმულია და თქვენ ვერ გააღწევთ მანდედან. მე, გენერალი ჩუიკოვი, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ დაყაროთ იარაღი და ტყვედ დაგვნებდეთ. მე გაძლევთ იმის გარანტიას, რომ შეგინარჩუნებთ სიცოცხლეს და სამშობლოში დაგაბრუნებთ ომის დამთავრების შემდეგ. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ განადგურებული იქნებით და თქვენთან ერთად თქვენივე მიზეზით დაიღუპება ქალაქ პოზნანის მრავალი მცხოვრები.

აღმართეთ თეთრი ალმები და გაბედულად გამოეშურეთ ჩვენი ჯარების მიმართულებით.

გენერალი ჩ უ ი კ ო ვ ი“.

მოწინააღმდეგემ თეთრი ალამი არ აღმართა. საჭირო გახდა მისი დარწმუნება იარაღის ძალით. არტილერია და ავიაცია ურტყამდნენ ციხესიმაგრის ნაგებობებს (ქალაქის შენობებისათვის ხელი არ გვიხლია). ტანკები მსროლელ ქვეგანაყოფებთან ერთად მოქმედებდნენ. ჩვენ არ ვიშურებდით ყუმბარებს ხელთ ჩაგდებული ნადავლის მარაგიდან. ციტადელის ფორტის ყველა მიწისზედა ნაგებობა აღიგავა პირისაგან მიწისა. ფორტების გარნიზონები მიწისქვეშა კაზემატებში შეიმალნენ.

ჩვენმა მოიერიშე ჯგუფებმა და რაზმებმა დამატებით მიიღეს 152 და 203 მილიმეტრი კალიბრის მძიმე ქვემეხთა ბატარეები.

მებრძოლთა უმრავლესობამ, კერძოდ, მესანგრეებმა ხელთ იგდეს ნადავლი იარაღი — ფაუსტპატრონები, რომლებსაც წარმატებით იყენებდნენ როგორც ქუჩის ბრძოლებში, ისე წინააღმდეგობის კერების ლიკვიდაციისას. ერთ-ერთი ფორტის იერიშის დროს ჩვენმა მესანგრეებმა ფაუსტპატრონები ისროლეს სავენტილაციო ხვრელებში. აფეთქებით დაინგრა სავენტილაციო არხების ტიხარები. ამის შემდეგ ხვრელებში ჩაახხეს აალებადი სითხე და ცეცხლი გაუჩინეს. ამ გზით გამოწვეულმა ხანძარმა ფორტი აიძულა კაპიტულაცია მოეხდინა.

ბონინის ფორტისათვის ბრძოლას აწარმოებდა მოიერიშე ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ არასრული შემადგენლობის მსროლელი ასეული, 82-მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნების ასეული, მესანგრეთა ასეული, ქიმიკოს-მეკვამლეთა ათეული, ორი ტანკი ტ-34 და 152-მილიმეტრიანი ქვემეხების ბატარეა.

ფორტის საარტილერიო დამუშავების შემდეგ მოიერიშე ჯგუფი კვამლის საფარის დახმარებით ცენტრალურ შესასვლელში შეიჭრა. მან შეძლო დაუფლებოდა ორ ცენტრალურ ჭიშკარს და ერთ-ერთ კაზემატს, რომელიც ამ ჭიშკრების მისასვლელს იცავდა. მოწინააღმდეგემ სხვა კაზემატებიდან შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ძლიერი ცეცხლი გახსნა, გამოიყენა აგრეთვე ფაუსტპატრონები, ხელყუმბარები და იერიში მოიგერია.

ჩვენ მაშინვე მივხვდით, რა იყო მარცხის მიზეზი. თურმე ფორტზე იერიში მიიტანეს მხოლოდ მთავარი შესასვლელის მხრიდან და მოწინააღმდეგე არ შეუბოჭავთ სხვა მიმართულებით. ამან მას შესაძლებლობა მისცა ერთ ადგილზე მოეყარა თავი მთელი თავისი ძალებისათვის. გარდა ამისა, პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ფორტების იერიშისათვის 152-მილიმეტრიანი ქვემეხების კალიბრი აშკარად საკმარისი არ იყო.

მეორე იერიში ფრონტის მძიმე ქვემეხებით დამუშავების შემდეგ დაიწყო. ქვემეხები ბეტონმსხვრევე ყუმბარებს ისროდნენ. მოიერიშე ჯგუფი მოწინააღმდეგეს სამი მხრიდან მიადგა. არტილერია იერიშის დროსაც ურტყამდა ამბრაზურებსა და გადარჩენილ საცეცხლე წერტებს. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგემ კაპიტულაცია მოახდინა.

ჩვენი ჯარების წინსვლას ძალიან აფერხებდა მძლავრი ხანგრძლივი საცეცხლე წერტი. მისი მოსპობა დაევალა მესანგრეთა ჯგუფს, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი პროსკურინი მეთაურობდა. ხელყუმბარებითა და ფეთქადი ნივთიერებებით შეიარაღებული მესანგრეები ხოხვით გაემართნენ საცეცხლე წერტისაკენ. მათ იფარავდა მსროლელი ასეული, რომელიც ტანკსაწინააღმდეგო თოფებისა და ხელის ტყვიამფრქვევების ცეცხლს უშენდა ამბრაზურებს.

პროსკურინმა და მისმა ხელქვეითებმა სწრაფად მიაღწიეს

ხანგრძლივ საცეცხლე წერტს, მაგრამ მისმა გარნიზონმა ვისკენ გამოიწვია არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი. ჩვენი მებრძოლები არ შედრკნენ. ნაღმის ნამსხვრევების სეტყვაში მესანგრეები ახლოს მივიდნენ საცეცხლე წერტთან და ამბრაზურასთან 50 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება ჩადეს. აფეთქების ტალღამ დაარეტიანა ფაშისტები. მესანგრეები ხანგრძლივ საცეცხლე წერტში შეიჭრნენ. ხანმოკლე შეტაკების შემდეგ მტრის გარნიზონი განადგურებულ იქნა.

ბრძოლის მსვლელობაში სხვადასხვანაირად ვაწარმოებდით თავდაცვისათვის მომზადებულ საქალაქო შენობების იერიშს. ამ მხრივ ყველაზე ტიპიურად შეიძლება ჩაითვალოს იერიში გესტაპოს შენობაზე, რომელიც კარგად იყო გამაგრებული და რომელსაც განსაკუთრებული შეუპოვრობით იცავდნენ ჰიტლერელი ავაზაკები. მოიერიშე ჯგუფი ლეიტენანტ ბილიევის მეთაურობით, ქუჩის ბრძოლას რომ აწარმოებდა, ფარულად მიუახლოვდა გესტაპოს შენობას და უეცარი იერიშით დაიკავა მისი ერთი ნაწილი. შენობაში ბრძოლა გაიმართა. მოწინააღმდეგის გარნიზონი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა მოიერიშე ჯგუფს და შენობის მთლიანად დაკავების ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ბატალიონის მეთაურმა, რომელიც მოიერიშე რაზმს ედგა სათავეში, ბრძანება გასცა შენობა აეფეთქებინათ. მოიერიშე ჯგუფის შემადგენლობაში მყოფმა ექვსმა მესანგრემ ფეთქებადი 75 კილოგრამი წონის ასაფეთქებელი მუხტით ქვედა სართული ააფეთქა. აფეთქებამ სარდაფის ჭერი და ქვედა სართულის შიდა კედლები ჩამოანგრია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სარდაფსა და ზედა სართულებზე ჩასაფრებული მოწინააღმდეგე კვლავ შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. მაშინ გადაწყვიტეს განმეორებით მოეხდინათ აფეთქება. მესანგრეებმა მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ შენობასთან მიიტანეს 175 კილოგრამი ფეთქებადი ნივთიერება და ქვედა სართული სხვადასხვა ოთახში მოთავსებული ორი თავმოყრილი ასაფეთქებელი მუხტით ერთდროული აფეთქება მოახდინეს. ამ აფეთქებამ შენობა დაანგრია და მთლიანად მოსპო ესესელ ავაზაკთა გარნიზონი.

ამ მოიერიშე ჯგუფის წარმატება მსროლელთა და მესან-

გრეთა, აგრეთვე სხვა გვარეობის ჯარის ნაწილების კარგად ორგანიზებული ურთიერთმოქმედით იქნა მიღწეული.

მოვიტან სხვა მაგალითს. 83-ე გვარდიული მსროლელი ბოლკის მოიერიშე ჯგუფს მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული სახლის კედელში გასასვლელი უნდა გაეკეთებინა. ამ სახლის კარებისა და ფანჯრების მისადგომები მიზანში ჰქონდათ ამოღებული მეზობელ სახლში ჩასაფრებულ ჰიტლერელებს.

მოიერიშე ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაში მესანგრეებიც შედიოდნენ, სარდაფიდან შეაღწიეს მეზობელ სახლში, რომელიც მოწინააღმდეგეს არ ჰქონდა დაკავებული. მესანგრეებმა 35 კილოგრამი წონის ფეთქებადი ნივთიერების მუხტით გასასვლელი გააკეთეს ამ სახლის ყრუ კედელში, სახლისა, რომელსაც მტრის ტყვია ვერ სწვდებოდა. მოიერიშე ჯგუფი კვამლის საფარქვეშ ამ გასასვლელით მიადგა მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული სახლის ყრუ კედელს და 40-კილოგრამიანი მუხტით გაანგრია იგი. ხელყუმბარებით შეიარაღებული ჩვენი ჯარისკაცები სწრაფად შეიჭრნენ კედელში წარმოქმნილ ხვრელში და მოწინააღმდეგე სახლიდან განდევნეს, ამასთან ტყვედ ჩაიგდეს 41 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ყოველივე ამის შედეგად დაირღვა მოწინააღმდეგის საცეცხლე ურთიერთმოქმედება, ჩვენმა ჯარის ნაწილებმა შესაძლებლობა მიიღეს მეზობელ სახლებში შეეღწიათ და მოკლე ხანში მტრისაგან გაწმინდათ მთელი კვარტალი.

5 თებერვლისათვის მოიერიშე ჯგუფებმა მთლიანად გაწმინდეს მოწინააღმდეგისაგან ქალაქის საცხოვრებელი რაიონები. ციტადელი, რაიონის (შულინგი) აღმოსავლეთი ნაწილი, ხვალიშჩევო და გლოვნო ჯერ კიდევ ალყაში იყო. იმ დღეს 39-ე გვარდიული მსროლელი დივიზია პოზნანისათვის გამართული ბრძოლებიდან გამოვიყვანე და გავგზავნე ოდერზე 28-ე კორპუსში, რომელიც ბრძოლას აწარმოებდა მდინარის დასავლეთ ნაპირზე პლაცდარმის დაკავებისათვის.

ამავე დროს შნაიდემიულის სიმაგრის რაიონში, სადაც ჩვენი მარჯვენა მეზობელი — 61-ე არმია მოქმედებდა, მოწინააღმდეგის ალყაშემორტყმულმა გარნიზონმა შუაღამისას მოულოდნელად მთელი ძალებით შეუტია გარემომცველ ჯარებს. ამ გა-

მოხდომის სალიკვიდაციოდ მე-8 გვარდიული არმიიდან გამოვყავით მე-11 სატანკო ბრიგადა და ჩვენი მარჯვენა მეზობლის დასახმარებლად გადავისროლეთ. მოწინააღმდეგის პოზნანის გარნიზონის მიერ მსგავსი ცდების განმეორების აღკვეთის მიზნით გავაძლიერეთ მოიერიშე ჯგუფების მოქმედება ღამით, ხოლო ფორტებისა და რაველინების გამოსასვლელები არტილერიის ძლიერი ცეცხლით გადავკეცეთ.

12 თებერვლის შემდეგ მთავარი ყურადღება ციტადელს — პოზნანის გარნიზონის თავდაცვის ცენტრს დაეთმო. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ჩვენი ნაწილები ამ ცენტრს, მით უფრო ძლიერდებოდა მტრის წინააღმდეგობა. ზოგიერთმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს: რა საჭირო იყო ასეთი შეუპოვარი ბრძოლა ციტადელისათვის, განა არ აჯობებდა მოეხდინათ მისი ბლოკირება და ილაჯგაწყვეტილი გარნიზონი თვითონვე დანებდებოდაო. ციტადელის მახლობლად იმყოფებოდა რკინიგზის კვანძი, რომელიც უაღრესად საჭირო იყო ფრონტის მთელი ჯარების მომარაგებისათვის. ამიტომ ციტადელის იერიში გრძელდებოდა იქ მყოფი მოწინააღმდეგის ძალების სრულ მოსპობამდე. აქამდე ჩვენს ჯარებს ძირითადად საქმე ჰქონდათ მოწინააღმდეგის იმ ქვეგანაყოფებთან და ნაწილებთან, რომლებიც ვისლიდან უკანდახევის შემდეგ შეჩერდნენ პოზნანის ციხესიმაგრეში. მიუხედავად სიმაგრეთა სიმტკიცისა, ეს ნაწილები ვერ უძლებდნენ ჩვენი მოიერიშე ჯგუფების დარტყმებს. მაგრამ, როდესაც ჩვენმა ნაწილებმა გარე ფორტები დაიკავეს და ციტადელს მიადგნენ, მტრის წინააღმდეგობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ციხესიმაგრის ალყაშემორტყმული გარნიზონი განწირულთა გააფთრებით იბრძოდა.

თვით ციტადელში დაახლოებით 12 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი იყო თავშეფარებული, რომლებსაც სათავეში ედგა ორი კომენდანტი — ექსკომენდანტი გენერალი მატერნი და პირწავარდნილი ნაცისტი გენერალი კონელი.

ციტადელი გორაკზე იდგა და მთელ ქალაქს გადმოჰყურებდა. ფორტები და რაველინები სამმეტრიანი მიწის ფენით იყო დაფარული.

შიდა ფორტებისა და რაველინების მისადგომებს ფართო

და ღრმა თხრილი ჰქონდა გარსშემოვლებული. ამ თხრილს ცეცხლით იცავდნენ ფლანგების კაზემატებიდან, რომელთა სათოფურები მოიერიშეთა მხრიდან არ ჩანდა.

თხრილის კედლები 5—8 მეტრ სიმაღლეზე ბეტონით იყო ამოშენებული. ტანკებს ამ დაბრკოლების გადალახვა არ შეეძლოთ. მათ ზძიმე ქვემეხები დაახმარეს. ისინი სამასი მეტრი მანძილიდან ესროდნენ ციტადელს. მაგრამ 203-მილიმეტრიანი ყუმბარებიც კი ციტადელის კედლებს დიდს ვერაფერს აკლებდნენ, ხოლო ფორტებისა და კაზემატების გადახურვის მიწაყრილში მოხვედრისას მხოლოდ ღრმა ორმოებს ტოვებდნენ.

მე უკვე მოგახსენეთ იმაზე, რომ განწირულთ ყველა შემთხვევაში სიკვდილი ელოდათ. ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, თუ როგორ უსწორდებოდნენ ნაცისტები იმათ, ვინც ცდილობდა გონიერებისათვის მოეხმო. განსაკუთრებით შემაძრწუნა ერთმა ეპიზოდმა და მის შესახებ არ შემიძლია არ მოგითხროთ.

ეს ასე მოხდა. იმისათვის, რომ თვალყური გვედევნებინა, თუ რა შედეგები მოჰქონდა ციტადელისათვის ყუმბარების დაშენას და როგორ მოქმედებდნენ მოიერიშე ჯგუფები, ჩვენი სათვალთვალო პუნქტი ბრძოლის ადგილს მივუახლოვეთ და საქალაქო თეატრის ზედა სართულზე მოვთავსდით. ჩემთან ერთად იყვნენ კორპუსის მეთაური გენერალი შემენკოვი და ჩემი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი დუხანოვი. ჩვენ დავინახეთ, რომ სიმაგრის შიდა მიწაყრილზე თხრილს იქით გამოჩნდა გერმანელთა დიდი ჯგუფი, რომლებსაც თეთრი ალმები აღემართათ. ისინი იარაღს ყრიდნენ და ამით გვანიშნებდნენ, რომ ტყვედ გვნებდებიან. როდესაც ჩვენმა მებრძოლებმა გაიგეს რაში იყო საქმე, მაშინვე შეწყვიტეს სროლა. ერთბაშად შევამჩნიეთ, რომ მიწაყრილზე მდგომმა გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფმა შეთხელება იწყო. გერმანელები ძირს ეცემოდნენ და იქვე თხრილში ვარდებოდნენ. მალე მთელი მიწაყრილი დაცარიელდა.

ჩემი ვარაუდი გამართლდა. ჯარისკაცები, რომლებმაც ტყვედ დანებება გადაწყვიტეს, კაზემატების სათოფურებიდან დახვრიტეს თავისმავე ოფიცრებმა.

ამ შემთხვევამ დაგვანახა, რომ ციხესიმაგრის გარნიზონში პირწავარდნილი ფაშისტები არიან, რომლებიც ხანგრძლივ და

გააფთრებულ წინააღმდეგობას გაგვიწევენ. ნაწილების მეთაურები შევკრიბე და ვუბრძანე ციტადელის გადამწყვეტი იერიშისათვის მომზადებულიყვნენ.

ჩვენი ჯარები, რომლებიც დასავლეთისაკენ მიიწევდნენ, ამ დროისათვის უკვე ოდერზე აწარმოებდნენ ბრძოლებს. ჩვენ არ შეგვეძლო ზურგში დაგვეტოვებინა მოწინააღმდეგის მძლავრი საყრდენი პუნქტი. ვითარება პოზნანის გარნიზონის საბოლოო განადგურებას მოითხოვდა. რკინიგზისა და გზატკეცილების კვანძი პოზნანი მოწინააღმდეგის ხელში დიდხანს თუ დარჩებოდა, ამას შეეძლო ძალიან გაერთულებინა საომარი მასალებისა და საწვავის მიტანა ოდერზე. ჯარების მართვაც ძნელდებოდა. მე და არმიის შტაბის მუშაკებს კვირაში ორ-სამჯერ გეიხდებოდა გვემოგზაურა მარშრუტით — პოზნანი-ოდერი-პოზნანი.

ჩვენი ნაწილები რამდენიმე დღის განმავლობაში აწარმოებდნენ ქუჩის ბრძოლებს. საჭირო ხდებოდა ჰიტლერელთა გამოდევნა ყოველი სახლიდან. აქ ძალიან გამოგვადგა ვოლგაზე გამართულ ბრძოლებში დაგროვილი გამოცდილება.

ჩვენი მოიერიშე ნაწილები და ქვეგანაყოფები რაც უფრო ღრმად იჭრებოდნენ ქალაქში და უახლოვდებოდნენ ციტადელს, მით უფრო გააფთრებით იცავდნენ თავს მოწინააღმდეგის ნაწილები, მით უფრო შეუპოვარი ხდებოდა ბრძოლა. ჩვენი ჯარები გმირულად იბრძოდნენ. მადლიერების გრძნობით მინდა გავიხსენო მე-8 გვარდიული არმიის დასახმარებლად გამოყოფილი სატანკო ნაწილები, კერძოდ 259-ე ცალკეული სატანკო პოლკი მაიორ ი. ს. ივანოვის მეთაურობით. იერიშის დაწყებიდანვე ტანკისტები მჭიდროდ ურთიერთმოქმედებდნენ ქვეით ჯარსა და არტილერიასთან, გვიჩვენებდნენ გმირობის, შეუპოვრობისა და გამჭრიახობის ნიმუშებს. მათ შეიმუშავეს და გამოიყენეს ბრძოლის ახალი ხერხები. მაგალითად, ქუჩის ბრძოლებში ტანკები წყვილ-წყვილად უტევდნენ. ქუჩის მარჯვენა მხარეზე მიმავალი ტანკი მარცხენა მხარეს მდებარე მიზანს ურტყამდა და პირიქით.

როდესაც საჭირო ხდებოდა ცეცხლქვეშ ჩვენი ქვეითი ქვე-

განაყოფების გადაადგილება, ტანკები ორ მწკრივად ეწყობოდნენ და თავიანთი კორპუსებით ქმნიდნენ დერეფანს, რომელშიც ქვეითნი გადიოდნენ. ამრიგად, ტანკების ჯავშანი და მათი არტილერია ეხმარებოდნენ ქვეით ნაწილებს მცირე დანაკარგებით წინ წაეწიათ მოწინააღმდეგის ცეცხლქვეშ.

ასეთი ხერხები არც ერთ წესდებაში არ არის ჩაწერილი. ისინი უშუალოდ ბრძოლის დროს წარმოშვა ჩვენი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გონებამახვილობამ. მეთაურები, პოლიტიკური და შტაბის მუშაკები სწრაფად ეხმაურებოდნენ ჯარისკაცური გამჭრიახობის ამ ნაყოფს და ბრძოლის ახალ ხერხებს ყველა ქვეგანაყოფებისათვის ხელმისაწვდომად ხდიდნენ. ამ მიზანს ემსახურებოდა აგიტატორთა საუბრებიც, საბრძოლო ფურცლებიც, გაზეთიც.

ჩვენს ხელთ არსებული ცნობებით, ციტადელის გარნიზონს თვენახევარ-ორი თვის წყლის, სურსათისა და მედიკამენტების მარაგი ჰქონდა. ფორტის ხშირი იერიშები მხოლოდ ზედმეტ მსხვერპლს გამოიწვევდა. ამიტომ გადაწყდა ჯარებისათვის დასვენების საშუალება მიგვეცა, მოგვეზიდა მასალები არტილერიისა და ავიაციისათვის, არტილერია და მძიმე ტანკები ისე განგველაგებინა, რომ მათ სათოფურებისათვის პირდაპირი დამიზნებით სროლის საშუალება ჰქონოდათ.

ვამზადებდით საიერიშო კიბეებს, ბოგირებსა და მანქანებს თხრილის გადალახვისათვის. არტილერისტებმა გამოიყენეს სამამულო წარმოების მსხვილი კალიბრის ყუმბარები და ძლიერი საცეცხლე თავდასხმა მოახდინეს. მათ შეძლეს ციხესიმაგრის პატნეზის აგურის კედლის შენგრევა. მაშინვე გაიცა ბრძანება პირდაპირი დამიზნების ცეცხლით გაფართოებულიყო შენგრეული ადგილი. მალე კედელში გაჩნდა ხუთმეტრიანი გასასვლელი. თხრილის გარე მხრიდან ინჟინრებმა გამონგრეულ ადგილას ჩააწყვეს მძლავრი ფუგასური ბომბები, რათა აფეთქებით კედელი თხრილში ჩაქცეულიყო და წარმოქმნილი მიწაყრილით ციტადელში ტანკებსა და თვითმავალ ქვემეხებს შეეღწიათ.

საერთო იერიში 1 თებერვლისათვის დაინიშნა.

მკითხველმა ნაწილობრივ მაინც რომ წარმოიდგინოს ის სიძნელეები, რომელთა გადალახვა მოუხდა ჩვენს ჯარებს, რამდენიმე მაგალითს მოვიტან.

მესანგრეთა ჯგუფს უმცროს ლეიტენანტ გუძევის მეთაურობით ნაბრძანები ჰქონდა უზრუნველეყო ქვეითი ნაწილების გადასვლა თხრილზე მთავარი შესასვლელის დასავლეთ კოშკსა და № 1 რედუტს შორის. მესანგრეებმა მომაკვდინებელ ცეცხლქვეშ მოიტანეს საიერიშო კიბეები. რიგითმა ჯარისკაცებმა ვოზნიმ, კაზორამ, მასტავენკომ, აკულინიჩევმა, დობრიჩევმა, სმირნოვმა და ზუბკოვმა ცეცხლი წაუკიდეს მოკლე ცეცხლგამჩენ მილაკებს და თხრილში ხუთკილოგრამიანი მუხტები ჩაყარეს. ექვსიოდე აფეთქების შემდეგ ამბრაზურები ჩაჩუმდნენ. თხრილში სასწრაფოდ ჩაუშვეს კიბეები. მათი მეშვეობით მესანგრეებმა გადალახეს დაბრკოლებანი. მათ მიჰყვნენ ქვეითი ნაწილებიც. ციტადელში შეიჭრნენ ჩვენი პირველი მებრძოლები...

მოწინააღმდეგემ გრიგალისებური ცეცხლი დაუშინა ჩვენს საიერიშო კიბეებს და ბევრიც გაანადგურა. მესანგრეები არემონტებდნენ დაზიანებულ კიბეებს, მოჰქონდათ ახალი კიბეები. თხრილზე გადასვლა გრძელდებოდა. ქვეითი ჯარი განუწყვეტლივ გროვდებოდა ფორტის მიწაყრილზე, თუმცა მოწინააღმდეგის ცეცხლი არ შესუსტებულა. ჩვენმა მებრძოლებმა ზარალი განიცადეს. განსაკუთრებით სახიფათო იყო ცეცხლი, რომელსაც მოწინააღმდეგე № 1 და № 2 რედუტების ამბრაზურებიდან და მთავარი შესასვლელის დასავლეთი კოშკიდან გვიშენდა. ჩვენ ვერ შევძელით ზურგჩანთის ცეცხლსატყორცნებით ჩაგვეხშო საცეცხლე წერტილები. ცეცხლმტყორცნელები ვერ ახერხებდნენ თხრილის კიდესთან მისვლას, 20—25 მეტრი მანძილიდან გაშვებული ცეცხლნარევის ნაკადი კი შედეგს არ იძლეოდა. მაშინ გადავწყვიტეთ გამოგვეყენებინა ფეთქებადი ნივთიერებებით სავსე კასრები. ქვეითი ჯარისკაცების ცეცხლსაფარქვეშ 4—6 მესანგრე ცოცვით მიაგორებდა ხოლმე ასეთ კასრს თხრილის კიდესთან, ცეცხლს უკიდებდნენ ფალიას და ამბრაზურებისაკენ გააგორებდნენ. აფეთქება არეტიანებდა ფაშისტ მეტყვიამფრქეველებს. მესანგრეები სარგებ-

ლობდნენ ცეცხლის შესუსტებით, თხრილში კიბეებს უშვებდნენ და გადასასვლელს აწყობდნენ. ქვეითი მებრძოლები კიბეებით ადიოდნენ ციხე-სიმაგრის მიწაყრილზე და სანგრდებოდნენ მის სამხრეთ ფერდობზე, ხოლო ზოგ ადგილას მის თხემზეც კი.

უნდა გვეჩქარა: ყველამ იცოდა, რომ მიყუჩებული საცეცხლე წერტილები მალე გამოცოცხლდებიან. ჰიტლერელებს კაზემატებიდან გაჰყავდათ აფეთქებით დარეტიანებული მეტყვია-მფრქვეველები და ფაუსტპატრონების მსროლელნი, მათ ადგილას ახლებს აყენებდნენ და ამბრაზურები კვლავ აფრქვევდნენ ცეცხლს.

გათენებისას მოწინააღმდეგემ კიბეების ერთი ნაწილი დაიზიანა. ცეცხლმტყორცნელთა მიერ შექმნილი კვამლის საფარის დახმარებით დამტვრეული კიბეები შევცვალეთ, მაგრამ ქვეითი მებრძოლების გადასვლა ძლიერმა ცეცხლმა ძალიან შეაფერხა. ფაშისტები იყენებდნენ ფარულ გასასვლელებს და მიწაყრილზე ჩასანგრებულ ჩვენს მებრძოლებს ხელყუმბარებსა და ფაუსტპატრონებს აყრიდნენ მთელი დღის მანძილზე. მესანგრეები ფეთქებად ნივთიერებებს ათავსებდნენ ცილინდრულ გარსში (ვედროში, ყუმბარების სათავსში) და ყრიდნენ მათ მიწაყრილს იქით, რათა მოესპოთ მტრის ხელყუმბარმტყორცნელები. აფეთქების მომენტში ქვეითი მებრძოლები ნახტომს აკეთებდნენ. ამნაირად მოხერხდა ზოგიეთ ადგილას მიწაყრილის გადალახვა. ბრძოლა გაჩაღდა უახლოესი ნაგებობებისათვის ციტადელის შიგნით.

19 თებერვალს 16 საათზე მესანგრეებს დაუსახეს ამოცანა ციხესიმაგრის თხრილზე გაედოთ ხიდი, რომელზეც პოლკის არტილერია გადავიდოდა. გადაწყდა ჯოჯგინებზე შემდგარი ხიდი აეშენებინათ დიდი სიმძლავრის არტილერიის მიერ კედლისა და მიწაყრილის შენგრეული ადგილების პირდაპირ.

როგორც კი ბინდი ჩამოწვა, მესანგრეებმა თხრილთან მიზიდეს წინასწარ მომზადებული ხიდის ნაწილები, მაგრამ მალე მუშაობა შეწყდა, რადგან მოწინააღმდეგე განუწყვეტლივ უშენდა შენანგრევს ფაუსტპატრონებსა და ტყვიამფრქვევის ცეცხლს. სწრაფად მიიღეს ახალი გადაწყვეტილება. მძლავრი

ოფეთქების შედეგად დროებით ჩაჩუმდა № 1 რედუტი. ამით ისარგებლეს მესანგრეებმა. მათ სიბნელეში ააგეს ხიდი. გათენებისას 12,5 მეტრი სიგრძის ხიდმა თხრილის ნაპირები შეაერთა. მართალია, ხიდმა დიდხანს ვერ იარსება, ნახევარი საათის შემდეგ მოწინააღმდეგემ ფაუსტპატრონების პირდაპირი მოხვედრით დაანგრია იგი, მაგრამ მოიერიშენი არც ამან შეაჩერა.

20 თებერვალს, 11 საათზე მოიერიშე ჯგუფის მესანგრეებმა — სერჟანტმა გაიდუკოვმა, რიგითებმა: ოლეხნიკმა და ეგოროვმა შენანგრევის დასავლეთით 50 მეტრ მანძილზე თხრილი გადალახეს, მიწაყრილზე ავიდნენ და მის თხემზე ორი წითელი დროშა აღმართეს. ამან აღაფრთოვანა ქვეითი მებრძოლები. ისინი მესანგრეებს მიჰყვნენ, გადალახეს თხრილი და მტკიცედ დაეუფლნენ უბანს შენანგრევიდან № 2 რედუტამდე. შენანგრევის მარჯვნივ მყოფმა ქვეითმა მებრძოლებმა ამით ისარგებლეს და შეაღწიეს მოწინააღმდეგე. ახლა უფრო გაადვილდა ხიდის აშენება. მართალია, მოწინააღმდეგეს სროლა არ შეუწყვეტია, მაგრამ მისი ცეცხლის ეფექტურობა ის აღარ იყო, რაც ადრე. 21 თებერვალს, დილისათვის ხიდი მზად იყო. კვამლის საფარის დახმარებით თხრილზე გადავიდა 14 ქვემეხი. მათმა ნაწილმა მაშინვე აუტეხა პირდაპირი დამიზნებით სროლა მტრის ამბრაზურებს. მტერმა ტყვიამფრქვევის ჯერით გადაკრა ხიდის ერთ-ერთი ჯოჯგინა საყრდენი, მაგრამ იგი სწრაფად აღადგინეს.

ცეცხლმტყორცნელი ეფრეიტორი სერვილაძე ქვეითი მებრძოლების ცეცხლის საფარქვეშ დაეშვა მიწაყრილიდან და ციტადელში № 2 რედუტთან მდგომი ორი სახლი ცეხლს მისცა. რამდენიმე ხნის შემდეგ ცეცხლწაკიდებული სახლიდან გამოცვივდა და ტყვედ დაგვნებდა ორასამდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ქვეითმა მებრძოლებმა ამით ისარგებლეს, თხრილიდან დაეშვნენ და ციტადელში შევიდნენ.

დავალების შესრულების შემდეგ ცეცხლსატყორცნის გასაწყობად რომ ბრუნდებოდა, ეფრეიტორი სერვილაძე დაჭრილ ამხანაგს შეხვდა. აიღო მისი გაწყობილი ცეცხლსატყორცნი, დაბრუნდა ციტადელში, მოწინააღმდეგეს ზურგიდან მოუარა და ცეცხლის ნაკადი მიუშვა რედუტის ამბრაზურებს, რომლე-

ბიც მიწაყრილსა და თხრილს უშენდნენ ცეცხლს. რედუტი დიდი ხნით ჩაჩუმდა. ამასობაში მესანგრეები გადახურვის მიწაყრილზე გავიდნენ, კაზემატების სავენტილაციო კვამლის მილებში ფეთქებად ნივთიერებათა მუხტები ჩაყარეს და იქ მყოფი ჰიტლერელები მოსპეს.

ნაშუადღევს დავიწყეთ ოცდაათტონიანი ხიდის აგება ტანკებისათვის. ხიდს ვაგებდით უჯრედა საყრდენებზე არტილერიისათვის გამიზნული ხიდის გვერდით. თავდაპირველად საქმე სწრაფად წავიდა წინ. ნაწილებმა გამოყვეს აღამიანები, რომლებმაც მშენებლობის ადგილას მოზიდეს ხე-ტყის მასალები. ამ სამუშაოში აქტიურად მონაწილეობდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები. საყრდენების აგება დამთავრებული გექონდა, როდესაც კვლავ გამოცოცხლდნენ აქამდე მიყუჩებული ციხესიმაგრის კედელში დატანებული ამბრაზურები. ვინც კი ხიდზე გამოჩნდებოდა, იქვე ეცემოდა დაჭრილი ან მოკლული. კვლავ საჭირო გახდა გვემოქმედა ფეთქებადი ნივთიერებით სავსე კასრებით და ცეცხლსატყორცნებით. მტრის საცეცხლე წერტილების ჩახშობას დიდი დრო და ძალ-ღონე დასჭირდა. მოწინააღმდეგე მიგვიხვდა ჩანაფიქრს და ერთ-ერთ კაზემატში დადგა ტყვიამფრქვევი, რომელიც თხრილის მისადგომებს იცავდა. მხოლოდ № 1 რედუტის ძლიერი გაკვამლიანების შემდეგ შევძელით თხრილში ფეთქებადნივთიერებიანი კასრის ჩაგდება. მაგრამ ამ აფეთქებამ ყველა ამბრაზურა ვერ ჩაახშო. მაშინ თხრილის ნაპირს მიადგნენ ჩვენი ცეცხლმტყორცნი ტანკები, მაგრამ ამბრაზურები ძალზე დაბლა იყო განლაგებული და მკვდარ ზონაში ექცეოდა, ცეცხლსატყორცნთა ჭავლი და ტანკების ქვემეხთა ყუმბარები მიზანში ვერ ხვდებოდა. აქაც ჩვენი მეომრების საზრიანობამ გვიხსნა. უხიფათო მხრიდან უახლოვდებოდნენ ისინი ამბრაზურებს, მათ წინ ყუთებს, კასრებს, ხის მორებს ყრიდნენ, ეს ნაყარი მჭიდრო კედლად აეფარებოდა ამბრაზურებს, აბრმავებდა და განაიარაღებდა მტერს. აი უკვე ჩაკვდა № 1 რადუტის ქვედა ფანჯრები. მესანგრეებმა მშვიდად განაგრძეს მუშაობა.

მე ვაჩქარებდი ხიდის აგებას, რადგან მიმაჩნდა, რომ მხოლოდ ტანკების ციტადელში შეყვანა მოგვცემდა საშუალებას

სწრაფად დაგვემთავრებინა მოწინააღმდეგის ალყაშემორტყმული დაჯგუფების ლიკვიდაცია. ეს ამოცანა დაეკისრა 261-ე საინკინრო-მესანგრეთა ბატალიონს. ბატალიონის მეთაურმა თვითონვე მოახდინა დაზვერვა, მიიღო გადაწყვეტილება აეფეთქებინა მიწაყრილი და ციხესიმაგრის თხრილის კედლები და ამით შეექმნა აპარელები ტანკების შეჭრისათვის. შუაღამისას გაისმა მძლავრი აფეთქების ხმა. თხრილის გარე კედელი და მიწაყრილი ერთიანად დაინგრა. ყრილის ფერდის დახრილობის შესამცირებლად დამატებით კიდევ სამი აფეთქება მოახდინეს. 22 თებერვლის ღამის 3 საათზე 259-ე სატანკო და 34-ე მძიმე სატანკო პოლკების ტანკები და თვითმავალი ქვემეხები ციტადელში შევიდნენ. მხოლოდ მაშინ დაიწყეს ჰიტლერელებმა 20—200-კაციან ჯგუფებად ტყვედ დანებება...

ფაშისტური მონობიდან განთავისუფლებული პოლონელები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა რაც შეიძლება სწრაფად გაეწმინდათ მშობლიური ქალაქი მტრისაგან. ამ კეთილშობილურ საქმეში განსაკუთრებით მხურვალედ მონაწილეობდა ახალგაზრდობა. ასობით და ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი ეზიდებოდა საომარ მასალებს ქვემეხებისა და ტანკებისათვის, ჭრიდნენ წნელებს ქალაქგარეთა ტყის კორომებში, წნავდნენ წნელის კონებს და იერიშის საწყის ზღუდეებზე მიჰქონდათ. ეს წნელის კონები დიდად გამოგვადგა ციხესიმაგრის თხრილების გადალახვის დროს. ქალაქის საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ექიმები, სამედიცინო დები და სანიტრები თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ, ჩვენს მედიკოსებთან ერთად ბრძოლის ველიდან გამოჰყავდათ დაჭრილები და დახმარებას უწევდნენ მათ. კვლავ და კვლავ ვრწმუნდებოდით იმაში, თუ რაოდენ ბევრი გულწრფელი და ერთგული მეგობარი გვყავს პოლონეთში. საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში იზრდებოდა და მტკიცდებოდა საბჭოთა და პოლონელი ხალხების მეგობრობა.

გააფთრებული ბრძოლები ყველა უბანზე მიმდინარეობდა. ციტადელის დასავლეთი რაველინი ბლოკირებული იყო 27-ე მსროლელი დივიზიის გვარდიელებისა და 259-ე და 34-ე სატანკო პოლკების ტანკისტთა მიერ. დივიზიის მეთაურის მოად-

ბილემ გენერალმა მ. ი. დუკამ რაველინის გარნიზონს წინადადება მისცა დანებებულიყო. ფაშისტმა ოფიცრებმა უარით უპასუხეს, გარნიზონი წინააღმდეგობას განაგრძობდა. ბელორუსელი პარტიზანების ერთ-ერთი შენაერთის ყოფილმა მეთაურმა, გენერალმა დუკამ მტრის წინააღმდეგ თავისი, პარტიზანული მეთოდი გამოიყენა. რაველინის მთავარი შესასვლელის მიმართულებით დაღმართზე დააგორეს მაზუთით სავსე ალმოდებული კასრები. ცხელმა, მხუთავმა კვამლმა გამოდევნა ფაშისტები თავიანთი სოროებიდან და ისინი ხელაწეულნი გამოძვრნენ.

ციხესიმაგრისა და მისი გარნიზონის საათები დათვლილი იყო. ჩვენს მხარეზე გადმოსული გერმანელები ამბობდნენ, რომ ციხესიმაგრის მიწისქვეშა სადგომები დაჭრილებითაა სავსე. წყალსადენი დაზიანებულია, ჯარისკაცები წყურვილისაგან იტანჯებიან. არ გვინდოდა უმიზნო სისხლისღვრა და ამიტომ რადიოთი კვლავ მივმართე ალყაშემორტყმულთ კაპიტულაცია მოეხდინათ. მაგრამ მოწინააღმდეგემ ამჯერადაც არ მიიღო ჩემი მიმართვა. იგი ანგარიშმიუცემლად ძაბავდა უკანასკნელ ძალებს და უნაყოფო კონტრიერიშებზე გადმოდიოდა.

მოაღწია წითელი არმიის დღემ. მიუხედავად მძიმე ბრძოლებისა, ადამიანებს წინასადღესასწაულო განწყობილება ჰქონდათ, რასაც აძლიერებდა მოახლოებული გამარჯვების წინათგრძნობა. 22 თებერვლის საღამოს ქალაქის თეატრის ერთ-ერთ ოთახში თავი მოიყარეს კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებმა.

ამ დროს 74-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის მეთაური გენერალი ბაკანოვი ტელეფონით გამოიძახეს. როგორც კი დაბრუნდა, მოგვახსენა, რომ დარეკეს ციტადელის ცენტრალური ალაყაფის კარებიდან. იქ გერმანელთა პარლამენტიორები მოსულიყვნენ. ბაკანოვმა იქ წასელისა და მათი მიღების ნებართვა ითხოვა. მალე მან გვაცნობა, რომ ციხესიმაგრის გარნიზონი ნებდება და რომ მასთან იმყოფება ციხესიმაგრის ყოფილი კომენდანტი გენერალი მატერნი. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ იმ ოთახში, სადაც ჩვენი სხდომა მიმდინარეობდა, შემოვიდა გენერალ-მაიორი მატერნი. იგი ორთჭლმავალიანი ქში-

ნავდა და კარებში ძლივს შემოეტია. ეს იყო ერთი დონდრობა, ასე, რვა ფუთის წონის კაცი. როგორც კი სული მოითქვა, გადმომცა ციხესიმაგრის კომენდანტის—კონელის ბარათი. კონელი საბჭოთა სარდლობას თხოვდა დახმარება გაეწია დაჭრილთათვის.

— თვითონ კონელი სადაა?

— თავი მოიკლა.

როდესაც გენერალ მატერნს შეეკითხე, როგორ გრძნობს თავს, მან მხრები აიჩეჩა:

— აბა, რა უნდა ვთქვა, მე ნაცისტური პარტიის წევრი არა ვარ, ტყუილუბრალოდ არ დავღვრი სისხლს, რადგან ვიცი წინააღმდეგობა უაზრობაა. ჰიტლერის საქმე წაგებულია!

მატერნი მოვიყვა, რომ პოზნანში მყოფი 60 ათასი გერმანელი ჯარისკაცისა და ოფიცრისაგან სულ 12 ათასამდე ბრძოლისუნარიანი მებრძოლი დარჩა. ისინი ტყვედ ნებდებიან და გამარჯვებულთა მხრივ შეწყალების იმედი აქვთ.

წითელი არმიის სახელოვანი ოცდამეშვიდე წლისთავის დღეს, 1945 წლის 23 თებერვალს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქმა პოზნანში ჩვენი ჯარების გამარჯვება 224 ქვემეხის 20 ზალპით აღნიშნა.

3

სანამ 39-ე გვარდიული მსროლელი დივიზია, 29-ე გვარდიული მსროლელი კორპუსი და 91-ე მსროლელი კორპუსი პოზნანს უტევდნენ, მე-8 გვარდიული და პირველი გვარდიული სატანკო არმიების ძირითადი ძალები, ხოლო მოგვიანებით 69-ე არმიის ძირითადი ძალებიც მტკიცედ ავითარებდნენ შეტევას დასავლეთით, მიაღწიეს გერმანიის საზღვარს, გადალახეს იგი და მოწინააღმდეგის ტერიტორიის სიღრმეში შეიჭრნენ.

აღსრულდა! დასავლეთით მიგორავდა უზარმაზარი შემტევი ძალის ტალღა. ახლა ამ ტალღამ ფაშიზმის ციტადელამდე მიაღწია. ჩვენი არმია გერმანიის საზღვარზე გავიდა 1945 წლის 28 იანვარს. მებრძოლებმა თავისებურად გამოხატეს თავიანთი გუნება-განწყობა. სასაზღვრო ბოძებზე ასეთ წარწერებს შევხვდი: „აი ისიც, ფაშისტური გერმანია!“

ეს გრძნობა თავისთავად გასაგებია. როგორც ჩანს, მაშინ ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო, რომ ჯარისკაცის შეგნებას ერთმანეთისაგან განეცალკევებინა ქვეყანა, ხალხი და ფაშიზმი ჰიტლერის მეთაურობით. ადამიანებს კარგად ახსოვდათ დამპყრობთა ავკაცობა ჩვენსა და პოლონეთის მიწა-წყალზე. ასეთ წარწერებს რომ ვკითხულობდი, გამახსენდა მაიდანეკიც... გამახსენდა ჩემი შიშიც, რომ გერმანიის მიწა-წყალზე შეიძლება გადმოღვრილიყო რუსი ადამიანის რისხვა და გულისწყრომა.

არმიის პოლიტმუშაკების საქმიანობა დიდი ხანია გამიზნული იყო იქითკენ, რომ სწორად შეეფასებინათ მდგომარეობა, თავიდან აგვეცილებინა რაიმე ექსცესების ყოველგვარი ცდა.

წითელი არმიის პოლიტორგანოები სერიოზულად ფიქრობდნენ ამ პრობლემაზე. 9 თებერვალს გაზეთი „კრასნაია ზვეზდა" სარედაქციო სტატიაში წერდა: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, — ამბობდნენ ჩვენი პაპები... რა თქმა უნდა, ეს ფორმულა ჩვენ სიტყვასიტყვით არ გვესმის. არ შეიძლება საქმე ისე წარმოვადგინოთ, რომ, თუ, ვთქვათ, ფაშისტმა ორფეხა მხეცებმა საჯაროდ ნამუსი ახადეს ჩვენს ქალებს, ანდა მაროდერობას ეწეოდნენ, ჩვენც ასეთივე მოქმედებით სამაგიერო უნდა გადავუხადოთ. ეს არასოდეს არ მომხდარა და არც მოხდება. ჩვენი მებრძოლი არასოდეს არ იკადრებს მსგავს რამეს, თუმცა ასეთ შემთხვევაში იხელმძღვანელებს არა სიბრალულით, არამედ მხოლოდ საკუთარი ღირსების გრძნობით... მას შეგნებული აქვს, რომ მხედრული წესის ყოველგვარი დარღვევა ასუსტებს გამარჯვებულ არმიას... ჩვენ არ გვამოქმედებს ბრმა შურისძიება, ჩვენი რისხვა განუსჯელი არ არის..."

გამარჯვებულნი ფაშიზმის დამარცხების შემდეგ გერმანელ ხალხს არ განუმზადებდნენ დაღუპვასა და განადგურებას. გერმანიაში შედიოდნენ გამარჯვებულნი და არა მკვლელები! წითელ არმიას თავისი ძლევამოსილი დროშებით მოჰქონდა არა მარტო ჰიტლერული რეჟიმის დამარცხება, არამედ გერმანელი ხალხის — მსოფლიოს ერთ-ერთი დიდი ხალხის თავისუფლებაც.

მესამე რაიხის საზღვრების გადალახვას არ შეეძლო არ აემაღლებინა ჩვენი ჯარების საბრძოლო სულიკვეთება, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა მათს შეტევითს აღტყინებაზე. ყველა, დაწყებული რიგითი ჯარისკაცით და დამთავრებული გენერლით, წინ მიისწრაფვოდა.

საავიაციო დაზვერვას მოჰქონდა ამბები, რომ გერმანიის ყველა გზა სავსეა ლტოლვილთა ნაკადებით, ასევე დიდი ჭედვაა რკინიგზებზეც, კიუკეტები ჩახერგილია მსუბუქი ავტომანქანებით, რომ ლტოლვილთა რიგები ბერლინში მიედინებიან, რომ იქიდან მათ სხვადასხვა მიმართულებით აგზავნიან, რომ ადამიანები პანიკით არიან მოცულნი.

ჩვენი რადიოდამჭერები ზოგჯერ წასაკითხად გვაძლევდნენ ბერლინის რადიოს საინტერესო გადაცემებს. მაგონდება, რომ მეტად მოკლე ცნობებში, რომლებშიც ლაპარაკი იყო ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ, ბერლინის რადიო ასე ახასიათებდა მაშინდელ ვითარებას: „მდგომარეობა აღმოსავლეთის ფრონტზე წარმოუდგენლად მძიმეა...“

ჰიტლერი ცდილობდა მისტიკით გაექარწყლებინა ხალხის შიში. აი გერმანელი ხალხის წინაშე 30 იანვარს მისი უკანასკნელი გამოსვლის ერთი ფრაზა: „როცა უზენაესმა 20 ივლისს სიცოცხლე შემინარჩუნა, ამით დაგვანახა, რომ მას სურს თქვენს ფიურერად დავრჩე“.

ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ მისი ფიურერობის დღეები დათვლილი იყო...

ფაშისტებს უკვე ვეღარაფერი უშველიდა. არც ბედის ანაბრად მიტოვებული, დასაღუპავად განწირულ სიმაგრეთა გარნიზონები, არც ფიურერის შეგონება-ვედრება, არც საიდუმლო დიპლომატია, არც პოლიტიკური ინტრიგები...

როდესაც არდენსა და ვოგეზში გერმანელთა კონტრდარტყმაზე ვლაპარაკობდი, უკვე ვთქვი, რომ დასავლეთის ფრონტიდან აღმოსავლეთით იქნა გადმოსროლილი იქ მოქმედი ყველა დივიზია, რომლებსაც ასე თუ ისე ჯერ კიდევ შერჩენოდათ ბრძოლის უნარი. არსებითად დასავლეთის ფრონტი გაშიშვლდა.

გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფ-

როსი მაშინ ჰაინც გუდერიანი იყო. მის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული ჰიტლერული არმიის ისტორია. იგი გერმანიაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ოცდაათიან და ორმოციან წლებში ჯეროვნად შეაფასა სატანკო ჯარების მნიშვნელობა. გუდერიანი წინ მიუძღოდა ჰიტლერს ვენისაკენ მიმავალი სატანკო დივიზიის სათავეში, მან მოაქცია ფოლადის მარწუხში დიუნკერკი, იგი შემოიჭრა დაჯავშნული ურჩხულების სათავეში ჩვენს მიწა-წყალზე, მისი შემოტევა და კარიერა მაშინ დასრულდა, როცა მოსკოვზე იერიში ჩაიშალა. გენერალური შტაბის უფროსის პოსტზე მრავალი გენერალი იყო... ვერც ერთმა ვერ შეცვალა ომის მსვლელობა. ჰიტლერს გუდერიანი გაახსენდა და არმიის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ პოსტზე დააყენა.

ომის შემდგომ წლებში გუდერიანს შესაძლებლობა ჰქონდა, რომ მომხდარ ამბებზე ეფიქრა. იგი ნათლად ხედავდა, რა ხდებოდა ომის უკანასკნელ დღეებში. თავის წიგნში „ჯარისკაცის მოგონებანი“ იგი წერს:

„23 იანვარს საგარეო სამინისტროდან დოქტორ პაულ ბარანდონის წარმოგზავნილი ახალი მეკავშირე გამომეცხადა... ბატონმა დოქტორ ბარანდონმა ჩემგან შეულამაზებელი ინფორმაცია და ფრონტზე არსებული მძიმე მდგომარეობის შეფასება მიიღო. ერთობლივად განვიხილეთ საკითხები, რომლებიც საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან შესაძლო დახმარებას ეხებოდა და რისი დროც, ჩვენი საერთო აზრით, უკვე დამდგარი იყო. გვინდოდა, რომ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ არც თუ ისე ბევრ სახელმწიფოსთან დამყარებული დიპლომატიური ურთიერთობა თუნდაც ცალმხრივი ზავის დასადებად გამოგვეყენებინა. იმედი გვქონდა, რომ დასავლეთელი მოწინააღმდეგეები, უთუოდ, შეიგნებდნენ იმ საშიშროებას, რომელიც გერმანიის საზღვრებისაკენ რუსების სწრაფ წინსვლასთან იყო დაკავშირებული... და დაგვეთანხმებოდნენ დროებით დაზავებაზე, ან, თუნდაც უსიტყვო შეთანხმებაზე, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა დასავლეთის რაიონების დათმობის ფასად მთელი დარჩენილი ძალები აღმოსავლეთ ფრონტზე თავდაცვისათვის გამოგვეყენებინა...

შეკთანხმდით, ბატონი დოქტორი ბარანდონი მიაღწევდა იმას, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ რიბენტროპი კონფიდენციური საუბრისათვის მიმიღებდა... საუბარი 25 იანვრისათვის იყო დანიშნული".

აღარ გაისმის სიტყვები: „ფრონტის ხაზის გასწორება", „ელასტიკური თავდაცვა", „სტრატეგიული უკანდახევა". ეს ტერმინები ჰაინც გუდერიანის ლექსიკონიდან ჰქრება. ამჯერად იგი ჯარისკაცური პირდაპირობით წერს: „...ფრონტებზე კატასტროფა ზვავის სისწრაფით ვითარდებოდა. სილეზიაში მოწინააღმდეგემ გლივიცს მიაღწია. კოქდესა და ბეეგს შორის, აგრეთვე დისერნფურტსა (ბეეგ დოლნისა) და გლოგაუს შორის იგი ნამდვილად ემზადება ოდერის გადასალახად. ბრესლაუზე მოწინააღმდეგე ფრონტალურ დარტყმებს ახორციელებდა. პოზნანის გარემოცვის შემდეგ რუსები ამ სიმაგრესთან არ შეჩერებულან და შეტევა ოდერის, ვარტის რკალზე განაგრძეს, რომელიც ზენინის სიმაგრეებით (ოდერის ოთხკუთხედით ანუ მეზერიტცის გამაგრებული რაიონით, იყო დაცული... შნაიდემიულეს უბანზე რუსები დიდ ძალებს აგროვებდნენ, რათა მდინარე ვისლის გასწვრივ განლაგებულ ჩვენს თავდაცვით პოზიციებზე ზურგიდან მიეტანათ იერიში... 20 იანვარს მოწინააღმღეგე გერმანიის ტერიტორიაზე შემოვიდა. დადგა ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი.

25 იანვარს იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს შევხვდი... აქ ბატონმა რიბენტროპმა მწარე სიმართლე გაიგო. როგორც ჩანს, მდგომარეობა ამდენად სერიოზულად არ მიაჩნდა და როცა ყველაფერი ვუამბე, ძალზე შეწუხდა და მკითხა ჩემი მონაყოლი სიმართლეს თუ შეეფერებოდა... დაწვრილებით ვაცნობე ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ და რაიხის საგარეო-პოლიტიკური საკითხების ხელმძღვანელს ვკითხე წამომყვებოდა თუ არა ჰიტლერთან, რათა მისთვის წინადადება მიგვეცა თუნდაც ცალმხრივი დაზავების მიმართულებით ემოქმედა. ვგულისხმობდით, რომ პირველ რიგში ლაპარაკი უნდა ყოფილიყო დასავლეთის სახელმწიფოთა შესახებ... ისევ ვკითხე ფონ რიბენტროპს წამომყვებოდა თუ არა ჰიტლერთან, მაგრამ მინისტრს დადებითი პასუხი არ მოუცია. გამოთხოვებისას

მან მხოლოდ მითხრა: „ყველაფერი ხომ ჩვენს შორის დარჩებაა?“ ამის პირობა მივეცი.

გუდერიანი ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ ჰიტლერი და მისი უახლოესი თანაშემწეები — ჰიმლერი და იოდლი — ვერ შეძლებდნენ მდგომარეობის შეფასებასა და სწორი გადაწყვეტილების მიღებას. იგი მოდას აყოლია და ცდილობს გერმანიის დამარცხება მთლიანად ჰიტლერს დააბრალოს, თვითონ კი სხვაზე მაღლა დადგეს, აქაოდა, კატასტროფული მდგომარეობიდან გერმანიის გამოყვანა მხოლოდ და მხოლოდ მას შეეძლო. თითქოს ჰიტლერული რაიხის გადარჩენა შესაძლებელი იყო. არავის — არც ჰიტლერს, არც რიბენტროპს, არც გუდერიანს—არ შეეძლო დანაშაულებრივი რეჟიმის კრახის თავიდან აცილება.

გენერალი გუდერიანი წერს: „...ჰიტლერს ვურჩიე ყოფილი „ა“ ჯგუფის არმიებსა (რომელსაც 25 იანვრიდან „ცენტრი“ ეწოდა) და ყოფილი „ცენტრის“ ჯგუფის არმიებს (რომელსაც ახლა „ჩრდილოეთი“ ეწოდებოდა) შორის მდებარე რაიონში არმიების ახალი ჯგუფი შეექმნა. აღნიშნულ რაიონში არმიების ამ ჯგუფს თავდაცვა ხელახლა უნდა მოეწყო და მოწინააღმდეგის შეტევა შეეჩერებინა“.

ამ ახალი ჯგუფის — „ვისლის“ სარდლად ჰიტლერმა გესტაპოს მეთაური, ესესის რაიხსფიურერი ჰაინრიხ ჰიმლერი დანიშნა, შტაბის უფროსად — ესესის ბრიგადენფიურერი ლამერდინგერი. დამთავრდა! პროფესიულმა სამხედროებმა ნდობა დაკარგეს. ჰიტლერს იმედი ჰქონდა, რომ საქმეს პროფესიული ჯალათები გამოასწორებდნენ. მართლაც, გერმანიაში ვერ მოიძებნებოდა ისეთი გენერალი, რომელიც 1945 წლის იანვარში ვისლიდან ოდერისაკენ ჩვენი ჯარების შეტევის შეჩერებას შეძლებდა. ბელორუსიის პირველი და უკრაინის პირველი ფრონტების ჯარებმა მდინარე ვისლაზე გერმანელთა ჯარები გაანადგურეს. შემხვედრი ბრძოლების დროს ნადგურდებოდა ყველა რეზერვი, როელსაც ჰიტლერული სარდლობა ჩვენი მოიერიშე ჯარების წინააღმდეგ გზავნიდა.

მივმართოთ გუდერიანის ჩვენებებს: „27 იანვრისათვის რუსების შეტევამ არნახულ ტემპს მიაღწია. კატასტროფის დღე

სულ უფრო სწრაფად ახლოვდებოდა. ბუდაპეშტის სამხრეთ-დასავლეთით რუსები კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ... ზემო სილეზიის სამრეწველო რაიონში მდგომარეობა უფრო დაიძაბა... განსაკუთრებით საშიში მდგომარეობა იქმნებოდა ვარტისა და აღმოსავლეთ პრუსიის რაიონში... პოზნანი ალყაშემორტყმული იყო. მათ დაიკავეს ნაკლო, ბიდგოშჩი... ვისლის დასავლეთით იერიშები სვეცზე გრძელდებოდა... მალბარკში ბრძოლები შესანიშნავი ძველი ციხესიმაგრის ორდენსბურგისათვის წარმოებდა... ჰიმლერმა თავისი შტაბი ორდენსბურგიდან კრესინზეეში გადაიტანა, რომ სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობისათვის ნებართვა არ მოუთხოვია და ბრძანება გასცა დაეტოვებინათ ტორუნი, ხელმნო და კვიდზენი. ჰიტლერმა ამასაც დუმილით უპასუხა. ამ დღეს განკარგულება გაეცი, აღმოსავლეთი სამხედრო ოლქებიდან დასავლეთ ოლქებში 1928 წელს დაბადებული წვევამდელები გადმოესროლათ, რათა ეს თექვსმეტი წლის მოუმზადებელი ჭაბუკები ბრძოლაში არ გამოეყენებინათ...“

ვერ ვიტყვი, რომ მეზერიტცის გამაგრებულ რაიონში მოწინააღმდეგის ძალზე დიდი რაოდენობის ჯარი ყოფილიყო. და მაინც მე-8 გვარდიული არმიის ნაწილების შეტევის ზოლში მოკლულ იქნა არანაკლებ 15 ათასი ჰიტლერელი და კიდევ დაახლოებით 20 ათასი გერმანელი დატყვევებული, მათ შორის გენერალ-ლეიტენანტი ლიუბე. გუდერიანი არაფერს ამბობს გერმანელ ფაშისტთა ჯარების დემორალიზაციაზე, რომელმაც ისინი ოდერთან, ბერლინთან საბჭოთა ჯარების მიახლოებისას მოიცვა.

4

გერმანული წყაროებით ახლა დადგენილია, რომ ბერლინის მიმართულების ჯარების გასაძლიერებლად მოწინააღმდეგემ შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის, სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობის რეზერვიდან, დასავლეთის ფრონტიდან, საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის ზოგიერთი უბნიდან მხოლოდ თებერვალში გადმოისროლა დიდი რაოდე-

ნობის სხვადასხვა სამხედრო ნაწილები და 18 დივიზია, მათ შორის 3 სატანკო და მოტორიზებული. რა ხდებოდა ამ დროს ფრონტის იმ უბანზე, სადაც მე-8 გვარდიული და მისი უახლოესი მარჯვენა და მარცხენა მეზობლები მოქმედებდნენ?

პოზნანისათვის ბრძოლებმა მხოლოდ ნაწილობრივ შეაჩერეს, დაამუხრუჭეს ჩვენი წინსვლა. მთავარი გაჭირვება მოშარაგებაში იგრძნობოდა.

დრო იყო, როცა გვაკლდა ტანკები, თვითმფრინავები, საკმარისი არ იყო საარტილერიო ლულების სიხშირე, გვაკლდა საბრძოლო მასალა, მრეწველობა ფრონტის მომარაგებას ვერ ასწრებდა. მაგრამ ჩვენმა მუშათა კლასმა ყოველივე ამას თავი გაართვა. საკმაო რაოდენობით მივიღეთ ტანკებიც, საბრძოლო თვითმფრინავებიც, სასროლი იარაღიც, საბრძოლო მასალაც. კოლმეურნე გლეხობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თავისი არმია სურსათით მოემარაგებინა. მაგრამ ავტოტრანსპორტის საკითხი ბოლომდე მაინც ვერ გადაწყდა.

ფრონტის შეუფერხებელი მომარაგების უზრუნველსაყოფად გმირულად შრომობდნენ ჩვენი საბჭოთა რკინიგზელები. სამხედრო ტვირთის გადაზიდვის მასშტაბები გრანდიოზული იყო. რკინიგზელის ფორმიან კაცთან შეხვედრა თუ მომიწევდა, მას ვუყურებდი როგორც ფრონტელ ჯარისკაცს, როგორც მეომარს მოწინავე ხაზიდან.

არც ერთი ომი ისე არ ყოფილა დამოკიდებული მომარაგებაზე, ზურგის სამსახურზე, როგორც მეორე მსოფლიო ომის ყველა ოპერაცია. საინტენდანტო სამსახურს პირველი მსოფლიო ომის დროს ფრონტელები დამცინავად უყურებდნენ. სამწუხაროდ, დიდი სამამულო ომის პირველ წლებშიც ზოგიერთი მხედართმთავარი ზურგის სამსახურს უგულებელყოფდა. დამკვიდრებული იყო აზრი, რომ ომის მთელი სიმძიმე ფრონტელების ზურგზე გადადისო. არავინ ცდილობს შეამსუბუქოს ფრონტელების მხრებზე დაწოლილი სიმძიმე, არავინ არ ცდილობს დააკნინოს როლი მეომრისა, რომელიც აღიმართებოდა და მტრის სიმაგრეებს არტილერიის ცეცხლქვეშ, ავიაბომბების ქვეშ, ტყვიამფრქვეველებისა და თოფების ცეცხლქვეშ უტევდა. მთავარ დანაკარგებს ფრონტელები განიცდიდნენ. მაგრამ და-

ნაკარგები მოქმედ ნაწილებში მით უფრო ნაკლები იყო, რაც უფრო აწყობილად მუშაობდა მომარაგება. ომის დასასრულს მძლავრ საფორტიფიკაციო ნაგებობათა ზოლში შევედით. ჩვენთვის გამარჯვების მოტანა მხოლოდ მძლავრ არტილერიას შეეძლო, მხოლოდ ქვეითი და ჯავშნოსანი ჯარების ურთიერთმოქმედებას შეეძლო მტრის ცეცხლოვანი ფარდის დაძლევა.

ულმობელია სამხედრო მოქმედების ლოგიკა. იგი უარყოფს ყოველგვარ გამართლებას, ყოველგვარ საპატიო მიზეზს, თუ კი ბრძოლაში ზურგის სამსახურმა მეომარი ყველაფრით ვერ უზრუნველყო.

შეგვიძლია გამოვძებნოთ მრავალი ობიექტური განმარტება იმისა, თუ პოზნანის მისადგომებთან რატომ ვერ შევძელით იმდენად მძლავრი არტილერიის თავმოყრა, რომ მტრის სიმაგრეები ნაცარტუტად გვექცია, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. პოზნანის შტურმი შეყოვნდა ერთი თვით, ნაცვლად რამდენიმე დღისა, როგორც ამის დაგეგმვა ფრონტის სარდლობას სურდა.

ბელორუსიის პირველი ფრონტის ზურგის სამსახური მხოლოდ ზურგის სამსახური იყო და ფრონტის სამხედრო საბჭოს მითითებების შესაბამისად მოქმედებდა. იანვრის შეტევით ოპერაციას, როგორც უკვე ვიცით, ფრონტის შტაბი გეგმავდა 10—12 დღისათვის, ბევრად ნაკლებ სიღრმეზე, ვიდრე ეს სინამდვილეში აღმოჩნდა.

იოლი საქმე როდია ზურგის სამსახურისათვის ახალი ორიენტაციის მიცემა ჯარების უფრო დაჩქარებული წინსვლისა და უფრო ღრმა ოპერაციების პირობებში. აქ საკმარისი არ არის ფრონტის სარდლის ზეპირი თუ წერილობითი მითითებები, მისი დაჟინება. რამდენიმე დღის განმავლობაში დაგეგმილთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მანძილი ჯარებსა და მომარაგებას შორის. გაგრძელდა ავტოტრანსპორტის გარბენა. ამან გამოიწვია საწვავის ხარჯის გაზრდა. ეს მანქანას ჯადოსნური ჯოხის ერთი მოქნევით სამას მანქანად ვერ გადააქცევ. უნდა გქონდეს ეს სამასი მანქანა, უნდა გყავდეს მძღოლები, მანქანები ტექნიკურად გამართული უნდა იყოს. ამისათვის კი საჭიროა შემკეთებელი სახელოსნოები, მთელი შემკეთებელი ქარხნები. მოკლედ, ფრონტი, ბრძოლები ფრონტზე მოითხოვ-

და, რომ მომმარაგებლებს უცილობლივ შეესრულებინათ ვალდებულებები, ყოველგვარ შეცდომას, უზუსტობას ათასობით ჯარისკაცის დაღუპვა შეეძლო...

უნდა აღვნიშნო, რომ ომის მეორე პერიოდში ფრონტელთა შეხედულება ზურგის სამსახურზე შეიცვალა. მხედართმთავრებმა იგრძნეს ზურგის სამსახურის მნიშვნელობა, მომარაგების საკითხები გადაიქცა ოპერატიული ჩანაფიქრების ორგანულ შემადგენელ ნაწილად. იმ დროისათვის ზურგის მუშაკებმაც ისწავლეს მუშაობა.

მოკლედ, შეტევა მოითხოვდა, ყველაფერს — პიროვნების, წოდების, გარემოების მიუხედავად... მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდით ოდერს, რაც უფრო ღრმად მივიწევდით გერმანიის გულში, მით უფრო რთულდებოდა მომარაგების საქმე.

ავიღოთ თუნდაც რკინიგზის პრობლემა. გერმანიაში ჩვენი წინსვლის პირველ ეტაპზე ერთგვაროვანი სარკინიგზო ხაზის უქონლობამ უარყოფითად იმოქმედა ჯარების მომარაგებაზე. შეცდომა გამოვასწორეთ, მაგრამ დრო დაიკარგა.

ვაცხადებ, რომ ფრონტისა და არმიის ზურგის მუშაკებმა ჭეშმარიტად კოლოსალური ღონე იხმარეს, რომ უზრუნველეყოთ შემტევი ჯარები, მაგრამ შეტევის ჩქარ ტემპს ვერ აყვნენ.

განსაკუთრებით ჩამორჩნენ გაძლიერების საშუალებანი — არტილერია, საინჟინრო ნაწილები, ავიაცია.

მხრებზე დაგვაწვა კიდევ ერთი დიდი საზრუნავი — ბრძოლებში მოპოვებული ქონების შენარჩუნება. ვლაპარაკობ იმ ქონებაზე, რომელიც გერმანელმა დამპყრობლებმა საბჭოთა კავშირიდან გაზიდეს და ახლა უკან დახევისას სადაც მოეხელთებოდათ, იქ ყრიდნენ. ეს სახალხო დოვლათი გახლდათ, საჭირო იყო მისი შეგროვება და შენახვა. მეურნეებს თვალები უბრწყინდებოდათ, როცა ხედავდნენ საკვებით, ტანსაცმლითა და სხვა ნივთებით სავსე ნადავლ საწყობებს.

არმიის სამხედრო საბჭოს გადამჭრელი ზომების მიღება დასჭირდა საიმისოდ, რომ ტრანსპორტი ზედმეტი ტვირთისაგან გათავისუფლებულიყო და გაძლიერებულიყო საწვავისა და საბრძოლო მასალის მოზიდვა. ვარტაზე გადასასვლელებთან დაეყენეს გადამღობი რაზმები. ისინი სინჯავდნენ როგორც ფრონ-

ტისაკენ მიმავალ, ისე იქიდან მომავალ მანქანას, ატარებდნენ მხოლოდ ისეთ ტვირთს, რომელიც საჭირო იყო ჯარების საბრძოლო მოქმედებისათვის. ყველა დანარჩენს გადმოტვირთავდნენ და იქვე, გადასასვლელებთან აწყობდნენ.

ბენზინის ეკონომიის მიზნით ფრონტიდან დაბრუნებული მანქანების ნახევარი მისაბმელით მოყავდათ. მთელი ნადავლი საწვავი აღირიცხებოდა და მის ხარჯვაზე მკაცრი კონტროლი იყო დაწესებული. სპირტს, თუ კი ხელში ჩაგვივარდებოდა, სხვა კომპონენტებს დავუმატებდით ხოლმე და საწვავად ვიყენებდით. ვაგროვებდით ნადავლ ქვემეხებსა და ჰურვებს. ყველაფერს, რაც ვარგოდა და გამოდგებოდა, მტერთან საბრძოლველად ვიყენებდით.

იგრძნობოდა, რომ მწიფდებოდა ახალი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებანი. უკვე იყო გ. კ. ჟუკოვის ბრძანება, სადაც მოიხსენიებოდა ბერლინი. ახლა ფრონტის მოკლე ბრძანებებში ბერლინი თითქოს გარემოცული ხდებოდა ყოველი მხრიდან, გაჩნდა საორიენტაციო პუნქტები ბერლინის მახლობლად ჯარების შეტევისათვის, ისახებოდა გამიჯვნის ხაზები არმიებს შორის ოდერის დასავლეთით, თვით ბერლინამდე. ამ მოკლე ბრძანებებით ვხვდებოდით, რომ უმაღლესი შტაბები უკვე ამუშავებდნენ ფაშისტთა დედაქალაქის აღების საკითხს.

მოსალოდნელ მოვლენებს რომ ვითვალისწინებდით, იმაზე ვზრუნავდით, რომ არ შეგვესუსტებინა შეტევის ტემპი. მთავარი ოდერამდე განლაგებული გამაგრებული რაიონისა და შემდეგ — მდინარის გადალახვა იყო. სწორედ ამიტომ, როცა პოზნანში ჯერ კიდევ გაცხარებული ბრძოლები წარმოებდა, გადავწყვიტე არმიის შტაბი შემტევ ჯარებთან ახლოს, პნევში გადამეტანა.

მეთაურებმა იციან, თუ როგორ გაიძულებს წინსვლას იმის შეგრძნება, რომ შტაბი ფეხდაფეხ მოგყვება. ძალაუნებურად ცდილობ უფრო სწრაფად იარო...

28—29 იანვარს მე-8 გვარდიული არმიის ოთხი დივიზია და პირველი გვარდიული სატანკო არმიის ორი კორპუსი ობრას მიუახლოვდა. დაზვერვის მონაცემებით წარმოდგენილი გვქონდა, თუ რა რთული ამოცანა ისახებოდა ჩვენს წინაშე, გულახ-

დილად გამოგიტყდებით — მეშინოდა მძლავრი სიმაგრეების საიერიშოდ ჩვენი შენაერთების წარგზავნა. ამასთან ერთად ჭურვების მარაგი გამოგველია. ლოდინი კი, თუ როდის დაგვეწევიან დანარჩენი ჯარები და მოიტანენ საბრძოლო მასალას, არ შეიძლებოდა. დროის დაკარგვა უეჭველ წარუმატებლობას ნიშნავდა. მდგომარეობა გავაანალიზე, ყველაფერი ავწონ-დავწონე და გადავწყვიტე შეუჩერებლივ მიმეტანა იერიში მეზერიტცის გამაგრებულ რაიონზე. ასევე გადაწყვიტა პირველი გვარდიული სატანკო არმიის სარდალმა მ. ე. კატუკოვმა.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეებში ცხარე ბრძოლები წარმოებდა პოზნანისათვის, მაინც შევძელი ორჯერ მივსულიყავი მე-4 გვარდიული მსროლელთა კორპუსის 35-ე გვარდიულ მსროლელთა დივიზიაში, რომელიც მტერს პირველ ეშელონში უტევდა. დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი ნ. პ. გრიგორიევი მამაცი და შეუპოვარი კაცი იყო. მას 1939 წლიდან ვიცნობდი. მან სწორად მოაწყო ფარული და გულმოდგინე დაზვერვა, რათა ეპოვნა შეპირისპირების ადგილები და შუალედები საყრდენ პუნქტებსა და თავდაცვის რაიონებს შორის. მზვერავებმა რამდენიმე ტყვე შეიპყრეს. მათგან შევძელით ზოგიერთი მონაცემის გაგება მტრის საცეცხლე რკინა-ბეტონის წერტების განლაგების შესახებ.

30 იანვარს, დილაადრიან, მოკლე საარტილერიო თავდასხმის შემდეგ მე-4 გვარდიული მსროლელთა კორპუსის ნაწილები იერიშზე გადავიდნენ. მეწინავე 35-ე გვარდიული მსროლელთა დივიზია მალე გამაგრებული რაიონის შუაგულში შეიჭრა და დაიკავა პლაცდარმი მდინარის დასავლეთ ნაპირზე, რამაც სხვა შენაერთების მოქმედება შეამსუბუქა. ამ ბრძოლაში დაიჭრა პოლკოვნიკი გრიგორიევი, იგი ჰოსპიტალში გაგზავნეს.

ბრძოლის წარმატება ოფიცრებისა და მეომრების გონიერულმა ინიციატივამ განაპირობა. 35-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის შეტევის ზოლში საჭირო იყო მოწინააღმდეგის გაანდევნა გაბატონებული მაღლობიდან. ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა ლოგვინენკომ გულმოდგინედ მოამზადა მებრძოლები გადამწყვეტი ნახტომისათვის. შტურმი მოკლე საარტი-

ლერიო მომზადებით დაიწყო. ჩვენი ქვემეხები, სულ რამდენიმე წუთს ურტყამდნენ, მაგრამ ბევრის გაკეთება მოასწრეს, რადგან ცეცხლს პირდაპირი დამიზნებით უშენდნენ, ზუსტი და გამანადგურებელი იყო ცეცხლი. არტილერისტები ხანგრძლივი საცეცხლე წერტების სათოფურებსა და დაზვერილ სანგრებს უმიზნებდნენ. საარტილერიო თავდასხმის შემდეგ იერიშზე უმალვე ქვეითები გადავიდნენ. მესანგრეებს ასაფეთქებელი მასალა მიქონდათ.

მაღლობზე პირველნი ძმები — რიგითი გვარდიელები ალექსანდრე და მიხეილ სილჩენკოები შეიჭრნენ. ალექსანდრემ ორი მეტყვიამფრქვევე დაცხრილა და რამდენიმე მეავტომატე ხიშტზე ააგო. ძმას არც მიხეილი ჩამორჩა. ვიდრე ქვეითები სანგარში იბრძოდნენ, მესანგრეები ხანგრძლივ საცეცხლე წერტებთან მიიპარნენ, ასაფეთქებელი მასალა ჩააწყვეს. გაისმა აფეთქების ხმა და მტრის საცეცხლე წერტები დადუმდნენ. მაღლობი ჩვენს ხელთ იყო. ბატალიონი მაღლობზე გამაგრდა, რითაც თავისი დივიზიის ნაწილების შემდგომი წინსვლა უზრუნველყო. გარღვევის ამ ადგილში შეიჭრნენ დივიზიის, ხოლო შემდეგ მთელი კორპუსის ნაწილები, რომლებიც მოწინააღმდეგის სიმაგრეებს გვერდს უვლიდნენ და ზურგიდან უტევდნენ მათ. სამხრეთით განლაგებულ უბანზე გზა გაიკაფეს პირველი გვარდიული სატანკო არმიის ნაწილებმა, რამაც მოწინააღმდეგეზე ჩვენი დარტყმა კიდევ უფრო გააძლიერა. იგრძნობოდა, რომ მტერი სიმაგრეებთან ჩვენი ნაწილების ასე სწრაფად მისვლასა და, განსაკუთრებით, ჩვენს შეუჩერებელ შეტევას არ ელოდა, ეს გვშველიდა.

დაზვერვამ გვაცნობა, რომ მოწინააღმდეგეს ოდერის ფრანკფურტზე გავლით ნაჩქარევად გადმოყავს ახალი დივიზიები. მართლაც, 31 იანვარს დილით ერთ-ერთი დივიზია ოდერის ფრანკფურტზე გავლით მდინარე ოდერის ნაპირს მიადგა, სადაც უკვე იმყოფებოდნენ ჩვენი ნაწილები. გაიმართა შემხვედრი ბრძოლა მდინარე ოდერისა და მეზერიტცის გამაგრებულ რაიონს შორის განლაგებულ ზოლში, რომელიც ჯერ კიდევ მთლიანად ჩვენს ხელთ არ იყო.

დაწვრილებითი ცნობები მოწინააღმდეგის ხანგრძლივ თავ-

დაცვით ნაგებობათა განლაგების შესახებ არ გექონდა, ამიტომ მტრის მოახლოებულ ნაწილებთან შემხვედრი ბრძოლების განმავლობაში იძულებული ვიყავით მოგვეძებნა შემოვლის გზები და შუალედები სიმაგრეებს შორის. ჩვენდა საბედნიეროდ, აქ მოსული ახალი, სრულად დაკომპლექტებული დივიზიის ჰიტლერელები, ალბათ, ცუდად იცნობდნენ თავიანთი სიმაგრეების განლაგებას და ამიტომ ვერ შეძლეს ცეცხლის სიმძლავრისა და პოზიციების უპირატესობის გამოყენება, მართალია, მედგრად, მაგრამ არც თუ ისე გაწაფულად იბრძოდნენ. გერმანელთა დივიზიის სარდლობას კარგად რომ ჰქონოდა შესწავლილი თავდაცვითი ზღუდე და ვითარება, ცეცხლის სისტემისა და ურთიერთმოქმედების მოსაწყობად, ორი დღეც რომ ჰქონოდა, ძნელი სათქმელია, როგორ შეტრიალდებოდა ჩვენი საქმე. ალბათ, ხანგრძლივი ბრძოლები მოგვიწევდა და დიდი დანაკარგებიც გვექნებოდა. მტერი ჩვენს თავდასხმას არ მოელოდა. უნდა ითქვას, რომ ერთგვარად ამინდიც გვიწყობდა ხელს. ბურუსი იდგა, ხილვადობა ცუდი იყო, და ხანგრძლივ საცეცხლე წერტებში მყოფი ჰიტლერელები ზოგჯერ ვერც არჩევდნენ, სად იყვნენ თავისიანები და სად — ჩვენები.

მოწინააღმდეგის გამაგრებულ რაიონში მოსულ ახალ ნაწილებთან ამ შემხვედრი ბრძოლის დროს განსაკუთრებით თვალნათლივ გამოვლინდა ჩვენი მეთაურებისა და ყველა საფეხურის შტაბების ოპერატიულ-ტაქტიკური სიმწიფე. ყველა სახეობის ჯარების ურთიერთმოქმედების საზრიანი ორგანიზაცია, ალყა, შემოვლა, დარტყმები მოწინააღმდეგის კოლონებსა და საბრძოლო მწყობრების ფლანგებიდან და ზურგიდან... გერმანელთა დივიზია ჩვენს თვალწინ ილეოდა.

31 იანვარს ჩვენმა ჯარებმა ერთ დღეში მთლიანად გადალახეს გამაგრებული რაიონი და გაანადგურეს გენერალ ლიუბეს ახალი — 15-ათასკაციანი დივიზია. ოდერამდე მხოლოდ 40 კილომეტრი დარჩა, ბერლინამდე კი — 100. რუკას აკვერდებოდნენ არა მარტო მეთაურები, არამედ ჯარისკაცებიც. „სოლდატსკი ვესტნიკი" უაღრესი სიზუსტით აღნუსხავდა კილომეტრებს მტრის დედაქალაქამდე.

წარმატებით მოქმედებდნენ ჩვენი მეზობლები. მარჯვნივ

მე-5 დამკვრელმა არმიამ მნიშვნელოვნად წინ წაიწია და საერთო მიმართულებით კიუსტრინისაკენ უტევდა. მარცხნივ, პირველმა გვარდიულმა სატანკო არმიამ დაიპყრო ქალაქი მენდზიეჩი და ჩვენთან ერთად ერთ ხაზზე მოდიოდა. სამი არმიის ფრონტი გასწორდა. უზრუნველყოფილი ფლანგებით ცხოვრება მხიარული გახდა. მიუხედავად დაღლილობისა, თებერვალს, დილაადრიან ჩვენი ჯარები ისევ წინ დაიძრნენ.

ეს მხარე ხშირი ტყით არის დაფარული. მოწინააღმდეგეს, რომელიც თავს იცავდა, ადვილად შეეძლო თავის შეფარება, შენიღბვა და მოულოდნელი დარტყმების მოყენება. ტყეების გაჩხრეკისა და გაწმენდისათვის ძალები და დრო არ გვყოფნიდა. უნდა ითქვას, რომ ტყის მასივები გერმანელ ჯარისკაცებს თავისკენ იზიდავდა. დნეპრზე, ბუგსა და ვისლაზე რაღაც სასწაულით გადარჩენილებს და ახლა თავიანთ განადგურებულ ნაწილებს ჩამორჩენილებს, სულაც არ სურდათ კვლავ დამორჩილებოდნენ ნაცისტი ოფიცრების ძალაუფლებას და კონტრშეტევებში მანამ მიეღოთ მონაწილეობა, ვიდრე არ დახოცავდნენ. საბჭოთა ჯარებისათვის ტყეედ ჩაბარებასაც ვერ ბედავდნენ: გებელსის პროპაგანდამ მაგრად ჩაუნერგა ათასგვარი მონაჩმახი „რუსების მხეცობის“ შესახებ. ამგვარად, ოდერის წინ განლაგებულ ტყეებში იმალებოდა ათასობით გერმანელი, რომლებიც მოვლენათა განვითარების მოლოდინში იყვნენ.

რა უნდა გვექნა მათთვის? ჩვენს ზურგში გერმანელ ჯარისკაცთა ასეთი მასის დატოვებას ვერიდებოდით: ვაი, თუ ფაშისტი ოფიცრები შეძლებდნენ მათ შეგროვებას და ბრძოლაში ჩაბმას?

აქ ისევ გამოგვადგა სტალინგრადში ჩატარებული ბრძოლების გამოცდილება. ტყეებში მცირე საიერიშო ჯგუფები წავიდნენ. ისევე, როგორც ქუჩის ბრძოლებში, ისინი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. მოწინააღმდეგის მორალური სულისკვეთება ისეთი აღარ იყო, როგორც სამი წლის წინ, ისინი ხედავდნენ თავიანთი მდგომარეობის უიმედობას, ხედავდნენ, რომ სარდლობა მათ სასიკვდილოდ გასწირავდა. ახლა გერმანელი ჯარისკაცები აღარ გაიძახოდნენ: „ჰაილ, ჰიტლერ!“, უფრო ხშირად გაისმოდა: „ჰიტლერ კაპუტ!“ ჩვენი საიერიშო ჯგუფე-

ბი გაბედულად მიდიოდნენ განაკაფებით და ბილიკებით. მათ დანახვაზე, გერმანელი ჯარისკაცები საფარიდან გამოდიოდნენ, იარაღს ყრიდნენ და ტყვედ გებარდებოდნენ. ტყვეებს აკომპლექტებდნენ დიდ ჯგუფებად 150—200 კაცის ოდენობით. გამოყოფდნენ მცირე, შეიძლება ითქვას სიმბოლურ ბადრაგს კოლონაზე 4—5 მებრძოლის შემადგენლობით, ვხუმრობდით ხოლმე, ეს ბადრაგი კი არა, გამცილებლები არიან, გზას უჩვენებენ გერმანელებს, რომ ისევ გზა არ დაებნეთო. მიდის ასეთი კოლონა და მას ასობით დამალული გერმანელი ჯარისკაცი ადევნებს თვალს. ხედავენ, რომ ტყვეებს არავინ არ ცემს, მხნედ, მხიარულად მიაბიჯებენ და ხელებაწეულები თვითონ გამოდიან გზაზე. „მოხალისეები“ კოლონებს უფრო ხშირად შესვენების დროს უერთდებოდნენ ხოლმე. ამიტომ ბადრაგი გზაში ტყვეებს არა თუ კარგავდა, პირიქით, ადგილზე ორჯერ, სამჯერ მეტი მიყავდა.

თუმცა, იყო შემთხვევები, როცა საიერიშო ჯგუფებს ბრძოლა უხდებოდათ იმ გერმანელ ჯარისკაცებთან, რომლებიც გაერთიანებასა და ტყვეებიდან მაგისტრალური გზებისაკენ ორგანიზებულად გასვლას ცდილობდნენ. მაშინ გვარდიელები კვალმაძიებლებივით მათ ცენტრს მიაკვლევდნენ ხოლმე, უპრიდნენ უკან დასახევ გზებს, ანაწევრებდნენ წარმოქმნილ რაზმებს და ტყვედ დანებებას აიძულებდნენ.

ჩვენი ჯარები შეუჩერებლივ წინ მიიწევდნენ. არმიის მარჯვენა ფლანგზე, მეორე გვარდიული მსროლელთა კორპუსის ფრონტზე მტერი ფაქტიურად წინააღმდეგობას არ გვიწევდა: უკან იხევდა ოდერისაკენ, ტოვებდა არტილერიასა და საბრძოლო მასალას. 28-ე გვარდიულ მსროლელთა კორპუსს ბრძოლა მოუხდა დასავლეთიდან გადმოსროლილ ახალ ნაწილებთან. აქ წინსვლა უფრო შენელებული იყო.

ჩვენი ჯარები ქალაქ სლონსკში (ზონენბურგში) შევიდნენ. ქალაქის განაპირას საპყრობილე იდგა, რომელიც ფაშისტებს სიკვდილის ბანაკად გადაექციათ. აქ არ იყო „აბანოები“ და ღუმელები. იოლად გადიოდნენ უტექნიკოდ. პატიმრები ტყეში მიყავდათ, აიძულებდნენ საკუთარი სამარე გაეთხარათ. შემდეგ ორმოების პირასვე ხვრეტდნენ. მკვდრებს პატიმრებისაგან შემ-

დგარი მესაფლავეთა რაზმები მარხავდნენ. მათაც იგივე ბედი ეწერათ. აქ ჩვენმა ჯარებმა გაათავისუფლეს საბჭოთა მწერალი სტეფანე ზლობინი, რომელიც მესაფლავეთა რაზმის შემადგენლობაში იყო... ჩვენმა შეტევამ ჰიტლერელებს ხელი შეუშალა ტყეში გაეყვანათ პატიმრები. მაშინ ფაშისტმა ჯალათებმა დაახლოებით სამი ათასი კაცი გაიყვანეს საპყრობილეს ეზოში და იქ დახვრიტეს.

საზარელი იყო ჯერ კიდევ თბილი გვამების გროვის ყურება. მოხუცები და ბავშვები, მამაკაცები და ქალები... რაღაც სასწაულით გადარჩნენ ოთხნი, მათ შორის ერთი ქალი. სწორედ მათ მოგვითხრეს საზარელი ტრაგედიის შესახებ. შემომრჩა გვამებით სავსე საპყრობილეს ეზოს ფოტოსურათი, უყურებ ამ სურათს და ისევ გაოცებული რჩები: მორალური დაცემის რა ზომამდე მივიდნენ ჰიტლერელი მტარვალები...

ოდერს ვუახლოვდებით. ეს დიდი მდინარეა. სათავეს ჩეხოსლოვაკიაში იღებს. მიედინება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. მისი სიგრძე 725 კილომეტრია. ქალაქ რატიბორიდან ზღვამდე სანაოსნოა და მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიას წარმოადგენს. ზამთრობით სულ 1—2 თვით იყინება.

მდინარის სიგანე შუა დინებაში — ქალაქ ოპელნიდან კიუსტრინამდე — 100-დან 225 მეტრამდე მერყეობს, ხოლო სიღრმე 2 მეტრზე ნაკლები არ არის, ქვემოთ, როცა ოდერს მდინარეები ნეტცე და ვარტა უერთდებიან, იგი ფართოვდება 300 მეტრამდე, სიღრმე საშუალოდ 3 მეტრია, ხოლო წყალდიდობის დროს 8 მეტრს აღწევს.

ოდერი სერიოზული დაბრკოლებაა. ბუნებრივია, რომ ფაშისტური სარდლობა ამ ზღუდეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ოდერისა და ვარტის შესართავთან განლაგებული იყო აღმოსავლეთ გერმანიაში უდიდესი გამაგრებული რაიონი ციხესიმაგრე კიუსტრინით. აქ ორივე მდინარეზე გადებულია რამდენიმე ხიდი, აქ იყრიან თავს უდიდესი სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალები. ციხესიმაგრე კიუსტრინი ღობავდა პირდაპირ გზას ბერლინისაკენ, ამიტომ მას სამართლიანად უწოდებდნენ გერმანიის დედაქალაქის „ჭიშკარს“.

მეორე გამაგრებული რაიონი ოდერზე ბრესლაუ, ანუ

ბრესლავლი იყო, ძველსლავურად — ბრატისლავი. ეს ძველი ციხესიმაგრეა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ავსტრია-პრუსიისა და ნაპოლეონის ომებში. აღმოსავლეთში ყაჩაღურ ომებს რომ იწყებდა, კაიზერის, ხოლო შემდგომ ფაშისტურმა გერმანიამ სრულჰყო ძველი და შექმნა მთელი რიგი ახალი სიმაგრეები. ბრესლავლის გამაგრებული რაიონი ღობავდა გზას პრაღისაკენ და საქსონიის ძირითადი ცენტრისაკენ — დრეზდენისა და ლაიფციგისაკენ.

ბრესლავლისა და კიუსტრინის გამაგრებულ რაიონებს შორის მდებარეობდა ციხესიმაგრე გლოგაუ, რომელსაც გარსშემოვლებულ დაბლობზე მბრძანებლური მდგომარეობა ეჭირა. მოსალოდნელი იყო, რომ მოწინააღმდეგე მას ადვილად არ დათმობდა.

ფაშისტებმა ქალაქი ოდერის ფრანკფურტიც ძალზე გამაგრებულ რაიონად აქციეს. ამასთან ჰიტლერის გენერალური შტაბი მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან ბერლინის მეორე „ჭიშკრად“ მიაჩნდა.

მე-8 გვარდიული არმიის ჯარები უშუალოდ ოდერს 1945 წლის 1 თებერვალს მიუახლოვდნენ. გაძლიერების საშუალებათა მოსვლას არ დაველოდე და მე-4 გვარდიულ მსროლელთა კორპუსს ვუბრძანე, მდინარე შეუჩერებლივ გადაელახა, რათა 2 თებერვალს საღამოს ხელთ ეგდო პლაცდარმი დასავლეთ ნაპირზე და დაეკავებინა კიუსტრინის სამხრეთი გარეუბნები — კიცი, მანშნოვი, რატშტოკი.

28-ე გვარდიულმა მსროლელთა კორპუსმა დავალება მიიღო გადაელახა ოდერი და დაეკავებინა პლაცდარმი ხატენოეის, პოდელციგის, კლესინის უბანზე. უფრო მარცხნივ პირველი გვარდიული სატანკო არმიაც მიუახლოვდა მდინარეს, მაგრამ მას არ გააჩნდა გადასასვლელი საშუალებები და შეჩერდა. უფრო მარჯვნივ მე-5 დამკვრელმა არმიამ 1 თებერვალს დაიწყო მდინარის გადალახვა სახელდახელო საშუალებებით.

საჭირო იყო გადალახვის უბნების ჰაერიდან დაცვა. ჩემი თხოვნით ფრონტის სარდალმა დამიქვემდებარა მე-16 საზენიტო არტილერიის დივიზია, რომელსაც გენერალი ი. მ. სერედინი მეთაურობდა. დივიზია გადასასელელთან გათენებისას უნ-

და მისულიყო. მაგრამ მეზენიტეებმა საწვავის უქონლობის გამო ერთ დღეზე მეტით დაიგვიანეს.

2 თებერვალს დილის 10 საათზე ვიყავი მე-4 გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაურის გენერალ-ლეიტენანტ გლაზუნოვის სათვალთვალო პუნქტზე ფრონტის ნანგრევებში დაბა ქაბიცეს მახლობლად, რომელიც კიუსტრინის სამხრეთით მდებარეობს. კორპუსის ჯარები უკვე განლაგდნენ ჯებირზე კიუსტრინისა და გუქიცას შორის და გადასასვლელად მოემზადნენ. სტერეომილით ოდერს გავხედე. დიდი, ჯებირებში მომწყვდეული მდინარე. ჩვენმა გვარდიელებმა აღმოსავლეთ ნაპირზე მოიყარეს თავი. საპასუხისმგებლო და მძიმე საათიან ყინული იმდენად სუსტი იყო, რომ ქვეითი ჯარიც კი, არაფერი რომ არ ვთქვათ ტექნიკაზე, რისკის გარეშე ვერ გავიდოდა. საბალელე გადასასვლელი საშუალებები არ გაგვაჩნდა და საარტილერიო ცეცხლით დაფარულმა გვარდიელებმა მაინც დაიწყეს დასავლეთ ნაპირზე გადასვლა. თან ხარიხები, ფიცრები, ფიჩხის შეკვრები მიჰქონდათ. შეუჩერებლივ აშენებდნენ ფენილებს, გადასასვლელ ხიდებს. ზოგან ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების გადატანაც შეძლეს. ქვემეხები ყინულზე ხელით გადაქონდათ, მათ ბორბლებს თვითნაკეთ თხილამურებზე აყენებდნენ და ასე მიათრევდნენ.

სამწუხაროდ, გადასვლა დიდხანს არ გაგრძელებულა. გვარდიელთა თავზე გერმანული გამანადგურებლები „ფოკე-ვულფები“ გაჩნდნენ. 9 და 7 თვითმფრინავისაგან შემდგარი ჯგუფებით გერმანელები პატარა სიმაღლიდან ესხმოდნენ თავს გადასასვლელს, ბომბავდნენ, ცეცხლს უშენდნენ ტყვიამფრქვეევებიდან. როგორ გვეჭირდებოდნენ ახლა გენერალ სერედინის მეზენიტეები! მაგრამ ისინი არ ჩანდნენ, არ ჩანდნენ ჩვენი გამანადგურებლებიც: მათ ახალ აეროდრომებზე, ოდერთან ახლოს გადაინაცვლეს და მათაც აკლდათ საწვავი. მტრის მფრინავები პირდაპირ აბუჩად გვიგდებდნენ. იმდენად დაბლა დაფრინავდნენ, რომ ჩვენს მებრძოლებს ეგონათ სადაცაა თვითმფრინავის ხრახნი თავში მოგვხვდებაო. ბრძოლაში ტანკსაწინააღმდეგო თოფების ასეულები და მეტყვიამფრქვეევები ჩაებნენ. რამდენი ტყვია მოახვედრეს, —არ ვიცი, მაგრამ ორ „ფო-

ჟე-ვულფს“ ჩემს თვალწინ ცეცხლი გაუჩნდა და ჩვენს მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე დაეცა. ჩვენი მებრძოლების მიერ დატყვევებულმა მფრინავმა გვითხრა, რომ გერმანელთა ავიაციის წინაშე დასახული იყო ამოცანა — არ დაეშვათ რუსების გადასვლა ოდერზე.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს კიდეც შესძლეს, იძულებული ვიყავით გადასვლა დაბინდებამდე შეგვეჩერებინა. ღამე ისევ შევუდექით გადასვლას, მაგრამ საქმე უფრო გართულდა: ისედაც სუსტი ყინული ბევრ ადგილას ბომბებმა დახეთქა.

დასავლეთ ნაპირზე დღისით თუმცა მცირერიცხოვანი ქვედანაყოფები გადავიდნენ, მაგრამ მაინც შეძლეს მცირე პლაცდარმის დაკავება.

მე უკვე აღვნიშნე, რომ მეზერიტცის გამაგრებულ რაიონში გავანადგურეთ და თითქმის მოვსპეთ გენერალ-ლეიტენანტ ლიუბეს დივიზია. თვით გენერალი ტყვედ ჩავარდა. იგი ჩემთან მოიყვანეს მოწინავე საკომანდო პუნქტზე დაბა ტარტუვში, რომელიც ქალაქ სლონსკის სამხრეთით მდებარეობს. მხარში დაეჭრათ. ვუხმე ჩემს ექიმს, რომელმაც ჭრილობა ხელახლა შეუხვია. საუზმის დროს გენერალმა ლიუბემ მიამბო:

ცოსენში განლაგებულ გენერალურ შტაბში მას კარგად არავინ აუხსნა საქმის ვითარება ფრონტზე: ალბათ თვითონაც არ იცოდნენ. მის მთლიანად დაკომპლექტებულ, მაგრამ სუსტად გაწვრთნილ დივიზიას ამოცანად დაუსახეს — დაეკავებინა მეზერიტცის გამაგრებული რაიონის მოწინავე ხაზი და ხანგრძლივ საცეცხლე სიმაგრეთა გარნიზონებთან ურთიერთმოქმედებით დაეცვა იგი, არ დაეშვა საბჭოთა ჯარების ოდერზე გადასვლა; მიეღო ვარშავიდან უკანდახეული ყველა ჯარი, გარდაექმნა ისინი საბრძოლო ქვედანაყოფებად და ჩაება გამაგრებული რაიონის დაცვაში. რაკი მდგომარეობას არ იცნობდნენ, გვიყვებოდა იგი, ოდერის ფრანკფურტზე გაელით დივიზია გამაგრებულ რაიონში გავიდა, მაგრამ მეწინავე ხაზს ვერ მიაღწია, რადგან საბჭოთა ჯარები გადაეღობნენ და მთლიანად გაანადგურეს. დივიზია ერთი დღით ადრე რომ გამოსულიყო და თავდაცვა მოეწყო, საბჭოთა ჯარები ასე ადვილად ვერ გაარღვევდნენო მას.

2 თებერვალს ოდერზე გადასულმა ჩვენმა მზვერავებმა შეძლეს ზეელოვ-კიუსტრინის გზატკეცილზე გასვლა და ორი ოფიცრის დატყვევება. ეს ოფიცრები ჰიტლერელთა გენერალურ შტაბში მსახურობდნენ. მათმა ჩვენებებმა დაადასტურეს, რომ ვერმახტის სახმელეთო ჯარების გენერალურმა შტაბმაც არ იცოდა ბერლინის მთავარი მიმართულებით შექმნილი მდგომარეობა.

ოდერთან მიახლოებისას მძიმედ დაიჭრა 79-ე გვარდიული დივიზიის მეთაური ლეონიდ ივანეს ძე ვაგინი. მომხდარი ამბის შესახებ ამ დივიზიის სადაზვერვო ასეულის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა ვიქტორ ლისიცინმა მომითხრო.

ტყეებში ოდერის მისასვლელებთან ჯერ კიდევ დაეხეტებოდნენ გერმანელთა ქვეითი ჯარის დაქსაქსული ჯგუფები. გენერალი ვაგინი ახალ ხათვალთ[illegible]ო პუნქტზე გადადიოდა. მას თან ახლდა დივიზიის შტაბისა და დაქვემდებარებული ნაწილების ოფიცრების ჯგუფი. წინ სატვირთო მანქანით მზვერავები მიდიოდნენ. უეცრად ტყიდან ფაშისტები გამოვიდნენ. ბევრნი იყვნენ—ბატალიონამდე. მზვერავებმა პირველებმა დაუშინეს ცეცხლი მტერს, სროლის ხმა რომ გაიგო, გენერალმა მანქანა გააჩერა და თავისი მებრძოლებისაკენ გაიქცა. სროლა თანდათან გაძლიერდა. ვაგინმა მთლიანად დაცალა მაუზერის საავაზნე, დაიწყო მისი ხელახალი დატენა და ამ დროს ტყვიამფრქვევის ჯერმა გულმკერდი დაუცხრილა.

ბრძოლის ველზე დივიზიის მზვერავთა კიდევ ერთი ჯგუფი გაჩნდა. საქმე ერთსულოვანმა იერიშმა გადაწყვიტა: ჰიტლერელები გაიქცნენ, ბევრი მათგანი ტყვედ დანებდა. ლეონიდ ივანეს ძე ჰოსპიტალში მძიმე მდგომარეობაში გაგზავნეს. საბედნიეროდ, ტყვიები გულს ასცდა, გენერალი გადარჩა.

3 თებერვალს დილით, როგორც იქნა, მოვიდა საზენიტო არტილერიის დივიზია. გადასასვლელი სწრაფი ტემპით ამუშავდა. ამჯერად მოწინააღმდეგის ავიაციას მეზენიტეთა ერთსულოვანი ცეცხლი დახვდა. შეტევის დროს მოწინააღმდეგემ სამი თვითმფრინავი დაკარგა და დიდი ჯგუფებით იერიში შეწყვიტა. ამან 35-ე, 47-ე და 79-ე მსროლელთა გვარდიულ დი-

ვიზიებს შესაძლებლობა მისცა თითქმის უდანაკარგოდ გადასულიყო დასავლეთ ნაპირზე და იქ საარტილერიო სათვალთვალო პუნქტები გადაეტანა. დაკავებული პლაცდარმები თანდათან გავაფართოვეთ და ისინი საერთო-საარმიო პლაცდარმად გავაერთიანეთ. მაგრამ დასავლეთისკენ შეტევის დაჩქარება ვერ შევძელით: არტილერიისა და ტანკების ძირითადი ძალები აღმოსავლეთ ნაპირზე დარჩა. მძიმე ქვემეხებისა და ტანკების გადასაყვანად საჭირო იყო ხიდების გადება ან მძლავრი პონტონური ბორნების ამოქმედება, რომლებიც ფრონტის ღრმა ზურგიდან ოდერის გადასასვლელებთან დროულად არ გადმოეტანათ.

პლაცდარმისათვის ბრძოლებში ჩვენმა მეომრებმა და მეთაურებმა განსაკუთრებული გამბედაობა და ტაქტიკური მომზადება გამოავლინეს.

79-ე მსროლელთა გვარდიული დივიზიის 220-ე პოლკის მე-6 მსროლელთა ასეულმა პირველმა დაიწყო ბრძოლა 81,5 მაღლობისათვის ოდერის დასავლეთ ნაპირზე. ასეულს მეთაურობდა ალტაიელი მონადირის შვილი, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ათანასე სპირიდონის ძე საველიევი. მან მარჯვედ განალაგა ძალები და მოწინააღმდეგეს ღამით შეუტია, ხელთ იგდო სამი ძელმიწური და თავზარდაცემულ ჰიტლერელთა თითქმის მთელი ბატალიონი უკუაგდო. დილით, როცა მტერი გონს მოვიდა და კონტრშეტევაზე გადმოვიდა, საველიევმა ფაშისტები ღარტაფში შეუშვა და ხელში ჩაგდებული ძელმიწურებიდან ტყვიამფრქვევების ცეცხლი დაუშინა. დაბნეულ ჰიტლერელებს ხელყუმბარებს ესროდნენ. მოწინააღმდეგე სამჯერ გადმოვიდა კონტრშეტევაზე და სამჯერვე უკან დაიხია, ბრძოლის ველზე ათობით მოკლულსა და დაჭრილს ტოვებდა. ღარტაფი, რომლითაც მტერი თავისი ძელმიწურებისაკენ ისწრაფოდა, მისი ჯარისკაცების გვამებით აივსო. საველიევი ფეხში და მხარში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ხელმძღვანელობას განაგრძობდა. სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში მხოლოდ მას შემდეგ წავიდა, რაც ამ პოზიციებზე ჯერ ბატალიონის შტაბმა, ხოლო შემდეგ პოლკის მეთაურის საკომანდო პუნქტებმა გადმოინაცვლა.

როგორც პოლკის მეთაურმა პოლკოვნიკმა მ. ს. შეიკინმა მომახსენა, საველიევის ასეულში ზღაპრული მამაცობით გამოირჩეოდა დაზგის ტყვიამფრქვევის მემიზნე, გვარდიის რიგითი სერგეი ანდრიას ძე მოსტოვოი, ვორონეჟის ოლქის კალაჩევსკის რაიონის ყოფილი კოლმეურნე. როცა წარმომიდგინეს, მისი ცქერით ვერ დავტკბი. დევგმირის სიმაღლე ჰქონდა, მხარბეჭიანი იყო. ნამდვილად იმ ვორონეჟელი გოლიათების შთამომავალი გახლდით, რომლებიც დიდ სახომალდე ფიქვებს ეზიდებოდნენ და პეტრე პირველის თვალწინ მხრებზე მარხილის კავებს ღუნავდნენ. 81,5 მაღლობისათვის ბრძოლაში სერგეი მოსტოვოი ყოველთვის ასეულის მეთაურის გვერდით იყო. მტრის კონტრშეტევის მოგერიებისას მან ტყვიამფრქვევის რვა სავაზნე გახარჯა. როცა ტყვიები გაუთავდა, ხელყუმბარების ტყორცნა დაიწყო. ხელყუმბარებიც გაუთავდა, გერმანელები კი შეტევას განაგრძობდნენ. მაშინ მებრძოლმა დაზგიდან ტყვიამფრქვევი მოხსნა, ცალ ხელში დაზგა დაიჭირა, მეორეში — ბარი, წელში გაიმართა და წინ გადაეშვა. ტყვიამფრქვევის დაზგა თავს ზემოთ დაატრიალა და გერმანელ მეავტომატეებს შორის გზა გაიკვალა, ბარით კი თავს უპობდა იმათ, ვინც ფეხებში ებლანდებოდა. რუსი გოლიათი რომ დაინახეს, გერმანელები სახტად დარჩნენ და ისევ ხევში ჩაგორდნენ. ხევის პირას მოსტოვოი შეჩერდა, შუბლიდან ოფლი მოიწმინდა. უცებ შეშინებული გერმანელი ეფრეიტორი დაინახა. გვარდიელმა ხელი დაავლო გერმანელს და იღლიაში ამოიჩარა. „წაეთრიეთ აქედან, არამზადებო, თორემ ყველას თავებს წაგაცლით!“ — წამოიძახა მან და დატყვევებული ეფრეიტორით აუჩქარებლივ გასწია თავისი მეთაურისაკენ.

იმავე დღეს ათანასე საველიევი და სერგეი მოსტოვოი საბჭოთა კავშირის გმირის წოდებაზე იქნენ წარდგენილი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მათ ეს მაღალი წოდება მიანიჭა.

ახლახან გავიგე, რომ ოქროს ვარსკვლავის კავალერი სერგეი ანდრიას ძე მოსტოვოი ვორონეჟის მიწაზე კარგ მოსავალს იწევს, ხოლო ათანასე სპირიდონის ძე საველიევი ომის შემდეგ თავის ალტაის დაუბრუნდა და, ალბათ, მამის საქმეს განაგ-

რძობს — იქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი ,პურით, ტყით, ბეწვიანი ნადირითა და წიაღისეულით ამ მდიდარი მხარის ასათვისებლად.

პლაცდარმზე მოწინააღმდეგის თავდაცვის ერთ-ერთი ხელსაყრელი პოზიცია დაბა ხატენოვი იყო. წამახვილებული კრამიტის სახურავიანი ქვის სახლებითა და აგურის ღობეებით, იგი პატარა ციხესიმაგრეს წააგავდა. სახლების კედლებსა და ღობეებში ჰიტლერელებმა სათოფურები მოაწყვეს. დაბაზე პირდაპირი დარტყმის განხორციელება არ გვინდოდა. ეს ნიშნავდა სისხლისმღვრელ ბრძოლას, ჩვენ კი არ უნდა დაგვეკარგა არც დრო, მით უფრო, არც ადამიანები, რომლებმაც ვოლგიდან ოდერამდე გამარჯვებების დიდებით მოსილი გზა განვლეს და როგორც ჩანდა, მათვე მოუწევდათ ფაშისტთა ბუნაგზე — ბერლინზე იერიშის მიტანა.

ხატენოვის აღება სემიკოვის პოლკს დაევალა.

პოდპოლკოვნიკ ალექსანდრე ივანეს ძე სემიკოვს კარგად ვიცნობდი ვოლგაზე ბრძოლებიდან, მაშინ იგი არმიის შტაბის ოპერატიული განყოფილების ოფიცერი იყო. პირველად ერთმანეთს დონის საქცევში ბრძოლების დროს შევხვდით. დამსხვრეულ პო-2 თვითმფრინავთან მნახა და წამომიყვანა. ახლა სემიკოვი პოლკს მეთაურობდა. მან კარგად იცოდა ქუჩის ბრძოლების ტაქტიკა. მაინც გავიფიქრე, გადაჭარბებით ხომ არ შეაფასა-მეთქი პოდპოლკოვნიკმა საკუთარი შესაძლებლობა, როცა ერთი პოლკით მძლავრი გარნიზონის მქონე გაძაგრებულ დაბას შეუტია.

მაგრამ არა, სემიკოვმა ამოცანას თავი კარგად გაართვა. ირიერაჟა თუ არა, ხატენოვის აღმოსავლეთ გარეუბანში, მოწინააღმდეგის დაცვის კვანძის ცენტრში, სქელი კვამლის სვეტები აღიმართა. სემიკოვის მესანგრეებმა მოიერიშე ჯგუფების გამოცდილება გამოიყენეს და მიწისქვეშა-ნაღმური იერიშით მტრის უმნიშვნელოვანესი ობიექტები ააფეთქეს. იმავდროულად არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა ცეცხლი დაუშინეს და ჰიტლერელებს უკანდასახევი გზა მოუჭრეს.

თავდაპირველად ვინანე კიდეც, რომ ფაშისტებს უკანდასახევი გზა არ ჰქონდათ: ყოველი სახლისათვის აღარ იბრძო-

ლებდნენ. მაგრამ სათვალთვალო პუნქტზე მალე შენიშნეს, რომ დაბის ცენტრში ხელებაწეული მტრის ჯარისკაცების ჯგუფები გამოჩნდნენ. დარტყმა იმდენად მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო, რომ ჰიტლერელებმა წინააღმდეგობა მალე შეწყვიტეს.

57-ე მსროლელთა გვარდიული დივიზიის 172-ე მსროლელთა პოლკის მე-2 მსროლელთა ბატალიონის მეთაური გვარდიის კაპიტანი დიმიტრი ვასილის ძე ოსინი ბატალიონითურთ გარემოცული აღმოჩნდა. კავშირი არ ჰქონდათ პოლკის შტაბთან, რომელიც ჯერ კიდევ ოდერის აღმოსავლეთ ნაპირზე იყო. ოსინმა გაბედული გადაწყვეტილება მიიღო. ბატალიონმა ალყას თავი დააღწია არა უკან, ოდერისაკენ დახევით, არამედ — დასავლეთისკენ წინსვლით. შეტევა იმდენად ერთსულოვანი და მძაფრი იყო, რომ მოწინააღმდეგემ ვერ გაუძლო და უკან დახევა იწყო. ოსინის ბატალიონმა ასეთ ვითარებაში ერთი დღის ბრძოლის დროს მოწინააღმდეგის ორმოცი ჯარისკაცი დაატყვევა და რვა დატვირთული ავტომანქანა ჩაიგდო ხელთ.

არმიის სამხედრო საბჭოს წარდგინებით კაპიტან დ. ვ. ოსინს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მამამისს კუიბიშევში დეპეშა გავუგზავნეთ: „გმადლობთ, ძვირფასო ვასილ ივანეს ძევ, მამაცი და ნებისყოფიანი შვილის — წითელი არმიის ოფიცრის აღზრდისათვის“.

მაგრად ჩავებღაუჭეთ ოდერის დასავლეთ ნაპირს, პლაცდარმი ფართოვდებოდა.

5

26 იანვარს ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის გ. კ. ჟუკოვის, ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრის გენერალ-ლეიტენანტ კ. ფ. ტელეგინისა და ფრონტის შტაბის უფროსის გენერალ-პოლკოვნიკ მ. ს. მალინინის ხელმოწერით უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა ბელორუსიის ფრონტის ჯარების შემდგომი შეტევის გეგმა.

აი, ამ დოკუმენტის შინაარსი: „ფრონტის ჯარებს 1945

წლის 30 იანვრამდე ამოცანად ვუსახავ გავიდნენ ვალდაუს, პრაის ფრიდლანდის, რატცებურის, ციპნოვის, ფროდენფირის, შენლანკეს, რუნაუს, გულჩის, შარფენორტის, ოპალენიცას, გრეცის, ველიხოვოს, კრიუჩევის ხაზზე.

სატანკო არმიებით ამავე დროისათვის ხელთ იგდონ რაიონები:

მე-2 გვარდიულმა სატანკო არმიამ — ბერლინხენი, ლანდსბერგი, ფრიდებერგი;

პირველმა გვარდიულმა სატანკო არმიამ — მეზერიტცი, შვიბუსი, ტირშტიგელი.

ამ ზღუდეზე წამოწიონ ჯარები (განსაკუთრებით არტილერია), თავი მოუყარონ ზურგებს, შეივსონ მარაგი, მოაწესრიგონ საბრძოლო მანქანების მატერიალური ნაწილი. გაშალონ მე-3 დამკვრელი და პოლონეთის პირველი არმიები, 1945 წლის 1—2 თებერვალს დილით ფრონტის ყველა ძალით განაგრძონ შეტევა უახლოესი ამოცანით — შეუჩერებლივ გადალახონ მდინარე ოდერი, ხოლო შემდგომში განავითარონ მძაფრი დარტყმა ბერლინზე, ამასთან მთავარი ძალ-ღონე წარმართონ ბერლინის შემოსავლელად ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან“...

ასე იყო ჩამოყალიბებული ამ დოკუმენტში ფრონტის ზოგადი ამოცანები. შემდეგ დასახული იყო ამოცანები არმიებისათვის. მე-8 გვარდიული არმიის შესახებ ამ დოკუმენტში შემდეგია ნათქვამი:

„მე-8 გვარდიულმა არმიამ შეუტიოს საერთო მიმართულებით — ოტოროვო, კემე, პრიტიში, ჰერიტცი და დაიპყროს ზღუდეები:

ა) პირველ დღეს — გაპოქე, კაილჩი, ალგირი (ფლანგი), პავლუვკო (ფლანგი);

ბ) მესამე დღეს — გადალახოს მდინარე ობრა და დაიპყროს ზღუდე ტრებიში, ნოიფორვერკი, ნოიდორფი;

გ) მეექვსე დღეს — გადალახოს მდინარე ოდერი უბანზე კიუსტრინი (გამოკლებით), ვიზენი (ფლანგი) და დაიპყროს ზღუდე გენშმარი (გამოკლებით), ალტ-ტუხებანდი, ვერდერი (ფლანგი), მალნოვი (გამოკლებით).

შემდგომში დარტყმა განავითაროს მიმართულებით — ზელოვი, ალტ-ლანდსბერგი, ვაისენზეე".

27 იანვარს 17 საათსა და 40 წუთზე უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკმა ოპერაციის ეს გეგმა დაამტკიცა. ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდლობა განსაკუთრებით იქნა გაფრთხილებული, რომ ჩრდილოეთიდან ან ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მოწინააღმდეგის შესაძლო დარტყმებისაგან ფრონტის მარჯვენა ფლანგის საიმედო უზრუნველყოფისათვის საჭიროა, ფრონტის მარჯვენა ფლანგის რეზერვში იყოს არანაკლებ სატანკო კორპუსით გაძლიერებული ერთი არმია.

28 იანვარს საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკს უკრაინის პირველი ფრონტის ოპერაციის გეგმა გაუგზავნა. გეგმა ითვალისწინებდა გერმანელთა ბრესლავლის დაჯგუფების განადგურებას და ელბაზე გასვლას 25—28 თებერვალს, იმავდროულად ბელორუსიის პირველ ფრონტთან ურთიერთმოქმედებით — ბერლინზე დარტყმას.

ი. ს. კონევის წინადადება მთავარბანაკმა 29 იანვარს დაამტკიცა. ბანაკის მიერ დამტკიცებული შეტევის გეგმას რომ აზუსტებდა, ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდალმა თავისი 27 იანვრის № 00172 ბრძანებით ფრონტის არმიებს მიზნად შემდგომი აქტიური მოქმედება დაუსახა. ბრძანებაში ნათქვამი იყო: „შეინიშნება რომ მოწინააღმდეგეს სასწრაფოდ გამოყაეს თავისი ნაწილები მდინარე ოდერის მისადგომების დასაცავად. თუ კი ჩვენ დავიპყრობთ მდინარე ოდერის დასავლეთ ნაპირს, ბერლინის აღების ოპერაცია სავსებით გარანტირებული იქნება.

ამ ამოცანის შესასრულებლად:

ყოველი არმიიდან გამოიყოს თითო გაძლიერებული კორპუსი... და დაუყოვნებლივ გაიგზავნოს მდ. ოდერის დასავლეთ ნაპირზე ზღუდის დაპყრობისა და შენარჩუნებისათვის სატანკო ჯარების მოქმედების გასაძლიერებლად".

ფრონტის სარდალმა ამ ბრძანებით დაამტკიცა მე-5 დამკვრელ და მე-8 გვარდიულ არმიათა სარდლების გადაწყვეტილება—არმიების მთავარი ძალები მიემართათ დასავლეთისაკენ, მეზერიტცის გამაგრებული რაიონისა და ოდერის დასავლეთ ნა-

პირზე პლაცდარმების დასაპყრობად, მიუხედავად იმისა, რომ ზურგში — შნაიდემიულისა (პილაუ) და პოზნანის ციხესიმაგრეებში — მოწინააღმდეგის მსხვილი გარნიზონები რჩებოდნენ.

ფრონტის სარდალმა 28 იანვრის № 00184 ბრძანებით უფრო დააზუსტა ოდერიდან დასავლეთისაკენ არმიების შეტევის მიმართულება: მე-5 დამკვრელისა — ბერლინის ჩრდილოეთით მდებარე ბერნაუსაკენ; მე-8 გვარდიულისა — ბუკოვისაკენ, ალტ-ლანდსბერგისაკენ, ვაისენზეესაკენ; 69-ე არმისა — ფრანკფურტისაკენ, ბიუსენისაკენ, ჰერფელდესაკენ, ე. ი. სამივე არმიისა — ბერლინისაკენ ან მისი შემოვლით.

ჩამოთვლილმა საერთო-საჯარისო, აგრეთვე პირველმა და მეორე გვარდიულმა სატანკო არმიებმა ფრონტის უახლოესი ამოცანა წარმატებით შეასრულეს. გაარღვიეს მეზერიტცის გამაგრებული რაიონი, გადალახეს ოდერი, ხელთ იგდეს პლაცდარმები და მათ გასაფართოებლად იბრძოდნენ: მე-5 დამკვრელი არმია — კიუსტრინის ჩრდილოეთით, მე-8 გვარდიული — სამხრეთით, 69-ე არმია ფრანკფურტისათვის იბრძოდა. 33-ე არმიამ ხელთ იგდო აგრეთვე პლაცდარმი ოდერის დასავლეთ ნაპირზე ფრანკფურტის სამხრეთით.

4 თებერვალს მივიღეთ ფრონტის დირექტივა, სადაც უკვე შეტევის ვადები იყო დასახული. დირექტივას ხელს აწერდნენ გ. კ. ჟუკოვი, კ. ფ. ტელეგინი და მ. ს. მალინინი.

„1. მოწინააღმდეგეს ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარების ფრონტის წინ კონტრშეტევის რაიმე დაჯგუფება ჯერ არ გააჩნია. მოწინააღმდეგეს არც თავდაცვის მთლიანი ფრონტი აქვს. ახლა იგი იცავს ცალკეულ მიმართულებებს. აქტიური მოქმედებით ცდილობს ზოგიერთ უბანზე თავდაცვის ამოცანის გადაწყვეტას.

გვაქვს წინასწარი მონაცემები, რომ მოწინააღმდეგემ დასავლეთის ფრონტიდან მოხსნა ოთხი სატანკო დივიზია და ხუთი-ექვსი ქვეითი ჯარის დივიზია და ეს გამოთავისუფლებული ნაწილები აღმოსავლეთის ფრონტზე გადმოისროლა.

ბალტიისპირეთიდან და აღმოსავლეთ პრუსიის რაიონიდან ნაწილების გადმოსროლასთან ერთად მოწინააღმდეგე, როგორც ჩანს, უახლოეს 7—8 დღეში ბალტიისპირეთიდან და აღ-

მოსავლეთ პრუსიიდან გადმოყვანილ ჯარებს თავს მოუყრის შვედტ-ნოიშტეტინის ხაზზე, რათა დაიცვას პომერანია, გააძლიეროს შტეტინის დაცვა და არ დაუშვას ჩვენი გასვლა პომერანიის ყურესთან. დასავლეთიდან გადმოსროლილი ჯარების ჯგუფს მოწინააღმდეგე, ალბათ, თავს მოუყრის ბერლინის რაიონში და ამოცანად ბერლინის მისადგომების დაცვას დაუსახავს.

2. ფრონტის ჯარების ამოცანაა, უახლოეს 6 დღეში აქტიური მოქმედებით განამტკიცონ მიღწეული წარმატება, თავი მოუყარონ ჩამორჩენილ ნაწილებს, შეივსონ მარაგი: საწვავისა — ორ გაწყობამდე, საბრძოლო მასალებისა — ორ კომპლექტამდე და სწრაფი იერიშით 1945 წლის 15—16 თებერვალს აიღონ ბერლინი.

წარმატების განმტკიცებისას, ე. ი. 4-დან 9 თებერვლამდე, საჭიროა:

ა) მე-5, მე-8, 69-ე, 33-ე არმიებმა დაიპყრონ პლაცდარმები მდ. ოდერის დასავლეთ ნაპირზე. ამასთან სასურველია, რომ მე-8 გვარდიულსა და 69-ე არმიებს ჰქონდეთ ერთი საერთო პლაცდარმი კიუსტრინსა და ფრანკფურტს შორის. თუ შესაძლებელი გახდა, კარგი იქნება, მე-5 და მე-8 არმიების პლაცდარმების გაერთიანება.

ბ) პოლონეთის ჯარის პირველმა არმიამ, 47-ე, 61-ე, მე-2 სატანკო არმიებმა და მე-2 ცხენოსანთა კორპუსმა მოწინააღმდეგეს უნდა დაახევინონ რატცებურგ-ფალკენბურგ-შტარგარდ-ალტდამ-მდ. ოდერის ხაზს მიღმა, რის შემდეგაც ბელორუსიის მეორე ფრონტის არმიების მოსვლამდე, დატოვონ საფარი და მდინარე ოდერზე გადაჯგუფდნენ გარღვევის განსახორციელებლად;

გ) 7—8 თებერვალს უნდა დამთავრდეს მოწინააღმდეგის პოზნან-შნაიდემიულეს ჯგუფის ლიკვიდაცია;

დ) გარღვევისათვის გაძლიერების საშუალებანი ძირითადად იგივე დარჩება, რაც ახლა გააჩნიათ არმიებს:

ე) სატანკო ჯარებმა და თვითმავალმა არტილერიამ 10 თებერვლისათვის დაამთავრონ მიმდინარე და საშუალო შეკეთება და მწყობრში ჩააყენონ მატერიალური ნაწილი;

ვ) ავიაციამ დაამთავროს გაშლა და აეროდრომებზე იქონიოს საწვავის ექვსჯერადი გაწყობის მარაგი;

ზ) ფრონტის ზურგი, საარმიო და საჯარისო ზურგები 9—10 თებერვლისათვის სრულ მზადყოფნაში იყვნენ ოპერაციის გადამწყვეტი ეტაპისათვის."

ვნახოთ, რა ხდებოდა ამ დროს ჩვენი მოწინააღმდეგის ბანაკში.

გუდერიანი წერს, რომ მან შეძლო ჰიტლერის დაყოლიება, რათა ჩვენთვის დარტყმა მიეყენებინათ პომერანიიდან, პიჟეშჩესა და ხოშჩნოს რაიონებიდან სამხრეთის მიმართულებით. „ამ დარტყმით, ამბობს გუდერიანი, იმედი მქონდა, გავაძლიერებდით რაიხის დედაქალაქისა და საერთოდ ქვეყნის ტერიტორიის დაცვას და დროს მოვიგებდით დასავლეთის სახელმწიფოებთან საზავო მოლაპარაკებისათვის". ამბავი, რასაკვირველია, ახალი არ არის... „საიდუმლო იარაღი" შემონახული ჰქონდათ, როგორც პროპაგანდისტული ხრიკი ხალხისა და არმიისათვის. შველა იმაში გამოიხატებოდა, რომ გაშმაგებული ცდებით ინგლისელ-ამერიკელ მოკავშირეებთან ზავი დაედოთ.

ხელთ მქონდა საინტერესო საბუთები, რომლებიც ფაშისტური აგენტურის საიდუმლო საქმიანობას ეხება. აგენტურას საკმაოდ შორეული მიზანი ჰქონდა 1943 წელს, სტალინგრადთან დამარცხებისთანავე, ჰიტლერულმა დიპლომატიამ თავის დასავლეთელ მოწინააღმდეგეთა ზონდაჟი მოვლილი გზებით დაიწყო.

ამ შემთხვევაში ჰიტლერელთა ადვოკატის როლში მათი ძველი მეგობარი, ესპანეთის დიქტატორი—ფაშისტი ფრანკო გამოვიდა. მან წერილით მიმართა ინგლისის ელჩს მადრიდში სამუელ ჰოუერს, რომელშიც წერდა: „თუ ომის მსვლელობა ძირფესვიანად არ შეიცვლება, მაშინ რუსეთის არმიები გერმანიის ტერიტორიის სიღრმეში შეიჭრებიან. განა ასეთი ამბები, თუ კი მოხდება, საშიში არ იქნება ევროპისათვის, განსაკუთრებით ინგლისისათვის?" შემდეგ, „კომუნისტური საშიშროების" საფრთხობელათი რომ აშინებს, ფრანკო თხოვს „გულმოდგინედ აწონ-დაწონონ მდგომარეობა": „ვითარება ძალზე სერიოზუ-

ლია“, რადგან ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემთხვევაში ევროპაში არ დარჩება ძალა, რომელიც შეძლებს „შეაჩეროს საბჭოების შემდგომი წინსვლა“.

ჩვენ გვახსოვს შანტაჟის სხვა, უფრო ადრინდელი ცდები ჰიტლერული დიპლომატიის მხრიდან. ამიტომაც არ გვაოცებს „აქტივობა“ ესპანეთის დიქტატორისა, რომელმაც ძალაუფლებას გერმანელ და იტალიელ ფაშისტთა ხიშტების მეშვეობით მიაღწია. ჰიტლერის დამარცხების შემთხვევაში ევროპისათვის საშიშროების შესახებ ჩვენ მანამდე გებელსისაგან გვესმოდა. აქ სხვა რამაა გასაკვირი, კერძოდ, ის, რომ ჰოუერმა, ანტიჰიტლერულ კოალიციაში ჩვენი მოკავშირის — ინგლისის ელჩმა შესაძლებლად ჩათვალა ამ საკითხზე ფრანკოსთან მიწერ-მოწერა გაემართა.

სამუელ ჰოუერმა ფრანკოს უპასუხა: „ვერ ვაღიარებ თეორიას, რომ ომის შემდეგ რუსეთი ევროპას საფრთხეს შეუქმნის“... ინგლისელი დიპლომატის პასუხი ეჭვს არ ტოვებს ევროპაში ინგლისის პოლიტიკის მიზნებისა და განზრახვის მხრივაც: „ომის დამთავრების შემდეგ ამერიკისა და ინგლისის მსხვილი არმიები კონტინენტის ოკუპაციას მოახდენენ. ისინი დაკომპლექტებული იქნებიან პირველხარისხოვანი ჯარისკაცებით, არ იქნებიან შელახულნი და დაუძლურებულნი, როგორც რუსული ნაწილები (ხაზგასმა ჩემია. — ვ. ჩ.).

გავკადნიერდები და ვიწინასწარმეტყველებ, — წერდა შემდეგ ჰოუერი, — რომ ინგლისელები კონტინენტზე ყველაზე ძლიერი სამხედრო ძალა იქნება. ევროპაზე ინგლისის გავლენა ისეთივე ძლიერი იქნება, როგორც ნაპოლეონის დამარცხების დღეებში. სამხედრო ძალით გამაგრებულ ჩვენს ზეგავლენას მთელი ევროპა იგრძნობს, და ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ მის აღდგენაში“.

ჰოუერი როცა ამბობდა, რომ „ამერიკისა და ინგლისის მსხვილი არმიები კონტინენტის ოკუპაციას მოახდენენ“, რომ „ისინი დაკომპლექტებული იქნებიან პირველი კლასის ჯარისკაცებითა“ და არ იქნებიან „შელახულნი და დაუძლურებულნი, როგორც რუსული ნაწილები“, რასაკვირველია, მხოლოდ თავის აზრს როდი გამოთქვამდა. ინგლისში განსაზღვრულ წრე-

ებს მიაჩნდათ, რომ რუსეთი და გერმანია მძვინვარე ომში დაეუძლურებენ ერთმანეთს და ინგლისის იოლ ნადავლად იქცევიან, ან დიდხანს, თუ სამუდამოდ არა, შეწყვეტენ თავიანთ არსებობას როგორც მძლავრი სახელმწიფოები.

რამ აიძულა ჰოუერი, რომ ასეთი გულახდილობით ეცნობებინა ჰიტლერის მოკავშირე ფრანკოსათვის ევროპის ომისშემდგომი მოწყობის ინგლისური გეგმები?

ვისთვის იყო განკუთვნილი საბოლოოდ ეს სტრიქონები? ხომ არ იყო ეს თავისებური მიმართვა გერმანიის იმ წრეებისადმი, რომლებიც უკვე ორმოცდასამ წელს თანახმა იყვნენ დასავლეთთან მოლაპარაკება ეწარმოებინათ?

ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე ჩვენი მოკავშირეების ბანაკში, იმედოვნებდა, რომ ომის დასასრულს ჩვენს არმიას დასუსტებულსა და სისხლისაგან დაცლილს ნახავდა.

მაგრამ გერმანიის ფარგლებში ჩვენი არმია, როგორც არასდროს, ისე მძლავრად შევიდა.

ომის შემდეგ გენერალ-ფელდმარშალმა კაიტელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა ჯარების წინააღმდეგ კონტრშეტევის განხორციელება პომერანიის პლაცდარმიდან განზრახული იყო 1945 წლის თებერვალ-მარტში. ამისათვის „ვისლას“ არმიების ჯგუფის ჯარები, რომლებიც გრუძენზის რაიონში იყვნენ შეფარებული, სამხრეთზე დარტყმით გაარღვევენ ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარების ფრონტს და მდინარეების ვარტისა და ნეტცეს ხეობის გავლით კიუსტრინს ზურგიდან შემოუვლიან“.

გუდერიანი გვაცნობებს, რომ ეს შეტევა 15 თებერვალს უნდა დაწყებულიყო.

რა ძალების გამოყენებას აპირებდა გერმანელთა სარდლობა ამ დარტყმის განსახორციელებლად?

ახლა ცნობილია, რომ ჰიტლერი ბერლინში 13 იანვარს გამოჩნდა. მოისმინა მოხსენებები ვითარების შესახებ, მაგრამ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. მან მხოლოდ დააყოვნა დასავლეთის ფრონტზე მე-6 სატანკო არმიის ბრძოლაში ჩაბმა. უკრაინის პირველი ფრონტის შეტევის დაწყებით შეშფოთებული ჩავიდა იგი დედაქალაქში. ბელორუსიის პირვე-

ლი და მეორე ფრონტების დარტყმები 14 იანვარს დაიწყო. 16 იანვარს ჰიტლერი ბრძანებას იძლევა, რომ დასავლეთის ფრონტზე თავდაცვაზე გადავიდნენ და იქიდან ხსნის ყველაფერს, რისი მოხსნაც შეიძლება, აღმოსავლეთის ფრონტზე გადმოსასროლად. მაგრამ ეს საკმარისი არ არის, ჩვენი დარტყმები დივიზიებს ერთიმეორის მიყოლებით შლის და ფანტავს. გუდერიანი დაჟინებით მოითხოვს, რომ ბალკანეთის ქვეყნებიდან, იტალიიდან, ნორვეგიიდან, ბალტიისპირეთიდან ჯარი მთლიანად გამოიყვანონ... მაგრამ ჰიტლერი ამის სანქციას არ იძლევა, გუდერიანის რჩევის გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია. ჯარების ამგვარი გადაადგილება დროს, გზებს, რკინიგზის შემადგენლობებს, სანაოსნო საშუალებებს მოითხოვს. არ უნდა დავიიწყოთ, რომ იმ დროს მოკავშირეთა ავიაცია ჰაერში განუყოფლად ბატონობდა და გერმანიას ცხრილავდა ერთი ბოლოდან მეორემდე, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

ჯარების გადაყვანა, რომელიც მაინც დაიწყო, იმავე გუდერიანის ცნობით, „ძალიან ნელა მიმდინარეობდა. მოწინააღმდეგის ავიაციის უპირატესობამ არა თუ მოშალა ჯარების გადაყვანა, არამედ სარდლობის ნებისყოფასაც დამბლა დასცა“.

საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი თავის წიგნში „მოგონებები და ფიქრები“ წერს: „...თებერვლის პირველ რიცხვებში აღმოსავლეთ პომერანიის მხრიდან მომწიფდა კონტრდარტყმის სერიოზული საფრთხე, რომელიც ემუქრებოდა ოდერისაკენ წინწასული ფრონტის მთავარი დაჯგუფების ფლანგსა და ზურგს...

თებერვლის დასაწყისში ოდერისა და ვისლის შუა წელში მოქმედებდნენ გერმანელთა მე-2 და მე-11 არმიები, რომელთაც ჰყავდათ 16 ქვეითი, 2—4 სატანკო, 3 მოტორიზებული დივიზია, 4 ბრიგადა და 8 საბრძოლო ჯგუფი...

ამას გარდა, შტეტინის (შჩეცინის) რაიონში განლაგდა მე-3 სატანკო არმია, რომელიც გერმანელ-ფაშისტთა სარდლობას შეეძლო გამოეყენებინა როგორც ბერლინის მიმართულებით, ასევე აღმოსავლეთ პომერანიის დაჯგუფების გასაძლიერებლად (რაც ფაქტიურად კიდეც მოხდა)“*.

* გ. კ. ჟ უ კ ო ვ ი. „მოგონებები და ფიქრები“, თბ., 1970, გვ. 704.

ეს შეტევა არნსვალდეს (ხოშჩნოს) რაიონიდან 16 თებერვალს შედგა.

17-ში ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოიგერიეს.

ჩაიშალა შეტევა, რომლისთვისაც გენერალი გუდერიანი ჰიტლერს ებრძოდა... უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში მიიღეს გადაწყვეტილება ბერლინზე გადამწყვეტი შეტევის დაწყებამდე პომერანიაში ეს დაჯგუფება გაენადგურებინათ. პომერანიის დაჯგუფების გასანადგურებლად გამიზნული იყვნენ ბელორუსიის მეორე ფრონტის ჯარები და ბელორუსიის პირველი ფრონტის მარჯვენა ფრთა, კატუკოვისა და ბოგდანოვის პირველი და მეორე გვარდიული სატანკო არმიების ჩათვლით.

პომერანიის დაჯგუფების ბედი ამან გადაწყვიტა. წითელი არმიის ჯარები 4 მარტს ბალტიის ზღვას მიადგნენ, ხოლო 9 მარტს შტეტინთან — მდინარე ოდერს.

6

ოდერის პლაცდარმებს დღითი დღე ვაფართოებდით.

არმიის მარჯვენა ფლანგზე, ოდერისა და ვარტის შესართავთან, ციხესიმაგრე კიუსტრინი იდგა. ორ მდინარეს შორის იგი ქვისა და ბეტონის კუნძულად ალმართულიყო. მსხვილი კალიბრის არტილერიის, მძიმე ბომბდამშენი ავიაციის გარეშე მისი აღება ძალიან ძნელი იყო. კიუსტრინის ციხესიმაგრე დიდხანს გვიშლიდა ხელს მარჯვენა მეზობელთან—გენერალ ბერზარინის მე-5 დამკვრელი არმიის ჯარებთან შეერთებასა და მასთან ურთიერთმოქმედებას.

არმიის მარცხენა ფლანგზე მოწინააღმდეგემ მოასწრო მაღლობების დაკავება, რომლებიც ოდერის გასწვრივ სოფელ რაინტვაინიდან ფრანკფურტამდეა გადაჭიმული. ეს მაღლობები მდინარის ხეობაზე გაბატონებულიყო და პლაცდარმზე განლაგებულ ჩვენს ნაწილებს მოწინააღმდეგე ფლანგური საარტილერიო ცეცხლით ცხრილავდა. დასავლეთი ფრონტიდან სასწრაფოდ გადმოსროლილი გერმანელთა ჯარები, მათ შორის მოტორიზებული დივიზია „დიდი გერმანია“, არა მარტო გა-

მაგრდნენ ხელსაყრელ თავდაცვით ზღუდეებზე — ზეელოვის მაღლობებზე, არამედ ცალკეული კონტრიერიშებიც დაიწყეს.

ჩემსა და გენერალ ბერზარინის წინაშე რთული ამოცანები იდგა. საჭირო იყო მათი სასწრაფოდ დაუყოვნებლივ გადაწყვეტა. პლაცდარმის გასაფართოებლად საჭირო იყო, ჯერ ერთი, ალტე-ოდერის გადალახვა, მეორე, ციხესიმაგრე კიუსტრინის დაკავება ან მისი გარნიზონის პარალიზება, მესამე, ფრანკფურტის ჩრდილოეთით და გუჟიცას სამხრეთ-დასავლეთით მთიანი მასივის მაღლობების დაპყრობა. კერძოდ, მე-8 გვარდიული არმიის ჯარებს გაბატონებული მაღლობები და დასახლებული პუნქტები პოდელციგი და კლესინი უნდა დაეკავებინათ. საამისოდ უნდა გექონოდა საკმაო რაოდენობის ჰურვები მსხვილკალიბრიანი არტილერიისათვის და გადასასვლელი პონტონური საშუალებები. მაგრამ, ეიმეორეს, არც ერთი და არც მეორე არ გაგვაჩნდა. განვაგრძობდით დაპყრობილი პლაცდარმების გაფართოებას და მოწინააღმდეგის გარემოცული გარნიზონების განადგურებას (იმ დღეებში პოზნანში მტრის გარნიზონის მოსპობას განვაგრძობდით).

პლაცდარმის გაფართოების ამოცანა ჩვენს ხელთ არსებული საშუალებებით, არსებითად, საწვავის მოზიდვის გარეშე უნდა გადაგვეწყვიტა. არმიის ტრანსპორტი საომარი მასალით ძლივს უზრუნველყოფდა ნაწილებს, რომლებიც პოზნანს უტევდნენ. ყველაფერი, რაც ქვეყნის სიღრმიდან მოჰქონდათ, ფრონტის მარჯვენა ფრთაზე, პომერანიაში უნდა გადაგვესროლა.

პლაცდარმზე მოქმედი 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაურმა გენერალმა რიეკოვმა და კორპუსის არტილერიის სარდალმა პოლკოვნიკმა ტიმოშენკომ ნადავლი იარაღისა და ჰურვების შეგროვება და გამოყენება უზრუნველყვეს. უნდა ითქვას, რომ ნადავლი ძალზე გეშველოდა. ნადავლ ქვემეხებს მაშინვე ვიყენებდით. პლაცდარმის გაფართოებისათვის ბრძოლაში არტილერისტებმა 105-დან 150 მილიმეტრამდე კალიბრის 65 000 ნადავლი ჰურვი გამოიყენეს. ფაშისტებს მათივე წარმოების „ძღვენი“ დაატყდა თავს.

პლაცდარმზე ჩვენი დარტყმების მოსაგერიებლად მტერს

საკმაო ძალები არ გააჩნდა და ჩვენი ჯარების წინააღმდეგ მთელი თავისი ტექნიკა გამოიყენა, მათ შორის ავტოპილოტიანი თვითმფრინავ-ჟურნალები. ოდერზე პირველად ვნახე მოქმედებაში ეს „საიდუმლო იარაღი", რომელზეც ამდენს ლაპარაკობდა გებელსი. ეს იყო თებერვლის პირველ ნახევარში. იმ დროს ჩვენი მესანგრეთა ნაწილები დაბა გუჟიცასთან ოდერზე პირველ ხიდს აგებდნენ.. გენერალ პოჟარსკისთან ერთად იქვე ახლოს სათვალთვალო პუნქტზე ვიყავი. მზიანი ამინდი იდგა. ჩვენი ყურადღება ორძრავიანმა თვითმფრინავმა მიიპყრო. დასავლეთიდან დაბალ სიმაღლეზე მოფრინავდა. აი, გამოსცდა 81,5 მაღლობს და დაშვება დაიწყო. მდინარემდე სამასი მეტრი რჩებოდა, როცა თვითმფრინავი პიკზე გადავიდა, მიწას დაენარცხა და აფეთქდა. მშენებარე ხიდისკენ ოთხი ასეთი თვითმფრინავი იქნა გამოგზავნილი, მაგრამ მიზანს ერთიც ვერ მოხვდა. აფეთქებისაგან დიდი ორმოები რჩებოდა. მაგრამ მტერმა დიდი ზარალი ვერ მოგვაყენა.

დავეჭვდით, ღირდა კი ჩიტი ბდღვნად? ასეთი ძვირფასი იარაღის გამოყენება მშენებარე ხიდის საწინააღმდეგოდ — უაზრო ხელგაშლილობაა. მაგრამ ჰიტლერელთა სარდლობას ეკონომიური გაანგარიშების თავი არ ჰქონდა. რაც კი გააჩნდა, ყველაფერს ჩვენს წინააღმდეგ იყენებდა. ოღონდ შეეჩერებინა ოდერზე ჩვენი გადასვლა.

ჩვენი ჯარები თანდათან უშუალოდ პოდელციგს მიუახლოვდნენ, დაიპყრეს და გამაგრდნენ 81,5 ნიშნიან გაბეტონებულ მაღლობზე, დაიკავეს კიუსტრინის გარეუბანი კიცი, დასახლებული პუნქტები მანშკოვი, ხატენოვი.

პლაცდარმს ოდერის დასავლეთ ნაპირზე ახლა უკვე მნიშვნელოვანი ფართობი ეკავა — სიგანით 12,5 და სიღრმით — 8 კილომეტრი, დადგა მარჯვენა მეზობელთან შეერთების დრო. მაგრამ ეს არც ისე იოლი გამოდგა. ქალაქი კიუსტრინი უკვე ჩვენი მეზობლის ხელთ იყო, მაგრამ ციხესიმაგრე ჯერ კიდევ წინააღმდეგობას გვიწევდა. პოზნანის ციხესიმაგრის მსგავსი, ძლიერი ციტადელი მეზობლისაგან გვთიშავდა.

ბერლინამდე სულ 70 კილომეტრი დარჩა. მართალია, ჩვენი შეტევა შეჩერებულ იქნა, მაგრამ ვიცოდით, რომ მალე ბერ-

ლინის ქუჩებში მოგვიწევდა ბრძოლა. ჯრმიის სამხედრო საბჭომ გადაწყვიტა, ჯარები ქუჩებში ბრძოლისათვის მოგვემზადებინა. ყოველ დივიზიასა და ყოველ პოლკში სარეზერვო, უფრო ზუსტად, სასწავლო ბატალიონები შეიქმნა. პლაცდარმზე განლაგებული მე-4 და 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსების ნაწილებს შორის შეპირაპირების ადგილზე წაწეულ იქნა ახლახანს პოზნანიდან მოსული 27-ე და 47-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიების თითო პოლკი. ამის ხარჯზე კორპუსების მეთაურებმა რეზერვების გამოყოფისა და პლაცდარმიდან აღმოსავლეთ ნაპირზე მათი გაყვანის შესაძლებლობა მიიღეს, რაც ორი ღამის — 5 და 6 მარტის განმავლობაში გაკეთდა კიდეც. პოზნანიდან მოსული გენერალ გ. ი. ხეთაგუროვის 82-ე დივიზია მთლიანად ოდერის აღმოსავლეთ ნაპირზე დარჩა. აქ ხდებოდა მისი შევსება და საბრძოლო მომზადება. სასწავლო ბატალიონების მსგავსად მისი ნაწილები სპეციალურად შემუშავებულ პროგრამას გადიოდნენ, რომელიც შემდეგ ძირითად ამოცანებს მოიცავდა:

— ქვედანაყოფების შედგენა ასეულამდე ჩათვლით;

— საიერიშო ჯგუფებისა და რაზმების შექმნა და საქალაქო ბრძოლაში მათი მოქმედების დამუშავება;

— გამაგრებულ დასახლებულ პუნქტში ბრძოლის ხერხების ათვისება;

— მოწინააღმდეგის საველე (სასანგრე) დაცვის გარღვევა;

— ყველა მეომრისათვის ნადავლი ყუმბარსატყორცნის „ფაუსტის“ გამოყენების სწავლება.

მოწინავე ხაზზე დარჩენილი ნაწილების მეომრებიც სწავლობდნენ. მეთაურებს დავალეთ ყოველდღიურად ჩაეტარებინათ სროლა რეალურ სამიზნეებზე, მიეღწიათ ყველა სახის იარაღის გამოყენების სიზუსტისა და სისწრაფისათვის.

ოფიცერთა შემადგენლობის სწავლება ჯგუფურად ხდებოდა. მოკლე სახელდახელო მეცადინეობაზე, უშუალოდ ველზე წარმოებდა ჯარების სახეობათა ურთიერთმოქმედების დამუშავება საიერიშო ჯგუფებსა და რაზმებში. დიდი სარგებლობა მოქონდა აგრეთვე ყველაზე უფრო საინტერესო და ყურადსაღები საბრძოლო ეპიზოდების გულმოდგინე გარჩევას.

გადატანილი ბრძოლების გამოცდილებაზე დაყრდნობით დავწერე სამახსოვრო მეომრებისა და ოფიცრებისათვის, რომელშიც აღწერილი იყო ქუჩის ბრძოლებში მცირე საიერიშო ჯგუფების მოქმედების პრაქტიკული ხერხები. სამახსოვრო სტამბური წესით გამრავლდა და დაურიგდათ არა მარტო მე-8 გვარდიული არმიის, არამედ ბელორუსიის პირველი ფრონტის სხვა არმიების მეომრებსაც.

მარტის ოციან რიცხვებში ჩავატარეთ კერძო ოპერაციები ციხესიმაგრე კიუსტრინის დასავლეთით მარჯვენა მეზობლის — მე-5 დამკვრელი არმიის ნაწილებთან ჩვენი ფლანგის შეერთების მიზნით. მანძილი ჩვენს არმიებს შორის, უფრო ზუსტად, ოდერის დასავლეთ ნაპირზე ორ პლაცდარმს შორის, აქ სამ კილომეტრამდე იყო. მოწინააღმდეგეს ამ დერეფნის საშუალებით ჰქონდა დამყარებული კავშირი კიუსტრინის ციტადელთან, რომელიც მდინარე ოდერის მთავარი კალაპოტის კუნძულზე მდებარეობდა. თვით ციხესიმაგრე წარმოადგენდა სოლის ფუძეს, რომელიც ჩვენს პლაცდარმებს ჰყოფდა. საჭირო იყო ამ სოლის გახლეჩვა სადღაც კიუსტრინის დასავლეთით, ყველაზე უფრო ვიწრო ადგილზე და ორი არმიის ფლანგების შეერთება. მაშინ ციხესიმაგრის გარნიზონი იზოლირებული აღმოჩნდება.

ციხესიმაგრის ფორტების ნაწილი ჩვენმა ჯარებმა ჯერ კიდევ პლაცდარმისათვის ბრძოლების დასაწყისში იგდეს ხელთ. ახლა მტრის თავდაცვას ჩვენ სამხრეთიდან დავარტყამთ და კიცა-დოლგელინის რკინიგზაზე გავალთ. გენერალ ბერზარინის ჯარები იმავდროულად ჩრდილოეთიდან შეუტევენ, რათა გოლცოვის რკინიგზის სადგურის რაიონში შემოგვიერთდნენ.

ოპერაციას გულმოდგინედ ვამზადებდით და იგი 22 მარტს განვახორციელეთ. მანამდე საიერიშო და ბომბდამშენი ავიაცია ოთხი დღე-ღამის განმავლობაში მეთოდურად ურტყამდა მოწინააღმდეგეს, არღვევდა მისი თავდაცვის სისტემას და მართვას, მიზანს მიზანზე ანადგურებდა. არტილერისტები გამიზნულ ცეცხლს გრაფიკით უშენდნენ სხვადასხვა უბანს, ხოლო იერიშის დაწყებამდე, რომელიც დილის 9 საათსა და 15 წუთზე იყო დანიშნული, მძლავრი საარტილერიო დარტყმა გა-

ნახორციელეს და ქვეითებს გზა გაუწმინდეს. იმავდროულად შეტევაზე გადავიდნენ მე-5 დამკერელი არმიის ჯარის ნაწილები.

ამ შეთანხმებული მოქმედების შედეგად ორი არმიის ჯარები დასახულ რაიონში შეერთდნენ და კიუსტრინის ციხესიმაგრის გარნიზონი მცირეოდენი გადარჩენილი ფორტებითა და ციტადელით ყოველი მხრიდან იზოლირებული აღმოჩნდა.

განადგურდა კიუსტრინისა და ზეელოვის შემაერთებელ დერეფანში მყოფი ყველა ჯარი. ნაწილი ტყვედ დაგვნებდა, ნაწილმა დაიხია გადარჩენილი ფორტისაკენ, რომელიც კუნძულზე მდებარეობდა.

ჩვენი ორი პლაცდარმი ახლა გაერთიანდა. გაერთიანებულმა პლაცდარმმა შემდგომში, ბერლინის ოპერაციის დროს დიდი როლი შეასრულა. მაგრამ ამ დიდი პლაცდარმის ცენტრში ჯერ კიდევ რჩებოდა ციხესიმაგრის ციტადელი მტრის მრავალრიცხოვანი გარნიზონით.

თვით ციტადელი მდებარეობდა ოდერით, ვარტითა და მათი შენაკადებით შექმნილ კუნძულზე. კუნძულის მისადგომებს გაზაფხულის ადიდებული წყლები ფარავდა. ციტადელი ხმელეთს უკავშირდებოდა მხოლოდ ჯებირებითა და გზის მიწაყრილებით, რომლებიც მარაოსავით იშლება სხვადასხვა მხარისაკენ — ბერლინისაკენ, ფრანკფურტისაკენ, პოზნანისაკენ, შტეტინისაკენ. რა თქმა უნდა, მოწინააღმდეგე ამ გზების მაგრად ჩაკეტვას შეეცადა, ჯებირები და მიწაყრილები საველე სიმაგრეებით — სანგრებით, ძელმიწურებით, ბლინდაჟებით, კაპონირებით, მავთულხლართებითა და ნაღმური ღობურებით გააკეთა. ჩვენი მცირე ქვეგანაყოფები მტრის სიმაგრეებს იმდენად მიუახლოვდნენ, რომ ხელყუმბარებით ბრძოლა და ფაუსტპატრონების სროლა თითქმის მთელი დღე-ღამე არ წყდებოდა. მაგრამ აქ დიდი ძალების გაშლა ვერ შევძელით: ერთ ტანკს ჯებირის მთელი სიგანე ეჭირა.

როგორ შევუტიოთ? მთავარი და გადამწყვეტი როლი არტილერიას დავაკისრეთ. მას უნდა გაენადგურებინა ჯებირებსა და მიწაყრილებზე აგებული სანგრები, ბლინდაჟები და ძელმიწურები. ავიაციას მიზნად დავუსახეთ ციტადელისა და მის

გარშემო გადარჩენილ საფორტიფიკაციო ნაგებობათა განადგურება.

ბლინდაჟებისა და ძელმიწურების დანგრევა მხოლოდ მძიმე არტილერიასა და მსხვილი კალიბრის ნაღმსატყორცნებს შეეძლოთ. მაგრამ მსხვილი კალიბრის ქვემეხებიდან ჩვენი მეომრების თავსზემოთ სროლა, მეომრებისა, რომლებიც მტერთან ძალიან ახლო მანძილზე იმყოფებოდნენ, არ შეგვეძლო. საჭირო იყო სხვა, უფრო სწორი და უსაფრთხო გადაწყვეტილების პოვნა. არმიის არტილერიის სარდალთან გენერალ პოჟარსკისთან და 35-ე და 82-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიების მეთაურებთან ერთად გულმოდგინე რეკოგნოსცირება ჩავატარე.

ადგილმდებარეობას უშუალოდ საწყის მიჯნებზე გავეცანით. სწორედ მაშინ მოგვივიდა აზრად, რომ დიდი სიძლიერის სამი ბატარეა პირდაპირი დამიზნების პოზიციაზე გაგვეყვანა. 203-მილიმეტრიან ქვემეხებს ვერც ერთი ძელმიწური ვერ გაუძლებს. ერთი ბატარეა ჯებირში ჩავფალით ოდერის მარცხენა ნაპირზე კიცის გარეუბანთან. ეს ბატარეა ცეცხლს მარჯვენა ნაპირზე განლაგებულ ძელმიწურებს უშენდა. მეორე ბატარეა მარჯვენა ნაპირის ჯებირზე განვალაგეთ კუნძულის სამხრეთით ოთხასი მეტრის დაშორებით. იგი მარცხენა ნაპირის ჯებირზე მოწყობილ ძელმიწურებს უმიზნებდა. ასეთი განლაგება ხილულ, ახლოს მყოფ მიზნებზე ჯვარედინი ცეცხლის დაშენას უზრუნველყოფდა. ჩვენიანები რომ არ დაგვეზიანებინა, მოწინავე ხაზი ორივე ჯებირზე კარგად შესამჩნევად მოვნიშნეთ.

მესამე ბატარეა ჟაბჩინის ბაქანთან განლაგებულ ჯებირზე დავაყენეთ. იგი დამიზნებული იყო ციტადელის კედლებს, რომლებიც ამ უბნიდან კარგად მოჩანდა.

ციხესიმაგრის იერიში ოდერის აღმოსავლეთი ნაპირიდან 82-ე გვარდიულ მსროლელთა დივიზიას დავაკისრეთ, ხოლო დასავლეთი ნაპირიდან — 35-ე გვარდიულ მსროლელთა დივიზიას. 35-ე დივიზიის ერთი პოლკი კუნძულზე სადესანტოდ სამხრეთიდან ემზადებოდა.

ციტადელისაკენ მიმავალი ჯებირებისა და გზების გასწვრივ

შეტევისათვის ყოველი დივიზია თითო ასეულს გამოყოფდა. მათ საბრძოლო მწყობრს უფრო მეტი სიღრმე ჰქონდა, ვიდრე იერიშის ფრონტს — ტაქტიკაში ეს უჩვეულო შემთხვევა იყო.

იერიშის გეგმა ასეთი იყო. შეტევის წინადღეს, 28 მარტს ჩვენი საიერიშო და ბომბდამშენი ავიაცია გამიზნულად ბომბავს ციტადელს და სხვა ხანგრძლივ საინჟინრო ნაგებობებს. თავისი დარტყმით მოწინააღმდეგეს ამ ნაგებობებიდან საველე სიმაგრეებში გამოაძევებს. ამ დღეს არტილერია ცეცხლს არ უშენს, გარდა იმ ბატარეისა, რომელიც პირდაპირი დამიზნებით ციხესიმაგრის კედლების საიერიშოდ არის მიმართული.

29 მარტს დილით ავიაცია იმეორებს დარტყმას იმავე მიზნებზე და მოწინააღმდეგის გარნიზონს ციტადელში შესვლის საშუალებას არ აძლევს. დაე, დარჩეს საველე სიმაგრეებში და იფიქროს, რომ ჭკუით გვაჯობა. მაგრამ ციტადელზე ბომბის უკანასკნელი აფეთქების შემდეგ, ზუსტად დილის 10 საათზე ყველა კალიბრის არტილერია (პირდაპირი დამიზნებისათვის დაყენებული მძლავრი ქვემეხების ჩათვლით) ცეცხლს უშენს საველე სიმაგრეებს. საარტილერიო დარტყმის ხანგრძლივობა — 40 წუთი. არტილერიის ცეცხლით დაცული მსროლელთა და მეავტომატეთა დესანტი ნავებით კუნძულზე გადადის. 10 საათსა და 40 წუთზე კი საერთო იერიში იწყება.

შეტევის წინადღეს ჰოსპიტლიდან დაბრუნებულ არმიის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების სარდალ გენერალ ვაინრუბთან ერთად საწყის პოზიციებზე წავედი, მზადყოფნა უნდა შემემოწმებინა. შუადღეს ჟაბჩინის ბაქნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე წყალსატუმბთან მივედით. აქ შევჩერდით, რათა თვალყური გვედევნებინა ციტადელის კედლებზე მძიმე ჭურვების პირდაპირი დარტყმებისათვის.

ჩვენს წინ წყლით სავსე აუზი აღმოჩნდა, ალბათ წყალსატუმბის სალექარი იყო. ჩვენი ადიუტანტები: ჩემი — თევდორე* და ვაინრუბისა — ალიოშა კურენცოვი, ერთმანეთის გვერდით აუზის ბარიერთან იდგნენ. უცებ მარჯვნიდან აფეთქების

---

[1] თევდორე ვ. ი. ჩუიკოვის ღვიძლი ძმაა. ამჟამად სსრ კავშირის სამოქალაქო თავდაცვის შტაბში მსახურობს.

ხმა გაისმა, მერე — მარცხნიდან, რამდენიმე წამის შემდეგ — წინიდან და ზურგიდან. ვიწრო ჩანგალის კედელს ავეკარით. როგორც ჩანს, მოწინააღმდეგემ შეგვნიშნა და მძიმე ნაღმსატყორცნებიდან ცეცხლი დაგვიშინა. ჯერ არმიწვდენა და გადაცდენაა. მაგრამ იგრძნობა, რომ მიზანი საკმაოდ ზუსტია. ასეთი სროლის დროს სადმე წასვლა ყველაზე უფრო საშიშია. იდექი და არ გაინძრე, თუ კი ფეხქვეშ თავშესაფარი არა გაქვს. კედელი ერთი მხრიდან გვიცავდა და უფრო მეტიდროდ ავეკარით. მაგრამ შემდეგი ნაღმის აფეთქებამ ყველა ზედახორად წაგვაქცია.

დიდხანს მესმოდა ზარების ხმა. გონს რომ მოვედი, ვიგრძენი, რომ ადამიანების ქვეშ ვწევარ. ვაინრუბი თავზე მკერდით გადამფარვია, ზემოდან თევდორე დასწოლია, ხოლო სულ ზევით, თითქოს ყველას საკუთარი სხეულით გვფარავსო, გასისხლიანებული ალიოშა გართხმულიყო. ვაინრუბი დაეჭრათ, ნაღმის ნამსხვრევი მუხლს ზემოთ, ფეხში შერჭობოდა. მე და თევდორე უვნებელი დავრჩით. როცა მკვდარი ალიოშა დავინახეთ, გული დაგვეწვა. არც კი გვჯეროდა, რომ ეს ლამაზი ჭაბუკი, რომელიც ახლახანს ჩვენს გვერდით იდგა, ცოცხალი აღარ არის. დამწუხრებულმა იმავე დღეს დავასაფლავეთ ჩვენი მხსნელი. გენერალი ვაინრუბი კი უახლოეს სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონში მე თვითონ წავიყვანე.

ციხესიმაგრისათვის ბრძოლა კი გეგმაზომიერად მიმდინარეობდა. 28 მარტს ავიაცია გამიზნულად ბომბავდა ციხესიმაგრის ხანგრძლივ ნაგებობებს და ნანგრევების გროვად აქცევდა მათ, მოწინააღმდეგეს აიძულებდა საველე სიმაგრეებში გადასულიყო ან ღრმა მიწისქვეშა კაზემატებში დამალულიყო.

29-ში დილით იგივე გამეორდა. შემდეგ საარტილერიო მომზადება დაიწყო. სათვალთვალო პუნქტიდან ვხედავდით, პირდაპირი დარტყმით როგორ ანგრევდნენ მძიმე ქვემეხების ჭურვები ჯებირებზე განლაგებულ ძელმიწურებს, ბლინდაჟებს. შთამბეჭდავი სანახაობა იყო: აფეთქების ტალღა ქვებსა და მორებს ჰაერში ისროდა.

10 საათსა და 30 წუთზე დესანტი კუნძულზე გადავიდა, ათი წუთის შემდეგ კი ტყვიამფრქვეველები და ავტომატები აკაკან-

დნენ, გაიზმა ხელყუმბარებისა და ფაუსტპატრონების აფეთ-ქების ხმა.

ციხესიმაგრის ნაგებობათა იერიშის ოსტატობა მრავალი შესაკრების ჯამია: ესაა ახლო ბრძოლაში იარაღის ხმარება, წინააღმდეგობათა გადალახვაში აკრობატული სიმარჯვე და, რასაკვირველია, პირველ რიგში, თითოეული მეომრის გამბედაობა და სიმამაცე. სწორედ ეს თვისებები გამოამჟღავნეს 82-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის 271-ე პოლკის მე-5 ასეულის ოცეულის გვარდიელებმა უმცროსი ლეიტენანტის მიხეილ ჩეპანოვის მეთაურობით. ნახტომით გადალახეს სანგრებით, თხრილებითა და ორმოებით დასერილი ოთხასმეტრიანი ზოლი, ბლინდაჟებითა და სატყვიამფრქვევე წერტებით გამაგრებულ ჯებირს გასცდნენ და იერიშის დაწყებიდან შვიდიოდე წუთში ციტადელის ნახევრადდანგრეულ კედლებთან გაჩნდნენ. აქ გერმანელმა მეტყვიამფრქვევეებმა გვარდიელებს ცეცხლი დაუშინეს. ოცეულის გაყვანა ჩეპანოვს განგრეულ კედელში უნდოდა, მაგრამ გვერდიდან დაშენილმა ტყვიამფრქვევის ძლიერმა ცეცხლმა გზა გადაუღობა. აქ შეიძლებოდა მთელი ოცეულის დაღუპვა და ამოცანის ჩაფუშვა, ასეთ მდგომარეობაში დაყოვნება სიკვდილს უდრიდა: მოწინააღმდეგემ ოცეული უკვე შენიშნა. ჩეპანოვი დაუყოვნებლივ ცვლის მიმართულებას და ოცეულთან ერთად კედლის გასწვრივ შემდეგ შენანგრევამდე გასხლტება. ახლა მისი მეომრები მკვდარ სივრცეში არიან, მათ ვერ მიწვდებათ ვერც ტყვიამფრქვევების, ვერც ავტომატების ცეცხლი. თუმცა, ზემოდან შეიძლება ხელყუმბარები დააყარონ. მაგრამ ჩეპანოვმა კედელზე თოკიანი „ჩანგალი“ შეაგდო უკვე. მარჯვედ, სწრაფად, ცირკის აკრობატივით ზევით აცოცდა. მის ხელში წითელი დროშა ათრთოლდა, ცეცხლივით ბრიალებდა შორიდან. მისკენ დაიძრნენ სხვა ქვეგანაყოფების მეომრებიც. ჩეპანოვის ოცეული კი კედელს მიღმა, ციხესიმაგრის ეზოში იბრძოდა.

მიხეილ ჩეპანოვი ორჯერ დაიჭრა, მაგრამ ბრძოლიდან არ გამოსულა. გვარდიელი მთავარ რაველინში შეიჭრა, ზედა ბაქნისაკენ გასასვლელი შენიშნა, საიდანაც გერმანელი ოფიცრები ბრძოლას ხელმძღვანელობდნენ. ვიწრო დერეფნებსა და კიბე-

ზე ავტომატითა და ხელყუმბარებით ამ ბაქნისაკენ გზას რომ იკაფავდა, უმცროსმა ლეიტენანტმა ჩეპანოვმა ცხრა ჰიტლერელი მოსპო. კიდევ რამდენიმე წუთმა განვლო და მთავარ თაველინზე წითელი დროშა აფრიალდა. დროშა ჩეპანოვის ოცეულის მეომრებმა აღმართეს. ოცეულის მეთაური კი მესამედ მკერდში დაიჭრა და დროშასთან აღმოხდა სული.

დაე, იცოდეს ალექსანდრა დიმიტრის ასულმა ჩეპანოვამ, რომელიც ულიანოვსკის ოლქის სოფელ არონოვკაში ცხოვრობს, რომ მისმა შვილმა მიხეილ პეტრეს ძემ, სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს მედლით დაჯილდოებულმა, ჯერ კიდევ სიცოცხლის დროს დაიდგა დიდებული ძეგლი — კიუსტრინში, ბერლინამდე 70 კილომეტრის დაშორებით დამხობილ ფაშისტთა ციხესიმაგრეზე წითელი დროშა აღმართა. იქვეა საბჭოთა კავშირის კიდევ ერთი გმირის, ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭაქვინჯის მკვიდრის გვარდიის სერჟანტ შოთა პლატონის ძე ტიბუას საფლავი.

ᲗᲐᲚᲘ III

1

ბერლინის ოპერაციისათვის მზადება ფართოვდებოდა. ჯარებს მრავალრიცხოვანი შევსება ემატებოდა. ოდერთან ათობით ათასი ტონა საწვავი მოქონდათ, მიწაში მარხავდნენ, ტყის მასივებში ნიღბავდნენ; ასობით ათასი ჭურვი, ნაღმი, ბომბი ინახებოდა საცეცხლე პოზიციებთან და აეროდრომებზე.

ოპერაციის ჩანაფიქრი ის იყო, რომ ფართო ფრონტზე შეძლებისდაგვარად ერთდროულად რამდენიმე მძლავრი დარტყმა მიგვეყენებინა, ალყა შემოგვერტყა და გაგვეცალკევებინა ბერლინის დაჯგუფება, შემდეგ კი ნაწილ-ნაწილ მოგვესპო.

1945 წლის მარტის ბოლოს, პომერანიაში ფაშისტური ჯარების განადგურებისა და ბალტიის ზღვის სანაპიროზე საბჭოთა დივიზიების გასვლის შემდეგ, მთავარბანაკმა დასკვნით ოპერაციაში სამი ფრონტის — ბელორუსიის მეორე (სარდალი მარშალი კ. კ. როკოსოვსკი), ბელორუსიის პირველი (სარდალი მარშალი გ. კ. ჟუკოვი) და უკრაინის პირველი (სარდალი მარშალი ი. ს. კონევი) ფრონტების ჯარები ჩააბა.

ეს სამი ფრონტი, ძალზე გაძლიერებული არტილერიითა და ავიაციით, მოწინააღმდეგის თავდაცვის სამ უბანზე გარღვევისათვის ემზადებოდა.

ბელორუსიის მეორე ფრონტის ჯარები მტრის თავდაცვის გარღვევისათვის ემზადებოდნენ უბანზე — შტეტინის სამხრეთით ქალაქ შვედტამდე. პირველ ეშელონში განლაგებული იყო სამი საერთო-საჯარისო არმია, სამი სატანკო, ერთი მექანიზებული და ერთი ცხენოსანთა კორპუსი. ამოცანა გულისხმობდა ოდერის გადალახვას, მოწინააღმდეგის შტეტინის დაჯგუფების განადგურებას და ოპერაციის დაწყებიდან არა უგვიანეს 12—15

15 დღისა ანკლამის, დემინის, ვიტენბერგის ზღუდეზე გასვლას.

ბელორუსიის პირველ ფრონტს უნდა ემოქმედა. გლიტცენის, კიუსტრინის, ლებუსის უბანზე. მისი პირველი ეშელონი რვა საერთო-საჯარისო არმიისაგან შედგებოდა. მთავარ დარტყმას ფრონტი ხუთი საერთო-საჯარისო და ორი სატანკო არმიების ძალებით კიუსტრინის პლაცდარმიდან ახორციელებდა. მძლავრი ერთდროული დარტყმით მტრის ზღუდეები დაახლოებით 70 კილომეტრის ფრონტზე უნდა გაერღვიათ, გაენადგურებინათ მოწინააღმდეგის ბერლინის დაჯგუფება, დაეპყროთ ბერლინი და ოპერაციის დაწყებიდან 12 — 15 დღეში ელბაზე გასულიყვნენ.

უკრაინის პირველი ფრონტისათვის განსაზღვრული იყო ფორსტი-მუსკაუს უბანი. მისი პირველი ეშელონი შვიდი საერთო-საჯარისო არმიისაგან შედგებოდა. მთავარი დარტყმა ხუთი საერთო-საჯარისო და მოძრავი ჯგუფის ორი სატანკო არმიის ძალებით უნდა განხორციელებულიყო. ამოცანა გულისხმობდა მდინარე ნეისეს გადალახვას, მოწინააღმდეგის კოტბუსის დაჯგუფების განადგურებას და ოპერაციის დაწყებიდან არა უგვიანეს 10—12 დღისა ბელიც-ვიტენბერგის ზღუდეზე და შემდგომ ელბის გაყოლებით დრეზდენამდე გასვლას. იმ შემთხვევაში, თუ ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარები ბერლინის აღებისას შეყოვნდებოდნენ, კონევს მათს დასახმარებლად თავისი სატანკო არმიები უნდა გაეგზავნა.

სამი მთავარი და რიგი დამხმარე დარტყმისა ძირითადად გამიზნული იყო მოწინააღმდეგის სილრმეში მყოფი რეზერვებისა და იმ ახლადაღდგენილი და შევსებული ოთხი არმიის განადგურებლად, რომლებიც გერმანიის აღმოსავლეთ ნაწილს იცავდნენ (მე-3 და მე-4 სატანკო, მე-9 და მე-17 საველე არმიები).

ამოცანა ნათელი, მაგრამ მეტად რთული იყო. ყველას ესმოდა, რომ ფაშისტები ომის ამ ეტაპზე უკანასკნელ ვაზნამდე იბრძოლებდნენ: მათი განკითხვის ჟამი ახლოვდებოდა.

მოახლოებულ კატასტროფას რომ გრძნობდნენ, გამოჩენილი ჰიტლერელი პოლიტიკოსები არმიებში დადიოდნენ, ჯარის-

კაცებსა და ოფიცრებს, განსაკუთრებით ესესის ჯარებს მოუწოდებდნენ: „იყავით შეუპოვარნი, ერთი ნაბიჯიც არ გადმოადგმევინოთ საბჭოთა ჯარებს დასავლეთისაკენ!“ ნაცისტური პარტიის დირექტივებში ნათქვამი იყო: „ბოლშევიკების მომავალი დიდი შეტევა ყველა შემთხვევაში უნდა მოვიგერიოთ. ამის წინაპირობა გაგვაჩნია — ხალხი გვყავს და ტექნიკა გვაქვს. მხოლოდ აღმოსავლეთისაკენ უნდა ვიყურებოდეთ, მიუხედავად იმისა, თუ რა ხდება დასავლეთში. აღმოსავლეთის ფრონტის შენარჩუნება ომის მსვლელობაში გარდატეხის წინაპირობაა“.

გერმანელ ფაშისტთა სარდლობამ ყველაფერი გააკეთა ბერლინის ღრმა და მტკიცე დაცვის მოსამზადებლად. ამას გეოგრაფიული პირობებიც უწყობდა ხელს. ერთმანეთთან მდინარეებით და არხებით შეერთებული მრავალი ტბა, ტანკებისა და სხვა ტექნიკისათვის ძნელად დასაძლევი ზღუდეები დიდი ძალებით შეტევას ართულებდა. თავდაცვის ფრონტის ხაზის შემოკლებამ მოწინააღმდეგეს საშუალება მისცა უკეთ გამოეყენებინა ბუნებრივი ზღუდეები, თავდაცვისათვის დიდი რაოდენობით აღარ იყო საჭირო ჯარი.

ჰიტლერელები მტკიცედ გამაგრდნენ ოდერისა და ნეისეს დასავლეთ ნაპირებზე შვედტიდან გუბენამდე, სადაც დაცვის ბუნებრივი და საინჟინრო ზღუდეების საერთო სიღრმე 30—40 კილომეტრს აღწევდა. მაგრამ ბერლინის აღმოსავლეთი მისადგომები ყველაზე უფრო ძლიერ იყო გამაგრებული ბელორუსიის პირველი ფრონტის შეტევის ზოლში. აქ მომზადებული დაცვა ოდერთან იწყებოდა და უშუალოდ ბერლინის გამაგრებული რაიონით მთავრდებოდა. მოწინააღმდეგე ბერლინის მიმართულებაზე ძალებს თებერვალში, მარტსა და აპრილის პირველ ნახევარში აგროვებდა. დაცვის სიღრმეში იყო დასავლეთის ფრონტიდან გადმოსროლილი მოტორიზებული და სატანკო დივიზიების მძლავრი რეზერვები. ქვეითი ჯარის დივიზიების რიცხვობრივი შემადგენლობა შვიდ-რვა ათასამდე იქნა დაყვანილი, სატანკოებისა კი — რვა-ათი ათას ჯარისკაცსა და ოფიცრამდე.

ბელორუსიის პირველი ფრონტის წინააღმდეგ მტერმა ბერ-

ლინის დაჯგუფების მთელი ძალებისა და საშუალებების ნახევარს მოუყარა თავი. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი ჯარი განალაგა ოდერზე ჩვენი პლაცდარმების წინააღმდეგ, სადაც მე-5 დამკვრელი და მე-8 გვარდიული არმიების ჯარის ნაწილები იმყოფებოდნენ.

ჩვენი შეტევის დასაწყისისათვის — 1945 წლის 16 აპრილისათვის — ჰიტლერელთა სარდლობამ ბერლინის მიმართულებით თავი მოუყარა 48 ქვეით, 10 მოტორიზებულ და 4 სატანკო დივიზიას, ქვეითი ჯარის 37 პოლკს, 98 ბატალიონს და მრავალ საარტილერიო ნაწილსა და შენაერთს. გარდა ამისა, ბერლინის გარნიზონი 200 ათას კაცზე მეტს ითვლიდა და სახმელეთო ჯარების მთავარსარდლობის რეზერვში 8 დივიზია იყო.

და მაინც, უპირატესობა ჩვენს მხარეზე იყო. პომერანიაში მოწინააღმდეგის დაჯგუფებათა მოსპობის, ტბა ბალატონის რაიონში მტრის კონტრშეტევის უკუგდების, ვენის განთავისუფლების შემდეგ საბჭოთა უმაღლესმა მთავარსარდლობამ გადამწყვეტ მომენტში შეძლო მთავარი მიმართულებით — ბერლინის მიმართულებით — ძალებსა და ტექნიკაში დიდი უპირატესობის შექმნა.

1945 წლის 16 აპრილისათვის ძალთა თანაფარდობა ასე გამოიყურებოდა:

	საბჭოთა ჯარები	მოწინააღმდეგე
დივიზიები	193	85
ცოცხალი ძალა	2500000	1000000
ქვემეხები და ნაღმსატყორცნები	დაახლოებით 42000	10400
ტანკები და თვითმავალი საარტილერიო დანადგარები	6250	1500
თვითმფრინავები	7500	3300

ეს მონაცემები მოწმობენ, თუ რაოდენ გულმოდგინედ ამზადებდა საბჭოთა სარდლობა გადამწყვეტ ბრძოლას. ძალებში მნიშვნელოვანი უპირატესობა უყოყმანოდ მოქმედების შესაძლებლობას გვაძლევდა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოწინა-

აღმდეგე სხვა ფრონტებიდან, მაგალითად, დასავლეთის ფრონტიდან, დამატებით ახალ ჯარებს გადმოისროდა, უპირატესობა მაინც ჩვენს მხარეს იქნებოდა.

ბელორუსიის პირველი ფრონტის სარდლის 1945 წლის 12 აპრილის კერძო ოპერატიულ დირექტივაში აღნიშნული იყო, რომ ჩვენმა მე-8 გვარდიულმა არმიამ მოწინააღმდეგის დაცვა უნდა გაარღვიოს რკინიგზის სადგურ გოლცოვის, დაბა ზაქსენდორფის უბანზე და დარტყმა განავითაროს საერთო მიმართულებით—ზეელოვი — ტრებნიტცი — ჰარცაუ-დალვიცი — სილეზიის ვაგზალი — შარლოტენბურგი, დაიკავოს ზღუდეები; ოპერაციის პირველ დღეს — ალტ-როზენტალი, ნოიენტემპელი, ლიცენი; ოპერაციის მეორე დღეს — ჰარცინი, მაღლობი 78,2, ტბა მაქს-ზეე; ოპერაციის მესამე დღეს — ალტ-ლანდსბერგი, ჰოპენგარტენის აღმოსავლეთი გარეუბანი, კალბერგე. შემდგომში ჯერ უნდა აგვეღო გერმანიის დედაქალაქის გარეუბნები — მარცანი, ფრიდრიხსფელდე, კარლსჰორსტი, კაულსდორფი, მალსდორფი, დალვიცი, ხოლო შემდეგ მისი ცენტრალური ნაწილი და ოპერაციის მეექვსე დღეს ტბა ჰაველის აღმოსავლეთ ნაპირზე უნდა გავსულიყავით.

საარტილერიო მომზადების დაწყებისთანავე ჩვენს ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადმოდიოდა მე-9 მოიერიშე საავიაციო კორპუსი მისი დამცველი გამანადგურებლებითურთ. კორპუსის მეთაური გენერალი ი. ვ. კრუპსკი იყო.

როცა არმია გუზოვ-ზეელოვ-დოლგელინ-ალტ-მალიშის ზღუდეზე გავიდოდა, გარღვევაში ჩაერთვებოდნენ პირველი გვარდიული სატანკო არმია და მე-11 სატანკო კორპუსი. გათვალისწინებული იყო ასეთი ვარიანტიც: თუ ჩვენი მარცხენა მეზობლის — 69-ე არმიის ზოლში შეტევა უფრო წარმატებით განვითარდებოდა, სატანკო ჯარები გარღვევაში იქ — დოლგელინისა და დებერინის უბანზე ჩაებმებოდნენ.

ფრონტის სარდალი მოითხოვდა, რომ ოპერაციისათვის მზადება მალულად ჩაგვეტარებინა, დაგვეცვა შენიღბვის ყველა ზომა, აუცილებლივ მიგვეღწია მოქმედების მოულოდნელობისათვის.

ჩვენმა მეზობლებმა — მე-5 დამკვრელმა და 69-ე არმიებმა

მა ანალოგიური დავალება მიიღეს. მათი ფრონტის სიგანე და შეტევის ტემპი დაახლოებით ისეთივე იყო, როგორიც ჩვენი.

ფრონტის დამკვრელი დაჯგუფების არმიებისათვის შეტევის ტემპი დღე-ღამეში 20 კილომეტრით განისაზღვრა. ერთი შეხედვით ნორმალური ტემპია. მაგრამ წინა ოპერაციებში ასეთ ტემპს ვაღწევდით არა ოპერაციის დასაწყისში, არამედ მისი განვითარების მსვლელობაში, არა გამაგრებული, წინასწარ მომზადებული დაცვის ზოლებში, არამედ მათი გარღვევისა და ოპერატიულ სივრცეში გასვლის შემდეგ.

ამასობაში ჩვენთვის არახელსაყრელი მდგომარეობა იქმნებოდა. აპრილი მდინარეებისა და ნაკადულების მძაფრი აღიდების დროა. ოდერის 10—15 კილომეტრის სიგანის ხეობა მთავარი კალაპოტიდან ზეელოვის მაღლობებამდე არხებით იყო დასერილი. წყალმა დაბლობები და მდელოები დატბორა; ხნულები, კარტოფილის პლანტაციები საფლობ ტალახად იქცა. ოდერიდან ზეელოვის მაღლობისაკენ მიმავალი მაგისტრალური გზები ცოტა იყო. მე-8 გვარდიული არმიის შეტევის ზოლში ასეთი გზა სულ ოთხი აღმოჩნდა. არა და მხოლოდ ამ გზებით შეეძლოთ მოძრაობა ავტომანქანებსა და საბრძოლო ტექნიკას; ოდნავაც რომ გადაგეხვია, უმალვე თავს ჭაობში ამოყოფდი. თუ არ ჩაეფლე, ბედი გქონია, ამოდი და ისევ დაადექ გზას.

ნაკადულებითა და არხებით დასერილ ხეობას ზეელოვის მაღლობები გადმოყურებდნენ, აქედან მოწინააღმდეგე მთელ პლაცდარმს უთვალთვალებდა. კიუსტრინიდან ბერლინამდე მოძრაობის ღერძზე, ჩვენი ფრონტის დამკვრელი ჯგუფის მთავარ მიმართულებაზე მოწინააღმდეგემ დაცვის ხუთი ზღუდე შექმნა. მიუნხენბერგის შემდეგ ისინი ბერლინის დაცვის სამრკალს უერთდებოდნენ.

გარღვევის ოცდაათკილომეტრიან ფრონტზე მოწინააღმდეგეს 10 დივიზია ჰყავდა: ქვეითი — მე-9, 303-ე, 309-ე, 169-ე, 712-ე და „კურმანი", მოტორიზებული — მე-20, 25-ე და „მიუნხენბერგი", სატანკო დივიზია „ფიურერი". მათ აძლიერებდა მთავარსარდლობის რეზერვის მე-5 და 408-ე საარტილერიო

კორპუსები, 292-ე და 770-ე ტანკსაწინააღმდეგო დივიზიები. მთავარ მიმართულებაზე თავმოყრილი ჯარების ასეთი სიმჭიდროვე მტერს საშუალებას აძლევდა დაცვის 2—3 ზღუდე ერთდროულად დაეკავებინა.

მე-8 გვარდიული არმიის შეტევის უბანზე მოწინააღმდეგეს პირველ ეშელონში, ზეელოვის მაღლობებსა და ოდერის ხეობაში, ჰყავდა სამი დივიზია გაძლიერების დიდი საარტილერიო საშუალებებით და სამი დივიზია — მეორე ეშელონში.

ფრონტის სარდლობის მიერ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები ძალზე რთული იყო. თუმცა, გაძლიერების საშუალებანი არმიებში საკმაოდ გაგვაჩნდა. მაგალითად, მე-8 გვარდიული არმიის საარტილერიო შეტევისას გარღვევის 70-კილომეტრიან ფრონტზე მონაწილეობდა 77 საარტილერიო და 10 სატანკო თვითმავალი არტილერიის პოლკი, რაც ფრონტის ერთ კილომეტრზე 266 ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს და ერთ სატანკო ბრიგადას შეადგენდა. მაგრამ გაძლიერების ამ საშუალებებს არ შეეძლოთ ერთდროულად მოწინააღმდეგის ორი თავდაცვითი ზღუდის განადგურება. პირველი ზღუდის აღების შემდეგ საჭირო იყო ათასობით ქვემეხების, ასობით სათვალთვალო პუნქტების წინ გადაწევა, შემდეგ ნაწილებს შორის კავშირისა და ურთიერთმოქმედების დამყარება. საამისოდ დრო იყო საჭირო.

მძლავრი ავიაცია გაგვაჩნდა, მაგრამ იგი გამიზნული იყო იმავე პოზიციებზე შეტევისათვის, რომლებზეც არტილერიას უნდა დაერტყა. დაზვერვის მონაცემების გარეშე მფრინავებს არ შეეძლოთ სცოდნოდათ ტყის მასივებში მტრის თავდაცვის გულმოდგინედ შენიღბული ზღუდეების შესახებ.

ფრონტის სარდლის დირექტივის საფუძველზე საბრძოლო მწყობრს ისე გახვალაგებდით, რომ საარტილერიო მომზადებისა და არტილერიის შეტევაში ყველა კორპუსისა და დივიზიის არტილერიას მიეღო მონაწილეობა. სამივე კორპუსი ერთ ხაზზე განლაგდა. მე-4 და 29-ე გვარდიულ მსროლელთა კორპუსებში პირველ ეშელონში ორი დივიზია მიდიოდა, 28-ში — მხოლოდ ერთი. ყოველ კორპუსს მეორე ეშელონში თითო დივიზია გააჩნდა. 28-ე კორპუსის 39-ე გვარდიული დივიზია არ-

მიის რეზერვში რჩებოდა. პირველი ეშელონის ყოველი კორპუსის (ხუთი კორპუსი იყო) შეტევის ზოლის სიგანე 1400 მეტრს შეადგენდა. დივიზიების პირველ ეშელონში ორ-ორი პოლკი იყო, მეორეში — თითო.

2

ვითვალისწინებდით, რომ მტერი ჩვენს შეტევას წინასწარ გამოიცნობდა და მოწინავე ხაზიდან მეორე პოზიციაზე ან ზეელოვის მაღლობებზე მას მთავარი ძალების გადაყვანა შეეძლო, ამიტომ მოწინააღმდეგის დაცვის ნამდვილი წინა ხაზის დაზუსტების მიზნით ფრონტის გადაწყვეტილებით 1945 წლის 14 აპრილს, საერთო შეტევის დაწყებამდე ორი დღით ადრე ჩავატარეთ დაზვერვა ბრძოლით. დაზვერვაში ყოველი დივიზიიდან მონაწილეობდა ტანკებითა და არტილერიით გაძლიერებული ბატალიონი.

გადაწყვეტილება შეტევამდე ორი დღით ადრე საბრძოლო დაზვერვის ჩატარების შესახებ ჩვენმა არმიამ შესასრულებლად მიიღო. ფრონტის სარდლის დირექტივა კატეგორიულად მოითხოვდა შეტევისათვის მზადება ფარულად ჩაგვეტარებინა. მეომრებისათვის ეს უშუალოდ იერიშის წინ უნდა გვეთქვა მხოლოდ.

თუ კოველთან და ვისლაზე ბრძოლით დაზვერვა შეტევამდე ორი საათით ადრე ტარდებოდა და საერთო შეტევაში გადაიზრდებოდა, ფრონტის სარდლობამ ახლა ამ მეთოდზე უარი თქვა.

ამასთან ფრონტის სარდალმა ახალი ხერხი შემოგვთავაზა: გარღვევის უბანზე თავი უნდა მოგვეყარა დიდი რაოდენობით პროექტორებისათვის, იერიშის წინ, რომელიც ღამე განხორციელდებოდა, გავანათებდით ბრძოლის ველს და მოწინააღმდეგეს დავაბრმავებდით.

შეტევამდე ერთი კვირით ადრე მარშალ ჟუკოვის მიერ მოწყობილ სპეციალურ სწავლებაზე ჩვენ, არმიებისა და კორპუსების სარდლებმა, ჩვენს თავზე გამოვცადეთ პროექტორების მოქმედება როგორც შეტევის დროს, როცა პროექტორე-

ბი ზურგიდან ანათებდნენ, ისე დაცვაში, როცა სინათლე თვალებს გვჭრიდა. კარგად გამოდიოდა...

ბრძოლით დაზვერვა მთელ ფრონტზე 14 აპრილს ჩატარდა. 14 აპრილს 7 საათსა და 40 წუთზე, ათწუთიანი საარტილერიო დარტყმის შემდეგ. სადაზვერვო ბატალიონებმა მოწინააღმდეგის პირველ პოზიციას ერთსულოვნად შეუტიეს და მე-8 გვარდიული არმიის შეტევის უბანზე ხელთ იგდეს იგი, ამასთან 2—4 კილომეტრით წინ წაიწიეს. იგივე გამეორდა მარჯვენა მეზობლის — მე-5 დამკვრელი არმიის უბანზეც. მოულოდნელობისაგან თაეზარდაცემულმა მოწინააღმდეგემ დიდი დანაკარგი განიცადა და მეორე პოზიციაზე გადაინაცვლა.

ბრძოლით დაზვერვის დროს ტყვედ ჩავიგდეთ მე-20 მოტორიზებული 303-ე ქვეითი ჯარის დივიზიის მეომრები. მათ შორის იყო 303-ე დივიზიის კაპრალი. დაკითხვაზე მან თქვა:

— ორი კვირის შემდეგ გერმანია კაპუტ.

— რატომ? — ჰკითხეს მას.

დაფიქრდა და თქვა:

— თქვენი შეტევა 14 აპრილს მთავარი არ იყო. ეს მხოლოდ დაზვერვაა. ორი-სამი დღის შემდეგ კი გროსშეტევას დაიწყებთ. ბერლინამდე შეტევა ერთ კვირამდე გასტანს, ბერლინისათვისაც დაახლოებით ერთ კვირას იბრძოლებთ. ასე რომ, 15—20 დღის შემდეგ ჰიტლერს — კაპუტ.

გერმანელი კაპრალი, წარმოიდგინეთ, ბევრ ფაშისტ გენერალზე უკეთ აფასებდა მდგომარეობას. იგი არ შემცდარა, რომ 14-ში დაზვერვა იყო; არც იმაში შემცდარა, რომ 2—3 დღის შემდეგ ჩვენი ძირითადი შეტევა დაიწყებოდა და შედეგსაც ზუსტად განსაზღვრავდა.

მოწინააღმდეგის ხელთ დარჩენილი ზეელოვის მთაგრეხილის გაბატონებული მაღლობები საშუალებას აძლევდა თვალყური ედევნებინა მთელი ხეობისათვის, სადაც თავს იყრიდნენ ჩვენი ჯარები, გვიჭირდა ფარულად გვეწარმოებინა გადაჯგუფება. არა და გვინდოდა, რომ ჯარები, განსაკუთრებით ტანკები და არტილერია, საწყის პოზიციებზე შეუმჩნევლად მიგვეყვანა. მაგრამ როგორ მოვახერხოთ ეს, როცა მოწინააღმდეგე თვალნათლივ ხედავს ჩვენს პოზიციებს არა მარტო პლაცდარმ-

ზე, არამედ აღმოსავლეთ ნაპირზეც? ღამის წყვდიადიც არ გვშველოდა: მტერი მიდამოს პროჟექტორის სხივებით ზვერავდა. ჩვენ კი ცეცხლს არ ვუშენდით: არტილერისტებს ნაბრძანები ჰქონდათ თავი არ გაეცათ, ბოლო წუთამდე ჩუმად ყოფილიყვნენ. პროჟექტორები როცა ქრებოდა, სადაზვერვო თვითმფრინავებიდან ჩამოგდებული სანათი ბომბები აინთებოდნენ და ჰიტლერელთა თვალწინ მთელი ხეობა ხელისგულივით ჩანდა.

ჯარების შენიღბვა იმით რთულდებოდა, რომ ხეები ჯერ შეფოთლილი არ იყო, მიწაში ჩაფლობის საშუალებას კი გაზაფხულისა და გრუნტის წყლები არ გვაძლევდა. ხიშტა ნიჩბით ერთ ბარისპირს რომ ამოთხრიდი, ორმო მაშინვე მღვრიე წყლით ივსებოდა.

წინ გვარდიული დროშებია

1

პოლიტიკური ორგანოების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა ხალხთან, როგორც ყოველთვის, შეტევის წინ გააქტიურდა. როგორც კი საბრძოლო დავალება მივიღეთ, არმიის სამხედრო საბჭომ არმიის შტაბის, პოლიტიკური განყოფილების პარტიული აქტივის კრება მოიწვია კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებისა და პოლიტიკურ განყოფილებათა უფროსების მონაწილეობით. ამხანაგები თავიანთ გულისნადებს გვიზიარებდნენ, რჩევას გვაძლევდნენ, თუ ჯარის ნაწილებში უკეთ როგორ მოგვეწყო მუშაობა. პარტიულმა აქტივმა სხვა წინადადებებს შორის ერთსულოვნად მოიწონა ასეთი წინადადება: „შეტევის წინა ღამეს ყველა ნაწილსა და შენაერთს მოწინავე ხაზზე პირველ სანგარში გააქვს საბრძოლო გვარდიული დროშები, რათა ყოველმა მეომარმა დაინახოს, რომ თავის ამხანაგებთან, მეომრებთან და მეთაურებთან ერთად, ბრძოლაში მოდის წმიდათაწმიდა საბრძოლო წითელ დროშასთან — რევოლუციური იდეალებისა და კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის წმინდა მისწრაფების სიმბოლოსთან ერთად“.

შტაბის ოფიცრებთან და ყველა ხარისხის (ასეულისა და ბატარეის ჩათვლით) მეთაურებთან რელიეფურ გეგმებზე გათამაშებულ იქნა შეტევა. განსაკუთრებით გულმოდგინედ ჯარების მართვა და მეორე ეშელონების ბრძოლაში შეყვანა დავამუშავეთ.

16 აპრილის ღამე ძალზე გრძელი მეჩვენა. ყოველთვის ასეა, როცა გადამწყვეტ ამბებს ელოდები.

´ გათენებისას დაბა რაინტვაინის მახლობლად მდებარე ჩემს საკომანდო პუნქტზე გ. კ. ჟუკოვი მოვიდა. ამ დროისათვის არმიის ჯარებმა უკვე დაიკავეს საწყისი პოზიციები. ნაწილების მეთაურები გვარდიული დროშებით მოწინავე ხაზზე გავიდნენ. მებრძოლები დროშასთან ფიცს სდებდნენ, რომ საბრძოლო დავალებებს ღირსეულად შეასრულებდნენ. ცაში სანაოი რაკეტები აიჭრა, მათ შუქზე საბრძოლო დროშების ალისფერი ტილოებიდან ლენინი ცოცხალივით გადმოყურებდა მეომრებს, თითქოს საძულველ მტერთან დასკვნით ბრძოლაში შეუპოვრობისა და სიმტკიცისაკენ მოუწოდებსო.

მოსკოვის დროით დილის ხუთი, ხოლო ბერლინის დროით სამი საათია...

ამ დროს სანგრებში დროშების გამოტანის ბრძანება გაისმის. ყველაფერი უჩუმრად კეთდება. პოზიციებზე ღამის წყვდიადი სუფევს.

ფრონტის სარდლის საათზე წამმზომი დანიშნულ ზღვარს მიუახლოვდა და მყის განათდა. საარტილერიო კანონადის კაშკაშა შუქზე სანგრების თავზე გაშლილი დროშები დავინახეთ. ისინი შტურმის საწყისი პოზიციებისაკენ მიჰქონდათ.

ვულკანური ძალის უწყვეტი გუგუნი დაგვატყდა თავს. ხუმრობა ხომ არ არის: ბათქით დაარტყა და სროლას განაგრძობდა ორმოცი ათასი ქვემეხი!.. გეგონებოდათ, ოდერისპირეთის დაბლობი შეირყაო. მტვრისა და კვამლის ბოლქვები ზეცისკენ კედლად აიჭრა.

საარტილერიო ცეცხლის ნათელი ჩვენი არმიის ზოლში ისე კაშკაშებდა, რომ საკომანდო პუნქტიდან პროექტორების შუქის დარტყმის პირველი მომენტის აღქმა ძნელი შეიქნა. ფრონტის სარდალმა და მე ვიკითხეთ კიდეც, თუ რატომ არ იყო ჩართული პროექტორები. განვცვიფრდით, როცა გვიპასუხეს, რომ პროექტორები მოქმედებენო...

უნდა ითქვას, რომ იმ დროს, როცა პოლიგონზე პროექტორების მოქმედების ძალისა და ეფექტურობის მზერით ვტკბებოდით, არც ერთ ჩვენთაგანს არ შეგვეძლო წინასწარ გამოგვეცნო, თუ როგორი იქნებოდა ყოველივე ეს საბრძოლო ვითარებაში. მე მიძნელდება მსჯელობა ფრონტის სხვა უბნებ-

ზე მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ჩვენი მე-8 გვარდიული არმიის ზოლში დავინახე, თუ როგორ მიებჯინა პროექტორების შუქის ძლიერი კონები მოწინააღმდეგის პოზიციების თავზე ატყორცნილ წიდის, კვამლისა და მტვრის ფარდას. პროექტორებმაც კი ვერ შეძლეს ამ ფარდის გარღვევა და ბრძოლის ველისათვის თვალყურის დევნება გვიჭირდა. თითქოს განგებ, ქარიც ჩვენსკენ უბერავდა. ამის შედეგად 81,5 მაღლობი, რომელზეც საკომანდო პუნქტი იყო განლაგებული, მალე თვალშეუვალმა ბინდმა დაფარა. მაშინ საერთოდ ვეღარაფერს ვხედავდით და ჯარების მართვას მხოლოდ რადიოსატელეფონო კავშირისა და მეკავშირეების მეშვეობით ვახორციელებდით.

მტვრისა და კვამლის სქელი ღრუბელი ჩვენი შემტევი ნაწილების მოქმედებასაც ართულებდა.

შეტევის დაწყებიდან პირველი ნახევარი საათის განმავლობაში მოწინააღმდეგეს თითქმის არ უსროლია. მისი სათვალთვალო და საკომანდო პუნქტები, აგრეთვე საცეცხლე პოზიციები ჩვენმა არტილერიამ და ავიაციამ გაანადგურა. წინააღმდეგობას მხოლოდ ქვის სახლებსა და ცალკეულ სანგრებში შეფარებული ზოგიერთი გადარჩენილი ტყვიამფრქვევი, თვითმავალი და ქვემეხი გვიწევდა. ჩვენი მსროლელთა ნაწილები და ტანკები პირველ ორ კილომეტრს წარმატებით, თუმცა ნელა უტევდნენ და ცეცხლოვან ტალღას მიჰყვებოდნენ. შემდეგ, როცა გზა ნაკადულებმა და არხებმა გადაგვიღობეს, ტანკები და თვითმავალი ქვემეხები ქვეით ჯარს ჩამორჩნენ. დაირღვა ურთიერთმოქმედება არტილერიას, ქვეით ჯარსა და ტანკებს შორის. იძულებული ვიყავით დროის მიხედვით ზუსტად დაგეგმილი ცეცხლის ტალღა შეგვეჩერებინა და არტილერია ცეცხლის თანდათანობითი შეჯგუფების მეთოდით გადაგვეყვანა ქვეითი ჯარისა და ტანკების დასახმარებლად. მოწინააღმდეგის გადარჩენილი ქვემეხები და ნაღმსატყორცნები გათენებისას გამოცოცხლდნენ, ცეცხლი დაუშინეს გზებს, რომლებითაც ჩვენი ჯარები და საბრძოლო ტექნიკა მჭიდროდ მიედინებოდა. ზოგიერთ პოლკსა და ბატალიონში მართვა მოიშალა. ყოველივე ამან შეტევის ტემპზე იმოქმედა.

მტერმა განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაგვიწია ჰაუპ-

ტის არხზე, რომელიც ველზეა გაჭრილი და ზეელოვის მაღლობებს შემოუვლის. გაზაფხულის წყლებმა არხი ღრმა და ჩვენი ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხებისათვის გაუვალი გახადეს. ხიდებს კი ზეელოვის მაღლობებიდან მოწინააღმდეგე არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლსა და კარგად შენიღბული ტანკებისა და თვითმავალი ქვემეხების ჭურვებს პირდაპირი დამიზნებით უშენდა.

აქ ჩვენი შეტევა უფრო შენელდა. ვიდრე მესანგრეები გადასასვლელებს აგებდნენ, ჯარები ადგილზე იდგნენ. ავტომანქანებითა და ტანკებით მანევრირება შეუძლებელი იყო: გზები გაჭედილია, ჭაობიან ჭალაზე და დანაღმულ მინდვრებზე გავლა კი — შეუძლებელი.

მადლობა ჩვენს ავიაციას. წითელვარსკვლავიანი ბომბდამშენები, გამანადგურებლები, მოიერიშეები ბრძოლის ველზე ბატონობდნენ. წარმატებით სპობდნენ არტილერიას მოწინააღმდეგის დაცვის სიღრმეში.

როგორც იქნა, ჭაუპტი გადავლახეთ. ჩვენმა ჯარებმა ზეელოვის მაღლობების იერიში დაიწყეს.

დღის 12 საათისათვის მე-8 გვარდიული არმიის ჯარებმა მოწინააღმდეგის პირველი ორი პოზიცია გაარღვიეს და მესამეს მიაღწიეს, რომლის შეუჩერებლივ აღება არ შეეძლოთ. ზეელოვის მაღლობების ფერდობები იმდენად ციცაბოა, რომ ჩვენი ტანკები და თვითმავლები ვერ ავიდნენ და იძულებულნი გახდნენ უფრო დამრეცი აღმართები მოეძებნათ. ეს აღმართები გზების გასწვრივ ზეელოვის, ფრიდერსდორფისა და დოლგელინისაკენ მიდიოდა. მაგრამ მოწინააღმდეგემ აქ თავდაცვის ძლიერი საყრდენი პუნქტები შექმნა. ამ საყრდენი პუნქტების გასანადგურებლად და ხელში ჩასაგდებად საჭირო იყო ქვემეხების ზუსტი და ძლიერი ცეცხლი. არტილერია ახალ პოზიციებზე, ზეელოვის მაღლობების ახლოს უნდა გადასულიყო.

ვუბრძანე წინ წამოეწიათ არტილერია, მოეწყოთ ურთიერთმოქმედება ქვეით ჯარს, ტანკებსა და არტილერიას შორის და 20-წუთიანი საარტილერიო შეტევის შემდეგ 14 საათზე დაეწყოთ ზეელოვის, ფრიდერსდორფის, დოლგელინის იერიში და ხელთ ეგდოთ ზეელოვის მაღლობები.

როგორც ზემოთ ითქვა, ფრონტის სარდალი მარშალი გ. კ. ჟუკოვი ჩემს საკომანდო პუნქტზე იყო. აქედან ხელმძღვანელობდა ჯარებს და კავშირი ჰქონდა დამყარებული მთავარ ბანაკთან.

ჩვენი ფრონტი, რომლის წინააღმდეგაც, განსაკუთრებით ზეელოვის მაღლობებზე, მტრის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი დაჯგუფება და მძლავრი თავდაცვითი ნაგებობანი იყო თავმოყრილი, უფრო ნელა მიიწევდა წინ, ვიდრე უკრაინის პირველი ფრონტი. მთავარ ბანაკს სწორედ ეს აწუხებდა. მაგრამ არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ ბრძოლა ძალზე რთულ პირობებში გვიხდებოდა, უნდა გადაგველახა ჰიტლერელთა გააფთრებული წინააღმდეგობა. ჯარები ძალების დიდი დაძაბვით მიიწევდნენ გზებზე, ჭაობებსა და ჭანჭრობებს შორის. ნაღრუვილმა წყალმა ბევრი ადგილი ძნელად გასავლელი გახადა. ზეელოვის მაღლობებთან ჩვენი შეტევა შეფერხდა.

ალბათ, შეტევის ტემპის გაძლიერება და ზეელოვის მაღლობებზე მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის დაჩქარება უნდოდა ფრონტის სარდალს, როცა გადაწყვეტილება მიიღო ჩვენი არმიის ზოლში ბრძოლაში ჩაება მ. ე. კატუკოვის პირველი გვარდიული სატანკო არმია და ი. ი. იუშჩუკის მე-11 ცალკე სატანკო კორპუსი. მათ ამოცანად დაუსახეს შეუჩერებლივ დაეპყროთ ზეელოვის მაღლობები და ბერლინზე შეტევა განევითარებინათ (ამ სატანკო შენაერთების ბრძოლაში ჩაბმა ადრე განსაზღვრული იყო მტრის თავდაცვის გარღვევის შემდეგ).

სატანკო შენაერთებმა მე-8 გვარდიული არმიის საბრძოლო მწყობრების გავლა როცა დაიწყეს, გზებზე უფრო მეტი სივიწროვე შეიქნა, გადახვევა კი შეუძლებელი იყო. პირველი გვარდიული არმიის ტანკები პირდაპირ მიებჯინენ ჩვენს საწევრებს, რომლებსაც არტილერია გადაყავდათ, შედეგად შეიზღუდა დივიზიებისა და კორპუსების მეორე ეშელონების მანევრი. უნდა ვთქვა, რომ მე-8 გვარდიულ არმიას თავისი არცთუ მცირე სატანკო ძალები გააჩნდა.

მაგრამ სხვადასხვა სიძნელეების გადალახვა ჩვენთვის უჩ-

ვეულო როდი იყო. ქვეითები და ტანკისტები ერთმანეთს ეხმარებოდნენ, ჰიტლერელებს გაბედულად ანადგურებდნენ და თავდაცვის ზღუდეებიდან აძევებდნენ.

დღის მეორე ნახევარში არმიის მარჯვენა ფლანგზე, მე-4 გვარდიული მსროლელთა კორპუსის უბანზე უმნიშვნელო წარმატებას მივაღწიეთ. 47-ე გვარდიულმა მსროლელთა დივიზიამ გენერალ შუგაევის მეთაურობით, რომელიც კიუსტრინ-ბერლინის გზატკეცილის ჩრდილოეთით უტევდა, მტრის წინააღმდეგობა გადალახა, ქალაქ ზეელოვის ჩრდილოეთით რამდენიმე გაბატონებული მაღლობი დაიკავა, გადაჭრა რკინიგზა და ზეელოვთან ბუგდორფისა და გუზოვისკენ მიმავალი ორი გზატკეცილი. 57-ე გვარდიული დივიზია გენერალ პ. ი. ზალიზიუკის მეთაურობით საღამოს უკვე სადგურ ზეელოვისათვის იბრძოდა.

29-ე და 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსების ფრონტზე, რომლებიც ზეელოვის სამხრეთით უტევდნენ, ჯარის ნაწილები უშუალოდ ზეელოვის მაღლობებს მიუახლოვდნენ, მაგრამ მოწინააღმდეგის საყრდენ პუნქტებზე ყველა ძალით ერთდროული დარტყმა ვერ განახორციელეს. შეტევის განვითარებას ხელი სიბნელემ შეუშალა. არმიამ დღის ამოცანა ვერ შეასრულა — ზეელოვის მაღლობები მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაპყრობილი. ბრძოლაში ჩაბმულმა პირველმა გვარდიულმა სატანკო არმიამაც ვერ გაართვა თავი დავალებას: მან გაშლა ვერ შეძლო და ოდერის ნოლაში გზებზე გაჩერდა.

მარჯვენა მეზობელი — გენერალ ბერზარინის მე-5 დამკვრელი არმია — დღის ბოლოსათვის მდინარე ალტე-ოდერს მიადგა.

მარცხენა მეზობელმა — 69-ე არმიამ გენერალ კოლპაკჩის სარდლობით წინ წაწევა საერთოდ ვერ შეძლო.

რატომ მოხდა, რომ, მიუხედავად ძალების მნიშვნელოვანი უპირატესობისა, იძულებული ვიყავით ოპერაციის პირველ დღეს ასე მცირე წარმატებით დაკმაყოფილებულიყავით? მოწინააღმდეგემ, ალბათ, წარსული ბრძოლების გამოცდილება გაითვალისწინა და შეცვალა თავდაცვის იგების პრინციპი. ძირითად ძალებს ადრე თავდაცვის პირველ ზოლზე განალაგებ-

და ხოლმე, მეორე და მესამე პოზიციები თუმცა სიღრმეში მზადდებოდა, მაგრამ ამ პოზიციებს მეორე და მესამე ეშელონების ჯარის ნაწილები ყოველთვის როდი იკავებდნენ. რეზერვებიც, სატანკო და მოტოდივიზიები, როგორც წესი, თავდაცვის მიჯნებს კი არ იკავებდნენ, არამედ ახლო ზურგში იმყოფებოდნენ და, თუ კი მოწინააღმდეგე თავდაცვას გაარღვევდა, კონტრიერიშებს ახორციელებდნენ. ეს ტაქტიკა შევისწავლეთ და მტერს თავდაცვის ძირითად ზოლში ვანადგურებდით. ავიაცია და შორსმსროლი არტილერია იმავდროულად რეზერვებს ურტყამდა და მტერს ხელს უშლიდა კონტრიერიშების მოწყობაში. თავდაცვის პირველ, მთავარ ზოლში მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილებს რომ გავანადგურებდით, ბრძოლაში მოძრავ რეზერვებს, ჩვეულებრივ, სატანკო კორპუსებსა და არმიებს ვაბამდით, რომლებიც მტრის რეზერვებს სპობდნენ და ოპერატიულ სივრცეზე გადიოდნენ. ასე იყო უკრაინაში, კოველთან და ვისლა-ოდერის ოპერაციის დროს, როცა სატანკო არმიები ს. ი. ბოგდანოვისა და მ. ე. კატუკოვის სარდლობით საერთოსაჯარისო არმიების მიერ მოწინააღმდეგის თავდაცვის მთავარ ზოლში გარღვეულ დერეფანში იჭრებოდნენ. ეს მძლავრი სატანკო შენაერთები მტრის ღრმა ზურგისკენ ისწრაფოდნენ და ფლანგების მიმართულებით დერეფანს ასობით კილომეტრით აფართოებდნენ.

მოწინააღმდეგემ თავდაცვა ახლა სხვაგვარად ააგო. იგი იკავებდა არა მარტო პირველ, არამედ მეორე და მესამე ზოლებს და აქ დიდი რაოდენობის ქვეით ჯარს, ტანკებსა და არტილერიას განალაგებდა. ამას გარდა, თავდაცვის სიღრმეში მას მძლავრი რეზერვები გააჩნდა. ალტე-ოდერისა და ჰაუპტის არხების ნაპირებზე განლაგებული პირველი თავდაცვითი ზოლის გარღვევის შემდეგ ჩვენი ჯარები მოწინააღმდეგის ჯარის ნაწილების მიერ უკვე დაკავებულ მეორე ზოლში ორგანიზებულ თავდაცვას წააწყდნენ.

მხედველობაში ის გარემოებაც უნდა მივიღოთ, რომ ჰიტლერელებმა მთელი სივრცე ოდერიდან ბერლინამდე არსებითად ერთიან გამაგრებულ რაიონად აქციეს, სადაც, საველე ტიპის მძლავრი ზღუდეების გარდა, დასახლებული პუნქტების

მრავალრიცხოვანი შენობები, ტყის მასივები და წყლის ზღუდეები თავდაცვის ობიექტებად გადააქციეს.

არასაკმარისად გავითვალისწინეთ აგრეთვე ადგილმდებარეობის თავისებურება. აქ ბევრი იყო ბუნებრივი ზღუდე — არხები, მდინარეები და ტბები. ჩვენს მანევრს გზების უკმარისობა ზღუდავდა და იერიშების დროს დიდი ძალების გამოყენების შესაძლებლობას არ გვაძლევდა. ამას ისიც დავუმატეთ, რომ აქ ბევრი იყო დასახლებული პუნქტი, სადაც ყოველი სახლი იერიშით უნდა აგვეღო.

შეტევის პირველმა დღემ გვაჩვენა, რომ მტერი თითოეული ზღუდისათვის თავგამოდებით იბრძოლებდა. მის ნაწილებს ესესის ჯარების მრავალი საგანგებო რაზმი შეემატა. როგორც ტყვეებმა განაცხადეს, ამ რაზმებს უბრძანეს, რომ ადგილზევე დაეხვრიტათ ყველა, ვინც უკან დახევას ან წინააღმდეგობის შესუსტებას განიზრახავდა. ყოველი სანგარი, ყოველი საცეცხლე წერტი, არაფერი რომ არა ვთქვათ დასახლებული პუნქტების კვარტალებზე, ბრძოლით უნდა აგვეღო.

17 აპრილის ღამე არტილერიის გადასაადგილებლად, ჯარის ნაწილების გადასაჯგუფებლად და ზეელოვის მაღლობების შტურმისათვის მოსამზადებლად გამოვიყენეთ.

შეტევა დავიწყეთ მეორე დღეს ორმოცდაათწუთიანი მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ, მოსკოვის დროით 10 საათსა და 30 წუთზე. ცეცხლის სიხშირე უდიდესი იყო. ფრონტის ყოველ კილომეტრზე ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების ორასზე მეტი ლულა მოქმედებდა.

არმიის მარჯვენა ფლანგზე მე-4 გვარდიული მსროლელთა კორპუსი გუზოვ-ზეელოვის გზაზე გაიყვანეს და უბრძანეს, რომ შეტევა განევითარებინა გერლსდორფის მიმართულებით, დღის ბოლოსათვის გასულიყო მდინარე ფლისთან და გადაელახა იგი. მასთან ერთად მე-11 სატანკო კორპუსი უტევდა.

29-ე გვარდიულ მსროლელთა კორპუსს მოწინააღმდეგის თავდაცვა უნდა გაერღვია და დაეკავებინა დასახლებული პუნქტები ლუდვიგსლუსტი, ფრიდერსდორფი, ხოლო შემდგომ ისიც ფლისთან უნდა გასულიყო და გადაელახა იგი. ამ დარტყმის უზრუნველსაყოფად მეორე ეშელონიდან ბრძოლაში ებმებო-

და 29-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის 82-ე გვარდიულ მსროლელთა დივიზია, რომელსაც მე-4 კორპუსის მარცხენა ფლანგიდან ვორინ-იანსფელდის მიმართულებით უნდა დაერტყა.

28-ე გვარდიულ მსროლელთა კორპუსს დოლგელინის რაიონი უნდა დაეკავებინა და შემდგომში შეტევა ლიტცენის გავლით მარკსდორფზე მიეტანა.

ზეელოვის მაღლობებისათვის ბრძოლაში და მდინარე ფლისის გადალახვისას არმიის ჯარებს მოიერიშე ავიაცია ეხმარებოდა.

ამჯერად დღის სინათლეზე ჩატარებული საარტილერიო მომზადება გაცილებით ეფექტიანი აღმოჩნდა, ვიდრე შეტევის პირველ დღეს.

17 აპრილს ყველაზე დიდ წარმატებას მარჯვენა მეზობელთან შეპირაპირების ადგილზე მივაღწიეთ. მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევისა და მისი კონტრიერიშების მოგერიების შემდეგ მე-5 დამკვრელი და მე-8 გვარდიული არმიების ნაწილები იქ ალტ-როზენტალ-გელსდორფ-ტბა ვაინტერგის ზღუდეს მიადგნენ. შეტევა უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა მარცხენა ფლანგზე, 69-ე არმიასთან შეპირაპირების ადგილზე, სადაც 28-ე კორპუსი და პირველი გვარდიული სატანკო არმიის ნაწილები მტრის უწყვეტ კონტრიერიშებს იგერიებდნენ და შეძლეს მხოლოდ დოლგელინისა და ლიბენიკენის რაიონების დაკავება.

ზეელოვის მაღლობების დასაცავად მოწინააღმდეგემ რეზერვიდან ორი დივიზია — 28-ე მოტორიზებული და 168-ე ქვეითი ჯარის დივიზიები, აგრეთვე ბერლინის საჰაერო თავდაცვის საავიაციო კორპუსი გადმოისროლა.

მეორე თავდაცვითი ზოლი არმიამ შეტევის მხოლოდ მეორე დღის ბოლოსათვის დაიკავა, მთლიანად დაიპყრო ზეელოვის მაღლობები და ოდერისპირეთის ნოლადან გამოვიდა.

მარჯვენა მეზობელმა — მე-5 დამკვრელმა არმიამ მდინარე ფლისი გადალახა და პლოტკოვის რაიონი დაიკავა.

მარცხენა მეზობელი — 69-ე არმია — ბრძოლას განაგრძობდა მალკოვის რაიონისათვის.

ამ ორი დღე-ღამის განმავლობაში მე-8 გვარდიული არმიის, ისევე, როგორც მთელი ბელორუსიის პირველი ფრონტის, ჯარებმა შეტევის მხოლოდ პირველი დღის ამოცანა შეასრულეს. მტრის ასეთ შეუპოვარ წინააღმდეგობას მაინც არ ველოდით. ამ სასოწარკვეთილ ბრძოლაში იგრძნობოდა, რომ ჰიტლერელები ბერლინამდე დარჩენილი ყოველი მეტრისათვის თავგამოდებით იბრძოლებდნენ. მტერს ტერიტორიის ხარჯზე სიღრმეში მანევრირების საშუალება აღარ ჰქონდა. და რაც კი გააჩნდა, ყველაფერს ბრძოლაში იყენებდა, ოღონდ ჩვენი შეტევა შეეჩერებინა. ვიცოდით, რომ ძალა ელეოდა, რომ გარდუვალია გადამწყვეტი გარდატეხა ჩვენს სასარგებლოდ. ამიტომ 18 აპრილს ჯარებს ამოცანად დიდი სივრცის ხელში ჩაგდება კი არ დაესახათ, არამედ მტრის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის განადგურება ბრძოლის ველზე და მოწინააღმდეგის თავდაცვის უახლოეს სიღრმეში. დილით კორპუსების მეთაურთა გეგმების მიხედვით კვლავ ჩავატარეთ მძლავრი საარტილერიო მომზადება.

იმ დღეს მოწინააღმდეგემ ბრძოლაში ჩააბა ორი ახალი მოტორიზებული დივიზია — „კურმანი“ და „მიუნჰენბერგი“ და ესესის ერთი ქვეითი დივიზია გენერალ ზაიცერტის მეთაურობით. გააფთრებული ბრძოლები გაჩაღდა. კონტრიერიშები განსაკუთრებით არმიის მარცხენა ფლანგზე, ერთიმეორესა სცვლიდა.

დიდერსდორფის რაიონში მოწინააღმდეგე ცდილობდა გადაეჭრა კიუსტრინ-ბერლინის გზატკეცილი, რომლითაც 29-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსისა და პირველი გვარდიული სატანკო არმიის ტექნიკისა და ზურგის ძირითადი მასა მიიწევდა. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაურს ებრძანა ბრძოლაში ჩაება 39-ე გვარდიული მსროლელთა დივიზია, რომელიც მანამდე მეორე ეშელონში იმყოფებოდა.

ამ დივიზიის მოწინავე, 117-ე გვარდიული მსროლელთა პოლკი პოლკოვნიკ ექვთიმე დიმიტრის ძე გრიცენკოს მეთაურობით გააფთრებულად ეძგერა მოწინააღმდეგის კადრის ქვედანაყოფებსა და ფოლკსშტურმის ბატალიონს, რომლებიც

ძალ-ღონეს არ იშურებდნენ წარმატების მისაღწევად. ზეელოვის მაღლობების დასავლეთ დამრეც ფერდობებზე გვისაფრდებოდნენ და იქიდან გადმოდიოდნენ კონტრშეტევაზე, ტყვიამფრქვევის ცეცხლს გვიშენდნენ გულმოდგინედ შენილბული საფარებიდან, რომლებიც ჩვენმა ჯარებმა უკან ჩამოიტოვეს, ხელყუმბარებსა და ფაუსტპატრონებს გვესროდნენ გზებისა და გადასასვლელების ჩაყოლებით მდგარი სახლებიდან თუ სხვა შენობებიდან. მტრის ასეთი ტაქტიკის წინააღმდეგ პოლკოვნიკმა გრიცენკომ ბრძოლის ხერხი გამონახა. მან უარი თქვა დასახლებული პუნქტებისა და თავდაცვის კვანძების ფრონტალურ იერიშებზე. პოლკის ბატალიონები ნაღმსატყორცნებითა და მსუბუქი ქვემეხებით ოცეულებად და ასეულებად წარაფების გავლით, შემოსასვლელი გზებით მიიწევდნენ მოწინააღმდეგის ქვედანაყოფების ზურგსა და ფლანგებზე და აიძულებდნენ მისთვის არახელსაყრელ ბრძოლაში ჩაბმას.

მორალური უპირატესობა საბჭოთა მეომრების მხარეზე იყო და თუმცა ამ უბანზე ძალთა თანაფარდობა ყოველთვის გრიცენკოს პოლკის სასარგებლოდ არ იყო, ჰიტლერელები ვერ უძლებდნენ დაწოლას — ტყვედ ბარდებოდნენ ან თავზარდაცემულები უკუიქცეოდნენ. ბრძოლის მხოლოდ ერთ დღეში პოლკმა ხელთ იგდო 100 ტყვიამფრქვევი, 107 ავტომანქანა, სხვადასხვა სამხედრო ტვირთით, დაატყვევა 315 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ასეთივე ტაქტიკა გამოიყენა 79-ე გვარდიულ მსროლელთა დივიზიის 227-ე გვარდიულ მსროლელთა პოლკის ახალგაზრდა და მამაცმა მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა ალექსანდრე ივანეს ძე სემიკოვმა, რომლის შესახებაც უკვე მოგიყვეთ. მისი პოლკი გრიცენკოს პოლკის მარცხნივ მოქმედებდა. დოლგელინისათვის ბრძოლებში სემიკოვის ქვედანაყოფებმა გადალახეს მტრის წინააღმდეგობის ზეტად ძლიერი კვანძი დოლგელინ-ფრანკფურტის რკინიგზისა და გზატკეცილის გადაკვეთაზე. მიწაში ჩაფლული მტრის ხუთი ტანკი გადაეღობა პოლკს. ამ ტანკებთან ვერაფერი გააწყვეს ვერც მძიმე ქვემეხებმა, ვერც „კატიუშებმა". მათ ჯავშანს რიყის ქვის შტაბელები იცავდა. ტანკების ზურგში სემიკოვმა ფაუსტპატრონებითა და ასა-

ფეთქებელი ნიკთიერებით აღჭურვილი გამოცდილი მესანგრეები შეაგზავნა. რამდენიმე დარტყმის შემდეგ ტანკებმა ცეცხლი შეწყვიტეს, მათი ეკიპაჟები გაიქცნენ.

მალე სემიკოვის პოლკს მძლავრი საარტილერიო ცეცხლი დააცხრა, ამას მოჰყვა მოტორიზებული ქვეითი ჯარის მძვინვარე კონტრიერიში. ბერლინის აეროდრომებიდან აქ შემოიჭრნენ გერმანელთა ავიაგამანადგურებლები. ისინი ბომბავდნენ შეჯაუფებულ ჯარის ნაწილებს, ქვემეხებიდან და ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლს განურჩევლად უშენდნენ, აზიანებდნენ თავისიანებსაც და უცხოსაც. ორსაათიანი ბრძოლის შემდეგ მეზობლების — გენერალ ი. ფ. დრემოვის მე-8 გვარდიული მექანიზებული კორპუსის ტანკისტების დახმარებით სემიკოვის პოლკმა შეძლო მოწინააღმდეგის უკუგდება. ბრძოლის ველზე დარჩა რამდენიმე ასეული მოკლული გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, იწვოდა რვა ჯავშნოსანი და ორი ჩამოგდებული თვითმფრინავი. ჩვენს მხრიდანაც იყო დანაკარგები. განსაკუთრებით გული გვატკინა პოდპოლკოვნიკ სემიკოვის მძიმედ დაჭრის ამბავმა. იგი პირველი ბატალიონის საბრძოლო მწყობრში იყო, როცა მახლობლად გერმანელთა თვითმფრინავიდან ჩამოგდებული ბომბი გასკდა. მსხვილმა ნამსხვრევმა მარჯვენა ბარძაყი დაუმსხვრია, ხელი და მხარი გადაუტეხა. საბედნიეროდ, ექიმებმა შეძლეს მისი გადარჩენა. თუმცა, მან ვეღარ შეძლო ბერლინის დასკვნით შტურმში მონაწილეობა, მაგრამ ცოცხალი დარჩა და დღესაც მწყობრშია.

ჩვენი წარდგინებით ალექსანდრე ივანეს ძე სემიკოვმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღო.

18 აპრილის ბრძოლების შედეგად არმიის ჯარის ნაწილებმა დაიკავეს ტრებნიც-იანსფელდის ზღუდე. მარჯვენა მეზობელი მარქსვალდე-ვულკოვის ზღუდეს მიადგა. მარცხენა მეზობელი — 69-ე არმია — შეტევის მესამე დღესაც უძრავად იდგა, ამიტომ იყო, რომ ჩვენი არმიის მარცხენა ფლანგი გაიშალა, და მოწინააღმდეგე კონტრიერიშებით ცდილობდა ბერლინიდან სამხრეთისაკენ ჩვენს უკუგდებას. ეს რომ არ მომხდარიყო არმიის მარცხენა ფლანგის დასაცავად ადგილზე დავტოვეთ 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის ორი დივიზია.

პირველი გვარდიული სატანკო არმია და მე-11 სატანკო კორპუსი, რომლებიც ფრონტის სარდალმა ბრძოლაში ჩააბა შეტევის პირველსავე დღეს, მე-8 გვარდიული არმიის საბრძოლო მწყობრში განაგრძობდნენ წინსვლას. ეს, რასაკვირველია, სარდლობას ვერ დააკმაყოფილებდა. ფრონტის შტაბიდან საგანგაშო დეპეშები მოვიდა. აი, ერთ-ერთი მათგანი:

„ფრონტის სარდალმა ბრძანა:

1. დაუყოვნებლივ დააჩქარეთ შეტევის სისწრაფე, თუ ბერლინის ოპერაციის განვითარების შენელებას დაუშვებთ, ჯარის ნაწილები დაუძლურდებიან, დახარჯავენ მთელ მატერიალურ მარაგს და ბერლინს ვერ აიღებენ.

2. ყველა მეთაური იყოს მთავარი მიმართულებით მოქმედი კორპუსების მეთაურთა სათვალთვალო პუნქტებზე. კატეგორიულად გიკრძალავთ ჯარის ზურგში ყოფნას.

3. მთელი არტილერია, მათ შორის დიდი სიმძლავრისა, პირველ ეშელონს დაუახლოვეთ და განალაგეთ მებრძოლი ეშელონებიდან არა უშორეს 2-3 კილომეტრისა. არტილერიის მოქმედების კონცენტრაცია მოახდინეთ იმ უბნებზე, სადაც გარღვევის ამოცანა წყდება.

მხედველობაში გქონდეთ, რომ მტერი თვით ბერლინამდე გაგიწევთ წინააღმდეგობას და ჩაებღაუჭება ყოველ სახლსა და ბუჩქს, ამიტომ ტანკისტები, თვითმავალი არტილერისტები და ქვეითები ნუ დაელოდებიან სანამ არტილერია გაჟლეტს ყველა ჰიტლერელს და გაწმენდილ სივრცეში მოძრაობის სიამოვნებას მოუტანს.

4. ულმობლად ურტყით მტერს, დღისით და ღამით იარეთ წინ — ბერლინისაკენ და მაშინ ბერლინი მალე ჩვენი იქნება“.

2

შეტევა დაიწყო 19 აპრილს, შუადღეს. მანამდე მთელი ფრონტის ჯარები არტილერიასა და საბრძოლო მასალებს მოწინავე ხაზზე უყრიდნენ თავს, ატარებდნენ დაზვერვას, აზუსტებდნენ მიუნხენბერგის თავდაცვითი ზღუდის ცეცხლის სისტემას. პირველი გვარდიული სატანკო არმიის სარდალი გენე-

რალი კატუკოვი ოპერატიულ სივრცეზე გასვლას ამ ზღუდიდან ისწრაფოდა.

12 საათსა და 30 წუთზე არმიის ჯარები მთელს ფრონტზე წინ დაიძრნენ. დღის პირველ ნახევარში ავიღეთ საყრდენი პუნქტები—დონსდორფი, მიუნხენბერგი, ბელენდორფი. მოწინააღმდეგე ამ ზღუდეზე გავანადგურეთ, მისი დარჩენილი ჯარები უკუიქცნენ.

მიუნხენბერგისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინა 82-ე გვარდიულ მსროლელთა დივიზიის 242-ე გვარდიულმა მსროლელთა პოლკმა, რომელსაც გვარდიის პოლკოვნიკი ივანე თევდორეს ძე სუხორუკოვი მეთაურობდა. ვოლგაზე ბრძოლის მონაწილემ, გამოცდილმა ოფიცერმა სუხორუკოვმა გაბედული და ღრმად გააზრებული გადაწყვეტილება მიიღო. მიუნხენბერგს პოლკი ოდერიდან მომავალი გზის გასწვრივ უახლოვდებოდა. მოწინააღმდეგემ აქ მრავალი თავდაცვითი ნაგებობა ააშენა. სუხორუკოვმა ამ უბანზე მხოლოდ ერთი ასეული დატოვა, მტრის მეთვალყურეთა თვალწინ დემონსტრატიულად უკან დახია პოლკის მთავარი ძალები, შემდეგ მძაფრი ნახტომით შეიჭრა ტყეში მიუნხენბერგის ჩრდილოეთით და იქიდან ერთსულოვანი იერიშით ფლანგიდან და ზურგიდან ქალაქისაკენ დაიძრა. ქვეითი ჯარის ნაწილები მცირე ჯგუფებად მოქმედებდნენ ტანკებთან და თვითმავალ დანადგარებთან ერთად. სუხორუკოვი მსროლელთა ქვედანაყოფით პოლკის შუაგულში მიდიოდა. ქუჩებში ბრძოლამ რამდენიმე საათს გასტანა. მეთაურის ჩანაფიქრს რომ ახორციელებდნენ, მეომრები ცდილობდნენ მტრისათვის უკან დასახევი გზა მოეჭრათ, გზაჯვარედინებზე გადიოდნენ და ცეცხლს მოულოდნელად უშენდნენ, რითაც მოჩვენებითი ალყის შთაბეჭდილებას ქმნიდნენ. ჰიტლერელები გამოსავალის ძებნაში აქეთ-იქით აწყდებოდნენ. სუხორუკოვსაც ეს უნდოდა. მტრის განადგურება მან პოლკის მთავარი ძალების ერთსულოვანი იერიშით დაამთავრა. ქალაქი დიდი დანაკარგების გარეშე ავიღეთ.

მიუნხენბერგისათვის ბრძოლების დამთავრების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ ივანე თევდორეს ძე სუხორუკოვი მძიმედ დაჭრილიყო მკერდსა და ფეხში. ეს ამბავი ბოლკის ექი-

მისაგან რომ გავიგე, ეუბრძანე, პოლკოვნიკი დაუყოვნებლივ გაეგზავნათ ჰოსპიტალში. არმის სარდლობის წარდგინებით მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

არმიის ჯარის ნაწილები შეტევას ავითარებდნენ და 20 აპრილის დღის ბოლოსათვის ჰარცინ-კინბაუმ-ენიკენდორფის ზღუდეს მიადგნენ.

ტყეებში ბევრი დანაღმული ველი და ღობურა აღმოჩნდა. მტერი ნაღმავდა გზებს, ხიდებს, მრავალ მზაკვრულ „სიურპრიზს“ გვიწყობდა. გზებზე, გზის პირა თხრილებში, მინდორში ეყარა ვითომდა მიტოვებული მოტოციკლები, ველოსიპედები, იარაღი. მათთვის ოდნავ ხელისხლებაც კი აფეთქებას იწვევდა. შევხვდით „ეშმაკ“ ნაღმებსაც, რომლებიც ტრაღიან ტანკებს ატარებდნენ. მიმყოლი მანქანები კი ფეთქდებოდა.

ეს ჩვენი ჯარის ნაწილებისაგან უაღრეს სიფრთხილეს, ხოლო მესანგრეებისაგან დაძაბულ და თავდადებულ შრომას მოითხოვდა.

როგორც იქნა შესაძლებელი გახდა მიუნხენბერგ-ბელენდორფის ზღუდიდან გარღვევაში პირველი გვარდიული სატანკო არმიის შეყვანა. ტანკისტები წარმატებით, ნახტომით ფიურსტენვალდესა და კინბაუმს მიადგნენ, მაგრამ წარმატების შემდგომი განვითარება დამოუკიდებლად ვერ შეძლეს. მათ მანევრს ზღუდავდნენ მდინარეები, ჭაობები, ტბები და ტყეები. ტყეებსა და დასახლებულ პუნქტებში ჩასაფრებული მეფაუსტეები ტანკებს მიბრჯით ესროდნენ. ნათელი გახდა, რომ ჩვენი ტანკისტების წარმატება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მსროლელთა ნაწილებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედების პირობებში. ამიტომ ტანკისტებს უბრძანეს ისევ შესულიყვნენ მე-8 გვარდიული არმიის საზღვრებში და პირდაპირ ბერლინისაკენ ევლოთ.

მიუნხენბერგის დაცემის შემდეგ მტრის წინააღმდეგობა ერთგვარად შესუსტდა. გერმანელთა შეფერთხილი სამხედრო ნაწილები, რომლებმაც საგრძნობი დანაკარგები განიცადეს, ჩვენი ჯარების დარტყმებმა აიძულეს უკუქცეულიყვნენ. მაგრამ

წინ გველოდა ახალი თავდაცვითი ზღუდეები, რომლებიც ჩვენმა დაზვერვამ წინასწარ ვერ აღმოაჩინა. ისინი შეუჩერებლივ უნდა გაგვერღვია.

შეტევითი ბრძოლების ხუთი დღის განმავლობაში ფრონტის ჯარებმა გერმანელთა მრავალი სამხედრო ნაწილი გაანადგურეს და ნაცარტუტად აქციეს. მოწინააღმდეგემ ბევრი ცოცხალი ძალა და ტექნიკა დაკარგა. მისი ჯარები, რომლებსაც თავდაცვის ხუთი ზოლი ეჭირათ და ბრძოლაში ჩაბმული რეზერვები — დაახლოებით ხუთი დივიზია, განადგურდა და უკუიქცა ბერლინისაკენ. დასახლებული პუნქტებისათვის, ტყის მასივებისათვის, საგზაო კვანძებისათვის ბრძოლებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ისეთი ქვეგანაყოფების მანევრი, როგორიცაა ასეული, ბატალიონი. ისინი მტრის ზურგში იჭრებოდნენ და იქ უტევდნენ მას, სადაც მტერი არ მოელოდა. ისეთი საყრდენი პუნქტი, როგორიც ქალაქი მიუნხენბერგია, აიღეს ქალაქის დასავლეთ განაპირა უბნებში შეჭრილმა მცირე ქვეგანაყოფებმა.

ქვეითი ჯარების საბრძოლო მწყობრები მაქსიმალურად აღიჭურვებოდა პირდაპირი დამიზნების ქვემეხებით, თვითმავალი ქვემეხებით, ტანკებითა და საინჟინრო ქვეგანაყოფებით, რაც იმის შესაძლებლობას გვაძლევდა, რომ შეუჩერებლივ შეგვეტია მტრის თავდაცვისათვის, გაგვენადგურებინა მისი წინააღმდეგობის კვანძები, თვითმავლები და ტანკები, რომლებიც ძირითადად საფარიდან მოქმედებდნენ.

20 აპრილის დღის ბოლოსათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ბელორუსიის პირველი ფრონტის ჯარებისათვის. მე-2 გვარდიული სატანკო არმია გენერალ ს. ი. ბოგდანოვის მეთაურობით შეიჭრა ბერნაუს რაიონში გენერალ ვ. ი. კუზნეცოვის მე-3 დამკვრელი არმიის უბანზე. მე-3 და მე-5 დამკვრელი და მე-8 გვარდიული არმიების წარმატებითმა შეტევამ, რომლებმაც დაამთავრეს მოწინააღმდეგის თავდაცვის მეოთხე ზოლის გარღვევა და პირველი გვარდიული სატანკო არმიის ნაწილების გასვლამ კაგელ-ფიურსტენვალდე-კნიკენდორფის რაიონში, სადაც ტანკებთან ერთად 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის ნაწილებიც შეიჭრნენ, ჰიტლერელები აიძულა უარი ეთ-

ქვათ კონტრიერიშებსა და კონტრდარტყმებზე. მთელი ძალა მტერმა ახლა ბერლინის დაცვაზე გადაიტანა.

უკრაინის პირველი ფრონტის წარმატებითმა შეტევამ და ბარუტ-ლუკენვალდე-იუტენბორგის რაიონში მისი ჯარების გასვლამ მოწინააღმდეგე აიძულა უარი ეთქვა ოდერისა და ისეთი საყრდენი პუნქტების დაცვაზე, როგორიც იყო ოდერის ფრანკფურტი და ფიურსტენბერგი. მტერი ცდილობდა თავისი სამხედრო ნაწილების გაყვანას დასავლეთისაკენ, ბერლინისაკენ, მაგრამ ვერ შეძლო: მიულროზე-ლიუბენ-ცოსენ-ბად-ზაროვის რაიონში მათ ალყა შემოარტყეს გენერლების ა. ა. ლუჩინსკისა და ა. ვ. გორბატოვის არმიების ჯარებმა. ამან შესაძლებლობა მისცა ჩვენს მარცხენა მეზობლებს — 33-ე და 69-ე არმიებს — წინ წაწეულიყვნენ, რამაც მე-8 გვარდიული არმიის მარცხენა ფლანგის მდგომარეობა შეამსუბუქა.

ბელორუსიის მე-2 ფრონტის ჯარებმა მარშალ კ. კ. როკოსოვსკის სარდლობით შვედტის რაიონში წარმატებით გადალახეს ოდერი და განავითარეს შეტევა პრენცლაუს მიმართულებით.

ამგვარად, სამი ფრონტის ოპერაცია წარმატებით, მაგრამ რამდენადმე ნელა მიმდინარეობდა. ოდერი უკან ჩამოვიტოვეთ, მოწინააღმდეგის ფრონტი გაირღვა. ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტრის დიდ ძალებს ალყა შემოვარტყით.

საბჭოთა ჯარები უტევდნენ ბერლინს, ელბას.

ავსტრია

1

21 აპრილს ბერნაუს, პეტერსჰაგენის, რიუდერსდორფის, ერკნერის, ბუსტენჰაუზენის რაიონებში ბერლინის წრიულ ავტოსტრადაზე ჩვენი ჯარების გასელის შედეგად ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ფაშისტთა დედაქალაქის სრული გარემოცვისათვის.

ამ მიზნით ფრონტის სარდლის ბრძანებით მე-8 გვარდიული არმია შებრუნებულ იქნა ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთი გარეუბნებისაკენ, რათა ალყა შემოერტყა და სამხრეთიდან დაერტყა ბერლინისათვის.

ქალაქის გარეუბნის პირობებში ადვილი როდია ისეთი საჯარისო შენაერთის მკვეთრად შემობრუნება, როგორიც არმიაა. სირთულე იმაში გამოიხატებოდა, რომ არმიის ბევრი ნაწილი უკვე შეიჭრა ქალაქის კვარტალებში და ქუჩებში იბრძოდა. მკვეთრად შემობრუნება ნიშნავდა შევიწროებული მოწინააღმდეგის ხელიდან გაშვებას. მტერს გაუშვებ, წამოდგება და ზურგში დაგარტყამს.

ეს რომ არ მომხდარიყო და იმავდროულად ფრონტის სარდლის ბრძანება შეგვესრულებინა, შევეცადეთ შემობრუნება არც ისე მკვეთრი და მტრისათვის შეუმჩნეველი ყოფილიყო. მე-4 გვარდიულ მსროლელთა კორპუსს ჩემი ბრძანებით ევალებოდა განეგრძო შეტევა და ბერლინის შტურმი პეტერსჰაგენ-ნენს-დორფ-ზიუდენდის საერთო მიმართულებით; 29-ე გვარდიულ მსროლელთა კორპუსს — კიოპენიკ-ბუკოვის მიმართულებით; 28-ე გვარდიულ მსროლელთა კორპუსს—მიუტტელჰაიმ-ალტ-გლინიკე-რუდოვის მიმართულებით.

რუკას რომ დახედოთ, ცხადი გახდება, რომ მე-8 გვარდიუ-

ლი არმიის ნაწილები ბერლინს უვლიდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან, წინ მიიწევდნენ და მოწინააღმდეგეს ავიწროვებდნენ ჩრდილოეთით ისე, რომ მას არ შეძლებოდა ჩვენი ფლანგისათვის დარტყმა ან დედაქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით ტყეებში გარემოცულ დაჯგუფებასთან შეერთება.

კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებს ებრძანათ თავიანთ ზოლებში შეტევაზე თან გაეყოლებინათ ზურგის ნაწილები და ქვეგანაყოფები, მიუხედავად იმისა, რომ ზურგში ჰიტლერელთა ჯგუფები რჩებოდნენ. ამ ჯგუფების განადგურება ზურგის ქვეგანაყოფებს ევალებოდათ.

გადაჯგუფებასა და შეუჩერებლად შეტევას რომ განაგრძობდნენ, არმიის ჯარები ემზადებოდნენ მდინარეების შპრეესა და დამეს ფორსირებისათვის, ამიტომ დივიზიების მეთაურებს თან მიქონდათ გადასალახავი საშუალებანი.

22 აპრილს დღის ბოლოსათვის არმიის ჯარებმა გზა გაიკვლიეს ბერლინის აღმოსავლეთ შემოგარენში და დაიპყრეს გარეუბნები: დალვიცი, შიონაიხე, ფიხტენაუ, რანსდორფი, ფრიდრიხსჰაგენი, ვენდენშლოსი. ამ დღეს განსაკუთრებით ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდნენ მე-4 გვარდიულ მსროლელთა კორპუსის ნაწილები კაულდორფისა და კარლსჰორსტის რაიონებში. შეტევა ამ მიმართულებით ფაქტიურად შეჩერდა, ხოლო მარცხენა ფლანგზე და ცენტრში, განსაკუთრებით 28-ე გვარდიულ მსროლელთა კორპუსის უბანზე, ერთ დღე-ღამეში ჯარებმა 12-15 კილომეტრით წინ წაიწიეს. შეტევის ასეთი ტემპი ქალაქის პირობებში შეიძლება სწრაფ ტემპად ჩაითვალოს.

მე-8 გვარდიული არმიის შემობრუნებისას ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით ფრონტის სარდალმა გვარდიულ სატანკო არმიას უბრძანა ამავე რაიონში ერთობლივად ემოქმედა.

პირველი გვარდიული სატანკო არმიის ტანკისტების წინაშე ძნელი ამოცანა იდგა. ქუჩის ბრძოლებში, როცა მოედნები და ქუჩები ცარიელია, როცა მოწინააღმდეგე თავდაცვას აწყობს სხვენებსა და სარდაფებში, ტანკისტები ვერ ხედავენ მოწინა-

აღმდეგეს, ვერ შედიან შენობებში, სხვენებსა და სარდაფებში. ამ დროს კი ტანკები კარგი სამიზნე ხდება მეჯავშანსგამტანეებისათვის, რომლებიც შეიარაღებული არიან ცეცხლგამჩენსითხიანი ბოთლებით და განსაკუთრებით, ფაუსტპატრონის ტიპის რეაქტიული უუმბარსატყორცნებით. ეს როდი ნიშნავს, რომ ტანკები და ტანკისტები საჭირონი და გამოსადეგნი არ არიან ქალაქში საბრძოლველად. ამას სულაც არ ვფიქრობ. ისინი საჭირონი არიან, მაგრამ, როგორც დამოუკიდებელი ძალა კი არა, არამედ საიერიშო ჯგუფებში ჯარის სხვა სახეობის ქვეგანაყოფებთან ერთობლივი მოქმედებისათვის.

მხოლოდ მსროლელთა ქვეგანაყოფებთან, არტილერისტებთან, მესანგრეებთან და ქიმიკოსებთან ურთიერთმოქმედების დროს დაინახავენ ტანკისტები, სად ელით საფრთხე. ტანკისტებს ამას უკარნახებენ საიერიშო ჯგუფების მეომრები. უკარნახებენ და უჩვენებენ თუ რომელ შენობაში, რომელ სართულზე, რომელ სხვენსა და სარდაფშია ჩასაფრებული მოწინააღმდეგე, რომელიც ერთობლივი ძალით უნდა მოსპონ. სწორედ ამ მჭიდრო ურთიერთმოქმედების დროს ტანკები გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც არტილერია მუხლუხებზე, ხოლო ტანკისტები — როგორც ჯავშნით დაცული არტილერისტები.

ჩვენ შეუჩერებლივ გარდავქმენით საბრძოლო მწყობრი საიერიშო ჯგუფებისა და რაზმების სისტემაში ისე, რომ ბერლინის გარეუბნებში შეტევა არ შეგვიწყვეტია. 23 აპრილს ღამით არმიაში არავის დაუსვენია: ძალზე ბევრი იყო გადაუდებელი საქმე. უნდა გავსულიყავით შპრეეზე, შემდგომ—დამეზე. არმიის შტაბის გაანგარიშებით შპრეეს გადალახვა უნდა დაგვეწყო 23 აპრილს დილით მძლავრ საარტილერიო მომზადებასთან ერთად, რომელიც 30 წუთს გაგრძელდებოდა. დივიზიები გავიდოდნენ მდინარეზე, ავტომანქანა-ამფიბიებით (ასეთი მანქანა 87 გექონდა) გადაიყვანდნენ მოწინავე რაზმებს და ხელთ იგდებდნენ გადასასვლელებს.

მდინარის გადალახვის გეგმა დეტალურად შევიმუშავეთ. თითქოს ყველაფერი გავითვალისწინეთ, მაგრამ ომში ხშირად ხდება, რომ გეგმები ისე არ სრულდება, როგორც განზრახულია. მოვლენათა მსვლელობას ამ გეგმებში ყოველთვის შე-

აქვს შესწორებები. ასევე მოხდა 23 აპრილს ღამით. ვიდრე ბრძანება მრავლდებოდა და იგზავნებოდა, 28-ე და 29-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსების ნაწილები შპრეეს ნაპირს მიადგნენ. აქ მეომრებმა ბევრი სპორტული, ნიჩბიანი და მოტორიანი ნავი, აგრეთვე რამდენიმე დიდი კარჭაპი ნახეს. ქვეგანაყოფების მეთაურები ბრძანებებსა და მითითებებს არ დაელოდნენ, მეომრები ნავებში ჩასხეს და ღამის წყვდიადში შპრეე, შემდეგ კი დამე გადალახეს. ყველაზე ადრე გადავიდნენ 88-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის ნაწილები გენერალ-მაიორ ბ. ნ. პანკოვის მეთაურობით. განთიადისას მათ გარეუბანი ფალკენბურგი დაიკავეს.

ეს წარმატება განაპირობა 88-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის 269-ე მსროლელთა პოლკის მეორე ბატალიონის მეთაურის გვარდიის კაპიტნის ათანასე ივანეს ძე სემაკინის ინიციატივამ. კადრის ოფიცერმა, მრავალი ბრძოლის მონაწილემ, აქაც, ბერლინის მისადგომებთან, გამოამჟღავნა მეთაურის საუკეთესო თვისებები: გამბედაობა, დიდი ნებისყოფა, შემოქმედება საბრძოლო ამოცანების გადაჭრისას. ბატალიონი წინ მიიწევდა ბერლინის წრიული ავტოსტრადიდან ტყის მასივის გაელით. გზაზე შემოხვდა მოწინააღმდეგის თავდაცვის შუალედური ზღუდე. ბატალიონს არ ჰქონდა ქვემეხები და ნაღმსატყორცნები. სემაკინი არ დაელოდა, როდის წამოეწეოდნენ ქვემეხები და გაძლიერების სხვა საშუალებანი: მოწინააღმდეგეს შეეძლო უკუქცეულიყო ან თავს მოეხვია ბრძოლა მისთვის ხელსაყრელ პირობებში. საჭირო იყო მისი უმალვე, შეუჩერებლივ, მოულოდნელი იერიშით განადგურება. კაპიტანი სემაკინი სწორედ ასე მოიქცა. გაშლილი ასეულების ერთსულოვანმა იერიშმა, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან ეძგერნენ მტერს ხშირი ტყიდან, ისეთი თავზარი დასცა მას, რომ ვერც კი შეძლო ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა. ხანმოკლე ბრძოლაში ბატალიონმა ტყვედ ჩაიგდო მტრის ასზე მეტი ჯარისკაცი, გაანადგურა სამი ჯავშანტრანსპორტიორი.

როგორც შემდგომ გაირკვა, ეს იყო საფარი რაზმი, რომელიც შპრეეზე ერთ-ერთ გადასასვლელს იცავდა. ბატალიონმა კიდევ რამდენიმე ასეული მეტრით წაიწია წინ და მდინარის

ნაპირს მიადგა. მას შემდეგ, რაც ნაპირი მტრის მცირერიცხოვანი ჯგუფებისაგან გაწმინდეს, საბჭოთა მეომრები თავის მეთაურს მიყვნენ და ზოგმა ცურვით, ზოგმა სახელდახელო საშუალებით გადალახა მდინარე. და, აი, შპრეეს გალმა ნაპირზე მყოფი გერმანელების თვალწინ აღიმართნენ რუსები — ფეხშიშველები, ბევრი საცვლების ამარა, მაგრამ მხნე და მალი. ამან მტერს მეტი თავზარი დასცა, ვიდრე ავტომატების ჯერმა.

— ისინი მოჩვენებასავით გაჩნდნენ! იძულებული ვიყავით უკან დაგვეხია!.. — ჰყვებოდა შემდგომ დატყვევებული რგოლის მეთაური ფოლკსშტურმის ბატალიონიდან.

კაპიტან სემაკინსაც ეს უნდოდა. მოწინააღმდეგეს გონს მოსვლა არ აცალა და რამდენიმე მეავტომატესთან ერთად მტერს გამოედევნა. საღამოს, ბინდი რომ ჩამოწვა, მისმა ბატალიონმა წყლის ახალ ზღუდეს მიაღწია. ეს დამე იყო. ღამით სემაკინმა თავის მეომრებით მდინარე გადალახა. გულადებს კი კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ დივიზიის დანარჩენი ბატალიონები, პოლკები, განამტკიცებდნენ და განავითარებდნენ წარმატებას.

მარჯვნივ, კიოპენიკის რაიონში, მოქმედებდნენ 39-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის ნაწილები. შპრეესთან რომ გავიდა, პოდპოლკოვნიკ გრიცენკოს პოლკი მარცხნიდან ცეცხლის ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა: მოწინააღმდეგე გზას უღობავდა გადარჩენილი საავტომობილო ხიდისაკენ. გრიცენკომ ხიდის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. მტრის ყურადღება რომ არ მიეპყრო, პოდპოლკოვნიკმა ბატალიონი უკან დახია და დემონსტრაციულად ატეხა სროლა კიოპენიკის რაიონში. საზრიანმა მეომრებმა ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, თითქოს სწორედ იქ მიმდინარეობდა მთავარი ბრძოლა. კიოპენიკში ქუჩის ბრძოლები მართლაც იყო გაჩაღებული. მაგრამ იქ მცირე ჯგუფებით მხოლოდ ერთი ასეული მოქმედებდა. როცა დარწმუნდა, რომ ხიდის დაცვა დამშვიდდა, გრიცენკომ მე-5 მსროლელთა ასეულის მეთაური ლეიტენანტი ნიკოლოზ ბალაკინი იხმო და უბრძანა დაბინდებისთანავე სახელდახელო საშუალებებით გადასულიყო დასავლეთ ნაპირზე, მალულად შეეღწია ხიდის დაცვის ზურგში და შეეტია მისთვის.

ბალაკინის ასეული, რომელიც მცირე ჯგუფებით მოქმედებდა, ღამით მოწინააღმდეგის ზურგში შეიპარა და მოსპო ხიდის მცველი ჰიტლერელები. გრიცენკომ ამით ისარგებლა და პოლკის ძირითადი ძალები აამხედრა. ხიდი უვნებლად ვიგდეთ ხელთ. ხიდის წამწეების საყრდენების ქვეშ ჩაწყობილი ნაღმები და ფუგასური ბომბები ამოღებულ იქნა და მთელი დივიზია არტილერიითა და ტანკებით ხიდზე გადავიდა. ადგილზე დარჩა მცირერიცხოვანი ძალები, რომლებსაც კიოპენიკში გარემოცული მტრის გარნიზონი უნდა გაენადგურებინა.

იმავე ღამით შპრეეზე აგრეთვე გადავიდნენ 29-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის ნაწილები, რომლებმაც ადლერსჰოფის რაიონში უვნებელყვეს სარკინიგზო ხიდის დაცვა. დასავლეთ ნაპირზე დაიკავეს დიდი პლაცდარმი და მდინარე დამეზე კიდევ ერთი საავტომობილო ხიდი იგდეს ხელთ.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ 02-ე დივიზიის მეთაურის გენერალ-მაიორ მიხეილ ილიას ძე დუკის ვაჟკაცობა და სიმამაცე. შპრეეს გადალახვისას იგი მოწინავე ქვეგანაყოფებთან ერთად ნაპირს მიადგა. როცა მზვერავები, რომლებსაც ცურვით უნდა გადაელახათ წყლის ზღუდე, ოდნავ შეკრთნენ, დუკმა კიტელი გაიხადა, ფეხსაცმელი გაიძრო და პირველი გადაეშვა მდინარეში. გაზაფხულის ცივმა წყალმა ვერ შეაჩერა. გაღმა ნაპირზე გადაცურა, იქ ორი ნავი შეხსნა და ჩვენს ნაპირზე გადმოიყვანა. მზვერავები მეთაურს მიჰყვნენ. მალე მთელმა დივიზიამ გადალახა მდინარე, ზოგმა ნავით, ზოგმა ცურვით.

ამგვარად, 28-ე და 29-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსების ქვეგანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების მეთაურთა ინიციატივით ამოცანა უფრო ადრე შესრულდა, ვიდრე ამას არმიის შტაბი გეგმავდა, ამასთან თითქმის უდანაკარგოდ, ძალებისა და საშუალებების ნაკლები დანახარჯებით.

ტანკების, არტილერიის, საბარგულების გადასაყვანად დამატებით ავაგეთ პონტონის ხიდები და 23 აპრილს ორი კორპუსის ჯარების მასა ერთობლივ დაიძრა ბერლინისაკენ. დღის ბოლოსათვის არმიის შენაერთებმა ბერლინის შემოგარენი დაიპყრეს და ბრძოლას განაგრძობდნენ მდინარე დამეს დასავლეთით. ამ უბანზე მტრის წინააღმდეგობა ჩაქრა.

საქალაქო ბრძოლაში ხშირად მტერი იქ ჩნდება ხოლმე, სადაც არ მოელი. ჩვენი ჯარების ზურგში იგი ტოვებდა დიეერსანტთა სპეციალურ ჯგუფებს, რომლებიც სარდაფებში იმალებოდნენ, გაატარებდნენ მოწინავე შემტევ ნაწილებს და რეზერვებსაც კი, ხოლო შემდეგ თავს ესხმოდნენ ჩვენ მეომრებს. ეს საიმისოდ კეთდებოდა, რომ ზურგში პანიკა დაეთესათ და შეეზღუდათ ან დაემუხრუჭებინათ მოწინავე ნაწილების მოქმედება. ასეთ ჯგუფებთან საბრძოლველად ზურგის დაცვის რაზმები იქმნებოდა.

24 აპრილს არმიის ჯარები მთელ ფრონტზე განაგრძობდნენ შეტევას და მოწინააღმდეგეს ქალაქის ცენტრისაკენ უკუაგდებდნენ. ამ დღეს მიონევაიდეს აეროპორტის რაიონში ერთმანეთს შეუერთდნენ მე-8 გვარდიული არმიის ნაწილები და უკრაინის პირველი ფრონტის ჯარები. ამგვარად, მოწინააღმდეგის ბერლინის დაჯგუფება ორად გაიპო: ბერლინისა და ფრანკფურტგუბენის დაჯგუფებად. ამან დეზორგანიზაცია შეიტანა ჰიტლერელთა ჯარების მართვაში. მარჯვენა ფლანგზე მე-4 გვარდიული მსროლელთა კორპუსის ნაწილებმა შპრეე გადალახეს, დაიკავეს შიონევაიდე, დამ-ფორშტადტი, ნიდერი. მარცხენა ფლანგზე 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის ნაწილები ტელტოვის არხთან გავიდნენ, დაიპყრეს ქალაქის ბრიცის, ბუკოვის, რუდოვის რაიონები. 29-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის ნაწილებმა მოწინააღმდეგისაგან გაწმინდეს იოჰანისტალის რაიონები, ადლერსჰოფის აეროპორტი. ტელტოვის არხთან ჩვენი შენაერთები შეხვდნენ უკრაინის პირველი ფრონტის ახალ ჯარებს. ეს ბერლინის სრულ გარემოცვას ნიშნავდა. მოწინააღმდეგის მძლავრი დაჯგუფება მე-9 საველე და მე-4 სატანკო არმიების შემადგენლობით — სულ 30 დივიზია, რომლებიც ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოქმედებდნენ, ჩვენი ჯარების რკალში აღმოჩნდა. ამასთან დაკავშირებით მე-8 გვარდიული არმია, რომლის შეტევის ზოლში მდინარეზე გადმოსული პირველი გვარდიული სატანკო არმიის შენაერთები მოქმედებდნენ, ფრონტის ბრძანებით მიმართულ იქნა ჩრდილო-დასავლეთისაკენ — ბერლინის ცენტრისაკენ.

ბერლინის ოპერაციის ძირითადი ეტაპი დამთავრდა ორი

ფრონტის ჯარების შეერთებითა და ბერლინის გარემოცვით. ფაშისტური გერმანიის რეგულარული ჯარები განადგურდა, მოწინააღმდეგის მთლიანი ფრონტი ბევრ უბანზე გაირღვა, გარემოცულ იქნა მტრის დიდი ძალები, რომლებსაც ნაწილ-ნაწილ ვანადგურებდით.

გერმანელთა გენერალური შტაბის რეზიდენცია, რომელიც ცოსენის რაიონში იმყოფებოდა, უკრაინის პირველი ფრონტის ნაწილებმა დაიპყრეს და საბოლოოდ მოშალეს მტრის ჯარების მართვა.

საბჭოთა ჯარები, რომლებიც ბერლინის გარემოცვაში არ მონაწილეობდნენ, ელბისაკენ, დასავლეთელ მოკავშირეთა შესახვედრად უტევდნენ. მესამე რაიხის დღეები დათვლილი იყო. ამას გრძნობდა ყველა — რიგითი ჯარისკაციდან გენერლამდე.

25 აპრილს უკრაინის პირველი ფრონტის 58-ე მსროლელთა დივიზიის ნაწილები ელბაზე, ტორგაუს რაიონში შეხვდნენ ამერიკელთა პირველი არმიის 69-ე ქვეითი დივიზიის პატრულებს. მესამე რაიხი შუაზე გაიპო, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანებული ორი მოკავშირე სახელმწიფოს მეომრები, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ჯარისკაცები და ოფიცრები ერთმანეთს ართმევდნენ ხელს.

დარჩა კიდევ ერთი ნაბიჯი — ბერლინის აღება და ამით ომის დამთავრება. ეს ნაბიჯი საბჭოთა ჯარებს უნდა გადაედგათ. რთული საპასუხისმგებლო ნაბიჯი იყო. ბერლინში თავი მოიყარეს ნაცისტურმა ავმა სულებმა, აქ იყო ფაშისტური მესამე რაიხის ტვინი, აქ ჯერ კიდევ ცოცხლობდა და მოქმედებდა თავისი ბანაკით ფაშისტური იმპერიის მეთაური — ჰიტლერი. იარაღის ძალით მტერი უნდა გვეიძულებინა, რომ მიეღო უსიტყვო კაპიტულაციის პირობები. უსიტყვო კაპიტულაცია — ასეა ჩაწერილი ანტიჰიტლერული კოალიციის დიდ სახელმწიფოთა იალტის დეკლარაციაში. ამის მიღწევა ბერლინის გადამწყვეტი და მძლავრი შტურმით შეიძლებოდა მხოლოდ.

ეს პატივი წილად ხვდა ბელორუსიის პირველ და უკრაინის პირველ ფრონტებს.

და კვლავ, უკვე მერამდენედ, დგებოდა საკითხი ჩემსა და ჩემი ამხანაგების წინაშე. რისი იმედი აქვთ გერმანიის მმართველებს? ახლა რაღას უნდა დალოდებოდნენ? ვერავითარი საიდუმლო ზეიარაღი ვერ გადაარჩენდა დამარცხებისაგან გერმანელთა არმიის ნარჩენებს, მოჩვენებითი, ეფემერული, ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ ულმობელი და ძლიერი მესამე რაიხის არმიის ნარჩენებს.

მტრის ძირითადი დაჯგუფებები განცალკევებულია, გაბნეულია, ისინი წინააღმდეგობას გეიწევენ თავდაცვის უკანასკნელ ზღუდეებზე, ციხესიმაგრეებში, ხანგრძლივ საცეცხლე წერტებში, მიწისქვეშა თავშესაფრებში, სარდაფებში, ქალაქის კვარტალებში. გერმანიის მთავრობას იმ დროისათვის ყველა ხელმისაწვდომი არხით ეცნობა, რომ ომიდან გამოსავალი ერთადერთია: უსიტყვო კაპიტულაცია!

ჯერ კიდევ შეიძლება სიცოცხლე შევუნარჩუნოთ ასობით, ათასობით, ათეულ ათასობით გერმანელ ჭაბუკს, გერმანელ ჯარისკაცს, ვინც ბედისწერამ დაინდო ამ ხანგრძლივ და მათთვის განწირულ ომში. სასწორის ერთ მხარეს — ასობით ათასი გერმანელის სიცოცხლე, ახალი და ახალი ქალაქების დანგრევის საფრთხეა, მეორე მხარეს — რამდენიმე ავანტიურისტის სიცოცხლე.

ჰიტლერი, გებელსი, გერინგი, ჰიმლერი, ბორმანი თავიანთ სიცოცხლეს ყველაზე მეტად აფასებენ... გერმანელი გენერლებიც გულში მზად არიან მუხლი მოიდრიკონ და აღიარონ, რომ ყველაფერი წაგებულია, მაგრამ ჰიტლერს ისინი მორჩილებაში ჰყავს და სისხლიან წისქვილში სულ ახალ და ახალ ადამიანებს ჰყრის.

იწყება ფაშისტური რეჟიმის აგონია, მისი ბელადების აგონია და იგი მათს ულმობელობასა და მხდალობას, მათს ეგოიზმსა და უნამუსობას ფარდას ხდის მთელი მსოფლიოს წინაშე...

მე ჯარისკაცი ვარ. განვვლე ხანგრძლივი სიცოცხლის დღეები. ეხლა მიმწუხრს ვუახლოვდები. ჩემს მხედრულ სიცოცხლეში, რომელიც სამოქალაქო ომის ფრონტებზე დაიწყო, ბევრი

ვნახე და ბევრი განვიცადე, როგორც წმინდა სამხედრო, პროფესიული თვალსაზრისით, ჩემი სიცოცხლის მიწურულს, შემიძლია შევაფასო ყველაფერი ის, რაც ხდებოდა ბერლინთან ორმოცდახუთი წლის გაზაფხულზე. ჩვენს მოწინააღმდეგეს იოტისოდენა შესაძლებლობა, იოტისოდენა იმედიც კი არ გააჩნდა, რომ წარმატების იმედით რაიმე წინააღმდეგობა გაეწია.

ხელთა მაქვს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის დღიური, რომელსაც 1938 წლიდან გენერალ-პოლკოვნიკ იოდლის მითითებით ადგენდნენ. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ფაშისტური გერმანიის არსებობის უკანასკნელი დღეების აღწერა.

1945 წლის 22 აპრილს დაახლოებით 15 საათზე იმპერიის კანცელარიაში უკანასკნელად ტარდება დიდი ოპერატიული თათბირი. ამ თათბირზე, რომელიც თვით ჰიტლერს მიუყავდა, მან პირველად გამოთქვა აზრი, რომ ომი წაგებულია.

ამ დროისათვის საბჭოთა ჯარები გავიდნენ ავტოსტრადის ბერლინის რკალზე ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან. ჰიტლერმა ბერლინში დარჩენა გადაწყვიტა და მიიღო ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბის უფროსის იოდლის წინადადება — დასავლეთის ფრონტიდან მოეხსნათ ყველა ჯარი და ბერლინისათვის ბრძოლაში ჩაებათ.

ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად 24 აპრილს საგანგებო დირექტივით იოდლი არმიათა ჯგუფების სარდლებს უბრძანებს მათ განკარგულებაში მყოფი მთელი ძალები გადაისროლონ მოსისხლე მტერთან — ბოლშევიზმთან საბრძოლველად. ამასთან ერთად მიუთითებს, ყურადღება არ მიაქციონ იმას, რომ შესაძლებელია ინგლის-ამერიკის ჯარებმა დასავლეთში მნიშვნელოვანი ტერიტორია დაიპყრონ.

იმავე დროს, როგორც დღიურშია აღნიშნული, ჰიტლერს როგორც ჩანს, 22 აპრილის თათბირზე მიღებული ელდა გამოუნელდა და 19 საათსა და 45 წუთზე გროს-ადმირალ დენიცს უგზავნის დეპეშას, რომელშიც ბერლინისათვის ბრძოლას „გერმანიის ბედისათვის ბრძოლას" უწოდებს.

იგი გროს-ადმირალ დენიცს უბრძანებს უარი თქვას სამხედრო-საზღვაო ფლოტის წინაშე მდგარი ყველა ამოცანის შეს-

რულებაზე და ბერლინისათვის მებრძოლი ჯარების გასაძლიერებლად დაიწყოს ჯარების გადმოსროლა ქალაქში ჰაერით, წყალსავალი გზითა და ხმელეთით.

ამასთან დაკავშირებით ყველა დანარჩენ ამოცანასა და სხვა ფრონტებს, მისი აზრით, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამ დღიურში ნახსენებია, რომ 22 აპრილს ჰიტლერი თვითმკვლელობის შესახებ თავის გადაწყვეტილებას გაანდობს თათბირის მონაწილეებს.

მაგრამ თქმა გაკეთებას როდი ნიშნავს. აგზნებულ დიქტატორს თავში რაღაც ბუნდოვანი, გამოუთქმელი იმედები მოჩვენებასავით უტრიალებენ. სად წავიდა ყველაფერი? სად დაიკარგა ყველაფერი? სად არის მუხლმოდრეკილი ბრბო, რომელიც მას მქუხარედ უკრავდა ტაშს, რომელიც მის მიერ წარმოთქმული ყოველი მეორე სიტყვის შემდეგ ჰიტლერის სახელს გაიძახოდა? იგი იფიცებოდა, რომ მათს წინაშე მთელს მსოფლიოს დააჩოქებდა. ისინიც ეფიცებოდნენ, რომ მისთვის მოკვდებოდნენ.. ნუთუ დღეს არ მოიძებნება მილიონი გერმანელი ჭაბუკი, ვინც ცეცხლში ჩადგება ფიურერის სიცოცხლის გადასარჩენად? და ჰიტლერიც შეუბრალებლად აგზავნის საბრძოველად უწვერულ ბიჭებს, გიმნაზიელებს, მათ არტილერიის ცეცხლის ქვეშ, ტანკის მუხლუხებქვეშ სასიკვდილოდ იმეტებს.

ჰიტლერი ბუნკერში იჯდა, მაგრამ არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რა ხდებოდა ბერლინში. არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ბოლო დღეების პანიკამ და არეულობამ გერმანიაში ყველას თავგზა აუბნია, რომ ბერლინის მილიონობით მცხოვრებმა ქალაქიდან ევაკუაცია ვერ მოახერხა. მაგრამ დიქტატორი საკუთარი სიცოცხლის გარდა არას დაგიდევდა.

სადღაა ჯარები, სადღაა მესამე რაიხის ლეგიონთა ნარჩენები?

ბუსეს მე-9 არმია მოწყვეტილია დედაქალაქს, მას ნაწილ-ნაწილ ანადგურებენ და ატყვევებენ.

გენერალ-ფელდმარშალი კაიტელი და გენერალ-პოლკოვნიკი იოდლი ფიურერთან ერთად იწყებდნენ სამხედრო დანაშაულს. ისინი მორჩილად ეძებენ დაკარგულ ჯარებს, ცდილობენ

მათთან დაკავშირებას რაციითა და შიკრიკების მეშვეობით. შეურაცხადი ავადმყოფის სასთუმალთან მყოფი მომვლელი-ვით, ისინი რადიოგრამების გაგზავნით ცდილობენ ფიურერის დაშოშმინებას. იქნებ ამით საკუთარ თავსაც ინუგეშებენ პრუ-სიული სამხედრო სკოლის ფხიზელი ანალიტიკოსები? ან სხვა რა დარჩენიათ?

მესამე რაიხის არმიებს ეგზავნებათ ბრძანება, ალყიდან იხს-ნან ბერლინი... ამ ბრძანებას დაუღალავად იმეორებენ ჯერ კი-დევ ნაცისტების ხელთ დარჩენილი რადიოსადგურები, ბრძანე-ბას სატელეფონო სადენებით გადასცემენ.

ვენკის არმია ბერლინისაკენ დასავლეთიდან მიდიოდა. ბერ-ლინის შემოგარენში მას დახვდნენ ჩვენი ჯარები, რომლებიც ელბისაკენ უტევდნენ, და გაფანტეს იგი.

28 აპრილს ჰიტლერს ხელთ რჩება მიწის პატარა ნაგლე-ჯი — ტირგარტენი და მთავრობის შენობები, ფაშისტური რეჟი-მი სულს ღაფავს... ეს ადამიანური ხმები აღარ არის, ეს მანია-კების ლუღლუღია. გერმანიის სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი კრებსი ფიურერის ბრძანებას გენერალ-ფელდმარშალ კაიტელს გადასცემს:

„ფიურერი მოითხოვს, რომ მას რაც შეიძლება სწრაფად აღმოუჩინოთ დახმარება. ჩვენს განკარგულებაშია არა უმე-ტეს 48 საათისა. თუ ამ დროისათვის არ დავეხმარებით, მერე გვიან იქნება. ფიურერი ითხოვს, რომ ეს კიდევ ერთხელ გაგი-მეოროთ“.

კაიტელი ცდილობს დაამშვიდოს... საკუთარი თავი თუ ფიურერი? ახლა სულ ერთია. ყველა სასურველის მირაჟში იძირება... ისინი კვლავ ჯარისკაცობანას თამაშობენ.

კაიტელი პასუხს წერს: „ვენკი და ბუსე უტევდნენ, წარ-მატების მიღწევა შეიძლება ჩრდილოეთისაკენ დარტყმის შე-დეგად...“

მათ დარტყმები ელანდებათ და რუკებზე გულდასმითა და ლამაზად ნაირფერ ისრებს ხატავენ...

დილის 5 საათზე გენერალ ბუსეს მე-9 არმიის შტაბიდან პატაკი იგზავნება: „გარღვევა ვერ შევძელით. მოწინავე სატან-კო ქვეგანაყოფებმა კატეგორიული ბრძანების საწინააღმდე-

გოდ, როგორც ჩანს, დასავლეთისაკენ მოახერხეს გარღვევა ან განადგურდნენ. დამკვრელი ჯგუფის დანარჩენმა ძალებმა საგრძნობი დანაკარგები განიცადეს და ისინი შეაჩერეს".

ამ პირქუშ პატაკში ყველაფერი გაზვიადებული იყო. სურათი უფრო ნათელი გახლდათ. ამ დროს ჩვენი ჯარები ნაწილ-ნაწილ, მეთოდურად ანადგურებდენ იმათ, ვინც ბუსეს არმიიდან ტყვედ არ ნებდებოდა და ატყვევებდნენ ჯარსკაცებს, რომლებიც იარაღს ყრიდნენ.

და ესეც არ ჰყოფნის ჰიტლერს. იგი ძალაუფლებას კი არ ებღაუჭება... ძალაუფლების აჩრდილს. პოლიტიკურ სარბიელს არ ტოვებს. მზად არის საკუთარ სიცოცხლეს მთელი ერის სიცოცხლე ანაცვალოს. მისი ბუნკერიდან ახალი ბრძანება გაისმის. იგი უბრძანებს ოდერსა და ელბას შორის მოქმედ ჯარებს დაუყოვნებლივ, ყოველი მხრიდან დაიწყონ შეტევა ბერლინის მიმართულებით ჩვენი ნაწილების ზურგში, რომლებიც ბერლინში შეიჭრნენ. მაგრამ ოდერისა და ელბას შორის აღარ არის ჯარები, რომლებიც ფიურერის მოწოდებას გაიგებენ. იქ დარჩნენ იმ ჯარისკაცთა, ესესელთა დაქსაქსული, მოხეტიალე ჯგუფები, ვინც ჩადენილ დანაშაულებათათვის შურისგების შიშით ადამიანის სახე დაკარგა და გრუხუნის, ცეცხლისა და სისხლისაგან ჭკუაზე შეიშალა...

29 აპრილს 23 საათზე ჰიტლერი ეკითხება გენერალ-პოლკოვნიკ იოდლს: „სად არიან ვენკის არმიის მოწინავე ნაწილები? როდის განაახლებენ შეტევას? სად არის მე-9 არმია? სად უნდა მოახდინოს გარღვევა მე-9 არმიამ?"

იოდლმა თავის ფიურერს ვეღარაფერი უპასუხა. თვითონაც არ იცოდა, სად იყვნენ არმიები, რა მოუვიდათ მათ, რა ხდება. იგი ყოველ წუთს აღსასრულს ელოდა...

30 აპრილს 18 საათსა და 35 წუთზე გროს-ადმირალმა დენიცმა ბერლინიდან მიიღო რადიოგრამა: „გრომს-ადმირალ დენიცს. ადრე დანიშნული რაიხსმარშალ გერინგის ნაცვლად ფიურერი თავის მემკვიდრედ გნიშნავთ თქვენ, ბატონო გროს-ადმირალო. წერილობით რწმუნებანი გამოგეგზავნათ. გევალებათ სასწრაფოდ მიიღოთ ამ მდგომარეობიდან გამომდინარე ყველა ზომა. ბორმანი".

ეს რადიოგრამა სხვა მხრივაც არის ღირსშესანიშნავი. გებელსისა და ბორმანის თამაშის უკანასკნელი სვლაა იგი. ჰიტლერი აღარ არის, იგი საქმეს ჩამოშორდა ან ჩამოაშორეს, ძალაუფლება გენერალიტეტის ხელში გადადის... იქნებ მოკავშირეები გენერლებთან მოლაპარაკებაზე წავიდნენ? იქნებ სასწაული მოხდეს?

ჰიტლერმა იცოდა, რომ მოკავშირე ერები მისსა და მისი უახლოესი დამქაშების გასამართლებას აპირებენ, მაგრამ ფიუერერმა არ ისარგებლა უკანასკნელი შესაძლებლობით წარმდგარიყო ხალხთა სამსჯავროს წინაშე, რათა სასამართლოში საჯაროდ, მთელი მსოფლიოს წინაშე დაეცვა თავისი იდეები, დაეცვა თავისი „უფლება" მილიონობით ადამიანების, ერების განადგურებისა, სახელმწიფოების, ქალაქების, ადამიანთა საცხოვრებლების მიწის პირისაგან აღგვისა, დაწვის, ტანჯვისა და განადგურებისა... ყოველივე ამას ჰიტლერი საჯაროდ აცხადებდა ყავისფერხალათიანების იარაღის იმედით. სახელმწიფო პოლიციის, არმიის, გერმანიის გენერალიტეტის იმედით. ისტორია მას ტრიბუნას სთავაზობდა, რომ ყოველივე ეს საჯაროდ განეცხადებინა ადამიანთა ცივილიზაციის მიერ შემუშავებული კანონების წინაშე.

მან პასუხისმგებლობა მოიხსნა...

ჩვენ, საბჭოთა მეომრები, ბერლინში ნგრევისა და მკვლელობისათვის არ მივსულვართ. რთული გზა ჩვენ განვვლეთ იმისათვის, რომ ჩვენი მშობლიური მიწა-წყალი და მოძმე ხალხები ფაშისტ დამპყრობთაგან გაგვეთავისუფლებინა. ბერლინში მივედით საიმისოდ, რომ გერმანიაში ფაშისტური რეჟიმისათვის ბოლო მოგვეღო და ამით სამუდამოდ მოგვესპო აგრესიის ყველაზე საშიში კერა.

ომში მსხვერპლი გარდაუვალია. მაგრამ მსხვერპლი ნაკლები იქნებოდა, ჰიტლერსა და მის დამქაშებს ერის კეთილდღეობაზე რომ ეფიქრათ...

ბერლინის შტურმის პირველსავე საათებში შეეძლოთ ფაშისტ მეთაურებს წინააღმდეგობის შეწყვეტის ბრძანება გაეცათ. ბომბები და ჭურვები საწყობებში დარჩებოდა. ასობით ათასი ადამიანი გადარჩებოდა.

ახლა აღარ არიან ობიექტური მოწმეები, რომლებიც მოგვითხრობდნენ სიმართლეს მესამე რაიხის უკანასკნელი დღეებისა და საათების შესახებ. ფაშისტ მეთაურთაგან არავინ დარჩა ცოცხალი, ცნობილია, რომ აპრილის ოციან რიცხვებში გერინგმა და ჰიმლერმა მოლაპარაკება დაიწყეს ინგლისელებთან და ამერიკელებთან, მათ სურდათ ჰიტლერის ფიზიკური მოსპობის ფასადაც კი მიეღწიათ სეპარატული ზავისა თუ დაზავებისათვის. საკუთარი ინიციატივით გამოდიოდნენ ისინი „კომუნიზმისაგან გერმანიის მხსნელთა“ როლში, თუ თვით ჰიტლერის წარგზავნილები იყვნენ, — ძნელია ამაზე პასუხის გაცემა, ეს საიდუმლოებად დარჩა. მეტყვიან, რომ ნიურნბერგის პროცესზე ნაწილობრივ გაირკვა მესამე რაიხის უკანასკნელ დღეთა ამბები. მაგრამ ჰიტლერი, გებელსი და ჰიმლერი ჯერ კიდევ სასამართლოს დაწყებამდე აღარ იყვნენ ცოცხლები, ხოლო გერინგი მიკიბულ-მოკიბულ პასუხებს იძლეოდა, შემდეგ კი თავი მოიკლა. სავსებით შესაძლებელია, რომ მესამე რაიხის სათავეში მდგომთა სიცოცხლის უკანასკნელი დღეების საიდუმლოებანი მათ საფლავში ჩაიყოლეს.

არსებობს ჰიტლერის ანდერძი, რომლითაც სიკვდილის წინ მან პარტიიდან გარიცხა გერინგი და ჰიმლერი...

არსებობს ასეთი ანდერძი. ეს საბუთი მე პირველმა მივიღე სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსის გენერალ კრებსის ხელიდან, ხელთ მქონდა უკანასკნელი წერილი გებელსისა და ბორმანის ხელმოწერით. მაგრამ როცა ჰიტლერის სიკვდილის შესახებ სიტყვიერი და წერილობითი ცნობები მივიღე, არ მჯეროდა მისი სიკვდილისა, ვიდრე ჩვენმა მეომრებმა არ ნახეს მისი დამწვარი გვამი იმპერიის კანცელარიის ეზოში. კრებსის სიტყვების, გებელსისა და ბორმანის წერილების მიხედვით, ჰიტლერმა თავი მოიკლა 30 აპრილს, იგი მაშინვე გაახვიეს ხალიჩაში, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს. ამასვე წერს ჰიტლერის შოფერი და ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი კემპკა თავის წიგნში „მე დავწვი ადოლფ ჰიტლერი“.

არ შეიძლება უტყუარად მიეიჩნიოთ ე. კემპკას ჩვენება იმის შესახებ, რომ ბორმანი დაიღუპა ტანკის მუხლუხების ქვეშ, როცა ფაშისტთა ჯგუფი დასავლეთისაკენ გარღვევას

ცდილობდა. ომის შემდეგ სხვადასხვა· გამოცემებში ხშირად ჩნდებოდა ცნობები იმისი შესახებ, რომ ბორმანი გადარჩა, რომ მან პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და სადღაც სამხრეთ ამერიკაში იმალება... გენერალი გელენი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დაზვერვას ხელმძღვანელობდა, ხოლო ომის წლებში სათავეში ედგა ჰიტ-ლერელთა საარმიო დაზვერვას აღმოსავლეთის ფრონტზე, იზი-არებს ვერსიას, რომ ბორმანი ცოცხალი დარჩა.

შტურმი

1

მესამე რაიხის დედაქალაქზე შეტევა 1945 წლის 25 აპრილს დაიწყო.

ჩვენი შეტევის დაწყებამდე ბერლინი ამერიკისა და ინგლისის ავიაციამ დაანგრია.

აპრილის ბოლოსათვის ბერლინის გარნიზონი ჩვენი ჯარების ფოლადის რკალში მოექცა. ჩვენ გვესმოდა, რომ იქ, ბერლინის ცენტრში, ქვის ნანგრევებს თავი შეაფარეს არა უბრალოდ ჯარისკაცებმა, არამედ თავი მოიყარეს ფაშისტმა მანიაკებმა, დამნაშავეებმა, ვისი ხელებიც უმანკო სისხლითაა შეღებილი. მათთვის სულ ერთი იყო, სად მოკვდებოდნენ, ბერლინში რუსთა ჯარების ტყვიის ქვეშ თუ საბრალდებო სკამიდან წაიყვანდნენ სიკვდილით დასასჯელად. მაშინ გერმანიაში ჯერ კიდევ საკმაოდ იყვნენ ფანატიკოსები, ვინაც საკუთარი სიცოცხლე სიკვდილამდე დაუკავშირა ფაშისტურ რეჟიმს. რკინიგზის სადგურები, ქვის სახლები, მეტროს 113 სადგური, ათობით რკინა-ბეტონის თავდაცვითი ნაგებობა სავსე იყო ყველა სისტემის იარაღით.

შეტევისწინა ღამეს არტილერისტების საცეცხლე პოზიციებზე ვიყავი. ისინი ბერლინზე ცეცხლის დაშენისათვის ემზადებოდნენ, მინდოდა მენახა გამიზნვის შედეგები და უბრალოდ დამემახსოვრებინა მესამე რაიხზე ჩვენი უკანასკნელი დარტყმის პირველი გასროლა. მძიმე ქვემეხების ბატარეის განლაგებაში გამიძღვა არმიის არტილერიის სარდალი გენერალ-ლეიტენანტი პოჟარსკი.

დაბლა მიცურავდნენ შავი, ბურძგლა ღრუბლები. ჟინჟღლავდა. მიწა თითქოს თვლემდა, ზოგჯერ თუ შეკრთებოდა შორეული აფეთქებისაგან.

ბატარეა განლაგებული იყო ტყის მახლობელ მდელოზე. არტილერისტებმა მძიმე ქვემეხები მოამზადეს და ბრძანებას ელოდნენ. ზარბაზნის ლულები ბერლინისაკენ იყო დამიზნებული. ბატარეელები ზარბაზნების ლაფეტებთან იდგნენ წვიმის ქვეშ და სივრცეს ჩაშტერებოდნენ, თითქოს წვიმის ფარდის იქით შეიძლებოდა იმათი დანახვა, ვინც ამ ომის ხანძარი გააჩაღა. ბატარეელთა მკერდზე — მედლები „სტალინგრადის დაცვისათვის".

აგერ დგანან საუკეთესო მემიზნეები უმცროსი სერჟანტები კუპრიან კუჩერენკო და დიმიტრი ლაპშინი — ბატარეის პარტორგი და კომორგი. ქვემეხთან დგას ჯვუფეულის მეთაური წითელი ვარსკვლავისა და III ხარისხის დიდების ორდენების კავალერი სერჟანტი ივანე ტარასოვი... რაზე შეეძლო ეფიქრა ახლა ამ ადამიანს, რომელსაც ჰიტლერელებმა ძმა მოუკლეს?

ყველაფერი მზად არის სროლისათვის.

— წყეული ბერლინის სიმაგრეებისაკენ, ცეცხლი!

გაფრინდნენ მძიმე ჭურვები, სტვენით გაიკვეთა ჰაერი. ტრასა გაკვალულია!

დილით ჩემს სათვალთვალო პუნქტზე ავედი. იგი დიდ, ხუთსართულიან სახლში იყო მოთავსებული იოჰანისტალის აეროპორტის მახლობლად. კუთხის ოთახიდან კედელში ზადიანი გამონანგრევიდან მოჩანს ბერლინი, უფრო ზუსტად, მისი სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. მთელ ქალაქს თვალი ვერ წვდება, იგი გადაშლილია შპრეეს ორივე მხარეს რამდენიმე ათეულ კილომეტრზე. სახურავები, სახურავები უსასრულოდ, ჩანაქცევებიც ხშირი: ფუგასური ბომბების კვალი. შორს მოჩანს ქარხნის მილები, ეკლესიათა შპილები. უკვე შეფოთლილი პარკები და სკვერები შორიდან მწვანე ცეცხლის კერიებსა გვანან. ქუჩების გასწვრივ დილის ნისლი ჩამოწოლილა, ღამის საარტილერიო დარტყმის შემდეგ დარჩენილი მტვრის ბუღშერეული, ალაგ-ალაგ ნისლში მოჩანს ხშირი კვამლის შავი ზოლები. სადღაც ცენტრში კი ცად აწვდილიყო აფეთქებათა ყვითელი ბურძგლა ჯიღები: მძიმე ბომბდამშენებმა უკვე დაიწყეს მომავალი იერიშის მთავარი ობიექტების დამუშავება.

უცებ ფეხებქვეშ იატაკი შეირყა. ათასობით ქვემეხმა შტურმის დასაწყისი გვაუწყა.

ვიხედები კედელში განანგრევიდან: აგერ ტელტოვის, ჰაფელის, ტეგელის არხების, ქალაქის ცენტრის შემოვლითი რკინიგზის გასწვრივ ნაგები ქალაქის თავდაცვითი ზღუდეები; აქ ყოველი სახლი სიმაგრეა. იქ კი, სადაც ძველი ბერლინის კედლები აღმართულა, ნაცისტთა ყველაზე მძლავრი თავდაცვითი ზღუდე გადის. ლანდვერის არხი და შპრეეს მკვეთრი რკალი მაღალი დაბეტონებული ნაპირებით ფარად აქვს მთავრობის ყველა დაწესებულებას, მათ შორის იმპერიის კანცელარიასა და რაიხსტაგს.

სათვალთვალო პუნქტიდან ვხედავ რა მძლავრი ცეცხლი დაატყდა მტრის პოზიციებს. ინგრევა სახლები სათოფურებად ქცეული ფანჯრებით, ფეთქდება ხერგები და ბარიკადები, რომლებითაც ქუჩები გადაუღობიათ. უაზროდ იღუპება ათასობით გერმანელი, ვისაც ჰიტლერმა იარაღი მისცა და აიძულა გამანადგურებელი ცეცხლის ქვეშ დაღუპულიყო.

25 აპრილს მე-8 გვარდიულმა არმიამ სამხრეთიდან ბერლინის ცენტრს შეუტია. ჯარებმა მწყობრი იცვალეს საიერიშო ჯგუფებად და რაზმებად. ამ ქვეგანაყოფებში ჩაერთნენ ტანკები, ყველა კალიბრის ქვემეხები, დიდი სიმძლავრის ქვემეხების ჩათვლით, მესანგრეთა და ნაღმტყორცნელთა ქვეგანაყოფები. იმ საიერიშო ჯგუფებსა და რაზმებს, რომლებსაც წყლის ზღუდეები უნდა გადაელახათ, მიეცათ გადასასვლელი საშუალებანი. გვარდიელები თანდათანობით იპყრობდნენ ფაშისტთა დედაქალაქის ახალ და ახალ უბნებს.

შეტევა მიმდინარეობდა უწყვეტად, დღისით და ღამით, შესვენების გარეშე — სწორედ ესაა შტურმის დედაარსი. შპრეეს დასავლეთი ნაპირის გასწვრივ ტირგარტენისაკენ მივიწევდით. რუკას რომ დახედოთ, დაინახავთ, რომ არმიის შეტევის ზოლი თანდათან ვიწროვდება და ბერლინის ცენტრთან შუბის წვერს მოგაგონებთ. ყველა ჯარს, რომლებიც ბერლინის გარემოცვას ახორციელებდნენ და შტურმში მონაწილეობდნენ, კერძოდ: ბელორუსიის პირველი ფრონტის მე-2 გვარდიულ სატანკო, მე-3 და მე-5 დამკვრელ, მე-8 გვარდიულ არმიებს შეტევის

ასეთი კონუსური ზოლები ჰქონდათ: ისინი კონცენტრულ დარტყმას ახორციელებდნენ. მე-8 გვარდიული არმიის შეტევის ზოლში აგრეთვე უტევდნენ კატუკოვის პირველი გვარდიული სატანკო არმიის ნაწილები.

ახლა უკვე შემუშავებული გქონდა ქალაქის ბრძოლებში მსხვილი სატანკო ნაწილების გამოყენების ტაქტიკა. ტანკები ქალაქის ქუჩებში პირველად კოლონებით მოდიოდნენ. ეს მხოლოდ უარყოფით შედეგებს იძლეოდა. ქუჩების გასწვრივ გაჭიმული სატანკო კოლონები ქუჩებს ხერგავდნენ, ფაუსტპატრონებით დაზიანებულები ჩირაღდნებივით იწვოდნენ. თავში მიმავალ ტანკს ცეცხლი გაუჩნდებოდა და დანარჩენებს გზა აღარ ჰქონდათ: ისღა დარჩენოდათ, რომ გვერდი მიეშვირათ, ფაუსტპატრონებისათვის დამწვარიყვნენ... ამიტომ შეტევის პირველსავე დღეს ჩვენმა ტანკისტებმა საბრძოლო მწყობრი შეცვალეს. მჭიდრო ურთიერთმოქმედება დაამყარეს ქვეითებთან, არტილერისტებთან, მესანგრეებთან. შედეგად ჯავშნიანი მანქანების დანაკარგები მინიმუმამდე შემცირდა და გენერალ კატუკოვის სახელოვანმა გვარდიელებმა დიდებით მოსილი გზა ტირგარტენში, ბერლინის ცენტრში დაამთავრეს. ტანკისტები და ქვეითები ნამდვილმა საბრძოლო ძმობამ გააერთიანა.

ქალაქში ბრძოლა, განსაკუთრებით ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც ბერლინია, ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ველის პირობებში. მსხვილი შენაერთების შტაბებისა და მეთაურების გავლენა საბრძოლო მოქმედების მსვლელობაზე აქ მნიშვნელოვნად ნაკლებია. ამიტომ ძალზე ბევრია დამოკიდებული ქვეგანაყოფების უმცროსი მეთაურებისა და ყოველი რიგითი ჯარისკაცის ინიციატივაზე. ქალაქში ბრძოლა თავისი კანონებით ვითარდება, რაც ყოველთვის მხედველობაში უნდა გქონდეს.

ქალაქში ბრძოლა ცეცხლისმიერი, ახლო მანძილზე წარმოებული ბრძოლაა, სადაც მოკლე მანძილზე ისვრიან არა მარტო ავტომატები, არამედ მძლავრი საარტილერიო სისტემები და ტანკის ზარბაზნები — რამდენიმე ათეული მეტრის მანძილზე ისვრიან. მოწინააღმდეგე სარდაფებსა და შენობებში იმალები.

საკმარისია გამოჩნდე და მყისვე ატყდება სროლა, აფეთქდება ხელყუმბარები.

ქალაქში შეტევა ნახტომებით ხორციელდება, ერთი შენობიდან მეორემდე. მაგრამ ეს ხდება ფართო ფრონტზე, ყოველ ქუჩაზე.

იმათთვის, ვინც თავს იცავს, მთავარია ყველაზე უფრო გამძლე და თავდაცვისათვის მოწყობილი შენობებისა და კვარტალების შენარჩუნება. თითოეული ობიექტის დაკარგვა მთელი საყრდენი პუნქტისა ან პოზიციის დაკარგვას ნიშნავს.

ასეთ ბრძოლაში ჯარების მართვა, უმთავრესად აგებულია თითოეული ქვეგანაყოფის მეთაურისა და მეომრის ნიჭისა და უნარის ღრმა რწმენაზე, რომლებმაც იციან რა პოლკისა და დივიზიის საერთო ამოცანა, დამოუკიდებლად უნდა გადაჭრან ამოცანები. შენაერთებისა და ნაწილების შტაბები, მათი ოფიცრები უშუალოდ უახლოვდებიან საბრძოლო მოქმედების ობიექტებს, უზრუნველყოფენ კავშირს, უმთავრესად, რადიოთი, კოორდინაციას უწევენ საიერიშო რაზმების მოქმედებას, უზრუნველყოფენ სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას, გულმოდგინედ თვალყურს ადევნებენ საბრძოლო მასალებით, კვების პროდუქტებით მომარაგებას და აწესებენ სიგნალიზაციის ერთიან ნიშნებს დღისა და ღამისათვის. ქალაქში ბრძოლისას მეთაურებისა და შტაბების მთავარი ამოცანაა ჯარის ყველა სახეობის მჭიდრო ურთიერთმოქმედების უზრუნველყოფა ისეთ რგოლებში, როგორიცაა ოცეული, ასეული და ბატალიონი, რომლებისგანაც საიერიშო ჯგუფებსა და რაზმებს ჰქმნიან.

ამგვარად, საშუალო რგოლის მეთაურების როლს, რიგითი ჯარისკაცისა და სერჟანტის საბრძოლო ინიციატივას ქალაქში ბრძოლისას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ისინი წყვეტენ ტაქტიკურ ამოცანებს, რომლებიც ზოგჯერ ოპერატიულ ამოცანებად გადაიზრდება და რომელთა წარმატებით გადაჭრაზე მთლიანადაა დამოკიდებული მთელი ბრძოლის ბედი. სწორედ აქ, ქუჩაში ბრძოლისას წარმოისახება რიგითი მეომრის მთელი სიდიადე და ძალა არა მარტო მოწინააღმდეგის წინაშე, რომელიც უკან იხევს ან გაშარჯვებულს ტყვედ ბარდება, არამედ თავისი სარდლობის, ოფიცრებისა და გენერლების,

ყველა ხარისხის უფროსების, თვით არმიის სამხედრო საბჭოს წინაშე. იგი არა მარტო ტაქტიკური, არამედ ოპერატიული ჩანაფიქრის მთავარი შემსრულებელია. ბრძოლაში მისი ნიჭი და ნებისყოფა უდიდესი ყურადღებისა და უდიდესი ნდობის ღირსია.

შტურმის პირველ დღეს არმიის ჯარებმა ქალაქის ცენტრისაკენ სამი, ზოგიერთ უბანზე — ოთხი კილომეტრით წინ წაიწიეს. მარჯვენა ფლანგზე მოქმედი ნაწილები გავიდნენ ბრიცერ-ცვაიგის არხთან, რომელიც შპრეეს ტრეპტოვ-პარკთან ერთვის. მარცხენა ფლანგმა და მთავარი დარტყმის მიმართულებით მოქმედმა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქის რაიონები — ბრიცი, მარიენდორფი და წინსვლა განაგრძეს ტელტოვის არხის გასწვრივ.

თითქმის ყველა მიმართულებით წარმოებული ბრძოლები უაღრესად მძაფრი ხასიათისა იყო. სავსებით ნათელი გახდა, რომ მოწინააღმდეგე ქალაქს ხანგრძლივად და საფუძვლიანად ამზადებდა თავდაცვისათვის. ყოველ კვარტალში უამრავი 'ალცეცხლე წერტი და მეფაუსტეების ბუდე იყო, რომლებიც აივნებისა და ზედა სართულების ფანჯრებს იყენებდნენ ტანკებსა და შეჯგუფებულ ადამიანებზე ზემოდან დასარტყმელად.

ბერლინში მრავალი რკინიგზაა, ისინი ქალაქს სხვადასხვა მიმართულებით ჭკვეთენ და ძალზე მოხერხებულ თავდაცვით პოზიციებს წარმოადგენენ. სადგურების, ხიდების მისადგომები, გადასასვლელები გადაქცეული იყო მძლავრ საყრდენ პუნქტებად. არხები ის ზღუდეები იყო, სადაც მოწინააღმდეგე ჩვენი შეტევის ჩაფუშვას შეეცდებოდა.

ასეთ პირობებში მოქმედება რთულია.

უფროსი ლეიტენანტის ვასილი ჩერნიაევის საიერიშო რაზმებს 79-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის 220-ე გვარდიული პოლკიდან მოწინააღმდეგე უნდა გამოეძევებინა დიდი ქვის სახლიდან, რომელიც ალტ-მარკენისა და ტარკენდორფშტრასეს ქუჩების გადაკვეთაზე მდებარეობდა. ფაშისტებს ძალზე გაემაგრებინათ სახლი. სარდაფში მცირე კალიბრის ზარბაზანი დაედგათ და მეავტომატეები მოეთავსებინათ. მეორე სართულზე მსროლელები იყვნენ. და დაზგის ტყვიამფრქვევი იდგა. სახ-

ლის გარნიზონს მეზობელ სახლთან საცეცხლე კავშირი ჰქონდა.

ლეიტენანტმა ჩერნიაევმა დაზგის ტყვიამფრქვევის მეთაურს ნიკოლოზ ვლასენკოსა და ტანკსაწინააღმდეგო თოფების ორ ჯგუფეულს უბრძანა ფანჯრებისათვის ცეცხლი დაეშინათ. ამასთან ერთად სერჟანტ პეტრე ვასილევსკის 45-მილიმეტრიან ქვემეხს უნდა გაენადგურებინა მტრის ტყვიამფრქვევი, ხოლო შემდეგ ცეცხლი დაეშინა ახალ-ახალი საცეცხლე წერტებისათვის.

მეჯავშანგამტანებმა, მეტყვიამფრქვეველებმა და არტილერისტებმა სროლა დაიწყეს. ჰიტლერელები შენობის კედლებს ამოეფარნენ და დროებით შეასუსტეს ცეცხლი. ჩვენმა მეომრებმა ამით ისარგებლეს. სერჟანტ ივანე ტრუბაჩევის საიერიშო ჯგუფი სახლს სროლით პირველი მიუახლოვდა. მეომრებმა სარდაფის კარებსა და ფანჯრებში ხელყუმბარები ტყორცნეს, პირველ სართულზე შეიჭრნენ და მტრის ქვემეხის ჯგუფეული და მეავტომატეები გაანადგურეს. ტრუბაჩევის საიერიშო ჯგუფს მიყვნენ წარმატების განმტკიცების ჯგუფის მეომრები სერჟანტ თევდორე ნიკიტინის მეთაურობით. ვიდრე ერთ-ერთ ოთახში შეავიდოდა, ნიკიტინმა ფრთხილად შეაღო კარი და ხელყუმბარა ტყორცნა. რამდენიმე ჰიტლერელი დაიხოცა, გადარჩენილები კი უკუიქცნენ. გვარდიელები გზას იკვლევდნენ ხელყუმბარებისა და ავტომატების სროლით და ფაშისტები სხვა ოთახებიდანაც გამოაძევეს.

ამ დროს კი ლეიტენანტ მიხეილ ბელიავსკისა და უმცროს ლეიტენანტ ვიქტორ რომანოვის საიერიშო რაზმებმა ნალმტყორცნელებთან და არტილერისტებთან ურთიერთმოქმედებით მეორე კუთხის სახლი დაიკავეს.

ქუჩაში ბრძოლის შედეგი დამოკიდებულია მცირე საიერიშო ჯგუფების შეუპოვრობაზე, ინიციატივასა და უნარიან მოქმედებაზე. ხელყუმბარებით, ავტომატებით, შაშხანებით შეიარაღებული რამდენიმე მეომარი ტყვიამფრქვევებისა და ნალმტყორცნების მხარდაჭერით მოწინააღმდეგეზე მძაფრი იერიშით ყოველთვის მიაღწევს წარმატებას. მხოლოდ უნდა გახსოვდეს: წინსვლისას ერიდე სწორ ქუჩებზე მოძრაობას, ვა-

მოიყენე გამონანგრევები სახლებში, უკანა შესასვლელები, კუტიკარები, ეზოები და ქუჩაბანდები. მოწინააღმდეგე, როგორც წესი, ნაღმავს ცალკეულ შენობებს და მათ შორის არსებულ შუალედებს, ქუჩებში მარხავს ფუგასებს, სახლებში — ნაღმებსა და „სიურპრიზებს". მეომრებს ვასწავლიდით: ვიდრე წინ წახვალ, გულმოდგინედ დაზვერე, ყველაფერი გაიგე კარგად, ხოლო შემდეგ გულადად, ზუსტად იმოქმედე. ქვის ნაგებობები, რომლებსაც გერმანელები განსაკუთრებული შეუპოვრობით იცავენ, უხდა განადგურდეს ნაღმსატყორცნებისა და ქვემეხების ცეცხლით, სოლო მათი გარნიზონები მოისპოს ხელყუმბარებით.

თუ ქვეგანაყოფი კვარტალს უტევს, საჭიროა მისი ნაწილებად დაყოფა, მოწინააღმდეგის გარნიზონების ერთიმეორისაგან იზოლირება. სახლსა ან კვარტალზე იერიშის მიტანა უნდა ხდებოდეს ერთდროულად რამდენიმე მხრიდან. დასახმარებლად მიმაგრებულმა ტანკებმა და თვითმავალმა ქვემეხებმა პირდაპირი დამიზნებით პირველ რიგში უნდა გაანადგურონ ის საცეცხლე წერტები, რომლებიც საიერიშო ჯგუფების წინსვლას აბრკოლებენ.

ქალაქების შტურმი ჩვენი არმიის გვარდიელებისათვის ახალი საქმე არ იყო. შეძენილი გამოცდილების გამოყენებით ისინი გაბედულად და მტკიცედ მიიწევდნენ წინ.

ტემპელჰოფის აეროდრომისაკენ მიმავალ გზაზე ტელტოვის არხი უნდა გადაგველახა. არხის ნაპირზე პირველი გაიკრა 39-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის საიერიშო რაზმი ლეიტენანტ დიმიტრი ნესტერენკოს მეთაურობით. ხანძრების კვამლმა ისე დაბურა სანაპიროს ნაგებობანი, რომ ძნელად გაარჩევდი გაღმა ნაპირს. მაშასადამე, გაღმა ნაპირზე მყოფი მოწინააღმდეგეც ვერ ხედავს ჩვენს ნაპირს — გადაწყვიტა ნესტერენკომ. ლეიტენანტმა უბრძანა პირველ საიერიშო ჯგუფს, გადაელახა არხი და გაღმა ნაპირზე დაეპყრო მრავალსართულიანი სახლი. არხზე გადებული ხიდი აეფეთქებინათ და წყალში იყო ჩაწოლილი. მაგრამ გადარჩენილ წამწეებზე მაინც შეიძლებოდა გავლა, ფაშისტ მეტყვეიამფრქვევებისა და სნაიპერების ძლიერი ცეცხლი რომ არ ყოფილიყო.

მაშინ ნესტერენკომ არტილერისტებს უბრძანა, სახლებისაკენ ცეცხლი დაეშინათ. ზუსტად ნატყორცნმა ჭურვებმა ფაშისტთა საცეცხლე წერტილებს ხმა გააკმენდინა და საიერიშო ჯგუფმა უფროსი სერჟანტის ანდრია ანისიეევის მეთაურობით ხიდი გადალახა. ჯგუფის მეთაური პირველი მიიჭრა სახლთან და ხელყუმბარა ტყორცნა ფანჯარაში, საიდანაც ფაშისტთა მეტყვიამფრქვევე ისროდა. ტყვიამფრქვევი დადუმდა. ანისიეევმა ფანჯარაში კიდევ ორი ხელყუმბარა შეაგდო, სახლში შეიჭრა და ჰიტლერელებისაგან სამი ოთახი გაანთავისუფლა.

გვარდიელთა იერიში მძაფრი იყო, ისინი მარჯვედ მოქმედებდნენ. ყოველ ოთახს, ყოველ დერეფანს მეავტომატეები ჯერ ცეცხლით ცხრილავდნენ, მხოლოდ შემდეგ მიიწევდნენ წინ. ფაშისტებმა ასეთ მძაფრ დარტყმას ვერ გაუძლეს და გაიქცნენ. განმტკიცების ჯგუფმა მათ ძლიერი ცეცხლი დაუშინა. ამ ცეცხლის საფარქვეშ ანისეევის მეომრები მეზობელ შენობაში შეიჭრნენ და დაიკავეს იგი.

აი, კიდევ ერთი ფურცელი მე-8 გვარდიული არმიის მეომართა გმირობის ისტორიაში, ფურცელი, რომელიც ჩაწერა მეკავშირე ზემდეგმა ალექსი ბურმაშევმა. ალექსი ბურმაშევს კარგად ვიცნობდი, დნეპრზე, ვისლასა და ოდერზე შევხვედრივარ მას. მხარბეჭიანი, ღაწვმაღალი ციმბირელი იყო. სწორედ მან უთხრა შპრეესთან ამხანაგებს, მდინარის მღვრიე, ცივ წყალს რომ ჩასცქეროდა:

— ასეთი გვინახავს?.. ამასაც დავძლევთ, რასაკვირველია.

ნაპირთან, მისადგომთან ტალღებზე ირწეოდნენ ნავები, რომელთა განადგურება უკან დახევისას გერმანელებს ვერ მოესწროთ. გვარდიის ზემდეგის ბურმაშევის მეკავშირეთა ოცეულმა ეს ნავები გამოიყენა.

მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. ჭურვები და ნაღმები წყალში ეცემოდნენ და ქაფიან სვეტებს წარმოქმნიდნენ. ნამსხვრევები შიშინით ვარდებოდა წყალში. მეთევზის პატარა ნავი, რომლითაც გვარდიის ზემდეგი ბურმაშევი და ტელეფონისტი კოშელევი მიცურავდნენ, გეგონებოდათ სადაცაა გადაბრუნდებაო. მაგრამ მან ცეცხლს თავი დააღწია და ნაპირს მძიმედ მიეჯახა. ბურმაშევი და კოშელევი, შაშხანებითა და

კოკებით ხელში, ნაპირზე გადახტნენ და უმალვე სადენის გაყვანას შეუდგნენ. გერმანელებმა ტელეფონისტები შენიშნეს და საარტილერიო ცეცხლი დაუშინეს. კოშელევი მოკლეს. ბურმაშევი ხან ხოხვით, ხან სირბილით მოწინააღმდეგის მძვინვარე ცეცხლის ქვეშ კაბელს მიათრევდა. მალე საკომანდო პუნქტზე მისი ხმა გაისმა:

— „არწივო", „არწივო", მისმენთ? მე ვარ — „ცირცველი"...

შემდეგ კი პოლკმა ბერლინში შეაბიჯა. მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლა ტემპელჰოფის ცენტრალური აეროპორტისათვის. გვარდიის ზემდეგ ბურმაშევს ხედავდნენ სატელეგრაფო ბოძებზე, ალმოდებული სახლების სახურავებზე, ბნელ, ნესტიან სარდაფებში. თავის მეომრებთან ერთად იგი ოპერატიულად უზრუნველყოფდა ქვეგანაყოფებს კავშირგაბმულობით. უდიდესი ნებისყოფა და სიმამაცე უნდა ჰქონდეს კაცს, ნამსხვრეევების გრიგალში ბოძის კენწეროზე რომ აძვრეს და იქ სადენები შეაერთოს! კაბელის კოკით ბურმაშევი ქუჩაში მირბოდა. მას ყოველი მხრიდან ესროდნენ გერმანელი მეტყვიამფრქვევეები და ნაღმტყორცნელები.

ათი მეტრიღა დარჩა შენობამდე, სადაც ჩვენი მოიერიშე ჯგუფები იბრძოდნენ. აქ გვარდიელს მკერდში ნამსხვრევი მოხვდა. ბურმაშევმა ჭრილობაზე ხელი მიიფარა, შენობასთან მიიჭრა და დაიძახა:

— მიიღეთ კავშირი! — და ქვაფენილზე დაეცა.

ეს იყო უკანასკნელი მეტრები სატელეფონო კავშირის იმ ათასობით კილომეტრიდან, რაც ბურმაშევმა ომის წლებში გაბა. ეს უკანასკნელი ძაფი გერმანიის დედაქალაქის ქუჩებში გაწვა. ამ სადენით მალე გადაიცა სასიხარულო ცნობა: „აეროდრომი გარემოცულია ყოველი მხრიდან!"

უნდა აღინიშნოს, რომ ტემპელჰოფის აეროპორტის აღებას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერლინისათვის მთელს ბრძოლაში. ბერლინში ეს იყო ბოლო მოედანი, საიდანაც თვითმფრინავებს შეეძლოთ აფრენა. და, რასაკვირველია, მოწინააღმდეგე ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ შეენარჩუნებინა ეს ერთადერთი ფანჯარა ჰაერში. აეროდრომს იცავდნენ

საზენიტო ნაწილები, ესესის ჯარის რაზმები და ტანკები, რომლებიც რკალად იყენენ განლაგებული ასაფრენი მინდვრის კიდეების გასწვრივ სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან. ტანკების უმრავლესობა მიწაში ჩაეფლოთ და უძრავ საცეცხლე წერტეებად გადაექციათ. როგორც ჩანს, ბერლინის გარნიზონის ტანკები საწვავი მარაგის გარეშე დარჩა: მთელი ბენზინი, როგორც დატყვევებულმა ტანკისტებმა თქვეს, მფრინავებს წაეღოთ თავიანთი თვითმფრინავებისათვის.

ტყვეების ცნობით, მიწისქვეშა ანგარებში იდგნენ საწვავით გამართული, ყოველ წუთს ასაფრენად გაეზადებული თვითმფრინავები. მათ მახლობლად დღედაღამ მორიგეობდნენ ეკიპაჟები, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ მფრინავები და შტურმანები, ვისაც წარსულში გერმანიის სხვადასხვა მხარეს ჰიტლერის, გებელსის, ბორმანისა და მესამე რაიხის სხვა მეთაურების ჰაერით გადაყვანას ანდობდნენ. აქედან იმ დასკვნის გამოტანა შეიძლებოდა, რომ ჰიტლერი და მისი თანამოაზრეები, ჯერ კიდევ ბერლინში იმყოფებოდნენ. არ შეიძლებოდა იმის დაშვება, რომ იგი ამ ერთადერთი ფანჯრიდან გაპარულიყო! 39-ე და 79-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიების პოლკების წინაშე დასახულ იქნა ამოცანა — ალყა შემოერტყათ აეროდრომისათვის. არტილერისტებს უბრძანეს, ცეცხლის ქვეშ მოექციათ ასაფრენი მოედნები. ჩვენ არ ვიცოდით მიწისქვეშა ანგარების კარების ზუსტი კოორდინატები, ამიტომ ტანკებით გაძლიერებული საიერიშო ჯგუფები გამიზნული იყვნენ საიმისოდ, რომ ტყვიამფრქვევების ცეცხლით გადაეკრათ გზა ასაფრენი ზოლებისაკენ და, ამგვარად დაეხშოთ თვითმფრინავები მიწის ქვეშ.

ჩანაფიქრი შესანიშნავად განხორციელდა. 25 აპრილის საღამოს მერე აქედან არც ერთი თვითმფრინავი არ აფრენილა. 26 აპრილს, შუადღისათვის აეროდრომი და მთელი ტემპელჰოფის აეროპორტი ანგარებითა და კავშირგაბმულობის კვანძებით, მთავარი შენობის „ფლიუგჰაფენის“ ჩათვლით, ჩვენს ხელთ იყო.

ამ სასიხარულო ცნობასთან ერთად სამწუხარო ამბავიც გავიგეთ: დაიღუპა 39-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის

117-ე გვარდიული მსროლელთა პოლკის მეთაური ექვთიმე დიმიტრის ძე გრიცენკო, ჭკვიანი, ნებისყოფიანი და შესაშურად გულადი ადამიანი. ახლაც თვალწინ მიდგას იგი — ჩუმი, მხარბეჭიანი, ტანადი, ნათელთვალებიანი. იგი დაიღუპა 26 აპრილს, ღამით, მე კი მხოლოდ მეორე დღეს მაცნობეს. როგორც ჩანს, ამხანაგებს არ სჯეროდათ, არ სურდათ დაეჯერებინათ, რომ ექვთიმე დიმიტრის ძე დაიღუპა. არც მე მინდოდა ამის დაჯერება...

ჩემთან შემოვიდა მედიცინის და 117-ე პოლკიდან ტატიანა გუბორევა. ხელში ეჭირა ტყვიებით დაცხრილული კონვერტი ექვთიმე დიმიტრის ძის საბუთებით, რომლებსაც მკერდის მარცხენა ჯიბეში ატარებდა... რა ვაჟკაცი დავკარგეთ!..

მშვიდობით, მებრძოლო ამხანაგო! შენ მარად იცოცხლებ ჩვენს ხსოვნაში. შენი პოლკის გვარდიელები განაგრძობენ წინსვლას. იქ, ბერლინის ცენტრში, ავაგებთ შეტევის გმირთა ძეგლს და მის გრანიტზე სხვა სახელებთან ერთად შენი სახელიც იქნება ამოკვეთილი.

როდესაც ჟურნალ „მოლოდაია გვარდიაში“ ჩემი მოგონებები გამოქვეყნდა, ე. დ. გრიცენკოს მეუღლის — იულია მაკარის ასულის წერილი მივიღე. იგი მასწავლებლად მუშაობს ნოვოსიბირსკის ოლქის მასლიანინოს მუშათა დასახლების საშუალო სკოლაში. იულია მაკარის ასული იწერება, რომ თანამემამულეები მზრუნველობით ინახავენ თავიანთი გმირის ხსოვნას.

...შტურმის მესამე დღე იყო. გარემოცული ბერლინის გარნიზონის საზღვრები იკუმშებოდა, მაგრამ მტრის წინააღმდეგობა იზრდებოდა. ჩვენი საბრძოლო მწყობრი უფრო შემჭიდროვდა. ცეცხლის მანევრი მაქსიმალურად შემცირდა. ყველაფერი ქუჩის ვიწროებში მოექცა. დადგა ისეთი მომენტი, როცა ჩვენი წინსვლა მაღაროს გვირაბგამყვანთა მუშაობას დაემსგავსა. მხოლოდ სქელი ქვის კედლების გამონანგრევების, ნანგრევთა გროვების, დაგლეჯილარმატურიანი რკინა-ბეტონის ლოდების გროვის გავლით შეიძლებოდა ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაში, ერთი უბნიდან მეორეში გაღწევა. ჰიტლერელები გრძნობდნენ მათი აღსასრულის მოახლოებას და ანგრევდნენ

ქალაქის ნაგებობებს, ანგარიშს არ უწევდნენ იმას, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპებოდა.

განსაკუთრებით სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს ესესის რაზმებმა კურფიურსტენშტრასეზე, კირხისწინა მოედანზე. ისტორიკოსებო, დაიმახსოვრეთ ეს მოედანი! იგი ახლა დასავლეთ ბერლინშია.

25 აპრილიდან, ბერლინის შტურმის დაწყების შემდეგ, ფრონტის შტაბი თავის დირექტივებში მხოლოდ არმიების საზღვრებს ცვლიდა და ეს სწორი იყო. ქალაქში ბრძოლის მსვლელობაზე ზეგავლენის მოხდენა ბრძანებით შეუძლებელია. არმიის შტაბი მხოლოდ არეგულირებდა საზღვრებს კორპუსებს შორის და ამოცანებს ზღუდეების მიხედვით სახავდა. აი, რა იყო ნათქვამი არმიის 1945 წლის 27 აპრილის ბრძანებაში:

„1. ღამის განმავლობაში შეტევა არ შეწყვიტოთ, იმოქმედეთ ცალკეული საიერიშო რაზმებით. ძირითადი ძალები დაასვენეთ, წინ წაწიეთ არტილერია, ტანკები, საბრძოლო მასალა.

2. 1945 წ. 27 აპრილს დილიდან განაგრძეთ შეტევა ძირითადი ძალებით.

ამოცანები:

მე-4 გვარდიულმა მსროლელთა კორპუსმა წაიწიოს მიმართულებით: კაიზერ-ფრიდრიხპლაცი (ობიექტი 40), ბლიუხერ-შტრასეს ქუჩა და დღის ბოლოსათვის მიადგეს ლანდვერის არხს კუნძულ ლოდე-ინზელის უბანზე, ანჰალტის ვაგზლის (ობიექტი 5) სამხრეთით განლაგებული საავტომობილო ხიდის გამოკლებით.

მიჯნის ხაზი მარჯვნიდან — ლანდვერის არხი; მარცხნიდან— საპატიმრო, ობიექტი 43, საავტომობილო ხიდი მე-5 ობიექტის სამხრეთით.

29-ე გვარდიულმა მსროლელთა კორპუსმა გზა განაგრძოს საერთო მიმართულებით: ტემპელჰოფის აეროპორტის მთავარი შესასვლელი, რკინიგზის კვანძი (ობიექტი 154 და 2) და დღის ბოლოსათვის გავიდეს ზღუდეზე: ფლოტველშტრასეს ქუჩა, რკინიგზის სადგური მათეს სასაფლაოს ჩრდილოეთით, სადგური კოლონენშტრასე.

მიჯნის ხაზი მარცხნიდან სადგური ტემპელჰოფი — სასაფლაო 38-ე ობიექტის ჩრდილოეთით.

28-ე გვარდიულმა მსროლელთა კორპუსმა დღის განმავლობაში მოწინააღმდეგისაგან გაწმინდოს რაიონი ტელტოვის არხს, სადგურ პრისტერვენგსა და სადგურ პანენშტრასეს შორის, სასაფლაო 38-ე ობიექტის ჩრდილოეთით, სადგური ტემპელჰოფი.

მიჯნის ხაზი მარცხნიდან — რკინიგზის სადგური მარიენდორფი რკინიგზების გზაჯვარედინამდე სადგურ პანენშტრასესთან.

კორპუსების ძირითადი ძალების შეტევის დასაწყისი 1945 წლის 27 აპრილს, 8 საათსა და 00 წუთზე".

1945 წლის 27 აპრილს, ღამით საიერიშო ჯგუფმა 34-ე ცალკე მძიმე სატანკო პოლკის ტანკებთან ერთად გაბედული იერიშით გადალახა რკინიგზის ორი ხაზი, რომლებიც ქალაქის სამხრეთ ნაწილს ჰკვეთდნენ. კირხის წინ მოედანზე ჩვენი ტანკი ნაღმს წააწყდა და უმუხლუხოდ დარჩა.

როცა დაინახეს, რომ საბჭოთა ტანკი გაჩერდა, ესესელებმა უკან დასახევი გზა მოუჭრეს მანქანის ეკიპაჟსა და მეავტომატეებს, რომლებიც ტანკისტებთან ურთიერთმოქმედებდნენ.

ესესელი დაახლოებით ასი იყო, ჩვენები — მხოლოდ თორმეტი კაცი. უთანასწორო ბრძოლა გაიმართა. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული გმირობა და მხედრული ოსტატობა გამოაჩინა მექანიკოს-მძღოლმა გვარდიის სერჟანტმა გერმანე პეტრეს ძე შაშკოვმა, ვოლგისპირელმა, წარმოშობით გორკის ოლქიდან. როცა ტანკში ქვემეხის დამტენი დაიღუპა, იგი შაშკოვმა შეცვალა. ცოტა ხნის შემდეგ ქვემეხის მეთაური მოკლეს, მაგრამ ტანკი კვლავ განაგრძობდა ცეცხლის დაშენას. ახლა შაშკოვი ცვლიდა ქვემეხის დამტენსაც და მეთაურსაც. ფაუსტპატრონის აფეთქებამ მანქანის მეთაური მოკლა. შაშკოვი მარტო დარჩა. იგი ბერკეტებს მიუჯდა და ტანკი თავისი ღერძის გარშემო შემოაბრუნა. ფაუსტპატრონის ახალი აფეთქება. ძრავის განყოფილებას ცეცხლი გაუჩნდა. შაშკოვმა უკუსვლის სიჩქარე ჩართო და ტანკის კიჩოთი ნახევრად დანგრეულ კედელში შეიჭრა. კედელი ჩამოინგრა და ცეცხლი ჩაქრა.

შაშკოვი ქვემეხიდან ტყვიამფრქვევზე გადადიოდა და ჰიტლერელებს ცეცხლს უშენდა. მაგრამ, აი, ჭურვები და ტყვიები გამოელია. ხელყუმბარებიღა დარჩა. გვარდიელს მანქანა ენანებოდა, არ უნდოდა მტრისათვის ჩაეგდო ხელში. ხელყუმბარას ხელყუმბარაზე ტყორცნიდა ხან კოშკიდან, ხან მექანიკოსმძღოლის სარკმლიდან. მაგრამ ხელყუმბარებიც გამოელია. შაშკოვი მკერდში მეორედ დაიჭრა. ჰიტლერელებმა ჯავშანზე კაკუნი დაიწყეს და შაშკოვს დანებება შესთავაზეს. მაგრამ გვარდიელები არ ნებდებიან! გერმანე შაშკოვი ტანკში დარჩა.

როცა ამხანაგებმა მიუსწრეს, ტანკის გარშემო ოცდაათზე მეტი გერმანელი მეავტომატე და გესტაპოს ფორმიანი მეფაუსტე ეყარა. თვით შაშკოვი ნახევრად დამწვარი და მძიმედ დაჭრილი, ტანკის ფსკერზე იწვა და ხელში დანა ეჭირა. მას ჯერ კიდევ ძალა შესწევდა, რომ ამხანაგებისათვის მოეთხრო იქ მომხდარი ამბავი. სიკვდილის წინ გმირმა წარმოთქვა:

— გმადლობთ, ამხანაგებო, რომ ჩემი სხეული ფაშისტებს არ ჩაუგდეთ ხელთ...

2

28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაურმა გენერალმა ა. ი. რიეოვმა მომახსენა, რომ „ჰაინრიხ ფონ კლაისტის“ პარკის მიღმა, მძლავრ საყრდენ პუნქტად გადაქცეულ კუთხის შენობაში დარჩა მოწინააღმდეგის გარემოცული გარნიზონი, რომელიც განაგრძობს ცეცხლის დაშენას მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებიდან. როგორც ჩანს, იქ ჩასაფრდნენ სასიკვდილოდ განწირულები. ისინი ცეცხლს უშენენ სანიტრებს, დაჭრილებს, ქალებსა და ბავშვებს, ვინც ქუჩის გადარბენას ცდილობს. ესვრიან ყველას, ვინც კი ტყვიამფრქვევის სამიზნეში მოხვდება, ესვრიან გრძელი ჯერით, განურჩევლად... როგორ უნდა მოექცე მათ?

აქამდე დიდხანს ვყოყმანობდი: ამომექმედებინა თუ არა არმიაში არსებული ცეცხლმტყორცნელთა რაზმები და მათ რეზერვში ვინახავდი. მაგრამ ახლა გადაწყვეტილება მომწიფდა. განკარგულება გავეცი წინა ხაზზე წამოეწიათ საზურგე

ცეცხლმტყორცნელთა რაზმი მესანგრეთა 41-ე ცალკე ბრიგადიდან.

ცეცხლმტყორცნელები მიუახლოვდნენ კუთხის სახლს და ცეცხლის ჭაელი მიაფრქვიეს საყრდენი პუნქტის სათოფურებსა და სარდაფის ფანჯრებს. ახლა კი უნდა შეეწყვიტა მტერს წინააღმდეგობა და დაგვნებებოდა. მაგრამ მალე ტყვიამფრქვევები ისევ აკაკანდა. ესე იგი საჭირო იყო ამ ბუდეში შეჭრა და ფაშისტების ადგილზეევ განადგურება. ასეთი გადაწყვეტილება საკუთარი ინიციატივით მიიღო რიგითმა ცეცხლმტყორცნელმა ნიკოლოზ ივანეს ძე პოპოვმა — მამაცმა ციმბირელმა ჩიტის ოლქის სოფელ არგუნიდან. ხელყუმბარების შეკვრა კარს სტყორცნა, გაანგრია და პირველ სართულში შეიჭრა. დერეფნების გასწვრივ ჩასაფრებულმა ნაცისტებმა — ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა — ერთი გასროლაც კი ვერ მოასწრეს: პოპოვმა თავისი ცეცხლსატყორცნიდან ცეცხლი დაუშინა. მაგრამ მტრის მთავარ ძალებს თავი სარდაფში შეეფარებინათ. პოპოვმა იქ რამდენიმე ხელყუმბარა შეაგდო, კიბეს გადაევლო და ფაშისტთა შუაგულში აღმოჩნდა. ოცდაათამდე იყვნენო, მოგვითხრო შემდეგ პოპოვმა.

— ხელები მაღლა! — იყვირა მან.

პასუხად — ავტომატების ჯერი. იგი იძულებული გახდა ტიხარს მიღმა დამალულიყო და იქიდან მიეფრქვია ცეცხლი.

მალე ცეცხლი მთელ სახლს მოედო. გადარჩენილი ნაცისტები გაქცევას ლამობდნენ, მაგრამ ქუჩაში ჩვენი მებრძოლები ელოდნენ.

აი, რას ნიშნავს მებრძოლის ინიციატივა და მარჯვე მოქმედება. ამ ბრძოლის ბედი არსებითად ერთმა კაცმა გადაწყვიტა. არ შეიძლება აქ კიდევ ერთხელ არ აღინიშნოს, რომ ქუჩის ბრძოლაში მთავარია ჯარისკაცის საბრიანობა და ოსტატობა!

როცა მოწინააღმდეგე მტკიცე ქვის კედლებიან სახლებში ზის, ქვეითები მარტონი ვერაფერს გახდებიან. აქ საჭიროა იარაღის ყველა სახეობის მეომართა ურთიერთმოქმედება. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეითებს ყოველთვის ეხმარებოდნენ არტილერისტები. ქუჩის ბრძოლების გამოცდილება გვიჩვე-

ნებს, რომ ყოველ საიერიშო ჯგუფს უნდა ეხმარებოდეს არანაკლებ ორი-სამი ქვემეხისა, ქვეითების მძიმე იარაღის ჩაუთვლელად.

რა ამოცანები ეკისრება ამ დროს არტილერისტებს?

ქვემეხები მომკვეთი ცეცხლით ფლანგებსა და სიღრმეში შემოქობავენ საიერიშო ობიექტს, მოსწყვეტენ მეზობლებს, რითაც გარედან მხარდაჭერის შესაძლებლობას უსპობენ. იმავდროულად არტილერისტები ანადგურებენ გამომჭღავნებულ საცეცხლე წერტებს და ჭოწინააღმდეგის კონტრშეტეეებს აღკვეცენ.

ქუჩის ბრძოლაში ქვემეხიდან სროლის ყველაზე შორი მანძილი 300-400 მეტრია. ეს ქვემეხის ჯგუფეულს ავალებს იმოქმედოს ზუსტად და შეთანხმებულად, მოულოდნელად დაუშინოს ცეცხლი და მიზანი მოსპოს ერთი-ორი ჭურვით, წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი უცილოდ მწყობრიდან გამოიყვანს ქვემეხს.

უფროსი სერჟანტის თეოდორე ჩერპაჩენკოს ქვემეხის ჯგუფეულს ამოცანად დაუსახეს დახმარებოდა ქვეითებს, რომლებიც დიდ შენობას უტევდნენ. სერჟანტმა მიზნები დაზვერა. სახლში, რომელზეც იერიში უნდა მიეტანათ, მეორე სართულზე ტყვიამფრქვევი იდგა, სარდაფებში მეავტომატეები და ყუმბარმტყორცნელები ისხდნენ. უფროსმა სერჟანტმა პოზიცია აირჩია იმ სახლის ეზოში, რომელიც საიერიშო შენობიდან სულ რაღაც ას მეტრში იდგა, ეზოს კედელში გასასვლელი გააკეთეს, პოზიციაზე საკმაო რაოდენობის საბრძოლო მასალა მიიტანეს. ჩერპაჩენკო წინასწარ მოელაპარაკა საიერიშო ჯგუფის მეთაურს ცეცხლის დაშენის დაწყების სიგნალების შესახებ, ცეცხლის გადატანის, მიზნების ჩვენების ხერხის შესახებ.

არჩეულ პოზიციაზე ქვემეხი ღამით გამოაგორეს. როგორც კი გათენდა, ცეცხლი დაუშინეს. ტყვიამფრქვევი ორი ჭურვით მოსპეს. ცეცხლი უმალვე სარდაფის ფანჯრებზე გადაიტანეს. საარტილერიო ცეცხლის, მიმაგრებული ნაღმსატყორცნებისა და ტყვიამფრქვევების დახმარებით ქვეითები იერიშზე გადავიდნენ, შენობაში შეიჭრნენ და იქ ბრძოლა გააჩაღეს. არტილერისტებმა კი ცეცხლი მეზობელ სახლზე გადაიტანეს, რითაც

მოწინააღმდეგეს გარემოცული გარნიზონის დახმარების შესაძ-ლებლობა მოუსპეს.

ჩერპაჩენკოს ჯგუფეულს მრავალჯერ მოუხდა ღია პოზი-ციებიდან სროლა პირდაპირი დამიზნებით, ასეთ შემთხვევებ-ში ჩერპაჩენკო ქვემეხისა და ჭურვების ადგილზე მიტანას ყო-ველთვის სიბნელეში ცდილობდა. სროლის დაწყებამდე ზარბა-ზანთან რჩებოდა ორი კაცი, რომლებიც უფრო ადვილად აფა-რებდნენ თავს ქვემეხის ფარს. დანარჩენები უახლოეს სახლში მიდიოდნენ და მოწინააღმდეგეს იქიდან უთვალთვალებდნენ. იმ შემთხვევაში, თუ მტერი ქვემეხს ცეცხლს დაუშენდა, იგი ვერ შეძლებდა მთელი ჯგუფეულის მწყობრიდან გამოყვანას. აქვე შევნიშნავთ, რომ ქვემეხის მომსახურება ორი კაცით ჯა-რისკაცებისაგან მოითხოვს დიდ ოსტატობას, ჯგუფეულის ყვე-ლა მებრძოლის მოვალეობათა ცოდნას.

ქუჩის ბრძოლაში მოწინააღმდეგე ყოველთვის ახლოა. ამი-ტომ ქვემეხის მეთაური არ უნდა ელოდებოდეს როდის უჩვე-ნებენ ქვეითები სროლის მიმართულებას, უფროსი სერჟანტი ჩერპაჩენკო თვითონ ეძებდა ქვეითებისათვის ხელშემშლელ სამიზნებს და ანადგურებდა მათ. თავის მხრივ ქვეითები დროუ-ლად აფრთხილებდნენ არტილერისტებს მტრის ტანკებისა და თვითმფრინავების გამოჩენის შესახებ, ტყვიამფრქვევების, ავ-ტომატებისა და ფაუსტპატრონების ადგილმდებარეობის შესა-ხებ.

ქალაქში ხშირად საჭირო ხდება ქვემეხის მიგორება სახლ-თან და ფანჯრებიდან სროლა. ამ შემთხვევაში ერთი ჯგუფეული ქვემეხს ვერ ერევა. მათ ქვეითები ეხმარებიან.

ქალაქის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ქვეითების, არტილერისტების, მესანგრეების, მეკავშირეებისა და მზვერავების საბრძოლო მეგობრობას, ურთიერთდახმარე-ბას. ვერსად ვერ ნახავთ ისეთ დაახლოებასა და მუდმივ ურ-თიერთმოქმედებას ჯარის სხვადასხვა სახეობის მებრძოლებს შორის, როგორც ქალაქის შტურმის დროს. აქ ისინი მართლაც ერთმანეთის მხარდამხარ მოქმედებენ. ამიტომ საიერიშო რაზ-მის ან ჯგუფის მეთაური ტაქტიკური ურთიერთმოქმედების მთავარი ორგანიზატორის როლში გამოდის ყოველთვის. მის

უნარზე — აღიქვას ბრძოლის მსვლელობა, სწრაფად და სწორად მიიღოს გადაწყვეტილება — დამოკიდებულია ჯარის ყველა სახეობის მებრძოლთა წარმატება და, აქედან გამომდინარე, მთლიანად საბრძოლო ამოცანის გადაწყვეტა.

ჩვენს ერთ-ერთ საიერიშო ჯგუფს უბრძანეს ხელთ ეგდო ძალზე გამაგრებული ქვის სახლი პოტსდამერშტრასეზე. მზვერავებმა დაადგინეს, რომ მოწინააღმდეგემ ამ შენობის თავდაცვა შემდეგნაირად მოაწყო: მეორე სართულზე დაყენებული იყო ორი ტყვიამფრქვევი, რომლებიც ქუჩას ხშირ ცეცხლს უშენდნენ; სარდაფში იდგა მცირე კალიბრის ზარბაზანი (აქ მოწყობილი იყო ორი ამბრაზურა, რაც საშუალებას იძლეოდა ცეცხლი დაეშინათ ორივე ქუჩისათვის, რომლებზეც ეს კუთხის სახლი გამოდიოდა); ყველა მეზობელ სახლში ჩასაფრებული გერმანელი მეტყვიამფრქვეველები და მეავტომატეები შენობის მისადგომებს ცეცხლს გამუდმებით უშენდნენ.

ჩვენი საიერიშო ჯგუფის შემადგენლობაში ქვეითების, მეტყვიამფრქვეველების, მესანგრეების გარდა იყო ზარბაზნები, ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. როცა გვარდიელებმა საწყისი პოზიციები დაიკავეს და ნახტომისათვის მოემზადნენ, ტანკმა და თვითმავალმა ქვემეხმა ცეცხლი დაუშინეს სარდაფის ამბრაზურებსა და მეორე სართულს — ტყვიამფრქვევებსა და ზარბაზნებს. ტანკისტები და მექვემეხეები კუთხიდან ისროდნენ, გაისროდნენ ორ-სამჯერ და საფარს უბრუნდებოდნენ. მიზანში მოხვედრილმა რამდენიმე ჭურვმა თავისი საქმე გააკეთა. გერმანელებმა სროლა შეანელეს. ამ დროს კი გვარდიელები ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლის საფარქვეშ წინ გაიჭრნენ. სანამ ამ შენობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა, ტანკი, თვითმავალი ქვემეხი და ზარბაზანი ცეცხლს მეზობელ სახლებს უშენდნენ, რითაც მოწინააღმდეგეს ხელს უშლიდნენ დახმარებოდა გარნიზონს, რომელსაც ჩვენები უტევდნენ.

განსაკუთრებით უნდა ითქვას დაზვერვაზე. იგი წინ უძღოდა ყოველ შეტევას, ყოველ შტურმს. აწარმოებდე მუდმივ დაზვერვას ნიშნავს — იცოდე მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარეები, და, მაშასადამე, აუცილებლად დაარტყა მას. მზვერავებს სჭირდებათ განსაკუთრებული სიმამაცე, ინიციატივა, საზრიანობა.

ბერლინში ბრძოლების დროს კარგად მოქმედებდა მზვერავთა ჯგუფი უფროსი ლეიტენანტის ვიქტორ ლისიცინის მეთაურობით. ლისიცინის მზვერავები არაერთხელ შეპარულან მტრის განლაგებაში, შეუღწევიათ ყველაზე სახიფათო ადგილებში, შეუსწავლიათ მოწინააღმდეგის სიმაგრეები და ძალები. ისინი მოხერხებულად და მარჯვედ მოქმედებდნენ.

ბერლინში ბევრი უბანი და სახლი სარდაფებიდან გადასასელელებით არის დაკავშირებული. ეს გადასასელელები მზვერავებმა მარჯვედ გამოიყენეს. გვირაბით მიმავალ მებრძოლთა ნაწილს წინ ელექტროფარნიანი ერთი-ორი მებრძოლი მიუძღოდა. ძალიან ხშირად, შუქს რომ დაინახავდნენ, ფაშისტები მზვერავებს თავისიანებად მიიჩნევდნენ. ამით სარგებლობდნენ ჩვენი მზვერავები. ან სპობდნენ ჰიტლერელებს ან ატყვევებდნენ.

ტირგარტენი

1

27 აპრილს ღამით ჩემი საკომანდო-სათვალთვალო პუნქტი წინა ხაზთან უფრო ახლოს, ბელე-ალიონსშტრასეზე გადაეიტანე. ამ ქუჩას ახლა მერინგდამი ეწოდება. ავირჩიეთ „ფლიუგჰაფენის“ აეროპორტის მთავარი კორპუსის სიახლოვეს აგებული დიდი ხუთსართულიანი სახლი „ვიქტორიის“ პარკის წინ განლაგებული სამკუთხა კვარტალის ისარზე. შენობის მუქი ნაცრისფერი კედლები ეტყობა, არაერთხელ აულოკია ცეცხლის ენებს. ფანჯრები ჩამტვრეული. შესასვლელის თავზე შავად მოჩანდა ფაშისტურსვასტიკიანი ცემენტის არწივი, ბრჭყალებში — მესამე რაიხის გერბი. პირველ სართულზე — შავი მარმარილოს სვეტებიანი პატარა, ჭერმაღალი დარბაზი. ბნელი, მოუხერხებელი შენობა. აქ ყველაფერი უღიმღამო იყო: ბნელწირთხიანი ფანჯრები, შავი შუაკედლები და ნაცრისფერი, მძიმე ჭერი.

ასეთ დეტალებზე ყურადღებას მხოლოდ იმიტომ ვამახვილებ, რომ ამ შენობას წილად ხვდა ყოფილიყო ომის დამთავრებასათან დაკავშირებული ამბების ადგილი.

როცა ახალ საკომანდო პუნქტში მივედი, კავშირგაბმულობა უკვე ორგანიზებული იყო. მომახსენეს, რომ რამდენიმე წუთის წინ აქ არასასიამოვნო შემთხვევა მოხდა. მესამე სართულის კიბის ბაქნიდან ვიღაცამ ჩვენს მოკავშირე ქალიშვილებს პისტოლეტით სროლა აუტეხა. მეკავშირეები არ დაიბნენ, მათ ყოველთვის თან ჰქონდათ შაშხანები ან ავტომატები. ზემოთ ავარდნენ. სამოქალაქო ტანსაცმლიანი კაცი კიბეზე სროლით არბოდა. მეკავშირეები ვალია ტოკარევას მეთაურობით

გამოეკიდნენ მას. ფაშისტმა თავი სხვენს შეაფარა. ქალიშვილებიც სხვენზე ავიდნენ. ავტომატების ჯერით გაცხრილეს კუთხეები და ბნელი ადგილები, შემდეგ კი იყვირეს: „ჰენდე ჰოხ!" არავინ პასუხობდა. ქალიშვილები სხვენის ჩხრეკას შეუდგნენ და უცებ მტერი დაინახეს. დაღრეცილ და გახელებულსახიანი კაცი პისტოლეტით ხელში კუთხიდან გამოვარდა, ფეხის დარტყმით ფანჯრის ჩარჩო გაამტვრია და ყვირილით „ჰიტლერ კაპუტ!" ძირს გადაეშვა.

მეკავშირეებმა მაჩვენეს უგუნურის გვამი. იგი ეზოში ჭილობის ქვეშ იწვა.

რას იზამ, ფაშისტისათვის ასეთი აღსასრული სავსებით კანონზომიერია...

27 აპრილს ჯარები ძველი ბერლინის კვარტალების შტურმს განაგრძობდნენ. დღის ბოლოსათვის ძირითადი ძალები ბერლინში ჰიტლერელთა ჯარების თავდაცვის უკანასკნელ ზღუდესთან — ტირგარტენთან გავიდნენ. გვარდიელებს ლანდვერის არხი გადაეღობა. არხიდან ოთხასი მეტრის მოშორებით განლაგებული იყო მესამე რაიხის მთავარი სახელმწიფო დაწესებულებები, მათ შორის იმპერიის კანცელარიაც, სადაც თავი შეეფარებინათ ჰიტლერსა და მის ბანაკს. უფრო მოშორებით, ჩრდილოეთით — რაიხსტაგი.

მეზობელი მე-3 და მე-5 დამკვრელი არმიები, რომლებიც ბერლინის ცენტრს აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან უტევდნენ, შპრეეს ნაპირებზე გავიდნენ.

მე-2 გვარდიული სატანკო არმია იბრძოდა შარლოტენბურგის რაიონში, პირველი გვარდიული სატანკო არმია მოქმედებდა მე-8 გვარდიული არმიის მხარდამხარ. მე-2 გვარდიულ სატანკო არმიასა და მე-8 გვარდიულ არმიას შორის უკრაინის პირველი ფრონტის ნაწილები უტევდნენ.

საბჭოთა ჯარების ცდა — შეუჩერებლივ გადაელახათ შპრეე და ლანდვერის არხი — წარუმატებელი აღმოჩნდა. ტირგარტენს — კუნძულს, რომელსაც ყოველი მხრიდან გარს ერტყმის შპრეე და არხები, — ესესის რჩეული ნაწილები და დამცველი

ბატალიონები იცავდნენ. ჰიტლერელები თავს აფარებდნენ მაღალ, სქელკედლიან, მაგარ შენობებს, იქიდან კარგად ჩანდა წყლის ზღუდეების ყველა მისადგომი, რომლებსაც მტერი გამიზნულ ცეცხლს უშენდა.

საღამოს, კორპუსებისა და ცალკეული ნაწილების მეთაურთა მოხსენების მოსმენის შემდეგ და აგრეთვე მას შემდეგ, რაც პირადად ჩავატარე ადგილმდებარეობის რეკოგნოსცირება, გადავწყვიტე: მოიერიშე ნაწილებისათვის დასასვენებლად ნახევარი დღე-ღამე მიმეცა, მაგრამ ამავე დროს არ შემესუსტებინა მოქმედება, რომელიც მოწინააღმდეგეს შებოჭავდა, ჩამეტარებინა საყრდენი პუნქტების გაძლიერებული დაზვერვა, ქვეშეხებისა და ნაღმსატყორცნების ინტენსიური ცეცხლის ქვეშ მოგვექცია ყველა მოედანი და ქუჩა.

შეჩერება საჭირო იყო არა მარტო დასასვენებლად, არამედ საიმისოდაც, რომ შეგვევსო საიერიშო ჯგუფები, მოგვეზიდა საბრძოლო მასალები. არტილერისტებსა და ნაღმტყორცნელებს დავუსახეთ ამოცანა — შეეთანხმებინათ თავიანთი მოქმედება იმ მეზობელი არმიების არტილერისტებთან, რომლებიც მთავრობის კვარტალებს აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან უტევდნენ. წრე მოწინააღმდეგის გარშემო ვიწროვდებოდა და ასეთ პირობებში ჭურვებისა და ნაღმების ოდნავ გადაცდენაც კი საფრთხეს უქმნიდა ჩვენს ჯარებს. არმიის სამხედრო საბჭო და შტაბი საიერიშო რაზმების შევსებისა და გადაჯგუფების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ მეთაურების, პარტიული და კომკავშირული ძალების განლაგებას. მწყობრიდან გამოსული მეთაურის ნაცვლად ახლის დანიშვნა უბრალო საქმე როდია. ინიციატივიან და გაბედულ მეთაურს შეუძლია ყოველგვარი ამოცანის გადაწყვეტა, თუ მებრძოლები მას თავიანთ ბედს ოდნავი ეჭვის გარეშე მიანდობენ, თუ იგი მტკიცედ ეყრდნობა კომუნისტებსა და კომკავშირელებს. უფროსმა, რომელმაც უნდა შეარჩიოს, თუ ვის დანიშნავს ჯგუფის ან რაზმის მეთაურად, ყური უნდა დაუგდოს პარტიულ მუშაკთა ხმას, გაესაუბროს რიგით კომუნისტებს.

მნიშვნელოვანია, რომ მეთაური ახლოს იყოს მებრძოლებთან, შეეძლოს მათი გულის გასაღების პოვნა. ამოცანის სწო-

'რად დასახვა საქმის ნახევარია მხოლოდ. ამოცანა დაყვანილ უნდა იქნეს თითოეული მებრძოლის შეგნებამდე, საჭიროა ადამიანის ანთება, შთაგონება, რომ მან შეასრულოს მეთაურის გაბედული გადაწყვეტილება, თავი არ დაინდოს, ღრმად გაიგოს იმ მოქმედებათა არსი, რომელსაც იგი მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ ახორციელებს. მხოლოდ ბრძანებით ან განკარგულებით ასეთ ეფექტს ვერ მიაღწევ. მეთაურს მხარი უნდა დაუჭირონ კომუნისტებმა და კომკავშირელებმა. საჭიროა მათი აზრიანი, გულშიჩამწვდომი სიტყვა და მამაცობისა და თავგანწირვის პირადი მაგალითი. მხოლოდ მაშინ შეიძლება იყო დარწმუნებული წარმატებაში.

ცხოვრებამ გვასწავლა, რომ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მივანიჭოთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას. ქუჩის ბრძოლის პირობებში იგი განსაკუთრებით მოქნილი და ოპერატიული უნდა იყოს. აქ მიზანს ვერ მიაღწევ ზოგადი დებულებებითა და განყენებული ლაპარაკით. მეთაური და პოლიტმუშაკი უნდა მივიდნენ მებრძოლებთან, ესაუბრონ კონკრეტულ ამბებზე, იმაზე, თუ უკეთ როგორ მოამზადონ იარაღი, ჭკუით როგორ აჯობონ მოწინააღმდეგეს, დაინტერესდნენ, იცის თუ არა მეომარმა თავისი მოვალეობანი შეტევის დროს, ახსოვს თუ არა სიგნალები, აქვს თუ არა ინდივიდუალური სამედიცინო პაკეტები, პროდუქტების ხელშეუხები მარაგი. საუბარი უნდა იყოს საქმიანი და გულისხმიერი, ისეთი, რომ მებრძოლი ამოცანის შესრულების, გამარჯვების მოპოვების რწმენით განიმსჭვალოს.

ამ სტრიქონებს რომ ვწერ, თვალწინ მიდგას 79-ე გვარდიული დივიზიის 220-ე გვარდიული პოლკის პირველი ბატალიონის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში უფროსი ლეიტენანტი ნ. ვ. კაპუტიანსკი. გარეგნულად არაფრით გამოირჩეოდა. დაბალი ტანის, სუსტი, სიტყვაძვირი ადამიანი.

— პოლიტმოადგილეს არ უყვარს ბევრი ლაპარაკი. უფრო მეტად ისმენს, მაგრამ თუ იტყვის, მიზანში არტყამს, ლურსმანივით ჩაასობს, — ასე ამბობდნენ მებრძოლები უფროს ლეიტენანტზე.

ბერლინის შტურმის დღეებში კაპუსტიანსკის ერთ ადგილ-

ზე გაჩერებულს ვერ ნახავდით. არავინ იცოდა, როდის ისვენებდა. ცოტა ხნით გამოჩნდებოდა ბატალიონის მეთაურთან, ვითარებას გაიგებდა და ისევ გაქრებოდა.

შეეკითხები რომელიმე საიერიშო ჯგუფს:

— პოლიტმოადგილე არ გინახავთ?

— ახლახანს იყო ჩვენთან. მოგვითხრო იმ მებრძოლებზე, ვინც თავი გამოიჩინა, დაგვეხმარა საბრძოლო ფურცლის გამოშვებაში და მეზობელ რაზმში წავიდა.

— ვინ ახლავს თან?

— მარტოა.

— სადმე სნაიპერი მოკლავს ან ჩამონგრეულ კედელში მოყვება და ვეღარ ნახავთ თქვენს პოლიტმოადგილეს.

— ჩვენც ვშიშობთ, მაგრამ უფლებას არ გვაძლევს, რომ ვინმე გავაყოლოთ! იოლად წავალო! კუდების გარეშე!

თავმდაბალი და გულადი, იგი საკუთარ თავზე არ ფიქრობდა. ძვრებოდა სარდაფებში, ცეცხლის ქვეშ ხოხვით გადაცოცდებოდა ქუჩებზე, რომ მებრძოლებისათვის კარგი ამბავი მიეტანა, გაემხნევებინა, დახმარებოდა სიტყვითა და საქმით. ბრძოლების პირველ დღეს ბატალიონის პარტორგი და კომორგი კაპუსტინსკიმ მეორე და მესამე საიერიშო რაზმებს მიამაგრა, თვითონ კი პირველი რაზმისაკენ გასწია. მეორე დღეს პარტორგმა და კომორგმა ადგილები შეიცვალეს, კაპუსტინსკი კი იმ რაზმში დარჩა, რომელიც ტემპელჰოფის რკინიგზის სადგურის შტურმისათვის ემზადებოდა. ბატალიონის კომუნისტები და კომკავშირელები ყოველთვის ხედავდნენ თავიანთ ხელმძღვანელებს. გვიან ღამით ან შესვენებისას კაპუსტინსკი თავს უყრიდა აქტივისტებს, მათთან ერთად აჯამებდა დღის შედეგებს, აძლევდა მითითებებსა და რჩევას და ისევ მებრძოლებთან მიდიოდა ყველაზე უფრო რთულ უბნებზე. სამაგიეროდ ბატალიონის ნებისმიერმა მებრძოლმა, მეავტომატე იქნებოდა ეს, თუ მესანგრე, მზარეული თუ მეკავშირე, იცოდა მდგომარეობა და თავისი ამოცანა, იცოდა პრესისა და რადიოს უკანასკნელი ცნობები. პირველი ბატალიონისა და მისი საიერიშო რაზმების მუდმივი წარმატება ბრძოლაში პოლიტმუშაკის დიდი დამსახურება იყო.

ბატალიონი ერთ-ერთი პირველი გავიდა ლანდვერის არხთან.

— ახლა რაღას აკეთებს იქ ბატალიონის პოლიტმოადგილე? — ვკითხე ჩემს თანამოსაუბრეებს, რომლებიც კაპუსტიანსკიზე მესაუბრებოდნენ.

მალე პოლკიდან ტელეფონით მომახსენეს:

— მებრძოლებს ეხმარება სახელდახელო საშუალებებით ტივტივების დამზადებაში.

— რა ტივტივები?

— ხვალ ხომ... — ვემზადებოდით არხის გადასალახად და ამხანაგმა, რომელიც ტელეფონით მელაპარაკებოდა, ვერ გაბედა ამის აშკარად თქმა.

— გასაგებია, გასაგებია, მაშ, თევზაობას, ბანაობას აპირებთ.

— ერთსაცა და მეორესაც. იგი ამ საქმეების ოსტატია. უბრალო კარვიდან ნავის გაკეთება შეუძლია, ისეთ ტივს დაამზადებს, რომ შეხედვა გეამებათ. ხოდა, ჩვენები მისგან სწავლობენ.

— კარგ საქმეს აკეთებს. გმადლობთ. ნახვამდის.

ამ დამაგვირგვინებელი დარტყმის წინ, როცა უკვე ნათლად გამოიკვეთა ომის დასასრული და თითქმის ყოველმა ჯარისკაცმა წარმოიდგინა მომავლის მშვიდობიანი დღეები, შესაძლოა ეჭვი წამოჭრილიყო: ხომ არ ჩაქრა ჯარების საბრძოლო სულისკვეთება? უკანასკნელი შერკინება, როგორც ჩანს, სასტიკი და სისხლისმღვრელი იქნება. არა და, თითოეულს რასაკვირველია, სურდა გამარჯვებას ცოცხალი შეხვედროდა. როგორ უნდა ატარო ამ დროს ადამიანები ხიფათიან გზებზე? ამასთან ქუჩის ბრძოლაში არც პოლკის მეთაურს, არც დივიზიის მეთაურს არ შეუძლია თავისი ქვეგანაყოფების საბრძოლო მწყობრის დანახვა იმგვარად, როგორც ველზე. აქ არ არის მთლიანი თხრილები და სანგრები, არც გაბატონებული მაღლობებია სათვალთვალო პუნქტებისათვის. ირგვლივ — სახლები, კედლები, ნანგრევები. ქვეგანაყოფები თავს აფარებენ სარდაფებს, ეზოებს, მაგარ კედლებს იქით, მიყრუებულ შესახვევებს, ნანგრევებს. ისინი არ ჩანან. სად არის იმის გარანტია, რომ სიგნალზე „წინ!"

პოლკები და ბატალიონები ერთსულოვნად გადაელენ გადამწყვეტ შტურმზე?

გარანტია იყო, არის და იქნებაა! მეთაურები, კომუნისტები, კომკავშირელები, მათი პირადი მაგალითი, პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება ამხანაგების წინაშე, საკუთარი სინდისის წინაშე, სამშობლოს წინაშე — არმიის საბრძოლო სულისკვეთების მუდმივი და უშრეტი წყაროა. ესაა წარმატების საწინდარი ყველა საქმეში.

მოვლენებს გავუსწრებ და ვიტყვი, რომ იმ დიდი მუშაობის შედეგად, რაც განახორციელეს სამხედრო საბჭომ, ნაწილებისა და შენაერთების პოლიტორგანოებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა, დამაგვირგვინებელი შტურმი იმდენად მაღალ დონეზე ჩატარდა, ხალხის შეჩერებაც კი მოგვიწია, ზედმეტი რისკისაგან რომ დაგვეცვა. არც ერთი სიგნალი არ გვქონია იმის შესახებ, რომ. რომელიმე ბატალიონი თუ საიერიშო რაზმი მოკრძალებულად და გაუბედავად ასრულებდა დასახულ ამოცანას.

რასაკვირველია, როცა ვისილავდით საკითხს ტირგარტენის შტურმში კომუნისტებისა და კომკავშირელების პირადი მაგალითის შესახებ, ვერ დავუშვებდით, რომ შეტევის გულმოდგინე უზრუნველყოფის გარეშე, ცეცხლის საფარის გარეშე, შეტევის ობიექტებზე მძლავრი საარტილერიო დარტყმის გარეშე, მიგვეშვა ისინი არხზე, მტრის სიმაგრეებზე, ტყვიამფრქვევების გვერდული ცეცხლის ქვეშ ან დანაღმულ უბნებზე.

გაიცა განკარგულება: ჭურვები არ დაზოგოთ, ვაზნები, ნაღმები და ხელყუმბარები გულუხვად ხარჯეთ: მარაგი გვაქვს! საარტილერიო იარაღი, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხებით დაწყებული და მძლავრი სისტემებით, მათ შორის შორსმსროლელი მძიმე ზარბაზან-ჰაუბიცებით დამთავრებული, წინ წავწიეთ ისე, რომ პირდაპირი დამიზნებით სროლა შეგვძლებოდა, სხვადასხვა სისტემის „კატიუშებიც“ კი დენთის კვამლისა და მტვრის საფარის ქვეშ უშუალოდ არხს უახლოვდებოდნენ და მიბრჯით ესროდნენ მოწინააღმდეგის სიმაგრეებს.

ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით, რომ არხი გადაგველახა არა ერთდროულად პოლკებისა და დივიზიების მთელი ძალებით,

არამედ კვლავ მცირე ჯგუფებით და მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც არტილერისტებმა შეძლეს გზის გაწმენდა და მოსპეს ყველა ნამდვილად ყველა საცეცხლე წერტი, რომელიც წყლის ზღუდის გადალახვაში შეგვიშლიდა ხელს. გადასალახავი უბნების შერჩევა ნაწილთა მეთაურებს მივანდეთ. მეთაური, რომელიც უშუალოდ საწყის პოზიციაზე იმყოფება, უკეთ ხედავს, თუ როგორ „იმუშავა“ არტილერიამ და სად უფრო შეიძლება წარმატებითა და უდანაკარგოდ მიზნის მიღწევა.

პირადად ვაკონტროლებდი ცალკეულ უბნებს, არხზე გადებულ ხიდებს, მაგალითად, პოტსდამერშტრასეს კუზიან ხიდს საიდანაც იმპერიის კანცელარიაზე ყველაზე უფრო ეფექტიანი დარტყმის განვითარება შეიძლებოდა.

ტირგარტენის შტურმისათვის მზადებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას არმიის სამხედრო საბჭომ ყურადღება გაამახვილა გერმანელი ხალხის ეროვნულ საგანძურთა შენარჩუნებაზე. ბანკების, წიგნსაცავების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამედიცინო დაწესებულებების დაცვა არმიის ზურგის ქვეგანაყოფების საკომენდანტო სამსახურის საგანგებო რაზმებს დაევალათ. სამხედრო საბჭომ თავად იკისრა ბერლინში მყოფი დიპლომატიური მისიების, საელჩოებისა და საკონსულოების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა. კორპუსებისა და დივიზიების პოლიტორგანოების უფროსებს წინადადება მიეცათ პირადად ედევნებინათ თვალყური იმ დიპლომატიური პუნქტების ხელშეუხებლობისათვის, რომლებიც აღმოჩნდებოდნენ მათი შენაერთების მოქმედების ზოლში.

ბერლინის მშვიდობიანი მოსახლეობის კვებისა და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფაც ჩვენი თავსატეხი იყო. იმ დროისათვის გერმანიის დედაქალაქის საწყობებსა და სასურსათო ბაზებში დარჩენილი იყო თითზე ჩამოსათვლელი ტონა ფქვილი, ცოტაც — ხორცისა და თევზის კონსერვი. ხორცი, ბურღული, რძის პროდუქტები უკვე აღარ იყო. ხალხი შიმშილობდა. ბავშვები არ უშინდებოდნენ ტანკებს, ტყვიამფრქვეველებისა და ქვემეხების ცეცხლს, ოღონდ კი ჩვენს სამზარეულოებამდე მოეღწიათ, ეთხოვათ პურის ნაჭერი, ცოტა წვნიანი ან ფაფა.

დიახ! რუს ჯარისკაცს ჭეშმარიტად კეთილი გული აქვს! მებრძოლები თავიანთი კარდალებიდან კვებავდნენ გერმანელ ბავშვებს, ხელში აჩეჩებდნენ კონსერვებს, შაქარს — სახლში წაიღეთო. ბერლინის მოსახლეობისათვის ცენტრალიზებულად მივიღეთ სასურსათო ლიმიტი და ადგილობრივი მოსახლეობისათვის სპეციალურად მოვაწყვეთ მრავალი სალაშქრო სამზარეულო.

უფრო რთული იყო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, ბერლინის ის ნაწილი, რომელიც ჩვენი არმიის ჯარების მოქმედების ზოლში იყო, ჯერ კიდევ ზამთარში დაანგრია ამერიკელთა ავიაციამ. წყალსადენი და კანალიზაცია მწყობრიდან იყო გამოსული. განათება — ჭრაქი, გათბობა — ნავთქურა და რკინის ღუმელი. სანიტარული კვანძები, საშზარეულოები, დერეფნები და საწოლი ოთახებიც კი სიბინძურით იყო სავსე. ირგვლივ — სიმყრალე, ჭუჭყი, ანტისანიტარია. სარეცხის ცივი წყლით გარეცხვას აზრი არა აქვს: საპონი არ არის. ტიფი, მუნი, კუჭ-ნაწლავის დაავადებანი... ხალხს მკბენარი დაეხვია, ფუფხი გაუჩნდა.

როგორ მოვიქცეთ? საჭიროა სანიტრების მთელი არმია, ათობით ჰოსპიტალი.

არმიის სანიტარული სამსახურის უფროსმა მიიღო მთითება საჭირო ოდენობით გამოენახა სადეზინფექციო საშუალებები და რაიონების კომენდატურებთან ერთად მოეწყო გერმანელ სამედიცინო-სანიტარულ მუშაკთა მობილიზაცია, რათა არ დაეშვა ეპიდემიების გავრცელება.

არმიის ზურგის უფროსს ვუბრძანე, მოქალაქეებისათვის მიეცა საპნის მთელი არსებული მარაგი. რაიონების კომენდანტები შეუდგნენ წყალსატუმბების აღდგენას და საკანალიზაციო მაგისტრალების გაწმენდას.

შენაერთების პოლიტიკურმა ორგანოებმა გამოყვეს გერმანული ენის მცოდნე ოფიცრები, რომლებიც ბერლინის მოსახლეობას განუმარტავდნენ, რომ დროა შეუდგნენ გაპარტახებული მეურნეობის აღდგენას: ომი მთავრდება.

ყოველივე ეს შედიოდა იმ საკითხთა ნუსხაში, რომლებიც

ასე თუ ისე დაკავშირებული იყო საბრძოლო ოპერაციის პოლიტიკურ უზრუნველყოფასთან.

...შეტევის განახლებამდე რამდენიმე საათი რჩებოდა. თენდებოდა. წინა ღამეს თვალი არ მომიხუჭავს, მაგრამ არ მეძინება. ბევრს ვეწევი, ძალიან ბევრს. დაცარიელდა „ყაზბეგის" მეორე კოლოფი. ტვინი დაძაბულად მუშაობს. რა ამბებს ვაცნობებთ სამშობლოს, მსოფლიოს ხვალ, ზეგ — საერთო-სახალხო ზეიმის დღეს — 1 მაისს? რით დამთავრდება ადოლფ ჰიტლერის უკანასკნელი უკუნურობა? სად დაეშალება ისეთი ძალების დარტყმას, როგორიც ჩვენია? არა, საბჭოთა მეომრები მოძებნიან ამ სიკვდილის მთესველს, სადაც არ უნდა დაიმალოს. მოძებნიან და მოაშორებენ კაცობრიობას.

ოთხ დღე-ღამეში ჩვენმა და მეზობელმა არმიებმა გაანგრიეს კედლები, ქვის ჩამონაზვავები და ბერლინის ცენტრისკენ გზა გაიკაფეს. ამ დროის განმავლობაში 12 კილომეტრი განვლეთ. პაულუსის არმიას, სტალინგრადში რომ უტევდა, უფრო ხელსაყრელი პირობები ჰქონდა, ეიდრე ჩვენ აქ, მაგრამ ასზე მეტი დღის განმავლობაში იმ მანძილის ნახევარიც კი ვერ გაიარა, რაც ჩვენ ოთხ დღეში დავფარეთ.

ჩვენი მებრძოლებისა და მეთაურების შემოქმედებითი ინიციატივის ერთ-ერთი გამოვლინება იყო მცირე საიერიშო ჯგუფების ტაქტიკა, რომელიც ჯერ კიდევ ვოლგის ნაპირებზე ქუჩის ბრძოლებში გამოვიყენეთ. ამ ტაქტიკის არსი შეტევაა. იქ, ვოლგაზე თავდაცვისას ჩვენი ჯგუფები შეტევითი შტურმული დარტყმებით ამაგრებდნენ და აუმჯობესებდნენ თავიანთ პოზიციებს. უკვე მაშინ, 1942 წელს, საიერიშო ჯგუფების შეტევითი ხერხები ცეცხლის ქვეშ პრაქტიკულად დამუშავებული და შემოწმებული იყო. აქ, ბერლინში, თავდაცვა და თავდაცვითი პოზიციების გაუმჯობესება არ გვჭირდებოდა, რადგან მოწინააღმდეგეს მჭიდრო და ძლიერი ალყა ჰქონდა შემორტყმული. ჩვენი საქმეა შეტევა და მხოლოდ შეტევა. ბერლინში ჩვენი ჯარების ამოცანაა, რაც შეიძლება სწრაფად გავანადგუროთ გარემოცული გარნიზონი და გავაუვნებლოთ ფაშისტური მთავრობა, ჩვენი ჯარები, რომლებიც ბერლინის შტურმს ახორციელებენ, გრძნობენ, მათ სწამთ, რომ ეს არის უკანასკ-

ნელი ბრძოლა ფაშიზმთან, რომ ბერლინის აღების შემდეგ ომი დამთავრდება.

როგორღა მოემზადა ბერლინის გარნიზონი ჩვენი შეტევის მოსაგერიებლად?

პირდაპირ რომ ვთქვათ — ცუდად. ჰიტლერელთა სარდლობამ შეძლო, მძლავრი თავდაცვითი ზღუდეების, ციხესიმაგრეების, ფორტების, ხერგების შექმნა, მაგრამ მთავარი ციხესიმაგრე — ადამიანი, მისი შეგნება განიარაღებული აღმოჩნდა. გერმანელთა ჯარები ბერლინში შეუპოვრად გვებრძოლნენ, მაგრამ ეს იყო განწირულთა უაზრო შეუპოვრობა. გერმანელები დისციპლინირებული და გულადები არიან. მაგრამ, როცა პერსპექტივა არ არის, გულადი მეომარიც ცუდად იბრძვის საკუთარ სახლშიც, საკუთარ ქალაქშიც კი.

თუმცა, ფაუსტპატრონებით შეიარაღებული გერმანელთა ცალკეული ჯგუფები ბერლინზე შეტევის პირველ დღეებში საკმაოდ წარმატებით იბრძოდნენ ტანკების წინააღმდეგ და ჩვენს სატანკო ჯარებს საკმაოდ საგრძნობი ზარალიც მიაყენეს, მაგრამ წარმატება ხანმოკლე იყო. როგორც კი სატანკო ჯარებმა მწყობრი შეიცვალეს და მჭიდრო ურთიერთმოქმედება დაამყარეს ქვეითებთან, მეფაუსტეების როლი ბერლინის დაცვაში ნულამდე დაეცა. მეფაუსტეების წინააღმდეგ წარმატებით იბრძოდნენ მსროლელი-მეავტომატეები, რომლებიც ტანკებს იცავდნენ. მებრძოლთა საზრიანობა და გამჭრიახობა დაგვეხმარა გაგვედიდებინა ჯავშნის ცეცხლმედეგობა, ტანკებმა დამატებით მიიღეს ჯავშანეკრანი, მართალია, პრიმიტიული, მაგრამ ძალზე ეფექტიანი. ფაუსტპატრონი ეკრანს რომ ეხეთქებოდა, კარგავდა აკუმულაციურ გამჭოლ ძალას და ჯავშანი უვნებელი რჩებოდა.

ამგვარად, ეს მრისხანე საშუალება რუსული ტანკების წინააღმდეგ — ფაუსტპატრონი, რომელზეც ჰიტლერი დიდ იმედებს ამყარებდა, არც ისე მრისხანე აღმოჩნდა. უძლურების შეგნება ზოგჯერ ველურ უგუნურებას იწვევს, ეს საკუთარი თვალით ვნახეთ. წარმოიდგინეთ ოთხასი ყმაწვილისაგან შემდგარი ბრბო. თითოეულის ასაკი 15 წელს არ აღემატება, ყველას შაავი სასკოლო კიტელი აცვია. მოდიან ქუჩების გასწვრივ

ჩვენი საიერიშო რაზმებისაკენ. მხრებზე გადებული აქვთ თეთრი ფაუსტპატრონები, რომლებიც მეტრიან ჯოხებზე ჩამოცმულ გრაფინებს გვანან. ჰიტლერმა ეს ბიჭები ჩვენი ტანკების წინააღმდეგ წარმოაგზავნა.

რა ვქნათ? ჩვენს მებრძოლებს ვერ გადაუწყვეტიათ, რომ ცეცხლი დაუშინონ. მეთაურები რადიოთი გვეკითხებიან:

— როგორ მოვიქცეთ: გამოვატაროთ თუ ვესროლოთ?

— სროლისაგან თავი შეიკავეთ, ეცადეთ განაიარაღოთ.

ყვითელმა რაკეტებმა, რაც ჩვენს მოწინავე ხაზს მონიშნავდა, არ შეაჩერა ყმაწვილები. აი, ისინი უკვე მიუახლოვდნენ ჩვენს პოზიციებს და ქვემეხები, ოთხთვალები რომ შენიშნეს, გაშმაგებულებმა შეუტიეს. ნასროლი ფაუსტპატრონები ნაგლეჯებად აქცევდნენ ადამიანებს, ცხენებს. იძულებული გავხდით საპასუხო ცეცხლი გაგვეხსნა. როცა დაინახეს, რომ წინ წასულები დაეცნენ, დანარჩენებმა უკან დაიხიეს.

ეს მოხდა 26 აპრილს დღისით, ტემპელჰოფის აეროდრომის აღების შემდეგ. ყმაწვილების ბრბო ტირგარტენიდან გამოვიდა და კოლონენშტრასეს ქუჩით 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის საბრძოლო მწყობრისკენ გაემართა.

ვინ იბრძვის ასე, თუნდაც უაღრესად განწირულ პირობებში? ვის შეეძლო ბავშვების სასიკვდილოდ გამეტება?

სტალინგრადის დაცვის ყველაზე უფრო აუტანლად მძიმე დღეებში ასე უაზროდ რომ გაგვეგზავნა ხალხი, ვოლგის არა თუ დასავლეთ, აღმოსავლეთ ნაპირსაც ვერ შევინარჩუნებდით.

2

საარტილერიო მომზადების დაწყებამდე ერთი საათით ადრე 79-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის 220-ე გვარდიული მსროლელთა პოლკის მედროშემ სერჟანტმა ნიკოლოზ მასალოვმა ლანდვერ-კანალთან პოლკის დროშა მოიტანა. თან ახლდა ორი ასისტენტი. გვარდიელებმა იცოდნენ, რომ მათ წინ ფაშისტთა დედაქალაქის მთავარი ბასტიონია, იცოდნენ, რომ

აქ ჰიტლერის ბანაკი და კავშირგაბმულობის მთავარი კვანძია, რომლის მეშვეობითაც მესამე რაიხის მეთაურები ჯერ კიდევ განაგრძობენ თავიანთი ჯარების ხელმძღვანელობას და აიძულებენ მათ აწარმოონ უაზრო, სისხლისმღვრელი ბრძოლები.

ტირგარტენის ცენტრისაკენ მიმავალ გზას სამხრეთიდან გვიღობავდა ღრმა ციცაბო ბეტონირებულნაპირებიანი არხი. ხიდები და მისადგომები ხშირი დანაღმული და ტყვიამფრქვევის ცეცხლით კარგად დაცული.

ამ მრისხანე და საშიში ზღუდის გადალახვა მხოლოდ ერთსულოვანი ნახტომით შეიძლებოდა.

ლანდეერ-კანალიდან ფოსშტრასემდე და იმპერიის კანცელარიამდე, რომლის მიწისქვეშეთში ჰიტლერი იმალებოდა, არა უმეტეს ოთხასი მეტრისა რჩებოდა. იმპერიის კანცელარიის მისადგომებს იცავდნენ საგანგებო ბრიგადის ლაიბ-შტანდარტ „ადოლფ ჰიტლერის“ ბატალიონები. ბრიგადას მეთაურობდა ჰიტლერის ერთგული მსახური, პირსისხლიანი ნაცისტი მონკე.

იერიშის ზღუდისაკენ გვარდიელები მცირე ჯგუფებად დაიძრნენ. ზოგს სახელდახელო საშუალებათა გამოყენებით არხი ცურვით უნდა გადაელახა, ზოგი კი გაბედული ნახტომით ტყვიის წვიმაში უნდა გასულიყო დანაღმულ კუზიან ხიდზე. საკმარისია ფეხის მოკიდება გაღმა ნაპირზე მდგომ პირველ სახლში, მერე ჩვენს გვარდიელებს ვეღარ შეაჩერებ, ისინი გაძვრებიან კედლების გამონანგრევებში, სარდაფებში. ქუჩის ბრძოლების დიდი გამოცდილება აქვთ...

შეტევამდე დაახლოებით ორმოცდაათი წუთი დარჩა. ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, როგორც ქარიშხლის წინ იცის ხოლმე — მღელვარე, დაძაბული. უცებ ამ სიჩუმეში, რომელსაც მხოლოდ ხანძრების ტკაცანი არღვევდა, ბავშვის ტირილი გაისმა. თითქოს სადღაც მიწისქვეშეთიდან ყრუდ და მომხმობად ისმოდა ბავშვის ხმა. იგი ტირილით ყველასათვის გასაგებ სიტყვას იმეორებდა: „მუტერ, მუტერ“...

— მგონი, არხის გაღმა ნაპირზეა, — უთხრა ამხანაგებს მასალოვმა.

ასისტენტები მან დროშასთან დატოვა და მეთაურთან მივიდა:

— ნება მომეცით ბავშვი გადავარჩინო, ვიცი, სადაც არის.

კუზიან ხიდთან ცოცვით მისვლა სახიფათო იყო. ხიდისწინა მოედანი ტყვიამფრქვევებისა და ავტომატური ზარბაზნების ცეცხლით იცხრილებოდა, არაფერი რომ არა ვთქვათ ასფალტის ქვეშ ჩამალული ნაღმებისა და ფუგასების შესახებ.

აკაკანდა ტყვიამფრქვევები. სერჟანტი მასალოვი წინ მიხოხავდა და ფოთოლივით ეკვროდა ასფალტს, დროდადრო თავს აფარებდა ჭურვებითა და ნაღმებით ამოთხრილ ორმოებს. არ ავიწყდებოდა ასფალტზე ყოველი ბორცვის, ყოველი ბზარის მოსინჯვა, ნაღმს არ წაწყდომოდა. აი, სანაპირო გადაჭრა და არხის დაბეტონებული კედლის შვერილს ამოეფარა. აქ კვლავ მოესმა ბავშვის ხმა. საცოდავად, დაჟინებით უხმობდა დედას იგი. თითქოს აჩქარებდა მასალოვს. მაშინ მაღალი, გოლიათი გვარდიელი მთელი ტანით წამოიმართა. მკერდზე საბრძოლო ორდენებმა გაიელვეს. ასეთს ვერც ტყვია შეაჩერებს, ვერც ნამსხვრევი.

ნიკოლოზ მასალოვის საბრძოლო ბიოგრაფია წვეთი წვალივით ჰგავდა მე-8 გვარდიული არმიის ისტორიას. იგი ჯარში გაიწვია კემეროვოს ოლქის ტისულის რაიონის სამხედრო კომისარიატმა მაშინ, როცა 62-ე არმია ყალიბდებოდა. მას წილად ხვდა ჩვენთან ყოფილიყო გერმანელთა იმ ჯარების მთავარ მიმართულებაზე, რომლებიც სტალინგრადს უტევდნენ. მასალოვი მამაის ყორღანზე რიგით მსროლელად იბრძოდა, ჩრდილოეთ დონეცზე ბრძოლების დღეებში მეტყვიამფრქვევე გახდა, დნეპრის გადალახვისას ათეულს მეთაურობდა, ოდესის განთავისუფლების შემდეგ იგი საკომენდანტო ოცეულის მეთაურის თანაშემწედ დანიშნეს, დნესტრის პლაცდარმზე დაიჭრა, ოთხი თვის შემდეგ, ვისლის გადალახვისას ისევ დაიჭრა, მაგრამ გვარდიელი მწყობრში დარჩა და მთელი გზა ვისლიდან ოდერის პლაცდარმამდე თავშებანდულმა განვლო.

...მასალოვი არხის თარჯს გადაევლო... კიდევ რამდენიმე წუთი გავიდა. წამით დადუმდნენ მტრის ტყვიამფრქვევები. სუნთქვაშეკრული გვარდიელები ბავშვის ხმის გაგონებას მოე-

ლოდნენ, მაგრამ სიჩუმე იყო. ელოდნენ ხუთ, ათ წუთს... ნუთუ მასალოვმა ტყუილუბრალოდ ჩაიგდო თავი საფრთხეში?.. რამდენიმე გვარდიელი მოულაპარაკებლად მოემზადა იერიშისათვის. ამ დროს ყველას მოესმა მასალოვის ხმა:

— ყურადღება! მე ბავშვით ვარ. ცეცხლით დამიფარეთ. ტყვიამფრქვევი მარჯვნივ, სვეტებიანი სახლის აივანზეა. ჩაკმენდინეთ ხმა!.. მაგრამ საარტილერიო მომზადების დრო მოახლოვდა. არმიის არტილერიის სარდალმა გენერალმა ნ. მ პოჟარსკიმ უკვე გასცა ბრძანება:

— დაჭიმე ზონარები... ცეცხლი!

ათასობით ქვემეხმა და ნაღმსატყორცნმა დაარტყა მტერს. ათასობით ჭურვი და ათასობით ნაღმი თითქოს ფარაედა სიკვდილის ზონიდან საბჭოთა მეომრის გამოსვლას, მეომრისა, რომელსაც ხელში სამი წლის გერმანელი გოგონა ეჭირა.

დედამისი, როგორც ჩანს, ტირგარტენიდან გაქცევას ლამობდა, მაგრამ ესესელებმა ზურგში ტყვია დაახალეს. გოგონა რომ გადაერჩინა, ხიდის ქვეშ დაიმალა და იქ მოკვდა.

სერჟანტმა მასალოვმა გოგონა სანიტარ ქალებს გადასცა, თვითონ კი ისევ პოლკის დროშასთან დადგა, შეტევისათვის გამზადებული.

საარტილერიო ცეცხლი ტირგარტენზე ზრდადი ძალით დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. სათვალთვალო პუნქტიდან ვხედავდი მთავრობის კვარტალებზე ასვეტილ კვამლისა და მოწითალო აგურის მტვრის ხშირ ღრუბლებს. ქარი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ჰქროდა და ერთ-ერთი ასეთი ღრუბელი ჩვენს სათვალთვალო პუნქტს გადაეფარა. მზის ოდნავ შესამჩნევი, მკრთალი დისკო უკვალოდ გაქრა. ბინდი ჩამოწვა, მხოლოდ ზოგჯერ თუ შეავლებდით თვალს სანაპიროს მაღალ კედლებს არხის გაღმა.

საარტილერიო აფეთქებათა ხასიათით მიეხვდი, რომ არტილერისტები, რომლებმაც თავიანთი ქვემეხები პირდაპირი დამიზნების პოზიციებზე განალაგეს, ურტყამენ ძალზე შეზღუდული რაოდენობის მიზნებს, როგორც ჩანს, ჭუჩების გასწვრივ და არხის გაღმა ნაპირზე ანგრევენ ბარიკადებს, რომლებიც მოედნების მისადგომებს ხერგავენ. მაგრამ შესახვევებსა

და გზაჯვარედინების კუთხეებს მოფარებულ ტყვიამფრქვევების წერტებს ჩვენი არტილერია ვერ წვდებოდა. როგორც კი ჩვენი ქვეითები იქ მიაღწევენ, მტერი ცეცხლს დაუშენს. ვაფრთხილებ ნაწილების მეთაურებს:

— ნუ იჩქარებთ. არხის იერიში დაიწყეთ მცირე ჯგუფებით და იქ, სადაც არტილერიამ თავისი საქმე გააკეთა.

დაახლოებით ნახევარი საათი გავიდა კიდევ და ნაწილების მეთაურებმა მოგვახსენეს, რომ ბევრ უბანზე, რომლებიც გათვალისწინებული იყო არხის გადასალახავად, მტერი გვერდიდან ძლიერ ცეცხლს გვიშენს ძირითადად მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით და ავტომატური საზენიტო ზარბაზნებით.

ამგვარად, წინათგრძნობამ არ მიმტყუნა.

— ჩვენ ვატარებთ დაზვერვას ბრძოლით. განაგრძეთ მტრის საცეცხლე წერტების გამომეღავნება.

ასეთი პასუხით ვაგრძნობინე, რომ საჭიროა ახალი გადაწყვეტილების მიღება და არა ადამიანების გაგზავნა დამღუპველი ცეცხლის ქვეშ.

ფლანგური ცეცხლი... ესე იგი მოწინააღმდეგემ თავისი საცეცხლე წერტები დამალა სადღაც მტკიცე საფარებში და ძალზე ხელსაყრელ პოზიციებზე. მაგრამ სად? რუკას დავყურებ. ჩვენი არმიის შეტევის ზოლში ლანდვერის არხი მოწინააღმდეგის მხარეს რკალივით არის გაზნექილი. მისი დამრეცი ხვეულებიდან მტერს მარჯვედ შეუძლია გვერდიდან ცეცხლის დაშენა. ამის გარდა, მტერს შეუძლია თავისი მეტყვიამფრქვევები განალაგოს რკინიგზის სამი და ტრამვაის ექვსი ხიდის ბურჯებში და არხის გასწვრივ ცეცხლი გახსნას მაშინვე, როგორც კი წყალზე ადამიანები გამოჩნდებიან.

რა გადაწყვეტილება მივიღოთ? ქუჩის ვიწროებში თავმოყრილ ჩვენს არტილერიას არ ძალუძს მოსპოს ამ ქუჩებს დაცილებული — ხიდების ქვეშ და წყლის ზედაპირთან არხის ხვეულების ნიშებში მოთავსებული საცეცხლე წერტები. მათი განადგურება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი ქვემეხები სანაპიროზე გავლენ და არხის გასწვრივ ცეცხლის დაშენას შეძლებენ. მაშასადამე, უნდა ვეცადოთ, დავიკავოთ არხის მისადგომები და, უპირველეს ყოვლისა, მის ხვეულებთან მისადგო-

მები. რაც გატკენს იგივე მოგარჩენსო: მეტრის ფლანგურ საცეცხლე წერტების საარტილერიო დარტყმა ჩვენც ფლანგებიდან უნდა მივაყენოთ.

იმავდროულად არტილერისტებს დავუსახეთ ამოცანა — მოესპოთ არხის მიმდებარე კვარტალების სიღრმეში მოთავსებული მიზნები. ავიაციის გამოყენებას აზრი არა აქვს: ძალზე ვიწროა ნეიტრალური ზოლი. კედლების განგრევა ჭურვებით და შემდეგ გამონანგრევებში ალალბედზე სროლაც არ უნდა იყოს მიზანშეწონილი და თანაც ამას რამდენიმე დღე დაჭირდებოდა. ასეთ ვითარებაში ყველაზე ეფექტიანი იარაღია ნაღმსატყორცნი. ნაღმტყორცნელებს ცეცხლის დაშენა შეუძლიათ სახლსიქიდან, მიზანში მორტყმა ყველაზე ვიწრო შესახვევებშიც კი და, როგორც ისინი ხუმრობენ, მკვეთრი ტრაექტორიით, კვამლსადენი მილებით ნაღმების მიმართვა პირდაპირ ბინებში.

მოსაღამოვდა. არტილერისტებმა ამოცანები დააზუსტეს და ახალი დარტყმისათვის მზადებას შეუდგნენ. მსროლელთა ბატალიონები ტანკისტებთან და მესანგრეებთან ერთად არხის მისადგომების გაწმენდას და უფრო ხელსაყრელი პოზიციების დაკავებას განაგრძობდნენ.

ტირგარტენის გადამწყვეტი შტურმისათვის სხვა არმიებმაც შეისვენეს. კერძოდ, მე-3 დამკვრელმა არმიამ რაიხსტაგის შტურმისათვის მოსამზადებლად მთელი ახალი კორპუსი ჩააყენა მწყობრში.

მე მოვისმინე მზვერავთა აზრი მეტროს მიწისქვეშა მაგისტრალებით ტირგარტენში შეღწევის შესაძლებლობის შესახებ. აქამდე თითქმის არ გვისარგებლია ამ გვირაბებით, რადგან ქალაქის სამხრეთ ნაწილში მეტროს სადგურების უმრავლესობა ზედაპირზე იყო. მიწის სიღრმეში გაჭრილ მაგისტრალებს კი სხვა მიმართულებით მივყავდით. ამასთანავე ბერლინის მეტრო სრულიადაც არა ჰგავს მოსკოვისას: სადგურები ვიწროა, გვირაბები გაყვანილია სულ რაღაც სამი-ოთხი მეტრის სიღრმეზე, საავიაციო ბომბების აფეთქებისაგან ბევრ ადგილას მიწა ჩამოწვა და წყალმა დატბორა.

მაგრამ ორი პარალელური გვირაბი, რომლებიც ტემპელ-

ჰოფიდან ტირგარტენისაკენ მიდის, ლანდვერის არხს მიწის ქვეშა ჰკვეთს. იქნებ გამოვიყენოთ?

აი, რა მოგვითხრო მზვერავმა ალექსანდრე ეამკოვმა.

— ჩვენი ამოცანა იყო: რაც შეიძლება მეტი გაგვეცლო მიწის ქვეშ და გზები ცენტრამდე დაგვეზვერა... მიწისქვეშა სადგურში ჩავედით. ისეთი უკუნი იყო, თითს თვალთან ვერ მიიტანდი. გზას მხოლოდ სმენითა და ხელის ფათურით ვიკვლევდით. სამასი მეტრი გავიარეთ ლიანდაგის გასწვრივ. არავინაა! უცებ სინათლის ვიწრო ზოლი გამოჩნდა. გადავწყვიტეთ გზა ხოხვით განგვეგრძო. ეხედავთ — კედელში ნიშია, იქ აკუმულატორი დგას და პატარა ელექტრონათურა ანთია. ახლო-მახლო გერმანული ლაპარაკი ისმის. თამბაქოსა და ხორცის კონსერვის სუნი გვეცა. აკიაფდა მეორე ფარანი. გერმანელებმა ფარანი ჩვენსკენ მოანათეს, თვითონ კი ჩრდილში გაიტრუნენ. მიწას გავეკარით, დავაკვირდით: წინ გვირაბი გადაღობილია აგურის კედლით, რომლის ცენტრში ფოლადის ფარებია... კიდევ რამდენიმე ათეული მეტრით წავიწიეთ წინ. აწიეს ტყვიები. ნიშებს შევაფარეთ თავი. ცოტა შევიცადეთ და ავამოქმედეთ ფაუსტპატრონები, ხელყუმბარები. წინ გავიქერით. ორასი მეტრის შემდეგ ისევ დაბრკოლება — ისეთივე კედელი. გერმანელთა თავდაცვა მეტროში ზღუდარებითაა ორგანიზებული: ცარიელი უბანი — კედელი, ისევ ცარიელი უბანი — ისევ კედელი.

ტირგარტენში დიდი ძალების გადასროლა მეტროპოლიტენის მაგისტრალებით შეუძლებელია. მეტროში მზვერავთა გაძლიერებული ჯგუფები გავაგზავნეთ. მათი ამოცანა მიწისქვეშეთიდან გერმანელთა გამოძევება იყო.

მთელი ღამე ორივე მხრიდან ისროდნენ. ჩვენი ქვეგანაყოფები მოჩვენებით აქტიურობას იჩენდნენ, რათა უკეთ გამოეკვლინათ მოწინააღმდეგის საცეცხლე სისტემა. იმ უბნებზე, სადაც საიერიშო ჯგუფები არხის ნაპირზე გავიდნენ, ხდებოდა მისი ცურვით გადალახვის იმიტაცია: წყალში ისროდნენ ბურბუშელით გატენილ და ღვედებით გადაჭიმულ ტომრებს. შტერი ანკესს წამოეგო: ცეცხლს უშენდა ყველა ტყვიამფრქვევიდან, გვარდიელებს ისღა რჩებოდა, რომ ჩაენიშნათ ისინი.

დილით არტილერისტებმა და ნაღმმტყორცნელებმა ძლიერად დაარტყეს მოწინააღმდეგის დაზვერილ საცეცხლე წერტილებს. სახლები და სხვა ნაგებობები არხის ხვეულებზე ძირფესვიანად ინგრეოდა. საიერიშო ჯგუფები არხის გადალახვას შეუდგნენ.

საიერიშო ჯგუფების შემადგენლობაში მოქმედ ტანკებს ტირგარტენში შეჭრა მხოლოდ ხიდებით შეეძლოთ. ამიტომ ჩვენ პირველ რიგში ხიდების ხელში ჩაგდებას ეცდილობდით. განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლა კუზიანი ხიდისათვის გაჩაღდა. ტყვიამფრქვევების ცეცხლის ქვეშ მესანგრეებმა შეძლეს ნაღმების ამოღება და წამწეების ქვეშ დაკიდული ორი მძლაერი ფუგასური ჭურვის უვნებელყოფა. პირველმა ცდამ — ხიდი შეუჩერებლივ გაგვეელო — უშედეგოდ ჩაიარა. ტანკი ძალზე მსხვილი მიზანია და, როგორც კი ხიდისწინა მოედანზე გამოჩნდა, ცეცხლის გრიგალი დაატყდა თავს. ტირგარტენის სიღრმიდან სადღაც კოშკამდე მიწაში ჩაფლულმა „ვეფხვმა“ დაარტყა.

საღამოსათვის ტანკისტებმა საშიში ზონიდან დაზიანებული ტანკი გამოათრიეს და გვთხოვეს, ამ უბანზე საარტილერიო ცეცხლი გაგვეძლიერებინა და კვამლის საბურველი მოგვეწყო.

კვამლის საბურველსმოფარებით 220-ე გვარდიული პოლკის პირველი ბატალიონის საიერიშო რაზმის რამდენიმე მეავტომატემ გასვლა მოასწრო და არხის გალმა ნაპირზე განლაგებული კუთხის სახლი ხელთ იგდო. მაგრამ გამოჩნდნენ თუ არა ჩვენი ტანკები, უმალვე ამოქმედდნენ მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილები. ხიდსმიახლოებული ერთი ტანკი დააზიანა ჩვენი მეავტომატეების მიერ უკვე დაკავებული კუთხის სახლის მესამე სართულის აივანზე თავის ბუდეში რაღაც სასწაულით გადარჩენილი ჰიტლერელის მიერ ნასროლმა ფაუსტპატრონმა.

თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო ტანკისტების ცდა — თავიანთი მრისხანე მანქანებით შეჭრილიყვნენ ტირგარტენში. მაგრამ ისევ ჯარისკაცულმა საზრიანობამ გვიშველა. ტანკებს კვამლის მაშხალები დაკიდეს. როცა ისინი ხიდს მიუახლოვდნენ, მაშხალებს ცეხლი წაუკიდეს. ჰიტლერელები დაიბ-

ნენ: ალმოდებული ტანკი წინ მიიწევს და შეუჩერებლივ განაგრძობს ცეცხლის დაშენას. დაბნეულობის ეს რამდენიმე წამი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ტანკი ხიდზე გასულიყო და კუთხის სახლის ეზოში შეეფარებინა თავი. აქედან ტანკისტები საიერიშო რაზმის მეავტომატეებთან ურთიერთმოქმედებით შეუდგნენ კვარტალის გაწმენდას, რომელიც ბერე პლაცდარმად გამოვიყენეთ იერიშის შემდგომ გასავითარებლად.

კუზიანი ხიდისათვის ბრძოლაში თავი გამოიჩინა პოლკის პარტორგმა კაპიტანმა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ევდოკიმოვმა. ტყვია არ ეკარებოდა თითქოს. მან ერთ-ერთმა პირველთაგანმა გადაირბინა ხიდი, შემდეგ ორჯერ დაბრუნდა უკან და თან პოლკის მეომრები გაიყოლია. ოქროს ვარსკვლავის კავალერმა ევდოკიმოვმა, რომელმაც მაღალი წოდება ვისლაზე გმირობისათვის მოიპოვა, აქაც მამაცობისა და გამბედაობის ნიმუში გვიჩვენა.

თავის პარტორგს მიბაძა საბჭოთა კავშირის მეორე გმირმა იმავე პოლკიდან ლეიტენანტმა პავლე ვასილის ძე ზუბენკომ, ნაღმმტყორცნელთა ოცეულის მეთაურმა. იგი სწრაფად გაჩნდა არხის გაღმა ნაპირზე, თავის ხელქვეითებით სახლის სახურავზე ავიდა, ნაღმსატყორცნები აზიდა და იქიდან შეუდგა ნაღმებით ესესელების გამასპინძლებას. ყოველი ნაღმი მიზანს ზუსტად ხვდებოდა, რადგან ზემოდან კარგად ჩანდა, სად იყო თავმოყრილი მოწინააღმდეგის ძალები და მისი საცეცხლე წერტები.

წყლის ზღუდის გადალახვა იმავე დღეს 74-ე გვარდიული დივიზიის საიერიშო რაზმებმაც შეძლეს. ვიდრე არხს გადალახავდა, უფროსი ლეიტენანტის ალექსანდრე ნიკიტას ძე გუდანოვის რაზმმა აიღო კვარტალი, რომელიც არხს რკალის ბოლოს მარჯვენა ფლანგზე ეკვროდა. გუდანოვი და მისი მებრძოლები სქელი კვამლის საბურველის ქვეშ ნაპირზე ისე შეიჭრნენ, რომ არ შეჩერებულან განაპირა სახლების სარდაფებში ჩასაფრებული მტრის მეავტომატეთა გასანადგურებლად.

ტყვიამფრქვევების ერთი ნაწილი მან არხის მიმართულებით შეაბრუნა, ხოლო მეორე — ალყაშემორტყმული გარნი-

ზონის წინააღმდეგ, და დაელოდა სხვა ქვეგანაყოფების მოსვლას, რომლებიც ბატალიონის მეთაურის ხელმძღვანელობით არხის გადალახვას შეუდგნენ. მაგრამ ამ დროს მტერმა ცეცხლი ზურგიდან დაუშინა. ბატალიონის მეთაური მოკლეს. ბატალიონს სათავეში გუდანოვი ჩაუდგა. რამდენიმე ქვეგანაყოფი მტრის გარემოცული გარნიზონის მოსასპობად გაიგზავნა, დანარჩენები არხის გადასალახად ემზადებოდნენ. მაღე გარემოცული კვარტალის თავზე წითელი დროშა აფრიალდა. ამ დროს საიერიშო ჯგუფებმა, რომლებსაც გუდანოვი ხელმძღვანელობდა, არხი გადალახეს და გაღმა ნაპირზე გამაგრდნენ. ამგვარად, დივიზიის ფლანგი დაცული აღმოჩნდა და მტრის ყველა სატყვიამფრქვეველ წერტი, რომლებიც ცეცხლს არხის გასწვრივ უშენდა, ორივე მხრიდან ჩვენი ქვემეხებისა და ტყვიამფრქვეველების ცეცხლის ქვეშ აღმოჩნდა. ამან არხზე გადასელა უმალვე შეამსუბუქა.

რთული და მძიმე ბრძოლა გადაიტანა მე-4 მსროლელთა კორპუსის 47-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის მსროლელთა ბატალიონის მეთაურმა მაიორმა ვლადიმერ სტეფანეს ძე ნოვიკოვმა. ტირგარტენის პარკის რაიონში არხი რომ გაღალახა, თავის მებრძოლებთან ერთად ესესელების განლაგებაში აღმოჩნდა. შეტაკება ექვს საათს გაგრძელდა. იხმარეს ხელყუმბარები, დანები. ესესელების მხარეზე იყო წინასწარ მომზადებული პოზიციები და საფარები, ნოვიკოვისა და მისი მებრძოლების მხარეზე — თავდადებული სიმამაცე და ჯერ კიდევ ვოლგის ნაპირებზე ქუჩის ბრძოლებში შეძენილი გამოცდილება. გაიმარჯვეს გვარდიელებმა. მონკეს ესესელები გაანადგურეს და ნაწილობრივ დაატყვევეს, თუმცა ისინი ფიცს სდებდნენ, რომ ვიდრე ტყვედ ჩავარდებოდნენ, ბოლო ტყვიას გულში იხლიდნენ. თუმცა ვაზნები ჯერ კიდევ დარჩათ, ხელები მაინც მაღლა აწიეს.

შესანიშნავად მოქმედებდა 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის 39-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი, ოცდაორი წლის ნიკოლოზ პიმენის ძე ბალაკინი. მან საკანალიზაციო მილები დაზვერა და გაბედული გადაწყვეტილება მიიღო: მილებით გასულიყვნენ

არხამდე, შემდეგ ცურვით გადასულიყვნენ არხის გაღმა კედელთან და იქ კვლავ ჩასადენი მილებით შეეღწიათ მოწინააღმდეგის ხურგში. მანევრი ბრწყინვალედ განხორციელდა. ბალაკინის ასეულმა მტრის ორი გარნიზონი გაანადგურა, დაატყვევა ფოლკსშტურმის ბატალიონის 68 მეავტომატე და შეტყვიამფრქვევე. ბალაკინი დაიჭრა, მაგრამ დამხმარეთა მოსვლამდე ხელმძღვანელობდა ბრძოლას.

ასეთივე გზით გადალახეს არხი რაზმის საიერიშო ჯგუფებმა, რომლებსაც მეთაურობდა უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე სტეფანეს ძე კლიმუშკინი—39-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის 120-ე გვარდიული მსროლელთა პოლკიდან. ჩასადენი მილებითა და კავშირგაბმულობის მიწისქვეშა კომუნიკაციებით მან თავისი მებრძოლები მიიყვანა მეკერნ-ბრიუკეს რკინიგზის სადგურის ახლოს განლაგებულ ხიდქვეშ და იქიდან მძაფრი იერიშით ვაგზალში შეიჭრა. მალე მთელი ბატალიონი, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი მიხეილ პაველეს ძე კარნაუშჩენკო მეთაურობდა, არხის გაღმა ნაპირზე აღმოჩნდა და ვაგზლისწინა კვარტალს შეუტია.

იმავე დღეს მთელ არმიას მოედო სასიხარულო ცნობა პოლკის უშიშარი კომორგის უფროსი ლეიტენანტის ლეონიდ ლადიჟენკოს ახალი გმირობის შესახებ. საოცრად მამაცი ადამიანი იყო. ჯერ კიდევ წარსულ ბრძოლებში იერიშის დროს იგი სასულე გარმონით მიდიოდა. როცა დაინახავდა, რომ მებრძოლები მტრის ცეცხლს წაუწყებოდნენ, ლადიჟენკო გარმონს ტუჩებთან მიიტანდა, რაიმე მხიარულს დაუკრავდა და წინ პირველი წავიდოდა, მებრძოლებიც წამოიმართებოდნენ და საიერიშოდ გაჰყვებოდნენ მას. მაღალი იყო, მოქნილი, მოხერხებული, ბრძოლაში შიში რა იყო, მართლაც არ იცოდა. ასე იყო ჩრდილოეთ დონეცზე, ზაპოროჟიესთან, ვისლაზე, ოდერის პლაცდარმზე. აქ კი, ლანდვერზე მან არხი ღამით გადაცურა, ისე, რომ გარმონზე დაკვრა არ შეუწყვეტია, ამით თავის ადგილსამყოფელს მიანიშნებდა. გათენებისას გარმონი დადუმდა. როცა ამხანაგები მიუახლოვდნენ, ლადიჟენკომ დასისხლიანებული ლოყები უჩვენა: ტყვიას ისინი გამჭოლად გაეხვრიტა. მაგრამ კომორგმა ბრძოლის ველი არ მიატოვა, ვიდრე

მეორედ, ამჯერად მძიმედ არ დაიჭრა. ნაღმის ნამსხვრევებმა ხერხემალი დაუზიანა.

აი, ასეთი ადამიანები მივიდნენ ბერლინში!

არმიის ჯარებმა ლანდვერის არხის გაღმა ნაპირზე რამდენიმე მცირე პლაცდარმი დაიკავეს და სამხრეთიდან შეუტიეს ტირგარტენს. ყველა ნაწილის დარტყმა, მათ შორის იმ ნაწილებისა, რომლებიც ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან უტევდნენ, მიმართული იყო კუნძულის ცენტრისაკენ, სადაც ჰიტლერის ბანაკი იმყოფებოდა და საიდანაც ისევ იძლეოდნენ ბრძანებებს უაზრო ბრძოლის განგრძობის შესახებ.

ტირგარტენის ტერიტორია მოგაგონებდათ ძალზე წაგრძელებულ ელიფსს — რვა კილომეტრის სიგრძითა და ორი კილომეტრის სიგანით. ეს იყო ყველაფერი, რაც დარჩა ფაშისტური იმპერიისაგან — კუნძული გარემოცული ცეცხლოვანი რკალით, რომელიც სულ უფრო და უფრო იკუმშებოდა.

ტირგარტენის დასავლეთ ნაწილში დიდი პარკი და ზოოლოგიური ბაღია. პარკის ცენტრში იდგა რკინა-ბეტონის ორი მძლავრი ექვსსართულიანი ბუნკერი, სამი სართული — მიწის ქვეშ, სამი — მიწის ზევით. ორმეტრიანი კედლები სათოფურებითა და ფოლადის დარაბებიანი სამზერებით, საიმედოდ იცავდნენ იქ მოთავსებულ კავშირგაბმულობის კვანძებს, მართვის პუნქტებსა და ბერლინის საჰაერო თავდაცვის შტაბებს. ბუნკერების სახურავებზე საზენიტო ბატარეები იყო განლაგებული.

ტირგარტენის აღმოსავლეთ ნაწილში ბევრი დიდი შენობაა. ერთ-ერთ მათგანს — პირქუშ, კუთხოვან, მასიურ კვადრატულსვეტებიან შენობას მთელი ფოსშტრასეს ქუჩა უჭირავს. სწორედ ესაა იმპერიის ახალი კანცელარია. ამ შენობის სამსართულიან მიწისქვეშა თაღშესაფარში დაიდო თავისი უკანასკნელი ბინა ჰიტლერმა. ტყვეებმა თქვეს, რომ მარტიდან მოყოლებული ფიურერი არსად გამოჩენილა. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მასთან ერთად იმპერიის კანცელარიის მიწისქვეშეთში არიან გებელსი, ბორმანი, გენერალური შტაბის უფროსი კრებსი. რომელმაც ამ პოსტზე გუდერიანი შეცვალა, და მრავალი სხვა მაღალი თანამდებობის მოხელე, სულ ექვსასამდე კაცი.

აქ იყრის თავს მესამე რაიხის ჯარების ხელმძღვანელობის ყველა ძაფი, და იმაზე, თუ რამდენად მალე იქნება აღებული ეს ბუდე, ჰიტლერის უკანასკნელი ციტადელი, დამოკიდებულია საომარი მოქმედების დამთავრება არა მარტო ბერლინზე, არამედ გერმანიის მთელს ტერიტორიაზე.

იმპერიის კანცელარიის ჩრდილოეთით, ბრანდენბურგის ჭიშკართან დგას რაიხსტაგი — მაღალი, გუმბათიანი შენობა. იგი დაზიანდა ბომბების პირდაპირი დარტყმებით და ახლა წარმოადგენდა ცარიელ მასიურ კოლოფს, რომელიც თავდაცვისათვის მოსახერხებელი იყო როგორც ტაქტიკური საყრდენი პუნქტი.

ოპერის თეატრი, სასახლეები, მუზეუმები — ყოველივე ეს ჰიტლერელებმა საყრდენ პუნქტებად და წინააღმდეგობის მძლავრ კვანძებად აქციეს.

ყოველი ნაბიჯი აქ დიდ შრომად და მსხვერპლად გვიღირდა. მესამე რაიხის თავდაცვის ამ უკანასკნელი რაიონისათვის ბრძოლა საბჭოთა მეომრების მასობრივი გმირობით აღინიშნა. ნანგრევთა ქვები და აგურები, გერმანელთა დედაქალაქის მოედნებისა და ქუჩების ასფალტი მორწყული იყო საბჭოთა ადამიანების, და მერე რა ადამიანების, სისხლით. ისინი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მიდიოდნენ გაზაფხულის მზიან დღეს. მათ სიცოცხლე სწყუროდათ. დედამიწაზე სიცოცხლის, ბედნიერების დასამკვიდრებლად ვოლგიდან მოყოლებული ბერლინამდე გაკვალეს გზა, ცეცხლსა და სიკვდილს შერკინებულებმა.

დადგა დღე და რაიხსტაგის შეკვარტლული სვეტები და კედლები მრავალი წარწერითა და სახელით აჭრელდა. ეს წარწერები რაიხსტაგის სვეტებზე — ომისა და გამარჯვების განუმეორებელი ძეგლია, რომელზეც უკეთესსაც ვერ შექმნის მსოფლიოს ვერც ერთი მხატვარი. იმ დღეებში ჩვენ ფიცს ვდებდით დაღუპულ მეომართა საფლავებთან, რომ შეეინახავდით ბერლინის უკანასკნელი შტურმის გმირთა ხსოვნას, რათა ჩვენს შვილთაშვილებს სცოდნოდათ ვისი სიცოცხლისა და სისხლის ფასად მოვიპოვეთ გამარჯვება ფაშიზმზე. რევანშისტებმა რაიხსტაგის კედლებზე წაშალეს განმათავისუფლებელი არმიის ცოცხალ და დაღუპულ ჯარისკაცთა სახელები, მაგრამ ისი-

ნი უძლურნი არიან წაშალონ ჩვენი მეომრების დიდებით მოსილი გმირობა საბჭოთა ხალხის ხსოვნაში, მთელი პროგრესული კაცობრიობის ხსოვნაში.

დიდებით მოსილი მრავალი სახელი ჩაიწერა იმ საბჭოთა ჯარების გმირობის მატიანეში, რომლებმაც ბერლინი შტურმით აიღეს. მრავალ მათგანს მთელი საბჭოთა ხალხი იცნობს, ბევრზე ჯერ კიდევ მოსათხრობია. ეს მწერლების, პოეტების, ისტორიკოსების საპატიო და კეთილშობილი ამოცანაა. მაშინ, ბრძოლის დღეებში, უბრალოდ დროც არ იყო, შეგვეგროვებინა მასალები გმირობაზე: ცოცხლები იბრძოდნენ, მკვდრები კი თავის თავზე არ ლაპარაკობენ.

ვხელმძღვანელობდით ფორმულით: „გმირი მარტო ის როდია, ვინც ამოცანის შესრულებისას დაიღუპა. ორგზის გმირია ის, ვინც სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა, მაგრამ შეძლო ამოცანის შესრულება და გადარჩა, რათა ეცოცხლა და ცხოვრება შეექმნა“. სწორი ფორმულაა, მან თავისი როლი შეასრულა. სწორედ მათზე, ცოცხლებზე დაყრდნობით დავაგვირგვინეთ საქმე. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ არც ერთი ჯარისკაცი, ვინც საკუთარი სიცოცხლის ფასად გამარჯვებისკენ გზა გაგვიკვალა.

კრეგსის ვიზიტი

1

ორ დღეს — 29 და 30 აპრილს — ფრონტის ჯარებმა გატეხეს მტრის მზარდი შეუპოვრობა, განსაკუთრებით ესესელთა ბატალიონებისა და უფრო ღრმად შეიჭრნენ ბერლინის მთავრობის კვარტალებში: მე-8 გვარდიული არმიისა და გენერალ კატუკოვის პირველი გვარდიული სატანკო არმიის ჯარები — სამხრეთიდან, გენერალ კუზნეცოვის მე-3 დამკვრელი არმიისა და გენერალ ბერზარინის მე-5 დამკვრელი არმიის ჯარები — აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან, გენერალ ბოგდანოვის მე-2 გვარდიული სატანკო არმიის ტანკისტები — დასავლეთიდან, მარშალ კონევის ჯარები — სამხრეთ-დასავლეთიდან.

საღამოს, როცა ჩემი სათვალთვალო პუნქტიდან არმიის შტაბში იოჰანისტალის რაიონში დავბუნდი, ტელეფონით დამირეკა ფრონტის სარდალმა მარშალმა ჟუკოვმა. მან მკითხა:

— გაქვთ იმედი, რომ პირველი მაისის დღესასწაულისათვის ბერლინს მთლიანად გავწმინდავთ?

მე ვუპასუხე, რომ თუ ვიმსჯელებთ მტრის წინააღმდეგობის მიხედვით, რომელიც, მართალია, სუსტდება, სწრაფი კაპიტულაციის იმედი არ უნდა გვქონდეს.

ამით ჩვენი საუბარი დამთავრდა. მარშალმა ჟუკოვმა არავითარი მითითება არ მომცა, რადგან იცოდა, რომ ამოცანა ყველასათვის ნათელი იყო.

კარგ, ხალისიან გუნებაზე ვიყავი: ომი მალე დამთავრდება. არმიის პოლიტიკური განყოფილების მუშაკებმა ვახშმად და და მომავალ საქმეებზე სასაუბროდ მიმიწვიეს. პოლიტგანყოფილებაში იყვნენ მწერლები ვსევოლოდ ვიშნევსკი, კონსტან-

ტინე სიმონოვი და ევგენი დოლმატოვსკი, კომპოზიტორები ტიხონ ხრენიკოვი და მატვეი ბლანტერი. ვიდრე სუფრა იშლებოდა, ტიხონ ხრენიკოვი როიალს მიუჯდა და შეასრულა სიმღერა კინოფილმიდან „მეღორე ქალი და მწყემსი", მატვეი ბლანტერმა კი — ვალსი „ფრონტისპირა ტყეში". სუფრას უნდა მივსხდომოდით, როცა ჩემთან პოლიტგანყოფილების მორიგე მოვიდა და მითხრა, რომ სასწრაფოდ ტელეფონთან მიხმობენ. მორიგის ოთახში შევედი, ყურმილი ავიღე. ლაპარაკობდა მე-4 გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ვ. ა. გლაზუნოვი. აღელვებული, ოდნავ საზეიმო ტონით მომახსენა:

— 35-ე დივიზიის 102-ე გვარდიული მსროლელთა პოლკის წინა ხაზზე გერმანელთა არმიის თეთრალმიანი პოდპოლკოვნიკი გადმოვიდა. მას აქვს პაკეტი რუსეთის ჯარების სარდლობის სახელზე. გერმანელი ითხოვს, რომ სასწრაფოდ მიიყვანონ ზემდგომ შტაბში მნიშვნელოვანი ცნობის გადასაცემად. მან არხი გადმოლახა კიდული ხიდის უბანზე. ამ პოდპოლკოვნიკის გვარია ზაიფერდი. ახლა იგი დივიზიის შტაბშია. აქვს ვერმანელთა მთავარსარდლობის რწმუნებანი. თხოულობს, რომ მიეუთითოთ ადგილი და დრო გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლების ფრონტის ხაზზე გადმოსასვლელად.

— გასაგებია, —ვუპასუხე, — გადაეცით პოდპოლკოვნიკს, რომ მზად ვართ მივიღოთ პარლამენტიორები. ისინი იმავე უბანზე გადმოიყვანოს, სადაც თვითონ გადმოვიდა, კიდული ხიდით.

— თქვენს მითითებას ახლავე გადავცემ დივიზიის შტაბს,— თქვა გლაზუნოვმა.

— ამ უბანზე ცეცხლი შეწყვიტეთ, პარლამენტიორები მიიღეთ და გამოგზავნეთ ჩემს მოწინავე საკომანდო პუნქტზე, ახლავე მივდივარ იქ.

ამის შემდეგ ტელეფონთან გამოვიძახე არმიის შტაბის უფროსი ვ. ა. ბელიავსკი და ვუბრძანე, უზრუნველეყო საიმედო კავშირი. მერე ყველაფრის შესახებ ტელეფონით მოვახსენე ფრონტის სარდალს და გენერლებთან პოჟარსკისთან და ვაინრუბთან ერთად ჩემი საკომანდო პუნქტისაკენ წავედი.

ჯერ არ ვიცოდი რით მოვიდოდნენ პარლამენტიორები, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სერიოზული ამბები მწიფდებოდა.

სამუშაო ოთახში შესვლაც კი ვერ მოვასწარი, რომ მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა. ყურმილში მომესმა კარგად ნაცნობი ხმა მწერალ ვსევოლოდ ვიშნევსკისა, რომელიც ოდერიდან დაწყებული მე-8 გვარდიულ არმიაში იყო. როცა გაიგო, რომ საკომანდო პუნქტზე გერმანიის მთავარსარდლობის წარმომადგენლებს — პარლამენტიორებს ველოდებოდი, ყველა ღმერთი მოიხმო და შემევედრა, ღვიძლი მამაც კი მიწოდა, ოღონდ საკომანდო პუნქტზე მოსვლისა და მოლაპარაკებაზე დასწრების ნება მიმეცა. ასეთი ამბავი ჩვენმა მწერლებმაც უნდა იცოდნენ. ისინიც ხომ ჩვენს ჯარებთან ერთად მოდიოდნენ ვოლგიდან ბერლინამდე, შეძლებისდაგვარად გვეხმარებოდნენ. და ბევრი მათგანი ჯარისკაციით ილუპებოდა. ვინ, თუ არა მწერალმა უნდა აღწეროს ჩვენი მეომრების ცხოვრების ღირსშესანიშნავი ამბები. ვიშნევსკი მოვიწვიე.

ამის შემდეგ ტელეფონთან გამოვიძახე გენერალი ბელიავსკი და ვუბრძანე ჩემთან გამოცხადებულიყო არმიის შტაბის სადაზვერვო განყოფილების ოფიცრებთან და მთარგმნელებთან ერთად.

დაიწყო მოსაბეზრებელი ლოდინი. ოთახში მხოლოდ მე და ადიუტანტი ვართ. საათნახევარმა განვლო. გვიანი ღამეა, მაგრამ არ მეძინება. თავში მოგონებები მიტრიალებს. ომი უკვე ოთხ წელს გრძელდება. თვალწინ ვოლგა მიდგას, ახლა უკვე შორეული და იმავდროულად ახლობელიც — მდინარეზე ცეცხლწაკიდებული ნავთი დაღვრილა, მძვინვარე ალი ყველაფერსა ნთქავს — კარჭაპებს, ნავებს. აი, გებელსისეული პროპაგანდის ფურცლები, ჰიტლერელები ამ ფურცლებით ჩვენს მებრძოლებს აცნობდნენ, რომ „დეზერტირად ჩათვლიან ყველას, ვინც არ დანებდება ვოლგის დასავლეთ ნაპირზე, ხოლო ვინც აღმოსავლეთ ნაპირზე გადავა, ისინი ბოროტმზრახველ დეზერტირთა სიაში ჩაირიცხებიან...“, აი, ზაპოროჟიე, ღამის შტურმი, ნიკოპოლი, ოდესა, ლიუბლინი, ლოძი. და, აი, ბოლოს — ბერლინი. საბჭოთა მეომრები რომლებმაც ვოლგაზე წმიდათაწმიდა საზღვრები დაიცვეს, ახლა შპრეესთან დგანან.

დროებით იარაღი ძირს დაუშვიათ და მოელიან პარლამენტიორებს ვერმახტის ხელმძღვანელობისაგან, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ დარწმუნებული იყვნენ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს სწრაფად მოუღებდნენ ბოლოს. პარლამენტიორები მესამე რაიხის მეთაურებისაგან. ამ მეთაურებს ხომ არ ჰგონიათ, რომ ჩვენ გულმავიწყები ვართ და აღარ გვახსოვს მილიონობით მოკლული, ათობით მილიონი ქვრივი და ობოლი, სახრჩობელები და სულსახუთავები, მაიდანეკი და სიკვდილის სხვა ბანაკები?..

ადიუტანტსაც არ ძინავს. იგი სდუმს, ხმას არც მე ვიღებ, მაგრამ ორივეს კარგად გვესმის ერთმანეთისა. ველით. ელიან ჩვენი გვარდიელები ლანდვერ-კანალზე. არ ისვენებენ, გამზადებულნი არიან და თუ მტერი იარაღს არ დაყრის, კვლავ იერიშზე გადავლენ...

კარი ხმაურით გაიღო, ზღურბლზე ვსევოლოდ ვიშნევსკი დგას. იგი მარტო არ არის — მწერლები მარტონი არ დადიან. ფეხდაფეხ ოთახში შემოჰყვა პოეტი ევგენი დოლმატოვსკი, რომელიც 62-ე არმიის მებრძოლებს ჯერ კიდევ ვოლგის ნაპირებიდან იცნობს და დიადი ბრძოლისა და პაულუსის არმიის კაპიტულაციის ცოცხალი მოწმეა. აქვეა კომპოზიტორი მატვეი ბლანტერი, რომელსაც ოდერზე შეხვედრის შემდეგ, ვსევოლოდ ვიშნევსკისა არ იყოს, მეგობრულად მოტიას ვუძახი.

მაგრამ ამჯერად ჩვეულებრივად ვერ ვსაუბრობთ. ყველა ფიქრობდა, ცდილობდა შეეფასებინა მოახლოებული მოვლენები. ყველა თამბაქოს ეწეოდა თავდაუზოგავად, ხშირად გადიოდნენ შავსვეტებიან დარბაზში, რომ უზომოდ გრძელი წუთების წამები ნაბიჯებით ეზომათ.

აი, უკვე დილის სამი საათია... — ოთხის ნახევარი... ირიჟრაჟა. გათენდა პირველი მაისის დილა... ბერლინი მოლუშულია, იქ კი სამშობლოში, მის აღმოსავლეთ რაიონებში, უკვე საპირველმაისო დემონსტრაციები დაიწყო. შუა ევროპის დრო ჩვენსას ჩამორჩება — მზე აღმოსავლეთიდან ამოდის! იქ, ციმბირში, ურალში, მოსკოვში, ხალხმა უკვე გაიღვიძა და მოელის ცნობებს იმის შესახებ, თუ რა ხდება ახლა ფრონტზე, ბერლინში.

ბოლოს, როგორც იქნა, 3 საათსა და 55 წუთზე კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა გერმანელი გენერალი, რომელსაც ყელზე რკინის ჯვრის ორდენი ეკიდა და სახელოზე ფაშისტური სვასტიკა ეკეთა.

დავაცქერდი. საშუალო ტანის, ჩასხმული კაცია, თავგაპარსული, სახენაიარევი. მარჯვენა ხელით თავისებურად, ფაშისტურად მესალმება; მარცხენით საბუთს მაწვდის — ჯარისკაცის წიგნაკს. ეს არის გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი გენერალი კრებსი. მასთან ერთად შემოვიდნენ 55-ე სატანკო კორპუსის შტაბის უფროსი გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ფონ დუფვინგი და თარჯიმანი.

კრებსი შეკითხვას არ დაელოდა.

— ვილაპარაკებ განსაკუთრებით საიდუმლოდ, — განაცხადა მან, — თქვენ პირველი უცხოელი ხართ, რომელსაც ვაცნობებ, რომ ოცდაათ აპრილს ჰიტლერი საკუთარი ნებით წავიდა ჩვენგან, თავი მოიკლა.

კრებსმა, წარმოთქვა ეს წინადადება და შეისვენა, თითქოს გვამოწმებდა, როგორი გავლენა მოახდინა ჩვენზე ამ ამბავმა. იგი, როგორც ჩანს, მოელოდა, რომ კითხვებს დავაყრიდით, ცხოველ ინტერესს გამოვიჩენდით ამ სენსაციისადმი. მე კი დინჯად, აუჩქარებლად მივუგე:

— ჩვენ ვიცით!

შემდეგ გავჩუმდი და კრებსს ვთხოვე, დაეზუსტებინა, — როდის მოხდა ეს.

კრებსი შესამჩნევად შეცბა. არ მოელოდა, რომ მისი სენსაციური განცხადება ფუჭი გასროლა იქნებოდა.

— ეს მოხდა დღეს, თხუთმეტ საათზე, — მიპასუხა მან. დაინახა, საათს რომ დავხედე და დააზუსტა: — გუშინ, ოცდაათ აპრილს, დაახლოებით თხუთმეტ საათზე.

შემდეგ კრებსმა წაგვიკითხა გებელსის მიმართვა საბჭოთა უმაღლესი სარდლობისადმი, რომელშიც ნათქვამი იყო: ჩვენგან წასული ფიურერის ანდერძის თანახმად რწმუნებას ვაძლევთ გენერალ კრებსს შემდეგში:

ვაცნობებთ საბჭოთა ხალხის ბელადს, რომ დღეს 15 საათსა და 50 წუთზე ფიურერი თავისი ნებით გამოეთხოვა წუ-

თისოფელს. მისი კანონიერი უფლების საფუძველზე ფიურერ-მა დატოვებული ანდერძით მთელი ძალაუფლება გადმოგვცა დენიცს, მე და ბორმანს. ბორმანმა რწმუნება მომცა, რომ კავშირი დავამყარო საბჭოთა ხალხის ბელადთან. ეს კავშირი საჭიროა მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი დანაკარგი განიცადეს. გებელსი".

კრებსმა გადმომცა კიდევ ორი დოკუმენტი: რუსეთის უმაღლეს ხარდლობასთან მოლაპარაკებაზე მის რწმუნებათა შესახებ (იმპერიის კანცელარიის უფროსის ბეჭდიან ბლანკზე ბორმანის მიერ 1945 წლის 30 აპრილს ხელმოწერილი) და ჰიტლერის ანდერძი იმპერიის ახალი მთავრობისა და გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის სიითურთ (ეს დოკუმენტი ხელმოწერილია ჰიტლერისა და მოწმეების მიერ; აღნიშნულია დრო — 1945 წლის 29 აპრილი, 4 საათი და 00 წუთი).

კრებსს თითქოს სურდა ამ დოკუმენტებით თავი აერიდებინა შეკითხვებისაგან, რომლებსაც, რასაკვირველია, მოელოდა. იგი გრძნობდა უხერხულობასა და სიძნელეს იმ დიპლომატისას, რომელიც იმიტომ კი არ მოვიდა, რომ უბრალოდ ერთი მხარე მეორეს წარუდგინოს, არამედ „პარდონის" მოსახდელად. რასაკვირველია, მას სურდა ფრთხილად მოვესინჯეთ, გაეგო შეიძლებოდა თუ არა რაიმე გამოეტყუა თავის სასარგებლოდ და საამისოდ ეთამაშა ჩვენს საფუძვლიან უნდობლობაზე ანტიჰიტლერული კოალიციის მოკავშირეების მიმართ, ვინც ასე გააჭიანურა მეორე ფრონტის გახსნა. ამასთანავე, ამ მოურჯულებელ ნაცისტს, უჭირდა თავი დამარცხებულად ეცნო. იგი ხომ პირადად მონაწილეობდა აღმოსავლეთისაკენ ლაშქრობაში.

რატომ ვუპასუხე კრებსს, რომ ჰიტლერის თვითმკვლელობა ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო?

უნდა ვაღიარო, რომ ჰიტლერის სიკვდილის შესახებ არაფერი ვიცოდი და ამის გაგებას არც კრებსისგან მოველოდი. მაგრამ, ამ საუბრისათვის როცა ვემზადებოდი, განვეწყვე საამისოდ, რომ ყოველგვარ მოულოდნელობას მშვიდად შეეხვედ-

როდი და ოდნავი განცვიფრებაც კი არ გამომემჟღავნებინა, არ გამეკეთებინა ნაჩქარევი დასკვნები. ვიცოდი, გამოცდილი დიპლომატი (კრებსი სწორედ ასეთი იყო) საუბარს არასოდეს დაიწყებს იმ საკითხით, რომელიც მისთვის მთავარია. იგი ჯერ მოსინჯავს აუცილებლად თანამესაუბრის განწყობილებას და შემდეგღა შეეცდება საუბრის ისე წარმართვას, რომ მთავარ საკითხს პირველად ის შეეხოს, ვინც უნდა გადაჭრას ეს საკითხი.

ჩემთვის და მოლაპარაკების დამსწრე ყველა პირისათვის ჰიტლერის სიკვდილი ნამდვილად პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ახალი ამბავი იყო, მაგრამ კრებსისათვის იგი ძირითადი, უმთავრესი საკითხის მხოლოდ დიპლომატიურ შენიღბვას წარმოადგენდა. ამიტომ მაშინვე მისი ცდა — საუბრის გეზი შეეცვალა — თავშივე აღვკვეთე და ვაიძულე იმ საქმეზე გადასულიყო, რომლისთვისაც ჩვენთან მოვიდა.

— ამ დოკუმენტებში ბერლინზეა ლაპარაკი თუ მთელს გერმანიაზე? — ვკითხე.

— გებელსის მიერ უფლებამოსილი ვარ ვილაპარაკო მთელი გერმანელთა არმიის სახელით, — იყო პასუხი.

ტელეფონით მარშალ ჟუკოეს დავუკავშირდი, მოვახსენე, რომ კრებსი უფლებამოსილია დროებით შეწყვიტოს საომარი მოქმედება. ჟუკოვი კრებსს ეკითხება, გულისხმობს თუ არა იგი კაპიტულაციას.

— ომის შეწყვეტის სხვა საშუალებები არსებობს, — უპასუხა კრებსმა. — ამისათვის შეკრების შესაძლებლობა უნდა მიეცეს ახალ მთავრობას დენიცის მეთაურობით, რომელიც საკითხს გადაწყვეტს საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების გზით.

— რა მთავრობაზეა ლაპარაკი, თუ თქვენმა ფიურერმა თავი მოიკლა და ამით აღიარა იმ რეჟიმის უსუსურობა, რომელსაც თვითონ მეთაურობდა. მას, ალბათ, დარჩა მოადგილეთაგან ვინმე, ვისაც უფლება აქვს გადაწყვიტოს, გაგრძელდეს თუ არა სისხლისღვრა. ვინ ცვლის ახლა ჰიტლერს?

— ახლა ჰიტლერს გებელსი ცვლის. იგი კანცლერად დანიშნეს. მაგრამ სიკვდილის წინ ჰიტლერმა შექმნა ახალი მთავ-

რობა პრეზიდენტის — გროსადმირალ დენიცის მეთაურობით.

ვიდრე კრებსს ვესაუბრებოდი, ჩემი ადიუტანტი, ვსეეოლოდ ვიშნევსკი და ევგენი დოლმატოვსკი გულმოდგინედ იწერდნენ ყოველ სიტყვას, სხვაზე რა მოგახსენოთ და მდივნები კი, ამ მოლაპარაკების დროს ბევრი გვყავდა.

სიტყვამ მოიტანა: რამდენიმე წლის წინ ვსეეოლოდ ვიშნევსკის ქვრივმა სოფიო კასიანეს ასულმა ვიშნევსკაიამ მთხოვა, დავთანხმებულიყავი კრებსთან ჩემი მოლაპარაკების დროს მისი მეუღლის მიერ გაკეთებული ჩანაწერების გამოქვეყნებაზე. ყურადღებით წავიკითხე ისინი და თანხმობა მივეცი: ჩანაწერები ფრიად ზუსტი, თუმცა რასაკვირველია, არასრული იყო. მაგრამ ამისათვის მწერლის გამტყუნება არ შეიძლება. მოლაპარაკებაში ჩემსა და კრებსის გარდა ხომ ფრონტის სარდლობაც მონაწილეობდა და, რასაკვირველია, დამსწრეებმა არ იცოდნენ ტელეფონით საუბრის შინაარსი.

საბედნიეროდ, მეხსიერებამ კარგად შემომინახა იმ ღამის წვრილმანები და შეეცდები აღვადგინო ისინი მაქსიმალურად შესაძლებელი სიზუსტით.

ჩემს შეკითხვებზე კრებსისაგან პირველი პასუხები რომ მივიღე, გადავწყვიტე ტელეფონით დამერეკა ფრონტის სარდლისათვის. ვიღებ ტელეფონის ყურმილს, ვთხოვ მარშალ ჟუკოვს, ვახსენებ:

— ჩემთან მოვიდა გერმანიის სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი გენერალი კრებსი. მან მაცნობა, რომ ჰიტლერმა თავი მოიკლა. გებელსმა როგორც კანცლერმა, და ბორმანმა როგორც ნაცისტური პარტიის თავმჯდომარემ — რწმუნება მისცეს მას, რომ ჩვენთან აწარმოოს მოლაპარაკება დაზავების შესახებ. კრებსი თხოულობს შევწყვიტოთ საომარი მოქმედება მოლაპარაკების პერიოდში, მივცეთ შესაძლებლობა, რომ პრეზიდენტ დენიცის მეთაურობით შეიკრიბოს ახალი მთავრობა, რომელიც გადაწყვეტს ომის შემდგომი მსვლელობის საკითხს.

გ. კ. ჟუკოვმა მითხრა, რომ დაუყოვნებლივ მოახსენებს მოსკოვს, მე კი ტელეფონთან უნდა მოვუცადო: შესაძლოა შეკითხვები ჰქონდეთ და საჭირო იქნება ახსნა-განმარტება.

ერთი წუთის შემდეგ მკითხა:

— როდის მოიკლა თავი ჰიტლერმა?

შეგნებულად მეორედ ვუსვამ კრებსს ამ შეკითხვას, რადგან პირველად მან, არ ვიცი, მექანიკურად თუ შეგნებულად, ზუსტი დრო არ დაასახელა. ვეკითხები და საათს დავუყურებ: 1 მაისის 4 საათი და 27 წუთია. კრებსმა სწრაფად მიპასუხა:

— გუშინ, ოცდაათ აპრილს, თხუთმეტ საათსა და ორმოცდაათ წუთზე.

ჟუკოვს გადავეცი, მან კი მოსკოვს გადასცა.

ერთი წუთის შემდეგ ყურმილში გაისმის:

— ჰკითხეთ კრებსს, სურთ თუ არა იარაღის დაყრა და კაპიტულაცია, თუ განზრახული აქვთ მოლაპარაკება დაზავების შესახებ?

ჯიქურ ვეკითხები კრებსს:

— ლაპარაკია კაპიტულაციაზე და თქვენი მისია კაპიტულაციის განხორციელებაა?

— არა, არსებობს სხვა შესაძლებლობანი.

— როგორი?

— ნება მოგვეცით და დაგვეხმარეთ შევკრიბოთ ახალი მთავრობა, რომელიც ჰიტლერმა თავისი ანდერძით დანიშნა და იგი ამ საკითხს თქვენს სასარგებლოდ გადაწყვეტს.

ამ პასუხს ვაცნობებ გ. კ. ჟუკოვს. მიბრძანებს კვლავ მოვიცადო ტელეფონთან.

დიდი ეშმაკი ვინმეა ეს კრებსი, — გავიფიქრე მე, — ისევ იმეორებს ერთსა და იმავეს — დიპლომატების საყვარელი ხერსია: მიზანს მიაღწიონ ერთი და იგივე აზრის სხვადასხვა ვარიანტით, დაჟინებული გამეორების საშუალებით. მაგრამ ახლა უხეშად აჭარბებს. ჰიტლერის ანდერძის მეხუთე გვერდზე ვკითხულობ: „იმისათვის, რომ გერმანიას ჰყავდეს კეთილსინდისიერი ადამიანებისაგან შემდგარი მთავრობა, რომელიც ყველა საშუალებით განაგრძობს ომს, მე, როგორც ერის ლიდერი, ახალი კაბინეტის წევრებად ვნიშნავ...“

— რა ახალ მთავრობაზეა ლაპარაკი? — აინტერესებს ჟუკოვს.

ჰიტლერის ანდერძს ვკითხულობდი და სწორედ ახალი მთავრობის შემადგენლობამდე მივედი. აი, ისიც:

1. პრეზიდენტი — დენიცი
2. კანცლერი — გებელსი
3. პარტიის მინისტრი — ბორმანი
4. საგარეო საქმეთა მინიტრი — ზაის-ინკვარტი
5. შინაგან საქმეთა მინისტრი — გაულაიტერი ჰისლერი
6. სამხედრო მინისტრი — დენიცი
7. სახმელეთო ჯარების სარდალი — შერნერი
8. სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი — დენიცი
9. სამხედრო-საჰაერო ფლოტის სარდალი — გრაიმი
10. ესესის რაიხსფიურერი და გერმანიის პოლიციის უფროსი — გაულაიტერი ჰანკე
11. მეურნეობის მინისტრი — ფუნკი
12. სოფლის მეურნეობის მინისტრი — ბაკე
13. იუსტიციის მინისტრი — ტირაკი
14. განათლების მინისტრი — დოქტორი შილი
15. პროპაგანდის მინისტრი — დოქტორი ნაუმანი
16. ფინანსთა მინისტრი — შვერინ-კროზიგი
17. შრომის მინისტრი — დოქტორი ჰურფაუერი
18. შეიარაღების მინისტრი — საური
19. გერმანიის მუშათა ფრონტის ხელმძღვანელი და კაბინეტის წევრი, რაიხსმინისტრი — ლაი

— კიდევ რისი თქმა შეუძლია კრებსს? — იკითხა ჟუკოვმა.

შეკითხვას კრებსს გადავცემ. იგი მხრებს იჩეჩავს. მაშინ ავუხსენი, რომ ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ მოლაპარაკება გერმანიის მხოლოდ სრული კაპიტულაციის შესახებ ანტიჰიტლერული კოალიციის მოკავშირეთა — სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინაშე. ამ საკითხში ჩვენ ერთნი ვართ.

— იმისათვის, რომ თქვენი მოთხოვნების განხილვის შესაძლებლობა მოგვეცეს, გთხოვთ, დროებით შეწყვიტოთ საომარი მოქმედება და დაეხმაროთ ახალ მთავრობას, შეიკრიბოს

აქ, ბერლინში. — და ხაზგასმით აღნიშნა: — სწორედ ბერლინში და არა სხვაგან.

— ჩვენთვის გასაგებია, რა სურს თქვენს ახალ მთავრობას, — შევნიშნე მე, — მით უფრო, რომ ჩვენთვის ცნობილია თქვენი მეგობრების ჰიმლერისა და გერინგის ცდა მოესინჯათ ნიადაგი ჩვენს მოკავშირეებთან. განა თქვენ ამის შესახებ არაფერი იცით?

კრებსმა ყურადღება დაძაბა, ალბათ, ჩემი შეკითხვა მისთვის მოულოდნელი იყო. შეცბა, მუნდირის გვერდით ჯიბე მოიქექა და ფანქარი ამოიღო, რომელიც მას სრულიად არ ჭირდებოდა.

— მე ვარ რწმუნებული კანონიერი მთავრობისა, რომელიც ჰიტლერის ანდერძით შეიქმნა, — მიპასუხა როგორც იქნა. — შესაძლოა ახალი მთავრობა წარმოიქმნას სამხრეთში, მაგრამ იგი უკანონო იქნება. ჯერ მთავრობა მხოლოდ ბერლინშია, იგი კანონიერია და ჩვენ დროებით დაზავებას გთხოვთ, რათა შეეიკრიბოთ მთავრობის ყველა წევრი, განვიხილოთ მდგომარეობა და დავდოთ თქვენთვის და ჩვენთვის ხელსაყრელი ზავი.

— დროებითი ზავისა და თუ დაზავების საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ საერთო კაპიტულაციის საფუძველზე, — განვუცხადე მტკიცედ. — ასეთია ჩვენი და ჩვენი მოკავშირეების გადაწყვეტილება და ვერავითარი ლაპარაკითა და დაპირებით ვერ შეძლებთ ანტიჰიტლერული კოალიციის ამ ერთიანი ფრონტის გარღვევას.

კრებსს სახე აუთრთოლდა, ნაიარევ ლოყაზე ვარდისფერი დაედო. ემჩნეოდა, მთელს ნებისყოფას იკრებდა, თავი რომ დაეღწია დაბნეულობისათვის და აქვე წამოცდა:

— ჩვენ ვფიქრობთ, რომ საბჭოთა კავშირი ანგარიშს გაუწევს გერმანიის ახალ ლეგალურ მთავრობას. ორივე მხარისათვის ეს ხელსაყრელი და მოსახერხებელია. თუ თქვენ ხელთ იგდებთ რაიონს, სადაც მთავრობა იმყოფება და ყველას მოესპობთ, მაშინ გერმანელებს თქვენთან მუშაობის შესაძლებლობა არ ექნებათ და...

მე შევაწყვეტინე:

— ჩვენ იმისთვის კი არ მოვსულვართ, რომ მოვსპოთ გერმანელები, არამედ იმისთვის, რომ გავათავისუფლოთ ისინი ფაშიზმისაგან. და გერმანელები, კეთილსინდისიერი გერმანელები, უკვე მუშაობენ ჩვენთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი სისხლისღვრა.

კრებსი კვლავ განაგრძობს:

— ჩვენ გთხოვთ სცნოთ გერმანიის ახალი მთავრობა სრულ კაპიტულაციამდე, დაუკავშირდეთ მას და შესაძლებლობა მისცეთ კავშირურთიერთობა დაამყაროს თქვენს მთავრობასთან. ამით მხოლოდ თქვენ მოიგებთ.

გავუმეორე, რომ ჩვენ მხოლოდ ერთი პირობა გვაქვს — საერთო კაპიტულაცია, და მეზობელ ოთახში გავედი ფრონტის სარდლისათვის დასარეკად.

მარშალ ჟუკოვისადმი მოხსენებაში ჩემი მოსაზრებანი გამოვთქვი:

— კრებსი კაპიტულაციის თაობაზე მოსალაპარაკებლად კი არ მოსულა, არამედ, როგორც ჩანს, ვითარებისა და ჩვენი განწყობის გასარკვევად — ხომ არ დავთანხმდებოდით ახალ მთავრობასთან სეპარატიულ მოლაპარაკებას. ჩვენთან შემდგომი ბრძოლისათვის ძალა აღარ შესწევთ. გებელსმა და ბორმანმა ბოლო სვლის გაკეთება გადაწყვიტეს — მოლაპარაკება გაემართათ ჩვენს მთავრობასთან. ისინი ჩვენსა და ჩვენს მოკავშირეებს შორის ეძებენ ოდნავ ბზარსა თუ საძვრომს, უნდობლობა რომ დათესონ. კრებსი ნამდვილად აჭიანურებს კითხვებზე პასუხის გაცემას, დროის მოგება სურს, თუმცა ეს მათთვის სასარგებლო როდია, რადგან ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობენ. სიწყნარე მხოლოდ იმ უბანზეა, სადაც კრებსი გადმოვიდა.

მარშალმა რამდენიმე კითხვა დამისვა, მითხრა, რომ ახლა ყველაფერს მოსკოვს მოახსენებს და მიბრძანა, მოლაპარაკება განმეგრძო, დამეთანხმებინა კრებსი საერთო კაპიტულაციაზე.

არმიის შტაბის უფროსი გენერალი ბელიავსკი ხელმოსაწერად მაწვდის 1945 წლის 30 აპრილის № 2948 მითითებას. ვკითხულობ. ყველაფერი სწორია. უხმოდ ხელს ვაწერ დოკუმენტს, რომელიც არსებითად ბოლო საბრძოლო განკარგულება გახდა მე-8 გვარდიული არმიისადმი:

„შესაძლებელ კაპიტულაციასთან ან ქალაქ ბერლინში გარემოცული მოწინააღმდეგის მასიბრივად ტყვედ ჩაბარებასთან დაკავშირებით არმიის სარდალმა ბრძანა:

1. არმიის ზურგის უფროსი მოემზადოს 40—50 ათასი ტყვის მისაღებად, ამისათვის:

ა) არმიის ზოლში, ქალაქის ფარგლებს გარეთ, მაგრამ მისი გარეუბნიდან არა უმეტეს 5—8 კმ დაშორებით, არა უგვიანეს 1. 5. 1945 წ. მოამზადოს საკმაო მოცულობის სამხედრო ტყვეების შესაკრები საარმიო პუნქტი (შესაძლოა დამის რაიონში);

ბ) სამხედრო ტყვეების კვების უზრუნველსაყოფად მოზიდოს სურსათის საჭირო მარაგი.

2. კორპუსის მეთაურებმა:

ა) ტყვეების საიმედო დაცვის და საარმიო პუნქტიდან სამხედრო ტყვეთა საფრონტო ბანაკში მათი ბადრაგობისათვის მოამზადონ თითო მსროლელთა ბატალიონი;

ბ) მოწინააღმდეგის მიერ ბერლინში კაპიტულაციის შემთხვევისათვის წინასწარ განსაზღვრონ განიარაღების ადგილები და სამხედრო ტყვეთა საარმიო პუნქტში მოწინააღმდეგის ნაწილების ქალაქიდან გაყვანის გზები. აქვე მიიღონ სამხედრო ტყვეები პირველი გვარდიული სატანკო არმიიდან.

ტყვეთა მიღებისათვის მზადყოფნის შესახებ მომახსენონ 1. 5. 45 18. 00 საათისათვის“.

მოლაპარაკების ოთახში ებრუნდები. 4 საათი და 40 წუთია. დაღლილობისა და უძილობისაგან თავბრუ მესხმის. უჩვეულო სამუშაო კაცს მალე ღლის.

ვუჯდები მაგიდას კრებსის პირდაპირ. ვგრძნობ, რომ ჩემი იქ არყოფნის დროს მან აწონ-დაწონა მდგომარეობა და რაღაც ახალი არგუმენტები მოამზადა თავისი, უფრო სწორად, ვებელსის წინადადებების დასაცავად. საუბარი მან პირველმა დაიწყო, დაჟინებით ისევ დროებით დაზავებას მოითხოვდა.

— მე არ მაქვს შესაძლებლობა ვაწარმოო სხვაგვარი მოლაპარაკება, — განაცხადა მან, — მე მხოლოდ რწმუნებული ვარ და არ შემიძლია გიპასუხოთ ჩემი მთავრობის მაგიერ. თქვენ დაინტერესებული უნდა იყოთ მოლაპარაკება აწარმოოთ გერმანიის ახალ მთავრობასთან. ჩვენ ვიცით, რომ გერმა-

ნიის მთავრობა „პასია“ (და თვითონვე გაეცინა). თქვენ ძლიერები ხართ — ეს ვიცით და თქვენც ასევე ფიქრობთ...

ეს უკვე ლაზიერით სვლაა. კრებსი მთავარ ფიგურას ათამაშებს. არ უნდა აპატიო აკვიატებულობა. მას ნამდვილად სურს ჩამაბას დაზავების საკითხის განხილვაში.

— თქვენ უნდა შეიგნოთ, ბატონო გენერალო, — ვუთხარი მე, — რომ ვიცით, რაც ჩვენგან გსურთ, თქვენ განზრახული გაქვთ გაგვაფრთხილოთ, რომ განაგრძობთ ბრძოლას, უფრო ზუსტად, უაზრო წინააღმდეგობას, რაც გაზრდის ამაო მსხვერპლის რაოდენობას. პირდაპირ გეკითხებით: რა აზრი აქვს თქვენს ბრძოლას?

რამდენიმე წამს კრებსი დუმილით მიყურებდა, არ იცოდა რა ეთქვა, მერე წამოისროლა:

— ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

ირონიული ღიმილისაგან თავი ვერ შევიკავე.

— გენერალო, რა დავრჩათ, რით, რა ძალებით აპირებთ ბრძოლას? — მერე, მცირე პაუზის შემდეგ, დავუმატე: — ჩვენ სრულ კაპიტულაციას ველით.

— არა! — წამოიყვირა კრებსმა. შემდეგ ამოიოხრა და თქვა: — სრული კაპიტულაციის შემთხვევაში ჩვენ, როგორც მთავრობა, იურიდიულად აღარ ვიარსებებთ.

2

მოლაპარაკება სულ უფრო მომქანცველი ხდებოდა. გასაგებია: კრებსის ამოცანაა გვაიძულოს, ვცნოთ „ახალი“ მთავრობა. გებელსისა და ბორმანის თანხმობის გარეშე მას არ შეუძლია წარმოთქმული წინადადებების შეცვლა და ერთსა და იმავეს დაჟინებით ვაიმეორებს. მის სიტყვებში, ქცევაში უიმედობა იგრძნობოდა, მაგრამ არ მიდიოდა, ჩემგან რაღაცას ელოდა. შესაძლოა, განცხადებას, რომ მას ვესაუბრებოდი, როგორც ტყვეს.

იმ უბნებზე შექმნილი ვითარებით, სადაც ცეცხლი არ შეწყვეტილა, იგრძნობოდა, რომ გარემოცვის მთელ ფრონტზე აღარ არის მტრის საერთო წინააღმდეგობა. წინააღმდეგობას

გვიწევენ მხოლოდ ცალკეული გარნიზონები და ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი ესესის ჯარების რაზმები. ისინი თავს იცავენ მთავრობის კვარტალებში, ვაგზლებზე, რაიხსტაგში და ზოოლოგიური ბაღის ტერიტორიაზე განლაგებულ ბუნკერებში.

უცხოეთის ერთ-ერთი საელჩოდან მომიტანეს წერილი, რომლითაც მისიის მეთაური საბჭოთა ჯარებს მადლობას უხდიდა მისიის წევრებისადმი ყურადღებიანი მოპყრობისათვის.

საათის ისრები დილის ხუთს უჩვენებდნენ. ვერ მოვითმინე და კრებსს განვუცხადე:

— თქვენ დაჟინებით მოითხოვთ დაზავებას და მოლაპარაკებას ზავის შესახებ მაშინ, როცა თქვენი ჯარები კაპიტულაციას აცხადებენ, როცა ასობით და ათასობით თქვენი ჯარისკაცი და ოფიცერი ტყვედ გვნებდება.

კრებსს გაეღიმა.

— სად? — სწრაფად იკითხა მან.

— ყველგან.

— ბრძანების გარეშე? — გაიკვირვა კრებსმა.

— ჩვენები უტევენ — თქვენები ნებდებიან.

— შესაძლოა, ეს ცალკეული მოვლენებია? — ხავსს ეკიდებოდა გერმანელი გენერალი.

სწორედ ამ დროს გაისმა „კატიუშების" ქუხილიანი ბათქი. კრებსი მოიკუნტა კიდეც.

ვიღებ გაზეთს დ ხმამაღლა ვკითხულობ რეიტერის სააგენტოს ცნობას ჰიმლერის წარუმატებელი დიპლომატიური მანევრის შესახებ, რომელიც შვეიცის მეფის ოჯახის წევრის ბერნადოტის დახმარებით ცდილობდა მოლაპარაკებოდა ინგლისის გავლენიან ადამიანებს და ბრიტანეთის მთავრობას. ჰიმლერი ბერნადოტის მეშვეობით გადაცემდა, რომ ფიურერი არარაობაა პოლიტიკურადაც და ფიზიკურადაც.

— „შექმნილ ვითარებაში, — განვაგრძობდი კითხვას, — ხელები თავისუფალი მაქვს. გერმანიის რაც შეიძლება დიდი ნაწილი მინდა გადავარჩინო რუსების შემოჭრისაგან, მზად ვარ მოვახდინო კაპიტულაცია დასავლეთის ფრონტზე, რათა დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარებმა შეძლონ რაც შეიძლება უფრო სწრაფად წაიწიონ აღმოსავლეთისაკენ. ამის საპირისპიროდ

განზრახული არ მაქვს კაპიტულაცია აღმოსავლეთის ფრონტზე. მუდამ ვიყავი და ვრჩები ბოლშევიზმის მოსისხლე მტერი". ასე განუცხადა ჰიმლერმა ინგლისელებს, — შევნიშნე მე და კითხვა განვაგრძე.

— „საბჭოთა მთავრობის ჩარევის შედეგად ამერიკელებმა და ინგლისელებმა უარი განაცხადეს ჰიმლერთან სეპარატიულ მოლაპარაკებაზე, რის შესახებაც აცნობეს საბჭოთა მთავრობას..."

ვუყურებ უბედო პარლამენტიორს, კრებსი აშკარად დამწუხრებულია. იატაკს დაჰყურებს და ბუტბუტებს:

— ჰიმლერს არ ჰქონდა ამის რწმუნებანი. ჩვენ ამის გვეშინოდა. ჰიმლერმა არ იცის, რომ ფიურერმა თავი მოიკლა.

— მაგრამ თქვენთვის ხომ ცნობილია, რომ ჰიმლერმა რადიოთი დანიშნა პუნქტები ჩვენს მოკავშირეებთან სეპარატიული მოლაპარაკებისათვის?

— ეს კერძო ღონისძიებაა, —მიპასუხა კრებსმა, — სხვა საფუძვლებზე. — ცოტახანს დადუმდა და განაგრძო: — სრული კაპიტულაციის შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი მთავრობის არჩევას.

საუბარში ჩაერია გერმანელი თარჯიმანი:

— ბერლინი საკითხს სწყვეტს მთელი გერმანიისათვის.

კრებსი აქვე აწყვეტინებს:

— მე თქვენზე ცუდად არ ელაპარაკობ რუსულად.—მომიბრუნდა და ამჯერად რუსულად სწრაფად ჩაილაპარაკა: — ვშიშობ, რომ შეიქმნება სხვა მთავრობა, რომელიც ჰიტლერის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგი იქნება. მე მხოლოდ სტოკჰოლმის რადიოს ვუსმენდი, მაგრამ მომეჩვენა, რომ ჰიმლერმა მოკავშირებთან მოლაპარაკებისას შორს შეტოპა.

ამ სიტყვებით კრებსმა მთლიანად გაიმეღავნა თავი. მესამე რაიხის ხელმძღვანელობამ იცოდა ჰიმლერის მოლაპარაკების შესახებ, იგი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი მოკავშირეები მოიხიბლებოდნენ ჰიმლერის წინადადებით, ხოლო საბჭოთა მთავრობა მიიღებდა გებელს-ბორმანის წინადადებას. როგორც ჩვენთვის ცნობილი იყო, ჰერმან გერინგის მიზანიც იგივეს გუ-

ლისხმობდა ამერიკელთა მიმართ, კერძოდ, ეიზენჰაუერის მიმართ, მაგრამ მისი ცდა ჩაიფუშა.

ჰერმან გერინგი — ჰიტლერის მარჯვენა ხელი, ნაცისტური ავიაციის შემქმნელი და სარდალი. სწორედ მან განაცხადა ოდესღაც, რომ გერმანიის ტერიტორიაზე არც ერთი ბომბი არ ჩამოვარდება. რა დარჩა მისი ტრაბახა განცხადებისაგან? ომის შემდეგ ვნახე ფოტოსურათი: გერინგი დგას საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე ნიურბერგში და ჩვენებებს იძლევა. ძონძრობა საგრძნობლად გახდა. იგი ბრალდებულია, ოდესღაც კი ბრალმდებლად გამოდიოდა — თავდაჯერებული თავხედი. ეს იყო ლაიფციგში 1933 წელს დიმიტროვის სამარცხვინო სასამართლო პროცესზე რაიხსტაგისათვის პროვოკაციული ცეცხლის წაკიდების შემდეგ.

ახლა კი თვითონ დგას როგორც ბრალდებული, გამხდარი, დაჩაჩანაკებული, და უიმედო. მის გვერდით — რიბენტროპი, კაიტელი, კალტენბურნერი... ჰიტლერელთა ბანდის მეთაურები ვერ გადაურჩნენ სამართლიან შურისძიებას...

მაგრამ დავუბრუნდეთ მოლაპარაკებას.

მოკლე პაუზის შემდეგ კრებსმა კვლავ გაიმეორა, რომ საჭიროა გერმანიის ახალი მთავრობის შექმნა, რომ ახალი მთავრობის ამოცანაა ზავი დადოს გამარჯვებულ სახელმწიფოსთან, ე. ი. საბჭოთა კავშირთან.

კვლავ ვაგრძნობინე კრებსს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობათა მოქმედება შეთანხმებულია ჩვენს მთავრობასთან, რომ ჰიმლერის დემარში მე მესმის, როგორც წარუმატებელი დიპლომატიური შანტაჟი. რაც შეეხება ახალ მთავრობას, ჩვენ ასე ვფიქრობთ: გერმანიის ყველაზე უფრო ავტორიტეტული მთავრობა გერმანელებისათვის, ჩვენთვის და ჩვენი მოკავშირეებისათვის იქნება ის მთავრობა, რომელიც სრულ კაპიტულაციას დათანხმდება.

— თქვენი ეგრეთ წოდებული „ახალი“ მთავრობა, — ვთქვი მე, — არ გვეთანხმება საერთო კაპიტულაციაზე იმიტომ, რომ ჰიტლერის ანდერძით შეიბორკა და ომის განგრძობას აპირებს. თქვენს „ახალ“ მთავრობას ანუ „ახალ კაბინეტს“, როგორც მას ჰიტლერმა უწოდა თავის პოლიტიკურ ანდერძში, შემდგომშიც

სურს მისი ნების აღსრულება. მისი ნება კი ანდერძის შემდეგ სიტყვებშია გამოხატული:: „რომ გერმანიას ჰყავდეს კეთილსინდისიერი ადამიანებისაგან შემდგარი მთავრობა, რომელიც ყველა საშუალებით განაგრძობს ომს“... — კრებსს ვუჩვენებ ამ სტრიქონებს. — განა ჰიტლერის სიკვდილისწინა ამ სიტყვებიდან არ ჩანს, რომ უარყოფს რა საერთო კაპიტულაციას, თქვენს ეგრეთ წოდებულ „ახალ“ მთავრობას ომის განგრძობა სურს?

დრო უფრო ნელა გადიოდა. მაგრამ უნდა ვმჯდარიყავი და მოსკოვის გადაწყვეტილებისათვის მეცადა. კერძო საუბარზე გადავდივართ.

— სად არის ახლა გენერალი გუდერიანი, რომელსაც ბრესტში ოცდაცხრამეტ წელს შევხვდი? — დავინტერესდი. — მაშინ იგი სატანკო დივიზიას მეთაურობდა.

— გუდერიანი გერმანიის სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი იყო 15 მარტამდე, შემდეგ ავად გახდა და ამჟამად ისვენებს. მაშინ მისი მოადგილე ვიყავი.

—გუდერიანის ავადმყოფობა დიპლომატიური, პოლიტიკური თუ მხედრული ეშმაკობაა?

— ჩემს ყოფილ უფროსზე ცუდს ვერ ვიტყვი, მაგრამ ამისი მსგავსი რაღაც კი იყო.

— ბანაკში ყოველთვის იყავით?

— მე ვმსახურობდი საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსად. მოსკოვშიც ვიყავი ორმოცდაერთი წლის მაისამდე და იქ სამხედრო ატაშეს ვცვლიდი, შემდეგ კი დამნიშნეს აღმოსავლეთში საარმიო ჯგუფის შტაბის უფროსად.

— მაშ რუსული ენა მოსკოვში გისწავლიათ და თქვენი დახმარებით იღებდა ჰიტლერი ინფორმაციას საბჭოთა შეიარაღებული ძალების შესახებ? სად იყავით სტალინგრადის ბრძოლის დროს და რა აზრისა ხართ ამ ბრძოლაზე?

— იმ დროს ცენტრალურ ფრონტზე ვიყავი, რეჟევთან, საშინელებაა ეს სტალინგრადი! იქიდან დაიწყო ჩვენი უბედურება... სტალინგრადში კორპუსის მეთაური იყავით?

— არა, არმიის სარდალი.

— მე წაკითხული მაქვს ცნობები სტალინგრადის შესახებ და მანშტეინის მოხსენება ჰიტლერისადმი.

ხანგრძლივი პაუზა:

სიჩუმე რომ დამერღვია, ვკითხე:

— რატომ მოიკლა ჰიტლერმა თავი?

— სამხედრო დამარცხება, რომელსაც არ მოელოდა. გერმანელი ხალხის იმედები მომავალზე დაიკარგა. ფიურერი მიხვდა, რა მსხვერპლი გაიღო ხალხმა და სიცოცხლეშივე რომ არ ეგო პასუხი, სიკვდილი გადაწყვიტა.

— გვიან მიხვდა, — შევნიშნე მე. — რა ბედნიერება იქნებოდა ხალხისათვის, რომ იგი ამას 5—6 წლის წინ მიმხვდარიყო...

ვიღებ ჰიტლერის ანდერძს და ხმამაღლა ვკითხულობ:

— „თუმცა ბრძოლის წლებში მე მიმაჩნდა, რომ არ შემიძლია ვიკისრო ისეთი პასუხისმგებლობა, როგორიც არის დაქორწინება, ახლა, სიკვდილის წინ, გადავწყვიტე ცოლად შევირთო ქალი, რომელიც ნამდვილი მეგობრობის მრავალი წლის შემდეგ თავის ნებით ჩამოვიდა ამ, თითქმის უკვე გარემოცულ ქალაქში, რათა ჩემი ხვედრი გაეზიარებინა.

იგი საკუთარი ნებით ჩემთან ერთად შეეყრება სიკვდილს, როგორც ჩემი მეუღლე და ეს იქნება საზღაური ყოველივე იმისა, რაც ჩვენ დავკარგეთ ჩემი ხალხისათვის ჩემი სამსახურის გამო“.

მივმართავ კრებსს:

— ევა ბრაუნი თითქოს არ იყო არიული სისხლისა. როგორღა დათმო ჰიტლერმა თავისი პრინციპები?

კრებსი დაიღრიჯა და არაფერი თქვა.

იძულებული ვიყავი დამემატებინა:

— სამწუხაროა! იქნებ ტელეფონი გაგვეყვანა ამ სახლიდან გებელსთან? — შევცვალე საუბრის თემა.

— ძალზე მოხარული ვიქნები, — გამოცოცხლდა კრებსი. — მაშინ თქვენც შეძლებთ დოქტორ გებელსთან საუბარს, მზად ვარ თქვენს ტელეფონისტებთან ერთად ჩემი ადიუტანტი გავაგზავნო — დაგეხმარებათ.

მარშალ ჟუკოვს დავურეკე, მოვახსენე, რომ კრებსი 15 მარტიდან გენერალური შტაბის უფროსია, ტელეფონით ვუკითხავ გებელსის დოკუმენტს კრებსის რწმუნებათა შესახებ.

მოვილაპარაკეთ, რომ კრებსის თანმხლები პოლკოვნიკი და გერმანელი თარჯიმანი დაბრუნდებიან თავისიანებთან, რათა პირდაპირი სატელეფონო კავშირი დაამყარონ იმპერიის კანცელარიასთან. მათთან ერთად წავიდა არმიის შტაბის უფროსის მიერ გამოყოფილი ჩვენი ორი მეკავშირე — ოფიცერი და რიგითი ჯარისკაცი.

იმ დროისათვის ჩემთან, საკომანდო პუნქტზე მოვიდნენ არმიის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-მაიორი პრონინი, ჩემი პირველი მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი დუხანოვი, ოპერატიული განყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ტოლკონიუკი, დაზვერვის უფროსი პოლკოვნიკი გლადკი, მისი მოადგილე პოდპოლკოვნიკი მატუსოვი და ჩვენი თარჯიმანი კაპიტანი კელბერი.

გავედით მეზობელ ოთახში, სადაც სასადილო იყო მოწყობილი. მოიტანეს ჩაი, ბუტერბროდები. ყველას მოშივდა. კრებსსაც არ უთქვამს უარი. აიღო ჭიქა და ბუტერბროდი. შევნიშნე, როგორ უთრთოდა ხელები.

დაღლილები ვსხედვართ. იგრძნობა ომის დასასრულის სიახლოვე, მაგრამ მისი უკანასკნელი საათები მომქანცველია. ველოდებით მოსკოვის მითითებას.

ფრონტული ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა. არმიის შტაბმა გააფრთხილა ჯარები, პირველ რიგში არმიის არტილერისტები, რომ მზად ყოფილიყვნენ შტურმის გასაგრძელებლად. მზვერავები თვალყურს ადევნებდნენ მოწინააღმდეგეს, მის რეზერვებს, მომარაგებას. ქვეგანაყოფებში საბრძოლო მასალები და საწვავი მოჰქონდათ. მესანგრეები აგებდნენ და აუმჯობესებდნენ გადასასვლელებს ლანდვერის არხზე. ზოგჯერ ვტოვებდი კრებსს და მეზობელ ოთახებში გავდიოდი, რათა მიმეცა მითითებანი და დამემტკიცებინა შტაბის განკარგულებები.

კორპუსებისა და დივიზიების მეთაურებს გარკვევით ვუთხარი, რომ მოლაპარაკება მიდის როგორც წესია, ჯარები კი მზად უნდა იყვნენ, რომ დაუყოვნებლივ განაახლონ შტურმი პირველი ნიშნისთანავე. ასე გამოდიოდა: გებელსს, ბორმანს და კრებსს სურდათ გაეჭიანურებინათ დრო თავიანთ სასარ-

გებლოდ — იქნებ რუსებმა კინკლაობა დაუწყონ მოკავშირეებსო... ჩვენ კი ამ დროს ვიყენებდით იმისათვის, რომ უკეთ მოვემზადებულიყავით და, თუკი კაპიტულაცია არ მოხდებოდა, ერთი დარტყმით დაგვესრულებინა ტირგარტენის შტურმი.

კრებსთან საუბარი განახლდა. მსურდა ჩავწვდომოდი მესამე რაიხის ხელმძღვანელთა საიდუმლოებებს, მათ ჩანაფიქრებსა და იმედებს, მით უმეტეს, რომ მოსკოვის პასუხის გარეშე კრებსთან მოლაპარაკების შეწყვეტა არ შემეძლო. კრებსმა, რასაკვირველია, ყველაფერი იცის, მაგრამ გარკვევით არაფერს იტყვის. საუბრის დროს მას უნდა გამოსტყუო ყველაფერი, რაც კი შეიძლება, მისი პასუხები შეუდარო ჩვენს კითხვებს:

— სად არის ახლა ჰერმან გერინგი?

კრებსი შეკრთა, თითქოს ახლა გააღვიძესო:

— გერინგი? იგი მოღალატეა, ფიურერი მას ვერ იტანს. გერინგმა ფიურერს წინადადება მისცა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა მისთვის ჩაებარებინა: ფიურერმა იგი პარტიიდან გარიცხა... — და აქვე შეასწორა — ჰიტლერმა იგი პარტიიდან სიკვდილის წინ გარიცხა, რის შესახებაც იგი ანდერძში წერს.

აბდაუბდა გამოდის: ხან „ფიურერი გერინგს ვერ იტანს“ ნათქვამია აწმყო დროში, ხან „ჰიტლერმა იგი სიკვდილის წინ გარიცხა პარტიიდან“ — უკვე ნამყო დროა.

ვცდილობ დაზუსტებას:

— თქვენის აზრით, ჰიმლერი ვიღაა?

— ჰიმლერი მოღალატეა. ფიურერის წინააღმდეგ მუშაობდა, დიდი ხანია სურდა დასავლეთის სახელმწიფოებთან სეპარატიული ზავის დადება და ჩვენი გათიშვა. ფიურერმა განზრახვა გაუგო... — რამდენიმე წამი პაუზა, — ეს მისი თვითმკვლელობის ერთ-ერთი მიზეზია. ფიურერი თავის თანამებრძოლთა ერთგულებას დიდად აფასებდა. სიკვდილის წინ გამოსავალს ეძებდა... დაზავებაში, პირველ რიგში რუსეთთან.

— მაშასადამე, ჰიმლერი მოღალატეა?

— დიახ, — დამიმოწმა კრებსმა. — ჰიტლერის ანდერძის

თანახმად ჰიმლერი პარტიიდან გაირიცხა. ჰიმლერი ბერლინში არ არის, მეკლენმბურგშია.

— თქვენ ხომ იცოდით ჰიმლერის წინადადების შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინაშე სრული კაპიტულაციის თაობაზე? (აქ მე პირდაპირ „მიზანზე ვიღებ" კრებსს: უკანასკნელ დღემდე თითქმის არაფერი ვიცოდი ჰიმლერის წინადადების შესახებ.)

კრებსი დაფიქრდა და მიპასუხა:

— როგორც უკვე იცით, ჩვენ ეჭვი გვქონდა, მაგრამ ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი რეიტერის სააგენტოს ცნობიდან. ჰიმლერმა არაფერი გვაუწყა. ფიურერმა იგი ბერლინის გარეთ დატოვა, რათა ბერლინისათვის დახმარება აღმოეჩინა, გერმანის შეიარაღებული ძალების ყველა ნაწილი აქეთ წარმოეგზავნა. მაგრამ მან ფიურერი მოატყუა, არ გააკეთა ეს. ჰიმლერი მოღალატეა, ფიურერის უნებართვოდ სურდა ზავის დადება, იგი გერმანიის ინტერესების მოწინააღმდეგეა. მე მუდამ ფიურერთან ვიყავი, მისი უშუალო მრჩეველი ომის საკითხებში. ბერლინის გარეთ კი მეკლენბერგში, იმყოფებოდა ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობა. ფიურერი ბრძანებებს მათ უშუალოდ ბერლინიდან აძლევდა. მე პასუხისმგებელი ვიყავი აღმოსავლეთის ფრონტისათვის.

აქ კრებსს წამოცდა და ამით დაადასტურა ყველა ჩვენი ეჭვი და ვარაუდი. მის სიტყვებში, რომ ჰიტლერმა ბრძანება გასცა გერმანიის შეიარაღებული ძალების ყველა ნაწილი გადმოესროლათ „იქიდან", ე. ი. დასავლეთიდან, ბერლინისაკენ, აღმოსავლეთ ფრონტზე, ჩვენს წინააღმდეგ და ამით გზა გაეხსნათ დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარებისათვის ბერლინისაკენ, სრული სიმართლე იყო.

ამ აზრს გავყევი და კრებსს შევეკითხე:

— ვინ არის ახლა თქვენთან მთავარსარდალი?

— ჰიტლერის ანდერძის თანახმად ახლა დენიცი გახდა. შერნერი სახმელეთო ჯარების ახალი სარდალია, საჰაერო ძალებისა — ფონ გრაიმი. გერინგი ავადაა, გუდერიანი ავადაა.

— რიბენტროპი სად არის?

— მეკლენბურგში. მის მაგივრად ზაის-ინკვარტია.

— ამგვარად, მთავრობის სრული რეორგანიზაციაა. იგი მხოლოდ თქვენ არ გეხებათ. თქვენ ჰიტლერის დროსაც იყავით და ახლაც რჩებით სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსად?

—დიახ, დამიდასტურა კრებსმა.

— ვინღა იქნება რწმუნებამოსილი საბოლოო მოლაპარაკებაზე საბჭოთა კავშირთან და მის მოკავშირეებთან.

— გებელსი და ბორმანი. ისინი ბერლინში იმყოფებიან და მხოლოდ ისინი არიან გერმანიის წარმომადგენლები.

— მთავრობის სხვა წევრები რაღას გააკეთებენ?

— ისინი ფიურერის ბრძანებას ასრულებენ.

— ჯარები კი ცნობენ ახალ მთავრობას?

— თუ შესაძლებლობა მოგვეცემა, რომ ფიურერის ანდერძი არმიას შევატყობინოთ, ჯარები მის ნება-სურვილს შეასრულებენ. ეს უკეთესია გაკეთდეს სხვა მთავრობის გამოცხადებამდე.

— თქვენ გეშინიათ ამ „სხვა“ მთავრობისა?

— ჰიმლერმა გვიღალატა და შეიძლება ახალი მთავრობა შექმნას. ჰიმლერმა ჯერ არ იცის ფიურერის სიკვდილისა და მისი ანდერძის შესახებ.

— სხვა რაიონებთან დაკავშირებას როგორ ფიქრობთ? მათ ხომ გზა აქვთ მოჭრილი.

— თქვენთან დროებითი დაზავების მეშვეობით. მაშინ ჩვენ ყველაფერს გამოვაცხადებთ.

— არ მესმის.

კრებსმა დააზუსტა:

— თქვენი დახმარებით პერიფერიას დავუკავშირდებით ავიაციის მეშვეობით ან სხვა საშუალებებით.

— ესე იგი, მთავრობა იმისათვის იქმნება, რომ იმოქმედოს გერმანიის ტერიტორიაზე. მოიკრიბოს ძალები და ომი განაგრძოს?

— არა, იმისათვის, რომ მოლაპარაკებას შევუდგეთ და ომი დავამთავროთ.

— კი მაგრამ, — ისევ სიტყვაში დავიჭირე, — ჰიტლერის

ანდერძში ნათლად არის ნათქვამი, რომ იგი მთავრობას ქმნის ისეთი ადამიანებისაგან, „რომლებიც ყველა საშუალებით განაგრძობენ ომს“. უკეთესი არ არის თქვენთვის ჯერ ომი დაამთავროთ და მერე მოლაპარაკებას შეუდგეთ?

კრებსი რატომღაც აყოვნებს პასუხს და მერე მიპასუხებს:

— პასუხის გაცემა შეუძლია ჩემს მთავრობას და არა მე...

პირველმაისობა ბერლინში

1

გარეთ ქვემეხების გრუხუნია. ქუჩებში უკვე ინათა, 1 მაისი ბერლინში ჩვენთვის ძალზე თავისებურად იწყება. მთელი ღამე ვატარებთ მოლაპარაკებას, შედეგი — ნული. მოსკოვმა გვიბრძანა, პასუხს დაეველოდოთ, ხშირად გვეკითხება სხვადასხვა დეტალებზე, აზუსტებს მოლაპარაკების მსვლელობას. ფრონტის შტაბიდან სასწრაფოდ მოგვთხოვეს კრებსის მიერ მოტანილი დოკუმენტები.

მიახლოვდება გენერალი პოჟარსკი და მაცნობებს, რომ ტელეფონთან მიხმობს 28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი რიჟოვი. გავდივარ სხვა ოთახში და კრებსს ვტოვებ გენერლებთან პოჟარსკისთან, ვაინრუბთან და მწერლებთან.

გენერალი რიჟოვი მაცნობებს, რომ 4 საათსა და 30 წუთზე გერმანელთა რადიოსადგურებმა თითქოს ქალაქ ბერლინის თავდაცვის შტაბიდან ითხოვეს ოფიცრის გაგზავნა ზოოლოგიური ბაღის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს გერმანელთა არმიის პარლამენტიორებთან შესახვედრად, გენერალმა რიჟოვმა და 39-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა მარჩენკომ თავიანთ პარლამენტიორად დანიშნეს მაიორი ბერსენევი — ამ დივიზიის შტაბის ოფიცერი.

როგორ ჩატარდა და რით დამთავრდა ეს შეხვედრა, ამის შესახებ მომითხრო ბერსენევმა (ამჟამად გადამდგარმა პოდპოლკოვნიკმა).

„მე უნდა წარმედგინა ულტიმატუმი უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ და მიმეცა სიცოცხლის გარანტია მათთვის, ვინც იარაღს დაყრიდა და წინააღმდეგობას შეწყვეტდა. მე უნდა

განმეცხადებინა გერმანელებისათვის, რომ ტყვედ დანებებაზე უარის თქმის შემთხვევაში 24 საათის განმავლობაში მთლიანად მოვსპობდით.

ანგარიშს ვაძლევდი ჩემს თავს იმაში, რომ ამ დავალების წარმატებით შესრულება მრავალ ჩვენს ჯარისკაცსა და ოფიცერს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა. მტერს უაზრო წინააღმდეგობა რომ შეეწყვიტა, მსოფლიოში ბევრად ნაკლები იქნებოდა ხეიბარი, ქვრივი და ობოლი. მე ვაფასებდი ნდობას, რომელიც აღმომიჩინეს, და მზად ვიყავი, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ეს დავალება ბოლომდე შემესრულებინა.

1945 წლის 1 მაისს ზუსტად 5 საათზე თეთრი ალმით აღნიშნულ ადგილზე ვიყავით, ზოოლოგიური ბაღის ჩრდილოაღმოსავლეთ კუთხესთან. ჩემი ავტომანქანა ორდინარეცითა და მძღოლით საფარში დავტოვე მეზობელი ქუჩის კუთხეში.

სანამ დანიშნული ადგილისკენ მივდიოდი და კიდევ დაახლოებით ოც წუთს პარლამენტიორებს ველოდი, გერმანელებს ჩემთვის ცეცხლი არ დაუშენიათ. როგორც ჩანს, გერმანელთა ჯარები ამ უბანზე გაფრთხილებული იყვნენ ჩვენი სარდლობის წარმომადგენლის იქ მისვლის შესახებ.

ლოდინის ამ ოცი წუთის განმავლობაში ბევრი ვიფიქრე, განსაკუთრებით ერთი აზრი მიტრიალებდა თავში: ყალბი ხომ არ იყო გამოძახება მოწინააღმდეგის მხრიდან, პროვოკაციას ხომ არ აწყობენ? მაგრამ კარგად ვიცოდი ვითარება ბერლინში, რა გამოუვალ მდგომარეობაშიც არიან მოწინააღმდეგის ჯარები და უკუვაგდებდი ამ აზრს. მაგრამ იგი თავიდან არ მცილდებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავინახე, დაახლოებით ორასი მეტრის დაშორებით კუთხეს როგორ გამოსცდა თეთრალმიანი ორი გერმანელი და ჩემსკენ გამოემართა.

მათ შესახვედრად რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. უცებ ერთ-ერთი პარლამენტიორი დაეცა. გაისმა სროლის ხმა და ჩემს გარშემო ტყვიები აწივლდა. გამაფრთხილებელი ზომების მიღება ვერ მოვასწარი. მარცხენა ბარძაყში და მუხლის სახსარში დარტყმა ვიგრძენი. წავიქეცი, პანელზე თავი მაგრად დავარტყი.

გონს მხოლოდ ჩემს ავტომანქანასთან მოვედი. თურმე ორ-

დინარეცს გამოვეთრიე ცეცხლის ზონიდან საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად. მძღოლმა და ორდინარეცმა ავტომანქანაში ამიყვანეს. ფეხი ჩვარივით მეკიდა, მაგრამ განსაკუთრებულ ტკივილს არ ვგრძნობდი, მხოლოდ თავი მიზრიალებდა. წარმოვთქვი: „წამიყვანეთ დივიზიის მეთაურთან“ — და კვლავ გონი დავკარგე. გონს მხოლოდ მაშინ მოვეგე, როცა ნემსი გამიკეთეს. პოლკოვნიკი მარჩენკო და გენერალი რიეოვი მადგნენ თავს. ფეხებზე დავიხედე, მარცხენა ვერ ვიცანი: ჩექმისა და შარვლის ნაცვლად დავინახე თეთრი ჩილიკა სისხლის წითელი ლაქებით. თვალები მიჭრელდებოდა, ადამიანთა სახეებს ბუნდოვნად ვხედავდი. თანმიმდევრობით მოვუყევი ყველაფერი, როგორც იყო...“

მას შემდეგ, რაც გენერალმა რიეოვმა ბერსენევის შემთხვევის შესახებ მომახსენა, ცხადი გახდა, რომ ბერლინის გარნიზონში განხეთქილება ჩამოვარდა: ჯარისკაცებისა და ოფიცრების ერთი ნაწილი მზად არის ჩაბარდეს გამარჯვებულს, მეორე ნაწილი, რომელიც გათავხედებული ნაცისტებისაგან შედგება, არა თუ თავად არ სურს კაპიტულაცია, არამედ იარაღის ძალით ცდილობს აღკვეთოს სხვათა ცდა ტყვედ დანებებისა. ვინ-ვის მოერევა, ჩვენს მოქმედებაზეა დამოკიდებული: ერთი რამ არის ცხადი, კრებსთან მოლაპარაკების გამო შექმნილ მყუდროებას ნაცისტები გარემოცულ გარნიზონზე თავიანთი ზეგავლენის გასაძლიერებლად იყენებენ. რაც შეიძლება მალე, უფრო მძლავრად უნდა დავარტყათ მტერს და მისი წინააღმდეგობაც გატყდება. შესაძლოა, მათი დახმარებითაც კი, ვინც მზად არის კაპიტულაციისათვის.

ტელეფონის ზარი ფრონტის შტაბიდან. მარშალმა ჟუკოვმა მაცნობა, რომ ჩემთან გამოემგზავრა მისი მოადგილე არმიის გენერალი სოკოლოვსკი. სარდალმა მთხოვა დამეზუსტებინა მონაცემები ჰიმლერის შესახებ, გამეგო, სადაა რიბენტროპი, ვინ არის ახლა გენერალური შტაბის უფროსი, სად არის ჰიტლერის გვამი. და კიდევ შეკითხვები, შეკითხვები...

ვუპასუხებ იმას, რაც კრებსთან საუბრიდან ვიცი. დანარჩენი ჯერ კიდევ უნდა გავიგო მისგან. იგი კი ამ თემაზე საუბრის ხალისს არ იჩენს: ყოველ კითხვაზე ძალზე მოკლედ და მიკი-

ბულ-მოკიბულად პასუხობს. მისი მდგომარეობა არც ისე იოლია. იცის, რომ ვერ შეძლებს ჩვენს დაყოლიებას, ვერ გვაიძულებს ვერწმუნოთ გებელსსა და ბორმანს. მაგრამ კრებსი საამისოდ გამოაგზავნეს და ისიც დაჟინებით ცდილობს მიაღწიოს თავისას. მოლაპარაკების დროს ჩვენ შეგვიძლია დამოუკიდებლად მხოლოდ ერთი საკითხის გადაწყვეტა — მივიღოთ კაპიტულაცია. მას დიდი სიამოვნებით გავისტუმრებდით უკან, გებელსთან, რათა შემდეგ იარაღის ძალით გვეიძულებინა ჯარი დაგვნებებოდა და კაპიტულაცია მოეხდინა. მაგრამ მოსკოვმა დაცდა გვიბრძანა.

მოლაპარაკების ოთახში ვბრუნდები, კრებსს შეკითხვებს ვაძლევ:

— სად არის ჰიტლერის გვამი?

— ბერლინში. ანდერძის მიხედვით დაწვეს. ეს დღეს მოხდა.

— ვინ არის თქვენი ბანაკის შტაბის უფროსი?

— იოდლი, დენიცი კი ახალი უმაღლესი მთავარსარდალია, ორივენი მეკლენბურგში არიან. ბერლინში მხოლოდ გებელსი და ბორმანია.

— რატომ ადრე არ თქვით, რომ დენიცი მეკლენბურგშია?

კრებსი დუმს.

ვიღებ ყურმილს, ვთხოვ მარშალ ჟუკოვს და მოვახსენებ:

— „უმაღლესი მთავარსარდალი“ გროს-ადმირალი დენიცი მეკლენბურგშია, იქვეა ჰიმლერიც, რომელსაც გებელსი მოღალატედ მიიჩნევს. ჰერმან გერინგი თითქოს ავად არის, სამხრეთშია. ბერლინში არიან მხოლოდ გებელსი, ბორმანი, კრებსი და ჰიტლერის გვამი.

მარშალი ჟუკოვი მეუბნება, რომ ეს არეულობა, გაუგებრობა პარლამენტიორების გამოგზავნისა ჩვენთან, ბერლინში, ხოლო დასავლეთსა და სამხრეთში — ჩვენს მოკავშირეებთან, აყოვნებს ჩვენი მთავრობის გადაწყვეტილების მიღებას. მაგრამ პასუხი მალე იქნება, და, ალბათ, სრულ კაპიტულაციას მოვითხოვთ.

კრებსს ეხმოდა ჟუკოვთან ჩემი საუბარი: არ ვერიდებოდი

მისი თანდასწრებით გამომეთქვა ჩემი აზრები. ყურმილს ვდებ და მას მივმართავ:

— მაშასადამე ძირითადი სამხედრო მოღვაწეები მეკლენბურგში არიან, ხოლო გებელსი და ბორმანი ბერლინში დარჩნენ იმისათვის, რომ ფიურერის ნება შეასრულონ. რა ნებაა ეს?

— მათ ომის შეწყვეტა სურთ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ცნობთ ფიურერის ნება-სურვილით შექმნილ მთავრობას.

— ესე იგი, მთავრობას, რომელსაც არც მშვიდობა სურს და არც ომი?

კრებსი ჩაფიქრდა, შემდეგ თქვა:

— იმ უბანზე, სადაც ცეცხლია, თანახმა ვარ შეევწყვიტო.

— რაღა საჭიროა, თუკი თქვენს ეგრეთ წოდებულ მთავრობას არ სურს კაპიტულაცია? კიდევ ვსურთ სისხლისღვრა?

— მე მსურს ყველაფერი გავაკეთო, და რაც შეიძლება სწრაფად, რათა ცნობილ იქნეს ერთი ლეგალური მთავრობა ბერლინში, რომ არ გაჩნდეს კიდევ რომელიმე — არალეგალური მთავრობა.

— თუკი თქვენ კაპიტულაციას არ მოახდენთ, მაშინ ჩვენი ჯარები შტურმს შეუდგებიან, მაშინ მიდი და არკვიე სად არის ლეგალური მთავრობა და სად — არალეგალური.

— სწორედ ამიტომ გთხოვთ დაზავებას.

— ჩვენ კი კაპიტულაციას მოვითხოვთ!

მივმართავ კრებსს:

— თქვენ გაქვთ კიდევ რაიმე საბუთი, გარდა იმისა, რაც წარმოადგინეთ?

— აი, დანართი — მთავრობის შემადგენლობა, რომლის შესახებაც მოგახსენეთ, — და მაწვდის ქაღალდს, სადაც აღნიშნულნი არიან ჰიტლერის ანდერძში უკვე დასახელებული კაბინეტის წევრები.

თქვენი მოსვლის მიზანი მხოლოდ საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებაა?

— მხოლოდ თქვენთან.

— თქვენ — ჩვენთან, ხოლო ჰიმლერი და სხვები — მოკავშირეებთან? რატომ არ გსურთ ერთდროულად მოგველაპარა-

ვოთ ჩვენც და ჩვენს მოკავშირეებსაც, რატომ გირჩევნიათ ცალ-ცალკე მოქმედება?

პაუზა. კრებსმა თავი დახარა, შემდეგ აწია:

— რწმუნებათა გაფართოების შემთხვევაში ჩვენ სხვა მთავრობებთანაც, თქვენს მოკავშირეებთანაც წარვმართავთ მოლაპარაკებას.

— ეს თქვენი მთავრობის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული?

— დიახ, როცა იგი სრულად შეიკრიბება. ეს არის მისი მთავარი მიზანი.

— სად უნდა შეიკრიბოს თქვენი მთავრობა?

— დღემდე არ არის გადაწყვეტილი. მაგრამ უკეთესია — ბერლინში.

— კი მაგრამ, ბერლინის გარნიზონის დარჩენილი ნაწილის უსიტყვო კაპიტულაციამდე თქვენი მთავრობა აქ შეკრებას ვერ შეძლებს.

— მე კი ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ბერლინის გარნიზონის კაპიტულაციის შემთხვევაში ჩვენი მთავრობა ვერასდროს ვერ შეიკრიბება. ეს იქნება ფიურერის ანდერძის შეუსრულებლობა. მე მიმაჩნია, რომ სრული კაპიტულაცია ვერ გადაწყდება, თუ ყველა არ ცნობს ახალ მთავრობას.

— ამგვარად, მთავრობა მოქმედებს და კაპიტულაციას არ ახდენს?

— მე მოვედი, რომ ყველა ეს საკითხი გადავჭრათ და ვადმოგცეთ გერმანელთა რწმუნებანი. სრული კაპიტულაციის საკითხის გადაწყვეტა შეიძლება რამდენიმე საათში, დაზავებისა და ახალი მთავრობის ცნობის შემდეგ.

— ეს ნიშნავს, რომ თქვენ ბოლომდე გსურთ ბრძოლა? იცნობთ კი სრული კაპიტულაციის პირობებს?

— დიახ, ვიცნობ. — მიპასუხა კრებსმა, — მაგრამ ვინ უნდა აწარმოოს ეს მოლაპარაკება?

— თქვენ გყავთ რაიხსკანცლერი, მასთან ბორმანია. თუკი მათ ჩვენთან მოლაპარაკების რწმუნებანი მოგცეს, ესე ოვი მათ შეუძლიათ მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება. განა ასე არ არის?

— მათ არ შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება სრული კაპიტულაციის შესახებ, თუკი დენიცს ყველაფერს არ აცნობებენ. ერთადერთი რაცია ჰიმლერსა აქვს. ჩვენი რადიოსადგური კი დაიბომბა.

— ჩვენ დაგიმყარებთ რადიოკავშირს: გამოაქვეყნეთ ფიუერერის ანდერძი რადიოთი. ეს შეწყვეტს სისხლის ღვრას.

კრებსი შეიშმუშნა:

— უხერხულია. დენიცისათვის ეს მოულოდნელი იქნება, მან ჯერ კიდევ არ იცის ანდერძის შესახებ. ჩვენ შევეცადეთ დაგვეინტერესებინა საბჭოთა კავშირი, ჩვენ არ გვსურს არალეგალური მთავრობა, რომელიც თანახმაა ცალკე ხელშეკრულება დაუდოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს. რუსეთთან გვირჩევნია მოლაპარაკება.

ალბათ, მხოლოდ ახლა მიხვდა კრებსი, რომ ჩვენ არ ვენდობით არც გებელსს და არც მის წარმომადგენლებს. ისღა დამრჩენოდა, მისთვის პირდაპირ მეთქვა, რომ მე, როგორც სამხედრო, უპირველეს ყოვლისა, იმითა ვარ დაინტერესებული, რომ რაც შეიძლება სწრაფად გავანადგურო მოწინააღმდეგის ჯარები, რომლებიც ბერლინში თავს უიმედოდ იცავენ.

კრებსმა მომისმინა და ისევ ვაიმეორა:

— თუკი განადგურებული იქნება ბერლინის გარნიზონი, არ იქნება გერმანიის ლეგალური მთავრობა...

— უაზრობაა, — შევაწყვეტინე მე.

— მე გაგაცანით ჩემი დავალება, სხვა დავალება არ მაქვს...

— მე კი გაცნობეთ ერთადერთი და საბოლოო პირობა: უსიტყვო კაპიტულაცია.

გენერალი კრებსი და მისი ადიუტანტი გარეგნულად თავშეკავებული, მშვიდი არიან, მაგრამ რად ულირთ ეს!

მე ისევ ვიმეორებ:

— გაძლევთ იმის გარანტიას, რომ სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ, მთავრობაზე კი შემდეგ ვილაპარაკოთ: თქვენ ჯარი არ გყავთ და გსურთ შეკრიბოთ რაღაც ძალები — არ გამოგივათ!

კრებსი აჩქარებით ლაპარაკობს:

— მე წინადადებას გაძლევთ დროებით შევწყვიტოთ საბრძოლო მოქმედება. ჩვენ შეგვიძლია განსაზღვრული დროიდან გავცეთ ბრძანება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ისევ გაისმის ტელეფონის ზარი. ფრონტის სარდალია, აინტერესებს, როგორ მიდის მოლაპარაკება. მე ვუხსნი, რომ გერმანელებს არა აქვთ კავშირის საშუალება. მათ არ სურთ გამოაცხადონ ჰიტლერის სიკვდილისა და მისი ანდერძის შესახებ, რათა ჰიმლერმა ამით არ ისარგებლოს. როგორც ჩანს, ეშინიათ დენიცისაც. ამის გამოცხადება მათ სურთ ჩვენი ხელშეწყობით და დაზავების შემდეგ. ჰიმლერი მათ გაეთიშა და პარტიიდან გარიცხეს.

ვდებ ყურმილს. ისევ კრებსს ვუბრუნდები:

— ვისაც ახალი მთავრობის ცნობა სურს, მისთვის საუკეთესო გამოსავალი კაპიტულაციაა.

— სრული? — იკითხა კრებსმა.

— სრული. ჩვენ მაშინ ვისაუბრებთ ამ მთავრობის წევრებთან.

კრებსი უარის ნიშნად თავს აქნევს:

— მე არ ვარ რწმუნებამოსილი გამოვაცხადო კაპიტულაციის შესახებ. ჩვენი მთავრობა, ამგვარად, მოისპობა... — იგი ხან გერმანულად ლაპარაკობს, ხან რუსულად.

— მაგრამ ჟურვიც არ გაარჩევს, ვინ არის ჯარისკაცი და ვინ მთავრობის წევრი, — შევნიშნე მე.

კრებსი ისევ აქნევს თავს და რუსულად მეუბნება:

— მე მაწუხებს დაზავების ინტერესები...

— ჩვენი საერთო — ჩვენი და ჩვენი მოკავშირეების — დაჟინებითი მოთხოვნაა უსიტყვო კაპიტულაცია.

ახლა კრებსი უკვე გაღიზიანებით მიპასუხებს:

— სრული და ნამდვილი კაპიტულაციის გადაწყვეტა ლეგალურ მთავრობას შეუძლია. თუ გებელსი თქვენ არ მოგელაპარაკათ, რაღა გამოვა? ლეგალური მთავრობა თქვენ უნდა ამჯობინოთ მოღალატე ჰიმლერის მთავრობას. ომის საკითხი წინასწარ გადაწყვეტილია. შედეგები უნდა გადაწყდეს ფიურერის მიერ მითითებულ მთავრობასთან ერთად...

— გამოუცხადეთ ჯარებს თქვენი ფიურერის ნება-სურვილი, — ეუკარნახე მე.

კრებსი ღელავს და თითქმის ყვირის რუსულად:

— გამყიდველ და მოღალატე ჰიმლერს ახალი მთავრობის წევრების მოსპობა შეუძლია!

როგორ ეშინიათ! მეცინება. ისინი მხოლოდ თავიანთ ტყავზე ზრუნავენ.

კარგი იქნებოდა ახლა ჰაერზე გასვლა. იქ ალერსიანად ანათებს გაზაფხულის მზე. ჩვენ კი დაღლილები ვსხედვართ. გერმანელები ჩუმად ეთათბირებიან ერთმანეთს.

მოვიდა გენერალი სოკოლოვსკი. მოვახსენებ მოლაპარაკების მსვლელობას. სოკოლოვსკიმ მომისმინა და თვითონ შეუდდა კრებსისათვის შეკითხვების მიცემას. აი, მათი დიალოგი:

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი (კრებსს). როდის გამოაცხადებთ ჰიტლერისა და ჰიმლერის შესახებ?

კ რ ე ბ ს ი. მაშინ, როცა თქვენთან შეეთანხმდებით ახალი მთავრობის შესახებ.

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ფრონტის სარდალს მიაჩნია, რომ ჯერ საჭიროა ჰიმლერი გამოცხადდეს მოღალატედ. რომ მის გეგმას ხელი შეეშალოს.

კ რ ე ბ ს ი (გამოცოცხლდა). ძალზე გონივრული რჩევაა. ამის გაკეთება ახლავე შეიძლება. რასაკვირველია, დოქტორ გებელსის ნებართვით. მე ისევ გთხოვთ მასთან ჩემი ადიუტანტის გაგზავნას.

— გებელსს უნდა უთხრათ, რომ კაპიტულაციამდე ახალი მთავრობა არ შეიძლება იყოს, — ვამბობ მე.

კ რ ე ბ ს ი. პაუზა გავაკეთოთ. შევქმნით მთავრობას...

— სრული კაპიტულაციის შემდეგ.

კ რ ე ბ ს ი. არა.

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. თქვენ გყავთ გებელსი და სხვები და თქვენ შეძლებთ კაპიტულაციის გამოცხადებას.

კ რ ე ბ ს ი. მხოლოდ დენიცის ნებართვით, იგი კი ბერლინის გარეთ არის. ჩვენ შეგვეძლო დენიცთან ბორმანის გაგზავნა როგორც კი პაუზას გამოვაცხადებთ. მე არც თვითმფრინავი მაქვს და არც რადიო.

ატმოსფერო იძაბება.

— დაყარეთ იარაღი, მერე ვილაპარაკოთ შემდგომზე.

კ რ ე ბ ს ი. არა, ეს შეუძლებელია. ჩვენ გთხოვთ დაზავებას ბერლინში.

— თქვენ გაქვთ კოდი, შიფრი და ასე შემდეგ? — ვეკითხები მე.

კ რ ე ბ ს ი. ისინი ჰიმლერს აქვს... — მე და სოკოლოვსკიმ უნებლიეთ ერთმანეთს გადავხედეთ. — თუ კი თქვენ პაუზის ნებართვას მოგვცემთ, ჩვენ შევთანხმდებით...

— მხოლოდ კაპიტულაციის საფუძველზე, რის შემდეგაც დენიცს შეეძლება ჩვენთან მოსვლა, როგორც ეს თქვენ გააკეთეთ.

კ რ ე ბ ს ი. საჭიროა დენიცის აქ გამოძახება. გამოატარეთ.

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. მოახდინეთ კაპიტულაცია და ჩვენც დაუყოვნებლივ გამოვატარებთ მას.

კ რ ე ბ ს ი: ამის გადაწყვეტის უფლება არა მაქვს...

ჩ უ ი კ ო ვ ი: დაუყოვნებლივ მოახდინეთ კაპიტულაცია, მაშინვე გამოვამგზავრებთ დენიცს თქვენსკენ.

კ რ ე ბ ს ი. ჯერ დენიცთან დაკავშირება, შემდეგ კაპიტულაცია, დენიცის გარეშე მე არ შემიძლია კაპიტულაცია (ჩაფიქრდა). მაგრამ მე მაინც შევძლებდი ამის შესახებ გებელსისათვის მეკითხა, თუკი მასთან პოლკოვნიკს გააგზავნით (მიუთითებს თავის ადიუტანტზე).

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ამგვარად, ჩვენ შევთანხმდით შემდეგზე: გერმანელი პოლკოვნიკი მიდის დოქტორ გებელსთან იმის გასაგებად, თანახმაა იგი თუ არა დაუყოვნებლივ კაპიტულაციაზე?

კ რ ე ბ ს ი (აწყვეტინებს). მოხდება დაზავება, თუ დაზავებამდე უნდა დათანხმდეს გებელსი კაპიტულაციას?

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ჩვენ ნებას არ მოგცემთ, გებელსს შეეკითხოთ დაზავების შესახებ.

კ რ ე ბ ს ი (ისევ ჯიუტობს). დენიცის გარეშე ვერც მე და ვერც გებელსი კაპიტულაციას ვერ დავუშვებთ.

— მაშინ მთავრობას ვერ შექმნით.

კ რ ე ბ ს ი. არა, მთავრობა უნდა შეიქმნას. შემდეგ გადაწყდეს კაპიტულაციის საკითხი.

სოკოლოვსკი მეზობელ ოთახში გადის, ტელეფონით ურეკავს ფრონტის სარდალს და მოახსენებს:

— კრებსი დაჟინებით მოითხოვს თავისას, ამბობს, რომ დენიცის თანხმობის გარეშე მათ არ შეუძლიათ კაპიტულაცია, დენიცმა კი თითქოს არაფერი იცის მომხდარი ამბების შესახებ. კრებსი ითხოვს აცნობონ მას ყველაფერი, და თითქოს მაშინ მიიღებენ გადაწყვეტილებას. აგრეთვე ითხოვს გებელსთან ადიუტანტის გაგზავნას, ხოლო შემდეგ, შესაძლოა, კაცის გაგზავნა დენიცთან. მანქანით მეკლენბურგამდე და უკან — ოთხას კილომეტრზე მეტია. წინადადებას გვაძლევს იქ ჩვენი ოფიცერიც გავაგზავნოთ: დენიცს შეუძლია მას ფრონტის ხაზზე დაელოდოს. ყოველივე ეს დროის დიდად გაჭიანურებაა. ჩვენ ჯერჯერობით ნებართვას ვაძლევთ, რომ კაცი მხოლოდ გებელსთან გაიგზავნოს.

ჟუკოვისაგან მითითება მივიღეთ და კრებსს დავუბრუნდით.

კ რ ე ბ ს ი. შეიძლება ერთი წუთით გავიდე?

— მიბრძანდით.

კრებსი და ადიუტანტი გავიდნენ. ისინი მალე დაბრუნდნენ.

კრებსის ადიუტანტი გებელსთან მიდის. ტელეფონით ვურეკავ შტაბის უფროსს და ვუბრძანებ უზრუნველყოს პოლკოვნიკის გადასვლა და თან მოწინავე ხაზზე მყოფი ჩვენი ბატალიონი დაუკავშიროს გერმანელთა ბატალიონს და ამგვარად გებელსს მისცეს ჩვენთან დაკავშირების საშუალება.

— გერმანიის მთავრობა ავტორიტეტული უნდა იყოს, — უცებ განაცხადა კრებსმა.

— მიგაჩნიათ, რომ გერმანიის სრული დამარცხებისას ჰიტლერის ავტორიტეტი შენარჩუნებული იქნება?

— თქვენ ხედავთ ჩვენს ტანჯვას, — მწუხარედ წარმოთქვა კრებსმა. — შესაძლოა, ფიურერის ავტორიტეტი რამდენადმე შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდია. მისი ღონისძიებანი არასდროს არ შეიცვლება. ახალი ადამიანები, ახალი მთავრობები ჰიტლერის ავტორიტეტს დაეყრდნობიან.

ვიღაც ფანატიკოსია. სერიოზულად ლაპარაკობს. გარეგნობაც სოლიდური აქვს: მუნდირზე — გენერლის წითელი და-

ნაკერი ოქროთი მოვარაყებული, ვიწრო პაგონები, 1941 წლის ზამთრის ლენტი, ორდენები, რკინის ჯვარი...

— შესაძლოა ბაზა უფრო ფართო იყოს, უფრო დემოკრატიული, — განაგრძობს იგი. — ეს დასაშვებია. მაგრამ ჩვენ საკუთარი თავის შენარჩუნება გვსურს. და თუკი ინგლისი და საფრანგეთი კაპიტალისტური წესწყობილების ფორმულებს გვიკარნახებენ — ჩვენთვის ცუდი იქნება..

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ჩვენ გერმანელი ხალხის განადგურება არ გვსურს, მაგრამ ფაშიზმს არ დავუშვებთ. ჩვენ არ ვაპირებთ ნაციონალურ-სოციალისტური პარტიის წევრთა დახოცვას, მაგრამ ეს ორგანიზაცია უნდა დაიშალოს. გერმანიის ახალი მთავრობა ახალ ბაზაზე უნდა შეიქმნას.

კ რ ე ბ ს ი. მიმაჩნია, დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ბელადი, რომელსაც გერმანიის მოსპობა არ სურს. ეს სტალინია. მან თქვა, რომ შეუძლებელია საბჭოთა კავშირის მოსპობა და ასევე შეუძლებელია გერმანიის მოსპობა. ეს ჩვენთვის ცხადია, მაგრამ გვეშინია გერმანიის მოსპობის ინგლისურ-ამერიკული გეგმებისა. თუკი ისინი თავისუფლად იმოქმედებენ ჩვენს მიმართ — ეს საშინელებაა...

— ჰიმლერი?

კ რ ე ბ ს ი. ნებას მომცემთ პირდაპირ გელაპარაკოთ? ჰიმლერს ჰგონია, რომ გერმანიის ჯარებს ჯერ კიდევ შესწევთ ძალა იბრძოლონ აღმოსავლეთის წინააღმდეგ. ამის შესახებ მან თქვენს მოკავშირეებს მოახსენა. ეს ჩვენთვის ცხადია, საესებით ცხადია!..

— თუ ასეა, ბატონო გენერალო, მაშინ მე საერთოდ არ მესმის თქვენი ჯიუტობისა. ბრძოლები ბერლინში — ზედმეტი სისხლის ღვრაა.

კ რ ე ბ ს ი კლაუზევიცი ამბობს, რომ ბრძოლაში სიკვდილი სჯობია სამარცხვინო კაპიტულაციას. ჰიტლერმა თავი მოიკლა, გერმანელი ხალხის პატივისცემა რომ შეენარჩუნებინა...

თავისმკვლელთა ლოგიკაა. გენერალს ვეკითხებით ჰიტლერის თვითმკვლელობის წვრილმანებზე.

კ რ ე ბ ს ი რამდენიმე მოწმე იყო: გებელსი, ბორმანი და მე. ანდერძის თანახმად გვამს ბენზინი გადაასხეს და დაწვეს...

სიკვდილის წინ ფიურერი გამოგვეთხოვა, გაგვაფრთხილა. გადათქმევინება გვინდოდა, მაგრამ თავისი არ მოიშალა. დასავლეთისაკენ გარღვევას ვურჩევდით...

9 საათი და 45 წუთი. ტელეფონის ზარი. საბჭოთა მთავრობა საბოლოო პასუხს იძლევა: საერთო კაპიტულაცია ან ბერლინის კაპიტულაცია. უარის შემთხვევაში — 10 საათსა და 40 წუთზე ვიწყებთ ქალაქის ახალ საარტილერიო დამუშავებას. ამის შესახებ კრებსს ვეუბნები.

— მე რწმუნებანი არ მაქვს, — მიპასუხებს იგი. — ბრძოლა უნდა განვაგრძოთ და ბოლო საშინელი იქნება. ბერლინის კაპიტულაციაც შეუძლებელია, გებელსს არ შეუძლია დათანხმება დენიცის გარეშე. ეს დიდი უბედურებაა...

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ჩვენ არ წავალთ დაზავებაზე ან სეპარატულ მოლაპარაკებაზე. რატომ არ შეუძლია გებელსს თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება?

კ რ ე ბ ს ი (ისევ და ისევ). ჩვენ თუ ბერლინის სრული კაპიტულაციას გამოვაცხადებთ, მაშინ ყველა გაიგებს, რომ ფიურერი დაიღუპა. ჩვენ კი გვსურს შევქმნათ მთავრობა და ყველაფერი ორგანიზებულად გავაკეთოთ.

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. დაე, გებელსმა გამოაცხადოს...

კ რ ე ბ ს ი (აწყვეტინებს) მაგრამ დენიცი უპარტიოა, მისთვის უფრო ადვილია გადაწყვეტა. მანვე მოახდინოს კაპიტულაცია, ზედმეტი მსხვერპლი არ გავიღოთ.

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. მოახდინეთ კაპიტულაცია და გამოაცხადეთ ახალი მთავრობის შესახებ. ამისათვის რაციას მოგცემთ ბერლინში. თქვენ დაუკავშირდებით ჩვენი მოკავშირეების მთავრობებსაც.

კ რ ე ბ ს ი. დიახ, ალბათ გებელსს მოუხდება ამის გადაწყვეტა. შეიძლება, მასთან წავიდე?

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. შეგიძლიათ. ჩვენ ყველაფერს პირდაპირ გეუბნებით. თქვენ გამოუვალი მდგომარეობა გაქვთ: კავშირიც კი არ არის დამყარებული გებელსსა და დენიცს შორის. ბერლინის კაპიტულაციის შემდეგ კი მოგცემთ თვითმფრინავს ან ავტომანქანას და დაგიმყარებთ რადიოკავშირს.

კ რ ე ბ ს ი. ჩვენ არ დაგვაპატიმრებენ? თავისუფალი დარ-

ჩება ყველა სამხედრო, ვინც კაპიტულაციას უხელმძღვანელებს? თუ ჩვენ ტყვეებად ჩავითვლებით?

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ჩვენ არ ვიცით რა გადაწყვეტილებას მიიღებენ მოკავშირეთა მთავრობები.

კ რ ე ბ ს ი. მე კვლავ ვიმეორებ ჩემს შეკითხვას: რა მოგველის კაპიტულაციის შემდეგ?

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ჩვენ გარანტიას ვაძლევთ ახალი დროებითი მთავრობის წევრებს, კავშირი დაამყარონ მოკავშირეთა მთავრობებთან სრულიად ოფიციალურად. გადაწყვეტილებას მიიღებს მოკავშირეთა სამი მთავრობა, და, ვიმეორებ, თქვენ გაცნობებენ...

კ რ ე ბ ს ი. მე უნდა გავიგო, რას ფიქრობს დოქტორი გებელსი. უნდა ვუთხრა ბერლინის კაპიტულაციის ვარიანტის შესახებ.

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. გამოდით სამი მოკავშირე სახელმწიფოს წინაშე. რაკი ჰიტლერი მოკვდა, თქვენ სრული რწმუნებანი გაქვთ.

კ რ ე ბ ს ი. როდის მივიღებთ კავშირს?

იგი ნერვიულობს. 10 საათი და 40 წუთია. დაიწყო ჩვენი საარტილერიო მომზადება... გადაიფრინეს თვითმფრინავებმა.

დაბრუნდა გერმანელი თარჯიმანი, რომელიც წასული იყო პოლკოვნიკ დუფვინგთან და ჩვენს მეკავშირეებთან ერთად იმპერიის კანცელარიასთან პირდაპირი კავშირის დასამყარებლად. იგი ძალზე აღელვებულია:

— როცა მივდიოდით, გავიძახოდი: „არ ისროლოთ, პარლამენტიორები ვართ!“ ჩვენებმა არ მიპასუხეს. რუს მაიორს სადენი გაყავდა კავშირისათვის. პრინც-ალბერტშტრასეს კუთხეში გერმანელთა მხრიდან მას სროლა აუტეხეს. თავში დაიჭრა. მე ყვირილი მოვრთე, რომ არ ესროლათ. თვითონ წავედი კაბელით. პოლკოვნიკმა დუფვინგმა ფარაჯა გაიხადა, იარაღი მოიხსნა და თეთრი ალმით წინ გასწია. სროლა გრძელდებოდა. დაიჭრა რამდენიმე რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი — ასეულის მეთაური. ისინი ახლოს იდგნენ, კავშირს ელოდნენ. მაგრამ კავშირი აქამდე არ არის. რუსების მხრიდან ის შეერთებულია, ჩვენი მხრიდან კი — არა. როგორც ჩანს, საბრძოლო ჯგუფი არ

იყო ინფორმირებული. რაღა ვქნათ ახლა? კავშირს დაველოდოთ თუ პოლკოვნიკის დაბრუნებას? რუსებმა გვითხრეს, რომ მათი მხრიდან პოლკოვნიკს დაუბრკოლებლად დაბრუნების პირობებს შეუქმნიან.

— დაბრუნდით და უზრუნველყავით პოლკოვნიკის დაბრუნება, — გასცა განკარგულება კრებსმა. — ვინ ისროდა?

— როგორც ჩანს სნაიპერი, რუსი მაიორი, ალბათ, არ გადარჩება. სამწუხაროა...

რუკაზე პრინც-ალბერტშტრასეს ქუჩა მოვძებნეთ. დავყურებთ.

— აქ სასტუმრო „ექსცელსიორია", — გვიჩვენებს თარჯიმანი. — აქ ვყვიროდით, აქ ჩვენი სნაიპერი ისროდა. რუსებს მთელ უბანზე არ უსროლიათ.

რუკაზე სამი კვარტალი აღვნიშნეთ. ტელეფონის ზარი ჩვენი ბატალიონიდან: გერმანელი პოლკოვნიკი გერმანელებთან გადავიდა, მაგრამ კავშირი ჯერ არ არის.

— წადით, — ვეუბნები თარჯიმანს.

იგი ითხოვს მეგაფონს და თეთრ ალამს.

მივეცით. მკვირცხლად შემობრუნდა, ხელი მაღლა აღმართა, თავი დაგვიკრა და წავიდა.

არტილერიის სარდალი გენერალი პოჟარსკი ბრძანებას იძლევა, რომ ცეცხლი შეწყვიტონ 35-ე უბანზე — ტბიდან ზოოლოგიურ ბაღამდე ფრიდრიხშტრასეს ჩათვლით: აქ გაიელიან პარლამენტიორები.

ცოტა ხნის შემდეგ კრებსი ამბობს:

— თქვენთან პირველი მაისი დიდი ზეიმია.

— როგორ არ ვიზეიმოთ დღეს — ომი მთავრდება და რუსები ბერლინში არიან.

— ორმოცდაერთ წელს მოსკოვში ვიყავი. მე უკვე გითხარით, რომ პატივი მქონდა ვყოფილიყავი სამხედრო ატაშეს მოადგილე. პარადის დროს ტრიბუნაზე ვიდექი, მავზოლეუმთან...

საუზმის შემდეგ იმპერიის კანცელარიასთან დაგვაკავშირეს. გენერალი კრებსი გამხნევდა, გვთხოვს ზუსტად ჩაიწერონ საბჭოთა სარდლობის მიერ წამოყენებული კაპიტულაციის ყველა

მუხლი ხელში ყურმილს იღებს და ლაპარაკს იწყებს. ხაზს უსვამს მუხლს: რადიოთი გამოცხადებული იქნება ჰიმლერის ღალატის შესახებ. გებელსმა უპასუხა, რომ მოითხოვს გენერალ კრებსის დაბრუნებას და მაშინ პირადად იმსჯელებს მასთან ყველაფერზე. ჩვენ ვეთანხმებით.

შემდეგ კრებსმა კიდევ ერთხელ წაიკითხა თავისი ჩანაწერები კაპიტულაციის ჩვენი პირობების შესახებ:

1. ბერლინის კაპიტულაცია.

2. ყველა კაპიტულაციაქმნილმა დაყაროს იარაღი.

3. ოფიცრებსა და ჯარისკაცებს სიცოცხლე შეუნარჩუნდებათ საერთო წესით.

4. დაჭრილები უზრუნველყოფილი იქნებიან დახმარებით.

5. შესაძლებლობა ეძლევათ რადიოთი მოკავშირეებთან მოლაპარაკებისა".

ჩვენ განვუმარტავთ:

— თქვენ მთავრობას შესაძლებლობა მიეცემა გამოაცხადოს, რომ ჰიტლერი მოკვდა, რომ ჰიმლერი მოღალატეა და განუცხადოს სამ მთავრობას — საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობებს სრული კაპიტულაციის შესახებ. ამგვარად, ნაწილობრივ თქვენს თხოვნასაც დავაკმაყოფილებთ. დაგეხმარებით თუ არა მთავრობის შექმნაში? არა. მაგრამ უფლებას გაძლევთ გვაცნობოთ იმ პირთა სია, რომელთა ტყვედ ნახვა თქვენ არ გსურთ. უფლებას გაძლევთ კაპიტულაციის შემდეგ გააკეთოთ განცხადება მოკავშირე ერების მიმართ. თქვენი მთავრობის ბედი მათზეა დამოკიდებული.

— ბერლინში მყოფ იმ პირთა სიას, რომელსაც ჩვენ მოგცემთ, არ განიხილავთ როგორც სამხედრო ტყვეთა სიას?

— ეს უზრუნველყოფილია. ოფიცრებს შეუნარჩუნებთ წოდებას, ორდენებს, ცივ იარაღს. უფლებას გაძლევთ წარმოადგინოთ მთავრობის წევრთა სია. გაძლევთ დენიცთან კავშირის უფლებას და ასე შემდეგ. მაგრამ ყოველივე ეს კაპიტულაციის შემდეგ.

— გერმანიის საერთო ლეგალური მთავრობის შექმნის მიზნით?

— მხოლოდ განცხადებისა და ჩვენი კოალიციის სახელმწიფოების მთავრობებთან დაკავშირებისათვის. მათი საქმეა გადაწყვიტონ, თუ როგორ იქნება შემდგომ.

— ამგვარად, კაპიტულაციის შემდეგ საბჭოთა რადიო ჰიტლერის სიკვდილის, ახალი მთავრობისა და ჰიმლერის ღალატის შესახებ გამოაცხადებს?

მან აღგვითქვა, რომ შეეცდება ყველაფერზე სწრაფად მოელაპარაკოს გებელსს.

13 საათი და 08 წუთი.

კრებსი წავიდა. პარლამენტიორი მესამე რაიხის ხელმძღვანელობისაგან კაპიტულაციას არ დაეთანხმა, არ მოინდომა ბერლინის ნგრევის შეჩერება და ორივე მხრიდან ზედმეტი მსხვერპლის (მშვიდობიან მოქალაქეთა ჩათვლით) თავიდან აცილება.

რა უნდოდა ჩვენგან, საბჭოთა სარდლობისაგან, მთავრობისაგან? ვიდრე წავიდოდა, კრებსი რატომღაც დიდხანს ემზადებოდა და კიბიდან ორჯერ დაბრუნდა კიდეც... ჯერ დაავიწყდა ხელთათმანები, რომლებიც ქუდთან ერთად რაფაზე დადო, მაგრამ ქუდი კი დაიხურა, ხელთათმანები არ აუღია. მეორედ კრებსი დაბრუნდა იმ საბაბით, რომ დაავიწყდა საველე ჩანთა, რომელიც მას საერთოდ არ ჰქონია. იგი გვარწმუნებდა, რომ ჩანთით დოკუმენტები მოიტანა გებელსისა და ბორმანისაგან, თუმცა — კარგად მახსოვს — ქაღალდები გვერდითი ჯიბიდან ამოიღო.

თვალებში და ქცევაში ეტყობოდა, რომ გენერალი მერყეობდა; ისევ ჯოჯოხეთში დაბრუნებულიყო, თუ პირველი დანებებოდა. გამარჯვებულს. შესაძლოა, ელოდა, რომ მას ტყვედ გამოვაცხადებდით, რასაც შესაძლოა ხალისითაც დათანხმდებოდა.

მაგრამ რად გვინდოდა ასეთი ტყვე? უფრო მიზანშეწონილი იყო იგი უკან დაბრუნებულიყო, რადგან მას შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა სისხლის ღვრის შეწყვეტაზე.

რა სურდა ჩვენგან კრებსს? უეჭველია, იგი ასრულებდა გებელსისა და ბორმანის ნება-სურვილს, რომელიც მისი ნება-სურვილიც იყო, ცნობით ჰიტლერის სიკვდილის შესახებ ისინი ვარაუდობდნენ შეემსუბუქებინათ წინააღმდეგობანი საბჭო-

თა კავშირსა და ფაშისტურ გერმანიას შორის. აქაოდა, გერმანიამ თავისი ზღო მილიონობით მსხვერპლისათვის იმით, რომ ომის მთავარი დამნაშავე დაიწვა. მაგრამ ეს არც ყველაფერია და არც მთავარი.

მთავარი ის იყო, რომ ჰიტლერელ მეთაურებს, ისევე როგორც თვით ჰიტლერს, სიცოცხლის უკანასკნელ საათამდე იმედი ჰქონდათ გაეღრმავებინათ წინააღმდეგობანი ჩვენს ქვეყანასა და მოკავშირეებს შორის.

ჩვენს შორის რომ განსაზღვრული შეუთანხმებლობა არსებობდა, საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. მაგრამ ანტიჰიტლერული კოალიციის ხალხებს საერთო მიზანი ჰქონდათ, საერთო მტერი ჰყავდათ და ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება სწრაფად მოესპოთ იგი.

ეს არ ესმოდათ და ამას არ ითვალისწინებდნენ მესამე რაიხის ხელმძღვანელები და ზოგი ვინმე დასავლეთში. ანტიჰიტლერულ კოალიციაში ისინი ბზარს ეძებდნენ. მაგრამ ასეთი ბზარი ვერ მოძებნეს, იგი არ იყო.

გენერალმა კრებსმა ჩვენთან დაახლოებით ნახევარი დღეღამე დაჰყო და ვერ დაინახა ვერავითარი მერყეობა ჩვენს ერთგულებაში მოკავშირული ვალის მიმართ. პირიქით, ჩვენ მას ვუჩვენეთ, რომ ერთი ნაბიჯითაც არ დავიხევთ თეირანისა და იალტის კონფერენციათა გადაწყვეტილებებისაგან.

გერინგმა და ჰიმლერმა ვერც ჩვენს მოკავშირეებთან მიაღწიეს წარმატებას.

გენერალი კრებსი უდაოდ დიდი მზვერავი და გამოცდილი დიპლომატი, ჩვენგან, როგორც იტყვიან, ხახამშრალი წავიდა. როგორც ჩანს, ეს იყო უკანასკნელი ცდა განხეთქილება ჩამოეგდოთ მოკავშირეებს შორის. წარუმატებლობა რომ განიცადეს, გებელსსა და კომპანიას რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ.

2

გაიცა ბრძანება: ცეცხლი მთელი სიმძლავრით და რაც შეიძლება სწრაფად განადგურდეს მტერი! ათასობით ნაღმი და ჭურვი დააცხრა მთავრობის კვარტალებს, იმპერიის კანცელარიას, რაიხსტაგს.

მძლავრმა და კარგად მომზადებულმა დარტყმამ შედეგი მალე გამოიღო. წამოვიდა შეტყობინებები და მოხსენებები ჩვენი ჯარების წარმატებითი მოქმედების შესახებ.

28-ე გვარდიული მსროლელთა კორპუსის მეთაურმა გენერალმა ა. ი. რიჟოვმა მომახსენა, რომ მისი ჯარები ზოოლოგიური ბაღის ცენტრში არიან და წარმატებით ავითარებენ შეტევას ჩრდილოეთისაკენ ს. ი. ბოგდანოვის სატანკო არმიასთან შესაერთებლად.

74-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის მეთაურმა გენერალმა დ. ე. ბაკანოვმა გაგვახარა ცნობით, რომ მისმა გვარდიელებმა პოტსდამის ვაგზალი აიღეს.

ამ დივიზიას სასახელო ტრადიციები აქვს. იგი ჩამოყალიბდა სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში და გმირი ბოლშევიკის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე შჩორსის მეთაურობით აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების განადგურებაში. ამ დივიზიის სახელგანთქმული პოლკები — ბოგუნის, ტარაშჩანისა და დონის პოლკები, რომლებიც ჭმირულად ომობდნენ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის, ასევე თავგანწირვით იბრძოდნენ სტალინგრადში, რისთვისაც გვარდიულის წოდება დაიმსახურეს. ვოლგისპირა ქალაქში სახელგანთქმული პოლკები ქარხანა „კრასნი ოკტიაბრის“ რაიონში იბრძოდნენ. კონტრშეტევის დროს პირველებმა გააღწიეს სტალინგრადის დასავლეთ გარეუბანში, იქ შეხვდნენ 65-ე არმიის ჯარებს, რომლებიც დასავლეთიდან უტევდნენ და მათთან ერთად ორად გააპეს პაულიუსის გარემოცული დაჯგუფება.

ახლა ეს პოლკები, რომლებიც პოტსდამის ვაგზლის გავლით ვ. ი. კუზნეცოვის მე-3 დამცველი არმიის შესახვედრად რაიხსტაგს უტევდნენ, შუაზე აპობდნენ ბერლინის გარნიზონის დარჩენილ ნაწილებს.

ფაშისტებმა ძალზე გაამაგრეს ვაგზალი. მრავალსართულიან შენობაში ბევრი გასასვლელი ოთახი აღმოჩნდა. ვაგზლის ქვეშ — განშტოებული მიწისქვეშა გადასასვლელები. ბრძოლის ხერხები აქ ბევრად მოგვაგონებდნენ სტალინგრადულ შერკინებებს, ბრძოლას ელევატორისათვის, პავლოვის სახლისათვის.

ფართოდ გამოიყენებოდა იგივე ნაცადი ტაქტიკური ხერხები — შემოვლა და გარემოცვა არა მარტო ფლანგებიდან და ზურგიდან, არამედ ზევიდან ან ქვეევიდან. მებრძოლები წინ მიიწევდნენ სართულების, მიწისქვეშა გასასვლელებისა და სხვენის სათავსების გავლით, ხოლო ხშირ შემთხვევებში სახურავებითაც კი.

ქარხანა „კრასნი ოკტიაბრის“ კანტორისა და საამქროების შტურმისას დივიზიის მებრძოლები იძულებული გახდნენ დაეშალათ 122-მილიმეტრიანი ჰაუბიცები, ნაწილ-ნაწილ გადაეტანათ შენობები, იქ ისევ აეწყოთ და აემოქმედებინათ. იმ ბრძოლების გამოცდილებას გვარდიელები აქ, ბერლინში, წარმატებით იყენებდნენ. მტკიცე, საზრიანი და შეუპოვრად მამაცი მებრძოლები თითქმის თორმეტი საათის განმავლობაში აძევებდნენ ჰიტლერელებს ვაგზლის შენობიდან. ბრძოლა სასტიკი იყო. მრავალი ოთახი და დარბაზი, სართული და მიწისქვეშა გასასვლელი რამდენჯერმე გადადიოდა ხელიდან ხელში. მაგრამ გვარდიელები იმარჯვებდნენ. მათ მხარეზე იყო გამოცდილება და დიდი სიმამაცე. და, აი, გენერალი ბაკანოვი უკვე მაცნობებს, რომ პოტსდამის ვაგზალი ჩვენია, ახლა ბრძოლა მიმდინარეობს 152-ე კვარტალში საარლანდშტრასეს მეტროს წინ. ფაშისტები ფაუსტპატრონებს გვიშენენ. ჩვენი მებრძოლები ყველა კალიბრის ქვემეხებისა და ნადავლი ფაუსტპატრონების სროლით უპასუხებენ.

შტურმი ვითარდება. აღებულია 151-ე კვარტალი — ვილჰელმშტრასესა და ლაიფციგშტრასეს ქუჩების განშტოება, ბრძოლა წარმოებს 150-ე და 153-ე კვარტალებისათვის — ტირგარტენის ცენტრისათვის.

საპირველმაისო შტურმია, რომლის მახვილი მესამე რაიხის გულისკენ არის მიმართული.

აღებულია 152-ე კვარტალი — გესტაპო. მოისპო ბუდე ყველაზე საშიში ქვეწარმავლებისა, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი შხამით მოეწამლათ და მოესპოთ ყოველი ცოცხალი და პროგრესული.

რომელიღაც კორესპონდენტი მოწინავე ხაზიდან ტელეფონით კითხულობს ცნობას, ლექსივით კითხულობს:

— „ბრძოლა გამარჯვებათა ხეივანში მიმდინარეობს. ჭურვები ზუზუნებენ. რკინის კანცლერის ბისმარკის თავზე. გვერდით ქანდაკებაა მოლტკე-უფროსისა, სედანთან რომ გაიმარჯვა, მაგრამ მისი მშვიდი პოზა ვითარებას არ შეეფერება, იგი ხედავს, რომ საბჭოთა მებრძოლები, მესამედ ბერლინის ისტორიაში, როგორ ძლევამოსილად მიაბიჯებენ ქალაქის ცენტრში“.

ბოლოს გვაცნობა, რომ გენერალი კრებსი მშვიდობიანად გადავიდა ფრონტის ხაზს. ახლა იგი, ალბათ, მოხსენებას უკეთებს გებელსსა და ბორმანს.

სადილის შემდეგ ვსევოლოდ ვიშნევსკი მოწინავე ხაზზე წასვლას ითხოვს, უფრო სწორად, მთავრობის შენობებში მოხვედრა სურს. ხუმრობით ვეუბნები:

— ვსევოლოდ, შენ წაგიკაკუნებენ და მორჩა, მე კი შენს გამო ოცი დღით ჰაუპტვახტს მომცემენ. სოფია კასიანეს ასული კი მთელი სიცოცხლის მანძილზე ჩემს ლანძღვას არ მოიშლის, აქ იჯექი!

მომახსენეს: ზოოლოგიურ ბაღში ღობის კედელი ააფეთქეს და გამონანგრევებში შეტევას განაგრძობენ შარლოტენბურგისაკენ, ბოგდანოვის სატანკო არმიის შესახვედრად. გერმანელები სახლების სახურავებიდან და ბუნკერებიდან პირდაპირი დამიზნებით გვიშენენ საზენიტო ქვემეხებიდან. ჩვენი არტილერისტებიც პირდაპირი დამიზნებით ჰგვიან იქიდან გერმანელებს.

მომახსენეს: ჩვენებმა იპოდრომის კედლებს მიაღწიეს. ვურჩევთ: ფრთხილად, უნდა შევინარჩუნოთ ჯიშიანი ცხენები.

სროლისა და აფეთქებისაგან ბერლინი გრგვინავს და კვნესის. საჭიროა კიდევ ერთი იერიში...

შემოდის გენერალი პოჟარსკი. მაცნობებს:

— ვუბრძანე, რომ მხოლოდ პირდაპირი დამიზნებით ისროლონ.

სწორი გადაწყვეტილებაა. უნდა დავარტყათ იმ მიზნებს, რომლებიც კარგად ჩანს, სახლებს უნდა გავუფრთხილდეთ — მოსახლეობას გამოადგება.

მოდის ცნობები იმის შესახებ, რომ მრავალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი ნებაყოფლობით გვბარდება ტყვედ.

22 საათი და 20 წუთი.

დღე თვალის დახამხამებაში გაფრინდა. ყველა ძალიან გადაიქანცა, მაგრამ მაინც ვუძლებთ. არავის სურს წასვლა. მაგიდა გეგმებით არის სავსე, იქვე ნამწვით სავსე თეფშები აწყვია.

საღამო ხანს ბრძოლა წყნარდება. ქუჩებიდან ავტომატების სროლის ხმაღა ისმის. ყველას ეძინება, ძილი კი არ შეიძლება. ნერვებიც ისეთ მდგომარეობაშია, რომ ვერ დაიძინებ: ომის დამთავრების წინა დღეა!

დივანზე მაინც წამოვწექი, თვალები მიველულე, მაგრამ ტვინი არ თვლემს, იგივე დატვირთვით მუშაობს. ზარი — ტელეფონის ყურმილი ისევ ხელთა მაქვს. გენერალი რიჟოვი მაცნობებს:

— ზოოლოგიური ბაღის ჩრდილოეთით ჩვენი მებრძოლები შვეიცის საელჩოს რაიონში გავიდნენ. ელჩი მცველებს ითხოვს, თუნდაც რამდენიმე ჯარისკაცს. აღფრთოვანებული არიან წითელი არმიის მამაცობით. საელჩოს პირადი შემადგენლობა თავშესაფარშია და ყველაფრით კმაყოფილია.

ბრძანებას ვაძლევ:

— შვედები დაამშვიდეთ, მცველები გამოუყავით. აბსოლუტური თავაზიანობა გამოიჩინეთ!

1945 წლის 1 მაისი ბრძოლებში გავატარეთ, უძილოდ და დაუსვენებლად. სამაგიეროდ საბჭოთა ადამიანები, მშობლიური მოსკოვი და ჩვენი სხვა ქალაქები მხიარულობდნენ!

ჯარისკაცის ბედნიერება

1

2 მაისი, 1 საათი და 25 წუთი. თუმცა ყველგან არა, მაგრამ ბრძოლა გრძელდება, ისმის ავტომატების სროლის ხმა და ხელყუმბარების აფეთქება. ვცდილობ დავიძინო, თავზე ნაბადი გადავიხურე. მაგრამ ისევ ტელეფონის ზარი და ყურმილი ხელთა მაქვს.

28-ე კორპუსის შტაბიდან მომახსენებენ. 0 საათსა და 40 წუთზე, 79-ე გვარდიულ მსროლელთა დივიზიის რადიოსადგურებმა ხელთ იგდეს რადიოგრამა გერმანელთა შტაბიდან რუსულ ენაზე: „ალო! ალო! ლაპარაკობს გერმანელთა ორმოცდამეთექვსმეტე სატანკო კორპუსი. გთხოვთ ცეცხლი შეწყვიტოთ. 0 საათსა და 50 წუთზე ბერლინის დროით პარლამენტიორებს ვაგზავნით პოტსდამის ხიდზე. საცნობი ნიშანი — თეთრი ალამი. პასუხს ველით“. ეს მოწოდება გერმანელებმა ხუთჯერ გაიმეორეს.

დივიზიის რადიოსადგურმა უპასუხა: „გვესმის, გვესმის. თქვენს თხოვნას გადავცემთ ზემდგომ უფროსს“. გერმანელმა რადისტმა სწრაფად დაგვიდასტურა: „რუსეთის რადიოსადგურო, თქვენი გვესმის. მოახსენეთ ზემდგომ უფროსს“. აქვე ბრძანება გავეცი: შტურმი შეწყვიტეთ მხოლოდ პარლამენტიორების შეხვედრის უბანზე. 56-ე სატანკო კორპუსში გადაეცით, რომ პარლამენტიორების გადმოსვლა და შეხვედრა აღნიშნულ დროს და აღნიშნულ ადგილას უზრუნველყოფილი იქნება, სხვა უბნებზე შეტევა განაგრძეთ. პარლამენტიორებთან შესახვედრად ვგზავნი არმიის შტაბის ოფიცერს პოდპოლკოვნიკ მატუსოვს და თარჯიმანს კაპიტან კელბერს. ვაძლევ მითითებას: უსიტყვო კაპიტულაციის გარდა არავითარი მოლაპარაკება არ აწარმოოთ. იარაღი მაშინვე დაყარონ.

მომიტანეს პაკეტი. ქაღალდზე შტამპია — „შვეიცის მეფის მისია“ (შვედურ ენაზე). შემდეგ რუსულად:

„სარდალ გენერალს.

ამით უფლებას ვაძლევთ ჩვენს თავს თქვენი ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ შვეიცის მეფის მისიის მისამართია: რაუხშტრასე № 1, 3, 25 და ტირგარტენშტრასე № 36. შვეიცის ეკლესიის მისამართია: ბერლინი, ვილმერედორფი, ლანდჰაუზ-შტრასე № 27.

ვთხოვ საბჭოთა სამხედრო ხელისუფლებას, შესაძლებლობა მისცეს მისიას, განაგრძოს თავისი ამოცანების შესრულება შვეიცის მოქალაქეთა და შვეიცის ქონების დაცვის თვალსაზრისით.

მე თქვენი დიდი მადლობელი ვიქნები, თუკი შესაძლებლობა მომეცემოდა, რომ მესაუბრა წითელი არმიის კომპეტენტურ წარმომადგენელთან.

ველი თქვენს კეთილგანწყობილ პასუხს ამ თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, შვეიცის მეფის მისია დღემდე საბჭოთა უფლებათა მფარველია გერმანიაში.

ბერლინი, 1945 წლის 1 მაისი.

ჰუგო ერიფასტი, საქმეთა რწმუნებული“.

შვეიცის მისიაში შტაბის ოფიცერი გავგზავნეთ რწმუნებით, რომ არმიის სარდლობა ჯეროვანი ყურადღებით მოეკიდა საქმეთა რწმუნებულის წერილს და გარანტიას იძლევა, რომ ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მისიას სამსახურებრივ საქმეებში.

ბრძოლა გრძელდებოდა. მაგრამ უკვე დიდი პაუზებით. არმიის გენერალი ვ. დ. სოკოლოვსკი მეზობელ სახლში წავიდა დასასვენებლად. მეც ფეხზე ძლივს ვიდექი.

კვლავ ტელეფონის ზარი. მაცნობებენ 47-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიიდან: შტაბიდან გაგზავნილი ოფიცრები პოტსდამის ხიდზე შეხვდნენ 3 გერმანელ პარლამენტიორს, ერთ პოლკოვნიკსა და ორ მაიორს. პოლკოვნიკმა ფონ დუფვინგმა, 56-ე სატანკო კორპუსის შტაბის უფროსმა, განაცხადა, რომ კორპუსის მეთაურმა არტილერიის გენერალმა ვაიდლინგმა მათ რწმუნება მისცა განუცხადონ საბჭოთა სარდლობას გენერალ ვაიდლინგის გადაწყვეტილების შესახებ, შეწყვიტონ 56-ე სა-

ტანკო კორპუსის ნაწილების წინააღმდეგობა და მოახდინონ კაპიტულაცია. ამასთან პოლკოვნიკმა ფონ დუფვინგმა წარმოადგინა შემდეგი საბუთი:

„56-ე სატანკო კორპუსის მეთაური.

საკომანდო პუნქტი 45 წლის 1. 5.

გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ფონ დუფვინგი არის 56-ე სატანკო კორპუსის შტაბის უფროსი. მას დავალებული აქვს ჩემი სახელით და ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი ჯარების სახელით გადმოგცეთ ახსნა-განმარტება.

არტილერიის გენერალი ვაიდლინგი".

47-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელმა პოლკოვნიკმა სემჩენკომ პოლკოვნიკ ფონ დუფვინგს ჰკითხა: „რამდენი დრო სჭირდება კორპუსის სარდლობას იმისათვის, რომ იარაღი დაყაროს და ორგანიზებულად გადმოსცეს საბჭოთა სარდლობას კორპუსის ნაწილების პირადი შემადგენლობა და შეიარაღება?

ფონ დუფვინგმა უპასუხა, რომ ამისათვის საჭიროა 3—4 საათი. ამასთან მათ განზრახული აქვთ გამოიყენონ ღამის საათები, რადგან გებელსმა ბრძანება გასცა ზურგში ესროლონ ყველას, ვინც რუსებთან გადასვლას შეეცდება.

მე ბრძანება გავეცი:

— პოლკოვნიკი ფონ დუფვინგი დააბრუნეთ გენერალ ვაიდლიგთან განცხადებით, რომ ჩვენ ვიღებთ კაპიტულაციას, ხოლო ორი გერმანელი ოფიცერი თქვენთან დაიტოვეთ.

შედეგების მოლოდინში ჩამთვლიმა. 5 საათსა და 50 წუთზე გამაღვიძეს: მოვიდა დელეგაცია გებელსისაგან, ტახტიდან წამოვხტი, ცივი წყლით დავიბანე პირი.

დელეგატი სამია, ისინი სამოქალაქო ტანსაცმელში არიან, თან ახლავთ ჩაფხუტიანი ჯარისკაცი თეთრი ალმით. მითითებას ვაძლევ, რომ ჯარისკაცი გავიდეს. მოსულთაგან ერთ-ერთი პროპაგანდის სამინისტროს სახელმწიფო მრჩეველი ჰაინერსდორფია.

ვეკითხები:

— რა გსურთ და რით შემიძლია გემსახუროთ?

ჰაინერსდორფი მაწვდის წერილს ვარდისფერ საქაღალ-

დეში. ვკითხულობ. ჩემი ზურგის უკნიდან ჩაჰყურებენ და აგრეთვე კითხულობენ ვიშნევსკი, პოჟარსკი, ვაინრუბი, ტკაჩენკო.

„როგორც გენერალმა კრებსმა გაცნობათ, ყოფილი რაიხსკანცლერი ჰიტლერი წავიდა ჩვენგან. დოქტორი გებელსი ცოცხლებში აღარ არის. მე, როგორც ერთ-ერთი ცოცხლად დარჩენილი, გთხოვთ მფარველობა გაუწიოთ ბერლინს. ჩემი სახელი ცნობილია. პროპაგანდის სამინისტროს დირექტორი დოქტორი ფრიჩე!“

ვკითხულობ და გაოცებული ვარ ამბების მსვლელობით უკანასკნელი დღეებისა და საათების განმავლობაში; ჰიტლერს მიჰყვა გებელსი, გებელსს — ვიღა? ვინც არ უნდა იყოს, მაგრამ ეს უკვე დასასრულია. ვეკითხები:

— როდის მოიკლა თავი დოქტორმა გებელსმა?

— საღამოს, პროპაგანდის სამინისტროში.

— გვამი სად არის?

— დაწვეს. იგი დაწვეს პირადმა ადიუტანტმა და მძღოლმა.

საინტერესოა... ჰიტლერიც დაწვეს. მესამე რაიხის მეთაურებმა ცეცხლი აირჩიეს მიწიერი ცოდვებისაგან განწმენდის საშუალებად...

— სად არის გენერალური შტაბის უფროსი კრებსი, რომელიც გუშინ გებელსის რწმუნებით ჩვენთან მოლაპარაკებას აწარმოებდა?

— არ ვიცით. ჩვენთვის ცნობილია ახალი უფროსი — გენერალი აინსდორფი.

(მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ კრებსმა თავი მოიკლა).

— ცნობილია თუ არა თქვენთვის ჩვენი პირობები: ჩვენ საუბარი შეგვიძლია მხოლოდ უსიტყვო კაპიტულაციაზე.

— დიახ, ცნობილია. ჩვენ ამისათვის მოვედით და დახმარებას გთავაზობთ.

— რითლა შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენს ხალხს?

— დოქტორი ფრიჩე გთხოვთ მისცეთ საშუალება რადიოთი მიმართოს გერმანელ ხალხს და არმიას, ამაო სისხლის ღვრა შეწყვიტონ, მიიღონ უსიტყვო კაპიტულაცია.

— ჯარები შეასრულებენ ფრიჩეს ბრძანებას?

— მისი სახელი ცნობილია მთელი გერმანიისათვის და განსაკუთრებით ბერლინისათვის. იგი ბერლინში რადიოთი გამოსვლის ნებართვას ითხოვს.

ტელეფონის ზარი გაისმის. 47-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის საკომანდო პუნქტიდან გენერალი გლაზუნოვი მაცნობებს: პირველი ხაზიდან გადმოცემენ, რომ იქ ხედავენ, გერმანელთა ჯარები როგორ ეწყობიან კოლონებად.

გერმანელთა კორპუსის შტაბში გაიგზავნა ოფიცერი ს. ა. გლუშჩენკო ორი მზვერავით. დღე-ღამის განმავლობაში გლუშჩენკო მესამედ მიდის გერმანელებთან: იგი შეხვდა და გააცილა დუფვინგი, ჩვენი მეკავშირეები. გამჭოლი ჭრილობა აქვს, მაგრამ განაგრძობს თავისი მოვალეობის შესრულებას. ახლა ვაიდლინგთან არის.

2 მაისს, 6 საათზე 56-ე სატანკო კორპუსის მეთაური არტილერიის გენერალი ვაიდლინგი თავისი შტაბის ორი გენერლის თანხლებით ფრონტის ხაზზე გადმოვიდა და ტყვედ დაგვნებდა. ვაიდლინგმა უჩვენა, რომ იგი ამავე დროს ბერლინის თავდაცვის სარდალია. ამ თანამდებობაზე დანიშნეს ექვსი დღის წინ.

47-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის მეთაურის პოლკოვნიკ სემჩენკოს შეკითხვაზე — მოხდა თუ არა კორპუსის კაპიტულაცია გებელსის თანხმობით — ვაიდლინგმა უპასუხა, რომ გადაწყვეტილება კაპიტულაციის შესახებ მან გებელსის თანხმობის გარეშე მიიღო.

მე ვუბრძანე გენერალ გლაზუნოვს, ცეცხლი შეეწყვიტა კორპუსის მთელ უბანზე, ხოლო გენერალი ვაიდლინგი ჩემთან გამოეგზავნა.

მივმართავ ფრიჩეს დელეგატებს:

— იცით თუ არა თქვენ და ფრიჩემ, რომ ბერლინის გარნიზონმა დანებება დაიწყო?

მიპასუხებენ, რომ წამოსვლის წინ მათთვის არაფერი იყო ცნობილი.

— ახლა გერმანელთა ჯარები კაპიტულაციას ახდენენ ფრონტის ყველა უბანზე. სად არის ბორმანი?

— იგი, მგონი, ჰიტლერის კანცელარიაში იყო. იქ გაზი აფეთქდა. ბორმანი და გებელსის ოჯახი დაიღუპნენ.

ტელეფონით ვუკავშირდები მარშალ ჟუკოვს, ვაცნობებ ფრიჩეს დელეგატების მოსელის მიზანს.

— შეიძლება ვენდოთ, რომ დოქტორი ფრიჩე გერმანელ ხალხს რადიოთი ეტყვის იმას, რაც საჭიროა? — მეკითხება ჟუკოვი.

მე ვუპასუხე, რომ ნდობა შეიძლება, მაგრამ ჩვენი კონტროლით. ჩვენ შეეძლებთ ამის უზრუნველყოფას.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჟუკოვი ტელეფონით მირეკავს. მასთან საუბრის შემდეგ ვუცხადებ ყველა დამსწრეს, და, უმთავრესად, ფრიჩეს დელეგატებს:

პირველი. საბჭოთა სარდლობა იღებს ბერლინის კაპიტულაციასა და ბრძანებს, შეწყდეს საომარი მოქმედება.

მეორე. გერმანიის დარჩენილმა სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებმა უნდა განუცხადონ ყველა ჯარისკაცსა და ოფიცერს, მოსახლეობას, რომ მთელი სამხედრო ქონება, შენობები, კომუნალური ნაგებობანი და ფასეულობანი წესრიგში უნდა იყოს, არაფერი ააფეთქონ, არ მოსპონ.

მესამე. თქვენ, ბატონო ჰაინერსდორფ, ჩვენს ოფიცერთან ერთად გაემართებით დოქტორ ფრიჩესთან, წამოიყვანთ რადიოსადგურზე გამოსასვლელად და შემდეგ აქ დაბრუნდებით.

მეოთხე. მე კიდევ ერთხელ გიდასტურებთ, რომ ჩვენ სიცოცხლის გარანტიას ვაძლევთ ჯარისკაცებს, ოფიცრებს, გენერლებსა და მოსახლეობას და შესაძლებლობის ფარგლებში სამედიცინო დახმარებას აღმოვუჩენთ დაჭრილებს.

მეხუთე. მოვითხოვთ, რომ გერმანელთა მხრიდან არ იყოს არავითარი პროვოკაციული მოქმედება — სროლა და სხვა დივერსიები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ჯარები იძულებული იქნებიან მიიღონ საპასუხო ზომები.

ჰაინერსდორფი გვთხოვს დავიცვათ პროპაგანდის სამინისტროს თანამშრომლები.

— მათ, — ვამბობ მე, — ვინც ნებაყოფლობით დაყრის იარაღს და არ გამოიჩენს მტრულ მოქმედებას საბჭოთა ადამიანების მიმართ, შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, ფრჩხილსაც არ ვატკენთ.

გამოცხადდა პოლკოვნიკი ვაიგაჩევი და მასთან ერთად

თარჯიმანი გვარდიის ზემდეგი ჟურავლიოვი. ვაიგაჩევს ამოცანას ვუსახავ:

— თქვენ ჰაინერსდორფთან ერთად გაემგზავრებით დოქტორ ჰანს ფრიჩესთან. გერმანიის მთავრობის სახელით ფრიჩე ჯარებს უბრძანებს, მოახდინონ კაპიტულაცია, ტყვედ დაგვნებდნენ სრულ წესრიგში, შეიარაღებითა და ტექნიკით. ფრიჩემ რადიოთი უნდა გადასცეს ყველას, რომ საბჭოთა სარდლობამ მიიღო წინადადება კაპიტულაციის შესახებ და იგი დაიკავს ბერლინსა და მის მთელ გარნიზონს. თქვენ უზრუნველყოფთ ფრიჩეს მგზავრობას ჩვენს რადიოსადგურზე და დაამყარებთ კონტროლს რადიოთი იმის გადმოცემაზე, რაც მე გითხარით. რადიოთი გამოსვლის შემდეგ ფრიჩე და მისი უახლოესი თანამშრომელები აქეთ უნდა გამოემგზავრონ. საუბარს აქ განვაგრძობთ. გასაგებია?

პოლკოვნიკი ვაიგაჩევი და შემდეგი ჟურავლიოვი და მათთან ერთად გერმანელთა დელეგაცია გასასვლელისაკენ მიემართებიან.

კარებთან ისინი მოულოდნელად ვაიდლინგს შეეჯახნენ. მან ბრაზით გადახედა გერმანელებს და წარმოთქვა:

— ეს ადრე უნდა გაგეკეთებინათ!

ვაიდლინგთან ხანგრძლივი მოლაპარაკება არ გველოდა.

ვაიდლინგი სათვალიანია, საშუალო ტანის, ხმელი, აკურატული. ვეკითხები:

— თქვენ ხელმძღვანელობთ ბერლინის გარნიზონს?

— დიახ.

— კრებსი სად არის? რა გითხრათ მან?

— გუშინ იმპერიის კანცელარიაში ვნახე. მე ვვარაუდობდი, რომ თავს მოიკლავდა. მან ჯერ მისაყვედურა იმის გამო, რომ არაოფიციალურად კაპიტულაცია გუშინ დაიწყო. დღეს კორპუსის ჯარებს ბრძანება მიეცათ კაპიტულაციის შესახებ. გუშინ კრებსმა, გებელსმა და ბორმანმა უარყვეს კაპიტულაცია, მაგრამ კრებსი მალე თვითონ დარწმუნდა ალყის სიმჭიდროვეში და გადაწყვიტა გებელსის საწინააღმდეგოდ შეეწყვიტა უაზრო სისხლისღვრა. ვიმეორებ, კაპიტალუაციის შესახებ მე ბრძანება მივეცი ჩემს კორპუსს.

— კი, მაგრამ, მთელი გარნიზონი? თქვენი ძალაუფლება ვრცელდება მასზე?

— გუშინ საღამოს ყველას ვუბრძანე მოეგერიებინათ დარტყმები, მაგრამ... მერე სხვა ბრძანება გავეცი...

ვგრძნობ, რომ გერმანელებთან არეულობაა. ვაიდლინგი გერმანულ რუკაზე თავისი შტაბისა და კორპუსის ნაწილების, ფოლკშტურმისა და სხვათა განლაგებას გვაჩვენებს. დილის ექვს საათზე კაპიტულაცია უნდა დაეწყოთ.

შემოდის გენერალი სოკოლოვსკი. საუბარს სამნი განაგრძობთ:

— რა მოუვიდათ ჰიტლერსა და გებელსს?

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გებელსსა და მის ოჯახს თავი უნდა მოეკლათ. ფიურერმა 30 აპრილს საწამლავი მიიღო... მისმა მეუღლემაც მოიწამლა თავი.

— თქვენ ეს ნახეთ, თუ გაიგეთ?

— ოცდაათში, საღამო ხანს იმპერიის კანცელარიაში ვიყავი. კრებსმა, ბორმანმა და გებელსმა ეს მაცნობეს...

— ესე იგი, ეს ომის დასასრულია?

— ჩემის აზრით, ყოველი ზედმეტი მსხვერპლი ბოროტმოქმედებაა, სიგიჟეა...

— მართალია. დიდი ხანია, არმიაში ხართ?

— ცხრაას თერთმეტი წლიდან. ჯარისკაცობით დავიწყე.

— თქვენ უნდა გასცეთ ბრძანება სრული კაპიტულაციის შესახებ, — ამბობს სოკოლოვსკი.

— მე არ შემეძლო ყველასათვის მებრძანა კაპიტულაციის შესახებ, რადგან კავშირი არ იყო, — გვიხსნის ვაიდლინგი. — ამიტომ ზოგიერთ ადგილას ცალკეული ჯგუფები, ალბათ, წინააღმდეგობას განაგრძობენ. ბევრმა არ იცის ფიურერის სიკვდილი, რადგან დოქტორმა გებელსმა ამის გამოცხადება აკრძალა...

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ჩვენ მთლიანად შევწყვიტეთ საომარი მოქმედება და ავიაციაც კი მოვაცილეთ. თქვენ არა ხართ ამბების კურსში? თქვენმა ჯარებმა დანებება დაიწყეს. ამას ფრიჩესაგან სამოქალაქო დელეგაციის სტუმრობა მოჰყვა განცხადებით კაპიტულაციის შესახებ და მისი ამოცანა რომ შეგვემუბუქებინა, ცეცხლი შევწყვიტეთ.

— ხალისით დაგეხმარებით, რომ ჩვენმა ჯარებმა შეწყვიტონ საომარი მოქმედება.

იგი გვიჩვენებს, ჯერ კიდევ სად დარჩნენ ესესის ნაწილები. ძირითადად, იმპერიის კანცელარიის გარშემო.

— მათ ჩრდილოეთისაკენ გარღვევა სურთ, — გვაცნობებს ვაიდლინგი. — მათზე ჩემი ძალაუფლება არ ვრცელდება.

სოკოლოვსკი. გაეცით ბრძანება სრული კაპიტულაციის შესახებ... რომ წინააღმდეგობა არ გაგვიწიონ ცალკეულ უბნებზეც კი.

— ჩვენ საბრძოლო მასალები არ გვაქვს! ამიტომ წინააღმდეგობა დიდხანს ვერ გასტანს.

სოკოლოვსკი. ვიცით. დაწერეთ ბრძანება სრული კაპიტულაციის შესახებ და სინდისი სუფთა გექნებათ.

ვაიდლინგი ბრძანების პროექტს წერს. დამსწრენი ჩუმად საუბრობენ. ვაიდლინგი წერს...

— იქნებ თქვენი თანაშემწე გჭირდებათ? — ვეკითხები მე.

— ო, დიახ, დიახ! ძალიან კარგი იქნება! — გაეხარდა გენერალს.

ებრძანებ დაუძახონ გერმანელთა კორპუსის შტაბის უფროსს. შემოდის მაღალი ტანის, შავგვრემანი კაცი მონოკლით, შესანიშნავად გაყოფილი თმით, ნაცრისფერი ხელთათმანებით. ნამდვილი ფრანტია. გერმანელები ერთმანეთს ეთათბირებიან. ვაიდლინგმა თავზე იტაცა ხელი, მაგრამ წერს. ვაკვირდები. უკან გლუვად გადავარცხნილი თმებით, იგი ტიპიური გერმანული აკურატულობით გამოირჩევა.

ვაიდლინგი უსიტყვოდ მაწვდის ქაღალდს. ვკითხულობთ... შესაძლოა ყველა ფორმულირება კარგი არ არის, მაგრამ ახლა, რასაკვირველია, ფორმულირების სიზუსტე მას არ აწუხებს. აი, რა დაწერა:

„30 აპრილს ფიურერმა თავი მოიკლა და ამგვარად ჩვენ, ვინც ფიცი დავდეთ მის ერთგულებაზე, მარტონი დაგვტოვა. ფიურერის ბრძანებით ჩვენ, გერმანიის ჯარებს, ჯერ კიდევ უნდა გვებრძოლა ბერლინისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი საბრძოლო მარაგი ამოიწურა და, მიუხედავად საერთო

ვითარებისა, რომელიც უაზროს ხდის ჩვენს შემდგომ წინააღმდეგობას.

ვბრძანებ: დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ წინააღმდეგობა.

ვაიდლინგი, არტილერიის გენერალი,
ბერლინის თავდაცვის ოლქის უოფილი კომენდანტი“.

— „უოფილი“ საჭირო არ არის, თქვენ ჯერ კომენდანტი ხართ, — უსწორებს სოკოლოვსკი.

— საჭიროა კი ფორმულირებანი ფიცის შესახებ? — ეკ-ვობს პოჟარსკი.

— გადაკეთება საჭირო არ არის, — ვთქვი მე, — ეს მისი პირადი ბრძანებაა.

ვაიდლინგს უჭირს, არ იცის როგორ დაასათაუროს: მოწოდება თუ ბრძანება?

— ბრძანება, — ვეუბნები მე.

— რამდენი ცალი დავბეჭდოთ? — კითხულობს თარჯიმანი.

— თორმეტი, არა, რაც შეიძლება მეტი...

— მე დიდი შტაბი მაქვს, — ამბობს ვაიდლინგი. — მე მყავს ორი შტაბის უფროსი და კიდევ ორი გენერალი, რომლებიც პენსიაზე იყვნენ, მაგრამ ჩემთან სამუშაოდ მოვიდნენ და დამემორჩილნენ. ისინი დაგვეხმარებიან კაპიტულაციის ორგანიზაციაში...

ჩაი მოიტანეს. გერმანელები ცალკე ოთახში გაიყვანეს და იქ უმასპინძლდებიან. ჩვენ — სოკოლოვსკი, ტკაჩენკო, პრონინი, ვაინრუბი, პოჟარსკი და მე — ისევ და ისევ კომენტარს ვუკეთებთ ბოლო დღეებსა და საათებში მომხდარ ამბებს.

— ვაიდლინგს ნერვული შეტევა აქვს, შეამჩნიეთ? — ვეკითხები მე.

— მისთვის ხომ ძნელია! — ამბობს სოკოლოვსკი.

— რასაკვირველია, — გვეთანხმება პრონინი. — მაგრამ ბრძანება ეშმაკურია. მან ოსტატურად გაუსვა ხაზი ფიცსაც, ვალდებულებებსაც... იგი მთავრობის გარეშეა დარჩენილი — უბრალოდ „აბრაა“...

მომახსენეს, რომ ბრძანება დაბეჭდილია. ვეუბნები არმიის შტაბის უფროსს გენერალ ბელიავსკის:

— მანქანა მიეცით ერთ ჩვენს ოფიცერსა და ერთ გერმანელს, ხელში ბრძანებები მიეცით, დაე, იარონ ქუჩებში და გააცნონ ჯარებსა და მოსახლეობას.

ცივი, ნისლიანი დილაა. ვიხსენებთ სტალინგრადს, ვხუმრობთ, თამბაქოს ვეწევით.

11 საათი და 30 წუთი.

ადიუტანტი მაცნობებს: თვითმავალით ფრიჩე მოვიდა. შემოდის ფრიჩე — ნაცრისფერ პალტოში, სათვალით, მორჩილი ტანის. საბუთებს ზეზეურად კითხულობს. უსიტყვოდ ჯდება. გვერდით თარჯიმანი ჰყავს.

ფრიჩემაც მიიღო უსიტყვო კაპიტულაციის პირობები. სურდა ეს თუ არა, მაგრამ ეს იყო ჩვენი მოლაპარაკების გარდუვალი შედეგი.

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი (ფრიჩეს). ჩვენ დაინტერესებული ვართ იმით, რომ ბერლინში სიმშვიდე იყოს. ვისაც თავისი ბედი აწუხებს, შეგვიძლია მცველი რაზმი მივცეთ.

ფ რ ი ჩ ე. გერმანიის პოლიციის ორგანოები გაიფანტნენ, მაგრამ შეიძლება მათი კვლავ შეკრება.

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ჩვენ პოლიცია არ გვაინტერესებს. იგი მიემატება სამხედრო ტყვეებს. ჩვენ გვაინტერესებს ადმინისტრაციის მოხელეები. მათ უზრუნველყოფთ დაცვით. ზიანი არ მოუვათ. გასაგებია?

ფ რ ი ჩ ე. არ მესმის, ვის, სად შეუძლია ზიანის მიყენება? ვინ წავა ექსცესებზე?

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ჩვენმა ცალკეულმა მებრძოლებმაც და გერმანელმა მოსახლეობამაც შესაძლოა თქვენს მიმართ სისასტიკე გამოიჩინონ გესტაპოს მოქმედებისა და სხვა ამბებისათვის...

ფ რ ი ჩ ე. დიახ, შესაძლოა.

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. ჩვენ ყველაფერი გავითვალისწინეთ, გამოვაცხადეთ, დანიშნულია ბერლინის კომენდანტი — საბჭოთა გენერალი ბერზარინი. შექმნილია რაიონული კომენდატურები. ისინი ყველა ზომას მიიღებენ. სხვა სურვილები ხომ არ გაქვთ?

ფ რ ი ჩ ე. მე წერილი მოგწერეთ, როგორც მთავრობის

უკანასკნელმა პასუხისმგებელმა წარმომადგენელმა, იქნებ შოგწერეთ, რომ თავიდან აგვეცილებინა სისხლისღვრა.

ს ო კ ო ლ ო ვ ს კ ი. თქვენი იძულებითი ქესტი ჩვენთვის გასაგებია.

ფ რ ი ჩ ე. მე მსურს გავაფართოვო დოკუმენტი, რისთვისაც საჭიროა დენიცთან დაკავშირება.

— დღეს 10 საათზე, — ეაცნობე მე, — დენიცმა მიმართა არმიასა და ხალხს განცხადებით, რომ მან იკისრა ხელმძღვანელობა და ბოლომდე განაგრძობს ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ, აგრეთვე ამერიკელებისა და ინგლისელების წინააღმდეგ, თუკი ისინი ხელს შეუშლიან. მაგრამ ჩვენ მისი არ გვეშინია.

ფ რ ი ჩ ე. მე ეს არ ვიცოდი.

საბოლოოდ დავაზუსტეთ კაპიტულაციის პირობები და მას დაეემშვიდობეთ. ყველა ჩაფიქრებულია: ცრუ პიროვნება ხომ არ არის იგი? მართალია, მტერი დამარცხებულია, მაგრამ მის შიმართ უნდობლობას გრძნობ. ხმამაღლა ვაზროვნებ:

— დენიცმა ჰიმლერი მოღალატედ გამოაცხადა. ბერლინმა ცალკე მოახდინა კაპიტულაცია. მაგრამ ჩვენ საერთოდ ბოლო მოვუღეთ მათ. რა გაუგებრობა და არეულობა ყოფილა მათთან, თუკი გებელსს ჩვენზე სურდა ორიენტაცია...

ყველა მიხვდა ჩემს ირონიას და გაეცინათ.

ტელეფონის ზარი. არმიის შტაბის უფროსმა მაცნობა: ჩვენი ნაწილები შეუერთდნენ გენერალ კუზნეცოვის დამკვრელ არმიას. რაიხსტაგის იმპერიის კანცელარიის რაიონსა და მთელს ტირგარტენში ბრძოლა შეწყდა. ბერლინში სიჩუმე დამკვიდრდა.

ამის შესახებ საკომანდო პუნქტზე ყველა დამსწრეს ვაცნობე.

— ომის დასასრული დგება, — აღელვებულმა სთქვა ეახილ დანიელის ძე სოკოლოვსკიმ.

— დიახ, გავაბოლოთ მშვიდობის ჩიბუხი!

შუადღისას ბერლინის გარნიზონმა, აგრეთვე იმპერიის კანცელარიისა და ჰიტლერული მთავრობის ნარჩენების დამცველმა ესესის ჯარებმა კაპიტულაცია მოახდინეს.

ქუჩაში გავედით. ირგვლივ სიჩუმეა, რომელსაც ასე გადავეჩვიეთ. თითქოს რეკიავსო, შეუჩვეველობისაგან გვეჩვენება და უცებ მოგვესმა ჯარისკაცთა აწყობილი ფეხის ხმა. ვერც კი ვიჯერებთ, რომ ჩვენს გვარდიელებს ასე საზეიმოდ შეუძლიათ მწყობრით სვლა. ტირგარტენის პარკიდან მოაბიჯებს 79-ე გვარდიული მსროლელთა დივიზიის ასეული. ასეულს მოუძღვის გვარდიის კაპიტანი ნ. ი. კრუჩინინი. მან ეს-ესაა დაამთავრა აღმოსავლეთის ბუნკერის გაწმენდა ფაშისტებისაგან, რომლებიც წინააღმდეგობის განგრძობას ცდილობდნენ. მე-8 გვარდიული არმიის ზოლში ბოლო გასროლა იქ მოხდა. ბოლო გასროლა და გვარდიელები ბრძოლიდან ბერლინის ცენტრალურ ქუჩაზე მწყობრი ნაბიჯით გამოვიდნენ: როგორი გამართულობაა, რამდენი სიხარულია გამარჯვებული მეომრების სახეებზე!

არა, მე მგონი არასდროს მინახავს ასეთი მწყობრი. ნაბიჯი ნაბიჯს; ფეხი ფეხს, მხარი მხარს. რუსეთის მიწის გოლიათები ბერლინის ქუჩებში დადიან! და უცებ სიმღერა — ფართო, კეთილხმოვანი, ჩვენი, რუსული სიმღერა. იგი მოცურავს ქალაქის ჯერ კიდევ კვამლიან ქუჩებში, სადაც ოდესღაც მწიფდებოდა მესამე რაიხის მეთაურთა გეგმები მსოფლიო ბატონობისა.

ვუყურებ მებრძოლთა დაღლილ და ბედნიერ სახეებს. აი, იგი, ჯარისკაცის ჭეშმარიტი ბედნიერება!

2

ომი დამთავრდა. განვლილია დიდი და რთული გზა. ყველა სანგარი, თხრილი, მისასვლელი გზა, რომლითაც ვიარეთ ომის წლებში, ყველა სწრაფი მარშისა და შემოვლითი მანევრის ყველა მარშრუტი ერთ სწორ ხაზად რომ გავაერთიანოთ, იგი ეკვატორით მთელ დედამიწას შემოუვლიდა. და მე ვამაყობ, რომ ეს მანძილი არმიის მეომრებთან ერთად გავიარე მტრის ცეცხლის ქვეშ, წყლის ზღუდეებისა და დანაღმული ველების გავლით.

ის, რაც ომის განმავლობაში წილად ხვდა ჩვენს მეომრებს, მთელს საბჭოთა ხალხს, ჯერ კიდევ არასდროს არავისი ხვედრი არ ყოფილა. ეს ომი იყო ყველაზე უფრო სისხლისმღვრელი და

დამანგრეველი ყველა ომთაგან, რაც კაცობრიობის ისტორიას ახსოვს. რა უნდა ვუთხრათ ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს, ყველა მომავალ თაობას, ჩვენ, ვინც ეს განსაცდელი გადავიტანეთ?

ამ მოგონებათა ყოველი სტრიქონი შედეგია ჩემი დაკვირვების, განცდისა და ფიქრისა, შესაძლოა, ზოგჯერ სუბიექტურის, მაგრამ ყოველთვის გულახდილის. ომზე მე ვლაპარაკობდი, ვლაპარაკობ და ვილაპარაკებ დაუფარავად ყველაფერს, რასაც ვფიქრობ, რაც ჩემს სულს აწუხებს.

წარსული ომის ავბედითი ხანძარი ევროპის ცენტრიდან ავარდა, ჰიტლერული გერმანიიდან, რა ტანჯვა, რა მსხვერპლი გაიღეს ხალხებმა, რომ ეს ხანძარი ჩაექროთ! ათობით მილიონი მოკლული და დასახიჩრებული, მრავალი ათასი დანგრეული და დამწვარი ქალაქი, სოფელი, დაბა.

ყველაზე დიდი მსხვერპლი საბჭოთა ხალხმა გაიღო, რადგან ჰიტლერის სამხედრო მანქანის დარტყმის მთავარი სიმძიმე ჩვენ გვხვდა წილად, საბჭოთა ადამიანებს. ომმა ჩვენს მიწაზე გაიარა დასავლეთი საზღვრებიდან მოსკოვსა და ლენინგრადამდე, ქვედა ვოლგამდე და უკან. ჩვენ სრული მორალური უფლება გვაქვს გავასამართლოთ აგრესორიც და ისიც, ვინც მას ხელ-ფეხი შეუხსნა.

ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების ხალხთა ერთობლივი ძალებით ომის ხანძარი ჩაქრობილ იქნა იქ, სადაც დაენთო.

ვინც წარსულზე ფიქრობს, მას მომავალიც აქვს მხედველობაში. ვინც მომავალზე ლაპარაკობს, მას უფლება არა აქვს წარსული დაივიწყოს. მე მრავალი ბრძოლის ქარცეცხლში გავიარე, ვიცი ომის სიმძიმე და არ მინდა, რომ ეს ხვედრი ხალხებს ისევ ხვდეს წილად. მაგრამ ახალი მსოფლიო ომის საშიშროება არ შეიძლება სრულიად აცილებულად ჩაითვალოს.

ამ საუკუნის განვლილ ნახევარში ჩვენ ბევრი ბრძოლა მოგვიხდა იმიტომ, რომ საბჭოთა სახელმწიფოს დაბადების დღიდანვე ზოგ-ზოგი ჩვენი ხალხის ხარჯზე ხელის მოთბობას ცდილობდა. რით დამთავრდა ყველა ეს ცდა — მთელი მსოფლიოსათვისაა ცნობილი.

აზრი, გონება მოითხოვს, არ დავივიწყოთ ისტორიის გაკვეთილები. ეს უნდა ახსოვდეთ იმათ, ვინც აგრესიის ახალ გეგმებს ადგენს.

ჩემს თაობას სოციალისტური მომავლის დასაცავად იარაღისაკენ მოუწოდა უდიდესმა ჰუმანისტმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა.

მე 20 წლის ვხდები, 55 წელია სამხედრო ფორმას ვატარებ და მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ: ჩვენ, საბჭოთა მეომრები, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ დავიცვათ ჩვენი სოციალისტური სამშობლო ყველა ჯურის აგრესორებისაგან და ვიქნებით მთელს მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის პირველ რიგებში.

ფრონტის ხაზი 1944 წლის ივნისის შუა რიცხვებისათვის

სევასტოპოლი
პეტროგრადი
ბერლინი
შეცინი
ნეგანი
ბიალოსტოკი
ბრესტი
ვარშავა
ლოძი
ლუბლინი
ბუქარესტი
ბელგრადი
ბუდაპეშტი
ვენა
ბრატისლავა
ბერლინი
ბაკარეი
ბალატონი
ბალტიკური ზღვა
ბალკანეთი
ბალკანეთის ჯარების „ცენტრ. ჯგუფი"
(23.09-ამდე)
4 სამხ.-საბრ. ოდ. ძალების ნაწილი
ბალტიკური ზღვა
ბალკანეთის ჯარების ჯგუფი „სამხრ. უკრაინა"
4 სამ.-ფეიერ. ნაწილი
1 სამ.
4 ს.(რ)
3 ს.(რ)
6 ს
5 ს.ჯ.
2 ტან. ს.ჯ.
1-ლი ტანკ.
2-ე
3-ე
ბალტიკური ზღვა
ბალკანეთი
ბალკანეთის ჯარების ჯგუფი „სამხრ. უკრაინა"
(23.09-ამდე)
4 სამხ.-საბრ. ოდ. ძალების ნაწილი
ბუქარესტი
ბელგრადი
ბუდაპეშტი
ბალატონი
ბალტიკური ზღვა
ბალკანეთი
ბალკანეთის ჯარების ჯგუფი „სამხრ. უკრაინა"
(23.09-ამდე)
4 სამხ.-საბრ. ოდ. ძალების ნაწილ

ჯვეფი
„ილოინეული"
ჯვეფი
„ალეპის ყელი
ხელსინგი
ჯვეფი
„ანარეკ"
ლენინგრადის შტორმი
13 სექ.
მალტიისპირეთის მე-3 შტორმი
14 სექ.
მალტიისპირეთის მე-2 შტორმი
15 სექ.
ვალეაუ ლეკი
მალტიისპირეთის 1-ლი შტორმი
3 სექ.
ბალტიკისპირეთის მე-3 შტორმი
1 სექ.
ბალტიკისპირეთის მე-2 შტორმი
4 სექ.
ბალტიკისპირეთის 1-ლი შტორმი
16 და 6 სექ.
ბოსპორი
ბოლოვი
ბოლოვეი
ბოლოვეი
ბოლოვე


3 ქიბიტკა
2 ქიბიტკა


ᲡᲘᲛᲝᲜᲘ
ᲛᲔᲣᲜᲘᲐ
2 ᲡᲐᲒ.Კ
ᲡᲝᲤᲚᲘᲡ
ᲡᲐᲒ.Კ
ᲡᲐᲒ.Კ
ᲛᲘᲬᲐᲜᲘᲡᲣᲠᲘᲡ
69 Კ
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ
1 ᲡᲐᲜᲘᲢᲠᲝ

1945 წლის 14 იანვარი




ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ
1945 წლის 12 იანვარ
ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲯᲐᲮᲣᲠᲘ
„ᲕᲘᲡᲚᲐ"
(26.I-ᲓᲐᲜ)
ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ
ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ
ᲙᲘᲠᲙᲚᲘᲜᲘ
ᲞᲝᲖᲜᲐᲜᲘ
ᲞᲝᲜᲘᲜᲘ
ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ
ᲚᲘᲒᲜᲘᲪᲘᲐ
ᲚᲐᲠᲘᲖᲚᲔᲜᲘ
ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲯᲐᲮᲣᲠᲘ
„ᲡᲘᲜᲬᲐᲠᲘ"
ᲜᲔᲘᲡᲘᲡ
ᲒᲚᲐᲪᲪᲘ
47Ჯ
13(13)
61Ჯ
69Ჯ
33Ჯ
9Ჯ
13Ჯ
52Ჯ
4 ᲡᲐᲒ.Ჯ
3 ᲓᲐᲒ.Ჯ
2 ᲓᲐᲒ.Ჯ
5 ᲓᲐᲒ.Ჯ
8 ᲓᲐᲒ.Ჯ
1 ᲓᲐᲒ.Ჯ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲒᲝᲛᲐᲠᲘᲡᲝᲑᲐ 12.I-ᲓᲐᲜ ᲗᲔᲗᲠᲘᲡᲪᲘᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲣᲪᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲖᲚᲣᲒᲔᲑᲘ
ᲑᲣᲠᲯᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲖᲚᲣᲒᲔᲑᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ 12.I-ᲓᲐᲜ 17.I-ᲛᲓᲔ
ᲰᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲒᲝᲛᲐᲠᲘᲡᲝᲑᲐ 17.I-ᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ 18.I-ᲓᲐᲜ 3.II-ᲛᲓᲔ
ᲞᲝᲖᲜᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲗᲘ ᲖᲚᲣᲒᲔᲑᲘ
ᲪᲘᲮᲔ-ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ
ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲒᲝᲛᲐᲠᲘᲡᲝᲑᲐ 25.I-ᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲤᲝᲠᲗᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ 3.II-ᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ძანთაკვისუფლება
- ვ თებერვალი



ᲨᲐᲜᲘᲜᲯᲘᲡ
ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲗᲝ
ᲯᲐᲠᲘ
ᲛᲝᲪᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲗᲔᲑᲘ

ოლინის ოპერაცია
1945 წ. აპრილი-მაისი



შინაარსი

	გვ.
ᲕᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ	3
ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ .	37
ᲕᲘᲡᲚᲐ	63
ᲨᲔᲙᲣᲛᲨᲣᲚᲘ ᲖᲐᲛᲑᲐᲠᲐ ᲘᲨᲚᲔᲑᲐ	104
ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲜᲘ	154
ᲛᲐᲚᲔᲘᲘᲘ	226
ᲬᲘᲜ ᲒᲕᲐᲠᲓᲘᲣᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘᲐ .	236
ᲐᲒᲝᲜᲘᲐ	253
ᲨᲢᲣᲠᲛᲘ .	269
ᲢᲘᲠᲒᲐᲠᲢᲔᲜᲘ .	289
ᲙᲠᲔᲑᲡᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ . . .	314
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝᲒᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ .	338
ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲔᲓᲜᲘᲔᲠᲝᲑᲐ	360

რედაქტორი არ. ხანგელიძე
გამომცემლობის რედაქტორი ზ. ფოლაშვილი
მხატვარი ულ. გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი ნ. ოკრუაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. აფხაზავა
კორექტორი გ. ფალანია
გამომშვები ნ. მაკარაშვილი

გადაეცა წარმოებას 14/V-75 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VII-75 წ. საბ. ქაღ. № 1, ზომა 84×108[1]/32. ბირობ. ნაბ. თაბახი 20,37+ჩაკერა 1,68, სააღრ.-საგამომც. თაბახი 19,18.
ტირაჟი 20 000 შეკვ. № 1445
ფასი 98 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. 7.
Тбилисская книжная фабрика, Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7